1. Абх. яз.: «Этнография Кавказа. Языкознание. [I]. Абхазский язык». Тифлис, 1887.
 - ” ” 2. Чечен. яз.: «Этнография Кавказа. Языкознание. II. Чеченский язык». Тифлис, 1888.
 - ” ” 3. Авар. яз.: «Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык». Тифлис, 1889.
 - ” ” 4. Лак. яз.: «Этнография Кавказа. Языкознание. IV. Лакский язык». Тифлис, 1890.
 - ” ” 5. Хюркил. яз.: «Этнография Кавказа. Языкознание. V. Хюркилинский язык». Тифлис, 1892.

ფანჩვიძე ვლად. — „აკუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში“ — „ენიმკი-ს მოამბე“, V-VI (1940).

ქართ. ლექსიკა იხ. საბა.

- ყიფშიძე იოს. Кипшидзе И. А.** 1. მეგრ. გრამ., Грам. мингр. яз.: «Грамматика мингрельского (иверского) яз. с хрестоматиею и словарем» – Материалы по яфетическому языкознанию. VII, – СПб, 1914.
- „ „ 2. ჭან. ტექსტ.: „ჭანური ტექსტები“. ენიმკის გამოცემა, ტფილისი, 1939.
- „ „ 3. საანგარ. მოხს.: „საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს — მივლინების დღიურიითურთ“ — „ენიმკის მოამბე“, I, 1937.
- „ „ 4. ასიმილ. (და დისიმილ.): „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ — „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, I, 1919-1920.
- შანიძე აკ.** — 1. ქართ. გრამატ., (მორფოლოგია): „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ — ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1930.
- „ „ 2. უმლაუტი: „უმლაუტი სვანურში“, — კრებულში „არლი“ (1925).
- „ „ 3. Два чано-мингр. суффикса: «Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках» — «Зап. Вост. Отд. Рус. Арх. Общ.», т. XXIII, 1916.
- შანშოვანი ზურაბ:** „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა“ — გამოცემული ალ. ცაგარელისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1881.
- შედარ. ლექსიკ.** იხ. ჩიქობავა არნ.
- ჩიქობავა არნ.:** — 1. ზოგადი ენათმეცნიერება I: — „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პრობლემატიკული ნაწილი“ — მეორე, შეესებული გამოცემა (სტალინის სახ. თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტისა), 1939.
- „ „ 2. მარტივი წინადადების პრობლემა: — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“ — ტფილ. უნივერსიტ. გამოცემა, 1928.
- „ „ 3. მარტ. წინად. ევოლ. ძირითადი ტენდენციები — „მარტივი წინადადების ევო-

- ლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. II, ნაკვ. 1/2, 6 (1941).
- „ „ 4. „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? V — ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, №7.
- „ „ 5. შედარ. ლექსიკ. — „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ — ენიმკი-ს გამოცემა, ტფილისი, 1938.
- „ „ 6. ჭან. ტექსტ. I.: — „ჭანური ტექსტები. I. ხოფური კილოკავი“ — ტფილ. უნივერს. გამოცემა, 1929.
- „ „ 7. ჭან. ტექსტ. II: — „ჭანური ტექსტები. II. ვიწურ-არქაბული კილოკავი, ათინური კილოკავი“ — დართული აქვს „ჭანურის გრამატიკულ ანალიზს“ (იხ.).
- „ „ 8. ჭან. გრამ. ანალ. — „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ — სსრკ მეცნიერ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა, 1936.

წელიწდეული: — „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I-II (1923-24), თბილისი.

ჭან. ტექსტ. I, II — იხ. ჩიქობავა არნ.

ჭან. გრამ. ანალ. — იხ. „ „ „

ჭარაია პ. Чарая П. — «Об отношении абхазского языка к яфетическим», — Материалы по яфетическому языкознанию, — IV. — СПб. 1912.

ჭყონია ილია. „სიტყვის-კონა“ — საბა სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. — Материалы по яфетическому языкознанию, I. СПб. 1910.

ჯავახიშვილი ივ. — 1. საქართ. ეკონ. ისტორია I, II, — „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ — წიგნი პირველი (მეორე გამოცემა), ტფილისი, 1930 წ., წიგნი მეორე (მეორე გამოცემა), 1934 წ.

„ „ 2. ქართ. ერ. ისტ. I — „ქართველი ერის ისტორია“ — წიგნი პირველი (მესამე გამოცემა), ტფილისი, 1928.

ჯავახიშვილი ივ. — 3. ქართ. და კავკას. ენ. ბუნება — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ — ენიმკი-ს გამოცემა, ტფილისი, 1937.

ჯანაშია სიმ. — 1. თუბალ... იბერი. — „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, ენიმკი-ს მოამბე, I, გვ. 185-245 (1937).

2. გენეალ. — „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“. დართული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კრებულს, „ფედერაციის“ გამოცემა, თბილისი, 1939, გვ. 131-144.

1. თუ შრომის სახელწოდება სრულად არის ნაჩვენები ტექსტში, ცხადია, „შემოკლებათა განმარტებაში“ მისი შეტანა საჭირო არ იქნებოდა.

2. გამოცემული ძეგლების დამოწმებისას ნაჩვენებია გვერდი და სტრიქონი; თუ გამოცემაში სტრიქონთ-სათვალავი არაა (ან არის, მაგრამ ხელნაწერის გვერდის სტრიქონებს აღრიცხავს და არა ნაბეჭდი ტექსტისას), სტრიქონთა დათვლა შეიძლება ზოგჯერ ქვევიდან იყოს უფრო მოხერხებული; ასეთ შემთხვევაში მიწერილია **ქვ**; სხვა შემთხვევაში ყველგან ივარაუდება ზევიდან დათვლა.

3. ხელნაწერების დამოწმებისას ნაჩვენებია მხოლოდ გვერდი; თუ ძეგლს ფურცლობრივი პაგინაცია აქვს, წესისამებრ **r** და **v** მიუთითებს, ფურცლის რომელ გვერდზეა, წინაზე თუ უკანაზე, დამოწმებული მასალა.

4. ჰადის ოთხთავზე მითითებისას ციფრი აღნიშნავს ტაბულას, **a** — ტაბულის ზედა ნახევარს, **b** — ქვედას მომდევნო 1, 2 — მარცხენა თუ მარჯვენა ნაწილს (ასე: $64b_2$ — ნიშნავს, რომ 64 ტაბულის ქვედა ნაწილის მარჯვენა ნახევარზეა დამოწმებული ადგილი).

5. სვანური მასალის დამოწმებისას მიღებულია სათანადო წყაროს ორთოგრაფია; ამიტომ, რომ უმარცვლო **ჟ** ხან ჯ-თია გადმოცემული, ხან **ჟ**-თი (ზოგჯერ — **ვ**-თიც). სამწუხაროდ, ამის უნიფიკაცია ჩვენზე არ იყო დამოკიდებული.

სვანური დიალექტები შემოკლებით ასე აღინიშნება:

ლშ. — ლაშხური, **ბზ.** — ბალს-ზემოური, **ბქვ.** — ბალს-ქვემოური, **ლენტ.** — ლენტეხური...

რ. ავტორების დასახელებისას არაა ნაჩვენები მკვლევრის სამეცნიერო წოდებულება (დოცენტი, პროფესორი, აკადემიკოსი).

მიზეზი ორგვარია: ტექნიკური და არსებითი.

შეიძლება ამა თუ იმ პროფესორს ანდა აკადემიკოსს ჰქონდეს გამოქვეყნებული შრომები მაშინ, როცა ის არც პროფესორი იყო და არც დოცენტი. თუ წოდებულებას ყველგან აღვნიშნავთ, ჭრელი და უცნაური სურათი გამოვა. — ესაა ტექნიკური უხერხულობა.

არსებითი კი ის არის, რომ მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით, სულ ერთია, რა მეცნიერული წოდებულება აქვს მკვლევარს.

სატრანსკრიფციო ნიშნები

ქართული ანბანის რიგში:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	წ	თ	ი	კ	ლ
a	b	g	d	e	v	z	ē(η)*	t	i	ḵ	l
მ	ნ	ძ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ჯ	უ	ფ
m	n	j	o	p	ž	r	s	ṭ	y*	u	p
	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ
	k	γ	q	š	č	c	z	č	č	x	q
			ჭ	ჰ	ჭ	ჟ	ფ	ღ	ც		
			ჭ	h	ō(ω)*	w	f	ə	'		

*ძველი ქართულის ტექსტების ტრანსკრიფციისათვის.

ნაწილი პირველი

დეტერმინანტი სუფიქსები
ქართულ ენებში

1. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძვ. აგებულება.

§1. ქართულში, ახალშიცა და ძველშიც, სახელის ფუძის ბოლოკიდურ ბგერებად გვაქვს:

ა. თანხმოვანთაგან — ყველაზე ხშირად ლ რ ნ ვ;

ბ. ხმოვანთაგან — ა ე ო უ.

არა ჩანს **ი**. ეს ხმოვანი მხოლოდ ერთ ფუძეს შერჩა — ვ**ი**-ნ, — და ისიც სწორედ იმიტომ, რომ აქ **ი** ბოლოკიდური არაა: -**ნ** მოსდევს.

ფუძის ბოლოკიდური **ი**, როგორც ცნობილია, აირია სახელობითის -**ი**-ში ყველგან საზოგადო სახელებში, სადაც ისეთი პირობები არ მოიპოვებოდა, როგორიც ვ**ი**-ნ-ში გვაქვს:

გადაანალიზების (მეტაანალიზის) შედეგად ფუძისეული ბგერა სახელობითის ნიშნად იქნა მიჩნეული.

§2. ეს პროცესი ნათლად ჩანს ძველს ქართულში უცხო წარმოშობის ადამიანის-სახელთა ბრუნებისას:

გ რ ი გ ო ლ ი, ა ნ ტ ო ნ ი, ბ ა ს ი ლ ი... ფუძისეულ **ი**-ს ინარჩუნებდა სხვა ბრუნებებშიც; მოთხრობითში უნდა გვქონოდა: გრიგოლ-**ი**-მან, ანტონ-**ი**-მან, ბასილ-**ი**-მან¹... მიცემითში: გრიგოლ-**ი**-ს, ანტონ-**ი**-ს, ბასილ-**ი**-ს (შდრ. გიორგი**ი**, აკაკი**ი**, დიმიტრი**ი**... გიორგი**ის**, აკაკი**ის**, დიმიტრი**ის**...). ფუძეებს — გრიგოლ**ი**, ანტონ**ი**, ბასილ**ი** — **ი** არ უნდა მოკვეცოდა, ჩვეულებრივ არც ეკვეცებოდა ხოლმე:

... ჰკითხა ძმამან მამასა ანტონის... პალ. II, 13.

... თქა მამამან ანტონი... იქვე.

... და მოილო ბასილი ნეტარმან... წინამძღურობად... პალ. II, 8.

... მაშინ დიდმან ბასილი და ნეტარმან გრიგული... აიძულეს იგი იძულებითა დიდითა... იქვე.

... და ამისთვის წინააღმდეგობადეს დიდსა ბასილის... იქვე.

... იყოფოდა რად სენაკსა მას შინა ნეტარი გრიგული... პალ. II, 1.

... მიუწერა ნეტარმან გრიგული. დიდსა ბასილის ვედრებით... პალ. II, 6...

...მაშინ უკუე დიდმან გრიგული აღწერა წიგნი... პალ. II, 5...

ახალ ქართულში -**ი** ამ სახელებში სახელობითის ნიშნადაა ნაგულგები და ბრუნებისას არ გადაყვება:

¹ ეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სახელი ბრუნებისას მოთხრობითის ნიშანს დაირთავდა; ჩვეულებრივ ადამიანის სახელი მოთხრობითსა და სახელობითში ფუძის სახით რჩებოდა.

ანტონმა, ანტონს... გრიგოლმა, გრიგოლს... ბასილმა, ბასილს...
 ფუძის გადაანალიზების ეს პროცესი ჯერ კიდევ ძვ. ქართულში იყო დაწყებული. ასე, მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვაქვს:
 ... ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა... სანატრელი გრიგოლ...
 მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისაჲ... ხანძთ., **ბ**₇ ქვ.
 ... აღვიდა... მამაჲ გრიგოლ და კუერთხითა სცა... იქვე, **ნბ**₁₃ ქვ.
 ... იყო ნეტარი გრიგოლ თჳსსა მას საყუდელსა სენაკსა... იქვე, **ნგ**₇ ქვ.
 ... და ესრჳთ მიიღის საზრდელი... ნეტარმან გრიგოლ¹... იქვე, **ბ**₁₂ ქვ.
 ... ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯულს... იქვე, **ნვ**₁₇.
 ... მაშინ მამამან გრიგოლ უწინაჲსწარმეტყუელა... იქვე, **ნმ**₁₂ ქვ.
 ... ვა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმჳ იგი... იქვე, **ნვ**₈.
 ... მონასა თჳსსა გრიგოლს გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლოებაჲ... იქვე, **ნმ**₁₇ ქვ.
 ... მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია... იქვე, **ნვ**₄ ქვ.
 ... და შეუფრდა ნეტარსა გრიგოლს... იქვე, **ნბ**₇ ქვ...

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ X ს. ორიგინალური თხზულებაა. ჩანს, ცოცხალ ზეპირ მეტყველებაში და, შესაბამისად, ორიგინალურ ნაშრომში გადაანალიზების პროცესი უფრო ადრე იკაფავს გზას, ვინემ ნათარგმნ თხზულებაში.

ყოველ შემთხვევაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ჩვენება საგულისხმოა პროცესის ისტორიისათვის².

ნასესხებ სახელებში ფუძისეულ ბოლოკიდურ -**ი**-ს ახლაც მოვლის საფრთხე; წიგნის მეტყველებაში იხმარება: ჩაიმ, ჩაის... გურულში ჩვეულებრივია — „ჩას“... არასაკმაოდ წიგნიერ პირთა მეტყველებაში წავაწყდებით ფორმებს: გორკმა... გორკს... (ნაცვლად: გორკიმ... გორკის...); იწერება: ტრიპოლში, ვიშში (ნაცვლად: ტრიპოლიში, ვიშიში — ამ ქალაქების სახელებში ბოლოკიდური **ი** ფუძისაა: ტრიპოლი**ი**, ვიში**ი**...)...

ფუძისეული ბოლოკიდური **ი**-ს ადრევა სახელობითის ნიშანში ძველის-ძველი პროცესია: უკვე უძველეს ძეგლებში გადაშენებულია -**ი**-ზე დაბოლოებული ფუძეები ქართული წარმოშობის სახელებში.

¹ მაგალითები აქ ამგვარ ფორმათა შესაძლებლობის საილუსტრაციო კი არაა, არამედ სიხშირის საილუსტრაციო; ამიტომაც მოგვყავს რიგი მაგალითი.

² საგანგებო შესწავლაა საჭირო — რატომ მოეკვეცა ფუძისეული -**ი** გარკვეულ სახელებს (გრიგოლი, ანტონი, ბასილი...), როდესაც დიდმა წილმა ფუძისეული -**ი** დღემდის შეინარჩუნა (გიორგი, აკაკი, დიმიტრი...).

ამრიგად, სახელობითის **-ო-** ნიშანში, ალბათ, საკმაო რაოდენობითაა მოცემული ფუძისეული **ო-**ს მემკვიდრე: ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნად **-ო-**ც ისევე უნდა ყოფილიყო ხმარებული, როგორც სხვა ხმოვნები.

ქართულის შესახებ თქმული სავესებით ეხება მეგრულსა და ჭანურ-საც, ოღონდ ერთი განსხვავებით: ჭანურში **-ო-**ს მდგომარეობაშია **-ე** (**-ო-**ს ფონეტიკური შესატყვისი); თუ ქართულში **-ო-**ზე დაბოლოებული ფუძეები გადაშენდა, ჭანურში **-ე-**ზე დაბოლოებული მარტივი ფუძეებია საძებარი: ფუძისეული **-ე** და სახელობითის **-ე** ძნელი გასარჩევია (იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, §11, გვ. 49).

მეგრულში სახელობითის ნიშნად **-ო** არის ამჟამად. ეჭვს გარეშეა, ეს ქართულის გავლენას მიეწერება. წინათ მეგრულშიც ისეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, როგორც ჭანურს ახასიათებს.

-ო- სახელობითის ბრუნვისა მეგრულში ყოველთვის როდი ეკვეცება, არაიშვიათად იგი გადაყვება სხვა ბრუნვებშიც (იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, §14, გვ. 59; შდრ. ი. ყიფშიძე „მეგრ. გრამ.“, §15, გვ. 19-20).

არც სვანურს შემოუნახავს ფუძისეული ბოლოკიდური **-ო**¹.

§3. ოთხი ხმოვნიდან, რომლებზედაც ქართულში შეიძლება ფუძე - ბოლოვდებოდეს, შედარებით იშვიათია **-ო**, **-უ**, უფრო ხშირია **-ე** და **-ა**. ამათგან **-უ-**ს გარდა ყველა სამი ხმოვანი საწარმოებელი სუფიქსის როლში გამოდის:

-ო: სა-ს-**ო**-... სა-თნ-**ო**-... სა-შ-**ო**-... სა-უკუნ-**ო**-... სა-მწყს-**ო**-... სა-რწმუნ-**ო**-... სა-იღუმლ-**ო**-...,²

-ე: სა-უნჯ-**ე**-... სა-ფას-**ე**-... სა-ნოვაგ-**ე**-... სა-პყრობილ-**ე**-... სა-ვან-**ე**-... სა-ვს-**ე**-... შე-მ-წ-**ე**-... მ-ძ-ლ-**ე**-... მე-უ-ფ-**ე**-... მო-წაფ-**ე**-... მე-ხუთ-**ე**-... მე-ნავ-**ე**-... სი-კეთ-**ე**-... სი-ზრქ-**ე**-...

-ა: დგომ-**ა**-... ქმნ-**ა**-... კეთებ-**ა**-... ღუწოლ-**ა**-... სი-ვლტოლ-**ა**-... ს-რბ-**ა**-... ბრძოლ-**ა**-... ყრმობ-**ა**-...

ასეთ შემთხვევაში ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვანი **-ო**, **-ე**, **-ა** ძირეული არაა, იგი ფუძის საწარმოებელი სუფიქსია. ეს ცხადია.

¹ სვანურში სახელობითის ვითარებისათვის იხ. ვარ. თოფურიია: „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ — ტფილ. უნივ. მოამბე, VII, გვ. 284-312.

² წარმოდგენილი ნიმუშები ძვ. ქართულისაა; გამოთქმებს არ ვიძლევი, იმდენად ცნობილია და ჩვეულებრივი ეს ნაწარმოები ფუძეები.

§4. მაგრამ გასარკვევია, ძირეულია თუ არა ბოლოკიდური ხმოვანი ისეთ ფუძეებში, როგორიცაა: **კბო-**, **გრკო-**, **დრო-**... **ცრუ-**, **ყრუ-**... **ძე-**, **მზე-**, **ხე-**, **დღე-**... **ქვა-**, **გზა-**, **ძმა-**, **და-**, **დღდა-**, **მამა-** და სხვ.

ეს ფუძეები მარტივი ჩანს, ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვანი ძირეულად მიიჩნევა. მაგრამ საკმარისია ზოგი მათგანი გავაანალიზოთ ქართველური ენების ჩვენებათა გამოყენებით, რომ ხსენებულ ფუძეთა სიმარტივე საეჭვო გახდეს.

ფუძე: **ძმა-**; სახელობ. **ძმა-მ.**

შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში:

ჭან. **ჯუმ-ა** — „ძმა“

მეგრ. **ჯიმ-ა** — „ძმა“

სვან. **ჯემ-ილ** — „ძმა“ (დისტვის).

თანხმოვნებს შორის მეგრულსა და სვანურში მოქცეულია **-ი-** და **-გ-**, ჭანურში **-უ-** (ჯიმ-: ჯუმ-). მიუხედავად იმისა, რომ **უ-**ს მხოლოდ ჭანური უჭერს მხარს, ისტორიული უპირატესობა მას ეკუთვნის: **ი** (**გ-ც**) მიღებულია **უ-**საგან. **უ** → **ი** ცნობილია ჭანურის ხოფური კილოკავიდან და მეგრულიდან (შდრ. ვიწ. არქ. დობდგუმ — ხოფ. დობდგიფ „დავდგამ“, მიჩქუნ — მიჩქინ „ვიცი“...).

ჭან. **ტუმუ** — მეგრ. **ტიბუ**, შდრ. წყალტუბო — მეგრ. წყარტიბუ.

მეგრ. **ტეხირი** ← **ტეხური** (მდინარის სახელი)... გვარები: **ძიძიგირი** ← **ძიძიგური**... **დგებია** ← **დგებუა-ძე**...

ამგვარად, **ჯიმ-** || **ჯუმ-** ვარიანტები დაყვანილია **ჯუმ-**ამდის. ქართულში **-უ-** ხმოვნის შესაბამისი არაფერი ჩანს. უნდა კი ყოფილიყო: ზანური **სრულხმოვნობა** სხვა არაფერია, თუ არ ურედლუქციო მონაცემი, ე. ი. ისტორიულად უწინარესი ვარიანტი, **უხმოვნო** ქართული ვარიანტი მეორეულია, ფონეტიკური ცვლილების შედეგია.

ზანური **უ-**ს ქართული შესატყვისი ან **უ** უნდა ყოფილიყო ანდა **ა**; **მ-**ს მეზობლობაში ეს უკანასკნელია უფრო მოსალოდნელი: ქართ. **ა** — ზან. **ო** → **უ**; ქართულში უნდა გვქონოდა: **ძამ-**.

ამ ვარაუდს ამართლებს ცოცხალ მეტყველებაში ხმარებული **ძამ-ი-**, **ძამ-იკ-ო...** **ძამ-ო**¹.

¹ იხ. ილია ჭავჭავაძის თან, „კაკო ყაჩაღში“ — „ძმაო“-ს ნაცვალა „**ძამო**“: რატომ ვერ, ძამო!... მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული! ხომ გელდი, ძამო! მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა... ...ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები... ძამო! რა ტკბილად, რა უღარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ... შენც, ძამო, ვიცი გაგიგონია... ვგრეა, ძამო გლეხ-კაცის ბედი... ეს იყო, ძამო... ძამო, გამჩენის შენის ჭირიმე...

და ერთხელ მხოლოდ — ძმავ: შენ, ძმავ, ყაჩაღად არ ვარგებულხარ...

ძმა- ← **ძამ-**: იხ. კარპ. დონდუა: К вопросу множ. числа в сван... „მა-სალები“, გვ. 560.

ზანური ჯუმა კანონზომიერი შესატყვისია ძამა-სი (ქართულში): ძამ-ა-
→ ძმ-ა-.

§5. აქ ორი კითხვა ისმის:

1. რატომ არ იძლევა ძამა-ს ბოლოკიდური ა კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს, -ო-ს, ზანურში? რატომ არა გვაქვს: ჯუმო?

2. რატომ დაკარგა ქართულმა ფუძემ თანხმოდანთ შორის ა-? რატომ გვაქვს ძმა და არა ძამა?

პირველი კითხვა ასეთ სახეს იღებს: თუ ფუძის შიგნით მოქცეული ა ზანურში წარმოდგენილია -ო-თი, რატომ ირღვევა ეს შესატყვისობა ბოლოკიდურ ა-ს შემთხვევაში? ეგების ადგილმდებარეობაა სხვაობის მიზეზი? რასაკვირველია, არა. მიზეზი ისაა, რომ ბოლოკიდური -ა აფიქსია და არა ძირეული მასალა. ამ ფაქტშია ორივე ზემოთ დასმული საკითხის პასუხი მოცემული.

ძირეული მასალის შესატყვისობა არ მოასწავებს აფიქსების შესატყვისობასაც: კანონზომიერი შესატყვისობა შეიძლება გვქონდეს ძირეულ მასალაში, დიფერენცირებულ მასალაში, მაგრამ აფიქსი შეიძლება იყოს ერთი და იგივე, საერთო, გაუდიფერენცირებელი, ანდა სრულიად სხვადასხვა, მხოლოდ ფუნქციით ერთნაირი. შესატყვისობა არ დასტურდება არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში¹. მაგალ.:

ქართ.	კაც-ი	} აფიქსი ს ა ე რ თ ო ა
ჭან.-მეგრ.	კოჩ-ი	

ქართ.	კაც-მა	} აფიქსები ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა , მხოლოდ ფუნქცია აქვთ ერთნაირი ² .
მეგრ.	კოჩ-ქ	

მაშასადამე, შესატყვისობა ბოლოკიდურმა ხმოვანმა იმიტომ დაარღვია, რომ ის აფიქსია, საერთო ქართულისა და ზანურისათვის (ისევე, როგორც კაც-ი — კოჩ-ი-ს -ი-).

ძმ-ა, ჯუმ-ა, ჯიმ-ა-ს -ა რომ აფიქსია, ამაში სვანურიც გვემოწმება: ჯგმ-ილ-. -ა სუფიქსი აქ არ შემონახულა, მის ადგილს იჭერს -ილ- სუფიქსი.

სვანურის გარდა ამავე დასკვნას იძლევა ქართული: ძამ-ი-ა, ძამ-იკ-ო, ძამ-ო: ყველგან ფუძე მ-თი ბოლოვდება.

¹ აფიქსებში შესატყვისობაც შეიძლება გვქონდეს: კაც-ის — კოჩ-იშ-, მაგრამ ეს შემთხვევა აქ საინტერესო არაა (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 2-5).

² შესატყვისობათა შესახებ, ზოგადად, იხ. „შედარ. ლექსიკ.“ შესავალი, გვ. 1-5.

რაკი გაირკვა, რომ **-ა** სუფიქსია, გასაგები ხდება, რატომ შეიკუმშა ქართული **ძამ**- ფუძე. ხმოვნით დაწყებულ სუფიქსს (ანდა ხმოვნისაგან შემდგარ სუფიქსს) შეუძლია ფუძის შეკუმშვა:

საგან- — საგნ-ად... საგნ-ის... საგნ-ით...

მო-გ-კალ- — მო-კლ-ა... შე-გ-კარ — შე-კრ-ა...

ზანურს შერჩა ფუძეში ხმოვანი, რადგანაც სუფიქსი, როგორც წესი, ფუძისეული ხმოვნის ამოღებას აქ არ იწვევს.

ბოლოკიდურ **-ა**-ს საკითხი ამით არ ამოიწურება: **-ა**- სუფიქსი მეგრულსა და ჭანურში მრავლობით რიცხვში აღიდგენს ბოლოკიდურ თანხმოვანს: ესაა **-ლ**:

ჭან. ჯუმ-ა „ძმა“ — მრავლ. ჯუმ-ალ-ეფ-ე „ძმები“

მეგრ. ჯიმ-ა „ „ ჯიმ-ალ-ეფ-ი „ „

ქართული ენის გურულ კილოში ხსენებულ **-ალ**- სუფიქსის ადგილს იჭერს **-ან**- სუფიქსი: **ძმ-ან-ებ-ი**.

გურ. (და ქვ. იმერ.) **ძმ-ან-ებ-ი** სავსებით იმავე აგებულებისაა, როგორც ჭან. **ჯუმ-ალ-ეფ-ე** და მეგრ. **ჯიმ-ალ-ეფ-ი**. **ძმ-ან**- ფუძე ისევე ძველია, როგორც **ჯუმ-ალ**-.

ძმანებ-ი ზოგჯერ ორმაგ მრავლობითად მიუჩნევიან: **ძმან-ებ-**: **-ნ**-ც მრავლობითის ნიშანია და **-ებ-ი**-ცო...

მაგრამ ასეთ შემთხვევაში მეგრულსა და ჭანურშიც ორმაგი მრავლობითი გვექნებოდა: ჯუმა-**ლ-ეფ-ე**... მასთან მრავლობითის ნიშნად **-ლ**-უნდა მიგვეჩინა. ასეთი მაჩვენებელი მრავლობითისა არც ქართულმა და არც ზანურმა არ იცის.

ამიტომ ქართულშიც **ძმანებ**-ის **ნ** და მრავლობითის **-ნ**- შემთხვევით გავს ერთმანეთს.

რომ **-ნ**- ამ შემთხვევაში მრავლობითობის აღმნიშვნელი არ შეიძლება იყოს, ჩანს შემდეგიდანაც: ქართულ სამწერლო ენის ისტორიიდან ცნობილია სახელთა მრავლობითის უდაოდ ორმაგი წარმოება: **ამხანაგებ-თა**... **შვილებ-თა**... **ქვებ-თა**¹...

აქ ყველგან **-ებ-** სუფიქსი მრავლობითისა უსწრებს წინ, **ნ/თ**-იანი მრავლობითის ნიშნები მას მოსდევს. **ძმანებ**-ში წინ უსწრებს **-ნ** და მოსდევს **-ებ-**; შდრ. **ძმანებ-ი** — **ძმ-ებ-თ-ა**...

მერე: **ძმანებ**-ში, როგორც ვნახეთ, **ნ** კი არ არის სუფიქსი, არამედ **-ან**. ეს **-ან**- უნდა შევუდაროთ მრავლობითს და არა **-ნ**...

¹ ...მეცა ავბაძდი ამხანაკებთა ჩემთა... ვ. ორბელიანი „პეტერჰოფი“, ანთოლოგია, II, 225... კვალდაც მესმოდა მეფეთ შვილებთა და მეცნიერთა კაცთაგან... იქვე. ...მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზე — ილ. ჭავჭავაძე „სარჩობელაზე“ (დასაწყისი).

ძმანებ-ის მსგავსად იმავე გურულში იწარმოება **დანებ**-ი (**მამიდანები**, **დეიდანები**), **ბიძან**-ებ-ი; **ძე**-ზე დაბოლოებულ გვარებში მრავლობითში გვაქვს ფორმები, როგორცაა: **კალანდაძნები**, **შარაშიძნები**, **ბოლქვაძნები**, **გოგიბერიძნები**, **ნინიძნები**, **სალუქვაძნები**... (ს. ჟღენტი. „გურული კილო“, გვ. 59-60).

დანებ-ი ისეთსავე მიმართებაშია ჭან.-მეგრ. **დ-ალ-ეფ**- ფუძესთან, როგორც **ძმ-ან-ებ**- — **ჯუმ-ალ-ეფ**- ფუძესთან, ე. ი. აქაც **-ებ**- სუფიქსის წინ აღდგება **-ნ**- თანხმოვანი.

რაც შეეხება გვარებში **-ნ**-ს გამოჩენას, ეს **-ნ**- უნდა იყოს **ძე**- ფუძის ბოლოკიდური **-ნ** (**ძენ** → **ძე**); ის დაკარგულა მხოლოდობითში, მაგრამ აღდგება მრავლობითში (მდრ. ნ. მარი: "Надпись Сардура", 11). სამწუხაროდ **ძე(ნ)**- ფუძის ზანური ეკვივალენტი არ არის დადასტურებული¹, რომ კონტროლი გავუწიოთ ქართულ ფუძეში მომხდარ ცვლილებას.

§6. ქართველურ ენებში **ძმა**- ფუძის ვარიანტების შედარების შედეგად ამგვარად ირკვევა, რომ:

1. ბოლოკიდური ფუძისეული **-ა** (**ძმ-ა**, **ჯუმ-ა**, **ჯიმ-ა**) **არ არის ძირეული მასალა**;

2. ბოლოკიდური **-ა** ფუძის საწარმოებელი აფიქსია;

3. ამ აფიქსის სრული სახეა **-ან** || **-ალ**-; ეს სრული სახე უფრო ძველი. შეკვეცილი სახე **-ა** აქედან მომდინარეობს.

4. ეს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი **საერთოა** ზანურისა და ქართულისათვის **ხმოვნითს ნაწილში**; სხვაობა თანხმოვნებში (**-ლ** || **-ნ**), როგორც ქვემოთ ვნახავთ, არაა დამოკიდებული იმაზე, ქართულია მასალა, თუ ზანური (მეგრულ-ჭანური). **ნ** და **ლ** თვით ქართულშიც შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლოს.

5. **ფუძის საწარმოებელი სუფიქსი -ა(ნ-)**, როგორც ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, **იწვევს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას**.

ა. **და**- ფუძე, როგორც უკვე ითქვა, **ძმა**- ფუძის სრულ ანალოგიას წარმოადგენს:

ქართ.	ძმ-ა	—	გურ.	მრ.	ძმ-ან-ებ-ი		დ-ა	გურ.	მრ.	დ-ან-ებ-ი
ჭან.	ჯუმ-ა	„			ჯუმ-ალ-ეფ-ე		დ-ა	„		დ-ალ-ეფ-ე
მეგრ.	ჯიმ-ა	„			ჯიმ-ალ-ეფ-ი		დ-ა	„		დ-ალ-ეფ-ი

¹ თუ ასეთ ეკვივალენტად არ მივიჩნევთ მეგრ. **სინჯა**-ს (ჭან. **სი-ჯა**): სი-ნ-ჯ-ა — ქართ. სი-ძე. მრავლობითში: მეგრ. სი-ნ-ჯალ-ეფ-ი (ჭან. სი-ჯალ-ეფ-ე) — „სი-ძენ-ებ-ი“.

სვან. ჯგმ-ილ- („ძმა დისტვის“). უ-დ-ილ-¹ („და დისტვის“).

ა-ზე დაბოლოებული ფუძეები — **დედა, მამა** — აგრეთვე წინათ განხილულთა მსგავსია.

ბ. **დედა-** ძვ. ქართულში ნიშნავს: **ქალს; დედას; დედა-** ფუძე ფონეტიკურად სრული სახითაა წარმოდგენილი ფუძეებში: **დედა-ალ-... დედა-ან-** (|| **დედა-ა-მ**)...

დედა (= **ქალი**)... **დედა-კაც**-...

... მოძღურებად დედათა არა უბრძანებ არცა მთავრობად ქმრისა... სამოციქ., 176v.

... ვ'დ მამანი ჳმანან და არა დედანი ყოფად... იქვე, 173v.

... იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ... შუშან., 2815...

... უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი... შუშან., 296...

დედა (= **დედა**)... **დედა-ულ-** (= **დედისეული**)... **დედა-მთ-ილ-... სი-დედა-რ-**:

... მუცელსა შინა დედისასა ვჰკრთებოდე... სვან., 359.

... რ'ი იყო არსებით უდედო და მოლუაწებით უმამო.. სვან., 8.

... განჰყოფს იგი ასულსა დედისაგან და ძის ცოლსა დედამთილისაგან... სვან., 367.

... ხ' სიდედრი სიმონისი იღვა სიცხითა... ჰადიშ., 66b1.

... ვარ მე ბუნებით სარკინოზ შობილი მას შინა მამულად და დედულად... სვან., 419.

... წარვიდეს და მივიდეს დაბასა მას დედულსა, რ'ლსა ჰრქვან კაპარ... სვან., 138.

დედა-მ (= დედანი)... **დედა-ან**-...

... პ'დ ოდეს ამას წიგნსა (!) დავიწყე² ასრეთ მედვა გულსა ვითა დედათა წამება და ცხოვრება ოდენ დავწერო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ და ესთენ ვპოვე ვერლარა შამეძლო (!) ძებნა. მერმე ესე მამათა ცხოვრება, რომელი პარხალს არა ეწერა იშხნით მოვიღე და მით გავასრულე... სული გაბრიელ პატარაჲსა მოიხსენეთ წ'თა ლოცვათა თქნთა... აღწერ. I, 113.

„დედა“ აქ ორჯერაა მოხსენებული: პირველი „ქალს“ ნიშნავს, მეორე — „დედანს“, „ორიგინალს“.

¹ სვანებო განხილვას საჭიროებს უ- თავსართი სვანურში. აქ ეს უადგილო იქნებოდა.

² შდრ. ჰან. ოჭარუს ქოგიოჰკუ „წერას (!) დავიწყო“: ეს ზმნა იქაც მიცემითს მოითხოვს.

... ესე შესაქმნე დაიწერა დედითა იზნისადა... ქრონ. I, 98.
 ... სხუად აკლს დედასა, ქუემოსა პატივსა წარწურვილი იყო... აღწერ. II, 159.
 ... არც დედასა შიგა ეწერა და ზედა მისთვის ვერ დავწერე... იქვე, 203.
 ... ნუ მწყევლით წინწილი თუ აკლდეს, დედას ასე იყო... აღწერ. I, 126.

... დედა იმისი გიორგი მთაწმინდელის ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, გულსავსე იყვნით... აღწერ. I, 126.
 ... დედანი ფრიად განრყუნილი იყო მწერალთაგან და მე... ვეცადე გამართვას... აღწერ. I, 398.
 ... რაც იყო სულ წაშლილი იყო... არცა დედანი იშოებოდა ამ ქვეყანას (!)... აღწერ. I, 119.

დედ-ალ-... დედა-ი (=დედალ-ი).

... რწ დაჰბადა დასაბამსა: მამალად და დედალად შექმნა იგინი... ჰადიშ., 40b1.

... რწს მამალი შეეხის დედალსა... სახისმეტყ., 16₁₃ ქვ.

... ვა ქსელი დედა-ზარდლისად განფხურა... სვან., 268;

დედ-ან- და **დედა-** ურთიერთთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც **ძმ-ან-** და **ძმა-**: ერთშია დაცული ბოლოკიდური თანხმოვანი **-ნ** (**დედ-ან-**... **ძმ-ან-**...), მეორეში იგი მოკვეცილია (დედ-ა... ძმ-ა...).

ძმა-ში **-ა** სუფიქსის სრული სახეა **-ან-** (ძმ-ან-), **-ალ-** (ჯუმ-ალ- || ჯიმ-ალ-). ეგევე სუფიქსი სრული სახის ამავე ვარიანტებს ამჟღავნებს **დედა-**სთანაც: დედ-ან- || დედ-ალ-...

მნიშვნელობით ეს ორი ფუძე განსხვავებულია, მაგრამ ესაა მნიშვნელობის დიფერენციაციის შედეგი; მნიშვნელობისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო **დედ-ალ-**; ამასთან კავშირშია **დედა-** „ქალის“ მნიშვნელობით: „დედა“, „დედა-კაც-ი“ თავდაპირველად სექსუალურ მომენტზე მიუთითებდა. შდრ. ამ მხრივ წყვილები:

დედა-ა — დედ-ალ-ი — დედა-კაც-ი... მამა — მამ-ალ-ი — მამა-კაც-ი¹...

დედალ- ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი დად-ულ- (← *დად-ოლ-) უპირატესად ქათამზე ითქმის; ასევე: **მუმ-ულ-** (← *მომ-ოლ-), ჭან. **მამ-ულ-**; ზოგადად სქესის აღმნიშვნელ სახელებად მეგრულში ეს ფუძეები შედარებით არც თუ ხშირად გამოიყენება („მუმული გერქ ორ-ჭკომუ!“ „მამალმა მგელმა შეგჭამა!“).

ძმა და **დედა-** ფუძის ვარიანტები ასეთ მწკრივებს ქმნის:

¹ შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკას. ენათა ბუნება, 225-226.

დედ-ა — **ძმ-ა-**
დედ-ან- — **ძმ-ან-**
დედ-ალ- — **ჯუმ-ალ-**

ძმა- ფუძის ვარიანტები ერთი მნიშვნელობისაა, სამაგიეროდ, სხვადასხვა ენა-კილოშია ეს ვარიანტები დადასტურებული; სრული სახე (**ძმ-ან-** || **ძმ-ალ-**) უკვე ძველ ქართულში არსად ჩანს; **-ალ-** || **-ან-** ზანურში, გურულსა და ქვემო-იმერულში გვაქვს, ეს გასაგებიცაა: გურულის და ქვემო-იმერულის სუბსტრატი აკი ზანურია.

დედ-ა-, დედ-ალ-, დედ-ან- — სამივე ქართულს დაუცავს, დღემდის ხმარებაშია; მნიშვნელობის დიფერენციაცია ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია.

ამ მნიშვნელობითი დიფერენციაციის წყალობით შემოგვრჩა, ალბათ, **დედ-ან-**ში **-ან-** ვარიანტი; „მშობელი ქალის“ ანდა, საერთოდ, „ქალის“ მნიშვნელობით **-ან-** სუფიქსიანი ფუძე, — დედ-ან-, — ძველმა ქართულმა არ იცის: **-ნ-** აქ აღრევა დაკარგული.

დედა- ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი რომ აფიქსია, ჩანს ნაწარმოებ ფუძეთაგან: **დედ-ილ-ო...** **დედ-იკ-ო...** **დედ-ულ-** (თუმცა აქ მომდევნო **ი-**სა და **უ-**ს შეიძლება მიეწეროს ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა).

გ. ბოლოკიდურ **-ა-**ს მხრივ **მამ-ა-**ც **დედ-ა-**ს უჭერს მხარს: **მამ-ა** ← **მამ-ალ-**... **მამ-ილ-ო...** შდრ. მეგრ. **მუმ-ა** „მამა“ — **მუმ-ულ-** „მამალი“: **-ან-** აქ არც ჭანურ-მეგრულში შემოგვრჩენია და არც ქართულში. აღნიშვნის ღირსია მეგრ. **მუმ-ა-**ში **-ა-** სუფიქსის უცვლელად დაცვა, **მუმ-ულ-**ში — შესატყვისობის მქონებლობა: მეგრ. **მუმ-ა** არაა **მუმულ-**ის შეკვეცილი სახე, იგი ქართულის სათანადო ფუძეს — **მამ-ალ-** — ეფარდება.

კიდევ უფრო ეს ითქმის მეგრ. **დიდ-ა-**სა და **დად-ულ-**ს შესახებ: **დიდა** ოდნავ გადასხვაფერებული **დედა-ა**, **დად-ულ-**ი კი — **დედ-ალ-**ის შესატყვისი ფუძე.

მამა- გვხვდება რიგ შემთხვევაში იმ კონტექსტებში, რომლებიც **დედა-**სთან დაკავშირებით ვახსენეთ (იხ. **დედა-**). ზოგს აქ დამატებით აღვნიშნავთ.

მამ-ა ... **მამ-ფ-ალ-**... **მამ-ულ-** (=მამისეული) .. **მამა-სახლის-ი...**

... მიილო მამამან მისმან დიდძალი საფასეჴ... ოქროპირ., 59v.

... გესხნეს მამანი მასწავლელად... სამოციქ., 169v.

... მამაჲ გრიგოლ... იხ. ზემოთ, გვ. 4.

... მდს საწადელი... ბრძანებაჲ ლთვ პატიოსნისა მამფლისაჲ... სვან., 403.

... რ მამული შჯული მეპყრა... ოქროპირ., 63r.

... რ არა დაუტეოს მამული შჭული... ოქროპირ., 64v.

... უწყოდა თუმცა მამასახლისმან კაცმან რლსა ჟამსა მპარავი მოსლვად არნ მლუძარემცა იყო... სვან., 472.

§7. ოთხი სახელის გარდა — **ქმ-ა-**, **დ-ა-**, **დედ-ა-**, **მამ-ა-** — ფუძის ბოლოკიდური **-ა-** სუფიქსის ნარჩენია¹ შემდეგს სახელებშიც: **გზა**, **ქვა**, **რქა**, **ტბა**, **დაბა**, **თხა**...

ა. გზ-ა-... შდრ.: **სა-გზა-ურ-**... **სა-გზ-ალ-**... **მ-გზ-ავ-რ-**... ჭან. **ი-გზ-ალ-უ** „წავიდა“.

... არცა არს ესე გზა მავალთა... უდაბნ., 24v.

... წარძიმცამემართნეს გზანი ჩემნი... დავით., 172v.

... კზვდ ოდიკისა რლ არს საგზაური მიმოსაღებელი ოდიკი... იაკობ., 81r.

... ვინმე უკუეთუ საგრობნ თვსითა საგზლითა... სამოციქ., 68r.

... და აზიარა ნინო ჯორცსა და სისხლსა ქწსსა: და წარიღო ესე საგზლად სლისა... ქრონიკ., I, 39.

... და მგზავრ სლვასა მათსა ჰრქუეს ნეტარსა გრიგოლს... ხანძთ., კმ, 13 ქვ.

... წარიყვანნა ათორმეტნი თვსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ... ჰადიშ., 43a1.

ნაწარმოები ფუძეები **სა-გზ-ა-ურ-**, **სა-გზ-ალ-**, **მ-გზ-ავ-რ-** საკმარის საფუძველს ქმნიან იმისათვის, რომ **გზ-ა-**ში გამოიყოს **-ა-** სუფიქსი და აღდგენილ იქნეს მისი სრული ვარიანტები.

კითხვა ისმის: **სა-გზ-ა-ურ-**ში რატომ არ მოეკვეცა ბოლოკიდური **-ა-ურ-** სუფიქსის დართვისას? ალბათ, იმიტომ, რომ **-ა-**ს მოსდევდა თანხმოვანი, რომელმაც **-ა** დაკარგვას გადაარჩინა, მაგრამ **-უ-**ს წინ თვითონ ვერ გაძლო. ასეთი თანხმოვანია **ვ-**; ამრიგად: **სა-გზ-ა-ურ-** ← ***სა-გზ-ავ-ურ-**.

ეს რომ ასეა, ირკვევა **მ-გზ-ავ-რ-** ფუძიდან: **რ-** თანხმოვნის წინ **-ვ-** ფონეტიკურ დანართად ვერ მიიჩნევა.

სა-გზ-ალ-ში **-ალ-** სუფიქსი გვაქვს; ორში ერთი: ან ეს ფუძე ნაწარმოებია **სა-** თავსართითა და **-ალ-** ბოლოსართით, რაც ნაწარმოებ სახელებში არაა მოსალოდნელი (მიმღეობათა შორისაც იშვიათია), არა და ესაა ოდენ თავსართოვანი წარმოება, რომლის ნიმუში გადმონაშთის სახით გვაქვს ძვ. ქართულში: **სა-მართ-ალ-**, **სა-ყურძენ-**, **სა-კაც-**... (იხ. ქვემ.).

¹ **ა-**ს შესახებ შდრ. ვარ. თოფურიია: „ფონეტიკ. დაკვირვებ“, I, მიმომხილ., 212.

სინამდვილესთან ახლო მეორე შესაძლებლობაა: საწარმოებელ ფუძედ უნდა დავსახოთ გზ-ალ-; ამას მხარს უჭერს ჭან. „ი-გზ-ალ-უ“ „წავი-და“. ამრიგად, გვექნება: **გზ-ა, გზ-ავ- || გზ-ალ-...**

საწარმოებელი აფიქსი სრული სახით მოცემულია -ავ-, -ალ-ში; მათი ნარჩენია -ა: გზ-ა (გზა-ში, ძირეული მასალა -ზ- ჩანს; შდრ. სვ. ლრ-ზ-ი „სვლა“).

ბ. ქვ-ა: ჭან.-მეგრ. **ქვ-ალ-...** ქართ. **ჩა-ქოლ-ვა** (← ჩა-ქვ-ალ-ვა)...
გა-ქვავ-ებ-ა...

... აღიღეს ქვები და დაასხეს იოვანეს... სვან., 223.

... და ეწინოდა მისგან მქულველთა მათ... ბასილ., 40v.

ჭანურში და მეგრულში **ქვა-** მრავლობითში აღიდგენს ბოლოკიდურ **ლ-**ს, როგორც ეს ჯუმ-ა, დ-ა-ს შემთხვევაში გვექონდა. ქართ. ჩაქოლვა (-ქვალ- → ქუალ- → ქოლ-) ააშკარავებს ამგვარივე **ლ-**ს არსებობას ქართულშიც. გა-ქვავ-ებ-ა-ში -ალ-ის ტოლად -ავ- გამოდის.

ამრიგად, გვექნება სამი სახეობა: **ქვ-ა... ქვ-ალ-...** და **ქვ-ავ-** (შდრ. **გზ-ა, გზ-ალ-, გზ-ავ-...**).

გ. ტბ-ა... ტაბ-ა... ტობ-ან-ი-ერ-... მეგრ. **ტობ-ა** („ღრმა“)...

... რწ გარდააქცინა ლოდოანნი ტბად... დავით., 167v.

... მოზღუდვიდა და შეაყენებდა და იქმოდა ტბურებსა... კიმენ., 115¹⁴.

... და გარდაასხა ტბორები იგი წყალთაჲ... იქვე, 115²¹.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ტბა** ← **ტაბა-**; **ტაბა-** ტობონიმიაშია დაცული: ტაბაჯმელა, ტაბისყურ-ი (ივ. ჯავახი-შვილი: „ქართველ. ისტ.“; გვ. 5; აგრეთვე ს. ჯანაშია: „თუბალ... იბერი“, ენიმკის მოამბე I, 240; აკ. შანიძე: „К этимологии названия „Тобада“ — ენიმკის მოამბე I, 81-83).

თუ **ტბა** კავშირშია **ტაბა-**სთან — და ეს კი სარწმუნოა, ბოლოკიდური -ა სუფიქსი იქნება: ის იწვევს **ტაბ-** ფუძის შეკუმშვას.

ტობა- ამ ფუძის ზანური შესატყვისია და **ტობ-ან-** კი — ძმ-ან-, დედ-ან-ის ანალოგონი -ნ-ს დაცვით ზანურში (ეს რომ შეიძლება, ამას ცხადყოფენ სხვა მაგალითები. იხ. ქვემ. **ღამ-ე...**).

დ. რქ-ა... მეგრ. **ქა** ← **რქ-ალ-...** ჭან. **ქრა** (სხვა ვარიანტები იხ. „შედარ. ლექსიკ.“; 93).

ჯბოდსა მის ჩჩულისა რწლსა გამოჰქონდეს რქანი და ჭლაკნი... დავით., 104v.

... შეიპყრობდა გუელთა რქოანთა... ოქროპირ., 193v.

მეგრულში ჩვეულებრივ **ქა** ითქმის, მაგრამ ნაწარმოებ ფუძეში დასტურ-

დება **რქ-ალ-** ფუძე: ბაწარი **ქოგი-ო-რქ-ალ-ი!** „თოკი დაახვიე რქაზე!“... „**ო-რქ-ალ-ი** ბაწარი“ — თოკი, რქაზე დასახვევი, მერე: დასაბმელი თოკი...

ჭან. **ქრა რქა-**ს მეტათეზისითაა მიღებული: **რქა** ← **რქ-ალ-**, **-ალ-** ისეთივე სუფიქსია, როგორც **-ალ- ქვ-ალ-**ში, **ჭუმ-ალ-**ში და სხვ.

ე. ბა-ტკ-ან-... თიკ-ან-... ბა-ტკ- „ჩივლი თიკანი“ (საბა)... მეგრ. **ბატკ-**ი „ერთი წლის თხა, დედალი“ (ი. ყიფშიძესთან **ბატკ-**ი „კამეჩის ზაქად“ (?) არის განმარტებული; იხ. „მეგრ. გრამ.“, ლექსიკ., 201).

გურულში **ბატკ-**ი „შემოდგომაზე ნაშობ შინაურ საქონელზე“ ითქმის (ილ. ჭყონია: სიტყვის კონა, 6)¹.

... სახის მეტყუელმან თქუა მარტორქისაჲ... მცირე არს და მსგავს არს თიკნისა. და ღიდად სასტიკ არს მვეცი იგი... სახისმეტყ., 33გ.

როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია², **თიკან-** და **ბატკან-** ერთსა და იმავე ძირს შეიცავს, მასთან **ბა-** სქეს-კატეგორიის (კლას-კატეგორიის) ნიშანია.

ბა-ტკ-ან- ← **ბა-თკ-ან-** ← **ბა-თიკ-ან-**: უჩვეულო **-თკ-** კომპლექსს შეენაცვლა ჩვეულებრივი **-ტკ-** (ჭან. თიკან- აქ ამოსავლად არ გამოდგება: მეორეულია³; ის მიღებულია თიკან-ისაგან თვით ჭანურ ნიადაგზე; იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 84-85).

ბატკ-ში იგივე ფუძე გვაქვს, რაც **ბატკან-**ში; მათ მნიშვნელობაც აკავშირებს; ეჭვს გარეშეა, **ბატკან-** შეიცავს **-ან** სუფიქსს: **ბა-ტკ-ან-**.

ვ. დაბ-ა... დაბ-ნ-ებ-ი... უ-დაბ-ნ-ო... მ-დაბ-ი-ო... მ-დაბ-ურ-... მ-დაბ-ორ-... მ-დაბ-ალ-...

... და წარიღო დაბად და შეიღო იგი ეკლესიად... უდაბნ., 23r.

... და ყნივე იგი ველნი სავსე იყვნეს მიმავალთაგან ქალაქისაგან და დაბნებისა... სვან., 772.

... რნი უდაბნოსა გარე იყოფოდა... სვან., 347.

... ვა საყუდელსა მას ეგრეთ უდაბნოსა ჯდა და ცხოვართა რაცხასა ზა იქცეოდა... სვან., 113.

... ვინაჲ უდაბნოსა ზა ლანკლაჲ... უდაბნ., 24v.

... გამობრწყინდა... განსრულებული სიბრძნითა... მოლუაწე და უდაბნოთა ქალაქ-მყოფელი... ხანძთ., ბ₁₀ ქვ.

... გახარებ თქნ სიხარულსა და მდაბიონნიცა მოიყვანნეთ ზიარად... სვან., 37.

... მოსწყუედდა კარაულებსა მათ მდაბიოთასა და კცთა რნი

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი: ქართ. და კავკ. ენათა ბუნება... გვ. 186-187.

² იქვე, გვ. 191-192.

³ შდრ. იქვე, გვ. 192.

ვიდოდეს... ოქროპირ., 45r.

... ყწნივე მ და ბ უ რ ნ ი და მეგობარნი... ესრჷთ ხედვედ... უდაბნ., 21r.

... ესე ყწლი მიჰმადლა მ და ბ ო რ თ ა ... უდაბნ., 20r.

დაბა „დასახლებული ადგილი“; საპირისპიროა: **უ-დაბ-ნ-ო** — „დაუ-სახლებელი, უკაცრიელი ადგილი“; **-ო**-ს წინ აღდგა **-ნ¹**:

უ-დაბ-ნ-ო ← უ-დაბ-ან-ო...

ეგევე **-ნ**- მრავლობითში დაჩნდება: **დაბ-ნ-ებ-ი** ← დაბ-ან-ებ-ი; **-ან**-სუფიქსისაგან ამჟამად მხოლოდობითში **-ა** დაგვრჩა.

მ-დაბ-ი-ო (← *მ-დაბ-იგ-ო) პირვანდელი მნიშვნელობით „დაბის მცხოვრები“; **მ-დაბ-ურ-** (|| **მ-დაბ-ორ-**) იმავე მნიშვნელობისაა, რაც მ და ბ ი ო; ორსავე შემთხვევაში საწარმოებელ ფუძედ გამოყენებულია **დაბ-** **-ან**-სუფიქსის გარეშე (შდრ. ჯამ-ლ- — უ-ჯამ-ურ-; დედ-ა : დედ-მამ-ა...).

თხ-ა ← ***და-ჯ-ალ-**: შდრ. მეგრ. **თხ-ალ-**: მრავლ. **თხ-ალ-ეფ-ი**, ჭან. **თხ-ალ-ეფ-ე**; სვ. **და-ჯ-ვლ** „თხა“; ვარ. თოფურთას გარკვეული აქვს, რომ **თხა-** ← **თჯა** ← **დაჯ**, ოღონდ **დაჯ-**ის **ა** თხ-ა-ს **ა**-დ გააუსლაუტების გზით ქცეულად მიიჩნია (იხ. „ფონეტიკ. დაკვირვ.“ I, „მიმომხილვ.“, 212-213).

ეჭვი არაა, რომ **თხა**-სთვის ამოსავალია: **დაჯ-ა**, აქედანაა მიღებული **დჯ-ა** (შდრ. ძამ-ა ← ძმ-ა).

-ა ქართულში სუფიქსია ისევე, როგორც **-ვლ-** სვანურში: თხ-ა — და-ჯ-ვლ-. **და-** პრეფიქსი ჩანს; მის შესახებ იხ. მეორე ნაწილში.

ძმა-, **დედა-**, **და-**, **მამა-**, **გზა-**, **ტბა-**, **რქა-**, **დაბა-**, **თხა-** — სახელთა ფუძეების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ბოლოკიდური **-ა**- ხმოვანი ფუძის საწარმოებელი აფიქსია და **-ან** || **-ალ** || **-ავ**-სუფიქსთა შეკვეცილი სახეა.

§8. ფუძის ბოლოკიდური **-ე-ც** რიგ შემთხვევაში სუფიქსი აღმოჩნდება.

ა. დღ-ე... ჭან.-მეგრ. **დღ-ა** (← დღ-ალ-)... სვან. **ლა-დღედ**... **დღ-ენ-დ-ელ**... **მ-დღ-ეგ-რ**... **დღ-ეგ-ან-დ-ელ**... ჭან. **გენ-დღ-ან-ი**, მეგრ. **გე-ღ-ან** „ზეგ“... ჭან. **ან-დღ-ან-ერ-ი**, მეგრ. **ამ-დღ-არ-ი** „დღევანდელი“... ჭან. **დღალ-ეულ** „დღიური გასამრჯელო“... **ნ-დღ-ალ-ერ-ი** „დღიური“.

... და წარჯდეს ხუთნი ოდენ დღენი... უდაბნ., 34r.

... გამოკვრტოვიედ რტონი მათნი დღეთა არჷსთა... სვან., 457.

... და ხვალის დღე აღდგეს და მოვიდეს... ოქროპ., 40v.

... შენთჳს მოვწყდებით ჩწ მარადღჳ... სამოციქ., 11v.

... დაგბანე მარადღე ცხედარი ჩემი და ცრემლითა ჩემითა სარე-

¹ ნ. მართით **და-ბა** ← ***და-ბან**- (Грамм. древ.-лит. груз. яз., გვ. 43, 44); **ნ**-ს აღდგენა მართებულია და გასაზიარებელია. **და**-ს გამოყოფა გაუმართლებელია.

ცელი ჩემი დავალტვე... სვან., 368.

... რლ არს ერთი ღთი და სამი გუამი დაუსაბამოდ სამარადი-
სოფ... ოქროპირ., 19r.

... მზის თუალმან ბრწყინვალეზად თვისი დღისი ზ აჩუნის... უდ-
აბნ., 142v.

... უკუეთუ კულა მარადის დღესისა დღესა თნა წარჰკლე-
ბოდი და ხვალისასა მოელოდი... ბასილ., 72r.

... ზრუნვამან დამაყენა მე ვე დღესამომდე... ოქროპირ., 51v.

... არა მიწვა გუერდსა თსსა ზა არცა ღამით არცა დღით... იქვე,
48r.

მოხუეჭთ საზრდელსა დღითი დღედისა მათისასა... იქვე, 41v.

... იძიეს დღითი დღედ და შემდგომითი შემდგომად... სვან., 75.

... სასურველ არს დღენდელი ესე დღჳ... უდაბნ., 46r.

... დღენდელისა ამის დღისა სახარებასა მოიყვანებს... უდაბნ.,
96v.

... და არს ძეგლი მას ზა დღენდელად დღედმდე მახლობე-
ლად ტაძარსა მას... სვან., 103.

... მდღევრთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე... სვან., 429.

ამ სახელს სვანურში ძირეულ მასალად **დედ-** გამოეყოფა: ლა-**დედ-**
„დედე“. **ლა-** თავსართი არც ერთ სხვა ქართველურ ენაში არ არის (იგი
ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი ჩანს; იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 193-194).
სვანურში ამ ფუძეს სუფიქსი არა აქვს. ქართულსა და ზანურში სუფიქსე-
ბია დართული. ზანური **-ა** მრავლობითში **-ალ-** სუფიქსის სახეს იღებს:
დე-ალ-ეფ- (შდრ. **ჭუმ-ა-ლ-ეფ...**). ეს **-ალ-** სუფიქსი ჭან. **დე-ალ-ეულ-**
შიც გვაქვს და **ნ-დე-ალ-ერ-** შიც („დღიური“).

იმავე ჭანურში **-ან-** სუფიქსიანი წარმოებაც მოგვებოება: **გე-ნ-დე-ან-ი**
„ზეგ“ („ზე-დედე“); ამ სიტყვაში **-ან-** მეგრულშიც ისმის: **გე-დე-ან-ი** (ძირეუ-
ლი **დე-** დაკარგულია).

ჭანურის ვარიანტები დაწვრილებით იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 194.

ქართულში შესაბამისი **-ენ-** სუფიქსია მოსალოდნელი და გვაქვს კი-
დეც: დღ-ენ-დე-ელ... (მაგალიტები იხ. ზევით). **-ენ-** სუფიქსის პარალელუ-
რად ქართულში **-ევ-** სუფიქსიცაა გამოყენებული: **მ-დე-ევ-რ-**. ეგვე **დე-**
ევ- უნდა იყოს საწარმოებელი ფუძე **უ-დეურ-** ისათვის: ***უ-დე-ევ-ურ-**
→ **უ-დე-ე-ურ-**... **უ-**ს წინ დაკარგულია **-ვ-** (შდრ. **უ-თა-ურ-** ← **უ-თავ-ურ-**).

ბ. ღამ-ე... ჭან. **ღომ-ან-** || **ღომ-ა** „გუშინ“... მეგრ. **ღუმ-ა(ნ)**- „წუხელ“...

... დღისი ჳმა ვყავ და ღამე წე შენსა... უდაბნ., 122r.

... არა მიწვა გუერდსა თსსა ჳა არცა ღამით არცა დღით... ოქრობ., 48r.

ამჟამად „ღამე“ ჭანურადაც და მეგრულადაც „სერ“-ი ითქმის. ეს სულ სხვა ძირია. **ღამე**-ს კანონზომიერი შესატყვისი **ღომ-ან** ჭანურში დაცულია და ნიშნავს „გუშინ“-ს; მეგრული **ღუმ-ა** იგივე სიტყვაა, ნიშნავს — „წუხელ“; მას ბოლოკიდური **-ნ** დაკარგული აქვს; ეს **-ნ** ხმოვნის წინ კვლავ გამოჩნდება: **ღუმ-ან-ერ-** „წუხანდელი“ (დაწვრილებით — „მედარ. ლექსიკ.“, 198).

მეგრულისა და ჭანურის ჩვენება ცხადყოფს, რომ ქართ. **ღამ-ე**-ში **-ე**-სუფიქსია; მისი სრული სახე შეიძლებოდა ყოფილიყო **-ენ-** ჳან. **-ან-**ის შესაბამისად...

გ. ტყუ-ე... ნა-ტყუ-ენ-ავ... წარ-ტყუ-ენ-ვ-ა...

... ბრძანა. რათა ჳელოვანნი... წარიყვანნეს ტყუედ სპარსეთად... წარტყუნ., 1016.

... რლ იგი ოდესმე ტყუენვიდა და აღიდებდეს ღა... სამოციქ., 100r.

... ესე წიგნი... აუწყებს წარტყუენვასა ძელისა ცხორებისასა... იქვე, ბ₁.

... ღირს იყვნეს რად იგი შეემთხვა მათ ბოროტი წარტყუენვითა მით... იქვე, დ₆.

... ბრძანა დანიელ წინაღწარმეტყუელისა წარტყუენვაჲ და სამთა მათ ყრმათა ტყუეობაჲ... იქვე, 111.

ეს სახელი არც მხოლოდობითში და არც მრავლობითში ბოლოკიდურ **-ნ**-ს არ აღიდგენს. მაგრამ ამ სახელისაგან ნაწარმოები ჳმნის ფუძედ გვაქვს **ტყუ-ენ-**: წარ-ტყუ-ენ-ავ-ს... წარ-ტყუ-ენ-ა... ნა-ტყუ-ენ-ავ... ამრიგად: ტყუ-ე- ← ტყუ-ენ- (მდრ. დღ-ე ← დღ-ენ-)... საკითხავია, ახ. ქართ. და-ტყვ-ევ-ებ-აში — **ტყვე** ← **ტყვ-ევ-** (?).

დ. შეიძლებოდა აგრეთვე დაგვესახელებინა მაკ-ე- ← მაკ-ენ-:

... სახისმეტყუელმან თქვა ასპიტისად. რჳს მამალი შეეხის დედალსა. პირით მაკნდის... სახისმეტყ., 16₁₃ ქვ.

მაკნ-დ-ი-ს ← ***მაკენ-ედ-ი-ს** ნასახელარი ჳმნაა; სახელის ფუძეა **მაკ-ენ-**. მაგალითზე მიგვითითა ვარ. თოფურიამ.

§9. სახელის ფუძეთა ბოლოკიდურად ყველაზე ხშირად გვხვდება: თანხმოვანთაგან **-ლ, -რ, -ნ, -ვ**, ხმოვანთაგან — **-ა, -ე**. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო ჩვენთვის ამოსავალი.

უკვე განხილულმა მაგალითებმა გვაჩვენა, რომ ბოლოკიდური **-ა, -ე** ხმოვნები სუფიქსები აღმოჩნდა იქ, სადაც ძირისეული ჩანდა.

ამ **-ა, -ე** სუფიქსებს მიყვავართ თანხმოვნებისაკენ **-ნ-, -ლ-, -ვ-**: ხსენებულ ხმოვნებს თანხმოვნები **-ნ, -ლ, -ვ**, რიგ შემთხვევაში წინეთაც დაერთვოდა, ბევრგან ახლაც ერთვის.

ერთი სიტყვით: **-ა, -ე**-ც სუფიქსებია, **-ან-, -ალ-, -ავ...** **-ენ-, -ელ-, -ევ-**იც სუფიქსებია, სხვადასხვა სუფიქსი კი არა, არამედ ერთი მეორის ვარიანტები (იხ. ქვემოთ).

სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა მონაცემების შედარება, ვფიქრობთ, დაგვარწმუნებს, რომ ზემოხსენებული მაგალითებით არ ამოიწურება ფაქტები, რომლებიც ამ სუფიქსებს ფუძის საწარმოებელ სუფიქსებად გვაგულვებინებენ.

არა მარტო უკვე ნახსენები სუფიქსები, არამედ **-ულ-, -ილ-, -ოლ-, -არ-, -ურ-** და რიგი სხვაც აღმოგვაჩნდება.

სანამ სათანადო მაგალითების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭირო იქნება პასუხი გავცეთ კითხვაზე: **-ა, -ე** სუფიქსად გვაქვს; ბოლოკიდური **-ლ** და **-უ**? როგორა დგას მათი საკითხი?

-ლ გამოყენებულია საწარმოებელ სუფიქსად (იხ. გვ. 5). ე. წ. მარტივ ფუძეებში მისი სუფიქსურობის ეჭვმიუტანელი მაგალითები არა ჩანს, თუმცა **სა-ს-ლ**, **სა-თნ-ლ** და მსგავსი წარმოება ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას გვიკარნახებს¹. ოღონდ დაბრკოლება იმაშია, რომ **-ლ**-ზე დაბოლოებულ მარტივ ფუძეთა რიცხვი მცირეა.

ბოლოკიდური **-უ** სუფიქსი ჩანს შემდეგს ფუძეებში:

ა. ყრუ:

... მსგავს არს გუელისა ვა ასპიტისა და იქედნისა ყრუისა (!) რლისანი დაყოფილ არიედ ყურნი მისნი... დავით., 89r.

ყრუ უნდა იყოს **ყურ-** ფუძიდან ნაწარმოები **-უ** ← **-ურ-** სუფიქსის დართვით: **ყურ-უ** → **ყრ-უ** (თავდაპირველად: „ყყურო“; შდრ. მეგრ. **ცურ-უ** „რეგვენი“, „გამოუცდელი“, ვისაც „არ ესმის“... იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 46-47).

თუ ეს ასეა, **-უ** სუფიქსია და მომდინარეობს **-ურ-** სუფიქსიდან, რა-

¹ თუ სწორია ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, გამოთქმული საჯარო მოხსენებაში, რომ **რკონ-**ი (ტოპონიმ. ტერმ.) უკავშირდება **რკო** ← **გრკო**-ს, უნდა გვეფიქრა, რომ **გრკო** ← **გრკონ-** და **-ონ** სუფიქსია: **გრკ-ონ**... შდრ. **გურკ-**ა (იხ. საბა).

იც „უქონლობას“ აღნიშნავს სვანურში და იხმარება კიდევ იქ სუფიქსად, პრეფიქსად კი ქართულშია ფართოდ გამოყენებული: **უ-ვიც-ი**, **უ-ბედ-ურ-**, **უ-კეთ-ურ-**, **უ-მად-ურ-...**

ბ. დრკუ:

-**უ** სუფიქსი ჩანს **დრკ-უ**-შიც: შდრ. **დრეკ-ს...** **დრკ-ებ-ა...**

... არა მომეხო მე დრკუი (!) გლითა... დავით., 147r.

... ვედა არა დრკუ არს ენად შენი და არა განვმელ... ბასილ... 69v.

... ვრ მივდერკი ქებათა მიმართ არა უდეს... ბასილ., 7v.

ვ-დერკ-ში მოცემულია **დერკ-** ფუძე; აქედან უნდა იყოს ნაწარმოები

დრკუ: დერკ-უ → დრკ-უ: -უ- ფუძის საწარმოებელი სუფიქსია.

გ. ძუ-ძუ... შდრ. **მ-ძუ-ძ-ე**, ახ. ქართ. **ძი-ძ-ა**.

... ქალწულისა ძუძუსა მწოვარად... სვან., 396.

... შვის დედამან და არა მქმნის დედა მძუძე... სვან., 123.

დედა-მძუძე — „მზრდელი ქალი“ (საბა).

მძუძე მოწმობს, რომ **ძუძ-უ**-ში **-უ** სუფიქსია; თავკიდური **ძუ-ც** არ

უნდა იყოს ძირეული: **ძუ-** ← **დუ-**... ძირეული უნდა იყოს **-ძ-**, რაც **ს-ძ-ე**-ში გვაქვს.

ამრიგად, **-ო** და **-უ-**ს სუფიქსურობის საკითხი დადებითად წყდება.

§10. დავუბრუნდეთ მარტივ ფუძეთა ანალიზს. ვიწყებთ **-ალ-** სუფიქსის გამოყოფით.

ა. -ალ- სუფიქსი:

ა. წყ-ალ-... შდრ. **წყ-ურ-ი-ს...** **წყ-ურ-ი-ლ-...** **წყ-ურ-ი-ელ-...**

ურ-წყ-ულ- („უწყლო“)... **ურ-წყ-ულ-ო** **ება...**

მე-რ-წყ-ულ- („მეწყლე“)...

სა-რ-წყ-ულ-...

წყალ-: ...და სასუმელად მისა წყალი... უდაბნ., 22v.

... არა იბოვების ნაწუთი წყლისად ლაკუასა... უდაბნ., 74r.

წყურის: ... და ესრე თქა მწყურის... სვან., 126.

წყურილ-: ... და შეეწყურა მწარედ... და იურვოდა წყურილი-თა... იქვე.

... იწყო ელიაცა შეურვებად წყურილითა... უდაბნ., 73r.

... მისცნეს თავნი თვსნი შიმშილსა და წყურილსა... უდაბნ., 84r.

წყურიელ-: ...ოდეს გიხილეთ... წყურიელი და გასუთ შენ... ჰა-ლიშ., 55b2.

ურწყულ-: ... ურწყულება, ურწყულობა...

... სცა კლდესა და... ვიდოდეს ურწყულთა მდინარენი... დავით., 155v-156r.

... რლსა დღეს ზროხად და კარაული დასთრგუნავს. რ უნაყოფო არს და კორდ და ურწყოლობითა მოიშთვების... ბასილ., 85v-86r.

... მოწყეს ურწყოლობისაგან... უდაბნ., 674r.

... ამას ურწყულეებისა განჩინებასა ელიადსსა... უდაბნ., 73r.

მერწყულ-: ... ქანანელსა მას დედაკაცსა მერწყულსა მარტოსა... სვან., 342.

სარწყულ-: ... სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოდ სარწყული წყლისათჳს... ხანძთ., 33₁₂ ქვ.

მეგრულსა და ჭანურში იგივე **წყალ-** ფუძე გვაქვს, ოდნავ გადასხვაფერებული მეგრულში, თვალსაჩინოდ სახეცვლილი — ფონეტიკური მიზეზების შედეგად — ჭანურს კილოკავებში:

მეგრ. **წყარ-**ი

ჭან. **წყარ-**ი || **წყა-**ი — ხოფურსა და ვიწურ-არქაბულს კილოკავებში და

წარ-ი — ათინურში: **წყ** → **წ**.

(იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, 36გ, გვ. 17).

ზანური შესატყვისი ამ ფუძისა შემორჩენილი უნდა გვქონდეს მეგრ. **ქორ-ოფა-**ში: „**ქოროფა**“ — „ავდრიანობა“ (სიტყვა-სიტყვით: „წყლიანობა“) „გვალვის“ საპირისპირო ცნებაა. ქართულში ეკვივალენტური ტერმინი არა გვაქვს (ბუნებრივია, თუ ასეთი ტერმინი მეგრულში მოგვეპოვება: შესაბამი მოვლენა აქ შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. ჭანურს, ალბათ, დაეკარგა ანალოგიური სიტყვა).

ქოროფა-ს „მარტივი“ ჰუძე **ქორ-** უკვე შეიცავს **-ორ-** სუფიქსს: **-ორ-** კანონზომიერი ზანური შესატყვისია ქართ. **-ალ-**ისა: **წყ-ალ-** — ზან. **ქ-ორ-**.

ყ ბგერა ზანურში არა ჩანს: ის ქართულში განვითარებულია (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 182). ძირეულ მასალად შეგვრჩა **წ**. ამაში არაფერია უჩვეულო: სიტყვის ანალიზს ქართველურ ენებში ძალიან ხშირად მიყვავართ ამგვარ შედეგამდის.

ქართ. **წ**- ძალა-უნებურად მოგვაგონებს სვან. **ლი-ც** || **ნი-ც**- ფუძეს („წყალი“). **ლი-** წინსართი ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი ჩანს. ძირეულია **-ც** ← **-წ**: **ლი-ც** ← ***ლი-ც** ← **ლი-წ** — სიტყვის ბოლოში **წ**-ს მკვეთრობის დაკარგვით (?!).

მაგრამ სხვა კავკასიურ ენებშიც გვხვდება ძირეულ მასალად **-ც**: ხუნდ. **იც** „წყარო“¹...

იქნებ აქაც მეორეული იყოს **-ც**. ამ ვარაუდს ასუსტებს **თხ-ეგ-ა** ფუძის არსებობა ქართულში: ძირეულია **თხ** ← **თ**; **ხ** განვითარებულია.

ძირეული **-ც** შეიძლება ამ **თ**- ძირს ეკედლებოდეს... საკითხი თავის- თავად საინტერესოა და დამატებითს ძიებას საჭიროებს. აქ ჩვენ შეიძლება შეგჩერდეთ **-ალ**- აფიქსის გამოყოფაზე წყ-**ალ**-ში... ეს კი ეჭვს გარეშეა.

ბ. ... კუალ-: კუ-ალ-ად... (ახ. ქართ. **კვ-ლ-ავ**)... **კუ-ალ-ა** → **კულ-ა**... **ი-კუ-ლ-ი-ა**...

... ვინაე უდაბნოსა ზა ლანკლად არცა არს ესე გზად მავალთაე არ- ცა არს კუალი კაცისად... უდაბ., 24v.

... მერმე კუალად არა უცნებით ად ჭემმარიტად ოქროდ გზასა ზა იხილა... იქვე, 24v.

... და მან დაუკრიბნა თუალნი: და კუალად განუსუენა და პატი- ვისცა ნეტარსა იოგნეს... ოქრობ., 194v.

... და კუალად სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესუა შვილი... ხანძთ., 61 ქვ.

... სიკუდილი კულა კეთილ არს... ბასილი, 16v.

... ნუ თუ კულა ტყუვა. მოსრულმან მან... სვან., 16.

... და გამოიკულია საქმც მათი... ოქრობ., 84v.

კუალ- ფუძეს ნ. მარი სამართლიანად უკავშირებს **უ-კუან** ზმნი- სართს და გამოყოფს **უ-** თავსართს ნაცვალსახელური წარმოშობისა. (**უ**)-**კუ-** მიჩნეულია ამოსავლად. მეგრ. **უკა**-ხალე „უკან“, **კინ-ი** „კვლავ“, **კინ-ოხ** „წინათ“ („მას უკან“), **უ-კულ-** „შემდეგ“ ერთი ძირისადაა ცნობილი (იხ. "Граммат. древне-лит. груз. яз.", გვ. 111-113)².

უკუან და **კუალ-** ფუძეთა დაკავშირებას იცავენ აგრეთვე აკ. შა- ნიძე და ს. ჯანაშია (იხ. ა. შანიძე: „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ — თბილ. სახელმწ. უნივერს. შრომები, I, გვ. 340).

¹ ნ. მარს სვან. **ლი-ც** მიჩნია **ნი-ც**-ისაგან მიღებულად; ამ ფუძეს უდარებს ხუნდ. **ი-ც**-ს და აფხაზ. **ა-ძგ**-ს („წყალი“). იხ. Непочат. источник, ИАН (1917), გვ. 331.

² ფუძეთა ამ წრეში ნ. მარს შეჰყავს სვან. ლომგინ, უემგინ და თავკიდური **დო-** ნაცვალსახელოვან ფუძედ აქვს დასახული. ამას და მთლიანად ამ სვანური სიტყვის ეტიმოლოგიას უმართებულოდ თვლის კ. დონდუა (იხ. მისი: „Сравнительно-превосходная степень в картвельских языках“ — Язык и Мышление, IX, გვ. 35-36). მართლაც, ლომკინ-ში **დ-** ფონეტიკური დანართი ჩანს (შდრ. სვ. ღვაჭარ — ვაჭარი, ღვაჭ-მარე — ვაჭკაცი...), **ხო-** პრეფიქსში კი **ხ** არ უნდა იყოს ფონეტიკურად განვი- თარებული.

ძირი **კუ**: **უ-კუ-ან-ა...** უ-კუ-ანა-დსკნელ...

უ-კუ-მო... უ-კ-მო...

უ-კუ-ე...

უ-კუ-ნ... **სა-უ-კუ-ნ-ე**

უ-კუ-...

... ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკუანა სდევდა პიტიახშსა... შუშან., 326.

... ხ̄ ერი იგი რ̄ლი წინა უძლოდა და უკუანა შეუდგა ლაღადებდეს... ჰადიშ., 44b₁.

... ეფრემ რ̄ლისაჲ უკუანაჲს მიგითხრა... სვან., 278.

... ინება ჩემ გლახა ჳელითა უკუანისკნელთა ამათ დღჳ... სვან., 134.

... უკუანაჲსკნელღა მიუგლინა ძე თუსი... ჰადიშ., 46a₂.

... ესრჳთ იყვნენ უკუანანი წინა და წინანი უკუანა... თა... ჰადიშ., 43a₁.

ხ̄ მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა და უკუანანი წინა... ჰადიშ., 42a₁.

უკუანა- ნაწარმოებია უკუან- ზმნისართისაგან -ა სუფიქსით და ატრიბუტივს წარმოადგენს. უკუანანი მისი მრავლობითია (შდრ. **წინ — წინა — წინანი**).

... ანუ რავდენითგან წინა უკუმო იოვანჯსთუს ახარებს... სვან., 316₁.

... წინა უკუმო თთუესა სთულისასა... იქვე.

... რვით დღით უკუმო თთუესა ახალწლისასა... იქვე.

... ანუ რავდენითგან წინა უკუმო მოგუთაგან თყნის იცა... იქვე.

... რ̄ლი ველსა გარე იყოს ნუ უკუ მოიქცევი... უკუ მომართ... ჰადიშ., 52a₂.

... მიექცა პეტრეს და ჰრქუა მართლ უკუნ იქეც ჩემგან... ჰადიშ., 35b₂.

... აჰა ესერა წინა განმზადებულსა მას გზასა წარვალ საუკუნესა... შუშან., 439.

... ყლთა საუკუნეთა იყო და არს და იყოს... სვან., 23.

... იხილეს რაჲ უკუე მოყუასთა მათ მისთა საქმე იგი შეზრუნდეს... ჰადიშ., 40a₁.

... დწყო (!) უკუე სიტყუად... ბასილ., 15v.

უკუანა... და მისი ძირის საფუძველზე აღმოცენებული სიტყვები მეტად საყურადღებოა: მათში შერჩენილია ძველი წარმოება ნაცვალსახელოვანი კონკრეტული შინაარსით (**უ-კუან** = მისი კვალი... — იხ. ნ. მარი, ა. შანიძე: ზემოთ მითითებული შრომები).

ბუნებრივია, თუ ამ სიტყვას სხვა მხრივაც აღმოაჩნდება დიდი ხმოვანების მოვლენები. ასეთია: 1. **-ან** სუფიქსი, **-ალ-** სუფიქსის ვარიანტი: **კუ-ან-** || **კუ-ალ-**¹. რასაც ჩვენ **ძმა-** ფუძისათვის ვვარაუდობდით ჭანურ-მეგრულისა და შემდეგ ქართ. დიალექტური მასალების მიხედვით, აქ უშუალოდ ქართულ სალიტერატურო ენაშია წარმოდგენილი. ამ მხრივ მას შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ დედა, დედან-, დედალ- ფუძეები (და მხოლოდ ნაწილობრივ დაბა ← დაბ-**ან-**: უკანასკნელი მართოდენ ნაწარმოებ ფუძეებშია შემონახული). 2. **კუ-** ძირი **-ან** სუფიქსის უქონლადაც მოგვებოება: **უ-კუ** (პრიდა), **უ-კუ-ე**, **უ-კუ-ნ...** განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ **უ-კუ**: სუფიქს-დაურთავი ფუძე ძირის ძველ სახეს ნაწარმოებ ფუძეშიც ინარჩუნებს.

ეს ნიშნავს: ანალოგიურს შემთხვევებში (**კეთ-ილ-**ი — **უ-კეთ-ურ-**ი, **სი-კეთ-ე...**) სუფიქსი (აქ, მაგ. **-ილ-**) კი არ იკარგება ანალი სუფიქსის დართვისას, არამედ მარტივი ფუძე, უსუფიქსო მონაცემია ამოსავალი წარმოებისათვის.

გ. ძუ-ალ-: შდრ. სვან. **ჩი-ჩგ-** „ძვალი“, გურ. **ჩი-ჩგვი-**...

... სამარენი... გარეშე ჩანედ პატიოსნად და შინაგან სავსე არნ ძუ-ალეებითა... უდაბნ., 86r.

... განმიჭურიტნეს ჳელნი ჩემნი და ფერჯნი ჩემნი და აღრაცხნეს ყნი ძუალნი ჩემნი... სვან., 111.

... ძუალნი ჩემნი ქრქტნი განჯმეს: ...დავით., 148r.

შემთხვევა გვქონდა ცალკე აღგვენიშნა, რომ ზანური ეკვივალენტი ძუ-ალ- ფუძისა შენახულია სვანურ სახელში **ჩიჩგ**, სადაც **ჩი-** (← **დი-**) ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია, **ჩგ-** კი ძირეულია.

ჩიჩგ- ფონეტიკური სახეცვლით და ერთგვარის სემასიოლოგიური განხრით დაცული აქვს გურულს ჩიჩგვი-ის სახით, რაიც „ძვალმსხვილს“ ნიშნავს: **ჩიჩგვი-** ← **ჩიჩგ-**.

მეგრ. **იჩგვიჩგვინან-**ს „უხეშად, ტლანქად გამოიყურება“ (ზუსტად: „ტლანქი, უხეში რამ გამოიყურება“): აქ ორივე **ჩ-**ს შემდეგ **-გ-** არის გან-

¹ ძვ. ქართ. **კუ-არ-თ-** (მეგრ. **კურთა**), მეგრ. **კვ-არ-ტ-ი** „წიხლი“ იმავე ფუძის **-არ-** სუფიქსიანი ვარიანტი ჩანს.

ვითარებული, რაიც მეგრულისთვის ბუნებრივია.

ექვს გარეშეა, სვანურში დაცული **ჭიჭვ**- ფუძე არ არის „გაფორმებული“ **-ალ-** (ან ეკვივალენტური) აფიქსით, ე. ი. ქართ. ძუ-**ალ**-ში **-ალ** აფიქსია (იხ. ავტორის: „ქართული ძვალ-ფუძის ზანური შესატყვისისათვის“ „მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის მოამბე“, ტ. I, ნაკვ. 1, გვ. 93-96).

დ. ძ-ალ-... შდრ. აი-ძ-ულ-ა...

... ძალი მოილო შესაწყნარებელად თესლისა... სამოციქ., 166v.

... ერთად პირად და ერთად ძალად შეჰყოფს... სვან., 902.

... და დაათქა ფარაო და ძალი მისი... სვან., 154.

... მოილო მამამან მისმან დიდ ძალი საფასც... ოქრობ., 59v.

... შეკრბა სიმრავლ^წ (!) დიდ ძალი... იქვე, 69r.

ძალ- ფუძისაგან იწარმოება ზმნები: **ძლევ-**ს, ***ძლავ-**ს, — აქედან **მ-ძლ-ავ-**რ-ი, **მ-ძლ-**ე (იხ. მიმღეობათა ტიპების გარჩევისას).

აქ საწარმოებელი ფუძეა ძალ-. **ძიულება-**ში **-ალ** აღარა ჩანს; მის ადგილს იჭერს **-ულ-**: **ძ-ალ-** — **ძ-ულ-**. ამგვარად, **ძ-ალ-** იშლება, მასში გამოიყოფა **-ალ** სუფიქსი.

... და მეყსეულად აიძულა მოწაფცთა შესლვაჲ ნავსა... ჰადიშ., 31b2.

... და სულსა მისსა შეიპყრობდეს თუმცა შესაძლებელ იყო აძულეებით (!)... ბასილ., 42r.

... და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად... შუშან., 196.

... ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღუნოდ ჭიქითა და აიძულებდა რადთამცა იგი ხოლო შესუა... იქვე, 199.

... ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი... იქვე, 227.

ე. მწევ-ალ-...

... ვსენებულ გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე მწევვალი შენი. და შვილნი ჩუენნი... ხანძთ., 189.

... შეუღდვე მწევვალსა შენსა ჩუენი ესც შეუტრაცხებაჲ... იქვე, 581.

... თანა წარიყვანა ცოლი და შვილნი და მონა-მწევვალნი მისნი... შუშან., 4011.

ძირეული ნაწილი ამ სიტყვისა უნდა გვქონდეს სამეგრელოში, ქვემო-იმერეთსა და გურიაში ქალის გვარში შენახული:

გურ.	ლომთათი- ფხე	— ქალი,	ლომთათი- ძე	— ვაჟი...
მეგრ.	კუჭა- ხე	„	კუჭაა ← კუჭა- ვა ...	
„	ჯინორი- ხე	„	ჯინორია — ვაჟი...	

მეგრული **-ხე** ფონეტიკურად გამარტივებული სახეა **ფხე**-სი; უკანასკნელი ქართულში დაცულ **მწევ-ალ**-ის პირველ ნაწილს ხვდება: დაკარგულია ოდონდ ბოლოკიდური **-ვ** და თავკიდურ **მ**-ს ენაცვლება **-ფ**. თუ ეს დაკავშირება (**მწევ-ალ** — **ფხე** || **-ხე**) მართებულია, **-ალ** ქართულში ფუძის საწარმოებელ აფიქსად უნდა ვცნოთ, და ეს მიუხედავად იმისა, ძირეული მასალა ქართველური ენების კუთვნილებათა, თუ სხვა ენობრივი წრიდანაა შეთვისებული.

ვ. მ-ად-ალ-...

მარტივი ფუძის როლში გამოდის **-ად-** (პრევერბი!); შდრ. ანალოგიური შემთხვევა ახალ ქართულში: **წარ-მო**-ება; თუმცა **წარ-მო** წინასწარ სახელად ქვეული ჩანს (თავკიდურ **მ**-ს შესახებ იხ. მეორე ნაწილი: „აღამიანისა და ნივთის კატეგორიის აღნიშვნა სახელებში“).

მ-ად-ალ-ის ასეთ დაშლას მხარს უჭერენ ნაწარმოები სახელები: **უ-ად-რძს-ი**... **მ-ად-ნ-არ-ი**.

... განმრავლდა კუფხალი უფროდს ტევნისა რ არა იწმი არს ვენჯი უნაყოფოდ რნი დატკეპნეს ბაბილოვნელთა ღორთა მ აღნ არისათა... სვან., 418.

... მთანი იხარებენ და ყოველნი ხენი მ აღნ არისანი... სვან., 188.

... და იწყეს დაკაფად მ აღნ ართა მისთა... უდაბნ., 136v.

... მან ინებოს უ აღრძსსა შევიდეთ და უახლჴსი რადმე ამას მოვართუათ... სვან., 79.

ზ. მ-დაბ-ალ-...

ზემოთ (იხ. გვ. 16) ნაჩვენები იყო, რომ **დაბა** ← **დაბ-ან-**: **დაბ-ნ-ებ-ი**, **უ-დაბ-ნ-ო** (← **უ-დაბ-ან-ო**) ამას მოწმობს.

ისეთ წარმოებაში, როგორცაა **მ-დაბ-ი-ო**, **მ-დაბ-ორ-**, **მ-დაბ-ურ-ი**, **-ან** აფიქსი არა ჩანს: საწარმოებლად **დაბ-** არის გამოყენებული.

ეგვე ითქმის **მ-დაბ-ალ**-ის შესახებ: აქ **მ**-თავსართიან წარმოებას ბოლოსართად **-ალ**- მოუდის.

... რ^წი ჰყავთ ჩემდა მომართ მ და ბ ა ლ თ ა ... სვან., 104.

... მიიღის საზრდელი საგლახაკოდ... ნეტარმან გრიგოლ მ და ბ ა ლ - მ ა ნ გულითა და გლახაკმან სულითა... ხანძთ., ბ₁₃ ქვ.

მ-დაბ-ალ-ი წარმოებით სრულიად ემსგავსება **მ-ალ-ალ**-ს. **დაბ-** ძირის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მიწა“, შემდეგ — „დამუშავებული მიწა“, „დასახლებული ადგილი“. საფუძველი: სვან. **დაბ** „ყანა“, მეგრ. **დობ-ერ-ა** (|| **დობ-ირ-ა**) — სახნავი მიწა (დაბლობში)? (შდრ. ივ. ჯავახიშვილი. საქართვე. ეკონომ. ისტ. II, 131-132, სადაც **დო-** პრეფიქსადაა მიჩნეული).

ზემოხსენებულ სემასიოლოგიურ გარდასვლათა ნიმუშია ქართ. **ყანა** „მიწა“ (ქუე-**ყანა** = მიწა): **თავ-ყანის-ცემა** — „თავის ცემა მიწაზე“; შემდეგ — მარცვლეულით დათესილი **მიწა**“ (ახლა ქართულში: მხოლოდ „პურეულით დათესილი მიწა“).

თ. მართ-ალ...

... მ ა რ თ ა ლ ი ს ი ც რ უ ვ ე დ გ ა რ დ ა ა ქ ც ი ე ს ... უ და ბ ნ . , 106 v .

... მ ა რ თ ა ლ ი კ ა ც ი ხ ა რ და თ უ ა ლ თ ხ უ მ ი თ ა რ ა რ ა ს ი ქ მ ... ს ვ ა ნ . , 101 .

ეგვე სიტყვა **სა-** თავსართითაც ცნობილია ძველს ქართულში (**სა-მართალ**-ი); არაიშვიათად მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც **მართალ**-ს (იხ. მეორე ნაწილში).

-ალ- სუფიქსის ნაცვლად შეიძლება მართოდენ **-ლ** აღმოგვაჩნდეს: **მართ-ლ**- (იხ. ქვემოთ).

-ალ- სუფიქსის გარეშე **მართ**- სხვადასხვა წინდებულის დართვით ზმნისართების სახითაა ძველ ქართულში ცნობილი:

მი-მართ... მო-მართ... უკუ-მო-მართ... წა-მართ... წარ-მართ... და-მართ...

... მე არასადა დავბრკოლდე შ^წნდა მიმართ... ჰადიშ., 58a₁.

... კლდეთა უღალთა მიმართ მიაჭენებდეს... სვან., 79.

... აღთქუმა ყო მოქმედთა მათ მიმართ თითო სატირი... ჰადიშ., 42a₂.

... საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ... ჰადიშ., 56b₂.

... რ^წლი ველსა გარე იყოს ნუ უკუმოიქცევინ უკუმომართ... იქვე, 52a₂.

... რ^წა წამართ მსგავსსა თქ^წნსა ღირსად ვცხონდებოდი... სვან., 93.

... დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა... შუშან., 515.

წარ-მართ-იც ამავე **მართ-** ფუძისაგანაა ნაწარმოები სახელობითის **-ი-**ს დართვით რაიმე საწარმოებელი აფიქსის გამოუყენებლად:

რ¹ ჩ² წარმართთა მოგუეცა ზრახვად იგი შობისა ქწსი... სვან., 94.

... სასუმელი ვენაჯისა მის. რომელ იწინა ჯუარსა ზედა. მის მიერ აღდგებულმან. უწდიე წარმართთა... სასულ., რბპ30.

ეგვევე **მართ-** უდევს საფუძვლად ზმნას: აღმართა, წარემართა....

... კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში... შუშან., 36.

... ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა... იქვე, 325.

... და წარმოჰმართა სადიასპანოფთა ცხენითა მონად თუსი... იქვე, 55.

... არა თუ მე აღმემართა... და მემცა დავამჯუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტკლენი... შუშან., 1320.

-ალ- აფიქსის დართვით ამ ფართოდ ხმარებულ **მართ-**ისაგან მივიღეთ **მართ-ალ-**ი.

ი. ახ-ალ-...

...არავინ შთაასხის ღუნოდ ახალი თხიერთა ძველთა... აწდ ღუნოდ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან... ჰადიშ., 68b1.

ამ სიტყვას ეტიმოლოგიურად კავშირი უნდა ჰქონდეს სიტყვასთან **„ახლო“**, „მახლობელი“: „ახალი“ — ახლოს მყოფი **დროში**.

ძვ. ქართულში „ახლოს ყოფნის“ აღმნიშვნელ ზმნას მარტივ ფუძედ აქვს **-ახ-**: „ახ-ს“ — „ახლავს“, რალაცასთან „ახლოს არის“:

... რ¹ ახს მოშიშთა მისთა მწცხრებად მისი... დავით., 129v.

... ურვასა შინა დგას და მიახს წარსაწყმედელად... სვან., 136.

ახ-ალ-ში **ახ-** გვაქვს, **-ალ-** სუფიქსდართული.

კ. **მარჯუ-ალ**¹... **მარჯუ-ე**... **მარჯუ-ნ**... **მარჯუ-ლ**... **უ-მარჯუცხ**... **მარჯუ-ენ-ა**... **ჰ-მარჯ-უ-ს**, **გა-ე-მარჯუ-ა**... მეგრ. **მარძგვ-ან-ი** „მარჯვენა“...

¹ მეგრ. **მარძგუ-ან-** „მარჯვენა“ გვაფიქრებინებს, რომ **მარჯუალ-**ში **-ლ** არ უნდა იყოს **რ-**საგან მიღებული დისიმილაციის გზით (**მ** — **რ** წარმოება, ქართულში, საერთოდ, გავრცელებული არის).

- ... რ^ა მარჯულ ჩემსა არს... უდაბნ., 42r.
- ... მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა.
ხანძთ., 30²⁹.
- ... მოადგეს მას მარჯულ და მარცხლ... სვან., 311.
- ... დაჯდა სამარესა მას მარჯულ კერძო... უდაბნ., 132v.
- ... ვითარცა საფლავით გამოსრულნი მიმოდახედვიდეს მარჯუნ და
მარცხნ. რადთამცა სამე იხილა ძმამან ძმად თვსი... წარტყუნ., 88¹³.
- ... ხურომან პოვის ნივთი უსავმარცხად და უმარჯუცხად შექ-
მნის... სვან., 44.
- ... და კუერთხი ოქროდსად აქუნდა მარჯუენესა ველსა მისსა..
სვან., 135.
- ... სიტყუას უგებდეს ადგილისათვს. სადამცა ვისმე ჰმარჯუდა...
ხანძთ., 10¹⁰.

მარჯუ- ფუძისაგან სხვადასხვა აფიქსის დართვით ნაწარმოები ახალი ფუძეები **-ალ-**ს სუფიქსად მიგვამჩნევენ: **მარჯუ-ალ-**; მეგრ. **მარძგვ-ან-**ამავე დასკვნას უჭერს მხარს: **მარჯუ-ენ-**ი — **მარძგვ-ან-**ი.

აქ არ ვეხებით საკითხს, როგორია თვით **მარჯუ-** ფუძის შედგენილობა: მარტივია იგი თუ რთული.

§11. **-ელ-** აფიქსი.

- | | |
|--------------|---|
| ა. ძვ. ქართ. | ყინ-ელ- ... |
| აბ. ქართ. | ყინ-ულ- , ყინ-ვ-ა- ... |
| ჭან. | ყინ-ი ცინ-ი ინ-ი |
| მეგრ. | ცინ-ი |

- ... სიცხე დღისად და ყინელი ღამისად.. სვან., 298.
- ... ყ^ი შიმშილი და წყურვილი მის თანა... შიმშულება და ყინელი
და მიითუალე ყ^{ლი}... სვან., 184.
- ... და კულადა ოდესმე ჟამსა ყინელისასა... ხანძთ., 6⁹.
- ... რ^ან დასხნის მყინვარნი ნებუულად წ^ე ყინელსა მისსა... და-
ვით., 206^r.
- ... გუტანჯნეს ჩუენ სიცვიითა და ყინელითა... წარტყუნ., 10³.

ჭანურში ეს ფუძე (**ყინ-**, **ცინ-**, **ინ-**) ატრიბუტივადაც იხმარება და სუბსტანტივადაც (იხ. „შედარ. ლექსიკ.“ 190), მეგრულში ზოგიერთი გამოთქმის გარდა სუბსტანტივია, ქართულში — მხოლოდ სუბსტანტივი.

უსუფიქსო ფუძე გვაქვს ზანურში, ქართულში კი სუფიქსია დართული, მათგან ახ. ქართულის **-ულ-** (**ყინ-ულ-**) შეიძლებაოდა მიმღეობისეულად მიგვეჩინა: **ყინავ-**ს — **ყინ-ულ-**ი (შდრ. **წყლავ-**ს — **წყლ-ულ-**ი), ძვ. ქართულის **-ელ-** კი ასეთი წარმოშობისა ვერ იქნება: ნამყო ღროის მიმღეობას **-ელ** სუფიქსი არა აქვს, სხვა ღროში კიდევ თავსართიცაა საჭირო.

ბ. ქს-ელ-

... ვა ქსელი დედა-ზარდლისაჲ განფხურა... სვან., 268.

... დაადნვე ვა დედა-ზარდლისა ქსელი სული მისი... დავით., 65v.

საკმარისია ამას შევუპირისპიროთ ზმნა **ქს-ოვ-**ს, რომ უეჭველი გახდეს **-ელ-**ის სუფიქსობა. ხომ არ არის ეს სუფიქსი სამიმღეობო, ე. ი. ხომ არ არის **ქს-ელ-**ი წარმოშობით მიმღეობა (ისევე, როგორც წყლული, წერტილი, თხრილი, წერილი)? ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხულია იმავე მოსაზრებათა გამო, რაც **ყინ-ელ-**ის განხილვისას იყო წამოყენებული; სახელდობრ: **-ელ-** შეიძლება გვქონდეს მარტოოდენ აწმყოსა და მყოფადის მიმღეობაში და შესაბამისი თავსართი მიუცილებელია (**მ-**ადიდებ-**ელ-**ი — **სა-**დიდებ-**ელ-**ი). უსუფიქსოდ მიმღეობა შეიძლება ვაწარმოთ (იხ. ქვემ.), მაგრამ ამ წინსართების გარეშე — არა (ნამყოში კი — **-ელ-** სუფიქსი მიმღეობას არა აქვს, — ვგულისხმობთ, დადებითს ფორმას; უარყოფითს ფორმაში **-ელ-** ჩვეულებრივია — **გა-უ-**კეთებ-**ელ-**ი, **და-უ-**სახლებ-**ელ-**ი...).

თავის ღროზე ნაჩვენები იქნება (იხ. ქვემ.), რომ მიმღეობის წარმოება ამგვარი ძველი ფორმაციის ფუძეთა აგებულებას უუქს ვერ მოფენს. პირიქით, მიმღეობის ანალოგიური საწარმოებლები თვითონ საჭიროებენ გარკვევას.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ **-ელ-**სუფიქსია, სახელისა და, **პირველ ყოვლისა**, მას ბუნებრივად სუბსტანტივებსა (არსებით სახელებსა) და ატრიბუტივებში (ზედსართავ სახელებში) ვხვდებით და შემდეგ უკვე — მიმღეობებში).

თუ **ქს-ელ-**ს იგივე ძირი აქვს, რაც **ქს-ოვ-**ს ზმნას (**ქს-**), ეს სრულიად არაფერს ამბობს ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ, არამედ, პირუკუ, საესებით ეგუება მას (დაწვრილებით — აქვე ქვემოთ).

ქს-ელ- ფუძის ძირი **ქს-** რომ ხმოვანს შეიცავდა (სვან. **ლიჯიშ** „ქსოვა“) და რომ **ქს-ოვ-** ← **გს-ოვ-** (← **გს-ოვ-**), სრული დამაჯერებლობით ნაჩვენებია ვარ. თოფურიას მიერ: „ფონეტიკ. დაკვირვებ.“ I. „მიმო-მხილ.“ 209-210; შდრ. პ. ჭარაია: **Об отнош.** 25.

გ. უღ-ელ-...

... დღეს იუღღვიან ჭაბუკნი უღელსა მას მეცნიერებისასა... უღ-
აბნ., 143v.

... უღელი მიიმეც არს ჩემ ზა... ზ მეფეო... ოქროპირ., 73v.

... უღელი მისი... ქედსა ჩემსა... იქვე, 190v.

ამ სახელისაგან ნაწარმოები ზმნა ინარჩუნებს **-ელ-**ს: იუღღ-ვი-ის (← იუღღელ-ვი-ის), მაგრამ მეგრულში **-ელ-** აღარა ჩანს: ქართ. უღ-ელ- — მეგრ. უღ-უ (უღუ-ამ-ი — „უღლიანი“, „უღელდადგმული“; მაგალ.: უღუამი ღევი — „უღელდადგმული ღორი“...); სვან. უღ-ჟ-ა „უღელი“.

ბოლოკიდური **-უ** მხოლოდ ფუნქციის მიხედვით თუ ეტოლება **-ელ-**ს; იმავე დროს იგი მოწმობს, რომ **-ელ-** სუფიქსია ისევე, როგორც **-უ** (მდრ. ბელ-ელ-ი — მეგრ. ბალ-უ): აქ ის შემთხვევა გვაქვს, როცა ძირეული მასალა ერთია ან შესატყვისია, აფიქსები კი მხოლოდ ფუნქციით ეღრებებიან ერთერთს (იხ. „შედარ. ლექსიკ.“ გვ. 3, 4...).

უღ- ძირს უთუო კავშირი აქვს ინდო-ევროპ. და უნგრ.-ფინურ ენებში ამავე შინაარსის სიტყვებთან: იხ. ძვ. ინდ. *jug-am*, ლათინ. *jug-um*, ბერძ. *ჯუგუს*, ძვ. სლავ. *иго*, გუთური *juk*, ლიტაური *jungiu* „ვაბამ“... ფინური *juko, jukko, jukka*, უნგრული *iga*... — ბგერითი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ბერძ. *ჯუგუს*-ის ვარიანტია *ძუგუს*¹.

ტერმინი მესაქონლეობასა და მომთაბარეობას გულისხმობს უპირატესად. საინტერესოა უნგრულსა და ფინურში ამავე ძირის დადასტურება.

ეს ძირი უნდა იყოს ქართველი ტომების ინდო-ევროპულ ენებზე მოუბარ ტომებთან შეხვედრის შედეგი. სად და როდის? ეჭვი არაა, — შორეულ წარსულში, მცირე აზიაში...

უღელ- სიტყვის ძირს ქართველურ ენებში სხვა ენათა წრიდან შეთვისებულად მივიჩნევთ თუ არა, **-ელ** ძირეული არაა, იგი სუფიქსია: მეგრულ უღ-უ-სთან შეპირისპირებაც, ინდო-ევროპულ შესაბამის სიტყვათა შედგენილობაც ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

დ. სთუ-ელ-... მო-სთუვ-ნ-ა...

... თთუესა სთულისასა... სვან., 316. (მდრ.: ...თთუესა ახალწლისასა... იქვე).

¹ იხ. Н. Горяев, Сравнит. этимологич. словарь рус. яз. Тифл., 1896, გვ. 120. А. Преображенский. Этимологический словарь рус. яз. Москва, 1910, გვ. 264.

... იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდესმე ტბას თჳსთა ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე რლთა მრავალ გზის შაშჳ ჳამდა... ხანძთ., **ფე**¹² ქვ.

სათანადო ზმნაში **-ელ-** სუფიქსი ჩვეულებრივ არაა წარმოდგენილი:
... რჳჳმს იხილნის ნაყოფნი კეთილად მომწიფებულნი მოსთუენის იგინი... უდაბნ., 36v.

შდრ.: ... განვიდოდინ კაცნი აგარკთა მთთა სთულებად ვენაჯთა... ოქროპირ., 159r.

ჭანურში ეს ზმნა იძლევა გარდაუვალსა და გარდამავალ სახეობათ:

... ორდო დოსთუნ — ადრე დაირღვევა (ნაკერი), გაიგლიჯება.

... ქდოქი მასთვას — ძირი ამოუვარდეს („ფესვი მოწყდეს“...).

... მცხული გოისთველუ — მსხალი „გაისთველა“...

... ცალის ზენჯირი გეისთვინუ — ყელიდან ჯაჭვი „აიძვრინა“...

(იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 312-313).

ე. სახ-ელ- ← ***ზახ-ელ-... ზახ-ი-ლ-ი...** ხევსურ. ა-ძრახ-დ-ომა... სვან. **ჟახ-ე.**

... ალ წინადაწარ მთხრობელად სახელიცა იგი ლიტონი... უწოდა... სვან., 81.

... და უწოდინ სახელი მისი ენმანუელ... ჰადიშ., 6a2.

ჭანურად „სახელი“ არის **ჯოხ-ო** (ათინ. კილოკ. დოხ-ო), მეგრულში გვაქვს „სახელი“, მაგრამ ზმნაში დაჩნდება **-ჯოხ-**: მუ რ-ჯოხ-ო(ნ)? — რა გქვია? (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 437-8). სვანურში იხმარება — **ჟახ-ე.**

ზანური **ჯოხ-** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ძახ-**ისა (უ-ძახ-ი-ს); ქართულში **ძახ-ილ-**ის გვერდით **ზახ-ილ-**იც მოგვეპოება.

„ფიცხლა გაიქცა, მიმართა ზახილით კლდესა და ხესა...“

„ვმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთსახესა...“

„ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუმცა არ ეწებოდა... (ვეფხ. ტყ., ხ. 232).

სვან. **ჟახ-ე** გვაფიქრებინებს, რომ **ძახ-** ← **ზახ-** უდევს საფუძვლად **სახ-ელ-**-ს:

ზახ-ელ- → **სახ-ელ-** — რეგრესიული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე (შდრ. **ცინე** ← ***ძინე**: მეგრ. **ჯინა**).

მართალია, უძველეს ძეგლებში უკვე გვაქვს **სახელ-**ი, მაგრამ ეს ვერ დააბრკოლებს ხსენებულ ვარაუდს: **ზახ-** ძველითგანვე გვქონდა **ზრახ-**ის სახით:

... მაშინა ზრახდა იგი ბერძულითა ენითა... სვან., 300.

... მინდიას გაეცინა და ამიიგმინა, აძრახდომის ნებას კი არ აძლევს ნატყვიარი... ხევსურ. მასალ. „წელიწდ.“, 177³³-178¹.

... თუ კაც ასძრახდ შინით... მამახურა უძახებს... იქვე, 152⁷.

... მაშინ აღარ ასძრახდების მამახურა... იქვე, 152¹¹.

ჩანს, ზმნაში **-რ-** უფრო გვიან დაიკარგა: **ზრახ-** → **ზახ-**. სახელში იგი უფრო ადრე უნდა იყოს დაკარგული.

ძ-ელ-... ზან. **ჯ-ალ-** → **ჯა-** (ხე).

ამჟამად ქართულში **ძელი** ზოგადად „ხის“ აღსანიშნავად არ იხმარება. არავინ იტყვის „ძელი მიდგას ეზომიო“, წინათ კი ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარებოდა ეს სიტყვა; ეს ჩანს სახელიდან: **ძელ-ქვა**, ე. ი. „ხე-ქვა“, აგრეთვე სახელიდან **ძეწ-** ა/ი: **ძელ-წ-** (ზმნა: წნ-ავ-ს).

„ხე“ — სხვა ენობრივი წრიდან შეთვისებული სიტყვა — უკვე დაბადებაშია ნახმარი და **ძელ-** სიტყვას სარბიელს უკვეცავს (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 120).

... ოდესმე ჟამსა ყინელისასა ძმანი ტყესა მას ხანძთისასა შთამოჰყრიდეს ძელსა... და ძმაჲ ვინმე მოხუცებული ძნელსა ადგილსა ძელისა სავალსა განვიდოდა. და ძმათა მათ სხუათა უმეცრად ძელი ფრიად დიდი განუტევეს. და ვითარცა იხილა ძმამან მან ძელი იგი მძაფრიად მიმავალი. შეშინდა ფრიად... ჯუარი დასწერა ძელსა მას და ჰრქუა... დადევ ძელო... ხანძთ., **ნღ**.

... ძეწთა ზა შს მისა დავჰკიდეთ საგალობელი ჩნი... დავით., 194^v.

... მუნქუესვე მოილო მან რტოდ ძეწნისაჲ... კიმენ., 115²⁰.

ზანურში ხის აღსანიშნავად მხოლოდ **ჯა** მოიპოვება. მრავლობითში აღდგება ბოლოკიდური **-ლ**: ჰან. ჯალ-ეფ-ე || მეგრ. ჯალ-ეფ-ი.

მხოლოდითში ეს **-ლ** დაცულია მეგრულ ნაწარმოებ ფუძეში: ო-**ჯალ-** ემ-ი „სადვინე ყურძნის ცნობილი ჯიში სამეგრელოში“, სიტყვა-სიტყვით: „სა-ძელ-ის-ი“, ე. ი. ხეზე გასული, „მალნარი“.

§12. -ალ სუფიქსი გამოიყო სუბსტანტივების გარდა ატრიბუტივების: წყ-**ალ-**, კუ-**ალ-**, ძ-**ალ-**..., ერთის მხრით, მალ-**ალ-**, მართ-**ალ-**, ახ-**ალ-**..., მეორე მხრით.

-ელ- სუფიქსის შესახებაც იგივე ითქმის: იგი აგრეთვე დასტურდება

ატრიბუტივებშიც. პირველ რიგში აქ ძალა-უნებურად გვავიწყდება სადაურობის აღმნიშვნელი **-ელ**- სუფიქსი; მაგალ., **ქართ-ვ-ელ**:

... ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმეს⁷თს რ⁷ნ ესე ვთარგმენ... და ლოცვა ყავთ... მ⁷მისა იორდანესთ⁷ს... რ⁷ნ ფ⁷დი შრომად თავს იღვა და მოვიდა ქართლისა ქ⁷ყნით საბერძნეთს მთაწმიდას... ბრძანებისათ⁷ს დ⁷თ ქართველთა მეფისა... ბასილ., 46₁ (ექვთიმე მთაწმინდელის ანდერძიდან: „ესე ბრძანებად ეფთიმესი არს“...).

ამგვარი წარმოების **-ელ**- სუფიქსს უპირისპირდება **-ულ**- სუფიქსი: **ქართ-ვ-ელ**-ი — **ქართ-ულ**-ი (← **ქართ-ვ-ულ**-ი):

... ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების. რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის... ხანძთ., მ⁷მ⁷ ქვ.

სათანადო ადგილას ნაჩვენები იქნება, რომ ეს დაპირისპირება **-ელ**- და **-ურ**- || **-ულ**- სუფიქსებისა, როგორც ადამიანის სადაურობისა და ნივთის სადაურობა-წარმომავლობის მაჩვენებელთა (**ქართ-ვ-ელ**-ი კაცი — **ქართ-ულ**-ი ენა...), მეორეული მოვლენაა.

მაინც ფაქტია, რომ, სადაც ასეთს უპირისპირებას ადგილი აქვს, იქ **-ელ**- სუფიქსის გამოყოფა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

ატრიბუტივთა **-ელ**- სუფიქსზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **ცხელ**-ი, **გრძელ**-ი, **ზრქელ**-ი, **ძნელ**-ი, **წითელ**-ი და სხვ.: **-ელ**- აქაც სუფიქსია.

ა. ცხელ-ი... **სი-ცხ-ე**... **ცე-ცხ-ლ**-ი... მეგრ. **ჩხ-ე**... („ცხელი“)... **ჩხ-ან-ა** („მზის სინათლე-სითბო“).

ნაწარმოებ განყენებულ სახელში **სი-ცხ-ე -ელ** სუფიქსი არა გვაქვს, ე. ი. საწარმოებელ ფუძედ **-ცხ-** არის გამოყენებული.

... რ⁷ლთა ვიტჯრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხც⁷... ჰადიშ., 42b₂.

... მოსილი ხალენითა და მოთმინე ყინელთა და სიცხეთა... ბასილ., 48v.

მეგრ. **ჩხ-ე** „ცხელი“, გაა-რ-**ჩხ**-იალ-უ წყარი — „გააცხელა წყალი“, **ჩხ-ან-ა** „მზის სითბო“ ძირეულ მასალად **-ჩხ-**ს გვაჩვენებენ.

ქართ. **ცე-ცხ-ლ**-იც, რომელიც იმავე ძირის ნაყარია, **-ლ**-ს არაძირეულ მასალად გვამცნობს (იხ. ქვემოთ: **ცე-ცხ-ლ**-ი).

ბ. ცხ-ოვ-ელ... **ცხ-ოვ-არ**... **ცო-ცხ-ალ**...

... უკუეთუ ტყუვილ რამე არს ცხოველი ჯ⁷ი... უდაბნ., 30r.

ცხოველი ახალ ქართულში, პირველ ყოვლისა, სუბსტანტივია,

თუმცა ატრიბუტივადაც იხმარება გარკვეულ გამოთქმებში: „ცხოველი ინტერესი გამოიწვია“ — „ცხოველი“ აქ უდრის „ცოცხალს“ (შდრ. „შინაური ცხოველები“).

ძვ. ქართულში „ცხოველი“ „ცოცხალს“ ნიშნავდა უპირატესად; ამგვარად, ატრიბუტიული მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის ძირითადი ჩანს.

ცხოვ-არ-ი იმავე ფუძის ვარიანტია, სადაც -ელ- სუფიქსის ადგილს იჭერს -არ- სუფიქსი. იხმარება არა იშვიათად სა- თავსართითაც სა-ცხოვ-არ-ი (ამის შესახებ — სათანადო ადგილას, მეორე ნაწილში).

ძირითადი მნიშვნელობა — ცხვარია.

... შეეძინეს მათ დღეს ცხოვარნი და კრავნი და ტარიგნი სამწყსოსა მათსა... უდაბნ., 143v.

... მოვედ მწყსად პირმეტყუელთა ცხოვართა შეცთომილთა... სგან., 390.

... უდაბნოსა ჯდა და ცხოვართა რაცხასა ზა იქცეოდა... იქვე, 113.

... ვა მწყემსმანლა განარჩინეს ცხოვარნი თიკანთაგან და დაადგინეს ცხოვარნი იგი მარჯუენით მისსა. ხ თიკანნი მარცხენით... ჰადიშ., 55b₁.

ცხოვ-ელ- და ცხოვ-არ- სხვადასხვა დიალექტური წრის სუფიქსების გამოყენებით გაირჩევა: -ელ- || -არ-: ფუნქციის მიხედვით ეს სუფიქსები ერთნაირი უნდა იყოს. ნ. მარი -არ- სუფიქსს შიშინა წრის მეტყველებსად, ე. ი. ზანური (ჭანურ-მეგრული) სინამდვილისად სახავდა, ოღონდ ორივე (-ელ || -არ) მრავლობითის ნიშნად მიაჩნდა (იხ. Яфет. названия деревьев и растений, ИАН, 1915, გვ. 778).

სადაურობის აღმნიშვნელ აფიქსებში ასეთი შეფარდება, — -ელ-: -არ- — მართლაც, დასტურდება: ოპიზ-ელ-ი — ოპიზ-არ-ი, ტბ-ელ-ი — მ-ტბე-არ-ი, ოდიშ-ელ-ი — ოდიშ-არ-ი — გვარებში: ოდიშ-ელ-იძე — ოდიშ-არ-ია... (იხ. А. Шанидзе, Два чано-мингрельских суффикса... ЗВРАО т. XXIII, 367-368).

ცხოვ- ფუძე ამოსავალია ნასახლარი ზმნისათვის: ა-ცხოვ-ნ-ა, ე. ი. აცხოვრა, ცხოვ-ნ-ებ-ა — ცხოვრება (საიქიოში ცხოვრების მნიშვნელობა მეორეულია).

... მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე... „ამირან-დარეჯანიანი“, 36 (ე. ი. იცხოვრე დაუსრულებლად)...

... სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. ვიდოდე მშუდობით... ჰადიშ., 74a₂, 88a₂.

ცხოვ- ფუძეში **-ოვ-**იც არა ჩანს ძირეული; უამისოდ ეს ფუძე მოცემულია **ცო-ცხ-**ალ-ში და ჯანმრთელის მნიშვნელობით იხმარება ძვ. ქართულში:

... არა უჯმს ცოცხალთა მკურნალი: აწ სნეულთა... ჰადიშ., 18a2.

„ცოცხალი“ — „სნეული“ ერთუტრთს უპირისპირდება.

... ვიდოდე მშჯდობით. და იყავ შენ ცოცხლებით. გუემისა მისგან შენისა... ჰადიშ., 74a2.

ჰან. მ-**ჩხ-ურ-**ი და მეგრ. **შხ-ურ-**ი-ც **-ოვ-**ს აფიქსად გვავარაუდებინებს (შდრ., სამაგიეროდ, მეგრ. **ჩხუ** ← **ჩხოუ** „ძროხა“: ერთი და იგივე ძირი ქართულში „ცხვარს“ ნიშნავს, მეგრულში „ძროხას“! ამის შესახებ იხ. მეორე ნაწილში: **საცხოვარ-**).

ცხ- კომპლექსი **ც-**საგან უნდა იყოს განვითარებული ფონეტიკურად (შდრ. მეგრ. **ცხორცხალი** ← **ცოცხალი** — ი. ყიფშიძე: მეგრ. გრ. ლექსიკ., გვ. 371). ასე, რომ ამ ფუძის შენება შემდეგ-ნაირად წარმოიდგინება:

ც- → **ცხ-**: **ცხ-ოვ-**: **ცხ-ოვ-ელ-** || **ცხ-ოვ-არ-**

ცო-ცხ-ალ- ← **სო-ცხ-ალ-**.

გ. გრძ-ელ-... სი-გრძ-ე... გან-მ-ი-გრძ-და... უ-გრძ-ცხ-ი... ჰან. **დო-გინძ-ურ-ა** „მოგრძო“.

... მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმად გრძელად უშუერება არს მისა და დედაკაცმან თუ გარდაუტეოს დიდება არს მისა... სამოციქ., 72v.

... და ორნი იგი იყვნეს ჰასაკითა გრძელ და წულილ და სწორ... სვან., 107r.

განყენებული სახელი თვისებისა **სი-გრძ-ე -ელ-**ის სუფიქსობას უჭერს მხარს.

... ნუცა სიგრძისათჳს მისა გემინის... ბასილ., 85r.

ამასვე მოწმობს მეგრ. **სი-გირძ-ა** — „სიგრძე“, ჰან. **დო-გინძ-ურ-ა** „მოგრძო“ (იხ. „ჰან. ტექსტ.“ I, გვ. 16).

ამჟამად ქართულში ნასახელარი ზმნა **-ელ-** სუფიქსს ინარჩუნებს (გა-გრძელ-და...), ძვ. ქართულში კი მოგვეპოვება უამსუფიქსო წარმოება:

... ვად მე რ გ ა ნ მ ი გ რ ძ დ ა მე მწირობჳ ჩემი... დავით., 1841.

ჩანს, **-ელ-** აფიქსად ჯერ კიდევ იგრძნობოდა, როცა **განმიგრძდა** და მსგავსი ფორმები იქნა ნაწარმოები.

დ. ძნ-ელ-... შე-უ-ძნ-და-ა... ძნ-ავ-ს... ძნ-ი-ად...

ჭანურსა და მეგრულში ამ ფუძის შესატყვისი არა ჩანს, რომ ფუძის დაშლა გაგვიადვილოს; განყენებული წარმოებაც **სი-გრძ-ე**-ს ტიპისა (-ელ-სუფიქსის არამქონე) ცნობილი არაა.

მაინც შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ -ელ- აფიქსია: ნასახელარი ზმნებია ამის საფუძველი:

... ხ^რ იოვან^ს დაღათუ შეუძნდა ესე... ოქროპირ., 87r.

... და შეუძნდა საქმც ესე... ოქროპირ., 55v.

... შეხუძნდა მათ გალობად იგი მათი... ქრესტომ., 2412.

... რ^ს უძნდა მსხვერპლისა შეწირვად... იქვე, 119v.

... არა დაგპატიჟებთ რ^სლი იგი ძნავს... იქვე, 120v.

... და ძნად სულნი მოეგნეს... უდაბნ., 138v.

... ორკერძოვე ძნად მისაწდომელი არს... სვან., 111.

ნასახელარ ზმნებად ამგვარი ზმნების მიჩნევა ერთგვარ უხერხულობას შეიცავს: ეს ზმნები (**უძნდა... ძნავს...**) **ძნელ**-სახელისაგან კი არაა ნაწარმოები, არამედ **ძნ**-დან; ეს უკანასკნელი კი ფინიტურ სახელს -ელ- სუფიქსის დართვითლა გადაძღვეს: **ძნ-ელ**-.

ე. წით-ელ-... მ-წით-ურ-... წით-ს... გან-წით-ნ-ი-ს...

-ელ-ს -ურ- ევლინება პარალელურ საწარმოებლად: **მ-წით-ურ**-...

... ძმისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ გამორჩეულ ბევრეულთაგან... ქება-ქებათად V₁₀.

ზმნები **წით**-ს, **გან-წით-ნ-ი-ს** აგრეთვე **წით**- ფუძეს გამოგვაცოფინებენ საწარმოებელ მარტივ ფუძედ:

... განწითნის ცად... სვან., 331 (ვნებითი გვარის ნამყო ხოლმეობითია: იგი განწითნა — განწითნის...).

... შერადმწუხრდის სთქვთ¹ ყუდრო² იყოს, რ^ს წითს ცად... ოთხთ. ბენეშ., 89.

მეგრ. გაა-**ჭით-არ**-უ „გაწითლა“, ჭან. გოი-მ-**ჭით**-ან-უ „გაწითლდა“ (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 234-235) აგრეთვე გვეუბნება, რომ **წით-ელ**-ფუძეში -ელ სუფიქსია.

ვ. ძუ-ელ-... მეგრ. **ჩვ-ეშ**-ი... ჭან. **მ-ჩვ-ეშ**-ი || **ნ-ჩვ-ეშ**-ი || **მ-ჩვ-ე**... სვ. **ჩუ-ინ-ელ**-.

¹ რედაქტორს გაუსწორებია: „სთქვთ“, — უმართებულოა: ტექსტში ხოლმეობითია.

² რედაქტორს მ დაურთავს: მ ყ უ დ რ ო . საჭირო არაა.

... შეცთომილებად ძველისა სიძნელისა გოგნებისა (!) ჩნისად აღვილოთ... უდაბნ., 135v.

... დარავემყნენით ძუელსა მას და აღვიზარდებით... სვან., 76.

... ვინ ესრეთ პათიოსან იყო წე ყლთასა არა მოჰასაკეთა უდენ (!): ანდ ძუელთაცა... ბასილ., 7v-8r.

ამ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნაში **-ელ** დაცულია (და**-ძუელ-**და); სამაგიეროდ, სხვა ქართველური ენები **-ელ**-ის ძირეულობას გამოორიცხავენ. გასარკვევია, რა ხასიათისაა შეფარდება **-ელ-** || **-ემ-** || **-ინ-** აფიქსებს შორის, მაგრამ გარკვეულია, რომ სამივე აფიქსია. ამასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს შევხებით **-ელ-** სუფიქსის რაობის განხილვისას (იხ. აქვე, ქვემოთ).

-ლ- || **-შ-**ს სხვა მაგალითი იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 238-239.

ზ. ტყრბ-ელ-... სი-ტყბ-ო-

ახალ ქართულში ითქმის ბრტყელი, სიბრტყე. ეტყობა, ეს ბგერათა გადასმის შედეგადაა მიღებული. ერთ-ერთ უძველეს ძეგლში, უდაბნოს მრავალთავში, იკითხება: **ტყრბელ-ი... სიტყბო-...**

ტყრბ- საწარმოებლად დაირთავს **-ელ-** სუფიქსს. **ტყლაბ-**ში იგივე ძირი გვაქვს, ალბათ, რაც **ტყრბელ-**ში. სი-ტყბ-ო **-ელ-**ის აფიქსობას ადასტურებს.

... რ ტყრბელსა მას და ფართოსა... რ ლელუ ფურცელ ტყრბელ და კერტ-ჩხულ არს და სიჩხოდ იგი არს ცოდვად და ფართობითა მით და სიტყბოთა... უდაბნ., 81r.

თ. ზრქ-ელ-... სი-ზრქ-ე-

... ჯორცნი ესე ზრქელნი არიან... სვან., 65.

... ცეცხლი იგი სიზრქესა მას რკინისასა შევლის შინაგან... უდაბნ., 165v.

-ელ- არა ჩანს განყენებული სახელის — სიზრქე-ს — შედგენილობაში: იგი აფიქსია.

საერთოდ, შეიძლება ითქვას: **თუ ნაწარმოებ ფუძეში არ აღმოჩნდა¹ რაიმე ნაწილი, რაც საწარმოებელ ფუძეში გვქონდა, იგი აფიქსია** (ფო-

¹ არ აღმოჩნდა იმიტომ, რომ საწარმოებელი მასალა უაფიქსოდ იყო აღებული, ე. ი. აფიქსი მერე დაირთო, ნაწარმოები ფუძე კი ამაზე აღრე გაკეთდა. დართული აფიქსი შემდეგში იმდენად შემტკიცდება ფუძესთან, რომ ნაწარმოებ ფუძეებს შერჩებათ. მაგალ.: **გრძ-ელ-** — სი-**გრძ-**ე, მაგრამ **ძნ-ელ-** — სი-**ძნ-**ელ-ე.

ნეტიკური პროცესით გამოწვეული ცვლილებები უნდა გამოირიცხოს, მაგალ.: **ტყავ-** — **ტყა-**ოსან-; **-გ-** აღარა ჩანს ნაწარმოებ ფუძეში, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის აფიქსია, არამედ იმიტომ, რომ **-გ-** დაიკარგა მომდევნო **-ო-**ს ზეგავლენით).

შდრ.: **ძნ-ელ-** — **ძნ-**ი-ად... **წით-ელ-**ი — **გან-წით-**ნ-ა...

ზემოთქმულიდან **ვერ გაკეთდება დასკვნა: ყველაფერი, რაც ნაწარმოებ ფუძეში გადაყვება, ძირეული მასალაა.**

ასე, მაგალ.: **ძნ-ელ-** — **სი-ძნ-ელ-**ე: **-ელ-** ნაწარმოებ ფუძეში შეგვრჩა, მაგრამ ის ძირეული მასალა არაა, აფიქსია.

ერთი სიტყვით: **დადებითი ჩვენება** — „გადაყვა“ — **სიტყვის ანალიზისათვის მნიშვნელობას მოკლებულია, უარყოფითი** — „არ გადაყოლია“ — **აფიქსის გამოყოფას შეგვაძლებინებს.**

ი. თხ-ელ-... სი-თხ-ე-... ჭან. თუ-თხ-უ || თი-თხ-უ... მეგრ. თხი-თხ-უ...
სვან. **დგ-თხ-ელ...** შდრ. **თხ-ლ-ე.**

... ხ იყო ხილვითა დიდ. ჳორცითა თხელ ... ხანძთ., ბ₅ ქვ.

ქართული განყენებული სახელი **სი-თხ-ე** ზემოთქმულის მიხედვით (იხ. გვ. 38) დაგვაშლევინებს **თხ-ელ-**ს **-ელ-** სუფიქსად და ძირეულ **-თხ-**დ. **ელ-**ის ნაცვლად **-უ-**ს გამოჩენა ზანურში ასეთ ანალიზს ამართლებს (თავკიდური **თუ-** || **თი-** || **თხი-** || **დუ-**ს შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“ გვ. 239; გ. თოფური: „ფონეტიკ. დაკვირვ.“ I, „მიმოხილვ.“, გვ. 215-216; აგრეთვე აქ, მეორე ნაწილში).

თხელ- ფუძისაგან ნაწარმოები უნდა იყოს **თხლ-ე.**

... შედრკა ამიერი მუნ. ხ თხლე მისი არა მოაკლდეს... დავით., 114r.

საინტერესოა, რომ აქ ამოსავლად გამოყენებულია ფუძე მთლიანად: **თხ-ელ-ე** → **თხ-ლ-ე** (შდრ. მეგრ. **თხოლ-ო**).

კ. წრფ-ელ-... სი-წრფ-ო-ებ-ა-... ჭან. მ-ჭიფ-ე... მეგრ. ჭიფ-ე; და-ჭიფ-არ-ება.

... განმზადეთ გზად ოისად და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი... ჰალიშ., 8a₁.

... წრფელ ყვენით გზანი ოისანი განიშორეთ ყნი დრკუდ და საცთური... სვან., 382.

მეგრ. და-ჭიფ-არ-ება გამოავლენს **-არ-**ს ქართული **-ელ-**ის შესატყვისად (მეგრ. და ჭან. შესატყვისთა შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 231);

განყენებული სახელი **სი-წრფ-ო-ებ-ა** მეგრულის ჩვენებასთან ერთად **-ელ-ს** აფიქსად მიგვაჩნევენებს.

ლ. ვმ-ელ-... გან-ვ-ვემ...

...ჯულრმულსა ვმელსა... უდაბნ., 34r.

... საშიშ არს უცხო თესლთა შორის ვმელით ანტიოქიით ქართლს წაღებად... მიჰრონისად... ქრონ., I, 47.

... განაპო ზღუად მეწამული და წიაღიყვანა ერი თვისი უფსკრულთა: ვა ვმელთა ზა... უდაბნ., 69v.

... სადადათა მოსწერო ჩემდა კითხვად იგი მის მწრი ზღვთ ანუ ვმელით... სვან., 186.

... ვინამ შეუძლო კუერთხმან განვმელმან გამოღებად ნაყოფი... სვან., 204.

... და მე ვა თივად განვვემ... დავით., 148v.

ვმ-ელ-, ამრიგად, მიღებულია **ვემ-ელ-**ისაგან. რაკი ეს **ვემ-** ზმნაშია დადასტურებული, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს **ვმ-ელ-** ნაზმნარი სახელი, მიმღობა, იყოს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს **გან-ვმ-ელ-**ი, პრევერბიანი წარმოება (**გან-ვმ-ელ-ი = გა-მ-ხმარ-ი**).

მიმღობა აქ მაინც არ უნდა გვქონდეს ისევე, როგორც არა გვაქვს მიმღობა **კეთ-ილ-**ში ანდა **წით-ელ-**ში... საკითხს დავუბრუნდებით **-ელ** და მსგავს სუფიქსთა ფუნქციის შესახებ მსჯელობისას.

ძველ ქართულშივე გვაქვს რიგი სახელები — ატრიბუტივები, რომელთა ფუძე **-ელ-**ზე ბოლოვდება: **ბნელ-**, **შიშუელ-**, **ფიცხელ-**...; **-ელ-**ის გამოყოფა აქ ზემოხსენებული წესით არ ხერხდება: ნაწარმოებს ფუძეებში **-ელ-** შენარჩუნებულია ან მთლიანად ანდა **ე-**ს რედუქციით: **ბნელ-** — და-**ბნელ-**და — **სი-ბნელ-ე...** **შიშუელ-** — **განშიშუ-ლ-**და — **სი-შიშუ-ლ-ე...** და მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ ამგვარს მაგალითებში **-ელ-** არ იყოს სუფიქსი; **ძნ-ელ-** — **გა-ძნ-ელ-**და — **სი-ძნ-ელ-ე...** ჩვენ რომ არ შემოგვინახოდა **ძნ-ი-ა-დ** — **შე-უ-ძნ-და...** ისეთსავე მდგომარეობაში ვიქნებოდით, როგორც **ბნელ-** — **სი-ბნელ-ე** ფუძეთა შემთხვევაში გვაქვს. ბუნებრივია, ამიტომ ვივარაუდოთ, რომ **ბნელ-**ში **-ელ-**ისეთივე ოდენობაა, როგორც **ძნ-ელ-**, **წით-ელ-**, **ცხ-ელ-**, **ცხოვ-ელ-** და მსგავს ფუძეებში მოიპოვება: **-ელ-** აქაც სუფიქსია, ოღონდ ისე შემტკიცებული ფუძეს, რომ ახალ ფუძეთა წარმოებისას რჩება საწარმოებელი ფუძის ნაწილად. რომ ძირეულ მასალასთან აფიქსის ეს შემტკიცება რეალური პროცესია, თუნდაც ისეთი მაგალითებიდან ჩანს, როგორიცაა **გრძელ-**, **ძნ-ელ-**; იხმარებოდა: უ-გრძ-და-, შე-უ-ძნ-და... ახლა გვაქვს: გაუ-გრძელ-და, გა-უ-ძნელ-და.

§13. სუბსტანტივებში **-ელ-** და **-ალ-** სუფიქსების გარდა **-ულ-** სუფიქსიც გამოიყოფა ზოგ სიტყვაში სრულებით ეჭვმიუტანლად.

ასეთი სიტყვაა, პირველ ყოვლისა, **გულ-**ი, რომელიც ქართულსა და სხვა ქართველურ ენებშიც მრავალ გამოთქმაში მონაწილეობს: გულის-თქმა, გულის-ჯმა (ახ. ქართ. „გულისხმობს“, „გულისხმება“), გულის-წყრომა, გულ-ქვა, გულ-კეთილი, გულ-ნაკლული... და სხვა (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 66).

... განკვდეს გულნი მათნი სალმობითა... უდაბნ., 166v.

... და იყო იგი საკურთხეველსა ქუეშე გულ-გდებული შიშისა მისგან... ოქრობ., 107v.

... უკუეთუ გნებავს: სწლისა ჩემისა გულ-სავსე ყოფად ხვალე ზოგად ეკლესიას მივიდეთ... ბასილ., 24r.

იშვიათად სხვა რომელსამე სიტყვაში თუ ჩანს კავკასიურ ენათა ერთიანობა ისე ცხადად, როგორც აქ:

ქართ.	გ-ულ- ...	აფხ.	ა-გ-უ
მეგრ.	გ-ურ-	ჩაჩნ.	ღუო-გ
ჭან.	გ-ურ-	ლაკ.	და-კ
სვ.	გ-უ გ-უი გუი-ილ-დ	ხუნდ.	რა-კ
(იხ. „შედარ. ლექსიკ.“ 65).		კაქურ.	რი-კ
		დარგ.	ურ-კი...

მხოლოდ ქართველურ ენებში არ მოეპოვება ამ ფუძეს წინსართი: აფხაზ. **ა-** განუსაზღვრელი ნაწევარია, წარმოშობით — კუთვნილებითი ნაწილაკი უგონოთა კლასისა; ჩაჩნური **ღუო-** ← **ღო-** (უ ფონეტიკური დანართია **ო-**სი); ჩაჩნ. **ღო-**, ლაკური **და-** კლას-კატეგორიის ნიშანია, სახელდობრ, **მეოთხე** კლასისა, მეოთხე კლასისავე ნიშანია ხუნდ. **რ(ა)** იმ განსხვავებით ოდონდ, რომ ჩაჩნურსა და ლაკურში **ღ-**კლასი მოქმედი, ცოცხალია, ხუნდურში კი — მეოთხე კლასი ამჟამად აღარ გაირჩევა, ისტორიის კუთვნილებად ქცეულა (იხ. ავტორის: „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნდურში“, ენიმკის მოამბე, I, გვ. 97-106).

ეგვე უნდა ითქვას დარგულის შესახებაც; აქ ამჟამად სამი კლასია განსხვავებული, მაგრამ მეოთხე კლასის გარკვეული კვალი ჩანს და სწორედ ამ კლასს ახასიათებს **ღ- || რ-** (იხ. П. Услар. Хюркил. яз., §9, გვ. 14).

ქართველურ ენებში ამ სიტყვას პრეფიქსი არსად მოეპოვება: კლას-კატეგორიის ნიშანი არ შენახულა.

სხვა კავკასიურ ენათა უმეტესობაში ამ სიტყვას სუფიქსი არ გააჩნია; ქართველურ ენათა **-ულ-** || **-ურ-** რომ აფიქსია, ამით სავსებით ცხადი ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პ. უსლარი ჯერ კიდევ გასული საუკუნის მესამოცე წლებში წერდა: „ამ სიტყვის [ა-გუ- „გულის“] ძირი ერთი და იმავე მნიშვნელობით გვხვდება და საერთოა ქართულისა, სვანურისა, აფხაზურისა, ადიღურისა და შეიძლება, ზოგი სხვა კავკასიური ენისათვისო“ (იხ. მისი *Абхаз. яз.*, გვ. 127, **ბუ**). ორიოდ წლის შემდეგ (1865 წ.) პ. უსლარი ბერჟეს სხვათა შორის წერდა: „ჩაჩნ. **დჷოგ**, ხუნდ. **რაკ**, ლაკ. **დაკ** — „გული“ ერთი და იგივე სიტყვააო, **დ** → **რ** ფონეტიკური პროცესია გასათვალისწინებელიო“ (იხ. *Чечн. яз.*, I отд., გვ. 46).

ბ. მარის შრომაში *Древ.-груз.-рус. слов. к 1-2 гл. еванг.* **გულ-** მოყვანილია **გვლ-** ძირის სახით და პიპოთეტურ ***გველ-**იდან მომდინარედაა გამოცხადებული. **გვლ-** ძირი სამთანხმოვნობის თეზითაა განსაზღვრული, მაგრამ რამ გამოიწვია ***გველ-**ის ვარაუდი, არა ჩანს!

-ულ- სუფიქსი გამოიყოფა სახელშიც **ას-ულ-**ი... მეგრ. **ოს-ურ-** „ქალი“, „ცოლი“ („ოსურ-სქუა“ — ქალიშვილი)... ჭან. **ოს-ურ-** || **ას-ურ-** (იხ. „შედარ. ლექსიკ.“ 38-39)....

ხუნძურში შვილის სახელად **-ას'** არის გამოყენებული; იმისდა მიხედვით, ვაჟიშვილია თუ ქალიშვილი, **-ას'** დაირთავს სათანადო კლას-კატეგორიის ნიშნებს: **ვ-ას'** — ვაჟიშვილი, **ფ-ას'** — ქალიშვილი. საფიქრებელია, რომ **ას-ულ-**ში გვაქვს სწორედ ეს ძირი **-ას'**. კლასკატეგორიის ნიშანი მას ხუნძურში პრეფიქსად მოუდის (ისევე, როგორც **რა-კ-**ს — იხ. აქვე, გვ. 41); ქართულში პრეფიქსი ამ სიტყვას არა აქვს, სუფიქსად კი **-ულ** მოეპოვება. ხუნძურში კლას-კატეგორიათა ნიშნების დართვით **-ას'**- ფუძიდან მიიღო „ვაჟიშვილისა“ და „ქალიშვილის“ სახელი, ქართულს ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნდა, **ას-** ძირი „ქალიშვილის“ აღსანიშნავად გამოიყენა, „ვაჟისათვის“ სხვა ძირს მიმართა (საბოლოო ანგარიშში ეს სხვა ძირი არაა, ოღონდ გადასხვაფერებულია დიალექტური წრის შესაფერისად; ამის შესახებ საუბარი გვქონდა მოხსენებაში: „ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ნომენკლატურა ხუნძურში“; წაკითხულია ენიმკი-ს კავკას. ენათა განყოფილ. სხდომაზე 1938 წ. 25 XII).

სვანური **ჰას-ჴიშ** (მრავლ. ლწ-ღს-ჴშ-ა) „ასული“ **-ჴშ-** || (**-ჴიშ-**) სუფიქსს გვაჩვენებს ქართულ **-ულ-**ის შესაბამისად (მდრ. ძუ-ელ- და ზან. ჯგ-ემ-...).

სულ- ფუძეშიც **-ულ-** შეიძლება გამოიყოს, როგორც აფიქსი: **ს-ულ-**; შდრ. მეგრ. **შ-ურ-**, სვან. **ქჷ-ინ** (ლაშხ. **ქ-უნ**), რომელიც ნ. მარს **ს-ულ-** ფუძის კანონზომიერ ეკვივალენტად მიაჩნდა.

სუნ- ფუძეში სუფიქსად **-უნ** გვაქვს: **ს-უნ-**; სვან. ქჷინ-ში ეგვევ **-უნ** სუფიქსი უნდა გვქონდეს: **ქუნ** → **ქჷინ** თვით სვანურის ნიდაგზე (მრავლ. ქუნ-ჰრ — შდრ. თხტიმ „თავი“ — მრავლ. თხუმ-ჰრ...).

სუნ- || **სულ-**ის სემასიოლოგიური დიფერენციაცია მეორეულია¹.

-ულ- სუფიქსი გამოიყოფა **წ-ულ-**შიც, რომელიც, ეტყობა, გარკვეულ დიალექტურ წრეში „შვილის“ ნაცვალის იყო, ვრცელი გამოყენება ჰქონდა ძვ. ქართულში და იხმარება ახლაც გამოთქმებში: ძმისწულ-ი, დისწულ-ი, ქალწულ-ი (=ქალიშვილი)...

...და მარკოს მამის ძმის წული ბარნაბადსი... სამოციქ., 133v.

... აჰა ესერა ქლწული მუცლად იღებს... სვან., 45.

... აღმოვალს განბრწყენილი და დამტკეცილი დისწულსა თჳსა... აწ დისწულად თჳსა იჩემა... სვან., 386.

ზა-ფხ-ულ-... სვან. **ლუ-ფხ-ჷ**... აფხ. **ა-ფხგნ-**.

... შევიდოდე ნავად მინდობითა ზაფხულისა მთა და კლდ აღმოითრევდ ნავსა ზღუთ მოსულასა (!) ზამთრისასა... ბასილ., 71v.

ბ. ჭარაიამ **ზა-ფხულ-**ი, სვ. **ლუ-ფხჷ** („ზაფხული“) და აფხ. **ა-ფხგნ** ერთმანეთის მონათესავედ მიიჩნია (იხ. მისი *Об отнош. афх. яз. к яфет.*, გვ. 35-37). ეს დაკავშირება საფუძვლიანია; სწორია ამ სიტყვის ერთი ნაწილის („ფხულ-“) ეტიმოლოგიური გააზრიანება „თბილის“ საფუძველზე.

შეიძლებოდა დაგვემატებინა: **ზა** — სვან. „წელიწადს“ ნიშნავს, **ზა-ფხ-ულ-** — „წლის თბილი დრო“, „თბილი სეზონი“.

საკითხავია ოდონდ **ფხ-ულ-** ფუძე მარტივია თუ ნაწარმოები? აფხაზურში სიტბოს აღსანიშნავად ხმარებული ძირი **-ფხ-** უნდა იყოს: ა-ფხბრა „სიტბო“, ს-ფხჷედტ — „ვთბები“ (П. Услар. "Абхаз. яз.", გვ. 154).

¹ თავდაპირველად მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. შდრ. **სულ-ნელ-**ი (აქედან: სურნელება): **სულ-** აქ **სუნ-**ს ნიშნავს.

მეგრულში **შურ-**ი, **სულ-**ის კანონზომიერი შესატყვისი, ორივე მნიშვნელობის მქონეა: შურქ ქანთხუ „სუნი ეცა“... შურ ი-წაულირი „სულწაწყმედილი“...

სვანურშიც ქჷინ — მეგრულის მსგავსად ნიშნავს სულსა და სუნსაც (ვარ. თოფურია).

საინტერესოა საბას თქმა: ქარცა სულად უთქვამთ... შდრ. ლათ. **spiritus**: 1. სული, 2. სპირტი (ე. ი. აქროლადი რამ).

ა-ფხ-გნ-ში -გნ ძირეულად ვერ მიიჩნევა, ამას მოწმობს სვან. **ლუ-ფხ-ჟ-ც**. მაშასადამე, **ფხ-ულ-** ფუძეში **-ულ** უნდა გამოიყოს.

ნ. მარსი **ზაფხულ-**ს განმარტავს, როგორც „წელს ცხელს“ („год горячий“, – Из Пиренейской Гурии – Избр. раб., т. IV, გვ. 23; "Зима" || "Смерть" (Из палеонтологии речи) – Избр. раб. т. II, გვ. 216 და შემდ.).

ასეთი ეტიმოლოგიური გააზრიანების საფუძველია ზაფხულ- ფუძის დაშლა ორ ნაწილად (**ზაფ-** – და **ხულ-**) და **ხულ-** ნაწილის დაკავშირება სომხ. **ჰურ-**თან („ცეცხლი“) და ქართ. **ხურ-**თან (ა-**ხურ-**ებ-ს), რაიც იგივე სომხ. **ჰურ** არის თურმე, ფონეტიკურად სახეცვლილი (Из. Пир. Гурии. – Избр. раб. IV, გვ. 23).

სიტყვის ასეთი დაშლა შედეგად იძლევა ძირეული და აფიქსეული მასალის ერთმანეთში არევას, შეუძლებელს ხდის აფხ. **-ფხ-** ძირი დავუდოთ საფუძვლად ზაფხულის ეტიმოლოგიას; პირველი ნაწილიც **ზა** აგრეთვე წყვეტს კავშირს სვან. **ზა-**სთან და რთული აღდგენილი ფორმების საშუალებით სომხ. **ამ-**ს („წელიწადი“) ეკედლება (თურმე **ამ** → ***ჰამ**; მეორე მხრივ, **ზაფ-** ← **ზამ**¹...). და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ „ცხელი“ გაჩნდეს განმარტებაში იქ, სადაც „თბილიც“ სრულიად საკმარისია.

სიტყვის აგებულება ამგვარი ანალიზისათვის საბუთს არ იძლევა. ასეთი ანალიზი მარჯვედ აქვს დახასიათებული თვით ნ. მარს, როცა ის პ. ჭარაიას შრომაში ერთგან ამბობს: „არ შეიძლება ფუძის შედარებით-ისტორიული ანალიზის ნაცვლად მოვახდინოთ მისი ანატომიური დანაწევრება, დამყარებული ნებისმიერად გამოსაყოფი ნაწილების გარეგნულ ბგერითს მსგავსებაზეო“ (П. Чарая, ხსენ. შრომა, გვ. 36).

§14. ატრიბუტივებში **-ულ-** სუფიქსი მკვეთრად გამოიყოფა რთული სუფიქსის **-ე-ულ-**ის შედგენილობაში: **-ე-ულ-** ← **-ევ-ულ-**: **თითო-ე-ულ...** **ჭირ-ვ-ე-ულ...** **შიშ-ნ-ე-ულ...** **მეყს-ე-ულ-** || **მეცხ-ე-ულ...** **დილ-ე-ულ...**

... მოწრაფედლა მივიდის... და თავით თჳსით თითოეულთაგან: მოთმინებასა: წრაფასა მარხვასა ისწავებნ... უდაბნ., 20v.

... ესე სასწაული... მბრძოლთა ზღუდე და შეუწევნელთა შემწე: ობოლთა მამა... ჭირვეულთა განმსუენებელ... (ჭირვეული — „ჭირიანი“, ე. ი. გაჭირვებული)... სვან., 99.

... რ⁷ მხიარულ და შიშნეულ იყო... უდაბნ., 134r.

... მიეცით მას მეყსეულად ზემო ჯდომად... ოქროპირ., 15v.

¹ ეს **ზამ-** ამოკვეთილია ზამთარ-იდან აგრეთვე ნებისმიერად. ზამთარში კი **ზა-** გამოიყოფა: **ზამთარ-ი**.

შდრ. ... მეყს თუ ჰკითხო ვისმე... უდაბნ., 56v.

... ხედვიდა და მეჯსეულად (!) [უხილ]ველ იქმნა... ბასილ., 1v.

... მისრულ ვიყავ მონ მცირედ პირველად და მეჯსეულად (!) იგი მოვიდა... იქვე, 3v.

... რა ესმა ჩემი მწუხრი დილეულ და სამხრის... დავით., 85v.

დილეულ აქ ზმნისართის როლში გამოდის: ფუძის სახით აღებული ზედსართავებისათვის ეს ჩვეულებრივია.

სუბსტანტივის მნიშვნელობა აქვს **-ე-ულ-** წარმოებას ისეთ მაგალითებში, როგორცაა:

დიაკ-ე-ულ- || დეკ-ე-ულ-¹... მჭელ-ე-ულ-... მროწ-ე-ულ-... ძოწ-ე-ულ-... ყუერბ-ე-ულ-...

... უკუეთუ სისხლი იგი ვაცთა და კუროთაჲდა ნაცარი იგი დიაკეულთაჲ რლ ეპკურებოდა შეგინებულთა მათდა... სამოციქ., 161r.

... ნაცრისა დეკეულისასა უპატოსნესი... ბასილ., 69a.

... არა იპოვების პური ჭამად არცა მჭელეული: არცა მდელოდ... უდაბნ., 74r.

... კაცი ვინმე იყო. მდიდარი. ამას ედგა არვე და მროწეული ფდ... სვან., 122.

... არცა გამოაჟუა მისსა არვესა და მროწეულსა... იქვე, 123₂.

... ძაძაჲ და ნაცარი პატოსან იპოვა: ვე შარავანდნი და ძოწეული... უდაბნ., 45v.

... მიქმენ ყუერბეული პირველად მე ვჭამო... უდაბნ., 159v.

ეგვივე **-უნ-** (|| **-ულ-**) სუფიქსი საფიქრებელია გვქონდეს **-ს-თ-უნ-** ფუძეში²:

სა-ს-თ-უნ-ალ-... ს-თ-უნ-ით-... შდრ. **სა-ს-თა-ულ-...** მეგრ. **ო-რ-თუმ-ელ-ი** „სასთუმალი“.

... უდვა უფალმან სასთუნალ მისა პური და წყალი... უდაბნ., 61v.

... ერთი იგი ჯდა ერთ კერძო ადგილსა მას და ერთი იგი ჯდა

¹ ვარ. თოფურიას შესაძლებლად მიაჩნია **დეკ-ე-ულ-**ში იგივე **-კ-** ძირი გამოიყოს, რაც **მა-კ-ე** (|| **მა-კ-ენ-**)-ში გვაქვს; **დე-** ასეთ შემთხვევაში პრეფიქსი იქნებოდა (ნივთის კატეგორიისა).

² თუ აქ **-ნ-** მეორეული არაა.

ს თ უ ნ ი თ პ ა ტ ი ვ უ ყ ვ ე ს ს თ უ ნ ი თ ს ა მ ა ს ა დ გ ი ლ ს ა თ ა ვ ი ს ა მ ი ს თ ვ ს ... უ დ ა ბ ნ ., 123r.

სთუნითი = ს ა ს თ უ ნ ლ ი ს მ ხ რ ი ვ, სასთუნლისაკენ.

სასთუნალ-ი ნაწარმოები **სთუნ**-ისაგან: **სა-სთუნ-ალ-**. **სთუნ-**, თავის მხრივ, ნაწარმოები ფუძე უნდა იყოს იმავე ძირისაგან, რომელიც **თ-ავ-** სიტყვაში გვაქვს: **თავ-უნ-** → **თ-ვ-უნ-** → **თ-უნ-** ანდა: **თ-უნ-**, სადაც **-უნ** || **-ავ...** თავსართი **ს-** ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი იქნებოდა (იხ. აქვე, მეორე ნაწილში).

თავ- ფუძესთან კავშირის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ადგილი შუშანიკის წამებიდან, სადაც **სასთუნალ**-ის გვერდით **სასთაულ**-ია ნახმარი: **სა-ს-თა-ულ-**, ეჭვს გარეშეა, **თავ**-ისაგანაა ნაწარმოები.

... და მიერ დღითგან ვინადთგან პურობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არ მიდვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ... სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო... შუშან., 3816-391.

§15. თითო-ოროლა შემთხვევა **-ოლ** სუფიქსისაც უნდა გვქონდეს: **ც-ოლ-... ბრკ-ოლ-...**

...ქორით გარდამო ცოლი იყო მოსაგრისაჲ... სვან., 119.

მეგრულსა და ჰანურში **ჩ-ილ-** გვაქვს: **-ილ-** ← **-ულ-** ← **-ოლ-** (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 30-31). ძირი იგივე უნდა იყოს, რაც **ც-ემა**-ში.

... დაამდაბლნეს ბრკოლითა ფერჯნი მისნი... დავით, 154v.

... რ ივსენ ფერჯნი ჩემნი ბრკოლისაგან... იქვე, 169r.

ბრკ-ოლ-ში იგივე მარტივი ფუძე გვაქვს, რაც **ბორკ-ილ**-ში: **-ოლ**-სუფიქსის დართვისას ფუძისეული **-ო-** დაკარგულია, **-ილ-** სუფიქსის დართვას ხმოვნის დაკარგვა არ გამოუწვევია.

ბორკილ- მიმღობური წარმოება ჩანს (**ბორკ-ავ-ს** — **ბორკ-ილ-ი**), **ბრკ-ოლ**- სუბსტანტივია. იგი უფრო ძველი წარმოებისა უნდა იყოს, ვინემ **ბორკილ**-.

ბრკ-ოლ- ფუძისაგანაა ნაწარმოები **ა-ბრ-კ-ოლ-ებ-ს**, და **ბრკ-ოლ-ებ-ა...**

§16. ისეთ სუბსტანტიურ და ატრიბუტიულ ფუძეებში, რომელთაც ბოლოს **-ილ-** მოუღის, არის უდაო შემთხვევები, სადაც ირკვევა, რომ ფუძე ნაწარმოებია და **-ილ-** საწარმოებელი აფიქსია; რასაკვირველია, აქ რთულდება საკითხი ნამყო დროის მიმღობის **-ილ**-ისაგან ამ **-ილ**-ის გამიჯვნისა.

ასეთია, მაგალითად, **ჩჩლ-... || ჩჩჩლ...**

... შობილი ყრმად ჩჩლად აჩუენებდა... უდაბნ., 37r.

... ვბოძა მის ჩჩლისა რლსა გამოჰქონდეს რქანი და ჭლაკნი...
დავით., 104v.

... დაიცვნეს ჩჩლნი ონ... იქვე, 169r.

... სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩჩლთა მათ ვორცთა მისთა...
შუმან., 27₁₂.

ჰან. **ჩჩჩ-უ || ჩჩ-უ** და მეგრ. **ჩჩ-უ -ილ-**ის ადგილას **-უ-**ს გვაძლევს (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 242-243).

ეს დადებითად წყვეტს **-ილ-**ის გამოყოფის საკითხს. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თვით ქართულში მოიპოვება საამისო საბუთი ნაწარმოებ ფუძეებში: **სი-ჩჩ-ო, სი-ჩჩ-ო-ე-ბ-ა-, უ-ჩჩ-ო-...**

... ამიერითგან ვიწყო და მიგითხრა თქნ სიჩჩო მთგნ ჰასაკისა მისისად... ოქროპირ., 5v.

... რა სიჩჩუებისა და ვსნილებისა მის: ცხორებისა სიბოროტჳ კუალად განჰმართოს... უდაბნ., 43v.

... რ უჩჩო არს... სვან., 347r.

-ილ- არ ჩანს არც ერთ ამ წარმოებაში: **სი-ჩჩ-ო, სი-ჩჩ-ო-ე-ბ-ა, უ-ჩჩ-ო...** ცხადია, **-ილ-** აფიქსია.

მაგრამ ხომ არ არის იგი მიმღეობის აფიქსი, და **ჩჩლ-** — წარმოშობით მიმღეობა? საქმე ისაა, რომ ეს მარტივი ფუძე, **-ილ-** მოკვეცილი, ზმნასაც აქვს გამოყენებული:

... მრავალთა მათგანთა აღეჩჩუს გული მათი... ოქროპირ., 80v.

აღეჩჩუს გული = აუჩვილდება ხოლმე გული. აქედან შეიძლება **ჩჩლ-** (**ჩჩ-ილ-**) მიგვეჩნია ნამყო დროის მიმღეობად...

ეგვე ითქმის **ფქვილ-**ის შესახებ.

... კნინთა ფქვილითა სტუმართ-მოყუარებასა აღასრულებდა...
უდაბნ., 43v.

ეს უნდა იყოს წარმოშობით მიმღეობის ფორმა ნასახელარი ზმნისა ფქვაგ-ს (სახელია **ფქ-**, რომელიც სვანურში ახლაც „ფქვილს“ ნიშნავს; იხ. „შედარებ. ლექსიკ.“, გვ. 171-172).

ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს **მახულ**-იც: ...მახული იქცევისად... სვან., 208r.

მაგრამ ასეთი ახსნა ვერ მიეცემა სიტყვას **ფრცხ-ილ-ი**.

... და ვერ შეიპყრას ფრცხილიცა ერთისა მათგანისა... უდაბნ., 30v.

ჰან. **ბუცხ**-ა იმავე ფუძეში **-ილ**-ის ადგილას **-ა**-ს გვაჩვენებს. ამგვარად, **-ილ** მარტივ ფუძეში არ შედის, **იგი აფიქსია**. მიმღეობაზე ლაბარაკი „ფრცხილთან“ დაკავშირებით შეუძლებელია. **ფრცხ** || **ბუცხ**-ის სხვაგვარი ანალიზი აქ არ გვინტერესებს (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 61-62).

-ილ სუფიქსი უნდა გვქონდეს **წ-ილ**-შიც:

... და აღმოუჭდა წილი ასიადსად იოვანწს ზა... სვან., 212.

შდრ. **ნა-წ-ევ-არ-ი**:

... და მისწუდების იგი... სწლისა ნაწევართა და ტვნთა... სამოციქ., 152v.

-ილ- მთელ რიგ ფუძეებში გვაქვს, რომლებიც IX-X საუკუნის ძეგლებშია დადასტურებული: **მტილ-ი**, **ცვლ-ი** (|| **ცუილ-ი**), **წყვლ-ი**, **მდილ-ი**, **თრთვლ-ი**:

... მტილად ნიგოზთასა შეგედ რ მტილ იყო... უდაბნ., 102r.

... მტილი დაჯსული და წყაროჲ დაბეჭდული... იქვე, 108v.

... იქმნა გული ჩემი ვა ცუილი დადნობილი შუა მუცელსა ჩემსა... დავით., 41v (ჩვეულებრივია: **ცვლ-ი**).

... და მწვე წყვლთაგან მისთა... სვან., 206.

... ვა მდილმან მატლი დაცრცნის... იქვე, 117.

... აკწთ თრთვლი და თოვლი... დავით., 236v.

§17. ორიოდ შემთხვევაში **-ინ**-იც მოიპოვება: **ტვნ-ი**, **გვრ-გვნ-ი**. (შდრ. **მ-გურ-გუ-ალ-ი**).

... და მისწუდების იგი სწლისა ნაწევართა და ტვნთა... სამოციქ., 152v.

... არა საულ რწ იგი პირველად ენკენია ყო მეფობისა გვრგვნი... სვან., 15.

მაგრამ ზემოხსენებულ მაგალითებში იმის ჩვენება, რომ **-ილ** || **-ინ**-სუფიქსია, არ ხერხდება.

§18. სუბსტანტივებში სუფიქსად ბოლოკიდური **-ლ-ც** დასტურდება; მთელ რიგ შემთხვევებში ამ **-ლ-ს** არაძირეულობა ხელშესახებად შეიძლება იქნეს ნაჩვენები.

ა. ვაშ-ლ-... მეგრ. **უშქ-ურ-...** ჭან. **ოშქ-ურ-** || **უშქ-ურ-** || **უშქ-ირ-...** || **უშქ-ი-(ი)-...** სვან. **ჟისგ-ჟ-...** ხუნდ. **მეჩ-...** წახ. **ეჩ-...** რუტულ. **წჩ-...** ლაკ. **იჩ-...** კიურ. **იჩ-...**

... ბრწყინვიდა... ვა ვაშლი მეწამული თავსა ზა გოდლისასა... ოქრობირ., 232r.

მეგრულში ამ **-ლ-ს** შესაბამისად **-ურ-**აა; ეგვევა ჭანურში ძირითადი (სხვა ვარიანტები ამ **-ურ-**ის სახეცვლაა; იხ. „შედარ. ლექსიკ.“ 121); სვანურში **-ლ-ს** ნაცვლად **-ჟ** გვაქვს. ამას ქვემოთ დავუბრუნდებით.

ქართ. **ვაშლ-** ფუძე მოჩანს ხუნდ. **მეჩ-**ში, რომელიც „ვაშლს“ ნიშნავს: თავკიდური ბგერის მხრივ კანონზომიერი შეფარდებაა; **-ლ-** სუფიქსი არ ჩანს (დაწვრილებით — ავტორისავე მოხსენებაში: „ლექსიკური შეხვედრები ხუნდურისა ქართველურ ენებთან“).

ბ. თავ-ლ-... მეგრ. **თოფ-ურ-...** ჭან. **თოფ-ურ-...** || **თოფ-რ-...**

... და უტკბილჴს არიან უფროდს თავლისა გოლეულისა... სვან., 79.

... მიუბყრეს მას თავლისაგან გოლი... უდაბნ., 123r.

... განგაძღნა თქნ თავლითა და თქნ ნიორისა მყრალისა გული გითქუმიდა... სვან., 155.

-ლ-ს შესაბამისად ჭანურსა და მეგრულში აქაც **-ურ-** გვაქვს (მაგალ. იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 115); საინტერესოა ჭანური ვარიანტი **თოფ-რ-**: **-რ-**ს აქ ისევე არ უძღვის ხმოვანი, როგორც ქართულში **-ლ-**ს.

გ. ცე-ცხ-ლ-... ჭან. **და-ჩხ-ურ-...** || **და-ჩხ-ირ-...** მეგრ. **და-ჩხ-ირ-...** ქართ. **ცხ-ელ-...** **სი-ცხ-ე-...** **სა-ცეცხ-ურ-...**

... და ვა ცეცხლსა გარე წარჰჴდა... უდაბნ., 24v.

... და თაყუანის სცემდა ცეცხლსა... შუშან., 4გ.

... ჴელთა აქუნდეს ოქროდსა საცეცხური... ხანძთ., მდგ.

... დეკანოზობასა ჩემსა საცეცხური მან ჴელისა ჩემისაგან არაოდეს მიმიხუნაო... იქვე, მბ¹¹.

ქართ. **-ლ-** — ზან. **-ურ-...**

დ. მატ-ლ-... მეგრ. მუნტ-ურ-: -ლ- — -ურ-.

... სახედ რად იმდერიან მატლნი შს დამპალსა ჯორცსა... სვან., 454.

... და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ... შუშან., 39¹⁴.

ე. თხრამ-ლ-... მეგრ. თხომ-ურ-: -ლ- — -ურ-.

... დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჯნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ... შუშან., 39¹³.

... და განვბანეთ იგი... თხრამლისაგან... იქვე, 454.

ვ. ცრემ-ლ-... მეგრ. ჩილამ-ურ-... ჭან. ჩელამ-ურ-ე || ჩილამ-რ-ე...

... დავარდა იგი ქუეყანასა ზედა... და ცრემლითა მწართა იტყოდა... შუშან., 5¹⁵.

... და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა... შუშან., 28¹⁰ ზევ.

ჭანურში ამ სიტყვას მთელი რიგი ვარიანტები აქვს (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 73), აქ მოგვყავს ისტორიულად ძირითადი; იგი არ განსხვავდება მეგრულისაგან (ბოლოკიდური -ე სახელობითის ნიშანია და ფუძეში არ შედის).

ზანურში -ურ- ქართ. -ლ-ს ბადლად გვაქვს. მარტოოდენ რ-ს შეიცავს ერთი ჭანური ვარიანტი (შეიძლება -უ-ს დაკარგვას აქ ხელს უწყობდეს წინამავალი -მ-).

ზ. ძალ-ლ-... მეგრ. ჯოდ-ორ-... ჭან. ჯოდ-ორ-... სვან. ჟედ-.

... მათ ქს ძალლად და ღორად ჰხადოდა... სვან., 344.

ქართ. -ლ-ს შესაბამისად მეგრულსა და ჭანურში -ორ-აა. სვანურში არაფერი ჩანს, თუმცა მიცემითში ჟ დაჩნდება: ჟალ-ჟ.

თ. მატყ-ლ-... მეგრ. მონტყ-ორ-... ჭან. მონტყ-ორ-...

... შემდგომად სხურებისა მის წყლისა მატყლითა მეწამულითა და უსუპითა ელია ამაღლდა... სვან., 384.

-ლ-ს შესატყვისად მეგრულსა და ჭანურში წარმოჩენილია -ორ- (ისევე, როგორც: ძალ-ლ- — ჯოდ-ორ-... სახ-ლ- — ოხ-ორ-...).

სხვა მხრივ ქართულისა და ზანურის შესატყვისობისათვის იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 95.

ი. სა-ხ-ლ-... მ-სახ-ურ-... ჭან. ო-ხ-ორ-... მეგრ. [ო-ხ-ორ-]...

... ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა... შუშან., 161.

ჭანურში **ო-ხ-ორ-**ი ერთად ერთი სიტყვაა ამ მნიშვნელობით; მეგრულში **ო-ხ-ორ-** დაცულია ნასახელარ ზმნებში: **ო-ხ-ორ-ან-**ს „სახლობს“, გეგინი-**ხ-ორ-**უ — „გადასახლდა“... ნაზმნარ სახელებში: **მა-ხ-ო-რ-**ო — მოსახლე, **ნო-ხ-ორ-**ი — ნამოსახლევი, „ნასახლარი“... (დაწვრილებით იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 150-151, 430).

ქართ. **-ლ-** — ზანურ. **-ორ-**.

კ. სი-სხ-ლ-... ჭან. დი-ცხ-ირ-... მეგრ. ზი-სხ-ირ-... სვან. ზი-სხ-... რაჭ. ზი-სხ-ა: „უმი ხორცის ნაწყენის სისხლად გახეთქა“ (იხ. ვუკ. ბერიძე. „სიტყვის კონა“, გვ. 15).

სი-სხ-ამ-ი დილა — „უთენია დილა“ (იხ. ილ. ჭყონია. „სიტყვის კონა“, გვ. 48).

სისხლ-ის **-ლ-**ს ადგილს ჭანურსა და მეგრულში იჭერს **-ირ-**; სვანურში შესაბამისი ოდენობა არა ჩანს: შეიძლება იყო და დაიკარგა, შესაძლოა არც ყოფილა (ძირეული მასალისა და თავსართის საკითხს აქ არ ვეხებით; იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 72).

ლ. ვე(რ)ცხ-ლ-... მეგრ. ვარჩხ-ილ-... სვან. ვარჩხ-ილ-... (მეგრული-საა)... ლაკ. არცუ... დარგ. არც... ხუნდ. მარაც...

... ვხედევდ დამოტევებულთა ოთხთა კიშტეთა. სამნი ოქროდსანი და ერთი ვერცხლისა... სვან., 139.

... და შეკიცულ იყო ვერცხლისა იგი ოქროდსასა მას ერთსა... იქვე, 139.

... და მათ მიიღეს ვერცხლი იგი... ჰადიშ., 64b₂.

ქართ. **-ლ-**ს ადგილს მეგრულში იჭერს **-ილ-**. ლაკურის, დარგულისა და ხუნძურის ზემოთ მოყვანილი ვარიანტებიდან, ყოველ შემთხვევაში, დარგულსა და ხუნძურს **-ლ-**ს შესაბამისი არაფერი მოეპოვება; არა ჩანს **-ხ-**ც არც ერთ ენაში ხსენებულთაგან: **-ხ-** ფონეტიკურადაა განვითარებული **ც-**ს შემდეგ (დადესტნის ენებში ვერცხლ-ის ვარიანტების შესახებ საუბარია მოხსენებაში: „ლექსიკური შეხვედრები ხუნძურისა ქართველურ ენებთან“).

მ. თეს-ლ-... ნა-თეს-ავ-... მეგრ. თას-¹.

... ვა კაცმანლა დასთესის თესლი ქყენსა ზა... ჰადიშ., 71b₂.

... და თესლი იგი აღორძნდებინ... იქვე, 71b₂.

... აწ იქსნა საცთურისაგან ნათესავი კაცთაჲ... სვან., 72.

ქართული ნაწარმოები ფუძიდან — ნა-თეს-ავ- — ჩანს, რომ თეს-ლ-ში -ლ- აფიქსია.

ნ. ვამ-ლ-... მე-ვამ-ლ-ე-... უ-ვამ-ლ-ო-... უ-ვამ-ურ-...

... არა ღირს ვარ მე დადრეკად და განვსნად საბელთა ვამლთა მისთასა... ჰადიშ., 65b₁.

... კუალად პავლს ყლთა წარმართთა მე ვამლესა შეუთვალავს... რ შეპმოსდეს შიშუელთა... სვან., 173.

... და მოჰყვანდა... შუშანიკ უვამური და თმა-გარდატევებული ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი... შუშან., 28₄.

... და განიყვანეს იგინი ნავისაგან... შეურაცხებით უვამლონი... კიმენ., 68₂₈.

ვამლ-ში -ლ- რომ აფიქსია, უ-ვამ-ურ- სიტყვის საწარმოებელი ფუძით ირკვევა.

ო. წინ-ლ-... წინ-ნ-ა-... მე-წინ-არ-...

... მღვთმარეები ჯორები გარემოდს ყლდ და მეწინარნი შემართეს რთ დაუცხრომელ იყო სიმღერაჲ იგი პირუტყუთაჲ მათ და წინაჲ... უდაბნ., 32v.

ნაწარმოები ფუძეები — წინა-, მეწინარ- — გამოგვაცოფინებს წინლ-ში -ლ- აფიქსს.

პ. მად-ლ-... უ-მად-ლ-ო-... || უ-მად-ურ-...

... ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა საესს... ზეცი-სა კაცი... ხანძთ., ბ₁₀ ქვ.

ჟ უმადლონო... კეთილის მყოფი ღი განამწარეთ... სვან., 155.

¹ თუ თეს- იმავე ძირის მქონეა, როგორისაცაა სვან. ლი-ლწ-ში („თესვა“), როგორც ამას ვარ. თოფური ა ვარაუდობს, მაშინ თე- ქართულში (თე-ს-ლ-) და ლწ- (ლწ-ში) სვანურში პრეფიქსი აღმოჩნდება.

ხ თქნ უმედგრეს ხართ და უმადლო უფროდს მათსა... ოქროპირ., 23r.

უმაღ-ურ- უფრო ძველი წარმოებაა; მასში წარმოდგენილია ფუძე **მაღ-** უ-ლ-ასოდ. -ლ აფიქსია.

ჟ. ღუაწ-ლ-... ღუწ-ა... მო-ღუაწ-ე-... || მო-ღუაწ-... უ-ღუაწ-...

... მვედარმან სძლო და იგი იძლია. მღედარმან (!) ღუაწლი იგი დაიმორჩილა... სვან., 121.

... მვედარი ღუაწლსა მას ერეოდა... და არა რად უჭირდა ღუაწლისა მისთვის... იქვე, 121.

... იგი მოსაბ. მოყუასნი ჩემნი ღუაწლსა შინა არიან და მე ვიშუებდეა... იქვე, 121.

... და მოკუდა ღუაწლსა მას... იქვე.

... ინებე ვსნად და ღუწად ჩნი... ბასილ., 2r.

... გამობრწყინდა... კეთილად განმგებელი, მოღუაწც და უდაბნოთა ქალაქ-მყოფელი... ხანძთ., 2₁₀ ქვ.

... და ჩუენისა ცხორებისათვის უფროდსა უკუდაგებისა მოღუაწ გუექმნეს... სვან., 83.

... და ღთ იქმნა მოღუაწ კაცობრივსა... იქვე, 80.

... ადგილი იგი ჩუენი უღუაწ არს... იქვე, 136.

მოღუაწ-, უღუაწ- სხვა მხრივაც არის საინტერესო (ამაზე ქვემოთ); -ლ-ს გამოსაყოფად ღუაწ-ლ-ში ნაჩვენები ნაწარმოები ფუძეებიც საკმარისია.

რ. ი-ფქ-ლ-... ფქ-ვ-ილ-... წის-ქვლ-... სვ. ფიქ „ფქვილი“.

... აპფხუარა საცთური და დაპნერგა ჭეშმარიტებად... აღფხურნა ეკალნი და დასთესა იფქლი... უდაბნ., 136r.

... სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა ფრიად კეთილსა... ხანძთ., 5₇ ქვ.

... შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე ვითარცა ღუარძლი.. ხანძთ., 5₂₀ ქვ.

... სწდ ნაბჭობი და ქულქაგთად და საზეთეთად და წისქვლთად ყლი შესამოსლად გწეყოფვოდის: ...ანდერძი, 107.

... სადა მეცნიერებით იფქლი არ იშრომებინ მუნ: შიმშილი ძლიერი არნ... ბოლნ., 356.

... ვე აღსლვამდჳ მის თავისა. ისუნებნ. იფქლისადჳ არს. ანუ ქრთილისად. თუ ქრთილისად არნ. ივლტინ მიერ. და იფქლისასა მას მივიდის რ ქრთილი იგი პირუტყუთა საჭმელ არს ვა იობმან თქუა. იფქლისა ჩემისა წილ აღმომიცენდინ მე ქრთილი... სახისმეტყ., 209.

ფექ- უნდა იყოს საწარმოებელი ფუძე ი-**ფქ-ლ**-ისათვის; ფუძისეული -**ე**- დაკარგულია ი- პრეფიქსის დართვის გამო (შდრ.: ვამ-ს — მი-ვმ-ს, მ-ჭამ-ელ-ი, მაგრამ: სა-ჭმ-ელ-ი, დგა-ს — მი-დგ-ს...). მეგრული და ჭანური ეკვივალენტების შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 171-172.

იფქლის კულტურის სიძველის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი: „საქართვე. ეკონომიური ისტორია“, I, გვ. 325, 395-397, 406-409...

სხვათა შორის, სვან. **იოქ** იმავე ძირს არ უნდა შეიცავდეს, რაც **იფქლ**-ში ჩანს: როგორც აღნიშნული გვაქვს, სვან. **ფექ** „ფქვილი“ და **იფქლ**- უკავშირდება ერთმანეთს — ფონეტიკურადაც და სემასიოლოგიურადაც (შდრ. „საქართვე. ეკონ. ისტორია“, I, 327).

სათუთა **იფქლ**-ისა და **იფხლ**-ის კავშირიც (შდრ. იქვე, 396). სირთულეები ახლავს **იფქლ**-ის მეგრულ ვარიანტად **ირქ**-ის მიჩნევასაც (იქვე, გვ. 327).

ს. მ-კვრცხ-ლ- (|| **მ-კურცხ-ილ-**)...¹ მეგრ. **კუჩხ**-... ჭან. **კუჩხ**-ე... სვან. **კიშხ**-...

... მოიწინეს რად კონსტანტინებოლედ დასლვასა ოდენ მზისასა. მოიწინეს ორნი მევრმლენი და ათექუსმეტნი მკვრცხლნი... კიმენ., 6826.

... იცნნეს იგინი მრავალთა. და მკურცხილნი ყლთავან ქალაქთა მირბიოდეს მუნ... ჰადიმ., 76b₂-76a₁.

... ვა ესმა ერსა მას მისდედა მას მკურცხილ ქალაქებისავან... ჰადიმ., 31a₂.

... არა ერთსა გზასა მიჰყვანდეს იგინი. და არცაღა იყვნეს მკვრცხლ- მავალ. არამედ სხდეს იგინი ცხენთა ზედა და სწრაფით ავლინებდეს მათ... წარტყუნ., მზ¹⁵.

მკვრცხლ- ძვ. ქართულში „ქვეითს, ე. ი. „ფეხით მავალს“, ნიშნავს; ბუნებრივია, თუ მისი ფუძე „ფეხს აღნიშნავდეს; ასეთს ფუძეს აქ წარმოადგენს **კვრცხ-**; მისი ზანური შესატყვისი **კუჩხ-** ახლაც ფეხს ნიშნავს; მას

¹ შეიძლება **მ-კვრცხ-ლ-** ← **მ-კვრცხ-რ-** დისიმილაციის გზით მიღებულად გვეცნო, მაგრამ აქაც ისევე, როგორც **მარჭუ-ლ-** (|| **მარცხ-ლ-**)ში **-ლ რ-**სავან მიღებული არ უნდა იყოს (შდრ. მეგრ. **მარძგვან-ი**).

-**ლ**-ს ეკვივალენტი არ გააჩნია. თავკიდური **მ**- და ბოლოკიდური -**ლ**- აფიქსებია (**მ**-ს შესახებ იხ. მეორე ნაწილში). სვან. **ჭიშხ-კუჩხ**-ის ვარიანტია (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 62-63).

კუარცხლ-ბეკ...

...ვერ გულისხმა ყო ვდ ცანი საყდარ არიან მისა და ქყნად კუ-
არცხლ-ბეკ ფერჯთა მისთა... სვან., 397.

... თაყუანის ეცით კუარცხლ-ბეკსა ფერჯთა მისთასა... იქვე, 377.

... თყნის ეცით კრცხლ-ბერკსა ფერჯთა მისთასა... დავით., 146r.

კუარცხლ- და **მკვრცხლ-** ერთი და იმავე ოდენობის ვარიანტებია, ოდონდ ასახსნელია ძირეული ხმოვნის სხვაობა: **ა — ი**.

რაკი ერთ-ერთ მათგანში -**ლ**- სუფიქსია, მეორეშიც მისი კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს სხვაგვარი.

სპეციალურ განხილვას საჭიროებს **კუარცხლ-** ფუძისა და მეგრ. **კვარჩხ**-ის („უკულმართი“), **კვარჩხან**-ის („მარცხენა“) ურთიერთობა.

ტ. ოფ-ლ... მეგრ. **უფ-უ...** ჭან. **უფ-ი...** სვან. **უეფ...**

... ჰლომნიდეს მას და მოჰვოცდეს ოფლსა პირისა მისისასა... კი-
მენ., 152²⁹.

ქართ. -**ლ**-ს ადგილას მეგრულს მოუდის -**უ**; მისი ზეგავლენით თავ-
კიდური **ო** → **უ**: **ოფ-უ** → **უფ-უ**. სვანურში -**ლ**- || -**უ**-ს კორელატი არა
ჩანს. ჭანურში -**უ**, ალბათ, იცვალა **ი**-დ: **უ** → **ი**. უკანასკნელი კი სახელო-
ბითის ახლანდელ -**ი**- ნიშანში აირია.

მეგრულთან შეპირისპირება ააშკარავებს, რომ **ოფ-ლ-** ფუძეში -**ლ**-
აფიქსია.

უ. კუამ-ლ... შდრ. **კუმ-ოდ-ა.** -**ლ**- აქაც აფიქსია.

§ 19. ატრიბუტივებშიაც არის -**ლ**- სუფიქსის ხმარების შემთხვევები.

ა. მარჯუ-ლ¹... შდრ. **მარჯუ-ალ**... **მარჯუ-ე**... **უ-მარჯუ-ცხ**... **ჰ-მარჯუ-ს**...
გა-ე-**მარჯუ-ა**... (საილუსტრაციო მასალა იხ. აქვე, გვ. 28-29).

¹ იხ. შენიშვნა გვ. 54.

ბ. მარცხ-ლ-... მარცხ-ნ-... მარცხ-ენ-ე... და-ა-მარცხ-ა... და-მარცხ-დ-ა...

...მოადგეს მას მარჯულ და მარცხლ... სვან., 311.

... ვითარცა საფლავით გამოსრულნი მიმოდაიხედვიდეს მარჯუნ და მარცხნ. რადთამცა სამე იხილა ძმამან ძმად თუსი... წარტყუნ., მზ¹³.

... დადგა მარცხენით ჩემსა ჩრდილოდთ კერძო... იქვე, 139.

გ. მარჩობ-ლ-ი (=ორმაგი)... მარჩობ-იგ-ი (=ტყუბი)...

... ამიერითგან განმამხიარულე მარჩობლ მოსვლითა მაგით... სვან., 138.

... და მისცა რად იგი თანა ედგა მარჩობლ... იქვე, 279.

... მარჩობლი კაცი სლთაგან და ჯორცთა შეყოფილ... იქვე, 383.

... ყწივე მარჩიოსანი მარჩობლისა მისთვის მადლისა ვიტყვ... იქვე, 386.

მარჩობ-იგ-... ხ¹ თომა რლსა ერქუა მარჩიბიგ არა იყო მათ თანა... უდაბნ., 152r.

... ორნი ვინმე ყრმანი ჯორციელად ძმანი და მარჩიბიგად შობილნი ერთსა შინა ჟამსა... წარტყუნ., მზ².

მარჩობლი ზედსართავია (იხ. ზემოთ), მაგრამ მარჩობლ- ზმნი-სართის როლში გამოდის, როგორც ზედსართავის ფუძე (მდრ. ... სცა მას ძლიერ...).

მარჩიბიგ-ს საწარმოებლად აქვს აღებული იგივე ფუძე [მ(ა)-რჩობ-]: -**იგ**- სუფიქსის დართვისას იკარგება -**ო**-: მარჩობ-იგ → მარჩიბ-იგ.

მარჩობ-ლ-ში -**ა**- დაკარგულია -**ობ**-ის ზეგავლენით. -**ობ**-იც სუფიქსია და -**ლ**-ც.

დ. ბერძ-ლ-... ბერძ-ულ-...

... რ¹ არა იცოდა სიტყუად ბერძლ... სვან., 298 (ე. ი. არ იცოდა ლაპარაკი ბერძნულად)...

... ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის.. ხოლო კურიელედსონი ბერძულად ითქუმის... ხანძთ., მთ⁶ ქვ.

ბერძ-ლ- იგივე **ბერძ-ულ-** უნდა იყოს: -**ულ-** → -**ლ-**. რას უნდა გამოეწვია ეს? ამაზე ქვემოთ. აქ ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რომ -**ლ-** შეიძლება ზედსართავებშიც გვქონდეს და ეს -**ლ-** ← -**ალ-** || -**ულ-**.

§20. რა მივიღეთ?

a. აქამდის განხილულ ფუძეებში გამოყოფილ იქნა სუფიქსები:

-ალ-: წყ-ალ-... კუ-ალ-... ძუ-ალ-... ძ-ალ-... ახ-ალ-... მართ-ალ-...
და სხვ.

-ელ-: ყინ-ელ-... ქს-ელ-... უღ-ელ-... სთუ-ელ-... ცხ-ელ-... გრძ-ელ-...
... ძნ-ელ-... წით-ელ-... ძუ-ელ-... თხ-ელ-... და სხვა.

-ულ-: გ-ულ-... ს-ულ-... ზაფხ-ულ-... (მამ-ულ-... დედ-ულ-... ჭირგ-
ე-ულ-... მეყს-ე-ულ-...) და სხვ.

-ილ-: ფრცხ-ილ-... წ-ილ-... ჩხუ-ილ- || ჩჩულ-...

-ოლ-: ც-ოლ-... ბრკ-ოლ-...

-ლ- ვაშ-ლ-... თაფ-ლ-... ცეცხ-ლ-... მატ-ლ-... ძალ-ლ-... ჯამ-ლ-...
წიხ-ლ-... ლუაწ-ლ-... ი-ფქ-ლ-... მკვრცხ-ლ-... და სხვა.

-ა-: ძმ-ა-... დ-ა-... დედ-ა-... მამ-ა-... გზ-ა-... ქვ-ა-... რქ-ა-... დაბ-ა-...
ტბ-ა-...

-ე-: დღ-ე-... ღამ-ე-... ტყუ-ე-...

-ან-: ძმ-ან-... დედ-ან-... დაბ-ან-...

-ავ-: გზ-ავ-...

-ენ-: დღ-ენ-... ღამ-ენ-... ტყუ-ენ-... ბრძ-ენ-...

-ევ-: დღ-ევ-...

გავრცელების მხრივ: ყველაზე ხშირია **-ელ-** და **-ლ-**; მერე მოდის **-ალ-**; ცოტაა **-ილ-**; კიდევ უფრო მცირეა **-ულ-** და **-ოლ-** სუფიქსთა ხმარების შემთხვევები (არსებითი და ზედსართავი სახელები გვაქვს მხედველობაში).

რაც შეეხება **-ან-**, **-ავ-**, **-ენ-**, **-ევ-** სუფიქსებს, თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, ისინი შემონახულან ნაწარმოებ ფუძეებში.

b. **-ლ-**-ს (ნაწილობრივ **-ნ-**-ს, **-ვ-**-ს) შემცველი აფიქსები სამგარი სახისაა: **სრული**, **თანხმოვან-დაკარგული** და **ხმოვან-დაკარგული**.

ა. სრული: -ლ-ს ხმოვანი უძღვის; გვაქვს: -ალ-, -ელ-, -ილ-, -ულ-, -ოლ-.

ბ. თანხმოვან-დაკარგული: სუფიქსისაგან დარჩენილა მხოლოდ ხმოვანი; დაკარგული ჩანს ქართულში — **-ნ-** (უპირატესად) და **-ვ-**, ზანურში — **-ნ-**, **-ლ-**; გვრჩება ხმოვნები **-ა-**, **-ე-**, დაკარგვის შემთხვევები **-ო-**, **-უ-**, **-ი-** ხმოვნების შემდეგ, თეორიულად სავსებით შესაძლებელი, დადასტურებული არაა.

გ. ხმოვან-დაკარგული: სუფიქსი შედგება მარტოოდენ **-ლ-** თანხმოვნისაგან; ზანურის ჩვენების თანახმად ქართულში დაკარგული ჩანს **-ა-**, **-ე-**. ბოლოკიდური ზოგი თანხმოვნის დაკარგვის ერთგვარი ტენდენცია ჩანს ქართულშიაცა და მეგრულშიც; ეს ეხება, პირველ რიში, **-ნ-**ს; ზოგიერთი ნიშნის მიხედვით **-დ-**საც (იხ. ქვემოთ).

ხმოვნის დაკარგვა გამოწვეული უნდა იყოს **მანვილით** (ამაზე შევჩერდებით ქვემოთ).

დ. ჩვენთვის საინტერესო აფიქსები გააჩნია, როგორც არსებით სახელებს, ისე ზედსართავებსაც¹:

არსებ. სახელი:

ზედსართ. სახელი:

-ალ-: წყ-ალ-, კუ-ალ-, ძუ-ალ-...	— მ-ალ-ალ-, ახ-ალ-, მართ-ალ-...
-ელ-: უღ-ელ-, სთუ-ელ-, ძ-ელ-...	— ძნ-ელ-, გრძ-ელ-, ძუ-ელ-...
-ულ-: გ-ულ-, ს-ულ-, ას-ულ-...	— მამ-ულ-, დედ-ულ-...
-ილ-: ფრცხ-ილ-, წ-ილ-...	— ჩჩულ- (← ჩჩუ-ილ-)...
-ოლ-: ბრკ-ოლ-, ც-ოლ-...	— (?)

ე. ამავე სუფიქსებიდან ზოგი გამოყენებულია რიცხვით სახელებშიც; მხედველობაში გვაქვს რიგითი რიცხვითი სახელები: მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე..., ერთის მხრით, და: ნა-სამ-ალ-, ნა-ოთხ-ალ-, ნა-ხუთ-ალ-..., მეორე მხრით.

უკანასკნელი წარმოების ძველი მნიშვნელობა განსხვავებული უნდა ყოფილიყო იმისაგან, რაც ახლა მას გააჩნია (ამაზე — მეორე ნაწილში). რაც შეეხება **-ალ-** საწარმოებელ აფიქსს (ნა-ოთხ-ალ-), იგი ხვდება ახ-ალ-, მართ-ალ-, მ-ალ-ალ- და მსგავს ზედსართავებში გამოყოფილ **-ალ-**ს.

¹ მოგვყავს მხოლოდ ნიმუშები.

მე-ორ-ე, მე-სამ-ე და სხვა ამგვარ ტიპს საწარმოებელ სუფიქსად მოუღის -ე; ეს -ე- თანხმოვან-დაკარგული ვარიანტი უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს ჭანური, რომელსაც შემოუნახავს სრული სახის აფიქსი (-ან-):

ჭან. ყურ-:	მა-ყურ-ან-	—	ქართ. ორ-:	მე-ორ-ე ¹
სუმ-:	მა-სუმ-ან-	—	სამ-:	მე-სამ-ე
ოთხ-ო:	მა-ოთხ-ან-	—	ოთხ-:	მე-ოთხ-ე და სხვ.

მეგრულს საერთო წესის თანახმად აქაც დაუკარგავს ბოლოკიდური -ნ და მივიღეთ:

ყირ-: მა-ყირ-ა ← მა-ყირ-ან-
 სუმ-: მა-სუმ-ა ← მა-სუმ-ან-
 ოთხ-: მა-ანთხ-ა ← მა-ათხ-ა ← მა-ოთხ-ა ← მა-ოთხ-ან-.

ჭანურში სპორადულად -ენ- სუფიქსიც გვაქვს: ყურენეჩ-ენ-ი, სუმენეჩ-ენ-ი, ოთხენეჩ-ენ-ი (იხ. Н. Марр, Грам. чан. яз., გვ. 23, §35b₂).

რაკი ზანუმი -ან- || -ენ- სუფიქსები აღმოგვაჩნდა, ქართულში შეიძლება ვივარადოთ იგივე სუფიქსი, — თუ საერთო მასალასთან გვაქვს საქმე, — ან, თუ შესატყვისობაა, — -ენ სუფიქსი, ანდა მისი ვარიანტი -ედ-. ეს უკანასკნელი გვაქვს წარმოებაში — მე-სამ-ედ-(ი), მე-ოთხ-ედ-(ი), მე-ხუთ-ედ-(ი) და სხვა („მე-ორ-ედ“-ის ადგილი უჭირავს ნა-ხევ-არ-ს).

მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე და მსგავსი წარმოების -ე სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს -ედ-ისაგან ან მის ვარიანტთაგან: -ელ- || -ენ-: -ე- სუფიქსის შემდეგ თანხმოვნითი ელემენტი უნდა გვქონოდა (-დ ან -ლ ან -ნ).

ამგვარს ვარაუდს ორი რამ აბრკოლებს. ჯერ ერთი, აქ სხვადასხვა მნიშვნელობის წარმოება გვაქვს: მესამედ-ი წილადი რიცხვითი სახელია, მესამე — რიგითი რიცხვითი სახელია. როგორ უნდა დაეჭირო ერთს მეორის ადგილი? მეორე: რამდენად გამართლებულია ვარაუდი -ე- ← -ედ- || -ელ- || -ენ-?

არც სემასიოლოგიური და არც ფონეტიკური დაბრკოლება არ არის არსებითი ხასიათისა.

მეგრულში ნა-სუმ-ორ-, ნა-ანთხ-ალ-, ნა-ხუთ-ალ- ერთად ერთი წარმოებაა წილადი რიცხვითი სახელებისა. მისი ქართული შესატყვისია ნა-სამ-ალ-, ნა-ოთხ-ალ-, ნა-ხუთ-ალ-...

მეგრულში ან იგივე -ალ- სუფიქსი გვაქვს (ნა-ხუთ-ალ-), ანდა მისი კანონზომიერი ფონეტიკური ვარიანტი -ორ- (ნა-სუმ-ორ-)...

¹ ქართული მწკრივი მეგრულის თარგმანიცაა.

მეგრულის ჩვენება იმას მოწმობს, რომ **ქართულში** წილადი რიცხვითი სახელები იწარმოებოდა **ნა-** — **ალ-** ტიპის მიხედვით. წილადობის აღნიშვნა ამგვარი წარმოების **პირველადი ფუნქცია** არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გარკვეული პერიოდიდან ასეთი გამოყენება ამ წარმოებას მისცემია. მეგრულის გარდა ამას მოწმობენ ქართული კილოებიც და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული დოკუმენტაციას.

ბოლოკიდური თანხმონის დაკარგვა კი ძმა-, დედ-ა, დღე-... და მსგავსი მაგალითებით დასტურდება (იხ. ზევით, გვ. 8, 10).

ე. წ. პროფესიის აღმნიშვნელ წარმოებაში: მე-ნავ-ე-, მე-მტილ-ე-, მე-ინავ-ე-, მე-ულ-ე- და სხვ. იგივე **მე-** — **-ე-** აფიქსებია გამოყენებული, რაც ამჟამად რიგითს რიცხვითს სახელებში გვაქვს.

-ე- სუფიქსი **-ედ-** || **-ელ-** || **-ენ-** ისაგან მიღებულად დავსახეთ. **-ედ-** (ან რომელიმე მისი ვარიანტი **-ელ-** || **-ენ-**) უნდა ვივარაუდოთ ე. წ. პროფესიის აღმნიშვნელ წარმოებაშიც.

ამგვარად: **მე-ნავ-ე-** ტიპის არქეტიპი ***მე-ნავ-ელ-** || ***მე-ნავ-ენ-** || ***მე-ნავ-ედ-** უნდა ყოფილიყო.

შდრ.: სა-ქმ-ე- ← სა-ქმ-ელ- (დადასტურებულია დოკუმენტალურად: იხ. ქვ. **უ-ქმ-ელ-**).

ამგვარად, წილადი რიცხვითი სახელებისათვის გამოიყენებოდა **ნა-** — **ალ-** || **ნა-** — **არ-** წარმოება. მასასადამე, წილად რიცხვით სახელთა აღნიშვნა **მე-** — **-ედ-** ტიპისთვის მეორეულია. ეს უნდა მომხდარიყო წიგნური ენის სინამდვილეში უკვე მას შემდეგ, რაც **-ედ-** (**-ელ-** || **-ენ-**) → **-ე-**, და **-ედ-** სუფიქსი უფრო ნაშთს წარმოადგენდა, ვინემ მოქმედ აქტუალურ საწარმოებელ ფორმანტს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ძვ. ქართულის ისტორიულად ცნობილს უძველეს ძეგლებში VI-X საუკუნეებისა **-ედ-** სუფიქსი სპორადულად გვხვდება: **არსებით სახელებში** (როგორც გაქვავებული სუფიქსი), **ზედ-სართავებსა** და **მიმღეობაში** (ცალკეულ შემთხვევებში).

მე-სამ-ედ-მა ნა-სამ-ალ-ის ადგილი, ალბათ, მაშინ დაიჭირა, როდესაც ის დიალექტები, სადაც ეს უკანასკნელი იყო გაბატონებული, სალიტერატურო ქართულისთვის საორიენტაციო საფუძველს აღარ წარმოადგენდნენ¹.

ყოველ შემთხვევაში მე-სამ-ედ- ტიპის დამკვიდრება წილად რიცხვით სახელთა საწარმოებლად მეორეულია ქართული ენისათვის და წიგნური ტრადიციის საქმედ უნდა ვცნოთ.

¹ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ახალ სალიტერატურო ქართულს ხელოვნურად გაეცოცხლებინა ეს სუფიქსი და შეექმნა ტერმინები: სამკუთხ-ედ-ი, შვიდწლ-ედ-ი, ხუთწლ-ედ-ი და სხვ.

შეიძლებოდა თუ არა **-ედ-** → **-ე-**? რომ შეიძლებოდა, ჩანს ერთი შემთხვევიდან, სადაც ეს პროცესი დოკუმენტირებულია; ვვლუსხმობთ ზედსართავს მცირე-ე || მცირე-ედ-ი. ეს უკანასკნელი არაა მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის ფორმისაგან ნაწარმოები (გულ-ად-ი, ტან-ად-ი, თვალ-ად-ის მსგავსად), როგორც ეს ჩანს ჩათანადო კონტექსტებიდან.

... მეიძულა თქნგან რავდენიცა წიგნითა გაუწყო მცირედ რაიმე მისი მოვისხენო და გაუწყო.. უდაბნ., 19r.

... და ზღუასა მას: მრავალმღელვარესა. მცირედითა მქვშითა აღვრ ასხნა... სვან., 357.

მცირე-ედ- || → მცირე-ე: თანხმოვან-ფუძიანი შეიცვალა ხმოვან-ფუძიანით.

-ელ- → **-ე-** ასევე შესაძლებელია (იხ. ქვემოთ: უ-ქმ-ე ← უ-ქმ-ელ-)...

-ენ- → **-ე-** ბოლოკიდურ **-ნ-**-ს დაკარგვის საფუძველზე ივარაუდება. თუ ბოლოკიდური **-დ-**, **-ლ-**-ს დაკარგვის შემთხვევები საძებარია, ბოლოკიდური **-ნ-**-ს დაკარგვის მაგალითები, როგორც ვიცით, საკმაოდ ხშირია (იხ. §§ 4-8 დედ-ან-, ძმ-ან-, დაბ-ან-, დღ-ენ-, ძ-ენ-ი...).

§21. ლ-ს შემცველი სუფიქსები: **-ალ-**, **-ელ-**, **-ულ-**, **-ილ-**, **-ოლ-** დასტურდება მიმდებარეობაშიც; **განსაკუთრებით ფართო გამოყენება აქვს სუფიქსებს: -ელ-**, **-ილ-**; **შემდეგ მოდის -ულ-** (იმ შემთხვევათა გამორიცხვით, სადაც **-ულ-** ← **-ილ-** წინამავალი **-ვ-**, **-ბ-**, **-მ-**-ს ზეგავლენით და დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობად არ მიიჩნევა); **იშვიათია -ოლ-** და **-ალ-**.

მიმდებარეობათა წარმოებისას ფართოდაა გამოყენებული **-ე-** სუფიქსიც; ვფიქრობთ, იგი **-ელ-** სუფიქსის გამარტივებული სახეა, ე. ი. თანხმოვან-დაკარგული სახეობაა **-ელ-** სუფიქსისა.

გვაქვს თუ არა ხმოვან-დაკარგული ვარიანტი მიმდებარეობათა წარმოებაში? არა ჩანს. რატომ? ამას დავუბრუნდებით მიმდებარეობათა საილუსტრაციო მასალის წარმოდგენის შემდეგ. ცალკე განვიხილავთ საკითხს იმის შესახებაც, რატომაა ხშირი **-ელ-** და იშვიათი **-ალ-** სუფიქსი მიმდებარეობათა წარმოებისას.

ა. **-ელ-** სუფიქსი მიმდებარეობებში¹:

და-მ-ბადებ-ელ-, მო-მ-გებ-ელ-, მ-ა-ვასხებ-ელ-, მ-თხოვ-ელ-, მ-კლვ-ელ-, მ-კითხვ-ელ-, გან-მ-კუეთ-ელ-; მ-პყრობ-ელ-, მ-რცხ-ელ-, მ-სმენ-ელ-, გან-

¹ ეს მაგალითები ამოღებულია ძვ. ქართული ძეგლებიდან. აქ სათანადო ფრაზეოლოგია არ მოგვყავს; ჩვეულებრივია ასეთი წარმოება და იმიტომ.

მ-სუენებ-ელ-, გან-მ-სჯ-ელ-, მ-სწავლ-ელ- (|| მ-ა-სწავლ-ელ-), მ-ტანჯვ-ელ-, მ-ტვრთვ-ელ-, მ-ფარგ-ელ-, მ-ფლობ-ელ-, მ-აქებ-ელ-, მი-მ-ღებ-ელ-, (უვა-რის)-მ-ყოფ-ელ-, მ-ა-შენებ-ელ-, მ-შობ-ელ-, მ-ცემ-ელ-, მ-ცვ-ელ-, მ-ჭამ-ელ-, მ-ხილ-ვ-ელ-, აღ-მ-ვოც-ელ-, მ-წნვ-ელ-, მ-წსნ-ელ-...

მ-კელობ-ელ-, მ-ე-ტყუ-ელ-...

სა-ბან-ელ-, სა-ბურგ-ელ-, სა-გალობ-ელ-, სა-გონებ-ელ-, სა-დგმ-ელ-, სა-დიდებ-ელ-, სა-ზრდ-ელ-, სა-კლ-ვ-ელ-, სა-კურგ-ელ-, სა-კურნებ-ელ-, სა-მოს-ელ-, სა-რგებ-ელ-, სა-რეც-ელ-, სა-სმენ-ელ-, სა-სუმ-ელ-, სა-სჯ-ელ-, სა-ტანჯვ-ელ-, სა-ფარგ-ელ-, სა-ს-ყიდ-ელ-, სა-ყოფ-ელ-, სა-ყუარ-ელ-, სა-ცემ-ელ-, სა-ცინ-ელ-, სა-ცნობ-ელ-, სა-ცხებ-ელ-, სა-ძიებ-ელ-, შე-სა-ძლებ-ელ-, სა-წერტ-ელ-, სა-წნებ-ელ-, და-სა-წუ-ელ-, (შე)სა-ჭმ-ელ-, სა-ხილვ-ელ-, სა-ხურგ-ელ-, სა-წსნ-ელ-, სა-ჯორც-ელ-...

სა-კდემ-ელ-, სა-კიცხ-ელ-, სა-ცილობ-ელ-, სა-წად-ელ-...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, -ელ- სუფიქსი მოუდის მიმღეობას აწმყოშიაც და მყოფადშიც, მოქმედებითი გვარისასაც და ვნებითის, აგრეთვე საშუალი გვარისას (ეს, რასაკვირველია, ან ნიშნავს, რომ სხვაობა გვარების მიხედვით მიმღეობაში არ ჩანდეს. ამაზე თავის ადგილას გვექნება საუბარი. აქ კი ჩვენთვის მთავარია ერთი რამ: -ელ- არ არის შეზღუდული არც დროითა და არც ზმნის გვარით).

ბ. -ე სუფიქსი მიმღეობებში:

მ-ლიქნ-ე-, მ-რღვ-ე-, მ-რუმ-ე-, მ-ძლ-ე-, შე-მ-წ-ე-, მ-წიფ-ე-...

მო-დგინ-ე-, მო-ვაჭრ-ე-, მო-ლალ-ე-, მო-მრუმ-ე- (შდრ. მე-მრუმ-ე-), მო-რწმუნ-ე-, მო-სწავლ-ე-, მო-ღუაწ-ე-, მო-სწრაფ-ე-, მო-შურნ-ე-, მო-ძულ-ე-, მო-წაფ-ე-, მო-წლ-ე-, მო-ტირნ-ე-...

სა-ვს-ე-, სა-ქმ-ე-...

ამ მაგალითებთან დაკავშირებით — ორიოდ განმარტება.

მ-რღვ-ე- ი-რღვევ-ის ზმნის მიმღეობა ჩანს:

... ვამე წყაროო ტკბილო ვინ შეგაზავა შნ სიმწარე და ამ რ ლ უ ე - უ ლ იქმენ... №249, 49r.-v.

... მ რ ღ ვ ე არიან და ვერ განიცდიან წყალობათა მისთა... უდაბნ., 110r.

... სასუმელი... მ რ ღ ვ ე ქმნეს და მოყუასთა თვსთა ასუმენ აღთქუე-ფულსა მ რ ღ ვ ე ს ა ... იქვე, 100r.

შდრ.: წყლით რ ღ უ ნ ა ... წყალი რ ღ უ ნ ი ს ა ე (**რღუ-ნ-ა** = ახ. ქართ. **რღვ-ევ-ა**)...

...განდებულთა მათგან წყლით რღუნისა... სვან., 313.

... ოწ წყალი რღუნისა და დამშუიდის... დავით., 49r.

საქმე: „საქმე“ ნიშნავს „გასაკეთებელს“, „საქმარს“; ძვ. ქართულში ეს უკანასკნელიც გვხვდება.

... დაფარულ სიღრმესა წყალთასა არს საქმარი იგი... უდაბნ., 150r.

... არა შეაგინის მეკეც თიჯამან რჷს განახლებნ თვისა შექმნულსა... რლისა იგი შესაქმესა არა შეიგინა მისგან... სვან., 7: შექმნული — შესაქმე.

მეგრულში „საქმის“, „საკეთებელ“-ის მნიშვნელობით ამჟამად იხმარება „საქვარ“-ი, იგივე საქმარ-ი, ოღონდ **მ** → **ვ** (**სა-ქვ-არ** ← **სა-ქმ-არ**)... (მაგალითები იხ. გვ. 72).

„საქმე“ ძველის-ძველი მიმღობა ჩანს, ამჟამად ის არსებით სახელადაა ქცეული.

„საქმე“-ს უპირისპირდება **უ-ქმ-ე** (|| **უ-ქმ-ი**); ესაა შემოკლებული გამოთქმა: უქმე დღე (შდრ.: „საქმის დღე“...).

უქმე- სახელმა ძვ. ქართულში შემოგვინახა **-ე**- სუფიქსის სრული სახე: **-ელ**; დაცულია იგი ნაწარმოებ ფუძეში **უ-ქმ-ელ-ებ-ა**:

... რ მოაკლდეს დღესასწაულნი და უქმელებანი მისნი უდაბნ., 144r.

... და უქმელებისა დღესა შევიდიან ჭამიან იგი და სუიან... სვან., 250.

... და ჟამის უქმელობითა დაადო ქართული და მიმართა ჩადმართ... ქრონ. I, 268.

-ე- სუფიქსი რომ თანხმოვან-დაკარგული გამარტივებული სახეობაა, ამის შესახებ საუბარი გვქონდა თავში (იხ. გვ. 16-18), ოღონდ სათანადო მაგალითები (დღ-ე, ღამ-ე, ტყუ-ე, მაკ-ე) სრულ სახედ **-ენ**-ს გვავარაუდებინებდენ; გარდა ამისა, ეს იყო უპრეფიქსო წარმოება. **უ-ქმ-ელ**-ში პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება გვაქვს; **-ე**-ს სრულ ვარიანტად **-ელ** აღდგება.

არის აგრეთვე შემთხვევა სახელისაგან ნაწარმოებ არსებით სახელში **-ელ**-ის ხმარებისა იქ, სადაც **-ე** იყო მოსალოდნელი: **სა-ფას-ელ**- (შდრ. **სა-ფას-ე**):

... გუაქუს ჩწ საფასელი... სამოციქ., 89v.

შდრ. ...საფასესა მას ცხორებისასა შეიტყობდა... სვან., 20.

§22. -ილ- სუფიქსი მიმღობებში გამოყენებულია ნამყო დროში, ყოველთვის უპრეფიქსოდ: ოდენ-სუფიქსიანი წარმოება სხვა დროებში არსად გვაქვს (ოდენ-პრეფიქსიანი წარმოება — **მე-ოხ-** — შეიძლება გვქონდეს — იხ. ქვემოთ)¹.

ნიმუშები:

ალ-დგომ-ილ-: ... იგი აღდგომილ არს... ჰადიშ., 75b₂.

... აღდგომილსა გილადადებს... სასულ., სპბ₉.

შთა-ვრდომ-ილ-: ...ჯურღმულსა შინა შთავრდომილი ძმათაგან... სასულ., ნა₆ ქვ.

გამო-კუეთ-ილ-: ... რწ იყო გამოკუეთილ კლდისაგან... ჰადიშ., 100a₂.

პოხ-ილ-: ... რწლსა დავით მთად პოხილად გიწოდა... სასულ., ძა₁₀ ქვ.

პყრობ-ილ-: ... განთავისუფლებად პყრობილთა... სასულ., ნდ₂ ქვ.

შე-მოს-ილ-: ... აღდგა მკუდრეთით ძლევა შემოსილი... სასულ., სპა₁₂.

ყოფ-ილ-: ... ბერწ-ყოფ-ილ-... სასულ., სპმ₄.

და-შჯ-ილ-: ... დაშჯილთა წყუდიადსა იხილეს ნათელი... სასულ., სპზ₉ ქვ.

ცნობ-ილ-²: სასულ., ტ₆.

ცოდვ-ილ-: სასულ., სპა₃ ქვ.

და-წერ-ილ-: ... წერილ არს... ჰადიშ., 95b₂.

... ყწივე დაწერილი არა დავარდებოდა მისგან... უდაბნ., 20v.

გან-წმედ-ილ-: სასულ., მდ₈.

შე-წყუდომ-ილ- (ახ. ქართ. შემწყვდეულ-ი): ... წინადაწარმეტყუელი

¹ საილუსტრაციო მცირეოდენ მასალას აქვე ვურთავთ, რადგანაც ამგვარი წარმოების მიმღობას ჩვენ მეორე ნაწილში ვერ განვიხილავთ.

² ეს მიმღობა ახ. ქართულშიც ჩვეულებრივია; კონტექსტების ჩვენება ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, არაა აუცილებელი. ძველი ქართულის ტექსტებზე მაინც მივუთითებთ.

შეწყუდომილი მუცელსა ვეშაპისასა... სასულ., 5¹⁴ ქვ.

... სანთელი აღნთებად შეწყობილთათჳს ბნელისა... სვან., 374.

გან-ვრწნ-ილ-: 5⁷ ქვ.

ზარ-გან-ვდ-ილ-: ... გარემოდს დგეს. ვითარცა მეუფესა ზარ-განვდილნი გადიდებდეს... სასულ., 5⁵ ქვ.

ალ-ტეხ-ილ- (ახ. ქართ. **ა-მ-ტყდ-არ-**): ... არა ვიყვნეთ ყრმა ჩხულ დელვა-ალტეხილ და მიმოტაცებულ ყლსა მას ქარსა მოძღურებისასა... სამოციქ., 114r.

შე-რაცხ-ილ-... შე-რაცხ-ილ-ებ-ა-:

... რლისა ჳერისათს შვილო შეურაცხებასა მოაწევ პატიოსნებასა და შერაცხილებასა ჩნსა... ოქროპირ., 9r.

წუთ-ილ-: ... იყვნედ წუთილ ფრთენი საქმეთა თქნთანი... სვან., 471.

გან-ბრწყენ-ილ-... და-მტკეც-ილ-:

... ვინ არს ესე რნი აღმოვალს განბრწყენილი და დამტკეცილი დისწულსა თჳსსა ზა... სვან., 386.

გან-ვრცომ-ილ-: ... გული ჩნი განვრცომილ არს.. სამოციქ., 92r.

შდრ. ზმნა: ... ვა შვილთა გეტყუ: გწვრცენით თქნცა და ნუ ექმნებით თანამეუღლჳს ურწმუნოთა... იქვე, 92v.

გან-დგომ-ილ-: ...რ შემდგომად ზორვისა: ზა მათა მალალთა განდგომილისა მის ფიცხლისა ძისა... უდაბნ., 58v.

შრომ-ილ-: ...მრავალ ჟამისა შრომილი იგი შენი წარსწყმიდო... უდაბნ., 108r.

-ილ- სუფიქსთან დაკავშირებით ერთი კითხვა ისმის: არის ეს მარტივი სუფიქსი, თუ ის წარმოშობით რთულია: შედგება ორი სუფიქსისაგან **-ი-** და **-ლ-**?

საქმე ისაა, რომ მსგავსი ბგერითი შედგენილობის სუფიქსი გაგვაჩინია მასდარშიც (**ტირ-ი-ლ-**, **წუხ-ი-ლ-**...) და იქ იგი რთული შედგენილობისა ჩანს: **-ი-** — ზმნური, **-ლ-** სახელური ფუძისაა (იხ. მეორე ნაწილი).

თუ მიმღეობის სუფიქსი იგივეა, რაც მასდარისა, ცხადია, მისი კვალიფიკაციაც ისეთივე იქნება: ისიც რთული შედგენილობისად უნდა ვცნოთ. ეს კი ნიშნავს: არსებითსა და ზედსართავ სახელებშიაც (ფრცხ-ილ-... ჩხუ-ილ-...) **-ლ-** სუფიქსი უნდა გამოვეყოთ (**ღუაწ-ლ-** ტიპი) და ცალკე

ჯგუფად **-ილ-** წარმოება არ ვიგულოთ. მაგრამ მაშინ წინამავალი **-ი-**ს საკითხი მოითხოვს მოგვარებას — როგორია მისი წარმომავლობა? რა კავშირშია იგი ზმნის ფუძიდან მომდინარე **-ი-** სუფიქსთან (ტირ-**ი-**ს)?...

ნამყო დროის მიმდევობაში საწარმოებელ სუფიქსად **-ულ-** გვაქვს, თუ ამ სუფიქსს წინ უსწრებდა ბაგისმიერი ბგერები **-ვ-**, **-მ-**, **-ბ-** (იხ. აკ. შანიძე, მორფოლ., §174, გვ. 187).

ამგვარ **-ულ-** სუფიქსიანი მიმდევობები **-ილ-** სუფიქსიანთან დაკავშირებით უნდა წარმოვადგინოთ:

კრ-ულ- (აწმყო: კრ-ავ-ს): ... კრულყო იგი საპყრობილესა შინა... ჰადიმ., 76a₁.

და-ფარ-ულ- (აწმყო: ფარ-ავ-ს): ... ცნობად საიდუმლოთა და დაფართულთა... სასულ., 6დ₉.

და-ფლ-ულ- (აწმყო: ფლ-ავ-ს): ... დაფლულსა ვნებათა შინა... სასულ., 6დ₁.

და-ვშ-ულ- (აწმყო: ვშ-ავ-ს): ... ბჭესა და ვშულსა... სასულ., 6ბ₁₅ ქვ.

ტკრთ-ულ- (აწმყო: ტკრთ-ავ-ს): ... ქალწულისაგან ტკრთული... 6ა₆ ქვ.

კრძალ-ულ- (აწმყო: კრძალ-ავ-ს): ... შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად... ჰადიმ., 97a₁₋₂.

და-კლ-ულ- (აწმყო: კლ-ავ-ს): ... იხარებდით ჩჩულნი დაკლულნი... სასულ., 6ბ₃.

და-მშჟუალ-ულ- (აწმყო: მშჟუალ-ავ-ს): ... დამშჟუალულსა სამშჟუალითა... სასულ., 6პ₅.

მო-წყლ-ულ- (აწმყო: წყლ-ავ-ს): ... მოწყლულსა ლახურიითა... იქვე.

მო-ციქ-ულ- (აწმყო: ციქ-ს): ... რწ უსწრვე მოციქულთა ყლთა აღსრულებად ბრძანებათა... სვან., 159.

შდრ.: ქესთვს ვციქუთ ვაღვი გლოცავს... სამოციქ., 91v.

... საიდუმლოდ იგი რწლისათვს ვციქუ ჯაჭვთურთ... იქვე, 119r.

ვციქუ — „გმოციქულობ“, ე. ი. ვიგზავნები¹ (შდრ. მეგრ. ფუძე: -ჩქვ: მეგრ. მი-ღ-ჩქ-ჟ, ჭან. მენდო-ჩქ-ჟ „გავზავნა“... იხ. შედარ. ლექსიკ., გვ. 379).

ჭამ-ულ- (აწმყო: ჭამ-ს): განსწმედს ყლთა ჭამულთა... ჰადიმ. 79b₁.

ჭამ-ებ-ულ-: დაკლა ვბოდ იგი ჭამებული..., უდაბნ. 67v.

¹ ბერძ. ἀπόστολος „გავზავნილი“.

მო-ცემ-ულ- (აწმყო: ს-ცემ-ს, ე. ი. აძლევს): სიბრძნე მისი რა მო-
ცემულ არს მას... ჰადიშ. 75a₁.

ჯუარ-ცუმ-ულ- (აწმყო: ა-ცუ-ამ-ს): რა ჯუარ-ცუმულ არს... ჰა-
დიშ. 100b₁.

და-მძიმებ-ულ- (აწმყო: ა-მძიმ-ებ-ს): იყვნეს თუალნი მათნი და-
მძიმებულ... ჰადიშ. 96b₂.

შე-ჭუვენებ-ულ- (აწმყო: შე-ჭუვენ-ებ-ს): შეჭუვენებულ არს სული
ჩემი... ჰადიშ. 96b₁.

აღ-გზებ-ულ- (აწმყო: აღ-გზ-ებ-ს): ისრაიტელთა შურითა აღგზე-
ბულთა... სასულ., სპმ₂ ქვ.

მო-ახლებ-ულ- (აწმყო: „ა-ახლ-ებ-ს“, ე. ი. აახლოებს): მიმცემელი
იგი ჩემი მოახლებულ არს... ჰადიშ., 97a₂.

და-ბადებ-ულ- (აწმყო: ბ-ბად-ებ-ს, ე. ი. აჩენს): მესნელი დაბადე-
ბულთა... სასულ., ძმ₁₀.

-ულ- სუფიქსი დასტურდება ისეთ შემთხვევებშიც, როგორცაა:

ქმნ-ულ- (ახ. ქართ. ქმნ-ილ-... ქმნ-ილ-ებ-ა...):

... პირუტყუ-ქმნულნი ცოდვისაგან... სასულ., ძ₁₀ ქვ.

... მზე ესე შექმნული... უდაბნ., 48v.

სჯ-ულ- (|| **შჯ-ულ-** || **რჩ-ულ-**) ზმნისაგან — **საჯ-ა**, **სჯ-ი-ს**:

... ესე არს სისხლი ჩემი შჯული სა... ჰადიშ., 96a₁.

... რაღონ რჩული კაცთა მოწერა... უდაბნ., 32r.

შდრ.: ... რაღონთა საჩრელითა შჯიდეთ... იქვე, 33v.

მ-საჯ-ულ-: ...წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგადგინენ თქნ...
ჰადიშ., 93a₁.

სჯ-ულ- უნდა იყოს ნაწარმოები **სჯ-ი-ს** ფუძისაგან, რომელსაც და-
კარგული აქვს ფუძისეული **-ა** (სჯის ← საჯ-ის), მ-საჯ-ულ-ს საფუძვლად
უდევს შეუკუმშავი ფუძე **საჯ-** (საჯ-ა).

ამრიგად, შეუკუმშვა მიმღობის წარმოებისას კი არაა მომხდარი, არა-
მედ ზმნის ფორმებშია უკვე მოცემული.

სრ-ულ- (← **სლ-ულ-**)... **მო-სრ-ულ-**... **აღ-სა-სრ-ულ-**...

... იშვა... ღი და კაცი სრული... სასულ., ძმ₁₀.

... ღი სრული შეეყავ სრულსა კაცსა... იქვე, სშ₂ ქვ.

... ხარებად შენდა მშვლობად. მოსრული მალლით... იქვე, ხმ₁₃ ქვ.

... გამოსავსრად პირველისა მის შჯულისა გარდასლულთა... სა-

მოციქ., 161r.

... ხ^ა აღსასრული აძღა (!) იყოს... ჰადიშ., 93a₁.

და-ტევნ-ულ- (ახ. ქართ.: და-ტე-ულ-ი).

... დაუტევნელი ბუნებად... და ტევნულ იქმნა... სასულ., 6ზ₃.

შდრ.: ... ქუაბი ცათა მეუფისა დამტევნელ (იქმნა)... იქვე, 6ზ₁₃.

ად-წევნ-ულ-: ... ღირს იქმენ... ხილვად ღისა და კიბეთა ცად აღწევნულთა... სასულ., 6ბ₁₀ ქვ.

წარ-წყმედ-ულ-: რ^ა მოხუედ ძიებად წარწყმედულთა... სასულ., 6ა₁₄ ქვ.

და-ბეჭდ-ულ-: რ^ა ცხოარი დაბეჭდული ვერადრე მოიპარვის ხ^ა რ^ალსა ზ^ა არა იყოს სასწაული წარსაპარავად აღვილ არს... ბასილ., 72v-73r.

სა-მკ-ა-ულ-: რ^ა განიმზადოს ქლწლბად... არა თუ ფუფუნებით ნუკვეით და სამკაულით. ა^ად მარხვით და შრომით... სვან., 473.

სა-სწა(ვ)-ულ-... ესე სრულისა მის განწმედისა სასწაული არს. ბასილ., 90r („სასწაული“ — „ნიშანი“, „მაჩვენებელი“).

მიუხედავად იმისა, რომ ფუძე **ვ**-თი ბოლოვდება, აქ **-ულ-** პირველადი ჩანს. ისეთი მაგალითები, სადაც **-ულ-** სუფიქსი მოსდევს **-ნ-**ს (დატევნ-ულ, აღწევნ-ულ-, ქმნ-ულ-...) გვაფიქრებინებს, რომ **-ულ-** სუფიქსი მიმღეობის წარმოებაშიც ისევე ძველი უნდა იყოს, როგორც **-ულ-** სუფიქსი არსებით სახელებში (**გ-ულ-**, **წ-ულ-**, **ს-ულ-**...): ზმნის ფუძეში **-ნ-** ძველის-ძველი ფენის კუთვნილებაა სალიტერატურო ქართულში.

-ილ- უპრეფიქსო წარმოებაში მონაწილეობს; **-ულ-** სუფიქსი უპრეფიქსოშიც შეიძლება გვქონდეს და პრეფიქსიანშიც:

შდრ.: ქმნ-ულ-, სჯ-ულ-, სრ-ულ-, დატევნ-ულ-, წარწყმედ-ულ-...

მ-საჯ-ულ- || მო-საჯ-ულ-, მო-ციქ-ულ-... აღ-სა-სრ-ულ-...

პრეფიქსიანი წარმოება აწმყო და მყოფადისად ითვლება: ამგვარად, **-ულ-** შეიძლება გვქონდეს მყოფადშიც, აწმყოშიც (პრეფიქსიან წარმოებასთან) და ნამყო დროშიც (უპრეფიქსო ოდენ-სუფიქსიან წარმოებასთან).

ამას ვერ ვიტყვით ვერც **-ილ-** და ვერც **-ელ-** სუფიქსთა შესახებ. **-ულ-** სუფიქსი დროთა მიხედვით დიფერენცირებულ წარმოებას რომ არ უსწრებდეს, იგი ასე შეუზღუდველად არ იქნებოდა გამოყენებული.

§23. -ოლ- სუფიქსი.

სა-თხრ-ოლ-: ... მოიღე სათხროლი და შემომიღე მე... სვან., 265.

„სათხროლი“ ბარს ნიშნავს: **სათხრ-ოლ-** = **სა-თხრ-ელ-**.

სა-ფრთხ-ოლ-: ეშინის... ძრეელთა (!) უძრულისა (!) მისგან ვა ყრმათა საფრთხოლისაგან ეშინინ... ოქროპირ., 229r.

საფრთხოლი — საფრთხობელა, „სა-ფრთხ-ელ-ი“...

სა-გდ-ოლ-ი (ზმნ. უ-გდ-ებ-ს, ე-გდ-ებ-ი-ს); იხ. საბა.

მაგალითთა სიმცირე აძნელებს იმის გარკვევას, რა გვაქვს ამ **-ოლ-** სუფიქსში: ფონეტიკური ვარიანტი რომელიმე სხვა სუფიქსისა (მაგალ. **-ულ-**ისა) თუ სპორადულად შემონახული დამოუკიდებელი **-ოლ-** აფიქსი. ალბათ, — უკანასკნელი.

-ალ- სუფიქსი მიმღეობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, იშვიათია.

-ალ- სუფიქსიანი მიმღეობის უდაო მაგალითი იქნება:

სა-მკ-ალ-: მკ-ი-ს — **სა-მკ-ალ-ი**: **მო-მკ-ალ-ი**.

ა-ლბობ-ს — **და-მბ-ალ-**.

... მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა ვდ სამკალი ფდ არს ხ მუშაკნი მცირედ ევედრენით ოა სამკალისასა რა გამოავლინნეს მოქმდნი სამკალსა თუსსა... ჰადიშ., 19b₂.

... შეიკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად-მომკალნი და... იწყეს მკად... ხანძთ., ნ₁₁ ქვ.

... რი წარმოეცა დედასა შენსა დამბლითა ოსპნითა... კიმენ., 130₄.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა **სა-მშუ-ალ-**, **მ-ა-ვ-ალ-** (მო-მა-ვ-ალ-: ... ძვ კაცისად: მომავალი ღრუბლითა... ჰადიშ., 94a₁), ბოლოს **-ალ-** სუფიქსს დაირთავენ, მაგრამ ეს არაა მიმღეობის საწარმოებელი აფიქსი, არამედ ზმნის ფუძისა ჩანს: **გა-მშუ-ალ-ავ-ს**, **ვ-ალ-ს** (შდრ.: **ვ-ედ-**).

შეიძლებოდა გვეთქვა: რაკი **-ალ-** უკვე გვქონდა, განმეორებით იმავე აფიქსის დართვა არ იყო მოსალოდნელიო, მაგრამ სხვა აფიქსების გამოყენებას არაფერი უშლიდა ხელს: **სამშუალ-**, **მავალ-** უსუფიქსო წარმოების მიმღეობაა.

§24. რას უნდა გამოეწვია **-ალ-** სუფიქსიანი მიმღეობათა სიმცირე, მაშინ, როდესაც **-ელ-** სუფიქსი მეტის-მეტად ხშირია. განსხვავებული მნიშვნელობა მათ არა აქვთ. იმასაც კი ვერ იტყვის კაცი: **-ალ-** არსებითი სახელის სუფიქსია, **-ელ-** კიდევ — ზედსართავისა და ამიტომაც **-ელ-** მიმღეობის საწარმოებლად ასე ფართოდ გამოყენებულიო: მიმღეობა ხომ ნაშენარი ზედსართავიაო. ვერ იტყვის იმიტომ, რომ **-ალ-** სუფიქსი ზედსართავებშიც დასტურდება (ახ-ალ-, მ-ალ-ალ-, მ-დაბ-ალ-...), **-ელ** სუფიქსი, თავის მხრივ, არსებით სახელებშიც გვაქვს (ულ-ელ-, სთუ-ელ-, ქს-ელ-).

მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ სუფიქსთა ისტორიულს თანამიმდევრობაში: მიმღობის წარმოების ჩამოყალიბება (ვგულისხმობთ აწმყო-მყოფადის ფორმაციას) ხვდება **-ელ-** სუფიქსის გამოვლენას გარკვეულს, სალიტერატურო ენისათვის საორიენტაციო კილოში (და **-არ-** სუფიქსისას — სხვა კილოში, რომელმაც შემდეგ მეტი წილი დაიღო წიგნის ენაზე გავლენაში; — იხ. ქვემოთ).

§25. ზემოთ განხილული გვაქვს მიმღობათა მხოლოდ ერთი ტიპი, სახელდობრ, ისეთი, რომელშიც მონაწილეობს **-ლ-**იანი სუფიქსი. გამოირკვა, რომ **მიმღობაში მოგვებოვება ყველა ის სუფიქსი, რაც არსებითსა და ზედსართავ** (აგრეთვე გარკვეული სახის რიცხვითს) **სახელებშია და-დასტურებული** (გვაკლია ზოგი ოდენ-თანხმოვნიანი და ოდენ-ხმოვნიანი ვარიანტი). სუფიქსები: **-ელ-, -ე-, -ილ-, -ულ-, -ოლ-** მიმღობაშიც გვაქვს ისევე, როგორც არსებითსა და ზედსართავ სახელებშიც.

სხვა სუფიქსების განხილვა დაგვარწმუნებს, რომ ზემოხსენებულ დებულებას ზოგადი მნიშვნელობა აქვს: **მიმღობის სუფიქსები იმეორებენ არსებითი და ზედსართავი სახელების სუფიქსებს.**

მიმღობაში სუფიქსთა გამოყოფა გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ არსებით სახელებში. ამიტომ შემდგომში **არსებითი და ზედსართავი სახელების სუფიქსთა გამოსაყოფად დავემყარებით მიმღობათა სუფიქსებს.** არსებითი და ზედსართავი სახელები, ერთი მხრივ, მიმღობა, მეორე მხრივ, ერთმანეთს კონტროლს გაუწევენ, ყველანი ერთად კიდევ წამოყენებული ზოგადი დებულების სისწორეს შეგვამოწმებინებენ.

§26. **-ლ-**ს შემცველი სუფიქსის გვერდით მიმღობა ფართოდ იყენებს **-რ-**ს შემცველ სუფიქსს; მისი სახეობანია:

-არ-, -არ-ე-, -ურ-, -რ- (ფუძისეულ **რ-**სთან დისიმილაციით: **-არ-** → **-ალ-**, **-არ-ე-** → **-ალ-ე-**, **-ურ-** → **-ულ-**, **-რ-** → **-ლ-**).

-არ- სუფიქსი მიმღობისა¹:

მ-გმობ-არ-: ... და დაუყო პირი იგი მ გ მობ ა რ ი ლ ო... ოქრობირ., 115v.

მ-დეგ-არ- (=მდეგნელი)... **მ-წყევ-არ-**: მოძულენი შენნი გიყუარდინ

¹ კონტექსტს ვუჩვენებთ მხოლოდ იქ, სადაც მიმღობა ახალი ქართულისათვის ჩვეულებრივი წარმოებისა არაა, ანდა თვით სიტყვა ამჟამად ნაკლებ ხმარებულია. ყველა დასახელებული მაგალითი ამოღებულია ძვ. ქართ. ტექსტებიდან.

მდევართა შენთა ულოცვედ. მწყევართა აკურთხევდ... ბასილ., 57r.
... სავლე... მდევარი ქსი... სვან., 160₁.

მ-ზრახვ-ალ- (→ მ-ზრახვ-არ-): ... კეთილად მზრახვალი არს...
ოქროპირ., 66r.

მ-ზაკუვ-არ-: ნათესავი... არა წრფელი არამედ მზაკუვარი... ბა-
სილ., 4v.

... კაცისა ცრუისა და მზაკუვარისაგან მივსენ მე... დავით.,
70r.

თანამ-ჭუ-არ- (=თანამგრძნობი, „თანამწუხარე“; შდრ. „შეჭუნებულ-“,
გვ. 67).

... ველოდე მე თანამჭუარსა არავინ იყო ნუგეშინის მცემელ ჩემ-
და... დავით., 103v.

მ-თრვ-ალ- (← მ-თვრ-არ-; ახ. ქართ.: მთვრალ-): ... შურიტა
მთრვალ იყვნეს... უდაბნ., 145r.

მ-როკვ-ალ- (← მ-როკვ-არ-): ...წე მათსა მროკვალსა... უდაბნ.,
178r.

მ-ტყუვ-არ-: ...არა ჰრწმენა ერსა მას მტყუვარსა... უდაბნ., 144v.

... უჩნდეს სიტყუანი ესე მის წე მტყუვრად... ოქროპირ., 216v.

-არ- სუფიქსით ეს მიმღეობა ახ. ქართულში წარმოდგენილია **მ-ა-
ტყუ-არ-ა-**ს სახით; **მტყუვარ-**თან მნიშვნელობით უფრო ახლოსაა ახ.
ქართ. **მტყუ-ან-**: საგულისხმოა **-ან-** სუფიქსის გამოვლენა **-არ-**ის ბაღდად.

მ-ტკივ-არ-: მტკივრითა რადიმე წამლითა განჯრწნიან... უდაბნ.,
51v.

შდრ. ახ. ქართ. **მ-ტკივ-ან-**, **-ან-** || **-არ-**:

მო-მ-ყმ-არ-: ...რლისა მრ მოიზრდებიან სწლი... მომყმარნი...
ბასილ., 20v.

და-მშთვ-არ- (ახ. ქართ. **და-მ-ხრჩვ-ალ-**): ...ჭამეს ნაგები დამ-
შთვრისაჲ... დავით., 158r.

მ-ცურვ-ალ- (← მ-ცურვ-არ-): ...და მცურვალის ზღუათაჲ და
მდინარეთაჲ... სვან., 313.

მ-ცხრ-ალ- (← მ-ცხრ-არ-): ...ჟამთა და წელიწადთა მცხრალისა
თს და ნაკისათუს... დავით., 239r.

შდრ. ზმნა და-ს-ცხერ-: ... და ამიერიტგწ დასცხერ შფოთისაგან...
ოქროპირ., 17r.

მ-ძოვ-არ- („ვინც მცენარეულით იკვებება, ვეგეტარიანელი“): ... წარმოუთხრას ცხორებად ნეტართა მამათა მძოვართა... იქვე, 80v.

მ-წნეხ-არ- (ახ. ქართ. მ-წნეხ-ელ-): ... მოაკლდა ვმასა მას მწნეხართა რისხვისათა რ განმრავლდა კუფხალი უფროდს ტევნისა... სვან., 418.

მ-წოვ-არ-: ... მრავალნი მწოვარნი მოსრნა მათ გამო... სვან., 862.

... ქალწულისა ძუძუსა მწოვარად... იქვე, 396.

მ-ჰენ-არ- (ახ. ქართ. მ-ჰენ-არ-): ... არცაღა დამჰენარიყო... უდაბნ., 25v. ... დამჰენარ და განჰმელ... იქვე, 78v.

მ-ხედვ-არ-: ... მხედვარი დაბადებულთა ხილულთა... სვან., 64.

მ-ვედ-არ-: ... არნ მვედარი და მერმე იქმნის ასის-თავ და კლდათასის-თავ და მერმელა ერისთვობად მიიღის... ბასილ., 10v.

მ-ყინვ-არ-: ... ტფიად მოჰბერის და მყინვარი იგი კუალადვე წყალ ყვის... უდაბნ., 80v.

მე-დგ-არ-: ხ წ უდებნი და მედგარნი თჳსითა ნებითა... უდაბნ., 36v.

მო-კიცხ-არ-: ... რად შეცთომილხართ კაცისა მისგან მოკიცხარისა... სვან., 252.

ამავე წყებას ეკუთვნის აგრეთვე: **მ-კუდ-არ-... მ-კურნ-ალ-** (← მ-კურნ-არ-)... **მო-ძღუ-არ-... მა-ძღ-არ-...** და სხვ.

სა-ტკივ-არ-: ... ხ ვორცნი არა სატკივარ არიან ჩემდა... ბასილ., 16v.

სა-ქმ-არ-: ... ისწავებნ... რომელთაგანმე... ველთ საქმარსა ღუმლით... ხანძთ., 77.

... დაფართულ სიღრმესა წყალთასა არნ საქმარი იგი... უდაბნ., 171r.

... და ითხოვნ ქველის საქმარსა... საბა ასურ., 1831.

სა-ყდ-არ- (= ტახტი, საჯდომი): ... ცანი საყდარ არიან მისა და ქყნად კუარცხლ-ბეკ... სვან., 397.

... საყდართა ზედა ეტლისთუალედთა წყყელისა მრ ხილულთა ოთხატედთა (!)... იქვე, 188.

... დავჯედ საყდართა ჩემთა ზა... იქვე, 182.

... და თვთ მეფე იგი მათი რლსა შარავანდნი თავსა ედგნეს გარდა-
მუსრულ (!) საყდრით სამეფოდთ ძაძასა შთაიცუმიდა... უდაბნ., 54v.

... მოხუცებულთა მისთა აწუევს: ვა სკემონს: რა საყდარ ყენნ
მკლავნი მათნი... იქვე, 36v.

სა-ძოვ-არ-: საძოვარი იგი თივის თიბისად ჩნისა მეფობისაგნ მი-
ნიჭებულ არს შენდა... სვან., 279.

სა-ვედ-არ-: ხ დედაკაცი იგი ჯდა სავედარსა შა თვსსა... სვან.,
146.

სა-კმ-არ-: უკუეთუ ვისმე მიმცე საკმრად მეგობართა შენთა და
გარემოთა შენთა ნაცვალი ჩემსა წინდი მოილო... სამოციქ., 21r.

სა-ვს-არ-: ...ვა სიკუდილი რად მოიწიოს გამოსავსრად პირვე-
ლისა მის შჯულისა გარდასლულთად აღტქუმად იგი მოილონ... სამოციქ.,
161r.

§27. -არ-ე სუფიქსი მიმდებარეში.

მ-წუხ-არ-ე... შდრ. წუხ-ს... შე-წუხ-ნ-ა...

... არავე ინება მწუხარედ დატეგებად მოწფისა თსისად... საბა
ასურ., 93.

... და განთიად სთქვთ ზამთარი იყოს. რ კსინავს მწუხარედ
ცად... ოთხთ. ბენეშ., 90.

... შუგებისათვს გულსმოდგინე და მარხვისათვს მწუხარე... უდ-
აბნ., 37r.

... არვინ მწუხარე გვრგვნოსან იქმნის და არავინ მწუხარებითა:
ძლევად დაიმტკიცის... იქვე, 51v.

შდრ.: ... დაიწუხნეს თუალნი მათნი... უდაბნ., 111r.

მო-ტყინ-არ-ე: ... დვას ქერობინი იგი მოტყინარე და მახული
იქცევისი... სვან., 460.

მ-ძვნ(ვ)-არ-ე: ... რ მძვნარე (!) და ძლიერ არს ლომი... უდაბნ., 46r.

... არ არიან დღეს მვეცნი მძვნვარენი... სვან., 467.

... და ბრანგუმან მძუინვარემან მოიძია იგი... დავით., 124r.

მ-დგომ-არ-ე:

მდგომარეები ჯორები გარემოდს ყლად და მეწიხარნი შემართ...

უდაბნ., 32v.

მ-ღელვ-არ-ე: ... და ზღუასა მას მრავალ მღელვარესა. მცირედი-
თა მქვმითა აღვრ ასხნა.. სვან., 357.

ქუე-მ-ღებ-არ-ე: ... არა გიჟუნებ მას ქუემღებარედ ად აღ-
დგომილად... სვან., 112.

მ-დინ-არ-ე: ... და მდინარენი იგი სისხლისანი... და ერი თანამ-
დგომარე და ჳრმალი ლესული და წყალნი მდინარენი... სვან., 109.

მ-ცენ-არ-ე: ... განწმიდნის მცენარენი და ნაყოფი აღაორძინის...
სვან., 457.

მ-გლოვ-არ-ე: ... და ეშმაკი დააკუეთა მგლოვარც... უდაბნ., 104r.

მ-ჯდომ-არ-ე-ი: ... მარჯულ მამისა მჯდომარე... სასულ., 015.

მ-წოლ-არ-ე-ი: ... ჩხული... მწოლარე ბაგასა... სასულ., 066.

მ-ძინ-არ-ე: ღამე მძინარესაცა ეოცებოდა იგი... საბა ასურ., 61.

მ-ღვძ-არ-ე: ესრეთ გალობდეს. დასნი მღვძარეთანი... სასულ.,
085.

მ-ჭურვ-ალ-ე (← მ-ჭურვ-არ-ე-): ამისთვის მჭურვალედ მოიწრა-
ფა... სასულ., 086.

§28. -ურ- სუფიქსი მიმღებაში.

მ-დგ-ურ-: ... „მდგური — სადგომს მდგარი“ (საბა). ამჟამად ხმარე-
ბულ მდგმურ-ში -მ- მეორეულია. კანონზომიერი წარმოებაა უმანო:
დგ-ა-ს — მ-დგ-ურ-ი.

მა-ცთ-ურ-: ... რომელი მომკლა... მაცთურმან და დამფლა. ჯო-
ჯოხეთისა გულსა... სასულ., 087 ქვ.

სა-დგ-ურ-: ... და მიიწინიან სადგურთა ღამით და აღიმსვან ვე
განთენებამდე... ოქროპირ., 214v.

... სადგურსავე თვსა დაადგრიან... დავით., 152v.

... და ვითარცა განთენა მშვიდობისა სადგურთა მათ... ხანძთ., 0811.

... ნავთ-სადგურ ცხორების... და ყოვლისა ერისა... ხანძთ., 0820 ქვ.

სა-რთ-ულ-: „არა ღირს ვართ რაშცა სართულსა ჩნსა ქუეშე
შემოხვედ... უდაბნ., 155r.

„სართული“ ახ. ქართ. „სახურავი“; მეგრულში სათანადო სახელი
მხოლოდ -რთ- ძირისაგანაა ნაწარმოები: ცუდე გვრთ-უ „სახლი დახურა“,
ორთვალი — სახურავი“.

მეგრ. ო-რთვ-ალ- — ქართ. სა-რთ-ულ-; მეგრულის მიხედვით ქართულში მოსალოდნელი იყო სუფიქსი **-ელ-**: სა-რთვ-ელ-; სა-რთ-ულ- ← სა-რთჳ-ელ-: **-უ-** ← **-ვე-**?

სა-ქებ-ურ-: საქებურ ხართ... უდაბნ., 88v.

სა-ცთ-ურ-: ... აჰფხუარა საცთური და დაჰნერგა ჰეშმარიტებად... უდაბნ., 159r.

... ჰბრძო საცთურსა და განაქიქა იგი... იქვე, 158r.

სა-მჭედ-ურ- (|| **სა-მჭად-ურ-**):

... რჳს თევზის მონადირემან შთააგდის სამჭედური ზღუასა ოდესმე შორად შეაგდის სამჭადური იგი... უდაბნ., 101r.

მართალია **-მჭედ-** ფუძე ზმნებში არ დასტურდება, მაგრამ არც სახელია ასეთი ცნობილი. თუ მაინც **სა-მჭედ-ურ-** მიმღეობათა შორის მოვაქციეთ, ეს იმიტომ, რომ ვვარაუდობთ: ფუძისეული მასალა **ჭედ-**|| **ჭად-** უნდა იყოს ვარიანტი **-ჭერ-** (|| **-ჭარ-**)-ისა: ი-ჭერ-ს: სა-მჭედ-ურ- „სა-ჭერ-ურ“, დასაჭერი იარაღი (მნიშვნელობა ამას გაამართლებდა: სამჭედური — „ესე არს ყოველივე კავი თევზთა შესაპყრობელი“ — საბა).

-მ- ასეთ შემთხვევაში ფონეტიკური დანართი იქნებოდა; **-ერ-** || **-არ-** — ზმნის ფუძის აფიქსები (შდრ. გა-ვ-ჭ-ერ- და გურ. გა-ვ-ჭ-არ-...).

სა-ცნ-ა-ურ-: ესე საცნაურ იყავნ ყოველთა რჳს ესე წჳდ ოთხთავი ახლად გვთარგმნია: ... გიორგი მთაწმიდელის ანდერძი...

... საქმეთაგან რჳნი ჰქმნენ საცნაურ იქმნა ყლთა მიერ ვჳდ მოძულჳ ხარ მეფისად... კიმენ., 695.

შდრ. **უ-ცნ-ა-ურ-**: რჳ მათ შემამეცნიერეს მე მისდა კჳდ... რლთა პირველცა არა უცნაურ იყო... ბასილ., 3r.

ოდენ **-ლ-** აფიქსი მიმღეობის სუფიქსად არ შეგვხვედრია, **-რ-** კი არაიშვიათია.

§29. **-რ-** სუფიქსი მიმღეობაში.

მ-კუეთ-რ- (შდრ. გან-მ-კუეთ-ელ-: იხ. გვ. 61):

... არა შაშრითა განკუეთა ჯორცთა იგი სალმობად. აჳდ მკუეთ-რითა მით მხილებითა... სვან., 124.

მ-ძლაგ-რ-: ... ძესნა მოსე ერი იგი მძლაგრისა მისგან... ბასილ., 55r. (მძლაგრი = „ძალმომრე“, „მოძალადე“).

... ხ^რ იოგ^ნე... არა დასცხრებოდა მხილებასა მძლაგრთასა... ოქროპირ., 106r. („მძლაგრთა მხილება“ — „ძალმომრეთა“, მოძალადეთა მხილება).

... განქარდა ფლობად შენი. მძლაგრო. და დაეცა სიმაღლე ამბარტავანო... სასულ., ს^შმ¹³ ქვ.

... შეიმოსე ბუნებად ჩემი ძლეული. უძლეველო. ძლეულ ჰყავ მძლაგრი. ყოვლად ძლიერო... სასულ., ს^შდ¹² ქვ.

... თვნიერ განზრახვისა მათისა მძლაგრ სამცხისა ერთა ძმ თვისი დაადგინა კათალიკოზად... მ^მ¹³.

მ-სწრაფ-ლ ← **მ-სწრაფ-რ-**: ... იხილა ეპისკოპოზმ^ნ მსწრაფლი იგი გარდაქცევად... ოქროპირ., 25r.

... და მაშინლა მსწრაფლ მოილო... იოვანე შესაგრაგნელად სულდარი... შუშან., 45¹.

... და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებად ეპისკოპოსთად... ხანძთ., მ^მ¹⁹ ზევ.

შდრ.: ... ყ^წლადვე სურვილი და წრაფად აქუნდა მონაზონებისათვის... უდაბნ., 20v.

... იგი მოწრაფედ და მივიდის... იქვე, 20v.

... თავისა თვისისათვის იწრაფინ... იქვე, 21r.

მ-ვედ-რ-: ... წაილ ვდა იორდანესა და მაშინლა მვედრ აღვიდა ზეცად... სვან., 384.

... პიტიახში იგი მვედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა... შუშან., 28⁶.

მ-წუხ-რ-: ... ო^ა ესმა ჩემი მწუხრი დილეული და სამხრის... დავით. 85v.

მ-ძოგ-რ- (|| **მ-ძოგ-არ-**):

... ცხოვრებად მარტოდ მყოფთად მათ სივრცესა მას წინა უდაბნოდსასა. რომელნი იგი იზარდებოდეს მძოგრთა სახედ მწუხანგილითა და ხილითა... ხანძთ., მ^მ² ქვ.

შემოხსენებული სუფიქსები **არსებითსა და ზედსართავ სახელებშიც** შეიძლება გამოიყოს.

§30. -არ- სუფიქსები არსებით სახელთა ფუძეში.

ძვ. ქართულში დადასტურებულია მთელი წყება სახელთა, რომელთა ფუძე -არ-ით ბოლოვდება: **ცხედარ-**, **კარ-**, **ფიცარ-**, **ჭუარ-**, **ქმარ-**, **მტკუ-არ-**, **ბლუარ-**...

ზოგი მათგანის დაშლა ხერხდება; დაშლისას -არ- სუფიქსი გამოიყოფა.

კ-არ-: ... უკუეთუ დაუჯსა კარი შენგან შორს იყოს... უდაბნ., 52r.

მეგრულშიც ამჟამად **კარ-**ი გვაქვს; ჭანური კი ოთხ ვარიანტს იძლევა: **ნე-კნ-**ა || **ნე-კლ-**ა || **ნე-კრ-**ა || **ე-კნ-**ა... ფუძე ნაწარმოებია; საწარმოებელი ფუძე -**კნ-** || -**კლ-** || -**კრ-**ს სახითაა წარმოდგენილი.

საფიქრებელია, რომ ცვალებად თანხმოვნით ნაწილში **-(ა)ნ-** || **-(ა)ლ-** || **-(ა)რ-** აფიქსის შეკუმშული სახეა მოცემული. მათგან მესამე — **-(ა)რ-** ქართულ ფუძისას ხვდება (ჭანური ფუძის შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 155).

ბლუ-არ- („სამხრეთი“): რ ვა ბლუარმან ტფიად მოჰბერის და მყინვარი იგი კულადვე წყალ ყვის... უდაბნ., 80v.

... და ამას ბლუარობასა სძალიცა იგი ქწსი ქებასა ქებათასა ეტყვს... იქვე.

ძირეული ნაწილი, როგორც ეს აღნიშნული აქვს ვლ. ფანჩვიძეს, უდურ **ბეღ-**ს უნდა უკავშირდებოდეს: „ბეღ“ — „მზე“ (იხ. ენიმკის „მოამბე“, II, გვ. 309). უდურზე დაყრდნობით ვლ. ფანჩვიძეს ბლუარ დაშლილი აქვს ასე: **ბლ-უარ-**ი. ახლა, მართალია, უდურში სიტყვა **-ღ-**ზე სრულდება, მაგრამ, ალბათ, ბაგისმიერი ხმოვანი ამ სიტყვას ჰქონდა უდურში და დაეკარგა. საბუთი? ქართულ **-უარ-**ში რომ უ აუხსნელი რჩება, ეს საბუთად არ გამოდგება. მაგრამ ანგარიშ-გასაწევია შემდეგი ფაქტი: ხუნძურად „მზე“ — ბაყ- არის; ეს იგივე **ბეღ** ჩანს: საერთო ფუძე დაღისტნის ენათა რიგისათვის. ამ ენების მონაცემთა შედარება ცხადყოფს, რომ ხუნძურში ძირეული ნაწილია **-ყ-**; ამ უკანასკნელის ვარიანტია **-ჭ-** დიდოურსა და კაპუჭურში; ამ **-ჭ-**თია გამუჟამავლებული **-ყ-** და **-ღ-**, რომელიც უდურის გარდა კიურულში, თაბასარანულში, აღულურში და ლაკურშიც კი გვაქვს; თავკიდური **ბა-** ხუნძურში, ლაკურში, უდურში ისევე, როგორც **-რა-** კიურულში, თაბასარანულში, აღულურში კლას-კატეგორიის მაჩვენებელია (თუმცა ასეთად ის ამჟამად არ შეიგრძნობა არა თუ იმ ენებში, სადაც ამჟამად სახელთა კლას-კატეგორიები არ არსებობს, არამედ იქაც კი,

სადაც კლას-კატეგორიები გაირჩევა).

„მზე“ სიტყვის აღმნიშვნელი **-ყ-** ძირი ხუნძური ენისა სრული სახით დაცული აქვს „ღღის“ აღმნიშვნელ სიტყვას **ყო: ბა-ყ** და **ყო** ერთი და იგივე ძირია: **ბა-ყ ← ბა-ყო-** და — ზმნაში **ბაყო-ა-ზე** „შრობა“, „ხმობა“ (მზეზე — თავდაპირველად!).

ამგვარად, **ბაყ || ბოჯ¹ || ბედ...** ყველას ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილი აქვს; **ბლუ-არ-**ში დაცულია ეს ხმოვანი, ალბათ, მომდევნო **-არ-** ფორმანტის წყალობით (შეუძლებელი არაა, ეს **-ო-** || → **-უ-** ფონეტიკურად იყოს განვითარებული ძირეულ უკანაენისმიერთან, მაგრამ აქ ეს ჩვენთვის სულ ერთია).

* **ბა-ლო-არ- → ბ-ლო-არ- → ბ-ლუ-არ-** „მზე“, „მზიანეთი“, სამხრეთი². შემთხვევითი არაა ამ მხრივ „ბლუარობა“.

ქმ-არ-: ... რამცა სხ³ ქმარი ვისუ... ოქროპირ., 28v.

ამ ზმნაში **-არ-** რომ სუფიქსია, სადაოდ არ ითვლება ქმ-არ- ← ქამ-არ-: მაგრამ მიმღობის ფორმად მისი გამოცხადება (შდრ. ივ. ჯავახიშვილი: ქართ. და კავკას. ბუნება, 227), სადაოა. რა თქმა უნდა, ხშირია შემთხვევა, როცა მიმღობა არსებით სახელადაა ქცეული (შდრ. წერტილ-, მწერალ-, წერილ-...). **ქმარ-**ი რომ მიმღობა ყოფილიყო, მას თავსართი ექნებოდა³ (**-არ-** ბოლოსართთან).

მიმღობის ნიადაგზე ამ სიტყვის აღნაგობის ახსნა არ ხერხდება (არც არის საჭირო: თვით მიმღობის წარმოება უნდა აიხსნას; საამისო საშუალებებიც არსებობს).

ქმარ- ფუძის ზანური შესატყვისობის შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“ გვ. 34-35.

საინტერესოა, რომ მეგრულიცა და ჭანურიც **-არ-** სუფიქსის კანონზომიერ შესატყვისის (**-ოჯ-**) გარდა **-ოლ-** სუფიქსსაც წარმოგვიდგენენ: **ქომ-ოლ- || ქიმ-ოლ-** (ხოფ.).

ქართულისათვის ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ **-ალ-** ანდა, რაც უფრო მოსალოდნელია, **-ელ-:** **ქმ-ელ: ქომ-ალ- → ქომ-ოლ-** (მ-ს შემდეგ).

¹ კაპუტური ვარიანტია.

² დაწვრილებით „მზის“ აღმნიშვნელ სიტყვათა შესახებ კავკასიურ ენებში — ცალკე.

³ შეიძლებოდა გვეთქვა: **მ-** თავსართი იყო და დაიკარგაო; ასეთი რამ ხდება: ფრინველ- ← მ-ფრინველ-... ბრწყინვალე ← მ-ბრწყინვალ-ე... მაგრამ **მ-** თავსართი იკარგება ბაგისმიერთა წინ; **-ქ-**ს წინ **მ-** არ უნდა დაკარგულიყო.

ამრიგად, ქართულში უნდა გვქონოდ: **ქმ-არ-**ის პარალელურად: **ქმ-ელ-** (|| **ქმ-ალ-**).

ჯ-არ-: ... სვან. **ჯან-**... ახ. ქართ. მო-**ხან-**ი, **ხნ-**ავ-ს...

... ჯარნი შეაუღლნის და ქყნა განალის და ურნატი დააღრმის... სვან., 78.

ზანურში **ჯ-არ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მოცემული: **ხ-ოჯ-**; სვანური **ჯ-ან-** (ლაშხ. **ჯ-ან-**) იძლევა **-არ-**ის ვარიანტს **-ან-**; ეს ქართულის-თვისაც არაა უცხო: ნასახელარ ზმნაში **ჯნ-**ავ-ს საწარმოებელ ფუძედ **ჯნ-** ← **-ჯან-** ივარაუდება.

-არ- || **-ან-** ამ სახელში სუფიქსებია. ეს წყვილი სხვაგანაც გვქონდა; ყველგან **-ან-** სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უფრო ძველი ჩანდა.

საწარმოებელ ფუძედ **-ჯან-** უნდა იყოს გამოყენებული **მ-ჯნ-ე-**ში; იხ. შემდეგი კონტექსტი:

... უკუე ჩჷმა ჯერ არს გამოპყრობად ჯარი იგი მთავარი უკუანა საბამი მშრომელი და ურნატ სავსედ განმმართველი იგი და ურმად მჯნც იგი... სვან., 140.

მჯნე საბას განმარტებით „შემძლებელს“ ნიშნავს. თავდაპირველად იგი, ეტყობა, „ხარის შემძლებლობას“ გულისხმობდა (**მ-** პრეფიქსის შესახებ იხ. მეორე ნაწილში).

ცხოვ-არ-... (შდრ. **ცხოვ-ელ-**...):

შეეძინეს მას ღღეს ცხოვარნი და კრავნი და ტარიგნი სამწყსოსა მათსა... უდაბნ., 143v.

წარმოების მიხედვით ეს სიტყვა **ცხოვ-ელ-**ის ვარიანტია. განსხვავებას ამყარებენ სუფიქსები: **-არ-** || **-ელ-** (იხ. ზემოთ, გვ. 35).

ცხოვ-არ- ფუძის თავსართოვანი ვარიანტია: **სა-ცხოვ-არ-**. ჩვეულებრივად „ცხვარს“ ნიშნავს (კონტექსტები და თავსართის ფუნქცია იხ. მეორე ნაწილში).

კედ-არ-... შდრ. **კედ-ელ-**... ...გზასა მას კედარი თ კერძო... სვან. 136.

კედ-არ- ისეთსავე მიმართებაში უნდა იყოს **კედ-ელ-**თან, როგორც **ცხოვ-არ-** — **ცხოვ-ელ-**თან; ეს — წარმოების მიხედვით; მნიშვნელობით თვალსაჩინო დაშორებაა: კედარი — „ბნელი საჭმუნავი“ (საბა), მერე — „ჩრდილოეთი“. „სიბნელე“, „ჩრდილიანობა“, „კედელს“ შეიძლება სემასიოლოგიურად დავუკავშიროთ.

მ-თავ-არ- იხმარება არსებით სახელადაც და ზედსართავადაც (მაგალითები იხ. მეორე ნაწილში); ნაწარმოებია **-თავ-** ფუძისაგან; **-არ-** რომ სუფიქსია, ეჭვს არ იწვევს. თავკიდურ **მ**-ს შესახებ — იხ. მეორე ნაწილში.

ხმოვნებს შორის **-გ-** იკარგება მეგრულში და ვიღებთ სიტყვას: **თა-რ-**ი (**მ**- თავსართიც, ალბათ, დაიკარგა; თუ: არც ყოფილა?): შური თარი — „მთავარი სული“, „სული მთავარი“; **თარი** ი. ყიფშიძის განმარტებული აქვს, როგორც ქართ. **მ-თელი**-ს კანონზომიერი მეგრული შესატყვისი (იხ. *Грам. Мингрельского яз.,* ლექსიკ., გვ. 240).

ამ გაგებას ემხრობა ნ. მარიც.

მ-დიდ-არ-; ნაწარმოებია **დიდ-**ისაგან; იხ. მაგალითად:

... მცირე მისცეს ადონ მდიდრად მიაგოს მას... სვან., 463. მცირე — მდიდარი (დიდი).

იხმარება უპირატესად, როგორც ზედსართავი (ზუსტად: მსაზღვრელი); შეიძლება არსებით სახელადაც იყოს გამოყენებული (**მ**- თავსართის შესახებ იხ. მეორე ნაწილში).

§31. -ურ- სუფიქსი არსებითა და ზედსართავ სახელებში.

მ-სახ-ურ-: ... უწყი მე, აწ მოავლინეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ... შუშან., 153.

... ბრძანა... კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა... იქვე, 203 ქვ.

... და ჰყვანდეს მისთანა შიმონგარნი და მსახურნი და უნდა შესლვაჲ ეკლესიად... ოქროპირ., 166r.

ძველის-ძველი წარმოების სახელია; ამას მოწმობს **მ**- თავსართი და საწარმოებელ ფუძედ სახ-ის გამოყენება (**-ლ-** — სახ-**ლ-** — არა ჩანს).

მე-რწყ-ულ-... (მდრ. სა-რ-წყ-ულ-... წყ-ურ-ი-ს... იხ. ზემოთ, გვ. 20).

მე-თევზ-ურ-: ... მე თევზური თევზითა განაძღენ... სვან., 156.

... და მე თევზურთა გლახაკთა მიმცემელი თევზისაჲ... იქვე.

... და მწნემან მე თევზურმან გამოილო ვეშაპი იგი... უდაბნ., 151v.

სა-კიდ-ურ-: ... ლოდ საკიდურ ეწოდა... სვან., 409.

სა-კიდ-ურ-ი — კიდისა, „სა-კიდ-ე“.

სა-ცეცხ-ურ-: ... და ჯელთა აქუნდეს ოქროდსა საცეცხური... ხანძთ., მდგ.

... საცეცხური მან ჯელისა ჩემისაგან არა ოდეს მიმიხუნაო.. იქ-

ვე, მბ₁₂ (საცეცხური = „საცეცხლე“).

სა-გზა-ურ-: ... კწვაჲ ოდიკისაჲ რლ არს საგზაური მიმოსაღებელი ოდიკი... იაკობ., 81r.

(საგზაური — „საგზაო“, „გზად წასაღები“).

აზნა-ურ-: ... ზრახვა ყო რადთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაური და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... შუშან., 52.

... შევეკრიბენ: კარსა: დარბაზისა: ჩწისასა: მღღელთ-მოდღუარნი: ეწენი: ეწნი: და ყლთა ჳევთა: ჳემოთა და ქუემოთა: აზნაური მეცნიერი საბჭოთა: საქმეთანი... პალ. აღბ. I, გვ. 2-3.

აზნა-ურ-ი რომ ნაწარმოები სახელია და **-ურ-** რომ საწარმოებელი სუფიქსია, ჩანს, სხვა არა იყოს რა, საწინააღმდეგო მნიშვნელობის სახელიდან **უ-აზნ-ო** — ე. ი. „უგვარდილო“ (საბა).

-ელ- სუფიქსის საპირისპირო **-ურ-** ზედსართავ სახელებში საძებარი არაა:

ველ-ურ-: საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური... ჰადიმ., 8a₁.

უარყოფითს ზედსართავებში **-ურ-** გაბატონებული სუფიქსია:

უ-გუნ-ურ- (იხ. ქვ.) ... **უ-კეთ-ურ-**... **უ-სახ-ურ-**... **უ-ცნა-ურ-**... **უ-ძლ-ურ-**... **უ-წუერ-ულ-**...

გვხვდება **-არ-** სუფიქსიც: **უ-პოვ-არ-**... **უ-მეც-არ-**... იხ. ქვემოთ გვ. 83.

§32. -რ- სუფიქსი არსებით სახელებსა და ზედსართავებში.

ხუედ-რ-: ... სხუანი ყოველნი სწორად განყვნა სამად გუნდად. რადმეთუ შატბერდისა ხუედრნი წარეგზავნენს პირველვე შატბერდსა... ხანძთ. ლფ₁.

ხუედ- ზმნის ფუძედაა წარმოდგენილი:

... რ მრავალი ჳირი შემხუედა (!) მე დღეს მაგისტუს... ჰადიმ., 61b₁.

... სიკუდილი და თუ შემხუედეს (!) შწთანა არავე უვარყო შენ... ჰადიმ., 58a₁.

მაგრამ უფრო ზუსტი იქნებოდა ამისათვის გვეწოდებინა სახელისა და ზმნისათვის **საერთო** ფუძე და არა ზმნური ფუძე. ფუძეთა წარმოების თვალსაზრისით ეს „საერთო“ ისტორიულად სახელის ფუძედ უნდა ვცნოთ — ეს ეგუება ისტორიულ პერსპექტივებს; ამდენად **ხუედ-რ-** ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი კი არაა, არამედ სახელის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი.

მიმღეობა რომ იყოს, თავსართიც გვექნებოდა.

§33. რა გვაჩვენა **-არ-**, **-ურ-**, **-რ-** სუფიქსიან სიტყვათა ანალიზმა? მიმღეობის ეს **სუფიქსები არსებით სახელებშიც გვაქვს**. ამდენად **-ელ-**, **-ულ-**, **-ალ-** სუფიქსთა მასალაზე დამყარებული დასკვნითი დებულება არსებითად გაამართლა და განამტკიცა ახალი სუფიქსის მასალამ.

არსებითად, ვამბობთ, იმიტომ, რომ არსებითს სახელებში **-არ-ე** არა გვაქვს, ჯერ ერთი, და, მეორეცაადა, მიმღეობაში არა ჩანს **-ერ-**, **-ორ-**, **-ირ-** სუფიქსები. არსებითს სახელებში კი ამგვარი სუფიქსების არსებობას გვაგარაუდებინებს ისეთ სახელთა წყება, რომლებიც ძვ. ქართულ ტექსტებში ჩვეულებრივ ხმარებაშია და **-ერ-**, **-ორ-**, **-ირ-** მოუღის ფუძის ბოლოს:

ზუერ- (აქედან: მე-ზუერ-ე, სა-ზუერ-ე — მაგალ. იხ. მეორე ნაწილში), **წუერ-...** **ცერ-...** **მტუერ-...** **მწუერ-...**

ძირ-... **ცხვრ-** (|| ცხუ-ირ-)... **კვკვრ-**... **მზირ-...** **სტვრ-** (|| სტუირ-).

ძვრ- (|| ძუ-ირ-)... **ყან-ობ-ირ-...**

ნიორ-... **ჯორ-...** **ღორ-...**

სრულიად უდაოა **-ერ-** სუფიქსის არსებობა ზედსართავებში ტიპისა: **გონ-ი-ერ-** (მაგალითები იხ. ქვ.).

ცხუ-ირ-: შდრ.: **ჰ-რ-ცხუ-ენ-ა...** **ა-რ-ცხუ-ენ-ს...** **სი-რ-ცხვლ-.. უ-რ-ცხვ-ო...**

... ლთისაგან არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენიან... ბოლნ., 51გ.

... ესოდენ ურცხვნო იყვნეს... უდაბნ., 168v.

სტვრ- || **სტუ-ირ-**... შდრ. **ნე-სტუ-**... ზმნა: **სტუ-ენ-ს...**

... ისწავებდენ ფსალმუნთა ნაცვალად სიმღერისა გინა თუ ნაცვალად სტვრისა... ოქროპირ., 81r.

ნე-სტუ-: ... მახვლმან განვლო ვორჯი მისი. მეუფისა ნესტვ... სვან., 176.

-ერ- **ზედსართავ სახელებში** ნაწილია რთული სუფიქსისა **-ი-ერ-** (←**-ივ-ერ-**);

მე-ც-ნ-ი-ერ- (= ნაცნობი, მცოდნე): შდრ. **უ-მე-ც-არ-**.

... წუს-წუთ მოვიდიან მისა მეცნიერნი მისნი და ჰგონებდ ვდ პოონ იგი მკუდარი... უდაბნ., 25v.

... ვინაჲ უკუე მეცნიერ არს იგი ჩემდა... სვან., 193.

... რწი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი ცრემლოოდეს მისთვს... სვან. 423.

... რ წიგნი არა ესწავა ხ მეცნიერ იყო და გონიერ კაცი იგი... უდაბნ., 29r.

... თუ ჩემნი ესე სიტყუანი არა გრწმანან (!) მკურნალთაგან მეცნიერ იქმენ... უდაბნ., 55v.

... საქმე იგი უმეცართათვის ძნელად ჩანს ხ მეცნიერთათვის აღვილ... ბასილ., 4r.

გონ-ი-ერ-... შდრ. **უ-გუნ-ურ-:**

... მნეთა სარწმუნოთა და გონიერთა მისცემდა სასუფეველსა... უდაბნ., 84r.

... ამპარტავანებდ დედად არს უგუნურებისად: ოქროპირ., 8r.

(მ)-შუ-ენ-ი-ერ-... შდრ. **უ-შუ-ერ-...** **შე-ა-შუ-ს** (|| **ჰ-შუ-ენ-ის**)... **ა-შუ-ენ-ებ-ს...**

... ნათლის ცემითა უშუერი იგი სული შუენიერ იქნების... სვან., 343.

... სოფელსა გამოუჩნდა და სოფელი უშუერი განაშუენა... იქვე, 356.

... ფდ მთნავს მე და შემაშუს ცხრბად იგი... იქვე, 323.

სა-ლმობ-ი-ერ-... შდრ. **უ-ლმობ-ელ-** („საღმობიერი“ — ვისაც ტკივა, „ულმობელი“ — ვისაც არ ტკივა).

... არა მოვედ წოდებად მართალთა ულმობელთა: ად ცოდვილთა საღმობიერთა... უდაბნ., 57v.

ყამ-ი-ერ-... შდრ. **უ-ყამ-ო...** (|| **უ-ყამ-ურ-** → **უ-ყმ-ურ-**)...

... რჟს იგი უყამოდ ნათელი ყამიერს შეერთო... ბასილ., 64v.

თუალ-ი-ერ-... საპირისპიროა: ბრმა („უთვალო“).

... ნათელი მისი თუალიერთა გამოუბრწყინდეს და არა ბრმათა... უდაბნ., 112r.

პოვ-ნ-ი-ერ-... შდრ. **უ-პოვ-არ-...** ...უპოვართაგან პოვნიერებად ქმნა... სვან., 52.

ცოლ-ი-ერ-... **ქმრ-ი-ელ-...** ...ძენი ცოლიერთანი არა ისუმენ ცოლსა. და ძენი ქმრიელთანი არა შეეხებიან დედათა... სვან., 470.

... ვრმცა მთავრობდა ჩნ ზა ეპკპსი ცოლიერი... სვან., 301.

შვილ-ი-ერ-: ... და შვილიერ ქმნს ცოლი ჩემი... სვან., 244.

შორ-ი-ელ-: მახლობლნი და შორიელნი... სვან., 375.

რატომ გვაკლია მიმღეობაში **-ერ-**, **-ირ-** სუფიქსები, რომლებიც არ-

სებით სახელსა და ზედსართავს მოეპოვება? მიზეზი სალიტერატურო ქართულისა და მასთან დაკავშირებულ დიალექტთა ისტორიულ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ:

-არ-, -ურ-, -ერ-, -ირ- სუფიქსები სხვა დიალექტური წრისანი არიან, **-ელ-, -ალ-, -ილ-, -ულ-** — კიდევ სხვისა.

არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ესენი სხვადასხვა ენის დიალექტები ყოფილიყვნენ. **-არ-** სუფიქსის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმულია კიდევ შეხედულება — ჭანურ-მეგრული სამყაროსია ეს სუფიქსიო (იხ. ნ. მარი: Яфет. назв. дерев.: Изв. Ак. Н.191 5, 778, А. Шанидзе: Два чано-мингрельских суффикса ЗВОРАО, т. XXIII, 1916, გვ. 366).

-არ- ქართ. **-ელ-**ის ბადალია (ასევე სავარაუდებელია, რომ **-ურ-** შესატყვისებოდა **-ალ-**ს). **-ლ-**იანმა სუფიქსმა მიმღობაში, ჩანს, დაიკავა ის ადგილი, რომელზედაც პრეტენზია **-რ-**იანს შეიძლებოდა ჰქონოდა. **-რ-**იანი არსებ. სახელები (ცხვრ-...) და ზედსართავები (შუენი-ერ-... უ-შუ-ერ-) წარმოქმნის დროის მიხედვით წინ უსწრებენ მიმღობებს. უკანასკნელთა ჩამოყალიბების დროს **-რ-** სუფიქსიან კილოს ხვედრი წონა შემცირებული ჩანს.

-ელ- და **-არ-** სუფიქსთა პარალელური ხმარების ცალკეული შემთხვევები ქართულში ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს:

მ-გმობ-ელ-ი — მ-გმობ-არ-ი (იხ. ზემოთ, გვ. 70).

მ-წნენ-ელ-ი — მ-წნენ-არ-ი (იხ. ზემოთ, გვ. 72).

მ-გსნ-ელ-ი — სა-გსნ-ელ-ი: სა-გსნ-არ-ი:

... ვა სიკუდილი რად მოიწიოს გამოსაცხრად პირველისა მის შჯულისა გარდასლულთაჲ... სამოციქ., 161r.

სა-ქმ-ე ← სა-ქმ-ელ-ი : სა-ქმ-არ-ი:

... დაფარულ სიღრმესა წყალთასა არნ საქმარი იგი... უდაბნ., 171r.

მ-ხედვ-ელ-ი : მ-ხედვ-არ-ი (იხ. გვ. 72).

სა-ყედ-არ- (გამოთქმები იხ. ზევით. გვ. 72): **სა-ყუდ-ელ-ი:**

... ვა საყუდელსა მას ეგრეთ უდაბნოსა ჯდა... სვან., 113.

... ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თვისა მას საყუდელსა სენაკსა... ხანძთ., ნბ⁷ ქვ.

... არა ხოლო თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთ-საყუდელად ... იქვე, მბ¹⁸.

საბას განმარტებით: „საყდარი — **ტახტი**, საყუდელი — **სამყოფი**“

საწარმოებელი ფუძე ორივეში ერთი და იგივე უნდა იყოს: **ყუდ-**; **სა-ყდ-არ-**ში იგი შეკუმშულია: სა-ყდ-არ- → სა-ყდ-არ-; **სა-ყუდ-ელ-**ში შეუკუმშავადაა დაცული (შდრ. ძალ-: ძალ-ი-ან- — ძლ-ი-ერ-)...

ყუდ- ფუძე მეგრულშიცა გვაქვს — **ცუდ-ე** და „სახლს“ ნიშნავს: სემასიოლოგიურად მიყვება **სა-ყუდ-ელ-**ს. ამ ფუძემ გამოდევნა მეგრული მეტყველებიდან **ო-ხ-ორ-**. შდრ. სოფლის სახელი: **ქვა-ყუდე** საჩვენებლად მახლობლად.

ქართულთან შეპირისპირება არკვევს, რომ მეგრ. **ცუდ-ე** ← **ცუდ-ელ-** (რატომ არ აქვს თავსართი?).

სალიტერატურო ქართულს რიგს შემთხვევაში შემორჩა ორივე სუფიქსიანი წარმოება: სა-ჯს-არ-ი — სა-ჯს-ნ-ელ-ი, ცხოვ-ელ-ი — ცხოვ-არ-ი → ცხვ-არ-ი, სა-ყდ-არ-ი — ნავთ-სა-ყუდ-ელ-ი — მნიშვნელობის დიფერენციაცია უთუოდ ხელს უწყობდა ამ ვარიანტების დამკვიდრებას.

§34. -უ- || -ჟ- || -ვ- სუფიქსი.

-ელ- || **-ლ-** სუფიქსების გამოყოფის დროს უკვე შეგვხვდა ორიოდ მაგალითი, სადაც ქართ. **-ელ-** || **-ლ-**ს ბაღდად სხვა ქართველურ ენებში **უ** ხმოვანი ანდა **ჟ** (უმარცვლო **უ**) იყო წარმოდგენილი.

ასეთებია:

ვაშ- ლ -...	ჭან.	ოშქ- ურ- უშქ- ურ- ...	მეგრ.	უშქ- ურ- ...
ოფ- ლ -	მეგრ.	უფ- უ	სვან.	ჟისგ- ჟ
უღ- ელ-	მეგრ.	უღ- უ		
თხ- ელ-	ჭან.	თუ-თხ- უ თი-თხ- უ ...		
	მეგრ.	თხი-თხ- უ		
	სვან.	დგ-თხ- ელ- ...		

ამ მაგალითებს შეიძლება სხვაც შეემატოს:

ბელ-**ელ-**, ჭან.-მეგრ. ბალ-**უ** (იმავე მნიშვნელობისაა; იხ. „შედარ.

ლექსიკ.“, 151).

თხმ-**ელ-**ა, მეგრ. თხომ-**უ**... ჭან. თხომ-**უ**... (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 129).

წნ-**ელ-**, მეგრ. ჭინ-**უ** „წნელი“.

წ-**ელ-** („ნაწლევი“), ჭან. ჭ-**უ**, მეგრ. ჭ-ი „ნაწლევი“ (იხ. შედარ. ლექსიკ.“, 69).

ჯინ-ჭვ-**ელ-**, ჭან. დი-მჭკ-**უ** „ჭიანჭველა“ (იხ. „შედარ. ლექსიკონ.“, 114).

ტფ-ი-**ლ-**, ჭან. ტუბ-**უ** || ტიბ-**უ**, მეგრ. ტიბ-**უ** (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 237).

თანამედროვე დიალექტობრივი ფაქტებიდან შეიძლება მოვიგონოთ:

ბაღღ-ი — რაჭ. **ბაღღ**-ი¹ — გურ.-მეგრ. **ბაღ-ან-ა**. **ბაღ-გ**- ფუძის შეპირისპირება **ბაღღ**-თან ააშკარავებს, რომ უკანასკნელში **ღ**- გადმოსულია ფუძის შიგნით: **ბაღღ**- ← **ბაღ-ღ**-.

ამგვარად: **ბაღ-ღ**-ი — **ბაღ-გ**-ი მხოლოდ სუფიქსებით განირჩევიან: **-ღ** — **-გ**-.

არ ვვხვებით **ბა**-ს საკითხს ივ. ჯავახიშვილმა სავსებით დამაჯერებლად გაარკვია, რომ ბაღანა- და სვ. ღანაჟ- („ორსული“) ერთმანეთთან კავშირშია, — საერთო ფუძე აქვთ, და რომ **ბა**- თავსართია (სქეს-კატეგორიის ნიშანია; იხ. ქართ. და კავკას. ენ. ბუნება... გვ. 211).

ეს გვაფიქრებინებს, რომ **-უ** აფიქსია. ეს აფიქსი სვანურსა და მეგრულ-ჭანურში შეინიშნება (ვგულისხმობთ ზევით ჩამოთვლილ შემთხვევებს), მაგრამ ის ქართულშიც მოსალოდნელია: ზოგ შემთხვევაში ქართულიც, მეგრულ-ჭანურიც და სვანურიც თანაბრად დაირთავს **-უ** || **-ჟ**-ს:

ცა-ცხ-**ჟ** — ჭან. დუ-ცხ-**უ**, მეგრ. ცხა-ცხ-**უ**, სვან. ცჷ-ცხ-**ჟ**. თავსართის მხრით ეს სახელი მოგვაგონებს ცე-ცხ-ლ- — ჭან. და-ჩხ-ურ-ს (**ცა** || **და**-ს შესახებ იხ. მეორე ნაწილში). ბოლოკიდური ბგერა ორ ვარიანტს ქმნის: **-უ**-სა (სრული ხმოვანი) და **-ჟ**-ს (უმარცვლო **უ**, ახალი ქართული **-გ**-). ეს უკანასკნელი იგივე **-უ**- ბგერაა, დასუსტებული თანხმოვნის მეზობლობაში. მას მახვილის ტარება არ შეუძლია. თუ მახვილის ქვეშ მოყვა, **-უ**- ხმოვანს მივიღებთ:

შდრ. ძვ. ქართ. რვა და მეგრ. რჷო.

„ ზღუა და ჭან. ზღჷა || ზჷლა || ზოღა („შედარ. ლექსიკ.“, 185).

„ თქუა „ გურ. თქჷა... მეგრ. თქჷ (= თქუ-უ).

„ ქვა „ მეგრ. ქჷა (ჭანურში **ქვა**- გვაქვს: „შედარ. ლექსიკ.“, 187).

ძვ. ქართულ სალიტერატურო ენაში **ვ** და **ჟ** (უმარცვლო **უ**) ერთმანეთში არ ირეოდა; ამისდა მიუხედავად **ჟ**, **ხ**... ბგერათა შემდეგ ცალკეულ შემთხვევებში **ვ**-ს ადგილას უმარცვლო **უ** იწერებოდა: ვიყვნით — ვიყუენით, (მო)ხვალ — მოხუალ.

თავყანისცემა → თავყუანის ცემა (შუა საფეხურია: თავყვანის ცემა)...

¹ **ბაღღ**-ს ჩემი ყურადღება მიაქცია ვუკ. ბერიძემ (**ბაღღ**-ი — იხ. ვუკ. ბერიძის „სიტყვის კონაში“, 3).

ამრიგად, ქართულში **-უ-** სუფიქსი უმარცვლო **უ-**ს სახითაც არის მოსალოდნელი (სათანადო შემთხვევაში ახ. ქართულში **-ვ** იწერება).

ასეთს სუფიქსს ბუნებრივია მოველოდეთ იმ ფუძეებში, რომელთაც ბოლოკიდურ ბგერად ძვ. ქართ. უმარცვლო **უ** მოუდის: **ეჭუ, კიცუ, ლელუ, ნაძუ, ტვრთუ** (|| ტვრთ-), **დაწუ, ცერცუ, ძეძუ, ჯაჭუ, ნერწყუ, რიცხუ**...

ზოგი ამათგანის დაშლა დაუბრკოლებლად შეიძლება: ნე-რ-წყ-უ; ზმნა: ნერწყუ-ავ-ს; მასდ. ნერწყუ-ა.

... სუ ძმარი ეძიებდ ნერწყუასა მისსა... სვან., 70.

ძირეული მასალა **-წყ-** იგივეა, რაც წყ-ალ-ში. უკვე გვქონდა აღნიშნული (გვ. 22), რომ **-ალ-** სუფიქსია; **ნე-რ-წყ-უ**-ში **-ალ-** სუფიქსი არა გვაქვს, მისი ადგილი უჭირავს **-უ-**; **-უ-** ძირეული მასალა არაა, სუფიქსია.

რი-ცხ-უ... **შე-რა-ცხ-ავ-ს**... **აღ-რი-ცხ-ავ-ს**... **შე-რა-ცხ-ილ-** (შე-უ-რა-ცხ-ი)... მეგრ. **კო-რო-ცხ-უნ-ს**... ჭან. **კო-რე-ცხ-უმ-ს** „თვლის თითო-თითოდ“ (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 297).

ფუძეთა სხვადასხვა სახე გვაჩვენებს, რომ **-უ** ისევე არაა ძირეული, როგორც თავკიდური **რა-** || **რი-**; **-უ-** სუფიქსია.

-უ- სუფიქსმა შეიძლება ფუძის შიგნით გადაიადგილოს.

ძვ. ქართ. **კიც-უ** → ახ. ქართ. **კვიც-**:

... ვ'დ უგუმირე კიცუსა დეზით... სვან., 63.

ნესტ-უ → **ნესუტ-** („საყვირი“);

... ნესუტსა დაეციოთ... ახალსა ნესუტსა კეთილად სასწაულოვანსა დღესასწაულისა ჩ'ნისასა... ნესუტსა ვმა უმაღლესსა... უდაბნ., 51v.

ძვ. ქართ. **ტვრთ-** (|| **ტურთ-**) ← **ტვრთ-უ** ← **ტირთ-უ**.

... ვ'ა ტვრთი მძიმე დამიმძიმდა ჩემ ზ'ა... დავით., 63r.

... არა განვაგდე ჩემგან მძიმე ესე ტურთი... ბასილ., 61r.

... რ'ლთა გაქუს ტვრთვი (!) მძიმე... უდაბნ., 57r.

მეგრ. ჭვირთ-ში (ურემი დოჭვირთჷ — „ურემი დატვირთა“) **ტ** → **ჭ** გააფრიკატების პროცესი მომდევნო **-ი-**ს მიეწერება და ეს წინ უძღვის სუფიქს **-ვ-**ს გადასმას ფუძის შიგნით: **-ვ-**ს გადმოსმის შემდეგ წინამავალ **ტ-**ს გააფრიკატება გაუგებარი იქნებოდა:

ტირთ-ვ- → ჭირთ-ვ- → ჭვირთ-

ჭვირთ- გურულშიაც იხმარება (იხ. ს. ყლენტი: გურ. კილო, 259); აქ ჭვირთი ზანიზმი ჩანს.

§35. **ჟ** || **გ**-ს სუფიქსურობის საკითხთან დაკავშირებით ერთი საკითხიც ისმის: ვთქვათ **-ჟ** || **-გ** ძირეულ მასალას არ ეკუთვნის; ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ **-ჟ** || **-გ** სუფიქსია? შეიძლება ეს ბგერა ფონეტიკური დანართი იყოს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ საქმე გვაქვს ბაგისმიერ ბგერასთან. ბაგისმიერობა ისეთ კავკასიურ ენაში, როგორიცაა, აფხაზური, თანხმოდანთა განსაკუთრებულ მწკრივსაც კი ქმნის. ქართულში ასეთი ფონემები არ მოიპოვება, მაგრამ **-გ (ჟ)** ხშირია თანხმოდანთის შემდეგ, მეტადრე უკანაენისმიერებთან (**გვ, კვ, ქვ, ყვ...**). ხომ არ შეიძლება ეს **გ** მიგვეჩნია ფონეტიკურად განვითარებულ ბგერად და ამასთან გაგვეთანაბრებინა ჩვენთვის საინტერესო **გ** || **ჟ**: ნერწყ-**ჟ**, რიცხ-**ჟ**, ცაცხ-**ჟ**, ლელ-**ჟ**... — ყურადღებას იქცევს წინამავალი უკანაენისმიერი თანხმოდანთი!

ენობრივი ფაქტის ანალიზისას არა მარტო ისაა ძნელი, გამოყო ძირეული ნაწილი არა ძირეულისაგან; გაცილებით უფრო რთულია მონაცემის კვალიფიკაცია: კერძოდ იმის ჩვენება, ფონეტიკური წარმოშობისა ესა თუ ის მოვლენა, თუ მორფოლოგიური დანიშნულება აქვს მას. შეიძლება ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნას ვცდილობდეთ იქ, სადაც მორფოლოგიური (სემასიოლოგიური...) სხვაობაა (შდრ. მაგალითად: ტყიდან || ტყიდან: სულ სხვადასხვა წარმოშობის მონაცემები ისე ახლოსაა ერთმანეთთან ფონეტიკურად, რომ ძალაუბურად იქმნება განწყობილება დავსახოთ ესენი ფონეტიკურ ვარიანტებად). პირუკუ: ძმან-ებ-, დან-ებ-ში **-ნ**-ს ხშირად მორფოლოგიურ დასაბუთებას უძებნიან: ორმაგი მრავლობითი გვაქვსო — ძმა-**ნ**-ებ-; ნამდვილად კი აქ ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე: აღდგება ის თანხმოდანთი **-ნ**, რომელიც მხოლოდითში ფუძის ბოლოს დაიკარგა (ამის შესახებ იხ. თავში, გვ. 8).

უ || **გ**-ს კვალიფიკაციაში ხომ არა აქვს ადგილი სწორედ იმ რიგის შეცთომას, როგორც ძმან-ებ-ის ორმაგ მრავლობითად მიჩნევაში მოსდით ხოლმე? როგორ შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ **-უ** || **-გ** ფონეტიკურადაა განვითარებული თანხმოდანთა შემდეგ?

სუფიქსები **-ლ**, **-რ** ხმოვნებიან ვარიანტებსაც იძლეოდენ. გააჩნია თუ არა **ჟ** || **გ**-ს ხმოვნებიან ვარიანტები (ხმოვანი + **გ**)?

თუ გააჩნია, ჯერ ერთი, თანხმოდანთის შემდეგ ფონეტიკურად მისი განვითარებულობის საკითხი მოიხსნება და, მეორეცაადა, **-ლ**, **-რ** სუფიქსთა წყებას ეს ახალი წევრი მჭიდროდ დაუკავშირდება.

ჟ || **გ** სუფიქსს ხმოვნებიან ვარიანტებიც გააჩნია; ეს ვარიანტებია:

-ავ, **-ევ**, **-ოვ**, **-ივ**...

ეს სუფიქსები დასტურდება მიმდებარეებში (**ნა**- თავსართის კორელაციაში უპირატესად), ზედსართავ სახელთა რთული სუფიქსის შედგენილო-

ბაში, სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში... ეგვევ სუფიქსები უნდა შედიოდეს რიგ სახელებში, რომელთა ფუძეც ამჟამად მარტივი ჩანს.

მიმღებებში:

ნა-ტყუენ-ავ-: ...მწრაფლ წარმოტყუენა და მყის წარმოილო ნატყუენავი... სასულ., **ძღ** ქვ.

... დავით წინადაწარმეტყუელმან სწორედ მეჰომეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი... ხანძთ., **ლზ** ქვ.

ნა-მუსრ-ევ-... და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი... ჰადიშ., 77b₁.

ზედსართავ სახელებში **-ევ-**, **-ოვ-** სუფიქსები — (რთულ სუფიქსებში: **-ევ-ან-** || **-ე-ან-**, **-ოვ-ან-** || **-ო-ან-**):

ნაკლულ-ევ-ან-:

... რწი არღარაჲ იყო ნაკლულევან... ბასილ., 18r.

... გასწორებით ამას ჟამსა თქნი იგი ნამეტავი მათისა მის ნაკლულევანებითა... სამოციქ., 95v.

მწი(ნ)კულ-ევ-ან-, საპირისპიროა: **უ-მწიკულ-ო**; შდრ. მეგრ. წიკუნ-ს „სვრის“; **წიკ-ვ-ილ-** „დასვრილი“; შურ(ი) მოწიკვილი — „სულ-აკატებული“, „სიტყვა-სიტყვით“: „სულ-მოსვრილი“.

... ოდესმე მოაჴსენებნ გულის სიტყუათა მწინკულევანთა... უდაბნ., 21v.

... იწრაფდით სწლისათჳს დაცვად მწინკულევანთაგწნ... იქვე, 35r.

სახარულ-ევ-ან-:

... დღეს სახარულევან არს ბერწობაჲ იგი... უდაბნ., 143v.

... გწრდენ სახარულევანო ქყნისაჲ მის დაქურივებულისაო... სგან., 21.

-ევ-ან- → **ე-ან-** (→ **ი-ან-**)¹:

სნეულ-ე-ან- ← **სნეულ-ევ-ან-** (← **სენ-ევ-ულ-ევ-ან-**):

¹ **-ი-ან-** შეიძლება მივიღოთ სხვა წარმოშობის **-ე-ან-**-ისგანაც: მაგალით., ქრისტე-ან- → ქრისტი-ან-.

ხ^ნ იგინი უწოდდეს მას ს ნ ე უ ლ ე ა ნ ა დ ... ოქროპირ., 146r.

ოქრ-ე-ან- ← ოქრ-ეგ-ან-:

... შემოსილი სამოსლითა ოქრეანი თა... დავით., 74r.

... ფესუედითა ოქრეანი თა შემკულ და შემოსილ... იქვე, 74v.

იხ. აგრეთვე: **თითო-ე-ულ-** (← თითო-ეგ-ულ-), **ჭირ-გ-ე-ულ-**... **მეგს-ე-ულ-** || **მეეს-ე-ულ-**... **შიშ-ნ-ე-ულ-**... და სხვ. (გვ. 44).

... **დეკ-ე-ულ-**... **მჭელ-ე-ულ-**... **ძოწ-ე-ულ-**... **მროწ-ე-ულ-** (გვ. 45).

მვც-ოგ-ან-: ... მ-ვც-ე „ჭაღარა“... შდრ. ჭან. ხჩე || ქჩე, მეგრ. (რ)ჩე „თეთრი“ — „შედარ. ლექსიკ.“, 235.

... ჭაბუკ იყო ასაკითა და მვცოვან გონებითა... სვან., 113.

... და ერთი მვცოვანი... იქვე, 143.

... ვინ იყო ესრეთ მვცოვან გ^ნბითა უწინარეს მვცეთასაცა... ბასილ., 7v.

ბზ-ოგ-ან-: ბზოვანსა სიბოროტისასა... სვან., 351.

(სამ)-გუამ-ოგ-ან-:

... გამოიბრწყინვე სამგუამოვანი იგი ნათელი... ბასილ., 29r.

ეკლ-ოგ-ან-:

... ეკლოვანი ესე მოიცვალა ქყნდ... უდაბნ., 52v.

ფურცლ-ოგ-ან-:

... ხედავენ ხესა ფურცლოვანსა... უდაბნ., 52v.

ლოდ-ო-ან- ← ლოდ-ოგ-ან-:

... რ^ნ გარდააქცინა ლოდოანნი ტბად... დავით., 167v.

ტუინ-ო-ან- ← ტუინ-ოგ-ან-:

... საკუერთხი ტუინოანი შევწირო შენდა... დავით., 97v.

რქ-ო-ან- ← რქ-ოგ-ან- (შდრ. ახ. ქართ. რქ-ოს-ან-):

... შეიპყრობდა გუელთა რქოანთა... ოქროპირ., 193v.

სუფიქსი **-იგ-** რთულ სუფიქსებში:

-ი-ერ- ← **-ივ-ერ-**:

მეცნ-ი-ერ-, **გონ-ი-ერ-**, **შუენ-ი-ერ-**, **სალმობ-ი-ერ-**, **ჟამ-ი-ერ-**, **პოვნ-ი-ერ-**, **თუალ-ი-ერ-** (იხ. ა-თუალ-ი-ერ-ებ-ს), **ცოლ-ი-ერ-**, **ქმრ-ი-ელ-**... იხ. **-ერ-** სუფიქსთან დაკავშირებით მოცემულ კონტექსტებში, გვ. 82-83.

აქ რომ **-ი-** ← **-ივ-**, ამას მოწმობს **-ვ-**ს წარმოჩენა მომდევნო **-ე-**ს დაკარგვის შემთხვევაში, იშვიათად ახალ სალიტერატურო ქართულში და უფრო ხშირად ზოგ ადმოსავლურ კილოში:

გონ-ი-ერ-ი — გონ-**ივ**-რ-ულ-ი... მშვენ-ი-ერ-ი — მ-შვენ-**ივ**-რ-ად... და სხვ.

-ივ- მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციითაც გვევლინება, როგორც ეს პირველად აღნიშნა ჰ. შუხარდტმა¹:

მაძღრ-ივ-: ზიარებისა: თჳს: ღთის: შუენიერებისა: არა მაძღრივ:... სამოციქ., 73r.

ცხოვლ-ივ-: ... არცა იოვანე შევიდა ცხოვლივ კჳბრედ... ოქროპირ., 172v.

მარჩბ-ივ- (მაგალითი იხ. გვ. 56).

მერე და რა კავშირი აქვს ამგვარ **-ივ-**ს იმ **-ივ-**თან, რომელიც ივარაუდება გონ-ი-ერ-ში და მსგავსი წარმოების ზედსართავებში?

ერთი შეხედვით — არაფერი, მაგრამ აქ შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა გვქონდეს: ამაზე მიუთითებს ისეთი წარმოება, რომლის ნიმუშად შეიძლება დავსახოთ **ძნ-ი-ად**:

ძნ-ივ- — შღრ. ცხოვლ-**ივ-** — *ძნ-**ივ**-ად → ძნ-ი-ად... ძნ-**ივ**-ად იმგვარივე აგებულებისაა, როგორც ძნ-ელ-ად; მაშასადამე: -ივ- || -ელ-.

ფუნქციით **-ივ-** უღრის **-ით-**ს.

ასევე განსხვავდება **მან** ნაცვალსახელი (**მან** მიუგო) და **მან** მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი (ძმა-**მან** მიუგო): განვითარების სხვადასხვა საფეხურის ფაქტია აქ ერთ სიბრტყეზე მოქცეული, — მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვიშლის ვცნოთ მათი გენეტური იგივეობა.

ასევე უნდა იყოს **-ივ-**ის შემთხვევაშიც. მისი წარსულის გარკვევას ზოგი ბრუნვის გენეზისისათვის საგულისხმო შედეგების მოცემა შეუძლია. **-ივ-**ის საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

აქ დაკვამაყოფილდებით რამდენიმე ნიმუშის მოცემით (სათანადო კონტექსტებში).

ძნ-ი-ად ← **ძნ-ივ-ად**: ... ორკერძოვე ძნიად მისაწლომელ არს... სვან., 111.

... და ძნიად სულნი მოეგნეს... უდაბნ., 138v.

¹ იხ. Über das Georgische, 1895, გვ. 14.

მრგულ-ი-ად (|| **მგრგულ-ი-ად**) ← **მრგულ-ივ-ად**:

... რ გარეშე კრეტსაბმელსა მას იყო სასანთლჳ იგი. დამრგულიად დასაწუველნი... სვან., 28.

... საკურთხეველი იგი მრგუგულიად (!) დასაწუველთაჲ გარეშე იყო... იქვე, 30.

... აღემართებიან მრგულიად.. სვან., 156.

უნებლ-ი-ად ← **უნებლ-ივ-ად**:

... უნებლიად დასაბამივე იგი სიტყუაჲ მოვილო... სვან., 113₁.

... წიგნის წერაჲ არს სიკუდილი უნებლიად... სამოციქ., 161₁.

უნებლი-ა-დთ ← **უნებლ-ივ-ა-ით**: ... არა ნეფსით კეთილი ქმნეს. ანდ უნებლიადთ გამოაჩინეს... სვან., 48.

ტკბ-ი-ად ← **ტკბ-ივ-ად**:

... ტკბიად საწყალობელისა... უდაბნ., 51_v.

... და ტკბიადითა მით ჳმითა ყლნი შემოგკრიბნეს.. იქვე, 44_v.

ტფ-ი-ად ← **ტფ-ივ-ად**:

რ ვა ბლუარმან ტფიად მოჰბერის... უდაბნ., 80_v.

მდუმრ-ი-ად (|| **მდუმარ-ი-ად**) ← **მდუმრ-ივ-ად**:

... იტყოდა ქალწული სიტყუთა მდომრიადითა (!)... სვან., 201₁.

... და გუეპყრნეს იგინი ჳელთა მდუმრიად... სვან., 106.

... ვა წჳმად გარდამომავალი მდუმრიად... სვან., 21.

ფრ-ი-ად ← **ფრ-ივ-ად** (შდრ. სხვა-ფრ-ივ-).

-ივ- აქ იჰერს -ელ-, -ილ- სუფიქსთა ადგილს.

წ36. -ავ-, -ევ- სუფიქსები ნაწარმოებ სახელებში (არსებ., ზედსართ.):

ნათეს-ავ-: ... ესე ნათესავი არა რადთ განვალს: გარნა ლოცვითა... ჰადიმ., 84_{b1}.

... აღდგეს ნათესავი ნათესავსა ჳა და მეუფებაჲ მეუფებათა ჳა... ჰადიმ., 93_{a1}.

ნაკერპ-ავ-: ... ხ ნაკერპავთა მათჳს ვიცით: რ ყლთა მეცნიერებაჲ გაქუს... სამოციქ., 67₁.

ნამეტ-ავ- (შდრ. ახ. ქართ. **ნამეტ-ან-** || დიალექტ. **ნამეტ-არ-**):

... გასწორებით ამას უამსა თქნი იგი ნამეტავი მათისა მის ნაკლულევანებითა... სამოციქ., 95v.

ნა-წლ-ევ-: ... და იჭირვოდა მუცლითა და ნაწლევითა... სვან., 232.

ნა-ღუარ-ევ-: ვა ნაღუარევი ბლუარისაჲ... უდაბნ., 80v.

... მოაქციე ოწ ტყვჳ ჩნი ვა ნაღუარევი ბლუარითა... დავით., 187r (?).

ნა-ბიჭ-ევ-: ... ნაბიჭევისაგან უფალთჲსა ტაბლისაგან მათისა ძაღლნიცა გამოიზარდნიან... სვან., 369.

აქამდის დასახელებული მაგალითები გვეუბნება, რომ **-უ || -ვ** სუფიქსი არა მარტო თანხმოვნების შემდეგ გვხვდება, ის ხმოვნებსაც შეიძლება მოსდევდეს (და მაშინ **-ვ**-ს სახეს იღებს, თანხმოვანია); სხვანაირად რომ ვთქვათ: **დასტურდება ვ-ს შემცველი სუფიქსი სრული სახით, ოდენ-თანხმოვნიანი სახითა** (და ოდენ-ხმოვნიანითაც, როგორც თავში აღინიშნა — იხ. დღე ← **დღ-ევ-**; გზა ← **გზ-ავ-**... ქვა ← **ქვ-ავ-**... გვ. 13-14).

-უ || -ვ... -ავ... -ევ... -ივ... -ოვ...

ამ მწკრივში მონაწილე **უ || ვ** ხმოვანდაკარგული ვარიანტია სრული, ხმოვნიანი სახეობისა. ამიტომ ვერ იქნება ეს **უ || ვ** ფონეტიკურ დანართად მიჩნეული. ამგვარი განმარტებით, ფონეტიკური გზით, ვერ გაირკვევა ხსენებული **უ || ვ**-ს რაობა. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს საერთოდ ბაგისმიერ **უ || ვ**-ს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარების შესაძლებლობას. საჭიროა საამისო შემთხვევების ინდივიდუალური შემოწმება.

უ || ვ-ს სუფიქსად მიჩნევას ჩვენს მსჯელობაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს. **-უ || -ვ**-ს სუფიქსად მიჩნევის შესაძლებლობა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ყველა ბოლოკიდური **-უ || -ვ** სუფიქსია (ეგევე ითქმის **ღ**, **რ**-ს შესახებ. იხ. ქვემოთ).

§37. -ლ-, -რ-, -ვ- თანხმოვნიანი სუფიქსების გარდა **-ნ-** სუფიქსსაც შეეხებთ, ზუსტად რომ ვთქვათ **-ან-** || **-ენ-** სუფიქსებს (იხ. თავში, გვ. 8-19).

ეს სუფიქსები **-ა-** და **-ე-** სუფიქსების სრული სახით გამორკვევისას დადასტურდა:

ძმ-ა ← ძმ-ან-

ღ-ა ← ღ-ან-

ღღ-ა ← ღღ-ან-

ტბ-ა ← ტაბ-ან-

ღღ-ე ← ღღ-ენ- ← დაღ-ენ-

ტყუ-ე ← ტყუ-ენ

ძ-ე ← ძ-ენ

მოგვეპოვება თუ არა ეს სუფიქსები ზედსართავებში და მიმღობაში? აქვს თუ არა ადგილი ამ სუფიქსის უხმოვნო, ოდენ-თანხმოვნიანი ხმარების შემთხვევებს, ერთი მხრით, — სრული სახით ხმარებას (-ან-, -ენ-...) მეორე მხრით?

ერთი სიტყვით, გაგვაჩნია თუ არა ამ შემთხვევაში ის ნიშან-თვისებები, რომლებიც **-ლ-**, **-რ-**, **-ვ-**ს შემთხვევაში დადასტურდა?

პასუხი დადებითი იქნება, ოღონდ შემთხვევათა რიცხვი — მცირე. ამის შესახებ — ქვემოთ.

-ან-, **-ენ-**... ზედსართავ სახელებში:

-ან- შენახულია ნაწარმოებ ზედსართავებში, როგორცაა **მო-წით-ან-ო**, **მო-ყუთ-ან-ო** (მდრ. **-არ-** სუფიქსის გამოვლენა მეგრულ ზედსართავისაგან ნაწარმოებ ზმნაში: გა-ჭით-არ-ება „გაწითლება“):

... ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?

რამან შეგქმნა მოყუითანოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო? „გ. ტ.“, ხ. 599.

... ვპოვე ვარდი მოყუითანოდ, შუქ-მკრთალი და ფერ-მიწდილი... იქვე, 997.

მარჯუ-ენ-ი/ა/ე... **მარცხ-ენ-ი/ა/ე...**

მარჯუენ-ის ანალიზი და საილუსტრაციო მასალა იხ. მარჯუალ-თან (გვ. 28 და შემდ.).

მარცხ-ენ- ანალოგიური აგებულებისაა.

§38. -ან- რიცხვით სახელთა სუფიქსია ჭანურში და მეგრულში:

მა-ჟურ-ან-, **მა-სუმ-ან-**, **მა-ოთხ-ან-**..., რომლის გვერდით **მა-ჟურ-ა**, **მა-სუმ-ა**, **მა-ოთხ-ა**-ც აქვს პარალელურ ფორმებად ნ. მარს დასახელებული; ეს სახეობა სწორედ ისევეა **-ნ-** მოკვეცილი, როგორც ეს მეგრულშია ამჟამად (Грамм. чанского яз., §35, გვ. 31). ჩვენ ჭანური ტექსტების ჩაწერისას ასეთი უ-ნ-არო ვარიანტი არ შეგვხვედრია.

ნ. მარი ასახელებს აგრეთვე **-ენ-**იან წარმოებას რიგითი რიცხვითი სახელებისათვის:

ჟურენერ-ენ-ი, **სუმენერ-ენ-ი**, **ოთხ-ონერ-ენ-ი** — მეორმოცე, მესამოცე, მეოთხმოცე... (იქვე, გვ. 23).

არის **-ერ-**იანი და **-ონ-**იანი წარმოებაც:

ჟურ-ენ-ერ-ი „მეორე“... ვითოარ-ონ-ი || ვიტვარ-ონ-ი

„მეთერთმეტე“

შუმ-ენ-ერ-ი „მესამე“...	ვითოჟურ-ონ-ი „მეთორმეტე“
ოთხ-ენ-ერ-ი „მეოთხე“...	ვითოსუმ-ონ-ი „მეცამეტე“
ხუთ-ენ-ერ-ი „მეხუთე“...	ვიტოთხ-ონ-ი „მეთოთხმეტე“...

-ონ-იანი წარმოება ათინურსა და ვიწურში გვაქვს: მა- — -ან- წარმოებას -ონ-იანი წარმოებით ცვლიდა ათინელი ფევზი-ბეი-ო, წერს ნ. მარი (იქვე, გვ. 22).

-ერ- || -ენ-ერ- ჰ. აჭარიანზე მითითებით მომყავს და აღმოსავლურ ჰანურს (ე. ი. ხოფურს) ეკუთვნისო, შენიშნავს ნ. მარი (იქვე. — ჩვენ ამგვარი წარმოება არ დაგვიდასტურებია).

ნ. მარის განმარტებით -ენ- (ჟურ-ენ-ერ-...) არქაული მრავლობითია და -ერ- უკვე მას ერთვისო (იქვე, გვ. 22).

-ენ- ქართველურ ენებში მრავლობითის სუფიქსადაც შეგვხვდება (მაგალ., ზმნებში), მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ „ჟურენერ-“, „სუმენერ“-ში სწორედ ასეთი -ენ- გვქონდეს. ასეთი ინტერპრეტაცია სემასიოლოგიურად სრულიად გაუგებარია.

-ენ-ერ- რთული სუფიქსია; მისი პირველი ნაწილი, საფიქრებელია, ის -ენ-¹ იყოს, რომელიც ჟურენერ-ენ-, სუმენერ-ენ-, ოთხენერ-ში აქვს ნ. მარს ნაჩვენები.

ეს -ენ- უფრო ახლოსაა ქართ. -ედ- სუფიქსთან: მე-სამ-ედ-, მე-ოთხ-ედ-, მე-ხუთ-ედ- (-ედ-ის შესახებ იხ. ქვ. აქვე).

რიგითს რიცხვითს სახელებში -ან- სუფიქსს შეგვხვდებით ქართულშიც: ესაა რთულ -ი-ან- (← -ივ-ან-) აფიქსის მონაწილე -ან-: მესამოცე წლები — სამოც-ი-ან-ი წლები, მეოთხმოცე — ოთხმოც-ი-ან-ი წლები...

საინტერესოა, რომ -ი-ან- პირველი ორი ათეულის ფარგლებში არ იხმარება სწორედ ისევე, როგორც ჰანურში.

§39. -ან- მიმღებებში მხოლოდ აწყო დროისაში ჩანს:

... პირ-მსივ-ან-: მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი... ჩარადოვანნი პირმსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი... შუშან., 39₅.

მ-რისხ-ან-ე: ... ნავი აფრიანი მბრძოლი ღელვათა მათ მრისხანეთაი... სვან., 185.

¹ თუ ეს არ არის ის -ინ-, რომელიც „გზისობის“ აღსანიშნავად იხმარება სვანურში: „სუმ-ინ სემი“ — „სამჯერ სამი“...

ამავე რიგისაა: მ-ტყუ-**ან**-ი (|| მტყუგ-**არ**- იხ. ზემოთ, გვ. 71).... მ-ციგ-**ან**-ი... მ-ტკიგ-**ან**-ი... მო-მ-ჩიგ-**ან**-ი...

§40. -ან-, -ენ-, -უნ- არსებ. სახელების ბოლო მარცვალს ქმნიან:

**ერქუან-, ვან-, ტევან-, მარან-, ბალან-...
ცხენ-, ყურძენ-, ძღუენ-, ბრპენ-, წუენ-, ბრძენ-...
სთუნ-...**

ზოგი ამათგანის დაშლა თითქოს ხერხდება:

ერქუან-: არავინ ჰელი დასდვის ერქუანსა... ოქროპირ., 193r.

ძირეული კომპლექსი უნდა იყოს **-(რ)ქუ-**, რაიც **-ცუ-**ს სემასიოლოგიური და ფონეტიკური ტოლია („აცვია“); **ე-** — **-ან-სა-** — **ელ-**ის როლში გამოდის: **ე-რ-ქუ-ან-** — **სა-რ-ქუ-ელ-** — „საცმელი“... (შედარ. ლექსიკ., 341); ასეთი მნიშვნელობა შეუფერებელი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ერქუან-**ი სამეგრელოში (და იმერეთშიც ი. ყიფშიძის ცნობით — მეგრ. გრ. 232) აჩაჩის იმ ნაწილს ეწოდება, რომელიც ჩარჭობილია ქუსლში, მას „დაცმული“ აქვს (შდრ. აჭარ. **მაჭვა** — ძირ. **ჭვალ!** იხ. ს. მენტეშაშვილი. „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“ — ენიმკის მოამბე, II, გვ. 145).

შდრ. იგ. ჭავჭავიძის: „საქართვე. ეკონომ. ისტ. I, გვ. 150-210, სადაც საკითხის მატერიალური და ენობრივი ვრცელი ანალიზია მოცემული.

ძღუენ-: ... შეკრიბოს ძღუენი ეგვბტით და ჰინდოეთით თითო სახეც... ოქროპირ., 153v.

... ამას დღესასწაულსა მომირთუამს ძღუენი სტყთა ჩემთად... გაგებად წე შნსა მიითუალე გლახაკისაგან... სვან., 210.

... მოგუთა თანა ძღუენსა შესწირევდ... სვან., 69.

სიტყვის მარტივი ფუძე **-ძღუ-** იგივეა, რაც ზმნაში უ-ძღუ-ის... მო-ძღუ-არ-ი... წარ-უ-მ-ძღუ-არ-ი... მი-უ-ძღუ-ნ-ა ← მი-უ-ძღუ-ან-ა:

... მცირედი ესე გამოს ხილვად გამოვთარგმნე და... განსაკითხვად მიგიძღუანე... ქრონ. I, 100 (დაჩის წერილი სტეფანე მტბევრელ (!) ეპისკოპ.).

ცხენ-... „შედარ. ლექსიკ.“ დასმული გვქონდა კითხვა (იხ. გვ. 79)

ამ ფუძის სხ-ენ- || სხ-ედ- ზმნის ფუძესთან მიმართების შესახებ, სადაც **-ენ** || **-ედ** სუფიქსია: **სხ-ედ-ან- || სხ-ენ-ედ-...** დადებითი პასუხის შემთხვევაში **ცხენ** ← სხ-ენ: **ს-ხ-ენ**, — ე. ი. **ს-** თავსართიც უნდა გამოგვეყო. ეს ადვილად აიხსნება, რომ ერთი გარემოება არ იყოს: რაზედმე ჯდომის აღსანიშნავად ძვ. ქართულში **-ვედ-** ძირი გვაქვს გამოყენებული. ვფიქრობთ, ეს მაინც არ გამოორიცხავს **ს-ხ-ენ** და **ცხ-ენ**-ის დაკავშირების შესაძლებლობას.

ცხენ-: ...ნუ იყოფვით ვა ცხენი და ჯორი... ჭიმითა და აღვრითა ქცევად დაწუნი მთნი... დავით., 53r-v.

... რამცა მივიდა მათთანა სიმღერად ასპარეზთა ცხენთასა... ოქრობ., 11v.

... იწყეს ცხენთა მათ სიმღერად ვა ჩუეულ იყვნეს ურთიერთას... უდაბნ., 25r.

ვან-: ...მიგუაღე ვანად შენდა, იბანე და განისუენე... სვან., 121.

... მვედარმან არცაღათუ: ვანისა ხილვად ინება ლუაწლით მოსრულიყო... იქვე, 121.

მარან-: და ჩნცა საყუარელნო. მარანსა მას მაცხოვრისასა მი... ოთ... სვან., 1.

ტევან-: ... გამოჰქონან ნაყოფნი ტევანნი... სვან., 115.

... განმრავლდა კუფხალი უფროდს ტევნისა რა არა იწმი არს ვენაჯი უნაყოფოდ... სვან., 418.

ბალან-: არა რად მაქუს გარნა ბალნისა ესე სამოსელი... ბასილ., 16r.

ყურძენ-: ... ყურძენი მათი ყურძენი ნაუღლისად (!) და ტევნი სიმწრისა მთისად... დავით., 219r.

... და მოჰყურძენენ შენ ვენაჯნი რა არა შენ დაჰნერგენ... სვან., 452.

ბრპენ-: ... და განარჩიოს ბრძმელითა მით ოქროდ ბრპენისაგან... სვან., 191.

-ნ-იანი სუფიქსიც, როგორც ვხედავთ, საწარმოებელი სუფიქსი ჩანს სახელეებისათვის: არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა და ნაზმნარ სახელთა (მიმღეობათა).

მიმღეობაში მას მხოლოდ სპორადულად ვხედავთ, ისიც ერთ დროში. **-ელ-**, **-არ-**, **-ურ-** აწმყოშიც გვქონდა და მყოფადშიც, **-ულ-** — აწმყოში და ნამყოში.

§41. დასახელებულ სუფიქსთა წრეში კანონიერი ადგილი ეკუთვნის **-ედ-** სუფიქსსაც, თუმცა მას ყველა ზემოჩამოთვლილ სუფიქსზე ნაკლები სამოქმედო ასპარეზი აქვს; მისი ხმარება სპორადულია.

და მაინც მას ვიპოვით ყველგან, სადაც ანალოგიური აფიქსებია მოსალოდნელი: მიმღეობაში, რიცხვით სახელებში, ზედსართავებში, არსებით სახელებშიც.

-ედ- მიმღეობაში:

მო-რბ-ედ- (ზმნისაგან რბ-ის): ... და იქსნა და თანამორბედ ყო... სვან., 41.

... ვარსკულავისა თანამორბედ ვიქმენით... სვან., 53, 75.

მო-ქმ-ედ- (ზმნისაგან: **ი-ქმ-ს**): ... იხილიან პილენძი შებერული და შემოქმედად ცისა და ქყნისა... უწოდიან... სვან., 96.

-ედ- ზედსართავ სახელებში:

ფესუ-ედ- (=ფესვ-ი-ან-ი): ... და საკუთხეველისა მსახურებასა ფესუედითა სამოსლითა და ტყავითა არ იკადრებოდა მსახურებად... ხანძთ., 35.

სამ-ქორ-ედ- (სამ-სართულიან-ი): ... გარდავარდა იგი სამქორედისა მისგან და მოკუდა... სვან., 167.

ეტლის თუალ-ედ- (= ეტლის თვლებიან-ი, ბორბლებიან-ი):

... საყდართა ზედა ეტლის თუალედთა წყელისა მრხილულთა... სვან., 188.

აღსანიშნავია, რომ **-ედ-** სუფიქსი ფართოდ აქვს გამოყენებული საბა სულხან ორბელიანს სიტყვათა განმარტებისას გამოთქმებში; მოვლენა წმინდა მწიგნობრულია; ყველგან **-ედ-** სუფიქსი **-ი-ან-** სუფიქსის მაგივრობას ეწევა. მაგალითად:

„**ფიხი** — შტოედი შეშა...“ (შტო-ედ-ი — შტო(ებ)-ი-ან-ი).

„**ფურცხვი** — ესე არს კავოედი რკინა ქვაბით ჯორცთა ამოსაღებელი“... (კავო-ედ-ი — კავ(ებ)-ი-ან-ი).

„**ბორჯღლი** — კაპებიანი, **ბორჯღლედი**“ (!) ბორჯღლედი კაპებიანის განსამარტავადაა დასახელებული.

„**ბადე** — სახელი არს ყოველთა მკედთა თვალედად მონასკულთა...“

„**ჯავშანი**... ესე ხუთნი აბჯარნიცა სხუა და სხუა გუარნი იქნებიან: რომელიმე თვალგრძელი, რომელიმე თვალ-ფართო... და ჯვარედი.“

„**რუკაბი** — ძლიერ ბებერი დედაკაცი და დიდად ყბედი და კუდიანი“... „დიდად ყბედი“, ცხადია, აქ სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არ დიდ

ყბებიან-ს (აქედან: ყბედი — ახალი გაგებით: ვინც ყბებს არ ასვენებს, თავს გვაბეზრებს ლაპარაკით...).

-ედ- სუფიქსის შესახებ **მცირ-ედ**-ში იხ. გვ. 61.

-ედ- სუფიქსის შესახებ წილადს რიცხვითს სახელებში იხ. ზევით, გვ. 59-60.

მე-სამ-ედ-ი, მე-ოთხ-ედ-ი, მე-ხუთ-ედ-ი, ...მე-ას-ედ-ი...

ჭანურში სხვა საწარმოებელ აფიქსთა შორის **-ენ-** სუფიქსიც გამოიყენება: სუმენეჩ-**ენ-ი**, ოთხონეჩ-**ენ-ი** (იხ. ზემოთ, გვ. 94).

ეს **-ენ-** ქართ. **-ედ-**ის კორელატია. მართალია, ის რიგითს რიცხვითს სახელს აწარმოებს, ქართ. **-ედ-** კი წილად რიცხვითს სახელებს, მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს (გვ. 58-60), **-ედ-** ქართულშიც რიგითი რიცხვითი სახელისათვის გამოიყენებოდა და წილად რიცხვით სახელებს შემდეგლა განეკუთვნა (გვ. 95).

არსებით სახელებში **-ედ-** ყურადღებას იპყრობს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა **ბრძმედ-, ღუედ-**...

... და განარჩიოს ბრძმედი თა მით ოქროდ ბრპენისაგან... სვან., 191.

... რლსა მოებლანდნა საბლარდნელი სპეტაკი... და ესხნეს სანდალნი ოქროდუენი... სვან., 135.

აქ **-ედ-** სუფიქსის გამოყოფა შესაპირისპირებელ ნაწარმოებ ფუძეთა უქონლობის გამო არ ხერხდება.

-ედ- სუფიქსი **-დ-**იანი სუფიქსის ერთად ერთი ხმოვნის ვარიანტი გამოდის: **-ად-, -იდ-, -უდ-** არა ჩანს.

უხმოვნო **-დ-** სუფიქსი უნდა გვქონდეს სახელში **მ-შულ-დ-ი**:

... მშულდი გარდაცმული აქუს ველსა და კაბარჭნი წელთა: სავსე განმრყუენელითა ისრითა... უდაბნ., 166r.

... ცდვილთა გარდაუცუამს მშულიდსა მათსა და გწმზადნეს ისრნი კპრჭთა მათთა... დავით., 30r.

... არა მშულიდსა ჩემსა ვესავ არცა მახუილმან ჩემმნ მცხოვნის მე... დავით., 71v.

მეგრ. **შქვილ-**ში **-დ-** არა გვაქვს (საეჭვოა ის დაკარგულიყოს); ნასახელარ ზმნაში — **შქვილ-ან-ს** „მშვილდავს“, „ბამბას პენტავს“ ისევ **შქვილ-** გვაქვს საწარმოებელ ფუძედ; ძველის-ძველ გამოთქმაში **ქა-შქვილ-**ი დო **ქა-საგანი** — „რქა-შვილდი და რქა-ისარი“ — **შქვილ-** ფუძეს **-დ-** არა აქვს. **-დ-** აფიქსი უნდა იყოს.

მკერდ- (თუ კი ქართულია ეს ძირი?) და **გუერდ-** ფუძეთა შედგენილობაშიც **-დ-** ეჭვებს იწვევს: სუფიქსი ხომ არ არის?

... და ხუეტდეს გუერდთა მისთა და მკერდსა... ოქროპირ.,
213v.—214r.

§42. როგორი მდგომარეობაა ზემოხსენებული სუფიქსების მხრივ ჭანურ-მეგრულსა და სვანურში?

ჭანურ-მეგრული საკმაოდ მდიდარია ამგვარი სუფიქსებით, სვანური კი — თვალსაჩინოდ ღარიბი.

თვით ჭანურსა და მეგრულს შორის ანგარიშ-გასაწევ სხვაობას ადგილი არ ურჩება: ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები თუ ქმნიან თავისებურ ვარიანტებს.

ჭანურში და მეგრულში გვაქვს სუფიქსები:

1a. **-ალ-**: ქართ. **-ან-** || **-ალ-**

ჭან. ჯუმ-ა(ლ)-	მეგრ. ჯიმ-ა(ლ)- „ძმა“
„ დ-ა(ლ)-	„ დ-ა(ლ)- „და“
„ ქვ-ა(ლ)-	„ ქუ-ა(ლ)- „ხე“, „ძელი“
„ ჯ-ა(ლ)-	„ ო-ჭკომ-ალ- „საჭმელი“
	„ ო-შუმ-ალ- „სასმელი“

b. -ალ- : ქართ. -ელ- : ჭან. კვ-ალ-	„ სვ-ალ- „ყველი“
„ ყ-ალ- ც-ალ-	„ ც-ალ- „ყელი“
„	„ იხ. ო-სალ-ემ-ი „საყელი“

2. **-ელ-**: კუდ-ელ- „კუდი“.

3. **-ილ-**: ქართ. **-ლ-**; **-ულ-**, **-ილ-**...

მეგრ. ვარჩხ-ილ- „ვერცხლი“
„ ყვარ-ილ- „ყვერული“
„ კვათ-ილ- „კვეთილი“

4. **-ულ-**: ქართ. **-ალ-**: ჭან. მამ-ულ- მეგრ. მუმ-ულ- „მამალი“
„ დად-ულ- „დედალი“

5. **-ოლ-**: ქართ. **-ალ-**: ჭან. ქომ-ოლ- || ქიმ-ოლ- „ქმარი“
მეგრ. ქომ-ოლ- „მამაკაცი“, „ვაჟაკი“.

6. **-არ-**: ქართ. **-ელ-**:

ჭან. ორჭ-არ-ი	მეგრ. სანაკ-არ-ეფი „სენაკელები“
„ ორჭ-ელ-ი“	ზუგიდ-არ-ეფ-ი „ზუგიდიდელები“
ნოდ-არ-ი „ქალაქელი“	მელენ-არ-ეფ-ი „გაღმელები“
	გო-ჭით-არ-ეფა „გაწითლება“.

7. **-ერ-**: ქართ. **-ილ-**: ჭან. ჭარ-ერ- „წერილი“... ხვენ-ერ-ი „ქმნილი“...
მეგრ. ლობ-ერ-ი „ლობე“, „ლობილი“
ე-სხ-ერ-ი¹ „ნასესხები“, „სესხებული“.

¹ ასე იწოდება მარტის პირველი დღეები, ჩვეულებრივ ავღრიანი.

8. **-ირ-**: ქართ. **-ილ-** || **-ლ-**: მეგრ. ჭყვად-ირ-ი „წყვეტილი“,
„ამოვარდნილი“
„ ლად-ირ- „ნედლი“
ჭან. სკ-ირ- „შვილი“ „ სქ-ირ-ი → სქი „შვილი“
9. **-ორ-**: ქართ. **-(ა)ლ-**:
ჭან. ჯოლ-ორ- მეგრ. ჯოლ-ორ- „ძალი“
ო-ხ-ორ- „სახლი“ ო-ხ-ორ-ან-ს „სახლობს“
10. **-ურ-**: ქართ. **-(ა)ლ-** **-ულ-**, **-არ-**:
ჭან. მჩხ-ურ- მეგრ. შხ-ურ- „ცხვარი“
ყომ-ურ-||ყომ-ურ- ყომურ- „ტყემალი“
ო/უშქ-ურ- უშქ-ურ- „ვაშლი“
თოფ-ურ- თოფ-ურ- „თაფლი“
ჭუბ-ურ- ჭუბ-ურ- „წაბლი“
მუნტ-ურ- მუნტ-ურ- „მატლი“
შ-ურ- შ-ურ- „სული“
გ-ურ- გ-ურ- „გული“
11. **-აჯ-** || **-ანჯ¹-**: ქართ. **-ერ-**:
ჭან. მ-ჭ-აჯ-, მეგრ. ჭ-ანჯ- „ბუზი“ (ეტიმოლ. „მ-წ-ერ-“)
12. **-ეჯ-** || **-ენჯ²-**: ქართ. **-ორ-**:
მეგრ. ლ-ეჯ- „ლორი“
გეცვ-ენჯ-ი „მომდევნო“
გემახვ-ენჯ-ი „მჯდომარე“
მახ-ენჯ-ი „მპარავი“
13. **-იჯ-** || **-ინჯ¹-**: ქართ. **-ირ-**:
ჭან. პ-იჯ- მეგრ. პ-იჯ- „პირი“
ჯ-ინჯ- „ძირი“
14. **-ოჯ-** || **-ონჯ¹-**: ქართ. **-არ-**:
ჭან. ხ-ოჯ-, მეგრ. ხ-ოჯ- „ხარი“
ქიმ-ოჯ- ქომ-ონჯ- „ქმარი“
15. **-უჯ-**: ქართ. **-ურ-**:
ჭან. ყ-უჯ- || ც-უჯ- მეგრ. ყ-უჯ- „ყური“

¹ **-ნ-** ფონეტიკური დანართია.

² **-ნ-** ფონეტიკური დანართია. **-ენჯ-** სუფიქსის შესახებ იხ. ვ. თოფურიძე: „ენჯ სუფიქსი მეგრულში“, ენიმკის მოამბე I, გვ. 142 და შემდ.

- ფუჯ- „ძროხა“ ფ-უჯ- „ფური“
 ჭკ-უჯ- „ჭურჭელი“
 (ეტიმ. „ჭურ-“)
16. -უ-: ქართ. -**უ**- || -**ე**-, -**ელ**-:
 ჭან. ბალ-უ მეგრ. ბალ-უ „ბელელი“
 „ ჭ-უ „ ჭი←ჭუ „წელი“
 „ უფი←უფ-უ „ უფ-უ „ოფლი“
 „ თუ-თხ-უ „ თხი-თხ-უ „თხელი“
17. ა ← -**ალ**- მაგალ. იხ. 1a
 ა ← -**არ**-:
 მეგრ. ჭით-ა ← ჭით-არ- — „წითელი“
18. -**ე**- იგივეა, რაც ქართ. -**ე**- (← -ელ-):
 ჭან. გუნძ-ე მეგრ. გირძ-ე „გრძელი“
 ხ-ე ხ-ე „ხელი“

ჭანურსა და მეგრულში მოცემულ ვარიანტთაგან ზოგი ქართული სუფიქსის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია, ზოგი ქართულის მხოლოდ მორფოლოგიურ (მაგრამ არა ფონეტიკურ) ეკვივალენტს წარმოადგენს, ზოგიც ქართულის განმეორებაა: საერთო მონაცემია ანდა ქართულიდან შეთვისებულია.

ამ აფიქსებში კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის არსებობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ სუფიქსთა ნაწილი მაინც უკვე არსებობდა მაშინ, როცა ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია დაიწყო.

§43. ჭანურისა და მეგრულისაგან განსხვავებით სვანურში შედარებით ხშირია -**უ** სუფიქსი:

მუგ-უ — მტრედი	მიჭ-უ (მჭჭუ) — რქა
მუჟუ-უ — მწყერი	ვიშკ-უ — პირი
რპჭ-უ — კურდღელი	მექ-უ — ზვინი
შდუგ-უ — თაგვი	ჩალყ-უ — მარყუჟი
ლპჩ-უ — ირემი	უისგ-უ — ვაშლი
ხეხ-უ — ცოლი	ფიკ-უ — ვაცი (დაკოდილი)
ფირ-უ ფურ — ფური, ძროხა (თუ ეს -უ -უი-ს მეტათე-	

სით არაა მიღებული: ფურ → ფურ → ფური → ფირ-უ...).

ამგვარი მაგალითებიდან უნდა გამოირიცხოს ის შემთხვევები, როდესაც ბოლოკიდური **ჟ** ფონეტიკურ დანართს წარმოადგენს და, მაშასადამე, მორფოლოგიურ ოდენობად არ მიიჩნევა, (ასეთი ჩანს, მაგალ., კუთხ-**ჟ** „კუთხე“...). ასეთი შემთხვევები საგულებელია, პირველ ყოვლისა, სვანურში, რომელსაც ბგერათა საარტიკულაციო ბაზა საგრძნობლად განსხვავებული აქვს სხვა ქართველურ ენათა ბაზისაგან (აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით თუ ვიზუალურად).

სვანურშიც გვხვდება **-ილ-** || **-გლ-** სუფიქსი: ჯგმ-**ილ** „ძმა“, უდ-**ილ** „და“, დაჯ-**გლ** „თხა“, მაგრამ როგორს მიმართებაშია ეს სუფიქსი ქართ. **-ალ-** სუფიქსთან, ძნელი სათქმელია, სანამ არ გაირკვევა **-ილ-** და **-გლდ-** ის ურთიერთობა: ჟინდ-გლდ „კრავი“ (კნინობ.), მნლ-გლდ „მელია“ (კნინობ.)...

სვანურ **სადა სახელთა** უმეტესობაში არ ჩანს მეგრულისა, ჭანურისა და ქართულის სახელთა ფუძეებში შენიშნული აფიქსები. იყო და დაიკარგა ფონეტიკური მიზეზების გამო, თუ არც ყოფილა ეს აფიქსები?

უფრო — უკანასკნელი, ვინემ პირველი¹. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ქართულშიც მოგვეპოება არა მარტო არსებითი სახელები, რომელთა ფუძეც საწარმოებელი სუფიქსით არ ბოლოვდება, არამედ მიმღობათა წრეშიც გაგვაჩნია უსუფიქსო წარმოება. ეს პირველადი ფაქტი ჩანს. რალა აწარმოებდა მამ მიმღობას? მარტოდენ პრეფიქსი! მარტოდენ პრეფიქსით წარმოება წინ უსწრებს პრეფიქს-სუფიქსით წარმოებას. მიმღობაში ეს დოკუმენტალურად მტკიცდება.

§44. -ნ-, -ლ-, -რ- თანხმოვანთა შემცველი სუფიქსები, როგორც უკვე ვიცით, **სრული** სახითაც გვაქვს და **შეკვეცილითაც**.

შეკვეცილ სახეობას ან ხმოვნითი ელემენტი აკლია ან თანხმოვნითი; შესაბამისად იგი შემდგარია: ან მარტოდენ თანხმოვნისაგან, ანდა მარტოდენ ხმოვნისაგან.

თანხმოვნითი ელემენტი გვაკლია **-ნ-**ს შემთხვევაში (აქა-იქ ხმოვნითი), ხმოვნითს ელემენტს კარგავს **-რ-** თანხმოვნიანი აფიქსიც (თვით **-რ-** არ იკარგება).

¹ შეიძლება გვეფიქრა: ფონეტიკურმა მიზეზებმა მოშალეს სვანურში სათანადო სუფიქსებიო. მაგრამ სახელობითის ნიშანმა (**-ე/ი**) სახელში გარკვეული კვალი დატოვა, რამაც ამ ნიშნის აღდგენა შესაძლებელი გახადა (იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა.: „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ — ტფ. უნივ. მოამბე, VII, 265-315). სადა სახელებში დეტერმინანტ სუფიქსთა ასეთი ნაკვალევი თითქოს არა ჩანს.

სახელისაგან ნაწარმოებ სახელებსა და ნაზმნარ სახელებში — მიმღობაში — გარკვეული სუფიქსები გვაქვს (იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. სვანური ენა: I. ზმნა, გვ. 216 და შემდ.). სვანურში დეტერმინანტ სუფიქსთა ძიებისას ეს სუფიქსები უნდა იქნეს გათვალისწინებული. საკითხს სპეციალური განხილვა ესაჭიროება.

-ლ-იანი სუფიქსი (-ალ-, -ელ-) შეიძლება ხმოვანსაც კარგავდეს და თანხმოვანსაც, ე. ი. მხოლოდ -ლ-ს სახე ჰქონდეს ანდა მხოლოდ -ა- -ე-... ხმოვნისა.

§45. რა იწვევს აფიქსთა შეკვეცას?

ცალკე უნდა განვიხილოთ თანხმოვნითი ელემენტის შეკვეცა და ცალკე — ხმოვნითისა.

თანხმოვნითი ელემენტის შეკვეცა შეიძლება იყოს ფონეტიკური ტენდენციის გამოხატულება, ე. წ. სპონტანური ცვლილების გამოვლენა ანდა არაფონეტიკური ბუნების პროცესებს მოყვეს შედეგად.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ენაში ამ მხრივ თვალსაჩინო სხვაობაა: ზოგი ენა ერთ თანხმოვანს ვერ იგუებს ბოლოკიდურად და ზოგიც კიდევ — სულ სხვას. ასე, მაგალითად, ხუნძური ენის ჩრდილოურ დიალექტში ბოლოკიდურ ბგერად -მ ვერა ძლებს: ლ'აიმ → ლ'აინ „წყალი“... ემემ → ემენ „მამა“...: ბოლოკიდური მ → ნ. ბოლოკიდური -ნ კი მკვიდრია.

მეგრულში კიდევ -ნ ვერ ძლებს სიტყვის ბოლოს, ოღონდ სხვა ბგერით კი არ იცვლება, არამედ შეუნაცვლებლად იკარგვის (იხ. ს. ჯანაშია: „თუბალ... იბერი“ ენიმკის მოამბე, 1, 215; აგრეთვე ავტორის „ჭანგრამ. ანალ.“, § 19, გვ. 72).

მა ← მან „მე“, სი ← სინ „შენ“, ჩქი ← ჩქინ ← ჩქუნ „ჩვენ“... თქვა ← თქვან „თქვენ“ (შდრ. ჭან.: მან, სინ, ჩქუნ || ჩქინ, თქვან — თუმცა ყოველთვის და ყველგან ჭანურშიც არაა დაცული -ნ ამ სიტყვებში — იხ. „ჭანგრამ. ანალ.“, იქვე). მეგრ. რე ← რენ „არის“ (ჭან. რენ — ყოველთვის დაცულია!), რენ-ა ← რენ-ან „არიან“ (ჭან. რენ-ან).

მესამე პირის ნიშანი -ნ მეგრულში აღდგება, თუ მას ხმოვანი დაერთო; მაგალ.: რე „არის“, რე-ნ-ო? „არის?“ რენა „არიან“, რენან-ო? „არიან?“

-ნ- საბოლოოდ დაკარგულია და გაუჩინარებული ბევრ შემთხვევაში. სიმ. ჯანაშიამ სამართლიანად აღნიშნა — მეგრულ გვართა დაბოლოება -ია ← -იან და უკანასკნელის დადასტურება სვან. -იან-ში პოვა: ისტორიულსა და ლიტერატურულ დადიანს, ლიპარტიანს, რატეიანს, ბედიანს მეგრულს ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატეია, ბედეია. ისტორიული ფორმები დაცული აქვს ქართულს (იხ. „თუბალ... იბერი“, ენიმკის მოამბე, 1, 215).

ხსენებულ ნარკვევში დასახელებულ საილუსტრაციო ფაქტებს (ნ-ს

დაკარგვისა გვარებსა და სახელებში) შეიძლება დაემატოს: ადამიანთა სახელებიდან: **იულო** ← იულონ, **ლევა** ← ლევან (ლევა-დან ლევა-ია), **გუქა** ← გულქან, **ანტო** ← ანტონ, **სამსო** ← სამსონ, **შავა** ← შარვან, მელ(ი)ტო ← **მელიტონ**, (ივა ← ივანე), **ბეჩუ** ← ბეჩუნა, **ჯათუ** ← ჯათუნა და მავგარებში სახელის ბოლო ნაწილის საერთო შეკვეცა გვაქვს და არა ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცა: შდრ. **პილა** ← პლატონ, **ალე** ← ალექსი, **გოი** ← გიორგი, **დრიმი** ← დრიმიტი ← დიმიტრი, **ყარა** ← ყარამან და სხვ.).

მეგრულს ბოლოკიდური **-ლ-**ც ეკარგება: **ხე** ← ხელ „ხელი“, **ჭა** ← ჯალ „ძელ“, **ჯიმა** ← ჯიმალ „ძმა“ და სხვ.

ბოლოკიდურ **-ლ-**ს დასუსტება ჭანტურსაც ისევე ეხება, როგორც მეგრულს; **-ნ-**ს დაკარგვა კი ჭანტურში ცალკეული შემთხვევებით ამოიწურება, ზოგადი ხასიათი მას არა აქვს. ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრულისთვის ეს პროცესი დიდი ხნოვანობისა არ უნდა იყოს.

მეგრულში ბოლოკიდურ **-ნ-**ს მოკვეცას არ უნდა ჰქონდეს კავშირი **-ნ-**ს მოკვეცასთან ძვ. ქართულში: ეს პროცესები არც დროის მიხედვით ხვდება ერთმანეთს, არც დიალექტობრივი წრის თვალსაზრისით.

შეიძლება მეგრული ბოლოკიდური **-ნ-**ს დაკარგვა საილუსტრაციოდ გამოდგეს იმისათვის, რამაც ძვ. ქართულში ოდენ-ხმოვნიანი სუფიქსები მოგვცა? **-გ-**ს შემთხვევაში, მართლაც, ანალოგიური პროცესი შეიძლება ვივარაუდოთ: ბოლოკიდური **-გ** სუსტდება ფონეტიკურად (დღ-ეგ- → დღ-ე; გზ-ავ- → გზ-ა), მაგრამ **-ნ-**ს შემთხვევაში უფრო არსებითი მნიშვნელობისა შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი გარემოება: მრავლობითის სუფიქსად **-ნ-**ს ქონა და ამ ნიადაგზე ფუძის ბოლოკიდურ **-ნ-**სა და მრავლობითის ნიშნის დამთხვევა.

ყოველ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის, რომ: 1. ზმნის ბოლოს **-ნ** ძველ ქართულში არ იკარგება (ზი-ნ, დგ-ა-ნ, ადიდე-ნ...); მეგრულში **-ნ** ზმნის ბოლოსაც უჩინარდება; **რე(ნ)** „არის“, **ხე(ნ)** „ზის“, **დგუ(ნ)** „დგას“. მეგრულ ზმნებში ეს პროცესი ისე შორს არაა წასული, როგორც სახელებში (იხ. ზემოთ), მაგრამ არსებითად ზმნასა და სახელებში ერთნაირად მიმდინარეობს; 2. ქართ. მრავლობითში **-ნ-** აღდგება **-ებ-** სუფიქსის წინ (დაბ-ნ-ებ-ი), მაგრამ **-ნ-** სუფიქსის წინ — არა (დაბა-ნ-ნ-ი არ გვხვდება); 3. **-ნ-** მოკვეცილი აქვს ისეთ ფუძეებს, რომელთაც მრავლობითი დაუბრკოლებლივ ეწარმოებათ, მაგრამ **-ნ** შენახულია ისეთ სახელებში, რომლებიც მრავლობითს ან სულ არ საჭიროებენ ანდა იშვიათად იხმარებიან მრავლობითში: ძმა, და, დაბა, ძე, დღე, ღამე, ტყუე... შდრ. ყურძენ-ი, ბალან-ი,

ბრძენ-ი, ერქუან-ი, მარან-ი (მართალია, **-ნ** გვაქვს ისეთ სახელებშიც, რომელთაც მრავლობითი ეწარმოებათ: ბერძენ-ი, ტევან-... მაგრამ ასეთი მაგალითები შედარებით მცირეა).

ამიტომ იბადება ეჭვი: მრავლობითში **-ნ**-ს ქონამ ხომ არ შეუწყო ხელი ფუძის ბოლოკიდურ **-ნ**-ს დაკარგვას: ძმან → ძმა მეტაანალიზის გამო?

ანდა შეიძლება გვეთქვას: **-ან**-, **-ენ**- სუფიქსი იგივეა, რაც მრავლობითშიც გვაქვს, აქედან დიფერენციაციის გზით მივიღეთ მხოლოდობითი, მაგრამ ასეთ გაგებასაც რიგი დაბრკოლება ხვდება (იხ. ქვემოთ ამ სუფიქსთა ფუნქციების შესახებ).

დასასრულ, ასეთი განმარტებაც შეიძლება მოგვეცა: ფუძის ბოლოკიდური **-ნ**- დაიკარგა ფონეტიკურ ნიადაგზე გარკვეულ ლექსიკურ მასალაში, პირველ ყოვლისა, სახელებში. შემდგომში ან პროცესი არ განვითარებულა, ან პროცესი განვითარდა, მაგრამ სათანადო კილომ კავშირი გაწყვიტა სალიტერატურო ენასთან, რომელშიაც ამის გამო პროცესის შემდგომი საფეხურები არ ასახულა.

ასეთი რამ შეუძლებელი არ არის, მაგრამ, ერთგვარად, ხელოვნური ახსნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამგვარად, სავსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა ბოლოკიდური თანხმონის დაკარგვისა ამჟამად არ მოგვეპოვება.

§46. როგორ მივიღეთ ოდენ-თანხმონიანი ვარიანტები — **-ლ**-, **-რ**-, **-უ**- (უმარცვლო უ)? ესე იგი, რამ გამოიწვია აფიქსისეული **ხმოვნების** დაკარგვა?

ხმოვნების დაკარგვაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, **-ა**- და **-ე**- ხმოვნები; ამ ხმოვნების დაკარგვას უნდა გამოეწვია ოდენ-თანხმონიანი ვარიანტების მიღება.

ხმოვნის დაკარგვა, ძირეული იქნება ეს ხმოვანი თუ აფიქსისეული, ფონეტიკური ხასიათის პროცესია.

ფუძისეულ ხმოვანთაგან ქართულში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ეკარგება **ა** და **ე** (**ო** სუსტდება **ვ**-დ, დაკარგვაც შეიძლება ამას მოყვას; იშვიათად **უ** და **ი** ხმოვნებიც შეიძლება დაიკარგოს)¹. რა ხმოვნებიც ეკარგება ჩვეულებრივ ძირს, იგივე ხმოვნები უნდა დაგვკარგოდა ჩვენს სუფიქსებში.

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ფუძისეული ხმოვნის

¹ ი-ს დაკარგვის შესახებ იხ. „შედარებ. ლექსიკ.“ 443.

დაკარგვას აფიქსის ხმოვანი იწვევს: ხმოვნით გათავებული პრეფიქსი და ხმოვნითვე დაწყებული სუფიქსი, მასთან ქართულში — უმთავრესად სუფიქსი. ამიტომ: დავდეგ — მაგრამ: დადგ-ა, ვუთხარ — მაგრამ: თხრობ-ა, წყალ-ი — წყლ-ის, კედელ-ი — კედლ-ის და სხვ.¹

ასევე: ძამ-ა(ნ)- → ძმ-ა(ნ)- (იხ. ზევ. გვ. 7-8).

ფუძისეული (resp. ძირეული) ხმოვანი ხმოვნით დაწყებულმა სუფიქსმა დაკარგა, მაგრამ სუფიქსის ხმოვანი რამ დაკარგა? ისევ მომდევნო სუფიქსმაო, ვიტყვით, რომ ასეთი სუფიქსი გვქონდეს. (იხ., მაგალ., ნათ-ელ- — სი-ნათ-ლ-ე ← სი-ნათ-ელ-ე); მაგრამ ასეთი სუფიქსი არ გვაჩნია: **თაფ-ლ-... ღუაწლ-... -ლ-**ს არაფერი მოსდევს ისეთი, რასაც შეეძლოს ხმოვნის ამოღება (სახელობითის **-ი** ისევე, როგორც წოდებითი ფორმის **-ო** ხმოვნის დაკარგვას ვერ იწვევს).

აქედან ჩანს, რომ ხმოვნის ამოღების **მიზეზად** მომდევნო სუფიქსის ხმოვნით დაწყება (ანდა პრეფიქსის ხმოვნით გათავება) ვერ მიიჩნევა; ესაა **ერთ-ერთი პირობა, არც საკმარისი და არც აუცილებელი.**

საკმარისი იმიტომ არაა, რომ მას შეიძლება მოყვეს ხმოვნის ამოღება, მაგრამ შეიძლება არც მოყვეს: ანბან- — ანბნ-ის, მაგრამ ბან- — ბან-ის (ისევ ასოს სახელი გვაქვს მხედველობაში: „ბანის მოხაზულობა“); ცისკარ- — ცისკრ-ის, მაგრამ კარ- — კარ-ის; სომეხ- — სომხ-ის, მაგრამ მეხ- — მეხ-ის; ძალ- — ძალ-ის, ძალ-ი-ან, მაგრამ: ძლ-ევ-ს, ძლ-ივ-(ს), ძლ-ი-ერ-ი...

საკმარისი რომ არ იყო ეს პირობა, ყოველთვის ცხადი იყო, მაგრამ იგი აუცილებელ პირობად კი იყო დასახული: ხმოვნით დაწყებული სუფიქსი ყოველთვის არ იწვევს ხმოვნის ამოღებას, მაგრამ თუ ხმოვანი ამოღებულია, ხმოვნით დაწყებული სუფიქსის არსებობა ბუნებრივად ივარაუდებოდა.

გამოდის, რომ ეს არაა აუცილებელი პირობა: ხმოვნით დაწყებული სუფიქსი არ დაერთვის საწარმოებელ აფიქსს, ხმოვანი კი იკარგება: **თაფ-ლ-, ღუაწლ-ლ-...** სხვანაირად საკითხი არ დაისმის, თუ სწორია დებულება, რომ ეს **-ლ- -ალ- (-ელ-)** სუფიქსთა ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტია.

რას შეეძლო ასეთ შემთხვევაში ხმოვნის დაკარგვა? ერთადერთი **მიზეზი მახვილი** ჩანს. მახვილია ის ფაქტორი, რომელიც ხმოვნის ამოღების **პირობას** (— ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვას —) აქცევს ხმოვნის ამოღების **მიზეზად**. მართალი მიზეზი მახვილია. მას ზემოხსენებული პი-

¹ ფუძისეულ ხმოვანთა დაკარგვის ეს საფუძველი ნაჩვენებია და მით წამოყენებულია ქართველურ ენათა ფონეტიკის მეტად მნიშვნელოვანი დებულება ა. შან-იძის წერილში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ („წელიწადული“, გვ. 10-11); იხ. აგრეთვე მისივე „უმლაუტი სვანურში“ („არილი“, 171-231).

რობის გარეშეც შეუძლია გამოიწვიოს ხმოვნის დაკარგვა, იქნება ეს ძირეული, თუ აფიქსისეული ხმოვანი.

ავიღოთ ცნობილი წყება **-ლ-** სუფიქსით:

ერთი მხრით გვაქვს:

თაფ-ლ- ← თაფ-ალ-	ჭან.-მეგრ.	თოფ-ურ-
ვაშ-ლ- ← ვაშ-ალ-	„	ოშქ-ურ- უშქ-ურ-
მატ-ლ- ← მატ-ალ-	„	მუნტ-ურ-
ცეცხ-ლ- ← ცეცხ-ალ-	„	და-ჩხ-ურ-
მატყ-ლ- ← მატყ-ალ-	„	მონტყ-ორ-
ძალ-ლ- ← ძალ-ალ-	„	ჯოდ-ორ-...

მეორე მხრით:

ძმ-ა ← ძამ-ა(ნ)-	„	ჯუმ-ალ-
თთუე ← თუთ-ე	„	თუთ-ა-...
ჩჩულ ← ჩიჩულ-	„	ჩქიჩქუ...

თაფ-ლ- ტიპისა და **ძმ-ა** ტიპის ახსნა მხოლოდ იმის დაშვებით შეიძლება, რომ პირველში მახვილი თავშია, დასაწყის მარცვალს ხვდება, მეორეში ბოლო მარცვალზეა, დასაწყისიდან მეორე მარცვალზე.

კი, მაგრამ სხვანაირად ხომ არც შეიძლებოდა? ერთმარცვლიან სიტყვაში მახვილი ამ ერთი მარცვლის წარმომქმნელ ხმოვანზე შეიძლება იყოს. საქმეც ისაა, რომ ეს **ერთმარცვლიანი ფუძეები მიღებულია ორ-მარცვლიანთაგან**, მასთან **ორი მარცვლიდან ერთ შემთხვევაში პირველი მარცვალი შეგვრჩა (თაფ-ლ-), მეორეში — მეორე მარცვალი (ძმ-ა). ორმარცვლიან ფუძეთა ერთმარცვლიანად ქცევას ინტენსიური მახვილი იწვევს, სხვადასხვაგვარი ერთმარცვლიანი ფუძე კი იმიტომ გამოდის, რომ მახვილის ადგილი განსხვავებულია: იგი ხან თავშია, ხან — ბოლოში.**

ამრიგად, **ინტენსიური დინამიკური მახვილი, მოძრავი მახვილი** განსაზღვრავს ისტორიულად ზემოხსენებულ ტიპთა სხვაობას და, კერძოდ, სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვას (ისევე, როგორც ძმ-ა-ში იწვევს ძირეული ხმოვნის ამოღებას).

ისტორიულად მახვილი სიტყვის თავში უნდა ვივარაუდოთ ყველგან, სადაც ხსენებული აფიქსები ხმოვან-დაკარგულია და ფუძე ამჟამად ერთმარცვლიანია.

სიტყვის ბოლოს მოქცეული მახვილი უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ხშირად ქართულში სიტყვას თავკიდურად თანხმოვანთა ჯგუფი მოუდის:

თთუე-, ჩჩულ-, გრკალ-, გრწყილ-, მ-გრგუ-ალ-, კრკო-...

მახვილის ინტენსივობის დასახასიათებლად გამოდგებოდა ისეთი მაგალითი, როგორცაა **იფქლ**:- ი-ფექ-ალ- → რ-ფქ-ლ-: დაიჩრდილა **ორი მარცვალი** სათანადო ხმოვანთა დაკარგვის გამო. ხმის აწევის ცენტრი (უკეთ, მწვერვალი) რ- ხმოვანზე მოექცა.

მახვილის მოძრავობის საილუსტრაციოდ შეიძლება დაგვესახელებინა **ღუაწ**- და აქედან ნაწარმოები ფუძეები:

ღუაწ:- ღუაწ-ლ- ← *ღუაწ-ალ-

მო-ღუაწ-ე

უ-ღუაწ-ი

ღუწ:- ღუწ-ა

ღუწ-ოლ-ა

ცხადი უნდა იყოს, რომ **ღუაწ-ლ**-ში -ა- ატარებდა მახვილს: მახვილის მატარებელი იგი იმიტომ კი არაა, რომ ხმოვანია და ერთადერთი ხმოვანი, პირუკუ, ერთად-ერთ ხმოვნად იმიტომ იქცა, რომ მახვილს ატარებდა.

ღუწ-ა მივიღეთ იმიტომ, რომ ბოლოკიდური -ა იყო მახვილის მატარებელი, ამიტომ დაიკარგა წ-ს წინამავალი -ა:

ღუაწ ← **ღუწ**-ა.

ეს -ა უკანასკნელი მარცვალია ბოლოდან; ღუწ-ოლ-ა-ში ამგვარსავე როლში (მახვილის ტარება!) -ო- გამოდის.

ღუ-ს უმარცვლო **უ**-ც კი გახდებოდა სრულფასოვანი ხმოვანი, თუ მასზე აღმოჩნდებოდა მახვილი.

ასეთი მდგომარეობა უნდა ვივარაუდოთ, სანამ მახვილის დასუსტება და მისი სტაბილიზაცია გარკვეულ მარცვლებზე მოხდებოდა.

მართალი ჩანს პ. შუხარდტი, როცა იგი ქართულის ახლანდელ მდგომარეობას აღარებს ზღვას ღელვის შემდეგ¹.

კი, მაგრამ ნუთუ მახვილი მხოლოდ **სახელზე** იყო? და თუ — არა, მოგვეპოება კი ზმნაში ანალოგიური მოვლენები? მოგვეპოება, მასთან საკმაო რაოდენობითაც. ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როცა **ერთმარცვლიან ზმნას ახალი მარცვალი ემატება, ზმნა კი ისევ ერთმარცვლიანი რჩება**:

ღვას — **უ-ღვ-ს** || **ა-ღვ-ს**² (შდრ. ახ. ქართ. უღვას, აღვას)

ძევს — **უძს** → **უც** (ახ. ქართ. უძევს)

ჯამს — **უჯმს** (უნდა ყოფილიყო: უჯამს; უჯამს-ი რომ გვაქვს, უ-

¹ H. Schuchardt. Über das Georgische, გვ. 14.

² სათანადო კონტექსტების ჩვენება აქ შორს წაგვიყვანდა. ამაზე — ცალკე.

უარყოფისაა და არა ქცევის ნიშანი).

ჩანს — **უჩს** (ახ. ქართ. უჩანს).

„ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემეწონია“ (ვეფხ. ტყ. ხ. 242).

იქმს ← იქამს: შენახულია მთიულურში (შდრ. იზამს).

რომ ქართველური ენები და ის ენობრივი (**resp.** დიალექტობრივი) ფენები, რომელთა კვალიც დარჩენილა ძველს ქართულში **მახვილის მხრივ განსხვავებული უნდა ყოფილიყო**, ჩანს იმ რყევიდან, რომელსაც ხმოვანთა ამოღების მხრივ ძველს ქართულში ვხვდებით.

ერთს ბუნებრივად მიაჩნდა ისეთი უკუმშავი წარმოება, როგორცაა სადიდებელად, მეორე კი ბუნებრივად მიიჩნევა **ძალ-** ფუძის შეკუმშვას (ძლ-ი-ერ-..., ძლ-ივ-...)...

ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას ვპოვებთ ძვ. ქართულის ძეგლებში.

მარჩობლ- და **მარჩივ-** (მაგალითები იხ. 56 გვ.).

მარჩობლ- ← **მარჩობ-ა/ელ-**: რ-ს ისეთი ინტენსივობის მახვილი ხვდებოდა, რომ გამოიწვია ორი ხმოვნის დაკარგვა: ერთისა თავში (**მარ**), მეორისა ბოლოში: **-ლ-** ← **-ალ-** || **-ელ-**.

მარჩივ- ← **მარჩობ-ივ-**: მახვილი ბოლოსაა, **-ივ-**ზე.

საგულისხმოა, რომ **-ივ** ისეთ შემთხვევაშიც იწვევს ხმოვნის ამოღებას, როცა ამას ხმოვნით დაწყებული სხვა აფიქსი ვერ იძლევა:

ძალ-ით	— ძლ-ივ- ძლ-ი(ვ)-ერ (შდრ. ძალ-ი(ვ)-ან-)
ა-ძალ-ებ-ს	— ა-ძლ-ევ-ს...
გუერდ-ით	— იგურდ-ივ...
ფერვ-ით	— ფრვ-ივ...

-ივ-ის შემომტან ფენას ხმოვანთა ამოღების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ე. ი. იქ მახვილი უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო (მასთან — ბოლო მარცვალზე! შდრ. -ებ-).

მეგრულსა და ჭანურში ხმოვანთა ამოღება ამჟამად არ დასტურდება. ძველდაც ეს პროცესი სუსტად უნდა ყოფილიყო გამოხატული; სხვანაირად რომ ვთქვათ: აქ მახვილი სუსტი ინტენსივობისა უნდა ყოფილიყო. და მაინც ცალკეული შემთხვევები ფუძის შეკუმშვისა ჭანურშიც მოგვეპოვება და მეგრულშიც („შედარ. ლექსიკ.“, გვ. 443, დასკვნ. დებულ. 6 დ). მასთან აქ გასათვალისწინებელია ტონური („მუსიკალური“) მახვილის ხვედრი წონაც.

ჭანურისა და მეგრულის ე. წ. სრულხმოვნობა¹ ნამდვილად ფუძის უკუმწველობაა და ძველს ვითარებას გვისახავს, ქართული შეკუმწული ფუძეები მეორეული მონაცემია.

მახვილის სპეციალური შესწავლა, — ექსპერიმენტულიცა და ისტორიულ-შედარებითი — მომავლის საქმეა; მაგრამ ამთავითვე მისაღებია მხედველობაში ერთი რამ: ქართველური ენების ლინგვისტურ გარემოცვაში მოგვებოვება, ერთი მხრით, სომხური — კავკასიურ და ინდოევროპ. ენათა ნარევი, რომელსაც ამჟამად მახვილის ადგილი მტკიცედ განსაზღვრული აქვს (ბოლო მარცვალზეა), მაგრამ რომელსაც წინათ, ასეთი ერთფეროვნება არ ახასიათებდა.

მეორე მხრივ, კავკასიურ ენათა აბსოლუტურ უმეტესობას მოძრავი მახვილი² ახასიათებს, მასთან მახვილს სიტყვის საწყისი მარცვალი (თავი) ატარებს ხშირად. ქართველური ენების წარსულის რკვევისას ამ ენათა ჩვენებას ამ მხრივაც ფასეული შედეგების მოცემა შეუძლია³.

§47. აფიქსთა კვალიფიკაციის საკითხისათვის.

-**ალ**- (სა-მკ-**ალ**-), -**ელ**- (სა-დიდებ-**ელ**-... ქართ-**ვ-ელ**-), -**ურ**- (სა-ცთ-**ურ**-... ველ-**ურ**-) რომ სუფიქსებია, ამას დამტკიცება არ ჭირდებოდა (და არც ჭირდება): ეს საყოველთაოდ ცნობილი ელემენტარული ფაქტია.

არც ის აზრია ახალი, რომ დედ-**ალ**-, მამ-**ალ**- და მსგავს შემთხვევებში -**ალ**- სუფიქსია; ასეთი აზრი კარგა ხნის წინ იყო გამოთქმული, მაგრამ ამ აზრის დამტკიცება არ ყოფილა მოცემული და მერე თვით აზრიც უარყოფილ იქნა (დაწვრილ. ქვემოთ).

აქამდე წარმოდგენილი მასალის მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ:

1. ძველ სალიტერატურო ქართულში მოცემულია სუფიქსთა წყება, რომლებშიაც მონაწილეობენ თანხმოვნები:

ნ, ლ, რ, ვ, დ

2. ამ სუფიქსებს შეიძლება ჰქონდეს სრული სახეცა და შეკვეცილიც; სრულში ამ თანხმოვნებს ხმოვანი უძღვის; ეს ხმოვნებია: **ა, ე, უ** — ყველაზე ხშირად (**ო, ი** — უფრო იშვიათად).

¹ ნამდვილი სრულხმოვნობის თითო-ოროლა ფაქტიდა შეიძლება შეგვხვდეს.

² მხოლოდ ადილეთური წაავსს ამ მხრივ ქართულს.

³ მახვილის საკითხი სპეციალურად ცალკე გვექნება განხილული. ჯერ-ჯერობით იხ. ავტორის „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“, — მოხსენება, წაკითხული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგ. მეცნიერებათა სესიაზე 13.VI.1941. გა-მოქვეყნებულია თეზისები.

შეკვეცილ სახეობას ან თანხმოვანი აკლია და გვაქვს მარტოოდენ ხმოვანი (ა, ე...), ანდა ხმოვანი აკლია და გვაქვს მარტოოდენ თანხმოვანი: -ლ-, -რ- და უმარცვლო -ჟ-. ამრიგად: თაფ-ლ-ის -ლ- და ქვ-ა-ს ა ერთი და იმავე -ალ- სუფიქსის ფონეტიკური გამარტივების შედეგია.

3. ძველი ქართულისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვს -ლ- და -რ- თანხმოვნიან სუფიქსებს; -ჟ-ს გავრცელების არე შეზღუდულია; -ნ- და -დ- — კიდევ უფრო იშვიათია.

ქართულს -რ- ჭანურ-მეგრულთან აქვს საერთო, -ჟ- || -გ- — თითქოს სვანურთან (ცოცხალ ქართველურ ენათაგან).

4. ეს სუფიქსები გამოიყოფა არსებითი სახელებისა და ზედსართავთა¹ გარდა, ნაზმნარ სახელებშიც, — მიმღეობაშიც. მასთან ეს სუფიქსები არსებითსა და ზედსართავ სახელებში თითქმის ყველა ვარიანტითაა წარმოდგენილი, მიმღეობაში მხოლოდ -ელ-, -ურ-, -ულ- არის ფართოდ გამოყენებული; -დ-, -ნ- სუფიქსები მეტად იშვიათია.

ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ **მიმღეობიდან კი არ გადასულა არსებითსა და ზედსართავ სახელებში ეს აფიქსები, არამედ პირუკუ, მიმღეობის საჭიროებისათვის იღებენ იმას, რაც უკვე გამოიყენებოდა არსებითსა და ზედსართავ სახელებში.**

ეს აფიქსები პირველადია სახელებისათვის, მეორეული მიმღეობისათვის.

მიმღეობას არა აქვს არც ერთი ისეთი საწარმოებელი სუფიქსი, რაც არსებითს (და ზედსართავ) სახელებში არ გვქონდეს.

შდრ.: მიმღეობა:	არსებ. ზედსარ. სახელი
-ან-: მციგ-ან-...	დედ-ან-... მ-ჰც-ოვ-ან-...
-ალ-: დამბ-ალ-... სა-მკ-ალ-...	წყ-ალ-... ძუ-ალ-... ახ-ალ-...
-ელ-: მ-სმენ-ელ-... სა-სმენ-ელ-...	ულ-ელ-... სთუ-ელ-...
„ მა-დიდ-ებ-ელ-... სა-დი- დებ-ელ-...	წით-ელ-... ძნ-ელ-... გრძ-ელ-...
-ულ-: მ-საჯ-ულ-... და-ტევენ-ულ-...	გ-ულ-... ზა-ფხ-ულ-...
-არ-: მდევ-არ-... მ-გმობ-არ-...	ჰ-არ-... ბლუ-არ-...
„ მა-ძლ-არ-... მ-კუდ-არ-...	ცხოვ-არ-... მ-თავ-არ-...
-ურ-: მა-ცთ-ურ-... მდგ-ურ-...	მ-სახ-ურ-... მე-თევზ-ურ-...
„ სა-ცთ-ურ-... სა-დგ-ურ-...	სა-ცეცხ-ურ-... სა-გზა-ურ-...

¹ სიმოკლისათვის ცალკე არ ვასახელებთ რიგითს რიცხვითს სახელებსა და მათს ვარიანტებს წილადს რიცხვითს სახელებს.

სუფიქსების გარდა პრეფიქსებიც შეიძლება ხვდებოდეს ერთმანეთს (**მ**-დგ-ურ- — **მ**-სახ-ურ-... **სა**-ცთ-ურ- — **სა**-ცეცხ-ურ-...). ესეც სავსებით კანონზომიერია, როგორც ეს იქნება ნაჩვენები ამ ნარკვევის მეორე ნაწილში.

რის მაქნისია ეს სუფიქსები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩვენ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს ისეთ შემთხვევებს, სადაც სუფიქსი მარტივ ფუძეს ერთვის (დედ-**ან**-... ახ-**ალ**-... ჯ-**არ**-...) და ამჟამად აფიქსად არ შეიგრძნობა, იმ შემთხვევებს, სადაც ეს სუფიქსები საწარმოებელ აფიქსებად მიიჩნევა ამჟამადაც (სა-მკ-**ალ**-... მ-გმობ-**არ**-... მ-სივ-**ან**-... მ-სახ-**ურ**-...): მხედველობიდან ვერ გავუშვებთ, რომ აქ ერთი და იგივე აფიქსია.

მეორე მხრივ, ანგარიში უნდა გაეწიოს ამ სხვაობას სუფიქსთა გავებაში: განსხვავებული ვითარება ამ აფიქსთა მნიშვნელობის ისტორიის სხვადასხვა საფეხურს ასახავს.

ძირითადი ამოცანაა იმ ფუნქციის გათვალისწინება, რომელიც ამოსავალია მისი განვითარების ისტორიისათვის.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ აფიქსთა გარკვეული ჯგუფები განხილული აქვთ და მათი ფუნქცია დახასიათებული ნ. მარსა და ს. ჯანაშიას.

ნ. მარი გაკვრით ეხება ამ სუფიქსებს 1908 წელს გამოსული შრომის „Основные таблицы к граммат. древн-груз. литератур. яз.“ წინასიტყვაობაში; მისი აზრით **-ალ**-, **-ელ**-, **-ავ**-, **-ევ**- და მათი შეკვეცილი სახე **-ა**-, **-ე** მდებრობითი სქესის გაქვავებული აფიქსებია; ეს აფიქსები მდიდარია დიალექტური ვარიანტებით; ამ ვარიანტებისათვის ამოსავალია **-ატ**-, **-ეტ**- და **-აკ**-, **-ეკ**- ანუ, თვით ნ. მარის სქემა რომ წარმოვადგინოთ:

$$\frac{\text{ატ}}{\text{ეტ}} \rightarrow \frac{\text{ალ}}{\text{ელ}} \left(\frac{\text{ალ}}{\text{ელ}} \right) \rightarrow \frac{\text{ათ}}{\text{ეთ}} \text{ და სხვ.}$$

$$\frac{\text{აკ}}{\text{ეკ}} \rightarrow \frac{\text{ავ}}{\text{ევ}} \left(\frac{\text{ავ}}{\text{ევ}} \right) \rightarrow \frac{\text{აკ}}{\text{ექ}} \text{ და სხვ. (იხ. Избр. раб. I, 35).}$$

ძვ. ქართულისათვის ძირითადი აფიქსები (**-ალ**-, **-ელ**-) აქ გარდამავალ საფეხურადაა წარმოდგენილი ფონეტიკური ტრანსფორმაციის პროცესში, რომელიც **ატ** || **ეტ**-ით იწყება და **ათ** || **ეთ**-ით თავდება.

როგორ შეიქმნა ასეთი მწყრივი? ნ. მარისთვის დასაყრდენია ქართულის ნათესაობა არაბულთან, რომელშიც **-ათ**- მდებრობითი სქესის სახელებს მოუდის, ნ. მარი აღარებს ქართ. ვრმ-**ალ**-ს და არაბ. ჰარბ-ათ

(„შუბი“). ძირეული **კრმ** || **ჰარბ**; **-ალ**-ს ქართულში შეეფერება **-ათ** არაბულში: **-ალ**- სუფიქსი მდებრობითი სქესის ნიშანი გამოვიდა. **დედ-ა**-ში გვაქვს მდებრობითი სქესისავე მაჩვენებელი **-ალ**- შეკვეცილი სახით: **-ა**; სრული სახეაო დედალ-ი; თვით ფუძე **დედ**- (← **უდედ**) მოქმედებითი გვარის მიმღობააო „სუსტი სამთანხმოვნია ძირისა“¹ **უდედ** (სემიტ. ეკვივალენტი **უდედ**. იქვე, გვ. 35-36).

აქედან ჩანს, რომ აფიქსის გამოყოფაცა და მისი კვალიფიკაციაც არაბული ენის სტრუქტურის მიხედვითაა ნაწარმოები: იქ რომ **-ათ** სუფიქსი არ გვქონდა, არც ქართულში გამოიყოფოდა **-ალ**- სუფიქსი; არაბულში **-ათ** რომ მდებრობითი სქესის ნიშანი არ ყოფილიყო, არც ქართულში აღმოჩნდებოდა ეს სქესი.

თუ რამდენად შეეფერება **-ალ**- სუფიქსის მიჩნევა მდებრობითი სქესის ნიშნად ქართული ენის ბუნებას, ჩანს იქიდან, რომ ნ. მარს ზემოაღნიშნული ადგილის გაგრძელებად ნათქვამი აქვს: იაფეტურ ენაში **მა-მა**-ც მდებრობითი სქესის დაბოლოებით გვევლინება, მასთან შეკვეცილი სახის დაბოლოებითაო. სრული მდებრობითი დაბოლოებით (**-ალ**-) იგივე სიტყვა აღნიშნავს „მამალს“, „მამრ. სქესს...“².

-ალ- სუფიქსის მდებრობითი სქესის ნიშნად მიჩნევა გაქარწყლებულია მამალ - სახელის ჩვენებით (სხვა გარემოებათაც რომ არ გავუწიოთ ანგარიში). შემდეგ თვით ავტორიც აღარ იცავდა ამ დებულებას (ასე, მაგალ., 1915 წ. ეს აფიქსები მრავლობითის ნიშნად იყო გამოცხადებული. იხ. Яф. назв. дер. – ИАН, 1915, გვ. 770, 778, 780; იხ. აგრეთვე: მეორე ნაწილში გრამატიკულ სქესთა შესახებ ნ. მარის შეხედულება).

სუფიქსად მიჩნევა და ამ სუფიქსის სრული და შეკვეცილი სახის³ გარჩევა (ნ. მარის მიერ) მაინც შენაძენი იქნებოდა, რომ ქართული ენის თვისებათა ანალიზის ნიადაგზე ყოფილიყო მოცემული, აქ კი **-ალ** || **-ა**... სუფიქსების გამოყოფა დამყარებული იყო ქართულის არაბულთან ნათესაობის დებულებაზე, ეს უკანასკნელი კი არც მაშინ (1908 წ.) ყოფილა დამტკიცებული და არც შემდეგ.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შემდეგში ნ. მარმა ამათი სუფიქსურობის საკითხი უარყოფითად გადაწყვიტა: 1928 წ., მაგალითად, იგივე **დედა** დაშლილია ასე: დე-და (Избр. раб., IV, გვ. 35); ასევე — ძმა; მასში **-ა**-1908 წლის გაგების მიხედვით **-ალ**- სუფიქსის შეკვეცილ სახედ უნდა მი-

¹ დედანში წერია: "слабого трехбуквенного корня".

² ... с полным женским окончанием al то же слово означает самца, петуха: груз. mamal-i... (იქვე).

³ შეკვეცილ სახეობათაგან ოდენ-ხმოვნიათაა შემჩნეული, ოდენ-თანხმოვნიათა არაა გამოყოფილი.

გვეჩნია, ყოველ შემთხვევაში აფიქსისეულ მასალად უნდა გვეცნო; ბოლოდროინდელ შრომებში დაშლილი აქვს კი ეს ფუძე ნ. მარს ამგვარად: ძ-მა ← ძა-მა, არქეტიპი: **და-მარ** (იქვე, IV, 193); სხვაგან კიდეც ასე: ძ-მა ← *ძამა ← **ძალ-მალ**, მასთან ნათქვამია, რომ პირველი ნაწილი **ძალ-** იგივე და-ა: ძალ- („ძმა“) → დალ- („და“) (Издp. паb., т. II, გვ. 169).

ამგვარად, ნ. მარსი ხსენებულ სახელებში არც აფიქსად გამოყოფას, არც გამოყოფილი აფიქსის ფუნქციას იცავდა ბოლო დროს. 1908 წელს გამოთქმული აზრი, როგორც ვნახეთ, არ ყოფილა დასაბუთებული. მისი უარყოფისა და უარყოფელი აზრის შესახებაც იგივე ითქმის კიდეც უფრო მეტად.

სიმ. ჯანაშია ქართველ ტომთა სახელების ანალიზთან დაკავშირებით ეხება **-ან-** სუფიქსს და ამ უკანასკნელის შემცველ რთულ სუფიქსებს: **-ი-ან-**, **-ო-ან-**, **-ოვ-ან-**, **-ევ-ან-**, აგრეთვე სუფიქსებს: **-უნ-**, **-უ-ან-**, **-ი-ონ-**, როგორც სალიტერატურო ქართულის, ისე ქართული დიალექტებისა და ჭანურ-მეგრულის მონაცემთა მიხედვით (იხ. „თუბალ... იბერი“, „ენიმიკის მოამბე“, I. გვ. 210-220).

ავტორი სამართლიანად აკავშირებს **-ან-** სუფიქსს ზემოხსენებულ რთულ სუფიქსებთან: ყველა ამ რთულ სუფიქსში **-ან-** მონაწილეობს. **-ან-** სუფიქსისათვის ავტორი უჩვენებს „რამდენიმეს, ურთიერთ-შორის მჭიდროდ დაკავშირებულ მნიშვნელობას: ა) კრებითობას, მრავლობას, ბ) თვისების ქონებას (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა-სადაურობას, დ) ტოპონიმიკის ჩვენებას, ე) კნინობითობას“ (იქვე, გვ. 210).

სუფიქსის პირვანდელ და უძველეს ფუნქციად ავტორი თვლის კრებითობას, რაიც ქართველურ გვარის-სახელებშია წარმოდგენილი (გვ. 211).

კრებითობისა და თვისება-წარმოშობილობის ფუნქციები ავტორის მიხედვით ერთი მეორეს უკავშირდება: „სუფიქსის ამ მნიშვნელობის (ე. ი. წარმოშობა-წარმომავლობის აღნიშვნის) განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონიმისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი იმავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა“ (გვ. 217).

ავტორს შეუმჩნეველი არ რჩება, რომ მოცემული სუფიქსი, საერთოდ, აქა-იქ სიტყვათმწარმოებლის როლში გამოდის („სანატრიონი“, გვ. 219). ცხადია, რომ ავტორი აქ გულისხმობს ისეთ სიტყვათმწარმოებელს ფუნქციას, რომელიც წინათ ნაჩვენებ ძირითად ფუნქციათა წრეს ცილდება.

ავტორის დებულება: „მოცემული სუფიქსის საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტიანობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ

ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტი“ (იქვე, გვ. 220). ეს დებულება უდაოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

გასაზიარებელია ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ **-ან-** სუფიქსის ფართოდ გამოყენება „მოწმობს, ალბათ, ერთ-ერთი ქართველური ენის კულტურულ უპირატესობასა და ზემოქმედებას გარკვეულს, საკმარისად ძველს დროში“ (გვ. 220).

ოღონდ საკითხავია, კილოს თუ ენისა?

ავტორის მსჯელობაში არაა გასაგები, რატომ უნდა გავმიჯნოთ ეს **-ან-** სუფიქსი თუნდაც **-ელ-** სუფიქსისაგან? იმიტომ, რომ **-ელ-** სადაურობის აღმნიშვნელია და **-ან-** კი არა? მაგრამ **-ან-** სუფიქსის ფუნქციათა წრე საკმაოდ ფართო რომ არის, ეს თვითონ ავტორს აქვს აღნიშნულიცა და ნაჩვენებიც.

იმ მაგალითებში, რომელთაც **-ელ-** და **-ან-** სუფიქსების გამიჯვნისას ავტორი იძლევა, ამ სუფიქსთა მონაცვლეობა ჩანს: ყვით-**ელ-**ი — მო-ყვით-**ან-**ო — ყვიც-**ი-ან-**ი.. წით-**ელ-**ი — მოწით-**ან-**ო: **-ელ-** და **-ან-** ერთმანეთს ენაცვლებიან... მეგრულში იმავე წით-**ელ-** ფუძეს **-არ-** და **-ონ-** სუფიქსებიც აღმოჩნდება:

გა-ჭით-**არ-**ებ-ა — გა-წით-**ლ-**ებ-ა...

გო-ჭით-**ონ-**დ-უ — გა-წით-**ლ-**დ-ა...

ამგვარად გვექნებოდა: წით-**ელ-**... ჭით-**არ-**... ჭით-**ონ-**... მო-წით-**ან-**ო. აქ სალიტერატურო ქართულისა და მეგრულის მორფოლოგიურ ინვენტარში დასტურდება ოთხი სუფიქსი: **-ელ-**, **-არ-**, **-ან-**, **-ონ-**... საფიქრებელია სხვადასხვა დიალექტობრივი ფენების კუთვნილება.

ფუნქცია? ფუნქციის მხრივ **-ელ-** სუფიქსსაც შეუძლია ფართო შესაძლებლობა გამოამჟღავნოს:

ა) ყვით-**ელ-** = ყვიც-**ი-ან-**: **-ელ-** თითქოს მქონებლობას აღნიშნავს...

ბ) თელავ-**ელ-**
ქართლ-**ელ-**
კახ-**ელ-**
იმერ-**ელ-** } **-ელ-** თითქოს სადაურობასა და ვინაობას, ტომობრივ განკუთვნილობას გამოხატავს...

გ) მ-სმენ-**ელ-**
სა-სმენ-**ელ-** } მიმღობის საწარმოებელიაო, ვამბობთ, მაგრამ როგორ აწარმოებს, რაზე მიუთითებს ამ წარმოების დროს, არა ჩანს.

დ) ქს-ელ- } აქ კონკრეტული ფუნქცია არა ჩანს, უფრო ზოგადი საწარმოებელი ოდენობაა თითქოს...

-ან-, -ელ- სუფიქსების გამიჯვნა ფუნქციათა მიხედვით არ ხერხდება. ავტორის ძირითადი დებულების თვალსაზრისით ეს არცაა საჭირო: -ან- ერთ ენობრივ (თუ დიალექტობრივ) წრეს ეკუთვნის, -ელ-, ვთქვათ, მეორეს, -ურ- — მესამეს... სალიტერატურო ქართულში წარმოდგენილია ერთი, მეორეც, მესამეც..., მეტნაკლები ხვედრი წონით, მეტ-ნაკლები ცვალებადობით ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

რაც შეეხება ძირითადი ფუნქციის განსაზღვრას, — -ან- სუფიქსი კრებადობის შინაარსისა უნდა ყოფილიყო, — ასეთი გაგება თეორიულად შესაძლებელი, მასთან მეტად საინტერესო დებულებაა, ოღონდ გულისხმობს ზოგი არსებითი ხასიათის საკითხის გადაწყვეტას, — პირველ რიგში, მხოლოდობისა და მრავლობითი რიცხვის გენეტური ურთიერთობის საკითხის გარკვევას. მასთან: თუნდაც რომ დავსახოთ კრებითობა -ან- სუფიქსის ძირითად ფუნქციად, ძნელი იქნებოდა ამ ფუნქციის მიჩნევა პირვანდელ ფუნქციად: ასეთი რამ განვითარების გარკვეულ საფეხურზელა შეიძლებოდა მას ჰქონოდა.

სიმ. ჯანაშიას შეხედულებაზე დაწვრილებით შევჩერდით, რამდენადაც ესაა ერთად-ერთი გაგება, სადაც -ან- სუფიქსის ადგილის შესახებ ანალოგიურ საწარმოებელთა შორის და ამ სუფიქსის ისტორიული ფუნქციის შესახებ გარკვეული დებულებებია წამოყენებული, მართალია, ისტორიის საჭიროებისათვის, მაგრამ ენათმეცნიერული ანალიზის საჭირო მოთხოვნილებათა სრულად დაცვით.

ვარ. თოფურიას თავის ისტორიულ-შედარებითს ნარკვევებში ქართველურ ენათა ფონეტიკიდან ისეთი წარმოება, როგორცაა ცხოვ-არ-ი, ქმ-არ-ი განმარტებული აქვს, როგორც მიმღობა¹.

მანვე ერთ-ერთ თავის მოხსენებაში წამოაყენა დებულება, რომ ძუ-ელ- ტიპის ზედსართავთა -ელ- შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციისა ყოფილიყო და კუთვნილება-თვისება ამ გზით აღენიშნაო.

მკვლევარი ემყარებოდა მეგრულ ჯუ-ემ-ს, რომელიც ქართ. -ელ-ის სანაცვლოდ -ემ- სუფიქსს წარმოგვიდგენს.

¹ იხ. ვ. თოფურია: „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“, უნივ. შრომ., XV, გვ. 45 და შემდ.

ჯვეშ-ზე უფრო საინტერესო ვ. თოფურიას თვალსაზრისით შეიძლება იყოს ყოფილიყო ისეთი წარმოების მიმღობა, სადაც სუფიქსად თვით ქართულში **-ის**-აა გამოყენებული: სა-ხნ-ის-, სა-წყ-ის-, სა-კადრ-ის-¹ და სხვა. ასეთი წარმოება მეგრულშიც ცნობილია: **ო-ბირე-შ**-ი — სასიმღერო ადგილი „სამღერისი“, **ო-რეკე-შ**-ი „სარეკისი“ (ადგილის სახელია ქ. ცხაკაიას მახლობლად)...

მაგრამ **-ლ**-ს ნაცვლად **-შ**- შეიძლება გაჩნდეს მეგრულში იქ, სადაც ნათესაობითი ბრუნვის დაშვება არ ხერხდება და კუთვნილებითი ურთიერთობაც გამორიცხულია: **ტიშ**-ონ-უნ-ს „თავს უხილავს“; ფუძეა: **ტიშ** — ქართ. ტილ-ის შესაბამის... (**ტიშ** სვანურადაც **ტილ**-ს უდრის: ზანიზმი ჩანს სვანურში).

რაც შეეხება ცხოვ-არ-, ქს-ელ- და მსგავს ფუძეთა მიჩნევას წარმოშობით მიმღობად, ასეთ ვარაუდს ერთი დაბრკოლება ელოდება. **-ელ**-, **-ალ**-, **-ულ**-, **-არ**-, **-ურ**-, სუფიქსები მიმღობაშიც გვაქვს და მარტივად მიჩნეულ არსებით სახელთა ფუძეებშიც დასტურდება (წყ-ალ-, ძ-ალ-, ულ-ელ-, გ-ულ-). მიმღობა ნაზმნარი სახელია; ის უფრო ახალი ფორმაციისაა, ვინემ წყ-ალ-, ულ-ელ-, გ-ულ-... შეიძლება ამგვარი სახელების მოცილებდ სიძველის მხრივ ზმნა გამოვიდეს (ქართულში ესეც საძნელოა), მაგრამ ნაზმნარი სახელი კი — ვერა. და როცა ამგვარ ძველის-ძველ სახელსა და მიმღობას ერთი და იგივე აფიქსი აქვს გამოყენებული საწარმოებლად, სახელზე დაყრდნობით უნდა აიხსნას მიმღობა და არა პირუკუ: წყ-ალ-, ულ-ელ-, გ-ულ- ფუძეთა აგებულება ვერ აიხსნება სა-მკ-ალ-, მ-სმენ-ელ- და მ-საჯ-ულ- ფუძეთა აგებულების მიხედვით.

რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა ამ აფიქსებს? გარკვეულ შემთხვევაში ამ აფიქსების ფუნქცია ეჭვს არ იწვევს. ასე, მაგალ., **-ან**- სუფიქსი რთულ სუფიქსში მონაწილეობისას მქონებლობაზე მიუთითებს:

-ი-ან² ← **-ივ-ან**: სვ-ი-ან-ი, მზ-ი-ან-ი, ძალ-ი-ან-...

მაგრამ მისი ფონეტიკური ვარიანტი **-ი-ონ**- ხევსურულში წარმომავლობა-სადაურობის სუფიქსადაც ცნობილი:

არხოტ-ი-ონ-ი	—	არხოტ-ელ-ი
ამლ-ი-ონ-ი	—	ამლ-ელ-ი
შატილ-ი-ონ-ი	—	შატილ-ელ-ი

¹ ამგვარი წარმოების შესახებ სხვაგან გვექნება საუბარი.

² ი-ან- შეიძლება ე-ან-ისაგანაც იქნეს მიღებული (იხ. გვ. 89, შენიშვნა): ასეთი შემთხვევები აქ არაა განხილვის საგანი.

როშკ-ი-ონ-ი — როშკ-ელ-ი (იხ. „ვეესურული მასალები აკ. შანიძის რედაქციით, „წელიწდეული“, 278).

მაგრამ ამათ გვერდით გვაქვს **ჯვარ-ი-ონ-ი** „ჯვარის მსახური“, **ხატ-ი-ონ-ი** — ხატის მსახური (იხ. იქვე, 323).

-ელ- სუფიქსი ისევე, როგორც **-ურ-**, სადაურობის სუფიქსებადაა მიჩნეული და, მართლაც, რიგს შემთხვევაში ეს ასეა: **-ელ-** ადამიანის სადაურობას ან ტომობრივ განკუთვნილობას უჩვენებს, **-ურ-** — ნივთის, საგნისას:

ქართ-**ელ-ი** — ქართ-**ულ-ი** (ენა)
ქალაქ-**ელ-ი** (ვინმე) — ქალაქ-**ურ-ი** (რამე)

მაგრამ ეს არ მართლდება ზედსართავებში: წით-ელ-ი, გრძ-ელ-ი, ზრქ-ელ-ი..., ველ-ურ-ი, უკეთ-ურ-ი, უგუნ-ურ-ი...

მეორე ნაწილში ნაჩვენებია იქნება, რომ **-ელ-**: **-ურ-**ის ზემოხსენებული მნიშვნელობა ამ სუფიქსებისათვის მეორეულია; ასეთი მნიშვნელობა მათ არა აქვთ მრავალ ზედსართავში და მით უფრო არსებით სახელებსა და მიმღებობაში¹.

ზევით ნაჩვენები ფუნქცია ამ სუფიქსთა გამოყენების ისტორიის გარკვეულ საფეხურებს ახასიათებს, ისიც სახელთა გარკვეულ ჯგუფებში.

პირველადი ფუნქცია უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო. ამჟამად მხოლოდ **სავარაუდო მსჯელობა** შეიძლება. ამ მსჯელობისას **ამოსავალი უნდა იყოს არსებით სახელთა ვითარება**: ამ სუფიქსების პირველად ფუნქციად ვერ მივიჩნევთ ისეთ რასმე, რაც არსებითს სახელებში ამ სუფიქსთა გამოყენებას არ გაარკვევს.

ეს სუფიქსები არსებით სახელთა **ფუძის საწარმოებელი** აფიქსები უნდა ყოფილიყო, ე. ი. **ისეთი სუფიქსები, რომლებიც ძირეულ მასალას ერთვოდა, რომ ფუძე მოეცა**.

რად ერთვოდა? ესაა ყველაზე არსებითი და მასთან ყველაზე ძნელი საკითხი. თითქოს იმისათვის, რომ მოეხდინა გარკვეული ფუძის, როგორც სახელის კონკრეტიზაცია: **ამ სუფიქსებს დეიქტური ნაწილაკების ფუნქცია უნდა ჰქონოდა**.

არსებითად ეს იმავე რიგის საჭიროებას ემსახურებოდა, რომლისათვის შემდგომში ჩვენებითი ნაცვალსახელი-ნაწევარი (კაც-ი იგი) იყო გამოყენებული (ანალოგია აქ მხოლოდ ძირითად პრინციპს ეხება).

¹ შდრ. ავრეთვე: მქონებლობისა და რიგის აღნიშვნა: „მე-სამოც-ე წლები“ = „სამოც-ი-ან-ი წლები“, ჰან. სუმენეჩ-ონ-ი „მესამოცე“, „სამოციანი“...

თქმულის მიხედვით ხსენებულ აფიქსებს **ფუძის დეტერმინანტს** ვუწოდებთ; შეიძლება გვეთქვას „ძირის დეტერმინანტი“, მაგრამ სასურველად მიგვაჩნდა ტერმინში ყოფილიყო გახაზული ის კი არა, რომ ძირს უკეთდება დეტერმინაცია, არამედ ის, რომ ეს დეტერმინაცია ფუძეს ქმნის; „საფუძეო დეტერმინანტი“ უფრო გამოსადეგი იქნებოდა ამ მნიშვნელობისათვის, უხეირო წარმოება რომ არ გამოდიოდეს¹.

თანამედროვე აზროვნების ნორმათა მიხედვით უადგილო და გაუგებარი ჩანს ძირეული მასალის დეტერმინაციის საჭიროება ისევე, როგორც ამჟამად არაა ნათელი, რა საჭირო იყო „კაცი იგი“, „ადგილი იგი“ და მსგავსი გამოთქმები. გერმანულად ან ფრანგულად მეტყველისათვის კი „კაცი იგი“ ისევე აუცილებელია, როგორც ძვ. ქართულით მოუბარისათვის (ანდა ჩვენთვის, როცა მკვეთრად ვასხვავებთ კითხვითს სახელს — „რომელი“ — მიმართებით-კავშირებითისაგან — „რომელიც“)...

ზემოთქმულთან დაკავშირებით ბუნებრივად ისმის საკითხი: თუ „ფუძის დეტერმინანტი“ არსებითი სახელის საკონკრეტიზაციო საშუალებაა, რაღადაა ის საჭირო ზედსართავი სახელისათვის?

იმიტომ, რომ არსებითი და ზედსართავი სახელი ქართულში, როგორც **მორფოლოგიური ოდენობა**, დიფერენცირებული არ ყოფილა (და ახლაც არ არის). მსაზღვრელად არსებითი სახელიც იხმარება; სემასიოლოგიური განსხვავება კი არაა ასახული მორფოლოგიური საშუალებით.

ფუძის ერთნაირი დეტერმინანტების გამოყენება ზედსართავსა და არსებითს სახელებში **მორფოლოგიური საბუთია სუბსტანტივისა და ატრიბუტივის გაუდიფერენცირებლობისა**.

რატომ არის ფუძის დეტერმინანტი მიმღეობის საწარმოებელი აფიქსი? იმიტომ, რომ მიმღეობა ნაზმნარი სახელია, **ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი**; ფუძის დეტერმინანტი კი სახელის ფუძის საწარმოებელი აფიქსია.

მიმღეობა, როგორც მორფოლოგიური მონაცემი, გაცილებით უფრო გვიანდელი ფორმაციისაა, ვინემ არსებითი სახელი. ასეა ეს ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა მიხედვით. საგულისხმოა ამ მხრივ, რომ აფხაზურსა და ადიღურ ენებს მიმღეობა, როგორც ასეთი, არც ამჟამად გააჩნიათ (მიმღეობის როლში მთელი გამოთქმაა გამოყენებული).

მიმღეობათა წარმოებისას სახელის ფუძის დეტერმინანტთა გამო-

¹ ინდოევროპულ ენათა მკვლევრები ხმარობენ ტერმინს „ძირის დეტერმინანტი“ "Wurzeldeterminativ", "déterminant de racine" (იხ., მაგალ., E. Benveniste. *Origines*, გვ. 148). **ფუძე**, როგორც ზოგადი ცნება, **ძირსაც** მოიცავს.

ყენება სავსებით ბუნებრივია: აქ **სახელის წარმოებასთან გვაქვს საქმე**, სახელი უნდა მივიღოთ ზმნისაგან და სახელის ფუძის საწარმოებელი აფიქსი უნდა იქნეს, ბუნებრივად, გამოყენებული.

ფუძის დეტერმინანტთა ხმარება მიმღობის საწარმოებლად მთავარი საბუთია იმისათვის, რომ ეს სუფიქსები სახელის ფუძის საწარმოებლად მივიჩნიოთ.

მიმღობათა წარმოებაში მყდავდება ის ფუნქცია, რომელიც არსებით სახელთა ფუძეში ხელშესახები აღარაა.

ძვ. ქართულის არა ერთი მაგალითი ვიცით, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გავითვალისწინოთ, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო გაუდიფერენცირებელი ფუძე, უკეთ, ძირი, სანამ მას დეტერმინანტები დაერთვოდა:

წით-	წით-ს	— ზმნა, <i>verbum finitum</i>
	წით-ელ-	— სახელია, <i>nomen finitum</i>
ქ-(v)-ს-	ქს-ოვ-ს	— ზმნაა
	ქს-ელ-ი	— სახელია
წუხ-	წუხ-ს	— ზმნაა
	წუხ-ელ-	— სახელია (ფუძე ე. წ. „წრფელობითი“ — ზმნისართის ფუნქციით)
თეს-	თეს-ი-ს	— ზმნაა
	თეს-ლ-	— სახელია
კეთ-	კეთ-დ-ა	— ზმნაა
	კეთ-ილ-	— სახელი

რას წარმოადგენს ეს გაუდიფერენცირებელი ფუძე — **წით-**, **წუხ-** — სახელის ფუძეს თუ ზმნისას? **ნეიტრალურ მონაცემს, რომელიც სახელმაც შეიძლება გამოიყენოს და ზმნამაც, მაგრამ რომელიც თავის თავად არც ერთია და არც მეორე.**

და მაინც ასეთი მონაცემი სახელთან უფრო ახლოს უნდა იყოს. ამაზე ორი რამ მიუთითებს:

1. სახელის ფუძის დეტერმინანტები შეიძლება ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს: ზმნური ძირი ააგოს სახელის დეტერმინანტმა:

-ან-	ვ-ც-ან-	მდრ.: ვ-ი-ც-ი-...
„	ვ-ი-ყვ-ან-	„ მ-ყ-ავ-ს-...

- ალ -:	მო-ვ-კ- ალ -	„	მო-ვ-კუ- ედ -(უ!)
„	(ვ)- ვალ -	„	ვ-ედ -
„	გა-ვ-ც- ალ -ე	„	მეგრ.-ჭან. ჩ- ოლ - ჩ- ოდ - („შედარ. ლექსიკონი“, 377).
- არ - - ერ -:	ვ-ჭ-ერ -	შდრ. დიალექტ. ვ-ჭ-არ - („შედარ. ლექს.“, 417)	
- ედ -:	ხუ- ედ -ა	მეგრ. შე-ხვ- ად -უ „შეხვდა“ შე-ხვ- ალ -ამ-ა „შეხვედრა“ და ბევრი სხვა.	

რას მოასწავებს ამგვარი ვითარება? **კ-ალ**-, **ვ-ალ**-, **ჭ-ერ**-, **ჭ-არ**-, **ც-ან**-... ზმნის ფუძეებია, „პირველადი ზმნური ფუძეები“: ასე ჩანს ძვ. ქართლისთვისაც კი.

ასეთ ფუძეებში სახელთა ფუძის დეტერმინანტის გამოვლენა ბუნებრივად სვამს კითხვას: არის კი ასეთი დეტერმინანტი სახელის ფუძის დეტერმინანტი? და თუ ის სახელის დეტერმინანტია, როგორღა შეიძლება ის ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს? შეიძლება იმიტომ, რომ **ზმნა სახელური ფუძიდან მოდის, სახელურ ფუძეს ემყარება**.

თუ **წით**-, **თეს**- ფუძეთა შემთხვევაში ზმნასა და სახელს საერთო საწარმოებელი ფუძე გააჩნდათ და ამ ფუძის მიმართ მეტი პრეტენზიები არც სახელს გააჩნდა და არც ზმნას, **კ-ალ**-, **ვ-ალ**-, **ჭ-ერ**- ფუძეთა შემთხვევაში პრიორიტეტი სახელს ეკუთვნის, ზმნა სახელზე დამოკიდებული ჩანს, მას სახელთა ფუძის საწარმოებლები შეუძლია იგუოს: ეს პირველადი ზმნებიც წარმოშობით ნასახელარია.

ამგვარად, **კ-ალ**-, **ვ-ალ**-, **ჭ-ერ**- და მსგავს ფუძეთა არსებობა ზმნებში იმას კი არ მოწმობს, რომ **-ალ**-, **-ერ**-... და მსგავსი სუფიქსები სახელის ფუძის დეტერმინანტი არაა, არამედ არკვევს ზმნის ფუძის ისტორიულ დამოკიდებულებას სახელის ფუძეზე: ზმნის ფუძე სახელის ფუძეს ემყარება, **სახელის ფუძის ბუნება-თვისებისაა**. ასპექტის, დროისა და პირის ნიშანთა დართვით ემიჯნება იგი სახელს, რომ შემდეგ სახელის სუფიქსთა განმეორებითი დართვით ისევ სახელად, — უკვე ნაზმნარ სახელად, — მოგვევლინოს¹:

¹ ისეთ მაგალითებში, როგორიცაა სა-ვალ-ი, ნა-ჭერ-ი, სა-წერ-ი მიმღეობის წარმოებისას დეტერმინანტი სუფიქსი არაა გამოყენებული, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზმნის ფუძეში უკვე არის **-ალ**-, **-ერ**-..., არამედ იმიტომ, რომ მიმღეობას ზოგჯერ დეტერმინანტი სუფიქსი არ ჰქონდა ისევე, როგორც არ ჰქონდა ზოგ სახელს (იხ. ქვემ.).

ჭერ-: ჭრ-ა: სა-ჭრ-ელ-ი — მ-ჭრ-ელ-ი — ჭრ-ილ-ი — ნა-ჭერ-ი...

ამგვარად, როგორც უდეტერმინანტო ფუძე შეიძლება იყოს ამოსავალი სახელისა და ზმნისათვის, ისე სახელის ფუძის დეტერმინანტი შეიძლება ზმნის ფუძემ გამოიყენოს (ზმნის სპეციფიკური აფიქსები კი — დროისა, პირისა, — სახელს არ გამოადგება, რიცხვის, ე. ი. მრავლობითის, მაჩვენებელი სახელსა და ზმნას ისტორიულად ერთნაირი აქვს: რიცხვი სახელისა და ზმნისთვის საერთო კატეგორიაა).

2. ერთის შეხედვით, წმიდა ზმნური ფუძე დაირთავს ისეთს სუფიქსებს, რომლებიც უდაოდ სახელისთვისაა შესაფერი:

წად-ი-ს: წად-ი-ერ-ი

წყურ-ი-ს: წყურ-ი-ელ-ი

მში-ი-ს: მში-ი-ერ-ი

ე-მღურ-ვ-ი-ს: მღურ-ვ-ი-ელ-ი:

... რწლნიმე არიან მღურვიელ... სვან., 24.

პოვ-ნ-ი-ს: პოვ-ნ-ი-ერ-ი:

... უპოვართაგან პოვნიერებაჲ ქმნა... სვან., 52.

შდრ. **გონ-ი-ერ-ი...** **თვალ-ი-ერ-ი...**

ცოლ-ი-ერ-ი... **შვილ-ი-ერ-ი...** **ქმრ-ი-ელ-ი...**

ჟამ-ი-ერ-ი... და მრავალი სხვა.

თუალ-ი-ერ-ი: ნათელი მისი თუალიერთა გამოუბრწყინდეს და არა ბრმათა... უდაბნ., 99r.

ცოლ-ი-ერ-ი: ვწმცა მთავრობდა ჩწ ზწა ეპკპსი ცოლიერი... სვან., 301.

შვილ-ი-ერ-ი: და შვილიერ ქმნს ცოლი ჩემი... სვან., 241.

ქმრ-ი-ელ-ი: ძენი ცოლიერთანი არა ისუმენ ცოლსა და ძენი ქმრიელთანი არა შეეხებიან დედათა... სვან., 470.

ჟამ-ი-ერ-ი: რჟს იგი უჟამოდ ნათელი ჟამიერს შეერთო... ბასილ., 64v.

წყურ-ი-ელ-, წად-ი-ერ- ტიპის თუალ-ი-ერ-, ჟამ-ი-ერ- ტიპთან შედარებაც იმაზე მიუთითებს, რომ ზმნის ფუძეს ისეთი თვისებები გააჩნია, რომლებიც ათანაბრებენ მას სახელის ფუძესთან.

სათანადო ადგილას (იხ. გვ. 100) აღნიშნული გვაქვს, რომ დეტერმინანტი სუფიქსები ყველა ქართველურ ენაში ერთნაირად არაა გავრცე-

ლებული: ქართული და ჭანურ-მეგრული მით მდიდარია, სვანური, პირიქით, ღარიბი.

თვით ქართულშიც ეს სუფიქსი ყველა სახელს არა აქვს: ვორჯ-, წამ-, ნაკ-, ვენაჯ-, ბარჯ-, გლეს-, ქრთამ-...

ვორჯ-: ...რწ მახვლმან: განვლო ვორჯი მისი... სვან., 176.

წამ-: ...თუალისა წამსა ყლისა უსუსურცს არს... სვან., 116.

წარბ-: ...მიეცა იგი ცემასა და ხუეტასა და წარბთა და წამწამთა გლეჯასა... ოქროპირ., 214v.

ნაკ-: ...უამთა და წელიწადთა მცხრალისა თს და ნაკისათჳს... დავით., 239r.

ვენაჯ-: ...კულად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჯსა და მევენაჯენი ივლტოდეს... ხანძთ., 83 ქვ.

ბარჯ-: ...ერთსა დასდევს ბარჯი რკინისად... ოქროპირ., 182r.

გლეს-: ...და გამოსწერედ კაცთა და პირუტყუთა და ხვთა. მეფეთა და გლესთა და წარმართთა... სვან., 109.

ქრთამ-: ...რლი მიიღებს ქრთამსა უჯეროდ... ოქროპირ., 121r.

ამ სახელთა ფუძეებში დეტერმინანტი სუფიქსები არა ჩანს. ორში ერთი: ან ამგვარი სახელები ქართულში შეთვისებულია სხვა ენობრივი სინამდვილიდან, ანდა, თუ ეს სახელები ნასესხები არაა, ქართულში გვქონია დეტერმინანტ-სუფიქსების არა მქონე ფუძეები.

გლეს-, ქრთამ-, ნაკ- შეიძლება, მართლაც ნასესხები იყოს, ვენაჯ-რთული ფუძე ჩანს და მეორე ფუძე (-აჯ-) შეთვისებულია თითქოს სხვა ენათაგან, მაგრამ **ვორჯ-, წარბ-, წამ-**?

ქართულ და მეგრულ-ჭანურ სახელთა დიდ უმეტესობაში დეტერმინანტი სუფიქსი გვაქვს; ეს ისე დემონსტრაციულად ჩანს სათანადო სახელებში, რომ განსაზღვრავს ფუძის ბგერითს აღნაგობას და ჩვეულებრივ აადვილებს შეთვისებული და საკუთარი ლექსიკური მასალის გარჩევას.

მაგრამ ძნელი იქნებოდა ვისმე ემტკიცებინა: რასაც ფუძის დეტერმინანტი არა აქვს, ყველაფერი **უთუოდ** ნასესხებიაო. ანდა პირუტყუ: სადაც **-ალ-, -არ-, -ან-, -ულ-**... ისმის სახელის ფუძის ბოლოს, ეს დეტერმინანტი სუფიქსია და ფუძეც ქართულიაო: **ხანჯალ-, ზარალ-, ლალ-, ბაზარ-, ლაშქარ-, ეხტიბარ-, მდივან-, ზიან-, მადან-**... და ბევრიც სხვა სახელი ქართულში **-ალ-, -არ-, -ან-** მარცვლით ათავებს ფუძეს, მაგრამ ქართული არც დეტერმინანტია აქა და არც ძირი: ეს ნასესხები სახელებია.

სახელისაგან ნაწარმოებ სახელთა და მიმღეობათა ერთს ჯგუფში დეტერმინანტ-სუფიქსთა უქონლობა თითქოს იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ არსებით სახელებშიც ასეთი უდეტერმინანტო ფუძეები შეიძლება გვქონდეს:

მე-ოხ-: ...წო მქლ დემეტრეს ჳბატოსსა მეოხ ხეყავ... ქრესტომ., 1¹⁷.

მო-შიშ-: რ ახს მოშიშთა მისთა მცწრებად მისი... დავით., 129v.

უშიშ-: უშიშ იქმნა... უდაბნ., 22r. ... უშიშად დგან... იქვე, 23v.

მო-ღუაწ-: ... და ღთ იქმნა მოღვაწ კაცობრივსა... სვან., 80. ... და ჩუენისა ცხორებისათჳს... მოღუაწ გუექმნეს... იქვე, 83.

უ-ღუაწ-: ... ადგილი იგი ჩწი უღუაწ არს... სვან., 136.

უსმ-: (საპირისპ. მ-სმენ-ელ-):

... ვიყავ მე ვა კაცი უსმი... სვან., 421.

შდრ. მეგრ. **უ-სვენ-არ-**: „შეუგნებელი“, სიტყვა-სიტყვით: „უ-სმენ-არ-“ ქართ. „შე-უ-სმენ-ელ-“ (სიტყვა შეთვისებულია ქართულიდან). სი, უსვენარი! — „შე ბრიყვო, შეუგნებელო“!.. უსვენარი კოჩი რე — „ბრიყვი კაცია“ (შეუგნებელი)...

ურჩ-ი (საპირისპ. მო-რჩ-ილ-):

... არს წარმწყმედელ ურჩთა და უსმთა... ოქროპირ., 233v.

უ-ტყუ- (საპირისპ.: მე-ტყუ-ელ-); აქედან: **პირ-მე-ტყუ-ელ-** და **პირ-უ-ტყუ-**:

უტყუად იღვა ქუეყანასა გუემისა მისგან... უდაბნ., 23r.

უ-ძილ- (საპირისპ.: მ-ძინ-არ-ე):

ღამე ყლ დგან უძილად... უდაბ., 22v.

...განათიეს ღამჴ უძილად... ოქროპირ. 183r.

ძილ-ს საწარმოებელი **-ლ-** აქვს, უარყოფითს წარმოებაში კი სუფიქსი გვაკლია: უ-ძილ-**ლ-**ს მოველოდით.

უ-სა-ს-ყიდ-ელ-: ყლდვე არა ჳრიდე საფასესა სასყიდლად ვინაფთგან უკუე უსასყიდლად წინამდებარე არს შწდა კწტ მოყრებად... ბასილ., 71r.

აქაც **-ლ** სუფიქსი გვაკლია: **უ-სასყიდლ-ლ-** უნდა გვქონოდა.

შე-უ-რაცხ- (საპირისპ. შერაცხ-ილ-ი):

აქვე შეიძლება შეგვეტანა:

თანა-მ-დ-ებ- (თავს მ-დ-ებ-), მ-ყ-ოფ- (ჩვეულებრივია მ-ყოფ-ელ-ი), მ-ვლ-ომ-, მო-დგ-ამ-..., სადაც ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსის გარდა არავითარი სუფიქსი არ მოუღის.

მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით მხოლოდ ისეთი მაგალითები შეგვეჩინა, სადაც ნაწარმოებ ფუძეს დეტერმინანტი სუფიქსები უღაოდ არ მოეპოვებათ.

ავარიდეთ თავი ისეთ მიმღებებს, როგორცაა: მე-მღ-ერ-, მო-მღ-ერ-, მე-ძ-ავ-, მო-ს-ავ-, მ-პარ-ავ-, მ-ა-ვ-ალ-... (მ-ღერ- ფუძესთან სუფიქსი მოსალოდნელი იყო; შდრ. მო-მ-ღერ-ალ-...); აქ ზმნის ფუძეში **-ერ-**, **-ავ-**, **-ალ-** სუფიქსები გვაქვს და შეიძლება ამათ ედოთ წილი იმაში, რომ მიმღება სათანადო დეტერმინანტ-სუფიქსს არ დაირთავს.

ძვ. ქართულისთვის უსუფიქსო მიმღება ფაქტია, მაგრამ ეს არაა ჩვეულებრივი, თუნდაც უარყოფითს ფორმებში; ჩვეულებრივია ისეთი წარმოება, როგორცაა: **უ-ბან-ელ-, უ-ლმობ-ელ-, უ-ქმნ-ელ-, უ-ვარწნ-ელ-, და-უ-წყუედ-ელ-...**

შდრ. შესაბამისი სახელი ნაწარმოები სახელისაგან: უ-ეჭუ-ელ-...

ასეთი უსუფიქსო მიმღება თუ ნაწარმოები სახელი (მო-ლუაწ-, უ-ლუაწ-... მე-ობ-, მო-შიშ-...) ძველის-ძველი მოვლენაა.

მათგან უნდა განვასხვაოთ ახ. ქართულის უსუფიქსო მიმღებანი, როგორცაა: სა-წერ-ი, სა-კერ-ი, სა-ფარ-ი, სა-ხოც-ი (პირ-სა-ხოც-ი)... ძვ. ქართულში ამგვარ შემთხვევებში დეტერმინანტი სუფიქსი ფუძეს დაერთვოდა.

შდრ. მაგალ.:

სა-ხოც-ი და ძვ. ქართ. სა-ვოც-ელ-ი, სა-ფარ-ი და სა-ფარვ-ელ-ი...

ახ. ქართულის მიმღებაში სუფიქსური წარმოების დაჩრდილვა გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სიმძიმის ცენტრმა პრეფიქსებზე გადაინაცვლა, სუფიქსები კი უფუნქციოდ გამოიყურებიან.

§48. შეიძლება დავასკვნათ. რას იძლევა ქართულისა და სხვა ქართველური ენების ისტორიისათვის ფუძის **დეტერმინანტ-სუფიქსების** საკითხი?

1. მკვლევანდება სახელთა **ფუძის შენების პრინციპი**: ფუძე მარტივი ჩანს, ნამდვილად კი ნაწარმოებია (ისტორიულად). საწარმოებელი აფიქსი აწინდელი გაგებით უფუნქციოა: წყალ-, კუალ-, ძალ- თითქოს მარტივად

აღნიშნავს ობიექტური სინამდვილის სათანადო ფაქტებს, ისტორიულად კი აქ **სპეციფიკური დეტერმინაცია** ჩაექსოვება ფუძეს.

ეს დეტერმინაცია იმდროინდელი აზროვნების საჭიროებას უბასუხებდა. თანამედროვე აზროვნებისათვის ამგვარი საჭიროება არ არსებობს. დეტერმინანტი სუფიქსი მკვდარია. მისი გამოყოფა ფუძეებში სპეციალური ხერხებით წარმოებს. ასეა სადა არსებით სახელებში და ბევრ ზედსართავში.

რიცხვით სახელებსა და მიმღობაში დეტერმინანტი სუფიქსი მკვეთრად გამოიყოფა, მე-სამ-ე... მე-ოთხ-ედ-... სამოც-ი-ან-... მ-სმენ-ელ-... სა-სმენ-ელ-...

მაგრამ მისი ფუნქცია არაა ცხადი. ამიტომაც, რომ სპეციალური ლიტერატურა ფაქტის დადასტურებით კმაყოფილდება, როცა ამბობს: მიმღობა, რიგითი რიცხვითი სახელები... იწარმოება **პრეფიქსითა და სუფიქსითაო**.

საკითხავია: რატომ მართო პრეფიქსით ან მართო სუფიქსით არა? ფუძის საწარმოებელ ყოველ აფიქსს თავისი ფუნქცია აქვს: **ერთ ფუნქციას ერთი საწარმოებელი აფიქსი განეკუთვნება** ხოლმე, არა მეტი; ესაა წესი, საერთოდაც, და ჩვენი ენებისთვისაც:

სვან- — სვან-ეთ-

სვან- — სვან-ებ-

სვან- — სვან-ურ-...

ტომის სახელწოდებიდან ქვეყნის სახელწოდებაა საწარმოებელი: **-ეთ-** სუფიქსი დავურთეთ ფუძეს: სვან-ეთ-... სიმრავლეა აღსანიშნავი კონკრეტული სვანის სახელისა — **-ებ-** სუფიქსი დავურთეთ: სვან-ებ-... სადაურობა უნდა აღგვენიშნა და **-ურ-** სუფიქსი გამოვიყენეთ: სვან-ურ-... ყველგან ერთმა აფიქსმა იკმარა.

რატომაც საჭირო რიგითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად ორი აფიქსი — პრეფიქსი და სუფიქსი — **მე-სამ-ე-... ნა-ხუთ-ალ-...** ანდა მიმღობაში: **მ-სმენ-ელ-, სა-სმენ-ელ-...** ხომ გვაქვს: **წერ-ილ-... გზავნ-ილ-... თხრ-ილ-...**

სადაც ორი აფიქსია გამოყენებული ერთი ფუნქციით, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ.

დეტერმინანტ-სუფიქსებს ჩვენ გამოვყოფთ დაუბრკოლებლად (მიმღობაში, რიგითს რიცხვ. სახელებში...), ფუნქცია კი არ გვესმის. არაა ნათელი, რა როლს ასრულებს იგი.

პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოების შემთხვევებში გასარკვევია: რა ეკის-

რება სუფიქსს, რა როლს ასრულებს პრეფიქსი?

2. ამრიგად, დეტერმინანტ-სუფიქსთა საკითხს შინაგანი აუცილებლობით მივყავართ მეორე საკითხთან: როგორია საწარმოებელ პრეფიქსთა როლი, **ისტორიული ფუნქცია** პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებაში:

მ-სმენ-ელ-...

სა-სმენ-ელ-...

მე-სამ-ე-...

მ-ა-დიდებ-ელ-...

სა-დიდებ-ელ-...

ნა-სამ-ალ-...

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა ამ პრეფიქსთა (**მ-||სა-||ნა-**) ფუნქცია. შეიძლება ისტორიული პერსპექტივის შესაფერი, სწორი წარმოდგენა შევიმუშაოთ იმის შესახებ, თუ როგორ „გაკეთდა“ მიმღობა, როგორ აყალიბებდა ჩვენი მეტყველება ზმნის ფუძისაგან (ისმენ-ს... ადიდ-ებ-ს...) ნაზმნარი სახელის ფუძეს, ანდა რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგითს რიცხვითს სახელს და სხვა.

ესაა მეორე ნაწილის საგანი.

3. ფუძის დეტერმინანტი სუფიქსები შუქსა ფენენ **ფუძის აგების მექანიზმის** არსებით მომენტებს.

დეტერმინანტი სუფიქსების გამოყოფა ააშკარავებს, რომ ერთმარცვლიანი მარტივი ფუძეები ქართული ლექსიკის ძირითად მასივს შეადგენს; ხშირად ძირი ერთ თანხმოვანს უდრის. ორმარცვლიანი (და მეტი მარცვლის შემცველი) ფუძე ყოველთვის კითხვას იწვევს: ხომ არა გვაქვს საქმე შედგენილ ან რთულ ფუძესთან.

ერთმარცვლიან ფუძეში ხმოვანი ან ძირისაა ან დეტერმინანტ სუფიქსისა გინა პრეფიქსისა:

ძმ-ა-, ძ-ალ-, კუ-ალ-, წყ-ალ-, ვ-ელ-... — ხმოვანი დეტერმინ. სუფიქსისაა.

ვამ-ლ-, თეს-ლ-, თაფ-ლ-... — ხმოვანი ძირისაა

სა-ხ-ლ-, ი-ფქ-ლ-, ცე-ცხ-ლ- — ხმოვანი პრეფიქსისა¹.

რომელი შესაძლებლობა განხორციელდებოდა, ეს **დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მახვილზე**, მახვილის ადგილმდებარეობაზე.

მახვილზევე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული თანხმოვანთა თავის მოყრა ანლაუტში (ჩჩვლ-ი).

ერთმარცვლიან ფუძეში ხმოვნის ადგილმდებარეობა მახვილის ადგილსა და ბრუნვას გვარკვევინებს.

¹ ამ პრეფიქსთა ფუნქციის შესახებ იხ. მეორე ნაწილში.

ისტორიულად ქართულში¹ მახვილი უნდა ყოფილიყო **ინტენსიური, დინამიკური, მოძრავი**.

ჭანურსა და მეგრულში ქართულ ერთმარცვლიან ფუძეს ორმარცვლიანი შეესატყვისება: **თაფ-ლ- — თოფ-ურ-, ძაღ-ლ- — ჯოღ-ორ-, მატყ-ლ- — მონტყ-ორ-...**

ადგილი აქვს ე. წ. სრულხმოვნობას. სრულხმოვნობა არაა შედეგი ხმოვნის ჩართვისა თანხმოვნებს შორის (ანდა ხმოვნის განვითარებისა — ამგვარი შემთხვევები მეტად მცირეა).

სრულხმოვნობა მეორეული მოვლენა არაა, იგი ამოსავალი ვითარებაა.

სრულხმოვნობა ქართულისთვისაც ისტორიულად ისევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზანურისათვის (მეგრ.-ჭანურ.); ქართულმა ეს ვერ შეინარჩუნა — მახვილის მიზეზით; ზანურმა კილოებმა ეს შეინარჩუნეს, ალბათ, ისევე მახვილის წყალობით: ზანურში მახვილი არ უნდა ყოფილიყო ისტორიულად ისეთი ინტენსიური, როგორც ივარაუდება ქართულისათვის, თუ კი ის იყო დინამიკური: შეუძლებელი არაა ზანურში ტონური მახვილის სიჭარბე გვქონოდა.

ამას არ აქარწყლებს ცალკეული შემთხვევები ხმოვანთა ამოღებისა ჭანურსა და მეგრულში (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, დასკვნა).

4. წინა აზიის ძველი ენების (ხურიულის, ხეთურის, ურარტულის...) ლექსიკა სრულხმოვნობით ხასიათდება. ქართული ფუძეების თანხმოვანთყრილობა, **ერთი შეხედვით**, იმის მაჩვენებელი ჩანს, რომ შეუძლებელია ამგვარი სტრუქტურის ფუძეები გენეტურად დაუკავშირდეს ისეთ ენათა ფუძეებს, რომელთა სრულხმოვნობაც დემონსტრაციული ხასიათისაა.

დეტერმინანტ-სუფიქსთა საკითხთან დაკავშირებით ეს დაბრკოლება მოხსნილად უნდა მივიჩნიოთ: **თანხმოვანთყრილობა ქართულში მეორეულია** (მისი მთავარი წყაროა დეტერმინანტ სუფიქსთა ზეგავლენით ფუძის შეკუმშვა!): სწორედ **სრულხმოვნობაა ქართული ენის განვითარების ძველი სტადიისათვის ნიშანდობლივი**.

მაშასადამე, **ამ მხრივ ქართული ძველად უფრო ახლოს იდგა სხენებულ ენებთან** და დაშორდა მათ თავისი განვითარების უკანასკნელი 1500-2000 წლის მანძილზე.

ფუძისეული ხმოვნის ამოღება დეტერმინანტ სუფიქსთა (თუ სხვა სუფიქსთა) ზეგავლენით არ არის თანხმოვანთყრილობის ერთად ერთი წყარო; თანხმოვანთყრილობას სხვა მიზეზიც იწვევს: ესაა თანხმოვანთა განვითარება და ჰარმონიულ ჯგუფთა შექმნა; ასე, მაგალითად:

¹ იგულისხმება სალიტერატურო ქართულის საორიენტაციო ორი ძირითადი კილო მაინც.

წ → **წყ- წკ**: წყ-ალ- ← წალ-... ძეწკუ- ← ძეწუ- (შდრ. ჯაჭუ-)...
წკნელ- ← წნელ-...
ჭ → **ჭყ- ჭკ**: ჭკნ- ← ჭნა...
ც → **ცხ- ცქ**¹ ცეცხლ- ← ცეცლ-...

ამგვარი ჰარმონიული ჯგუფებით ქართულიც მდიდარია, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია ასეთი ჯგუფები ჰანურში და მეტადრე, მეგრულში: თანხმოვანთყრილობის მთავარი წყარო ზანურში ჰარმონიული ჯგუფებია, უკეთ: უკანაენისმიერთა განვითარება; შდრ. მაგალითად:

ქართ.	ჭამა —	მეგრ.	ჭკომუა... ჭედვა — ჭკადუა...
„	წილ-ი	„	ჭკირ-ი... ჭინჭველ-ი — მეგრ. ჭკიჭკი-ტია ჭვიჭვიტია... ჭან. ღი-მჭკუ
„	ცაცხუ-	„	ცხაცხუ...
„	ცოცხალ-	„	ცხორცხალ-... ჩან-ს — მეგრ. ჩქუ(ნ)...
„	ჩუენ	„	ჩქი... ჭან. ჩქუნ ჩქინ...

სვანურში ასეთი კომპლექსები იშვიათია: სვანურში თანხმოვანთ-ყრილობის მთავარი წყარო ხმოვნის დაკარგვაა (ფუძის შეკუმშვა).

სვანურის ჩვენება ცხადყოფს, რომ ქართველურ ენათათვის ჰარმონიული კომპლექსები — მეორე, განვითარებული წევრით, — შედარებით ახალი მოვლენაა.

5. დეტერმინანტ სუფიქსთა ბგერითი შედგენილობა გახაზავს **ღია-ლექტურ წრეთა** არსებობას:

ნ უ დ ლ რ...

ამ თანხმოვანთა შემცველი აფიქსები შეუძლებელია ერთსა და იმავე ღიალექტურ წრეს ეკუთვნოდეს, რაკი ფუნქცია მათ ერთი და იგივე აქვთ. მათ ვერც ფონეტიკურ ვარიანტებად დავსახავთ: **უ-** და **ლ-** შეიძლებოდა ამ მხრივ დაგვეკავშირებინა, მაგრამ ეს მხოლოდ ფონეტიკური შესაძლებლობის საქმე იქნებოდა... ამგვარ შესაძლებლობას თუ დავემყარებით, არაფერი დაგვიშლიდა სხვა თანხმოვნებით ერთი მეორის ბგერაცვლად მიგვეჩინა: **ნ — დ — რ — ლ...**

ეჭვი არაა, ეს ფონეტიკური სიახლოვე იმის მაუწყებელია, რომ ხსენ-

¹ საილუსტრაციოდ ესეც კმარა; საკითხი დაწვრილებით სხვაგან იქნება განხილული.

ჰარმონიული ჯგუფების რაობისა და სახეობათა შესახებ იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართ. ენის ფონეტ. საკითხები, გვ. 123-124.

ნებული სუფიქსები **ერთი და იმავე ენობრივი წრის სხვადასხვა დიალექტებს განეკუთვნება...** ისევ **ჟ** ჩანს უფრო დაშორებული.

ამ აფიქსთა დადასტურება მთელ რიგ მორფოლოგიურ კატეგორიებში ხერხდება.

ყველაზე მცირე ხვედრი წონა მოუდის **-დ-** (|| **-ედ-**) სუფიქსს, შემდეგ მოდის **-ნ...** ყველაზე მძლავრია **-ლ-** და **-რ-** ფენი. უკანასკნელი ზანურის დიალექტების — ჭანურისა და მეგრულის გარდა — აღმოს. საქართველოს მთის კილოებშიც (მაგ. ფშაურშიც) უნდა ჩანდეს. ამ ფენათა გამოვლენა მორფოლოგიაში მორიგი საქმეა.

ბ. დეტერმინანტი სუფიქსები სახელისა და ზმნის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისითაც ანგარიშგასაწევ ჩვენებას იძლევა: იმ შემთხვევაშიც, როცა ორივეში — სახელშიც და ზმნაშიც — გვაქვს ეს აფიქსები და იმ შემთხვევაშიც, როცა არც ერთს მოეპოვება ეს აფიქსი და არც მეორეს.

ზმნისა და სახელის ფუძეთა **პრინციპული ერთგვარობა-გაუდიფერენცირებლობა, ზმნის ფუძის სახელური წარმოშობილობა** — დეტერმინანტი სუფიქსების მეოხებითაც თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება.

ნაწილი მეორე

ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა
პრეფიქსები ქართველურ ენებში

§49. დეტერმინანტ-სუფიქსთა საკითხს, როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ გვ. 128), მივყავართ **პრეფიქსთა** საკითხთან: **მ-სმენ-ელ- — სა-სმენ-ელ-... მე-ხუთ-ე — ნა-ხუთ-ალ-...** წარმოება პრეფიქსულ-სუფიქსურია. სუფიქსთა როლის შესახებ გარკვეული დასკვნები მივიღეთ. გასარკვევია, რა როლს ასრულებენ პრეფიქსები.

სუფიქსების შესახებ მსჯელობისას ამოსავალი იყო არსებითი და ზედსართავი სახელების ფუძეთა შედგენილობა, შემდეგ გადავედით მიმდებარე. აქაც ამ თანამიმდევრობას ვრჩეობთ, ოღონდ მიმდებარის გარდა მასდარიც (სახელზმნაც) იქნება განხილული.

ქართულ მეტყველებაში კითხვაზე „ვინ?“ მიუგებს ადამიანის სახელი: **ვინ?** კაცი, ქალი, მამა, დედა, და, ძმა, ამხანაგი, მეგობარი, მეზობელი, ექიმი, ჯარისკაცი, მუშა, სტუდენტი, ოსტატი...

კითხვას „რა?“ შეეფერება ყოველი სხვა ცოცხალი არსების, ნივთისათვის მოვლენის სახელი: **რა?** ცხენი, ძროხა, ხარი, კამეჩი, არწივი, ქორი, მუხა, ცაცხვი, სახლი, კარი, მზე, ჰაერი, წყალი, დარდი, ფიქრი, ოცნება, წარმოდგენა, მსჯელობა, დასკვნა...

აქედან ჩანს, რომ ადამიანი ცალკეა გამოყოფილი, სხვა ცოცხალი არსებანი ნივთებთან ერთად მეორე ჯგუფშია მოქცეული. სხვა ენებში ეს ყველგან ასე არ არის (რუსულში, მაგალითად, **кто** დაესმის კითხვად, როგორც ადამიანს, ისე ცხოველს).

ქართულში გარჩეული ორი ჯგუფიდან იმას, რომელიც ადამიანს ეხება, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივად გონიერთა ჯგუფი თუ კატეგორია ეწოდება; ამის საპირისპიროს — არაგონიერთა კატეგორია; ამ ტერმინს უხერხულობა ახლავს: იგი თითქოს წყვეტს ცხოველთა გონიერების საკითხს და ამით თითქოს ზოოფსიქოლოგიის პრობლემის გადაწყვეტაში ერევა. გარდა ამისა, საზომი „გონიერი“ — „არაგონიერი“ სრულიად შეუფერებელია იმ ნივთებისა და მოვლენათა მიმართ, რომელნიც მეორე კატეგორიაში არიან მოქცეული ცხოველებთან ერთად.

ჩვენ ვარჩევთ ვიხმართ ტერმინები: „**ადამიანის კატეგორია**“, „**ნივთის კატეგორია**“. ამ ტერმინებში უფრო მკვეთრად დაჩნდება ის დაპირისპირება, რომელიც **ვინ-კატეგორიასა** და **რა-კატეგორიას** შორის არსებობს.

ამ კლასიფიკაციისათვის ნიშანდობლივია საზოგადოებრივი **ღირებულებების თვალსაზრისი**; ამ თვალსაზრისით ცხოველები, ნივთები ერთად იყრის თავს, ერთ ჯგუფს ქმნის, ადამიანი კი ცალკე ჯგუფად გამოიყოფა, ღირებულებების განსხვავებულ კლას-კატეგორიადაა წარმოდგენილი (დაწვრილებით — ბოლოს).

არსებითად ეს პრინციპია სახელთა კლასიფიკაციის საფუძველი ყველა კავკასიურ ენაში, მაშინაც, როცა ეს პრინციპი უცვლელად არის გატარებული და მაშინაც, როცა იგი გართულებულია დამატებითი დაჯგუფებით სქესთა მიხედვით (ამის შესახებ — ცალკე).

§50. ვინ და რა კატეგორიათა დაპირისპირება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნათლად ჩანს სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში. სადაურობის აღსანიშნავად აქ უკვე იხმარება მორფოლოგიური საშუალება, სუფიქსები: **-ელ-** და **-ურ-**; პირველი — ადამიანისათვის, მეორე — ნივთის კატეგორიის სახელისათვის (ფუძისეული **რ-**ს გავლენით **-ურ-** სუფიქსი იღებს **-ულ-**ის სახეს დისიმილაციის გამო); მაგალითად:

ქალაქ-	ქალაქ-ელ-
	ქალაქ-ურ-
სოფელ-	სოფელ-ელ-
	სოფელ-ურ-

ქართულში უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა: **ა.** ადგილის (მიწა-წყლის, ქვეყნის) სახელწოდებაა ამოსავალი და აქედან ვაწარმოებთ ამ ადგილის მკვიდრის სახელს; **ბ.** ამოსავალია გვარტომობის სახელი და აქედან იწარმოება ქვეყნის სახელი.

პირველ შემთხვევაში **-ელ-** წარმოებაც გვექნება და **-ურ-** წარმოებაც, მეორეში — მხოლოდ **-ურ-**; **-ელ-** წარმოების მაგივრობას გასწევს პირველადი სახელი.

ა. ამოსავალია ადგილის სახელი:

ქართლ-ი	ქართლ-ელ-ი	ქართლ-ურ-ი
აჭარა	აჭარ-ელ-ი	აჭარ-ულ-ი
აზერბაიჯან-ი	აზერბაიჯან-ელ-ი	აზერბაიჯან-ულ-ი
ციმბირ-ი	ციმბირ-ელ-ი	ციმბირ-ულ-ი

ბ. ამოსავალია გვარტომობის სახელი:

სვან-ი	[სვან-ეთ-ი]	სვან-ურ-ი
სომეხ-ი	[სომხ-ეთ-ი]	სომხ-ურ-ი
ოს-ი	[ოს-ეთ-ი]	ოს-ურ-ი
ბერძენ-ი	[სა-ბერძნ-ეთ-ი]	ბერძნ-ულ-ი
რუს-ი	[რუს-ეთ-ი]	რუს-ულ-ი

გვარტომობის სახელის განმეორებითი წარმოება გვაქვს მაგალითებში:

კახ-ეთ-ი	კახ-ელ-ი	კახ-ურ-ი
სპარს-ეთ-ი	სპარს-ელ-ი	სპარს-ულ-ი

აქ ამოსავალი იყო ადამიანის გვარტომობის სახელი — კახ-ი, სპარს-ი — და მეორე ტიპის ნიმუშთა მსგავსად გვქონდა:

კახ-ი ¹	[კახ-ეთ-ი]	კახ-ურ-ი
სპარს-ი	[სპარს-ეთ-ი]	სპარს-ულ-ი

კახისა და სპარსის ადგილი დაიჭირა კახ-ელ-მა და სპარს-ელ-მა. წინანდელი საგვარტომო სახელი შეგვრჩა საწარმოებელ ფუძეთა სახით ქვეყნების სახელწოდებაში: კახ-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი...

კახ-ელ- — კახ-ურ-, სპარს-ელ- — სპარს-ულ- ამჟამად ისევე უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც ქართლ-ელ- — ქართლ-ურ-, აჭარ-ელ- — აჭარ-ულ-...

მოყვანილი მაგალითები -ელ- და -ურ- სუფიქსთა ფუნქციას ეჭვმიუტანლად გვიჩვენებს: -ელ- ვინ- კატეგორიის საწარმოებელი სუფიქსია, -ურ- — -რა- კატეგორიისა, — დაპირისპირება სრულია.

§51. და მაინც ასეთი დაპირისპირება ამ სუფიქსებისა პირვანდელი არ უნდა იყოს.

როგორც დეტერმინანტი სუფიქსები, ესენი არსებითად ერთი ფუნქციისა უნდა ყოფილიყვნენ (იხ. მათი ხმარების მაგალითები პირველ ნაწილში, გვ. გვ. 29-40, 80-81), მათი დაპირისპირებისათვის საფუძველი არა ჩანს.

მაგრამ შეიძლება შევებრუნოთ მსჯელობა: ამოვიდეთ -ელ- და -ურ- სუფიქსთა დაპირისპირებიდან, დავემყაროთ ამ ფაქტს და სათანადო დასკვნები გავაკეთოთ თვით ამ დეტერმინანტ სუფიქსთა შესახებ.

რა უფლება გვაქვს ასე არ მოვიქცეთ? რა საფუძველი გვაქვს -ელ- და -ურ- სუფიქსთა დაპირისპირების პირველადობა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ და ამ დაპირისპირების მეორეულობა ვცნოთ?

არის რამდენიმე გარემოება.

1. კითხვითი სიტყვა სადაური, სახელები აქაური, იქაური, მანდაური ისევე, როგორც შინაური, განურჩევლად იხმარება ადამიანისთვისაც, ნივთებისთვისაც:

სადაური ხარ? აქაური... იქაური... შინაური კაცია...

¹ იხ. კურიკე კახთა მეფისა: სამწირველო... ქრონ. I, 280.

ანდა: პატარა კახი (ერეკლე მეორის მეტსახელი)...

...წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა... შუშან., 46.

...და იჯმნა მეფისაგან სპარსთა ესა პიტიახშმან... შუშ., 51.

სადაური ყველია? აქაური... იქაური... თუშური... ოსური...
 სადაური ცხენია? ყარაბახული... ყაბარდოული...

ასეა სალიტერატურო ქართულში; დიალექტებიდან მხოლოდ მთა (მთიულეთი, ხევი...) განასხვავებს **სადაველსა** და **სადაურს**¹, **აქაველსა** და **აქაურს**, **იქაველსა** და **იქაურს**, მაგრამ სხვა კილოებმა არც აღმოსავლეთ საქართველოში, არც დასავლეთ საქართველოში ამ სიტყვებში ამგვარი გარჩევა არ იცის (თვით მთაში „შინაური“ მოსალოდნელ პარალელურ **-ელ-** წარმოებას არ გვაძლევს).

ამრიგად, **-ელ-** და **-ურ-** ყველგან არ არის დაპირისპირებული.

2. გვარების საწარმოებელ სუფიქსად ქართულში ხშირია **-ელ-**; ეს მოსალოდნელიც იყო: იშხნ-**ელ-**-ი, გომართ-**ელ-**-ი, კორინთ-**ელ-**-ი, ბეთან-**ელ-**-ი, ვეშაპ-**ელ-**-ი, თუხარ-**ელ-**-ი, კარგარეთ-**ელ-**-ი და სხვ. ბევრგან ასეთ შემთხვევაში გარკვევით ჩანს, რომ სადაურობაა გვარში აღნიშნული: იშხან- ← იშხნ-**ელ-**-ი (← იშხან-**ელ-**-ი), გომართ- — გომართ-**ელ-**-ი (← გომარეთ-**ელ-**-ი), ოძრხე — ოძრხ-**ელ-**-ი → ოცხ-**ელ-**-ი.

ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი **-ელ-** თუ აღმოჩნდებოდა, ეს არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი.

მაგრამ სრულიად გაუმართლებელი ჩანს **-ურ-** სუფიქსის გამოყენება ადამიანთა გვარის აღმნიშვნელ სიტყვებში: გიგა-**ურ-**-ი, ცაბა-**ურ-**-ი, ღუღუშა-**ურ-**-ი, გაბუ-**ურ-**-ი, ბაჯალ-**ურ-**-ი, ბალახ-**ურ-**-ი, გაფრინდა-**ულ-**-ი, ცისკარა-**ულ-**-ი² და ბევრი სხვა.

ასეთი წარმოება ძველი ჩანს.

-ურ- სუფიქსი ადამიანის სახელებშიც გვხვდება: ნისლა-**ურ-**-ი, კიბა-ლა-**ურ-**-ი, იონე-**ურ-**-ი, ვეშაგ-**ურ-**-ი (იხ. ხევსურ. ტექსტები ბეს. გაბუურ-რისა, „წელიწდეული“, გვ. გვ. 232, 166, 213, 168, 181, 185, 203).

3. გარეკახურში დადასტურებულია ისეთი შემთხვევები: როდესაც ადამიანის სადაურობას **-ურ-** სუფიქსი აღნიშნავს, ე. ი. **-ელ-** სუფიქსის ადგილს იჭერს **-ურ-** სუფიქსი:

... დედაკაცი ყვანდა, თოხლიაურული იყო... ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგიშმინდული... ერთი გარეჯული ღვდელი იყო, ორიც — ნინოშმინდური... (იხ. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: „არილი“, 77).

¹ ... — სადაური ხარ?

— სადაველი? გაიბოტნდამ, აქნივ მთაჩია, თერგ-კიდურზედ (ილ. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“).

² იხ. „წელიწდეულში“, III, ბესარიონ გაბუურის ტექსტებს დართული ლექსიკონი (შედგენილი ა. შანიძის მიერ), — სათანადო ასოებზე.

მსგავსივე შემთხვევები დასტურდება შიგნი-კახეთშიც — ალაზანს გამომდინარეობის რაიონში, წინანდალში, გაღმა მხარეს — ს. ახალსოფელში...

ამავე რიგისად უნდა ვცნოთ: ქუთათური ვაჭარი, გურული გლეხი... უნდა გვქონოდეს: გურიელი... გვაქვს კიდევ, მაგრამ გურიის ძველ მფლობელთა წოდებულების სახით...

„გურული“-ის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, მეგრულის გავლენას ვერ დავივიწყებთ: მეგრულში ამჟამად ყველგან **-ურ-** სუფიქსია სადაურობის აღმნიშვნელი — სანაკური ვორექ „სენაკელი ვარ“; ზუგდიდური რე „ზუგდიდელი“... (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

კერძო ცნობებით ზემო რაჭაშიც გვხვდება **-ურ-** ბოლოსართი **-ელ-**ის ადგილას: დებური მოვიდა (ე. ი. ლებელი მოვიდა... ცნობა მოგვაწოდა ვუკ. ბერიძემ).

4. საწინააღმდეგო შემთხვევაა, როცა ნივთის სადაურობა **-ელ-** სუფიქსით არის გადმოცემული:

ბაღდადელი ღვინო... ონელი შალი...

ასეთი წარმოება ბაღდათისა და ჭიათურა-საჩხერის რაიონებშიცაა დადასტურებული (კერძო ცნობების თანახმად).

5. დასავლურ კილოებს რომ თავი დავანებოთ, სალიტერატურო ქართულიც უხვ მასალას იძლევა იმის საჩვენებლად, რომ **-ელ-** უთუოდ არ მიუთითებს ადამიანის სადაურობაზე და არც **-ურ-** სუფიქსი გადმოგვცემს აუცილებლად ნივთის სადაურობას.

გრძ-ელ-ი, სქ-ელ-ი (ძვ. ქართ. ზრქ-ელ-ი), თხ-ელ-ი, ჭრ-ელ-ი, ბნ-ელ-ი, ცხ-ელ-ი, პირვ-ელ-ი, ველ-ურ-ი, დლი-ურ-ი... და სხვა ამგვარი სიტყვები ჩვენ არ გვაგონდება, როცა **-ელ-** და **-ურ-** სუფიქსებს ვიხილავთ; და ეს იმიტომ, რომ არ გაქვს **ბნ-ელ-**ის გვერდით „**ბნ-ურ-**“-ი, **ცხ-ელ-**ის გვერდით „**ცხ-ურ-**“-ი...

პარალელური წარმოების უქონლობამ მოსწყვიტა ამ ტიპის წარმოება სადაურობის აღმნიშვნელ წარმოებას; ზედსართავსა და რიცხვითს სახელებში თითქოს არც გამოიყოფა **-ელ-** სუფიქსი.

მაგრამ უბრალო დაკვირვებაა საჭირო, რომ ამ წარმოების **-ელ-** სუფიქსის, **-ურ-** სუფიქსის და სადაურობის **-ელ-** || **-ურ-** სუფიქსების იგივეობა ცხადი გახდეს.

დეტერმინანტ სუფიქსთა შესახებ მსჯელობისას შემთხვევა გვქონდა გვეჩვენებინა, რომ **გრძ-ელ-**, **ძნ-ელ-**, **წით-ელ-**, **ძუ-ელ-**, **თხ-ელ-**, **ტყრბ-ელ-** (ახ. ქართ. ბრტყ-ელ-)... **-ელ-** საწარმოებელ სუფიქსს შეიცავენ (იხ. გვ. 36-40).

ესა და მსგავსი სახელები ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთანაც იქნება მსაზღვრელად და ნივთის აღმნიშვნელთანაც: პირველი მოწაფე — პირველი მისი... ველური ვირი — კანჯარი (საბა) — ველურთა ყოფა-ცხოვრება... ჭრელი ხალხი — ჭრელი პეპელა — ჭრელი ჩიითი...

§52. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი შემთხვევა, როცა ამგვარ სახელებში ერთი და იგივე ფუძე დაირთავს ორივე სუფიქსს — **-ელ-** || **-ურ-**ს და მოსალოდნელი სხვაობა მნიშვნელობათა კი სათანადო სიტყვებს არ აღმოაჩნდება:

ა) **წიფ-ელ-ი** — მეგრ. **წიფ-ურ-ი** (იმავე მნიშვნელობის სახელია). მეგრულში რომ **-ურ-** სუფიქსია გამოყენებული, ეს არც მეგრულის თვალსაზრისითაა მოულოდნელი და არც ქართულისათვის: ნივთის კატეგორიის სახელში — მცენარის სახელში — **-ურ-** ბუნებრივიაო, ვიტყვით. მაგრამ ქართ: **წიფ-ელ-**ში **-ელ-** შეუძლებელია გავამართლოთ, თუ მას ადამიანის სადაურობის სუფიქსად დავსახავთ.

ბ) **წით-ელ-ი** — **მ-წით-ურ-ი**:

... ძმის წული ჩემი მწყაზარ და მწითურ, გამორჩეულ ბევრეულთაგან (ქება ქებათაჲ, თავი V, მუხ. 10).

... გავხედე, ვნახე აკვანი,
ზვირთების ქედზე, კიდურა,
ხელგაფარჩხული შიგ ყრმა სჩანს,
ჩივილს პირი მოემწითურა... (ვაჟა-ფშაველა, ლექსი „ადამიანი“, I, 166-167);

წით-ელ-ი და **მ-წით-ურ-ი** სუფიქსების მიხედვით ისეთსავე მიმართებაშია, როგორც **ქალაქ-ელ-ი** და **ქალაქ-ურ-ი**... მაგრამ **-ურ-** სუფიქსი სწორედ ადამიანის კატეგორიის გადმოცემისას გვაქვს: ძმისწული მწითური... **წით-ელ-ი** კიდევ ფართოდაა ხმარებული ნივთის კატეგორიის სახელთა მსაზღვრელად: წითელი დროშა, წითელი მელანი, წითელი ღვინო...

შეიძლება თუ არა მწითურ- სახელზე დაყრდნობით დავასკვნათ: **-ელ-** კი არ ყოფილა ადამიანის კატეგორიის შესაფერი სუფიქსი, არამედ **-ურ-**ო? არა, არ შეიძლება.

მაშ, რის საშუალებით იქცა **მ-წით-ურ-ი** ადამიანის აღმნიშვნელ წარმოებად? **მ-პრეფიქსის მეოხებით**: არც **-ულ-** და არც **-ურ-** არაა **სპეციფიკური სუფიქსი ადამიანთა კატეგორიისათვის, სპეციფიკურია პრეფიქსი: მ-პრეფიქსი.**

ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, სადაც არც **-ელ-** (და არც **-ურ-**) სუფიქსი არ მოგვეპოვება, ადამიანის სადაურობა კი აღნიშნულია. რით? **მ-** პრეფიქსით.

ეს მაგალითებია: **მსოფლიო-**, **მდაბიო-**...

რუის-ურბნისის ძეგლის წერაში (1103 წლ.) „**მსოფლიო**“ უკვე ნახმარია ახლანდელი მნიშვნელობით:

... ამან საუკუნოდ ვსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირ-

ველი და მსოფლიო... კრებად ნიკეას... ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოდა კრებისა სხუანნიცა იქმნეს ადგილობითნი კრებანი... ქრონ. II, 59.

მსოფლიოს აქ უპირისპირდება ადგილობითი; ასეთი მნიშვნელობითაა ეს სიტყვა რამდენიმეჯერ ნახმარი ამ ძეგლში.

მაგრამ ეს არაა ამ სიტყვის ერთად ერთი მნიშვნელობა ძვ. ქართულში; ცნობილ „სვანურ მანუსკრიპტში“ ვხვდებით ასეთ ადგილს:

... მსოფლიოსა საოცარსა მოელოდეს და არა სულიერებრსა კეთილის ყოფასა... სვან., 378-79.

აქ მსოფლიო უფრო „საერისკაცოს“ ნიშნავს: მას უპირისპირდება სულიერებრი...

მაგრამ ამოსავალი მნიშვნელობა ამ სიტყვისა ძვ. ქართულისათვის შემდეგს გამოთქმაში მქლავნდება:

... სცნათ თუ ვრ გამოზარდნის უცხო მან მკვდრნი ქნისანი და მსოფლიომან მოქალაქენი და უშუებელმან შუებულნი და ბრწყინვალენი სიმდიდრითა გლახაკმან და უპოარმან... სვან., 60.

ამ ამონაწერში ოთხი დაპირისპირებული წყვილი გვაქვს: უცხო და მკვდრი, უშუებელი და შუებული, სიმდიდრით ბრწყინვალე და გლახაკი, უპოარი, **მსოფლიო** და **მოქალაქე**.

ამრიგად, **მსოფლიო** „სოფელს“ ნიშნავს, **მოქალაქე** — „ქალაქის მცხოვრებს“, „ქალაქელს“, **ორივეს პრეფიქსული წარმოება ახასიათებს (მ-სოფლ-ი-ო, მო-ქალაქ-ე)**, არც ერთს არ გააჩნია -ელ-სუფიქსი.

პირველ სიტყვას საწარმოებელ სუფიქსადა აქვს -ი-ო (← ივ-ო), მეორეს — -ე. მთლიანად **მო-ქალაქ-ე** ისეთივე აგებულებისაა, როგორც **მონადირ-ე, მო-კავშირ-ე, მო-სახლ-ე...**

მსოფლიო-ს მსგავსადაა ნაწარმოები მდაბიო-ც: **მ-დაბ-ი-ო** (← მ-დაბ-ივ-ო).

... გახარებ თქნ სიხარულსა და მდაბიონნიცა მოიყუანნეთ ზიარად... სვან., 37.

მდაბიო აქ „დაბის მცხოვრებს“ ნიშნავს. ამგვარი მნიშვნელობა უფრო მკვეთრად ჩანს ამავე სიტყვის თავისებურს ვარიანტში: **მ-დაბ-ორ-**

|| მ-დაბ-ურ-:

... ესე ყლი მიჰმადლა მდაბორთა... უდაბნ., 20r.

... ად მათცა ამისთვს უხარინ ყლნივე მდაბურნი და მეგობარნი და რლთა მიმართ აქუნდა ჩუეულება ესრცთ ხედვედ და ხადიედ ლთის მოყუარედ... უდაბნ., 21r.

მ-დაბ-ორ-ი, **მ-დაბ-ურ-ი** უდრის **მ-დაბ-ი-ო-ს**: „დაბის მცხოვრებია“. **მ-დაბ-ი-ო-ს -ი-ო-** სუფიქსების მაგივრობას აქ ეწევა **-ორ-** || **-ურ¹**-. ასეთი თავისუფალი შესაძლებლობა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ **ადამიანის სადაურობის აღნიშვნა პრეფიქსს** ეკისრება (და არა სუფიქსს); ეს პრეფიქსი კი ყველგან **მ-** არის, ჩვეულებრივ უხმოვნო, ზოგჯერ — ხმოვან-დართული (**მო-ქალაქ-ე**)...

განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: ის განსხვავება, რომელიც **-ელ-** და **-ურ-** სუფიქსთა ხმარებაში გვაქვს სადაურობის აღნიშვნისას, პირველადი არ არის; **-ელ-** სუფიქსი არ იყო ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი ისევე, როგორც არაა ზედსართავ სახელებში (**წით-ელ-ი**, **ძნ-ელ-ი**, **გრძ-ელ-ი...**) და არც **-ურ-** სუფიქსი ყოფილა თავდაპირველად განკუთვნილი ნივთის კატეგორიის სახელთა სადაურობის აღსანიშნავად (ისევე, როგორც არაა სიტყვებში: **სადა-ურ-ი**, **აქა-ურ-ი**, **იქა-ურ-ი**, **შინა-ურ-ი...**).

-ელ- და **-ურ-** სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული გრამატიკული კლას-კატეგორიის აღსანიშნავად **მეორეული** მოვლენაა, საწარმოებელ ფუნქციათა დიფერენციაცია შემდეგი დროის ფაქტია.

მეორე მხრივ, სრულიად უდავოა ისიც, რომ ენაში იგრძნობოდა ამ კატეგორიათა გარჩევის საჭიროება, ქართული სამეტყველო ფსიქოლოგია განასხვავებდა ადამიანის კატეგორიის ნივთის კატეგორიისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა **-ელ-** და **-ურ-** სუფიქსთა გამოყენება გარჩევით, პირველისათვის ადამიანის სადაურობის აღნიშვნის დაკისრება, მეორისათვის — ნივთის სადაურობისა...

სანამ ამ **სუფიქსებს** დაეკისრებოდა ამ კატეგორიათა აღნიშვნა, **პრეფიქსები** გამოიყენებოდა ამავე მიზნით. ადამიანის კატეგორიისათვის **მ-** პრეფიქსი იყო განკუთვნილი (ნივთის კატეგორიას კიდევ ძირითადად **ს-** პრეფიქსი² შეეფერებოდა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ).

§53. თუ ეს ვარაუდი სწორია, **მ-** პრეფიქსიანი წარმოების სხვა მაგალითებსაც უნდა მოველოდეთ — **მ-წით-ურ-ის**, **მ-სოფლ-ი-ო-სა** და **მ-დაბ-ი-ო-ს** გარდა.

¹ შეიძლება **-ალ-** სუფიქსიც იყოს მონაცვლე: **მ-დაბ-ალ-** და **მ-დაბ-ურ-** || **მ-დაბ-ორ-** ერთი და იმავე წარმოებისა ჩანს. **მ-დაბ-ალ-** იხ. გვ. 26.

² სხვა ვარიანტები: **დ-**, **ნ...** იხ. ქვემოთ.

ეს მაგალითებია:

მ-ეგვპტ-ელ-:		ეგვპტე
მ-ეგრ-ელ-:		ეგრ-ის-ი
მ-როგ-ელ-:		რუ-ის-ი
მ-აწყუერ-ელ-:		აწყურ-ი (← აწყუერ-ი)
მ-აჩბ-ელ-:		აჩბ-ეთ-ი
მ-აჭარ-ელ-:		აჭარა
მ-არგუ-ელ-:		არგუ-ეთ-ი
მ-ტბ-ევ-არ-:		ტბ-ეთ-ი
მ-სახ-ურ-:		სახ-ლ-ი
მ-თავ-არ-:		თავ-ი
მ-დიდ-არ-:		დიდ-ი
მ-ძუძ-ე-:		(დედა-მძუძ-ე-... მამა მძუძე-...)
მ-რუშ-ე-:		
მ-დღევ-არ-:		
მ-ასბინძ-ელ-:		
მ-ხოლო-ო-	შდრ. ხოლო...	მეგრ. ხვალე „მარტო“
მ-რემ-ლ-		(← მ-რემ-ლ-ი, შდრ. რემა).
მ-შუალ-ე-	შდრ. სა-შუალ-ი	
მე-ზუერ-ე-	შდრ. სა-ზუერ-ე-...	
მ-რწყ-ულ-	შდრ. სა-რწყ-ულ-ი...	
მ-არჩობ-ლ- მ-არჩი-ი-...		
მ-ფ-ალ- მე-ფ-ე-... მე-უფ-ე-...		შდრ. ს-უფ-ევ-ა-
მ-ო-ხარკ-		
მ-წიგნობ-არ-		
მე-სათხევ-ელ- მე-სათხეველ-ე-...		

მ-პრეფიქსიანი კატეგორიის, — ადამიანის კატეგორიის, — საპირის-პიროა **ს-**, **დ-**, **წ-** პრეფიქსიანი წარმოება (უხმოვნოცა და ხმოვნიანიც, ეს უკანასკნელი მეტწილად), — ნივთის კატეგორიის — წარმოება.

ამის ნიმუში იქნებოდა:

- ს-ძე-**
- სე-შა- → შე-შა-**
- სე-ცხ-ლ-ი → ცე-ცხ-ლ-**
- სა-ცხ-უ- → ცა-ცხ-უ**
- სი-სხ-ლ-**
- და-თ-უ-**

***დი-ნჭვ-ელ-** → **ჯი-ნჭვ-ელ-**
 ***დუ-თ-ე** → **თუ-თ-ე** → **თ-თუ-ე** → **თუ-ე...**
 ***დ-კუ-არ-** → **ტ-კუ-არ-** → **მ-ტ-კუ-არ-...**
ნე-დლ- **ნე-სტ-უ... ნი-კაპ-...**

ზოგი სხვა მაგალითი იხ. ქვემოთ (იქვე იქნება ნაჩვენები ნივთის კატეგორიის სხვა პრეფიქსებიც).

მ-ეგვპტ-ელ-:

...ზოროტ იყვნეს მეგვპტელნი იგი და სიცბილითა მით უვარჰყოფდეს ღა... სვან., 50.

... რ ბრმა იყვნეს მეგვპტელნი იგი და ბნელსა შინა ვიდოდეს... სვან., 96.

... აღვდეს ზღუასა მას მეწამულსა ვა ვმელსა ქყნსა რლსა იგი აზმნეს მეგვპტელთა და დაინთქნეს... სამოციქ., 167v.

... მოსე მტანჯველი ეგუიბტისაჲ... ტანჯა ნათესავი იგი მწვალებელი და მეგუიბტელი... ბასილ., 38r.

მეგვპტელი ძვ. ქართულში ერთად ერთი ფორმა არაა: იხმარება უპრეფიქსო ვარიანტიც — ეგვპტელი (თუნდაც იმავე სვანურ მანუსკრიპტშიც).

მე-გრ-ელ-...

ასე იწოდება ეგრის-ის მკვიდრი: **ეგრ-ის-:** **მ-ეგრ-ელ-...** აქედან გეოგრაფიული ტერმინი **სა-მეგრელ-ო-**.

... ხ ერაკლე მეფემან ისწრაფა... წარემართა სიმრავლითა ურიცხვსა ნაგებისაჲთა და ჰყვა მის თანა ცოლი თვისი და მიიწია რა ტრაპეზუნტად სანახებთა მათ სამეგრელოჲსათა უშვა ძმ რლსა უწოდა ერაკლე... (ვსნა, 38).

მეგრელ-ში **მ-** პრეფიქსი ფუძეს შეეხორცა, ამჟამად იგი არც განიზრება თავსართად. ეგევე ითქმის მისი ზანური შესატყვისის შესახებაც მარგალ- ← მ-აგრ-ალ- (**რ-**ს გადასმით, რაც ჩვეულებრივია მეგრულისათვის).

მარგალ-ი, ამრიგად, **მეგრელ-**ის კანონზომიერი შესატყვისია; ეს გავფიქრებინებს, რომ მეგრელ-ი წინ უსწრებს ქართულისა და ზანურის დიფერენციაციას.

მ-რო-ვ-ელ- || მ-რუ-ელ-:

... მერე იმავე რიგით დასხდებიან უნატოდ... წილკნელი, კაწარელი,

ურბნელი, მრუელი... ქრონ. I, 46.

ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი, რუ-ის-ი — უნდა ყოფილიყო რუ-ელ-ი; გვაქვს კიდევ, ოღონდ **მ-** პრეფიქსის დართვით: **მ-რუ-ელ-ი**. მ-როველ-ი შემდგომი ვარიანტია: მასში **ვ** განვითარებულია და **უ-ს ო** ენაცვლება; ეს ახალი ვარიანტი — მროველი — გვხვდება ჩვეულებრივად (იხ., მაგალ., ლეონტი მროველი: არჩილის ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თვნიერ... ეპისკოპოზისა ლეონტი მროველისა... მოგვყავს კეკელიძის მიხედვით: ქართ. ლიტ. ისტ. I, 239).

მ-აწყურ-ელ-ი:

... რაჟამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყურელსა ეტჯროთს... ქრონ. I, 45.

... შემოვიდეს მაწყურელი და დაჯდეს მთავარ-ეპისკოპოზსა ქუშმოთ ნატითა უბალიშოდ... იქვე, 46.

... მამად ილარიონ პარხელი და ...მღვდელთ-მოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყურელი ეპისკოპოსი და... ხანძთ., **ნბ**₁₂ ქვ.

... შვილნი დიდებულთა აზნაურთანი. ტომნი დიდისა ეფრემ მაწყურელ ეპისკოპოსისნი... ხანძთ., **მბ**₁₈ ქვ.

მაწყურელ-ი, ცხადია, **აწყურ-**იდან არის ნაწარმოები¹ და აწყურელს ნიშნავს (აქ: აწყურის კათედრის მპყრობელს).

მოსალოდნელი იყო **მაწყურ-ელ-ი**. გვაქვს **მაწყურ-ელ-ი**. საფიქრებელია, რომ **-უე-** უწინარესია, მისგანაა მიღებული **უ:** აწყურ- → აწყურ-.

მ-აჩაბ-ელ-ი...

ცნობილი გვარია აღმოსავლეთ საქართველოში; წარმოებულია აჩაბეთ-იდან: მ-აჩაბ-ელ-ი = აჩაბეთის მკვიდრი (ისტორიულად გვარი უკავშირდება აფხაზურ გვარს აჩაბა); იხ. ს. ჯანაშია. გენეალ. 141.

მ-არგუ-ელ-ი = არგეთის მკვიდრი; დაცულია ფართოდ გავრცელებულ გვარში — მარგველაშვილი.

მ-აჭარ-ელ-ი უნდა მიუთითებდეს წარმოშობით აჭარის მკვიდრზე: „აჭარა“ აქ სოფლის სახელადაა ნავარაუდები (ასეთი სახელი სოფლისა დასავლეთ-საქართველოში გვხვდება...).

სიმ. ჯანაშიას ვარაუდით **მ-** პრეფიქსი უნდა გვქონდეს გვარში **მეტრეველ-ი: მ-ეტრ-ევ-ელ-ი**. ნაწარმოები უნდა იყოსო სოფლის სახელიდან **იტრია**. ეს ვარაუდი სარწმუნო ჩანს, ერთგვარ ფონეტიკურ დაბრკო-

¹ იხ. ...დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს... ხანძთ. 337.

ლებათა მიუხედავად; სახელდობრ, ასახსნელია განსხვავება ხმოვნებში და **ვ**- თანხმოვნის ჩართვა (მეტრეველი). საფიქრებელია, რომ იტრია ← იტრივა ← ეტრივა ← ეტრ-ევ-ა...

მ-ტბ-ევ-არ-ი...

... მერე იმავე რიგით დასხდებიან უნატოდ... იშხნელი, ანჩელი არქიმანდრიტი, მტბეგარი... ქრონ., I, 46.

... და სტეფანე მტბეგარი ეპისკოპოსი პირველი... ხანძთ., 68¹¹.

... იოვანწ: მტბეგარ ეპისკოპოსისა: თქმულნი... სასულ., 50⁷.

... დასდებულნი... იოვანწ: მტბეგარ: ეპისკოპოსისა მოკაზმულში... სასულ., 50³ ზევ. იხ. აგრეთვე 03⁹ ზევ.; რბ¹³ ქვ., რა⁹ ქვ., რლ³⁷ ზევ.

შდრ. იქვე 2⁷ ქვ.: თქმულნი... იოვანე: ტბეგარ: ეპისკოპოსისანი (მ-გამომცემელს კვადრატულ ფრჩხილებში აქვს ჩასმული).

მტბეგარი ტბეთის ეპისკოპოსის წოდებულება; გარკვევას მოითხოვს **-ევ**- სუფიქსიც, რომელიც ნაწარმოებ ფუძეში ჩნდება, და **-არ**- სუფიქსიც.

უკანასკნელს ა. შანიძე მიიჩნევს ქართ. **-ელ**- სუფიქსის ეკვივალენტად და მეგრულიდან მომდინარედ (შდრ. ჭყონდ-**არ**-ი — ჭყონდიდ-**ელ**-ი... ზუგიდ-**არ**-ეფი — ზუგდიდ-**ელ**-ები, სანაკ-**არ**-ეფი — სენაკ-**ელ**-ები...) იხ. Два чано-мингр. суфф. Зап. Вост. Отд. Рус. Арх. Общ., т. XXIII, გვ. 366. **-ევ**-სუფიქსი კი მიაჩნია ტბ-ეთ-ში უფრო ძველად, ვინემ, **-ეთ**-; ამ **-ევ**-სუფიქსს ავტორი ნ. მარზე მითითებით უკავშირებს ბერძნულსა და ძვ. სომხურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში დაცულ **ευ** და **ιυ** სუფიქსებს: **დანს, რაჟილ** („ჭანები“, „ლაზები“).

ეს ასეც უნდა იყოს; **-არ**- სუფიქსის შესახებ კი ამჟამად ვიცით, რომ იგი ჭანურის არქაბულ კილოკავშიცაა¹ დაცული და, მაშასადამე, ჭანურისა და მეგრულის საერთო კუთვნილება ჩანს.

ხსენებულ შრომაში ა. შანიძე ყურადღებას აქცევს **მ**- პრეფიქსსაც. მტბეგარ-ის წარმოებასთან დაკავშირებით ის წერს: „ცალკე განხილვას საჭიროებს უკანასკნელ სიტყვაში **მ**- პრეფიქსისა და **-ევ**- სუფიქსის გამოვლენა. პირველი მათგანის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის ან შეთვრისებულთა ქართულის მიერ პირდაპირ ჭანურ-მეგრული-

¹ ამის ნიმუშებია: ორ-ჭარ-ი — ორჭ-ელ-ი, კორდელით-არ-ი — კორდელით-ელ-ი... ნოლ-არ-ი — ქალაქელი („ბაზრელი“) სახელიდან „ნოლა“... იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, II, 50.

ეს წარმოება სრული ანალოგონია **ობიზ-არ**-ისა. საინტერესოა, რომ იმავე არქაბულში **-ურ**- სუფიქსიც იხმარება სადაურობის აღსანიშნავად.

დან, ანდა შემდეგაა განვითარებული ქართულ ნიადაგ-ზე. თუ პირველი ვარაუდი სწორია და დასახელებული პრეფიქსი ჭანტორ-მეგრული წარმოშობისაა, შეიძლება მივუთითოთ ერთ მაგალითზე, როცა ეს პრეფიქსი ჩნდება ანალოგიურ შემთხვევაში: ესაა მეგრ. მ-არგ-ალ-ი. ხოლო თუ ეს პრეფიქსი შემდეგაა განვითარებული თვით ქართულის მიერ, სიტყვის სესხების შემდეგ, შეიძლებოდა ქართულში გაცილებით მეტი პარალელები გვეჩვენებინა: მ-როვ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი, მ-არგუეთ-ელ-ი (ან მ-არგუ-ელ-ი), მ-ეგრ-ელ-ი, მ-ეგვტ-ელ-ი და სხვ. (იხ. იქვე, გვ. 368. — ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

მ- პრეფიქსის ფუნქციის საკითხს ავტორი არ ეხება.

აქამდის დასახელებულ მაგალითებში **მ**- პრეფიქსი ისეთ ნაწარმოებ სახელებში გვქონდა, რომელნიც სადატურობას აღნიშნავდენ; ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ არც ძველ ქართულში და, მით უფრო, არც ახალ ქართულში **მ**- პრეფიქსი არ იხმარება, სადატურობის აღმნიშვნელად მარტოდენ სუფიქსია გამოყენებული: ხანძთა — ხანძთ-ელ-ი, ბოლნ-ის-ი — ბოლნ-ელ-ი, მანგლ-ის-ი — მანგლ-ელ-ი, ოპიზა — ოპიზ-არ-ი...

ასეთ პირობებში **მ**-პრეფიქსიანი წარმოება (მ-ეგვტ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი, მ-როვ-ელ-ი...) ძალაუვნებურად იქცევა ყურადღებას.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ **მ**-პრეფიქსიანი წარმოების ნიმუშები ამით ამოიწურება.

მ-წით-ურ-, **მ**-დაბ-ურ- (|| **მ**-დაბ-ი-ო), **მ**-სოფლ-ი-ო-ს შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

§54. ამგვარივე **მ**- პრეფიქსი უნდა გვქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილ სახელებშიც.

მ-სახ-ურ-ი:

... აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ... შუ-შან., 15ვ.

... იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა... იქვე, 21₁.

... ზრახვა ყო, რადთა აუწყოს და წინ მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... იქვე, 5₂.

მსახურ-ი ნაწარმოებია სახ-ლ-ისაგან: **მ-სახ-ურ-ი**. -ურ- სუფიქსი აქ სადატურობის მაჩვენებელი ჩანს: — „მსახური“ „სახლის“ კაცია, **მ**- თავსართი კი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადამიანია (შდრ. ზემ. **მ-წით-ურ-ი** — **წით-ელ-ი**).

მ-თავ-არ-ი:

... თქნ მთავარი ხართ და ველმწიფენი და არა უარვყოფ... ბასილ., 15v.

... მოსვლად მწყემსმთავრისა ცხოვართათჳს პირმეტყუელთა... სვან., 209.

... ჩმდა ჯერ არს გამოპყრობად ჳარი იგი მთავარი უკუანასაბამი მშრომელი და ურნატ სავსედ განმმართველი იგი... სვან., 140.

მთავარი იხმარება სუბსტანტივადაც (იხ. ზემოთ); პირვანდელი მისი ფუნქცია სუბსტანტივში ჩანს მოცემული: ესაა ნაწარმოები სახელი და თავ-ადამიანზე მიუთითებს: მ-თავ-არ-ი. შინაარსობლივ ესაა იმავე რიგის სახელი, როგორცაა: **მე-თა-ურ-ი** (← მე-თავ-ურ-ი), **მო-თავ-ე**, **მო-თა-ურ-ი** (← მო-თავ-ურ-ი)...

ატრიბუტიული მნიშვნელობით **მთავარ-ის** გამოყენება (მთავარი ჳარი...) მეორეულია (შდრ. დედა- — დედა-კაცი, დედული — დაბად დედული...).

მ-დიდ-არ-ი:

... კაცი ვინმე იყო. მდიდარი. ამას ედგა არვე და მროწეული ფდ... სვან., 122.

... და მდიდარსა მას ფდი სილაღე აქუნ... სვან., 123.

... მოუჭდა სტუმარი იგი მდიდარსა მას... სვან., 123.

... მცირცლ მისცჳს ოწ მდიდრად მიაგოს მას მოწყალეადა... სვან., 463.

... დაეცნეს იგინი ვა თქა კნინნი მდიდართა თანა... უდაბნ., 160r.

მდიდარ-იც ისევე, როგორც მთავარ-ი, იხმარება სუბსტანტივადაც და ატრიბუტივადაც; შდრ. კაცი ვინმე მდიდარი... მოუჭდა სტუმარი იგი მდიდარსა მას...

მთავარ-ისაგან განსხვავებით მდიდარ-ი ატრიბუტივისაგანაა ნაწარმოები: **დიდ-ი** — **მ-დიდ-არ-ი**...

დიდ- სახელთან კავშირი განსაკუთრებით ნათლად ჩანს უკანასკნელი ორი მაგალითიდან: აქ დაპირისპირებულია **მცირე** და **მდიდარი**, **კნინი** და **მდიდარი**...

მ-ძუძ-ე-:

... შვის დედამან და არა ქმნის დედა-მძუძე... სვან., 123..

... და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლოებისა მისისათჳს ვითარცა მამასა და მამა-მძუძესა... შუშან., 43₁ ქვ.

დედა-მძუძე „მზრდელ ქალსა“ ნიშნავს, მამა-მძუძე — „მზრდელ კაცსა“ (იხ. საბა). ამგვარად, მძუძე — მზრდელი“, „გამზრდელი“, ნაწარმოებია სახელისაგან **ძუძუ** — **მ-ძუძ-ე**; ამ წარმოებიდან ჩანს, რომ ბოლოკიდური **-უ** სახელში ძუძუ ძირეული არაა; საფიქრებელია, რომ არც **ძუ** (პირველი მარცვალი!) არის ძირეული (იხ. ქვემ. **სძე**-სახელთან).

მ-რუშ-ე... მე-**მ-რუშ-ე**... მო-**მ-რუშ-ე**..

... არა იყოს იგი მრუშე შეთუყოს ქმარსა სხუასა... სამოციქ., 38v.

... არცა მეძავთა არცა კერპთმსახურთა არცა მემრუშეთა... არცა მომტრვალეთა არცა მაგინებელთა არცა მტაცებელთა სასუფეველი ღ'ჲ არა დაიმკვდრონ... სამოციქ., 63x.

... არა ვარ ვ'რ სხუანი კაცი მტაცებელ... მემრუშე... ჰადიმ., 142b₂.

... ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს... ჰადიმ., 34b₂.

... ნათესავი უკეთური და მომრუშე სასწაულსა ეძიებს... ჰადიმ., 26a₂.

... სიტყუანი ჩემნი ნათესავსა ამას უ'ს მომრუშესა და ცოდვილსა... სარცხვნელ უჩნდეს იგი... ჰადიმ., 82b₁.

... გულისაგან გამოვლენ... კაცის კლვანი მრუშებანი სიძვანი... ჰადიმ., 33a₂.

... იყოს თუ ვინმე მემომრუშე... სვან., 125.

„სიძვა არს უმეუღლის მიერ ქმნილი, ხოლო მრუშება მეუღლისა მიერ ქმნილი ბოზობა“ (საბა).

იმავე საბას განმარტებით „მემრუშე“ მრუშების ჩამდენი ქრიანი ქალია, ხოლო მრუში — მრუშების ჩამდენი „ცოლოსანი ვაჟია“ (იხ. მემრუშე).

საბასთან არა ჩანს ვარიანტები მომრუშე და მრუშე (იხ. აქვე ზემოთ მაგალითებში).

საბას დიფერენციაცია მემრუშე და მრუშისა ხელოვნურია: მემრუშე და მომრუშე პარალელური ფორმებია (მემომრუშე — ამათი კონტამინაცია); მემრუშე — ქალს, მრუშების ჩამდენს, არ ნიშნავს: ერთ-ერთ მაგალითში, რომელიც ჰადიმის ოთხთავიდანაა ამოღებული, მემრუშე კაცის მიმართაა ნახმარი: ... არა ვარ ვ'რ სხუანი კაცი მტაცებელ... მემრუშე...: ამას ფარისეველი ლაპარაკობს (მამაკაცი და არა ქალი).

მომრუმე იმრუმა-ზმნის მიმდებარე ფორმა ჩანს (მდრ. მო-წამ-ე... მო-თნ-ე... მო-ძულ-ე... მო-რწმუნ-ე...). მე-მრუმე-ე უფრო სახელისაგან ნაწარმოებ სახელსა ჰგავს: სახელისაგან ნაწარმოები სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები სახელის გამიჯვნა, როგორც აღნიშნული გვაქვს, ყოველთვის არ ხერხდება.

ყველა ხსენებული ვარიანტისათვის ამოსავალია **მ-რუმე**, **მ-რუმე**-ი; იგი **რუმე**-ისაგანაა ნაწარმოები. ეს **რუმე**- ქალის (|| ქალიშვილის) მნიშვნელობის მქონე სიტყვაა და ქართულში, საფიქრებელია, რომ ნასესხები იყოს. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული შემდგომი დიფერენციაცია სიძვისა და მრუმეებისა.

რუმე- ფუძის ვარიანტები დალისტნის ენებშია დღემდის დაცული:

კიურულ ენაში **რუმე** „ქალიშვილს“ ნიშნავს: ზაზ ფაუდ რუმ აჟა — მე სამი ქალიშვილი მყავს (У с л а р . К ю р и н с к и й я з . , გვ . 543).

დარგულ ენაში **რურსი** გვაქვს აგრეთვე ქალიშვილის მნიშვნელობით (У с л а р . К ю р и н с к и й я з . , გვ . 424).

ხუნძურში „ქალის“ აღმნიშვნელ სიტყვას ჭაუყუ მრავლობითში ენაცვლება **რურა-ბი**, სადაც **-ბი** მრავლობითობის სუფიქსია: **რურა- რუმ** || **რურსი**-ს უკავშირდება.

წახურულში „ქალიშვილი“ იქნება **იჩი** (Д и р р . Ц а х . я з . , გვ . 168): თანხმობით იგი ხუნძურს მიყვება.

თაბასარანულში **რიშ** „ქალიშვილს“, „ქალს“ ნიშნავს (Д и р р . Г р а м - м а т . о ч е р к т а б а с с а р . я з . , გვ . 203).

რუტულურში **რგშ** — „ქალიშვილი“, „გოგონა“ (Д и р р . Р у т у л ь с к и й я з . , გვ . 168).

რუმე(ა)- მთლიანად ძირეული მასალისაგან არ უნდა შედგებოდეს: **რუმე**- პრეფიქსი უნდა იყოს: ასეა ეს, ყოველ შემთხვევაში, დალისტნის ზემოხსენებული ენებისათვის (ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის საკითხი ძირეულ **-შ(ა)**-ს ურთიერთობის შესახებ „ასულის“ აღმნიშვნელ **-ას-ა**-სთან რიგ სხვა დალესტურ ენებში. მაგრამ ეს აქ ვერ იქნება განხილვის საგანი).

ქართულში **რუმე**- შეთვისებული უნდა იყოს; **მ**- პრეფიქსი ქართული დანართია და ჩვენთვის საინტერესო თავსართი ჩანს; ამაში დაეჭვება შეეძლო გამოეწვია ერთს გარემოებას: ხომ არ არის **მ**- ფონეტიკური დანართი? არა გგონია: **რ**-ს წინ **მ**-ს განვითარების მაგალითები ქართულმა არ იცის.

-რუმე- ფუძეს ნ. მარი აკავშირებდა ერთ თავის შრომაში ეტრუსკე-

ბის ტომობრივ სახელთან: ესააო **-ო**-იანი სახესხვაობა ეტრუსკთა ტომობრივი სახელწოდებისა (რას-): იაფეტურ ენებში ტომის სახელწოდება, გამოყენებული რომ იყო „ღვთაების“ ტოტემის აღსანიშნავად, იხმარებოდა „თავისუფალი ყოფაქცევის არსების“ აღსანიშნავადაცო — „თავდაპირველად გარკვეული საზოგადოებრივი ტიპის აღსანიშნავად წინარეისტორიული კაცობრიობის საკულტო გაგებაში“ (იხ. *Термины из абхазо-рус. этнич. связей. "Лошадь" и "тризна" (1924)* — იხ. *Избр. раб.*, V, გვ. 133).

მეორეგან ნ. მარი ქართ. მ-რუმ- და „რუმ“ — „ქალიშვილის“ — დაკავშირებისათვის იმოწმებს თავის შრომას „*Нарицательное значение термина в ðега "митанских" женских именах*“ (შრომა 1920 წ. გამოსული) და დასძენს: ეს „გადასინჯვას საჭიროებსო არა მხოლოდ იმ ე. წ. კულტურულ-ისტორიული გაგების მხრივ, რომ ტერმინის წარმოშობისას ფიქრიც არ შეიძლებოდა რაიმე გარყვნილებაზე, — ამის შესახებ წარმოდგენაც არ არსებობდაო და იგონებს ვესტა-ღვთაების მსახურ ქალებს... და იქვე შენიშნავს: ძვ. ქართ. -რუმ- კავშირშია **რუს**-თან, რომელიც როს-პ-იკ || → როს-კ-იპ-ში გვაქვსო; ეს უკანასკნელი სპარსულიდან ნასესხებად ითვლება, მაგრამ თვით სპარსულში აუხსნელიაო (იხ. „*Яфетические зори на украин. хуторе*“ (1930 წ.) — *Избр. раб.* V, გვ. 235, შენიშვნა).

თუ ხსნებული სპარსული სიტყვის ნაწილი („ფუძე“) **როს-რუმ**-თანა კავშირში, უნდა აიხსნას, დარჩენილი **პ-იკ**- რალა არის; მანამდის **როს**-ის გამოყოფა მექანიკური იქნება.

მერე: ვესტას მსახური ქალებისათვის სრულებით უცხო უნდა ყოფილიყო თავისუფალი ქცევა, რასაც მ-რუმ- ფუძე აღნიშნავს (მიწაში ცოცხლად დამარხვა მოელოდა ვესტას მსახურ ქალს, თუ ქალწულად არ დარჩებოდა; 30 წლის შემდეგლა შეეძლო გათხოვება).

მ-რჩობ-ლ-... მ-არჩბ-ივ-...

... რ^ლლამე მ რ ჩ ბ ლ თ ა სამოსელთა მისცემთ... უდაბნ., 74r.

... ნუ შეიმოსთ მ რ ჩ ბ ლ ს ა კუართსა... ჰადიშ., 74b₁.

... ერთი იგი ძმაე ერთსა მას უჭმობდა მ რ ჩ ბ ლ ი თ ა ტირილითა... წარტყუნ., მღ₃.

... და მიუთხრობელი მწუხარებაე აქუნდა გულთა მათთა და მრჩობლი. ტკივილი... წარტყუნ., მღ₂₇.

... რა[ე]თა გამრავლდენ სატანჯველნი მ რ ჩ ბ ლ ი თ ა პატიყითა... წარტყუნ., ძბ₁₆.

... ხოლო მ რ ჩ ბ ლ ა დ საზრდელად მისა იყო ყოველთა ღღეთა მისთა პური ნაკლულევანებით... ხანძთ., ძბ₁ ქვ.

მ რ ჩ ბ ლ -ის შემცველი ზოგი სხვა გამოთქმა იხ. პირველ ნაწილში გვ. 56.

... ხ^წ თომა ერთი იგი რ^წლსა ერ^წქა **მარჩბივ რ^წ არს ერთი ორ-თაგ^წნი რ^წ ტყ^წბთაგანი იყო იგი ამისთჳსცა ეწოდა მას მარჩბივ...** ბოლ-ნელი, 80₃ ქვ.

...იყვნეს ორნი ვინმე ყრმანი ჳორციელად ძმანი და მარჩბივად შობილნი ერთსა შინა ჟამსა... წარტყუნენ., მბ₂.

... ხ^წ თომა ერთი ათორმეტთა მათგანი რ^წლსა ერქუა მარჩბივ არა მათ თანა იყო... ჰადიშ., 178_{b2}.

... ყ^წივე მარჩბიოსანი მრჩობლისა მისთჳს მადლისა ვიტყჳ... სგან., 386.

მრჩობლი — „ორმაგი“, მარჩბივი — „ერთი ორთაგანი“ ადამიანი (იხ. აქვე მაგალითებში), „ტყუბი“...

პირველში **-ლ-** სუფიქსი გვაქვს (-ლ-← -ალ-), მეორეში — **-ივ-**... სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უფრო ძველია მეორე, **-ივ-** სუფიქსიანი წარმოება (იხ. პირველი ნაწილი, გვ. 86).

საბას ჩვენებით **„მარჩბივი — ტყუბი ცხოველი“** (იხ. „მარჩბივი“). **ტყუბ-**ის განმარტებისას კი საბა წერს: „უკეთუ იყუნენ ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდების მარჩბივი; ხოლო პირუტყუთა ორთა ანუ ხულთა და მისთანათა ორთა ერთსა ბუდესა შინა ეწოდების ტყუბი, ხოლო ხილთა და ხმილთა ორთა შეერთებულთა ეწოდების ტყუჭი“ (იხ. **ტყუბი**).

იქვე **B** ვარიანტიდან ამოღებულ განმარტებაში ნათქვამია: მარჩბივი „კაცს, ცხენს და მისთანა“-ს ორს ნიშნავსო, ხილი ანუ ნაყოფი შეერთებული — ტყუჭი-ა, „ხოლო ორნი ერთსა ბუდესა შინა ტყუბად ითქმიანო“.

აქედან ჩანს, რომ მარჩბივის განმარტებას ერთგვარი რყევა ეტყობა: პირველ შემთხვევაში ეს ტყუბს ადამიანს აღნიშნავს, მეორეში — ტყუბ ადამიანზედაც მიუთითებს და ცხოველზედაც.

ამჟამად, სალიტერატურო ქართულმა მარჩბივისა და ტყუბის ასეთი გარჩევა არ იცის; საბასთვის მარჩბივის მნიშვნელობა, არა ჩანს, რომ ნათელი ყოფილიყო...

ეს სავესებით ბუნებრივია: უკვე მეთავე საუკუნეში საჭიროდ მიუჩნევიათ მარჩბივი განმარტათ — იოანე ბოლნელის ქადაგებაში მოცემულია ამ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა:

ხ^წ თომა ერთი იგი რ^წლსა ერ^წქა მარჩბივ რ^წ არს ერთი ორთაგ^წნი რ^წ ტყ^წბთაგანი. იყო იგი ამისთჳსცა ეწოდა მას მარჩბივ (იხ. ზემოთ).

საყოველთაოდ ხმარებული, გასაგები სიტყვა რომ ყოფილიყო მარ-
ჩბივი, იოანეს არ მოუხდებოდა მისი ახსნა.

მარჩბივი ნიშნავსო „ერთს ორთავანს“; მის სინონიმად იოანე **ტყუბ**-ს
თვლის.

საფიქრებელია, მარჩბივი თავდაპირველად ტყუბ ადამიანზე ით-
ქმოდა; ბუნებრივია, თუ მას **მ**- პრეფიქსი მოეპოვებოდა. ასეთი გაგება უკ-
ვე მეთავე საუკუნის ბოლოსთვის ამ სიტყვას არა ჰქონია და თუ საბა მა-
ინც ცდილობს მისი მნიშვნელობა ადამიანს დაუკავშიროს, ეს ისტორიული
სემასიოლოგიის ხაზით ივარაუდება.

მრჩობლი ატრიბუტივია; აქ **მ**- ისევეა გამართლებული, როგორც
მაგალითებში მოფლიო, მდიდარი, მთავარი... როცა ეს სიტყვები
ატრიბუტიული მნიშვნელობით გამოიყენება.

მარჩბივისა და მრჩობლის ანალიზისა და მნიშვნელობის შე-
სახებ შდრ. ივ. ჯავახიშვილი: „ქართული და კავკასიური ენების თავ-
დაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937, გვ. 398, 400...

მ-წიგნ-ობ-არ-...

...ეკრძალენით მწიგნობართა მათ გან რლთა ჰნებავს სამკაული-
თა სლვაჲ და მოკითხვაჲ უბანთა ზა... ბენეშეგ., **ბ** 271, მარკ. XII 38.

ოთხთავში საკმაოდ ხშირად ხმარებული ეს სახელი, ერთი შეხედვით,
მიმღეობის შთაბეჭდილებას ტოვებს; არსებითად არაფერი შეიცვლებოდა
მ- პრეფიქსის გაგებაში, თუ მწიგნობარ-ს მიმღეობად მივიჩნევდით
(ამის შესახებ იხ. ქვემოთ); მაგრამ აქ უნდა გვქონდეს არა მიმღეობა (არ
არსებობს შესაბამი ზმნა) — არამედ სახელისაგან ნაწარმოები სახელი; სა-
წარმოებლად აღებულია **წიგნ-ობ**-, სადაც **-ობ**- კრებითობის ფუნქციისა
უნდა იყოს; **-არ**- დეტერმინანტი სუფიქსია; **მ**- ადამიანის კატეგორიის მაჩ-
ვენებელი პრეფიქსი.

მო-ხარკ-...

... და მოხარკი იყო რმცა არა უკუმოიყვანეს... ოქროპირ.,
221r.

მე-გუარ-... მო-გუარ-...

... ვითარცა მოციქულთა მეგუარი და მათ თანა მოსაგრე და
...მათ თანა მოდასე... მათთანავე ზიარ იქმენ ზოგადსა სახლსა... მკვდრ
ყოფად... ათონ., 1862.

... სახელის მოდგამ სიხარულისა იქმენ, სანატრელო და მოგუარ-
თა სიხარული... ათონ., 20213.

ორსავე შემთხვევაში მარტოოდენ პრეფიქსებია (**მო- მე-**) გამოყენე-

ბული სახელის საწარმოებლად, საწარმოებელი სუფიქსები არა გვაქვს. პრეფიქსების (**მო- მე**) დართვამდის სიტყვა იყო **რა-** კატეგორიისა (**რა?** ხარკ-ი, გუარ-ი), პრეფიქსების დართვის შემდეგ კი მივიღეთ **ვინ-**კატეგორიის სახელი (**ვინ?** მო-ხარკ-ი, მო-გუარ-ი).

მ-დღ-ევ-რ-ი:

... გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო... რ⁷ შენ უკუანადკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისად მეთერთმეტისა ჟამისად მდღევრთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი... სვან., 429 (= აბო, 77₁₀).

მდღევრი (საბას აქვს: „მდღევარი — საყოველთაო საზრდო“) დღიური მუშა (ასე აქვს განმარტებული ეს სიტყვა საგვებით მართებულად კორნ. კეკელიძეს — ჰაბო, ლექსიკონი, 95). ზემოთხსენებულ ტექსტში ავტორი მოწამე-აბოს მიმართავს: შენ უკანასკნელი — დროის მიხედვით — მუშაკი დაეწიე ადრე მუშაობის დამწყებთ: „მდღევრთა... აღმსობილთა“...

მ-დღ-ევ-რ-ის საპირისპიროა **დღიურ-ი** ← **დღ-ევ-ურ-** (შდრ. **უ-დღ-ე-ურ-ი** ← **უ-დღ-ევ-ურ-ი**)...

ამჟამად „დღიური“ იხმარება, როგორც ადამიანის, ისე ნივთის კატეგორიის სახელთა მსაზღვრელად: „დღიური მიწა“ — „დღიური მუშა“... **მ-დღ-ევ-რ-ი** კი ხმარებიდან გამოსულია.

მ-ასპინძ-ელ-ი:

... საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა... აბო, 57₁₃.

„**მასპინძელი** — სახლისა და ღვინის უფალი“ (საბა). მეგრულად იგივე სიტყვა **მენძელ-**ის სახეს იღებს. იოს. ყიფშიძე მიუთითებს ამ მეგრულ სიტყვასთან დაკავშირებით (ქართ. მ-სპინძელი → მ-ინძელი) სომხ. **ասպնջական-**ზე (იხ. Грам. мингр. яз. ლექსიკ. გვ. 291).

სრულიად უდაოა, რომ მაინძელ- ← მასპინძელ- (დასავლურ კილოებში მასპინძელ-იც გვხვდება). მეგრ. **მენძელ-ი**, ეჭვი არაა, მაინძელ-ის ვარიანტი: **აი** → **ე** (შდრ. **მაის-ი** — მეგრ. მწს-ი, **საინ-ი** — **სენ-ი**).

განსაკუთრებით საინტერესოა შეპირისპირება სომხ. **ასպნჯական-**თან; ძირეული **ასպნჯ-** ხვდება ქართულ საწარმოებელ **ასპინძ-**ს; **-ელ-** სუფიქსი დეტერმინანტია, **მ-** პრეფიქსი ადამიანთა კატეგორიის მაჩვენებელია. სომხურს უპრეფიქსოდ შეუნახავს ეს ფუძე (არაა ცხადი, რატომ აქვს იოს. ყიფშიძეს გამოყოფილი **მა-**).

იოს. ყიფშიძის აგან დამოუკიდებელივ ხსენებულ სომხურ სიტყვას-თან მასპინძელ-ის კავშირზე მიმითითა ილია აბულაძემ.

მ-ვნ-ე: ...განძრიელი (!) და მვნე იქმენ... ოქრობ., 109r.

... და იობიცა მვნწ მოწამწ... სვან., 418.

... უკუე ჩმდა ჯერ არს გამოპყრობად ჯარი იგი მთავარი უკუანა საბამი მშრომელი და ურნატ სავსედ განმმართველი იგი და ურმად მვნწ იგი... სვან., 140.

მ-ვნ-ე ვან- ფუძიდან ნაწარმოები ჩანს: **ვან ვარ**-ის (ახ. ქართ. **ხარ**-) ვარიანტია, დეტერმინანტ-სუფიქსით განსხვავებული (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 78).

მ-ვნ-ე რომ ხარ-ს უკავშირდება, ამას მარჯვედ გახაზავს გამოთქმა: ურმად მვნწ იგი (იხ. ზემოთ).

მვნე ატრიბუტივია; საბას განმარტებით:

„**მვნე** — შემძლებელს“ ნიშნავს, „**სიმვნე** — ძალსა და შეძლებას“.

თავდაპირველად, როგორც უკვე ნათქვამია ერთგან ზემოთ (იხ. გვ. 79), მვნე-ში ხარის „შემძლების“ მქონე ადამიანი ივარაუდებოდა, ხარის „ძალა-გაძლება“ იყო ამოსავალი ცოცხალი სახე, როცა ადამიანს „მვნე“ სიტყვით ახასიათებდა.

საინტერესოა, რომ **მვნე** || **მხნე** დღემდის ადამიანის დახასიათებისას გამოიყენება.

მ-ხოლო- შდრ. **ხოლო**... მეგრ. **ხვალ-ე**... ჭან. **ხვალ-ა**... ჭან.-მეგრ. **ხოლო** („კიდევ“).

... და სადიდებელად შენდა. მხოლოდსა ძისა თანა... ხანძთ., **ნ**₁₂ ქვ.

... და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის... ხანძთ., **პ**₃.

... იხილა მარტოე იგი მხოლოდ მჯდომარწ... ოქრობ., 99v.

... ეგრვთ წარემართა ხანძთად კერძო: ხოლო ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა... ხანძთ., **ო**₁₄ ქვ.

... ხოლო მე ამას ვიტყვ... ხანძთ., **ო**₂ ქვ.

„მხოლო“, ხოლო ისე ხშირია ძვ. ქართულ ტექსტებში, რომ შეიძლება ამ ორიოდე საილუსტრაციო მაგალითით დაგვმაყოფილდეთ.

საბას განმარტებით „**მხოლო** — მარტო“; ეს უკანასკნელი ნიშნავს „ცალკე ერთს“; ამრიგად: მხოლო = „ცალკე ერთი“.

„**ხოლო** ეს არს ვითარცა „და“, სიტყუათა დამამტკიცებელი“... მეგრულში **ხვალე** (←ხვალა-ი) „მარტოს“ ნიშნავს: „ხვალე მეურს“ — მარტო მიდის, **ხვალა-ხე** — მარტოხელა... ჭან. ოხორჯა ხვალა ქოდოსქიდუ — ქალი მარტო დარჩა... ხვალა კოჩი — მარტოხელა კაცი... (სხვა მაგალითები იხ. „შედარ. ლექსიკ.“: 226).

ძვ. ქართულის **ხოლო**-ს ნაცვლად ახ. ქართულში **კი** ნაწილაკი იხმარება: **ხოლო** მე ამას ვიტყვ — „მე **კი** ამას ვიტყვი“.

მეგრულსა და ჭანურში **ხოლო** ნიშნავს „კიდევ“.

მხოლო ახალ ქართულში ამ ძირითადი სახით არ გვხვდება; ის დასტურდება ნაწარმოებ ფუძეებში: მხოლოობით-ი (რიცხვი), განმხოლოება... მიმართ. ბრუნვა კი ზმნისართადაა გამოყენებული: **მხოლოდ**.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლ. საქართველოში **მარტო** ხშირად იჭერს **მხოლოდ**-ზმნისართის ადგილს: მათი გამიჯვნა ახალ სალიტერატურო ქართულში არც ისე ადვილია.

მხოლო ძვ. ქართ. „მარტო ერთს“, „ერთად-ერთს“ ნიშნავს პირველ ყოვლისა; მასთან მნიშვნელობით მეტად ახლოსაა მეგრ. **ხვალე**; ქართ. **ხოლო** კი უკვე ძვ. ქართულში დამხმარე სიტყვადაა ქცეული (და აწინდელ ნაწილაკს უდრის).

სამივეში **-ხოლ-** შედის: ფუძე ერთია; **მ-ხოლო**-ში ამ ფუძეს **მ-** პრეფიქსი აქვს დართული — ადამიანთა კატეგორიის მაუწყებელი: **მხოლო** „მარტო ერთ“ ადამიანს ნიშნავდა.

მ-რემლ-ი (|| **მ-რევლ-**ი; შდრ. **რემ-ა**).

... და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუღაბნოენი მამანი: და... ნეტარი დედაჲ ფებრონია მივიდა კრებასა მას... და ყოველნი მღვდელნი მრემლნი ანჩისანი მათ თანა და წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი. უშჯულოებაჲ მისი... ხანძთ., **ღვ** ჯგ.

... და ყოველნი მღვდელნი მრემლნი ანჩისანი... ნ. მარსი ამას თარგმნის ასე: ... и все священники, пасшие приходы Анчи (Тек. и разыск. VII, გვ. 138); დედანთან უფრო ახლოს იქნებოდა გვეთქვა: ... и все священники, пастыри анчские: **მრემლი** = пастырь, მწყემსი¹ (აზრი ნ. მარსის თარგმანში სწორადაა გადმოცემული).

მრემლ-ის „მწყემსად“ გაგება ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უმართებულო ჩანს: „მრემლი“, ახ. ქართ. მრევლ-ი, „სამწყსოს“ ნიშნავს და არა „მწყემსს“ („როგორც მღვდელი, ისეთი — მრევლი!“).

რომ **მრემლ-**ი და **მრევლ-**ი ერთი და იგივეა, უკვე საბას აქვს აღნიშნული; მისთვის ამოსავალია ვიანი ვარიანტი — **მრევლ-**ი: განმარტებას ამ სიტყვასთან იძლევა, **მრემლ-**თან კი მიუთითებს „იგივეაო“ (იხ. საბას ლექსიკონში: **მრევლი**, **მრემლი**).

¹ ეს შესატყვისი ნ. მარს ნაჩვენები აქვს კიდევ ლექსიკის განმარტებისას: იხ. იქვე, გვ. LXVII.

საბას განმარტებით **მრეველ**-ი არის „მოუზრნე (სულიერი)“. ამგვარად, საბასთვის **მრეველ**-ი || **მრემელ**-ი „სამწყსოს“ კი არ ნიშნავს, არამედ — „მწყემს“.

ნ. მარს სამართლიანად აქვს ნაჩვენები, რომ მრეველ-ი ← მრემელ-ი (**ვ** ← **მ**). მასვე აქვს მითითება, რომ მ-რემ-ელ-ი ნაწარმოებია **მ**-პრეფიქსითა და **-ლ** სუფიქსით რემა-საგან „ჯოგი“ (სპარ. ჯო, სომხ. *ხ-բամակ* — იხ. Тек. и разыск. VII, შესავალი LXVII).

ეს რემა საბასთან ახსნილია, როგორც „უმწყსი ცხენი“ (იხ. **ცხენი**), „უჭედი ცხენი“ (იხ. **რემა**).

ეგვე სიტყვა „ვეფხის ტყაოსანში“ გვაქვს, თითქოს ჯოგის გავებით: ... ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია... ხ. 54.

მეგრულში ეგვე სიტყვა შემხვედრია უფრო ზოგადი მნიშვნელობით: „საქონელი“.

სიტყვა ჩანს, ძველთაგანვე შეთვისებული.

მ-რემ-ელ-ში რომ **-ლ** და **მ**- აფიქსებია, უკვე აღნიშნულია ლიტერატურაში (იხ. ზემოთ); არაფერია ოღონდ ნათქვამი მათი დანიშნულების შესახებ.

-ლ ქართულისთვის ჩვეულებრივი დეტერმინანტია ფუძისა, **მ**- კიდევ ადამიანთა კატეგორიის მაჩვენებელი პრეფიქსია: **მ-რემ-ელ**-ი — „რემის მომვლელი ადამიანი“, „რემის მწყემსი“, შემდეგ, საერთოდ, „მწყემსი“.

§55. მ-შუ-გ-ალ-ე... შდრ. სა-შუ-ალ-ი.

... მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან... ნებითა ძმათა თვსთადა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისადა მოილო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა მამისა თვისისა... და ძმანი მისნი... ადარნერსე. უხუცესი. და გუარამ. მრწემი. **მშუავალესა** მას ძმასა მორჩილ ექმნეს... ძმობისა სიყუარულითა... ხანძთ., ძმ₃ ზევ.

აქ სამი ატრიბუტივი გვაქვს: უხუცესი, მრწემი და მშუვალე — „უფროსი“, „უმცროსი“ და „შუათანა“ (|| „საშუალი“): „შუათანა ძმას დაემორჩილნენ უფროსი და უმცროსი ძმებიო“, — მოგვიტხრობს ტექსტი.

მ-შუ-გ-ალ-ე-ში საწარმოებელ ძირად **შუ** გვაქვს: **მ**-პრეფიქსი და **-ალ-ე** სუფიქსები საწარმოებელი აფიქსებია. ამათგან **მ**-პრეფიქსი ადამიანის კატეგორიაზე მიუთითებს.

ამ დროისათვის კლას-კატეგორიათა მიხედვით განსხვავებული ატრიბუტივები გადმონაშთის სახითღა გვაქვს. **მშუალე**-ს უპირისპირდება **საშუ-ალ**.

... ვიხილე კრებული იგი... ანგელოზთა... აღმავალი ზეცად და სა-
შუალ მათსა წმიდა მათი ველპყრობით აღჰყვანდა... მათ უჯორცოთა...
ხანძთ., **მგ—მდ.**

... და ჭაბუკი ვინმე მეყსეულად გამოჩნდა საყდართა მათგან ჰასაკი-
თა საშოვალთა... სვან., 104.

... მოვედით საშოვალ გულსა საუცრად... სვან., 147.

... მზს საშუალსა კონქსა მიწვენულიყო... სვან., 180.

... და დაჯდეს საშუალ მათსა... ოქრობ., 15v.

... ფრთენი ტრედისანი ვეცხლით მოსილნი და ბეჰ შაშუალი (!)
მისი ფერთა ოქროდსადა... დავით., 99v—100r.

საშუალ- (|| საშოვალ- || შაშუალ-) აქ ნახმარია ან ნივთის კატეგო-
რიის სახელის მსაზღვრელად (ჰასაკითა საშუალითა... საშუალსა კონქსა...)
ანდა ადგილზე მიუთითებს და აწინდელი „შუა“-ს მნიშვნელობითაა გამო-
ყენებული (საშუალ მათსა... საშოვალ გულსა...).

ძვ. ქართულში ჩვეულებრივად საშუალი ადამიანის კატეგო-
რიის სახელთა მსაზღვრელად გამოიყენება: **მშუვალე — საშუალი**-ს და-
პირისპირება უკვე მოხსნილია.

ასეთი დაპირისპირება კი წინათ ნორმალური მოვლენა უნდა ყოფი-
ლიყო: ამას მოწმობს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დაცული შემთხვე-
ვა: **მშუვალე**- (ძმა)...

ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ დასავლურ კილოებში ცოლის შე-
რთვისას შუამავალს **მაშვალ**-ი ეწოდება: **მაშვალ**-ი წარმოების მიხედვით
საშუალ-ის საპირისპიროა.

მო-გზა-ურ-ი... მ-გზ-ავ-რ-... შდრ. სა-გზ-ა-ურ-ი... სა-გზ-ალ-ი...

...სამარიტელი ვინმე მგზავრ მოვიდოდა და მიემთხვა მას იხილა
(იგი) და შეეწყალა ვინმე არს ესე სამარიტელი რი მოვალს მოგზაუ-
რად... ბოლნ., 631.

... ესე მოვიდა მოგზაურად ზეცით ქყნად.. ბოლნ., 636.

... მარხვად წინა მძლუარი არს ყნისა კთილისა... მარხვად თა მო-
გზაური არს სიწღისა... ხ ჩნ ამას შეუდგეთ. და ამას მოგზაურ
ვექმნეთ... ბოლნ., 61.

... იგი მოვიდოდა ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე
ჰხედვიდა თუსსა მას გუამსა... აბო, 7236.

... ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენტა ამათ დღეთა მგზავრ ილოცვი-
და... აბო, 6523.

...მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა რომელ არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისა და არცა გზად... სერაპ., 161²³.

... და მგზავრ მომავალი ვინმე ეპისკოპოსი ანჩელი ხედვიდა... ხანძთ., 53¹².

... და მგზავრ სვლასა ზეპირით... საკითხავთა იტყოდა გოდებით... ხანძთ., 58¹.

შდრ. **სა-გზ-ა-ურ-ი... სა-გზ-ალ-ი...**

...კახვად ოდიკისად რლ არს **საგზაური** მიმოსაღებელი ოდიკი... იაკობ., 81r.

... რომელმან მომეც მე საგზლად ჩემდა ცხოვრების მომანიჭებელი ჯორცი შენი... აბო, 72²⁰.

მგზავრ ზმნისართის როლში გამოდის: მგზავრ სვლა... მგზავრ მომავალი = გზად სვლა... გზად მომავალი... ეს ბუნებრივია: ზედსართაული მნიშვნელობის სიტყვა აღებულია ფუძის სახით... მგზავრი — გზაზე მყოფი, **путешествующий**. მოგზაურ-იც ამავე მნიშვნელობისაა; შდრ. თანამოგზაური = თანამავალი, „თანამგზავრი“ (ახ. ქართულისა).

საგზაურ-იც „გზაზე მყოფია“, ზუსტად: „გზაზე სატარებელი“; საგზაური ოდიკი — „საგზაო ოდიკი“ (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 13). საგზალ-იც „გზად წასაღებია“.

განსხვავება **მ-** (|| **მო-**) პრეფიქსიანსა და **სა-**პრეფიქსიან წარმოებას შორის მაინც არის: **მოგზაურ-ი**, **მგზავრ-ი** — ადამიანს გულისხმობს, **საგზაურ-ი**, **საგზალ-ი** — ნივთს.

მ- პრეფიქსი ადამიანის კატეგორიისაა, **სა-** პრეფიქსი — ნივთისა.

პრეფიქსებითლა განსხვავდება შემდეგი ნაწარმოები სახელები, როგორცაა, მაგალითად:

მე-რ-წყ-ულ-ი... შდრ. **სა-რ-წყ-ულ-ი:**

... ქანაანელსა მას დედაკაცსა მე რწყულსა მარტოსა... სვან., 342.

... სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოდ სარწყული წყლისა თვს... ხანძთ., 33¹² ქვ.

ორივე სახელი ნაწარმოებია **წყალ-** ფუძიდან (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 20).

მე-რ-წყ-ულ-ი — ადამიანია, რომელსაც წყალი მოაქვს.

სა-რ-წყ-ულ-ი — ჭურჭელი, რომლითაც წყალი მოაქვთ (იხ. გამოთქმა: „სარწყული წყლისათვს“...).

მე-ზუერ-ე... შდრ. **სა-ზუერ-ე...**

...მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი მოსრულიყვნეს... ჰადიმ., 18a₁.

... და იყვნეს ყნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა... ჰადიმ., 136b₂.

რადსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამთ... ჰადიმ., 113b₁.

... და იხილა მეზუერე სახელითა ლევი საზვერესა ჴა... ჰადიმ., 113a₂.

... მისცემდით ყლსა თანა ნადებსა: სახარკესა ხარკი საზუერესა ჴუერი საშინელსა შიში... სამოციქ., 49v.

... რლ იგი უმეცრებით შეკრიბა ჴუერი... სვან., 362.

... და კულად პოვა ოდესმე მათეოზ მეზუერც ჳდა რად იგი საზუერესა მას თანა: რადმე არს საზუერც იგი ანუ რადმე არს მეზუერც იგი — მეზუერც იგი არს მეზაყც, ხოლო საზუერც იგი არს ადგილი სადა იგი ბაჳსა უყოფედ... ბოლნ., 95 ქვ.

მე-ზუერ-ე-ცა და სა-ზუერ-ე-ც ნაწარმოებია **ზუერ-** ფუძიდან:

ვინ? მე-ზუერ-ე — „ზუერის ამკრეფი ადამიანი“, — „მეზაჳე“.

რა? სა-ზუერ-ე — „ზუერის ასაკრეფი ადგილი“, — „საბაჳო“.

მა-ცხოვ-არ... შდრ. **სა-ცხოვ-არ...**

... რ იშვა მაცხოვრად თქნდა. ქლაქსა დთისსა... სვან., 209.

... და პირუტყუთებრისა და საცხოვართ სახისა მის ცხორებისაგან... სვან., 83.

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მაცხოვარი და საცხოვარი ნაზმნარი სახელები (მიმღეობა) იყოს, მაგრამ არა: წარმოებისას ამოსავალია ცხოვ-არ-, — სახელური ფუძე; აქედან იწარმოება შემდეგ: ცხოვრ-ობ-ს... ა-ცხოვრ-ებ-ს... ცხო(ვ)რ-ებ-ა...

მაცხოვარ-ი, საცხოვარ-ი მიმღეობა რომ ყოფილიყო, უნდა გვქონოდა მა-ცხოვრ-ალ-ი ანდა მა-ცხოვრ-ებ-ელ-ი (შესაბამისად სა-ცხოვრ-ალ-ი ანდა სა-ცხოვრ-ებ-ელ-ი)... იხ. მაგალ.:

... და არს იგი უგზო და მიუვალ რადთ-ურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რადმეთუ ღადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვდრობად მათი... ხანძთ., 16.

აქ მცხორებელ-ი „ცხოვრობს“ — ჴმნის მიმღეობაა („მცხოვრები“). ანალოგიურადვე იქნებოდა ნაწარმოები სა-ცხოვრებ-ელ-ი...

... აშოტ კურაპალატმან... აღაშწნა ციხც არტანუჯისად საცხოვრებელად დედუფლისა. მეუღლისა თჳსისა... ხანძთ., 63.

ამ საკითხზე იმიტომ შევჩერდით, რომ, ჯერ ერთი, მაცხოვარ-ი და საცხოვარ-ი შეიძლება ამჟამად განიმარტოს, როგორც „ვინც აცხოვრებს“, „რაც აცხოვრებს“ (— მეტადრე ეს ითქმის მაცხოვარ-ის შესახებ — „спаситель“); მეორეცაა, ძვ. ქართულში გვხვდება უსუფიქსოდ წარმოებული მიმღეობებიც, როგორცაა მე-ობ-ი, მო-შიშ-ი... (იხ. პირველ ნაწ., გვ. 125). დასასრულ, ხშირია შემთხვევა, როცა ნაზმნარი სახელი, მიმღეობა, და სახელისაგან ნაწარმოები სახელი ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა ჭირს.

არსებითად კი, ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით, როგორც ეს ქვევითაც იქნება ნაჩვენები (იხ. აგრეთვე პირვ. ნაწ., გვ. 70, 112), სულ ერთია, **მ(ა)-ს-ა-** პრეფიქსები ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებ სახელში აღმოჩნდება, თუ სახელის ფუძისაგან ნაწარმოებ სახელში, — მათი პირველადი ფუნქცია ერთი და იგივეა.

სა-ცხოვარ-ი რომ არაა მიმღეობა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის **ცხოვარ-**ის ნაცვლად იხმარება ძველ ტექსტებში (ხშირად ცხოვარ-ის პარალელურად):

... მე ვარ მწყემსი კეთილი მწყემსმან კეთილმან თავი თუსი დადვის საცხოვართა თუსთა ზა ხ სასყიდლით იგი არა არნ მწყემსი რლისად არა არიედ თუსნი ცხოვარნი ვა იხილის მგელი მომავალი დაუტევის საცხოვარნი და ივლტინ და მგელმან წარიტაცნის... და არა რად ჰჭირნ(!) ცხოვართა მათთუს... თავი ჩემი დავდვა ზა საცხოვართა მათ... ჰადიშ., 177a₁ (იოანე, თავი X, მუხ. 11 და შემდ.).

ბიბლიის საზოგადოების ტექსტში შესაბამის ადგილას ყველგან ცხოვარია; სლავურ ტექსტში აქ „овцы“ გვაქვს, ძველ სომხურში **ovis** (ე. ი. „ცხვარი“), ლათინურში **ovis** (აგრეთვე „ცხვარი“), ბერძნულში **τὸ πρῶβατον**, რაც ჩვეულებრივ „ცხვარს“ ნიშნავს (თუმცა ზოგადად „საქონელზედაც“ შეიძლება მიუთითებდეს).

საცხოვარი „ცხვრის“ გაგებით სხვა ძეგლებშიც გვაქვს:

... შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქსსთად... ხანძთ., **შ**₂ ზევ.

... **ты будешь добрым пастырем многочисленных словесных овец христовых** ... ნ. მარის თარგმანი, ხანძთ., გვ. 88: საცხოვარი = **овца**, ცხვარი.

... ვითარცა საცხოვარნი შეჰრაცხნეს თავნი თუსნი... ხანძთ., **ლ**₈¹¹.

ბ. მარის თარგმ.: ... **считали себя овцами** ...

ან კიდევ:

... მღვდელი ყოვლისა სოფლისა-თჳს კრავსა მას ღმრთისასა და-
ჰკლავნ. და იგი მისთანავე დაიკლვინ... დიაკონთა სამოსელი იგი ზე
აღუბყრიედ და მასვე ადგილსა ვითარცა საცხოვარნი დაიკვლიან...
წარტყუნ., **იზ**₆.

ბ. მარი თარგმნის: ... Священник закалывал агнца божьего за весь
мир, а он закалывался вместе с ним... Диаконы поднимали облачение, но их
закалывали, как овец на том же месте (თარგმ., გვ. 17).

აქ შეპირისპირებულია „კრავი“ და „საცხოვარი“; მთარგმნელიც სა-
ვსებით მართებულად გადმოსცემს მათ სიტყვებით: „агнец“ — „овца“: „სა-
ცხოვარ“-ის მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

... და უგულბებელს ყვნა იგინი მაღალმან. და ვითარცა საცხო-
ვარნი დაკლვად განმზადებულნი მისცნა იგინი უფალმან ჳელთა მტერ-
თასა... წარტყუნ., **იი**₂₁.

ბ. მარის თარგმ.: ... но всевышний презрел их и предал в руки вра-
гов, как овец, уготовленных на убой... (თარგმ., გვ. 19).

... ყოველი ჰასაკი მოისრვოდა და ვითარცა საცხოვარნი დაიკ-
ლვოდეს... წარტყუნ., **იზ**₈.

ბ. მარის თარგმ.: ... истребляли всякий возраст, резали, как овец...

... და ვითარცა წარმოიყვანნეს იგინი მონასტრით. იწყეს ვითარცა
საცხოვართა აღჭრად... წარტყუნ., **პბ**₂₄.

ბ. მარი თარგმნის: „Взяв с собою их из монастыря, они начали резать
их, как с к о т“ (თარგმ., გვ. 22₃₃).

აქ „скот“ აუცილებელი არაა, შეიძლებოდა ისევ „овца“-თი გადმო-
გვეცა „საცხოვარი“ წინა მაგალითების მსგავსად.

ამას ხელს არ შეუშლის ამავე გვერდზე „ცხოვარის“ ხმარება ცხვრის
გაგებით...

... არიან იგინი ვითარცა ცხოვარნი, რომელთა იგი არა აქუნ
მწყემსი... „... подобны овцам без пастуха...“ (თარგმ., გვ. 22).

„ცხოვარი“ ამ დროისთვის ჩვეულებრივი სიტყვაა: „საცხოვა-
რი“ კი ნაშთის სახითდაა დატული ცხვრის მნიშვნელობით.

სამაგიეროდ, საცხოვარი უფრო ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმა-
რი შემდეგ ადგილას:

... მაშინ რისხვაჲ იგი მღვდელთა და დიაკონთა ზედა მოიწოდა და
ვითარცა საცხოვარნი პირუტყუნი ეკლესიათა შინა დაიკლვოდეს...
წარტყუნ., **იზ**₁₆.

ბ. მარი თარგმნის: „Тогда гнев постиг священников и диаконов: их резали в церквах, как у б о й н ы х ж и в о т н ы х“ (თარგმ., 171).

„საცხოვარნი პირუტყუნნი“ = „убойные животные“.

მართლაც, აქ საცხოვარი ცხვარს აღარ უდრის, იგი უფრო ზოგადი მნიშვნელობითაა გამოყენებული. და ეს არაა შემთხვევითი: ცხოვარ-იც თავდაპირველად ცხოველ-ის მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა უნდა ყოფილიყო; გარკვეული შინაური ცხოველის, — სახელდობრ, ცხვრის, — აღნიშვნა პირვანდელი მნიშვნელობის დავიწროების გზით მივიღეთ.

ამ მხრივ საგულისხმოა მეგრულის ჩვენება: **ცხოვარ**-ის ფუძე დეტერმინანტ **-არ**- სუფიქსის გარეშე: **ჩხოუ** → **ჩხუუ** „ძროხას“ ნიშნავს. ესე იგი:

ცხოვარ || **ცხოველ** - { → **ცხვარ**-ია ქართულში
→ **ჩხოუ** „ძროხა“ მეგრულში:

იმისდა მიხედვით, თუ რა შინაური ცხოველი ჭარბობდა ამა თუ იმ სინამდვილეში; მნიშვნელობის დავიწროება კი ორივე შემთხვევაში გვაქვს: ქართულშიცა და მეგრულშიც: ზოგადად „ცხოველის“ ადგილს იჭერს „შინაური ცხოველის“ ესა თუ ის სახეობა.

მეგრულსა და ჭანურში **შხურ**- || ← **ჩხურ**- ფუძეც მოგვეპოვება და „ცხვარს“ ნიშნავს: ეს იგივე **ცხოვარ**- || **ცხვარ**- ფუძეა (შეიძლება მიღებული ვა → ო → უ: ჩხვარ- → ჩხორ- → ჩხურ- → შხურ-... უდრ. **თუ-ალ** — **თოლ**- (ჭან.-მეგრულში).

ყოველ შემთხვევაში მეგრ. **ჩხ-ოუ**- წარმოგვიდგენს უდეტერმინანტო ფუძის **ცხ-ოვ**-ის ეკვივალენტს და ამდენად უფრო ძველი უნდა იყოს (შხურ- || ჩხ-ურ-თან შედარებით)¹.

მართ-ალ-ი... სა-მართალ-ი...

„სამართალი“ ძვ. ქართულში ჩვეულებრივ ზედსართაული გაგებით იხმარება და ნიშნავს „სამართლიანს“, „სწორს“, „მართალს“ (და არა არსებით სახელს — „право“).

„მართალი“ კიდევ, პირველ ყოვლისა, ადამიანის ატრიბუტია: „მართალი“ — **праведный (человек), праведник**.

... ფრიად შემძლებელ არს ლოცვად მართლისაჲ შეწევნად... ხანძთ., **ლმ**7 ქვ.

¹ „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებითს ლექსიკონში“ მეგრ. ჩხოუ არ მოჰყვა: იქ ამოსავალია ჭანური ლექსიკა; ჭანურში კი ჩხოუ არა გვაქვს: ძროხას იქ აღნიშნავს ფუჯ-ი (ქართ. ფურ-ი). ცხვრის შესატყვისი იხ. იქვე, გვ. 80.

ბ. მარის თარგმნით: **много может помочь молитва праведного...** (უფრო ახლოს იქნებოდა: "праведника").

... არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა ან ცოდვილთა... ჰადიმ., 18a₂ (მათე, 9₁₃).

რუს. ოთხთავის ტექსტი: **я пришел призвать не праведников, но грешников.**

... ნუ თუალხუმით შჯით. არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო... ხანძთ., ლ₁₃ ქვ.

ბ. მარის თარგმ.: **Не судите по лицепритию, а судите судом праведным.**

... ჭემმარიტად სამართალს არს სულიერი ეგვ საბჭოდ... ხანძთ., მ₃ ზევ.

ბ. მარის თარგმ.: **Воистину праведен ваш духовный суд** (კონტექსტს უფრო შეეფერება: „справедлив ваш суд“).

... ხოლო კურაპალატმან ჰრქუა. სამართალ არს სიტყუად შენი. წმიდაო... ხანძთ., ლ₁₇.

ბ. მარის თარგმ.: **Куропалат [же] сказал: "Справедлива речь твоя, святой..."**.

... ჰრქუა მათ. არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობად ამის ქუეყანისა... ხანძთ., კ₁₁ ქვ.

ბ. მარის თარგმ.: ... **сказал им: "не справедливо не уделять ваших благ этой стране"**.

... და რომელნი მარადის სამართლად ამხილებდეს მას... ხანძთ., ძ₁₃ ქვ.

ბ. მარის თარგმ.: ... **и которые постоянно обличали его по справедливости.**

უფრო ახლოს იქნებოდა დედანთან: **обличали справедливо** (საფიქრებელია, მთარგმნელი აერიდა ასე თარგმნას სტილისტიკური მოსაზრებით: **постоянно справедливо обличали** — ორ ზმნისართს მოუყრიდა თავს ერთ ზმნისთან).

მართლაც, სხვაგან ანალოგიურ შემთხვევაში ბ. მარი ზმნისართს იყენებს; მაგალითად:

... გვედრების შეიწყალე უფალი ჩემი სამართლად ღმრთისაგან განპატიყებული... ხანძთ., ნ₁₇.

ბ. მარი თარგმნის ასე: **Молит господин мой помиловать его, справедливо наказанного... богом...**

სხვა ძეგლებშიც შეიძლება მსგავსი შემთხვევების ჩვენება:

... და სამართლად ესე ყოველი მოიწია ჩუენ ზედა. და ამის თსცა ვლალადებთ და ვიტყვთ. სამართლად უფალო. მიგუცენ სწავლასა. სამართლად უფალო ესე ყოველი მოაწიე ჩვენ ზედა. რამეთუ მართალ ხარ შენ და სამართალ არს საშველი შენი... წარტყუენ., **ბბ**¹¹.

ბ. მარი ამ ადგილს ასე თარგმნის: „По справедливости постигло нас все это. Потому-то мы взываем и говорим: "справедливо отдал нас, ты господи, учению. Справедливо нагнал ты, господи, все это на нас, ибо праведен ты, и справедлив твой суд...“ (თარგმ. გვ. 21).

„სამართლად“ აქ ორ შემთხვევაში გადმოცემულია ზმნისართით: **справедливо**, ერთგან კი წინდებულისანი არსებითი სახელით, რომელიც ზმნისართის ფუნქციას ასრულებს: **по справедливости = справедливо**.

ყველგან ზმნისართული მნიშვნელობისათვის ამოსავალია ატრიბუტული გაგება სიტყვისა „სამართალ“-ი = „სამართლიანი“, „სწორი“...

ძვ. ქართულისათვის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვეულებრივია ასეთი ხმარება სიტყვისა „სამართალი“.

მაგრამ არის შემთხვევებიც მისი სუბსტანტიურად ხმარებისა: რა? „სამართალი“ = წესი, კანონი...

... ზაქარია... ელისაბედ... იყვნეს ორნივე მართალ წე ოწისა. ვიდოდეს ყლთა შინა მცნებათა და სამართალთა ღმსათა... ჰადიშ., 101b₁ (ლუკა I₆).

რუს. ოთხთავში გვაქვს: ...оба они были праведны..., поступая по всем заповедям и уставам господним...

... ვა იტყვს წწნწრმეტყუელი ვდ პირი მართლისაჲ იტყოდის სიბრძნესა და ენამან მისმან თქას სამართალი... ბოლნ., 87¹⁷.

ვინ? „მართალი“ — რა? „სამართალი“,

როგორც „მართალი“ სუბსტანტიურად გამოიყენება (თუმცა ატრიბუტივია), ისე „სამართალი“-ც სუბსტანტიურ ფუნქციითაც გვაქვს, თუმცა ძირითადი მნიშვნელობით ატრიბუტივია და გარკვეულ შემთხვევაში ზმნისართის როლში გამოდის (სავსებით კანონზომიერად).

„მართალი“ და „სამართალის“ ზემოხსენებული ხმარება გვაფიქრებინებს, რომ **სა**- პრეფიქსი აქ (**სა**-მართ-ალ-ი) იმავე რიგისაა, როგორც **სა**-ცხოვ-არ-ში; „მართალ“-შიც, საფიქრებელია, რომ, თუმც მეტად მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ადამიანის კატეგორიასთან კავშირი (IX-X სს.).

ბუნებრივია, თუ ამ კონტექსტში დაისმის საკითხი — ხომ არ არის **მ**- აქ საწარმოებელი პრეფიქსი: **მ**-ართ-ალ-? ძირეული მასალის ეტიმოლოგია, სამწუხაროდ, მოცემული არაა, და, მაშასადამე, **მ**- პრეფიქსის გამოყოფა მხოლოდ სავარაუდოა.

თუ **მ**- პრეფიქსია, იგი უნდა გამოიყოს მ-ართ-შიც; **-ალ**- რომ სუფიქსია, ამის შესახებ იხ. პირვ. ნაწ., გვ. 27).

მ- პრეფიქსის გამოყოფა მართალ-ში შესაძლებლად მიაჩნდა ნ. მარსერთს ძველ ნაშრომში, როგორცაა 1913 წ. გამოსული მისი „Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам евангелия Марка“. იქ მართალ- დაშლილია ასე: მ-ართ-ალ და ეს უკანასკნელი ითვლებოდა მიღებულად → *მა-**ჰ**რთ-არ-ი (прямой, правильный; праведный). ამგვარად, სამთანხმოვნისანი ძირი - **ჰრთ**- ნ. მარს ამ სიტყვის ფუძედ აქვს ნავარაუდები სემიტურთან ქართულის ნათესაობის პრინციპის მიხედვით.

მესამე თანხმოვნის დაძვბნას არავითარი საჭიროება, რასაკვირველია, არ მოითხოვს. **მ**-ს მომდევნო **ა**-ს საკითხიც სხვადასხვა გვარად წყდება: ერთს შემთხვევაში ის ძირთანაა, მეორეში **-მ**- პრეფიქსთან.

ამისდა მიუხედავად მაინც საგულისხმო იქნებოდა **მ-ართ-ალ**-ის დაშლა და **მ**-ს გამოყოფა (თუნდაც ამ **მ**-ს ფუნქციის უჩვენებლად), მაგრამ ასეთი ანალიზი უარყოფილია მერმინდელ შრომაში: 1929 წელს ნ. მარტი მართალ-ს შლის ასე: **მარ-თალ**- და მიიჩნევს მას შეჯვარებულ ტერმინად (რომლის პირველი ნაწილი **მარ**- ხელს ნიშნავს ისევე, როგორც **მარ**-ცხენ-ე, **მარ**-ჯუენ-ე-ში), ხოლო **მარ-თ** მიაჩნია **მარ-თალ**-ის შეკვეცილ სახედ (იხ. ნ. მარტი: Карфаген и Рим, "Fas и Jus", – Избр. раб. IV, 186).

1913 წლის გაგება სინამდვილესთან შედარებით უფრო ახლოს ჩანს, ვინემ 1929 წლისა. კერძოდ, **მარ-თ** ვერ მიიჩნევა მართალ-ის გამარტივებულ სახედ, არამედ პირუკუ, **მართ**-ისაგანაა ნაწარმოები **მართ-ალ**-ი.

სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში **ადამიანთა** კატეგორიის პრეფიქსის დადგენისას ბუნებრივად გამოიყო **ნიეთის** კატეგორიის პრეფიქსიც, როგორც პირველთან შეპირისპირებული ფორმანტი:

მ -შუალ-ე	—	სა -შუალ-ი
მ -ო-გზა-ურ-ი	—	სა -გზა-ურ-ი
მ -ე-რ-წყ-ულ-ი	—	სა -რ-წყ-ულ-ი
მ -ე-ზუ-ერ-ე	—	სა -ზუ-ერ-ე
მ -ა-ცხ-ოვ-არ-ი	—	სა -ცხ-ოვ-არ-ი...

§56. ამას მიერთვის ახ. ქართულის ისეთი პროდუქტიული ტიპი წარმოებისა, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენენ მაგალითები:

მ -ე-თა-ურ-ი	—	სა -თა-ურ-ი
მ -ო-თავ-ე	—	სა -თავ-ე
მ -ე-ხრ-ე	—	სა -ხრ-ე
მ -ე-ველ-ე	—	სა -ველ-ე

მე-ქათმ-ე — **სა-ქათმ-ე** და სხვ.

ამგვარი წარმოება ძველ ქართულშიც გვაქვს: მე-რწყულ-ი — სა-რწყულ-ი... მე-ზუერ-ე- — სა-ზუერ-ე-... ამის ნიმუშია. შეიძლება მრავლად დაგვესახელებინა მაგალითები პროფესიის აღმნიშვნელი **მ**-იანი წარმოებისა (მათი შესაპირისპირებელი **სა**-პრეფიქსიანი წარმოება ჩვეულებრივ უხმარია):

მე-კეც-ე:

... ველეწიფების მეკეცესა მათ თივისა მის მისვე შეზელილისა შესაქმედ: რნიმე პათოსნად ჭურჭლად და რნიმე უპათიოდ.. სამოციქ., 43r.

... არა შეაგინის მეკეცე თივამან რჟს განახლებნ თვსსა შექმნულსა... სვან., 7.

მე-მტილ-ე: **მტილ-ი** (ბალი)...

... ჰგონებდა ვდ მე მტილ ეგი მოსრულ არს... უდაბნ., 136v.

მე-ვენაჯ-ე:

... ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჯსა. და მევენაჯენი ივლტოდეს... ხანძთ., 113 ქვ.

მე-ნავ-ე:

... ვხედავ ნავსა დიდსა. ხ მე ნავც არა აქუს... სვან., 116.

მე-ჭურჭლ-ე:

... სახლისა ჩვენისა მეჭურჭლე ქალი იყო. და ყოველი მონაგები ჩუენი ველთა მისთა იყო... ხანძთ., 155 ქვ.

მე-ცხოვრ-ე:

... მეცხოვრე იგი ახოვან იქმნა და ახოვანი იგი მომედგრდებოდეს... სვან., 116.

მე-კრმლ-ე...

... მოჰკეთთა თავი მეკრმლემან მან... სვან., 171.

მე-ვამლ-ე...

... პავლე მევამლეთაგან [გამოარჩია]... სვან., 172.

... პავლეს ყლთა წარმართთა მევამლესა შეუთვალავს... იქვე, 173.

მე-სათხევლ-ე: („მეთევზე“ = „მონადირე“ თევზისა)¹ || **მე-სათხევ-ელ-ი... მე-თევზ-ურ-ი...**

... ჯერ არს ჩემდა ვა ბრძნისა მესათხევლისა მონადირებად მისი... უდაბნ., 101r.

... მესათხევლენი მისთვის. რწ მესათხევლენი (!) მონადირე კაცთა... სვან., 42.

... და მეთევზურთა გლახაკთა მიმცემელი თევზისად... სვან., 156.

... და მეთევზურნი თევზითა განაძღენ... სვან., 156.

... პეტრე მეთევზურთაგან გამოარჩია და პავლე მეჭამლეთაგან... სვან., 172.

მე-ქრთილ-ე... მე-სანთლ-ე... მე-ქნარ-ე... მე-ბარბით-ე... მე-ფან-ღურ-ე... თ. ყორდანიას, Опис. II, 200.

ჯერ კიდევ საბა სულხან ორბელიანი წერდა: „ესრეთ ყოელთა სიტყუათა ზედა **მე**- ართრონად მოვალს მნეთა და მოხელეთა გამოსაცხადებლად“ (ლექსიკონი: მეჯოგე, მეჯორე, მეჯურმუცე, მეჭარი-ს შემდეგ, 1928 წლ. გამოც., გვ. 209).

ამრიგად, პროფესიის აღმნიშვნელი წარმოება **ადამიანთა** კატეგორიის პრეფიქსს იყენებდა ძვ. ქართულში, იყენებს ახალ ქართულშიც, და ეს სრულიად კანონზომიერია: პროფესიათა წარმომადგენელი ადამიანია.

საპირისპირო წარმოებაში **სა**- თავსართია გამოყენებული: იგი **რა**-კატეგორიის სახელებს ახასიათებს (ჭურჭელი იქნება ეს, იარაღი, ადგილი თუ სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის კატეგორიის ნიშნად **მ**- პრეფიქსს **მე** || **მო** || **მა**- ვარიანტებიც მოეპოვება; **მე**-ს მაგალითები გვქონდა, უხმოვნო **მ**-სიც. **მო**-ს ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა:

მო-ქალაქ-ე... მო-ნადირ-ე... მო-საყრდ-ე... მო-ჭასაკ-ე... მოწეს-ე...

... და იყო იგი საყუარელ ყლთა მოქალაქეთა და მეცნიერთა... ოქრობ., 13v (მოქალაქე = ქალაქის მცხოვრები; მეცნიერი = ნაცნობი).

... მონადირეთა მრავალთა... მოიცვნეს ოთხნი გარე თხანი... ხანთძ., **ძბ**7 ქვ.

... უბრძანა, რადთა მონადირენი იგი... წარგზავნენ: და ნადირთა მათ ჭამადი სცა და განუტევნა მშვლობით... ხანთძ., **ძბ**3 ქვ.

... რწ მოსაყრდე არს.. დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლი-სასა... სვან., 415.

¹ სვან. მეთხუჲარ „მონადირე“

... ანუ ვინ ესრეთ პატიოსან იყო წე ყლთასა არა მოჰასაკეთა უდენ: (!) ად ძუელთაცა... ბასილ., 8r.

... ყოველთა მათ მოწესეთა ანჩისა... ეკლესიისათა წიგნი მიწერეს ქართლისა კათალიკოსისა მიმართ... ხანძთ., 58¹¹ ქვ.

§57. ხმოვან-დართულ ვარიანტებში (მე-, მო-) ადამიანის კატეგორიის ფორმანტი მარტოოდენ მ- პრეფიქსი უნდა იყოს, -ე-, -ო- ხმოვანთა ფუნქცია სარკვევია.

ასევე ნივთის კატეგორიის დამახასიათებელ პრეფიქსად ს- უნდა გვქონდეს, ხმოვნის დართვით კი მის ვარიანტებს ვიღებთ.

ერთი ასეთი ვარიანტი სა- უკვე გვქონდა (ზემოთ). სხვა ვარიანტებს ქვემოთ შევხებით.

სა- პრეფიქსი, ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი, გვქონდა ნაწარმოებ ფუძეებში: სა-რწყულ-ი, სა-ზუერ-ე, სა-შუალ-ი...

ნივთის კატეგორიის საწარმოებელი პრეფიქსი გამოიყოფა ისეთ სახელებშიც, სადაც ფუძე, ერთი შეხედვით, მარტივია: ასეთია, მაგალითად, ს-ძე-ე, შე-შა-ე, სი-სხლ-ი... და სხვ. (იხ. გვ. 143-44).

ს-ძ-ე... ახ. ქართ. რ-ძ-ე... სვ. ლგ-ჯ-ე...

მეგრ. ბ-ყ-ა ← ბ-ყ-ალ- (იხ. მა-ბ-ყ-ალ-ი-ა — „რძიანა“ — ბალახის სახელია).

ჭან. მ-ჯ-ა || მ-ყ-ა || ბ-ყ-ა || ბ-ჯ-ა მ-ყ-ალ-ვა || ბ-ყ-ალ-ვა || ყ-ალ-ვა იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 94.

... ჩნ მდის... მას სძესა დაუწყუდედელსა ტკბილსა ვსუამთ... კიმენი, 11¹⁵.

... უამსა მას რლსა მისცის სძე საზრდელად ყრმასა... კიმენი, 218¹².

... რომელთა ნაცვლად სძისა აღმზარდეთ სულიერითა მოძღურებისა საზრდელითა... ხანძთ., 86⁶ ქვ.

ჭანურისათვის, როგორც ეს ნაჩვენებია შედარ. ლექსკ.-ში, ამოსავალია მ-ყ-ა ← მ-ყ-ალ-: მ- ფონეტიკური დანართია. მ-ს ადგილს მეგრულში, სპორადულად ჭანურშიც, იჭერს ბ; ჯ ჭანურში მიღებულია ყ-საგან.

ჭანურისა და მეგრულის ჩვენებათა თანახმად ქართულში უნდა გვქონოდა ზ-ენ- || ზ-ელ- („შედარ. ლექსიკ.“, 94).

ბოლოკიდური -ნ (||-ლ) აქ დაკარგულია, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში (დღ-ენ- → დღე-... ძენ- → ძე-...).

ეს ზე უნდა იყოს შემონახული ხევსურულ ზის-ცვარ-ში, რაიც რძეს ნიშნავს:

... როსაც ზის-ცვართ დღეებდ, ეს ეშმა თუ წავიდოდ წყალზე...

ამაჰკრედდ წყალს, მაიტანდ შინ, ჩაასხემდ ზის-ცვართ და სრუ კარაქად იქცეოდ... (ვეფსურული მასალები: „წელიწდული“, 156₁₅).

ზის-ცვარ-ში „ზე“ „მზე“-ს მოგვაგონებს, მაგრამ სემასიოლოგიურად გაუგებარი იქნებოდა გამოთქმა „მზის-ცვარი“!

თუ ქართულში ამ სახელისათვის ძირეულია **ზ** და ჭანურისა და მეგრულისათვის **ჟ**, მაშინ სვან. **ჟ** მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. — დაახლოებით იმ რიგისად, როგორც ჭან. მ-ჟ-ა-ში გვაქვს.

სხვაგვარი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაკეთდება, თუ **ჟ** → **შ** და ხევსურული **ზ** → **ძ** (უნდა კი იყოს პირუკუ).

სვანურსა და ქართულში ამ სახელს მოეპოვება პრეფიქსი: **ლ-გ-** || **ს-**; ეს შეფარდება საგნებით კანონზომიერია (შდრ. მაგალ. **ლ-გ-გ** — დგა-**ს**... აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო პრეფიქსები, — ქვემოთ).

ყურადღებას იქცევს სვანურში პრეფიქსთან ხმოვნის გამოვლენა: **ლ-გ-** მაშინ, როდესაც ქართულში პრეფიქსს მხოლოდ თანხმოვანი წარმოადგენს. რაც შეეხება **ს-ძე-** || **რ-ძე-**-ს ურთიერთობას, ძვ. ქართ. **ს-** და ახალი ქართ. **რ-** სხვა შემთხვევებიდანაც ცნობილია: ძვ. ქართ. **ს**თუელ-ი — ახ. ქართ. **რ**თველ-ი¹...

ჭანურსა და მეგრულში **ბ-**ს ფუნქცია და რაობა იქნებოდა სარკვევი, თუ იგი **მ-**ს ბგერინაცვალი არაა, როგორც ამას ჩვენ ვვარაუდობთ („შედარ. ლექსიკ.“, 94).

ეს საკითხი კი გაჩნდება, თუ **მ-**ს ფონეტიკურ დანართად არ მივიჩნევდით; ამგვარად ორი შესაძლებლობა ისახება:

მ ფონეტ. დანართია → **ბ**;

ანდა: **მ** ← **ბ**. ეს უკანასკნელი მორფოლოგიური ოდენობაა, ნივთის კატეგორიის ნიშანი, **ს-** || **ლ-**ს ფუნქციის მქონე (იხ. ქვემოთ). ჩვენ პირველ შესაძლებლობას ვუჭერთ მხარს.

ს-ძე- ფუძესა და **ძუძუ-**ს საერთო ძირი უნდა ჰქონდეს: **ძუ-ძ-უ-**.

შე-შ-ა — ჭან. **დი-შქ-ა** || **დი-შკ-ა** „შეშა“, „ხე“ (მერქანი)

მეგრ. **დი-შქ-ა** (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 157).

... დაიწუებოდა სიცხისა მის გან შოა ზაფხულისა გ^ა შეშა^ა ცეცხლისაგან... საბა ასურ., 10₁.

ბოლოკიდური **-ა** ← **-ალ** („შედარ. ლექსიკ.“, 157). თავკიდური **დი-** ქართ. **შე-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია. უკვე ი. ყიფშიძეს აქვს აღნიშნული, რომ **შე-** ← **სე-** მომდევნო **შ-**სთან, რომელიც ძირეული მასა-

¹ თითქოს საწინააღმდეგო შეფარდებაა მოცემული ძვ. ქართ. **რ**ტო-სა და ახ. ქართ. **შ**ტო-ს შორის (**შ**ტო ← **ს**ტო?)

ლაა, ასიმილაციის გამო („ასიმილ.“ — უნივ. მოამბე, I, გვ. 4).

ეს **სე-** იმავე ფუნქციისა უნდა იყოს, რაც **ს-** **ს-ძე-**ში, ანდა **სა-** **სა-** ზუერ-ე-ში.

ჭანურ-მეგრული **დი-** იმავე მორფოლოგიურ ფუნქციისად უნდა ვცნოთ, რაც **სე-**ს გააჩნია: **დი-** || **სე-** ფონეტიკურად ერთმანეთს არ შეესატყვისება.

ქართ. **ცე-ცხ-ლ-**ი — ჭან. **და-ჩხ-ურ-**ი || **და-ჩხ-ირ-**ი || **და-ჩხ-ი-**ი,
მეგრ. **და-ჩხ-ირ-**ი (იხ. „შედ. ლექსიკ.“, 158).

... და ცეცხლი მათი არა დაშრტების... ჰადიშ., 85a2;

ჭანურში რომ დაჩხურ - ვარიანტია ამოსავალი, ნაჩვენებია „შედარ. ლექსიკ.“ (გვ. 158); მეგრ. დაჩხირ - იმეორებს ჭანურის მეორე ვარიანტს. **-ურ-** || → **-ირ-** დეტერმინანტი სუფიქსია (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 49).

ძირეულ მასალად გამოიყოფა **-ცხ-**, რომელშიაც **-ხ-** ფონეტიკურად განვითარებული ჩანს: **ცხ-** ← **ც-**: ეს უკანასკნელია ძირის ისტორიულად უწინარესი სახეობა.

თავკიდური **ცე** ← **სე** მომდევნო **ც-**სთან ასიმილაციის გამო, როგორც ეს დადგენილი აქვს ი. ყიფშიძეს („ასიმილ.“ — უნივ. მოამბე, I, გვ. 4). მასვე აქვს გამოყოფილი ეს ნაწილი პრეფიქსად (ფუნქციის აღუნიშნავად).

ამ **სე-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია ჭან.-მეგრ. **და-** (იხ. ზემოთ შეფარდება **სე-** || **დი-**): აქაც ნივთის კატეგორიის პრეფიქსებთან გვაქვს საქმე.

სვან. ლე-მესგ - „ცეცხლი“ სხვა ძირისა ჩანს, თავკიდური **ლე-** კი აქაც პრეფიქსია, არსებითად იმავე ფუნქციისა, რაც **სე-** || **და-** პრეფიქსებს მოეპოვებათ.

ქართ. **ცა-ცხ-ვ-** — სვ. **ცა-ცხ-უ**
მეგრ. **ცხა-ცხ-უ**
ჭან. **დუ-ცხ-უ**

ძვ. ქართულში ეს სიტყვა ჩვენ არ შეგვხვედრია.

ქართ. ცაცხვ-ში **ცა-** რომ თავსართია, ამას მოწმობს ჭან. **დუ-** (შდრ. **ცე-ცხ-ლ-**ი — ჭან. **და-ჩხ-ურ-**ი). ივარაუდება, რომ **ცა-** ← **სა-**: **ცა-** ცხვ-ი ← ***სა-** ცხვ-ი (შდრ. **ცე-ცხ-ლ-**ი ← **სე-ცხ-ლ-**ი).

მეგრ. **ცხაცხუ-** ← **ცაცხუ** (ისევე, როგორც ცხორცხალ-ი ← ცოცხალ-ი). ეს ვარიანტი — **ცაცხუ** — დაცულია სვანურში; ეჭვი არაა, რომ იგი შეთვისებულია მეგრულიდან, მას დაუცავს შესაბამი სახე, ოღონდ ბო-

ლოკიდური ბგერა უმარცვლო უ-ა. მისი ფუნქცია იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 129.

ჭანური დუ-ცხ-უ ← * და-ცხ-უ ასიმილაციის შედეგად.

-ცხ- ძირეული ჩანს და ყველა ქართველურ ენაში მეორდება; მასში -
ხ- ფონეტიკური დანართი უნდა იყოს.

ამრიგად, ზემოთქმულის მიხედვით ამ სიტყვის ორი ვარიანტი უნდა
მივიჩნიოთ ამოსავლად: ქართ. **სა-ცხ-ვ** → **ცა-ცხ-ვ**¹

და ჭან. ***და-ცხ-უ** → **დუ-ცხ-უ**

აქაც ქართ. **სა-** — ჭან. **და-** პრეფიქსები ერთმანეთს ედრება მორფო-
ლოგიურად წინა მაგალითების მსგავსად და ნივთის კატეგორიისაა.

ქართ. **სი-სხ-ლ-** — სვან. **ზი-სხ**

მეგრ. **ზი-სხ-ირ-** || **ზგ-სხ-გრ-**

ჭან. **დი-ცხ-ირ-** || **დინ-ცხ-ირ-**

... და დასთხინნეს სისხლნი მათნი... კიმენი, 37₁₄.

... და ვიხილე სისხლი იგი... მდინარჳ... იქვე, 39₁₄.

მეგრ. **ზგ-სხ-გრ-ი** ← **ზი-სხ-ირ-ი** ← **დი-ცხ-ირ-ი**. შუა საფეხურად
უკანასკნელ ორ ვარიანტს შორის ივარაუდება ***ძი-სხ-ირ-ი**; შდრ. ჭან. **დი-**
ც-ამ-ს || **ძი-ც-ამ-ს**, მეგრ. ი-**ძი-ც-ან-ს**; ქართ. **და-დვ-ა** — **ძვეს** (იხ. „შედარ.
ლექსიკ.“, 72).

მაშასადამე, მეგრ. **ზი-სხ-ირ-ი-ს** **ზი-** ქართ. **სი-ს** ფონეტიკური ვარი-
ანტი როდია, იგი ჭან. **დი-საგან** მომდინარეობს².

სვან. **ზი-სხ-** ეკედლება მეგრულ **ზი-სხ-ირ-ს**.

ქართ. **სი-**, ჭან. და მეგრ. **დი-** პრეფიქსები ერთმანეთთან კანონზომი-
ერ მორფოლოგიურ შესატყვისობაშია და ნივთის კატეგორიის მაჩვენებე-
ლია.

ძვ. ქართ. **შა-შ-ვ** (= შა-შ-უ-ი) — მეგრ. **ზე-სქ-ვ-ი**

ჭან. **ზე-სკ-უ** || **მ-ზე-სკ-უ**

... და იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჳდა ოდესმე... ოჳსთა ბაბილო-
თა მწიფეთა ქუეშე რომელთა მრავალგზის შაშვ ჳამდა... ხანძთ., **მ3**₁₂ ქვ.

¹ ქართულშიც აქ უმარცვლო უ ივარაუდება ბოლოს.

² ნ. მარს პროცესის მსვლელობა ესმის ასე: **ზი** → **ძი** → **დი** (იხ. ჭან. გრამ., §119 c, შენიშვნა).

როგორც „შედარებ. ლექსიკ.“, გვ. 105 აღნიშნულია, **ზე-** ჭანურსა და მეგრულში უნდა იყოს პრეფიქსი, მიღებული **დე-**საგან **ძე-**ს მეშვეობით.

ქართულშიც ***შა-** ← **სა-** (შდრ. შეშა ← სეშა... შიში ← სიში...)

ამგვარად: ქართ. ***სა-შ-უ-** → **შა-შ-ვ-**

ჭან.-მეგრ. ***დე-სქ-უ** → ***ძე-სქ-ვ-ი** → **ზე-სქ-ვ-**.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, როგორ მივიღეთ ქართ. **შა-**ს შესაბამისად ჭანურსა და მეგრულში **ზე-**...

წინა მაგალითებში ქართ. **ს-** || **სე-** || **სა-** || **სი-** პრეფიქსების შესაბამისად ჭანურსა და მეგრულში მივიღეთ **დი-** || **და-** || **დე-** პრეფიქსები (ხმოვანდაურთავი **დ-** არ გვქონია!), ე. ი. **ს-**ს გარდა ნივთის კატეგორიის ნიშნად ქართველურ ენებში **დ-**ც დადასტურდა.

§58. ამ **დ-**ს სპორადულად ქართულშიც ვპოვებთ.

ასე, მაგალ., ქართ. ჭიანჭველა, ჭინჭარი, თვე, დათვი, მტკვარი... ასეთი პრეფიქსის შემცველია ისტორიულად.

ქართ. **ჭიანჭველა** ← **ჯი-ნ-ჭვ-ელ-** — ჭან. **დი-მ-ჭკ-უ** || **დუ-მ-ჭკ-უ**

მეგრ. **ჭგი-ჭგი-ტი-ა** || **ჭკი-ჭკი-ტი-ა**

„შედარ. ლექსიკონში“ (გვ. 114) ნაჩვენებია გვაქვს, რომ ძირეულ მასალას: **ჭვ-** წარმოადგენს და მას შეეფერება **ჭკუ-** ჭანურში: **-კ-** განვითარებულია.

მეგრული ვარიანტები მეორეულია (ჭანურთან შედარებით) ისევე, როგორც ქართ. ჭიანჭველა (დაწვრილებით იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 114).

ქართულისათვის ამოსავალია ჭიანჭველ-ი; ეს დასტურდება ძვ. ქართულით:

... სოლომონი იტყუს იგავსა მიგულაჲ ჭიანჭველისა და ჰბაძევდ... სამი სახც არს ჭიანჭველისაჲ. პირველი სახც... სახისმეტყვე, 19¹.

... მეორე სახც ჭიანჭველისაჲ... იქვე, 19²⁰.

... მესამე სახც ჭიანჭველისაჲ... იქვე, 20⁵.

ჭიანჭველი გვაქვს გვარში დაცული: ჭიანჭველაშვილი (და არა: ჭიანჭველაშვილი“ და მით უფრო — „ჭიანჭველაშვილი“).

ჰან. **დი-მ-ჰკუ**-სთან შედარება მოწმობს, რომ ქართ. **ჰი-ნ-ჰველ-ი** ← **დი-ნ-ჰველ-ი**: აქ უფრო ნაწილობრივი ასიმილაცია უნდა გვქონდეს (**დ — ჰ: ჰ — ჰ**), ვინემ თავკიდური **დ**-ს გააფრიკატება მომდევნო **ი**-ს ზეგავლენით. ამ ასიმილაციის შემდგომი საფეხურია **ჰინჰველი**, ხოლო **ჰიანჰველა** ხალხური ეტიმოლოგიის პროდუქტს წარმოგვიდგენს (ჰია-...). ასიმილაციის შედეგადაა მეგრ. ჰკიჰკიტია-ში თავკიდური **ჰ**- მიღებული.

თავკიდური **დი- დი-ნჰველ-** || **დი-მჰკუ**-ში იმავე ოდენობად უნდა ვცნოთ, რაც **დი-შქა-**, **დი-ცხირ-** სიტყვებში გამოიყო, იგი ნივთის კატეგორიის პრეფიქსია.

საფიქრებელია, რომ ანალოგიურ პრეფიქსს შეიცავს **ჰინჰარ-ი-ც** ← **ჰი-ნჰ-არ-** ← ***დი-ნ-ჰ-არ-**, შდრ. ჰან. **დი-ჰკ-იჰ-ი** (იხ. ნ. მარის „ჰან. გრამ.“, გვ. 139).

ძვ. ქართ. **თ-თუე-** || **თჰ-თ-ე-** „თვე“
 ჰან.-მეგრ. **თუ-თ-ა** „თვე“; „მთვარე“
 სვან. **დო-შდ-ულ** „მთვარე“

ვარ. თოფურიას სამართლიანად აქვს გამორკვეული, რომ ამ სიტყვას თავკიდურად **დ-** უნდა ჰქონოდა ჰანურ-მეგრულშიც და ქართულშიც; მკვლევარი ამ შემთხვევაში სვანურს ემყარება; ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, ქართ. **თ-**ს შესატყვისად სვანურს თავკიდურ **დ-**ს ნაცვლად **შდ-** უნდა ჰქონოდაო (თავჯ = სვან. **შდუგჷ**, **თხილ-ი** — სვან. **შდხ...** — იხ. ქართ. ერის ისტ. I, მესამე გამოცემა, 1928, გვ. 124), სავსებით მართებულია, თუ თავკიდურ **თ-**ს ძირეულ მასალად მივიჩნევთ. მაგრამ საქმის ვითარება იცვლება, თუ ვივარაუდებთ, რომ თავკიდური **თ-** ფორმანტია: სვან. **დო-შდ-ულ**-ში თავკიდურად **შდ-** არა გვაქვს იმიტომ, რომ აქ შესატყვისობა არა გვაქვს, თავკიდური **დო-** იგივე ფორმანტია, რაც **თუ-** ჰანურ-მეგრულ **თუ-თ-ა**-ში და ქართ. **თუ-თ-ე**-ში; შესატყვისობა არა გვაქვს, რადგანაც ერთი და იგივე ფორმანტია ყველა ქართველურ ენაში: **დო-** || **თუ-** ← **დუ-**: ვარ. თოფურიას ანალიზს მხოლოდ ამ მხრივ ესაჭიროება შევსება.

ქართ. თთუე-ში რომ თანებს შორის ხმოვანი ივარაუდებოდა, ამაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ ნ. მარის, ი. ყიფშიძე. ასეთი ვარიანტები ძვ. ქართულშიც დასტურდება.

ძვ. ქართულში თვე-ფუძე ასეთი სახით დასტურდება: **თჰთე-**, **თთუე-** || **თთჰე-**, **თჰე-**, **თუე-**...

... და იმაღვიდა თავსა თჳსსა ხუთ თჳთე... ჰადიშ., 202b₁-b₂.

... და არს დასაბამი ტანჯვათა მათ... შუშანიკისთაჲ თთუესა აბნი-
სისა მერვესა თთჳსასა... და კულად ტანჯვად ვარდობისა თთუესა
ათცხრამეტსა და აღსრულებად მისი თთუესა ოკდონბერსა... შუშან.,
46₄.

... და თთჳესა მას მეექუსესა მიივლინა გაბრიელ... ჰადიშ., 103a₂

... და ესე მეექუსე თთჳე არს მისი... ჰადიშ., 102b₂.

... ორთა ამათ თუეთა შაშუალ მარტსა და აპრილსა... ბოლნ., 216 ქვ.

... მოკუდა თუესა სეკდენბერსა... წარტყუნ., 119.

... იყვნეს... ოდეს იგი დაეწმნეს ცანი სამ წელ და ექუს თჳე... ჰა-
დიშ., 110b₂.

აქ მოყვანილ ვარიანტთაგან **თუე-** ყველაზე ახალია (ეს იგივეა, რაც
ახ. ქართ. თვე); ყველაზე ძველი ჩანს **თჳ-თ-ე**, შდრ. ჰან.-მეგრ. **თუ-თ-ა**.

თუ ← **დუ** (← || **დო**- სვან.) ნივთის კატეგორიის პრეფიქსია. ძირე-
ულ **-თ**-ს შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 203-204. იქვე მითითება ლიტე-
რატურაზე; სახელდობრ: ნ. მარი: Др.-груз.-рус. сл. 10; Опред. Ахем. 64;
ვ. თოფურია: ფონეტ. დაკვირვებ. I. მიმოხ., 216-219; ივ. ჯავახ-
იშვილი, ქართვ. ერის ისტ. I (1928), 122-124; ი. ყიფშიძე: ასიმილ.
და დისიმილ., უნივერ. მოამბე, I, 3.

ქართ. **და-თ-ვი** — ჰან. **მ-თუ-თ-ი** || **თუ-თ-ი**
მეგრ. **თუ-ნ-თ-ი**
სვან. **და-შდ-უ** (|| ლაშხ. **დე-შდ-უ**).

როგორც ვარ. თოფურიას აქვს გარკვეული, ჰანურსა და მე-
გრულში თავიიდური **თ** ← **დ** ასიმილაციის ნიადაგზე („ფონეტ. დაკვირ-
ვებ.“, II, 247).

მ- ჰანურში, **-ნ**- მეგრულში ფონეტიკური დანართია; ძირეულია **-თ**-,
სვანურში კანონზომიერად წარმოდგენილია **-შდ**-ს სახით; **-უ** || **-უ** დეტერ-
მინანტი სუფიქსია (შედარ. ლექსიკ. 88-89); ზანურში ეს სუფიქსი არა
ჩანს: დაკარგული უნდა იყოს; დაკარგულ **უ** || **ვ**-ს კვალი უნდა ჩანდეს
თუ-ში: **თუ** ← **თო**, თუმცა **უ** ← **ო** ამის გარეშეც შეუძლებელი არაა ზა-
ნურში.

და- ქართულისა, **და-** სვანურისა და მისი ეკვივალენტი **დო**- → **დუ**-
→ **თუ**- ზანურში ნივთის კატეგორიის პრეფიქსია: აქაც ყველა ქართვე-
ლურ ენაში ერთი და იგივე **და**- დასტურდება.

ქართველურ ენებში **დათვ**- ფუძისათვის ძირად **-თ**-ს გამოყოფა შე-

საძლებელს ხდის მას დაუკავშიროთ რიგ კავკასიურ ენათა იმავე მნიშვნელობის ძირები: ხუნძური **ცაი** (იხ. Услар, Авар. яз., словарь, 212), ლაკური **ცუ**-მა (ნათ. ცუ-ხ-ლულ)(იხ. Услар. Лакский яз., 375), ჩაჩნური **ჩა** (იხ. Услар, Чечен. яз., 228), თაბასარანული **შე** (იხ. Дирр. Грам. табас. яз.) და იქნებ აფხაზ. ა-მ-ში- სახელის ძირიც (იხ. Услар. Абхаз. яз., 250).

არაა გამორიცხული, რომ იმავე ძირის ფონეტიკური მოდიფიკაცია გვქონდეს როგორც დარგულ **სინქა** („დათვი“) და კიურულ **სეუ** („დათვი“) სახელთა ძირებში (იხ. Услар. Хюркилин. яз., 427, მისივე Кюрин. яз., 547), აგრეთვე დალისტნის ზოგი სხვა ენის ლექსიკურ მასალაში ამავე მნიშვნელობისა.

სხენებულ მაგალითებს უნდა მივმართო **მ-ტ-კუარ-ი**:

... და დააგზნეს ცეცხლი... პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოღვ, კლღვ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი... აბო, 751.

ამ სახელში **მ**- ფონეტიკური დანართი ჩანს, **-ტ-** კიდევ მომდევნო **-კ-**ს ზეგავლენით გამკვეთრებული **დ-** არის და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი უნდა იყოს, როგორც ამას გაკვირით, მაგრამ არსებითად მართებულად აღნიშნავდა ნ. მარო: ხუნძური ჟორ „წყალი“, „მდინარე“ მას შესაძლებლად მიაჩნია დაუკავშიროს კურ- ფუძეს ὁ Κύρος (რაც სადავოა) და შემდეგ წერს: ამასვე ეკედლება ქართული სახელი იმავე მდინარისა მ-ტკუარ-ი, საკუთრივ მისი ფუძე ტკორ, მასთან **ტ**-ში გვაქვს კლასის ანუ სქესის ნიშანი, რომელიც ლაკურ ენაში ბგერს **დ**-ს სახით; სწორედ ეს სქეს-ნიშანი თუ კლას-ნიშანი განეკუთვნება ლაკურ სიტყვას ნეხ, რაიც „მდინარეს“, „ნაკადულს“ ნიშნავს (იხ. Непочатый источник, ИАН (1917), 330, შენიშვნა 2).

ლაკური ენის კლას-კატეგორიის ნიშანი **დ-** იყო ამოსავალი ნ. მარისათვის, როცა მტკუარ-ში **ტ** ← **დ** კლასის ნიშნად გამოაცხადა. **დ-** ლაკურში მეოთხე კლასის ნიშანია. არა ჩანს, სამწუხაროდ, რა კლასის ნიშნად მიიჩნია მტკუარში ნ. მარმა ეს **ტ** ← **დ**. ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი. ის კი ცხადია, რომ დათუ-, თთუე-, ჭინჭველ- და სხვ. ფუძეთა პრეფიქსები ამავე წრეში მას არ განუხილავს: დალისტნის ერთ-ერთი ენის სტრუქტურა იყო, როგორც ვთქვით, ამოსავალი და არა ქართველური ენების მონაცემთა ანალიზი.

ფაქტი სწორადაა მაინც ნაჩვენები.

ქართ. **ძაღლ-**, ზან. **ჯოდორ-** (სვან. **ჟედ-**)... თავკიდური **ძა-** || **ჯო-** სა-

ფიქრებელია ძველის-ძველად **და**-საგან მოდიოდეს და იმავე ნივთის კატეგორიის ნიშანი იყოს. ძირეულ მასალად აქ **-ლ-** უნდა გვქონდეს: მომდევნო **-ლ-** || **-ორ-** დეტერმინანტი სუფიქსია (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 82).

ზანურისა და სვანურის ჩვენება მოწმობს, რომ **დი-** პრეფიქსი უნდა გვქონოდა **თხელ-** ატრიბუტივთანაც:

ქართ.	თხ-ელ-	
სვან.	დგ-თხ-ელ-	„თხელი“
ჭან.	თი-თხ-უ თუ-თხ-უ	„
მეგრ.	თხი-თხ-უ	„ (იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 239).

სვან. **დგ-თხ-ელ-** ← **დი-თხ-ელ-**ში წარმოდგენილია ის სახე, რომელიც ამ სიტყვას ქართულში უნდა ჰქონოდა. **დ თ ხ ე ლ** - ფორმის არსებობა ქართულში დადგენილი აქვს ვარ. თოფურიას (ფონეტიკ. დაკვირვებანი. „მიმომხილველი“ I, 215-216), ოღონდ **დ-** პრეფიქსად გამოყოფილი არაა; მერე: სვან. **დგ-თხ-ელ-**ს მეგრულიდან შეთვისებულად თვლის ავტორი, — ამას აბრკოლებს სუფიქსთა სხვაობა: **-ელ-** || **-უ-**.

§59. **დ-**ს პარალელურად უნდა მივუთითოთ **ნ-** || **რ-** || **ლ-** პრეფიქსებზედაც. სათანადო მაგალითები უფრო მცირეა, თუ ნაზმნარ სახელებს არ მივიღებთ მხედველობაში. **ნ-** პრეფიქსის უდავო მაგალითია მოცემული **ნი-კაბ-**ში:

ნი-კაბ- ი	— შდრ. მეგრ.	ნგ-კგ ნუ-კუ	„ნიკაპი“
	ჭან.	ნუ-კუ ნუ-ნ-კუ	„ნიკაპი“; „პირისახე“
	სვან.	კაბ-რჷჷ	
	ქართ.	კაბ-უნ-ი	„ყბათა ყბის ტყეცება“ (საბა)

ძირეულ მასალად **კაბ-** გამოიყოფა (ნ. მარი, ვარ. თოფურიას); **ნი-** || **ნუ-** პრეფიქსია **სი-** || **დი-**ს ფუნქციისა (იხ. ვ. თოფურიას: ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, 91; ნ. მარი. К вопросу о полож. абхаз. яз. среди яфетических, 16).

ეგევე **კაბ-** ძირი გვაქვს **რუ-კაბ-**შიც; **რო-კაბ-**ის სახით ეს სიტყვა ცნობილია მეგრულში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, როგორც ილ. ჭყონია აღნიშნავს: „დასავლეთ საქართველოში როკაპათ მდებრობით სქესის კუდიანების უფროსს გულისხმობენ“ (სიტყვის კონა, 42; იხ.

აგრეთვე: ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამატიკ., ქრესტ. 307; ს. ყდენტი. გურული კილო, 240): **რუკაბ-** ← **რო-კაბ-**.

ეგვე სიტყვა შეთვისებული აქვს აფხაზურს: ა-რუაკაბ. **რო-კაბ-** სიტყვის ეტიმოლოგიური კავშირი ყბასთან (**კაბ-** — „ყბა“) ცხადად ჩანს საბას განმარტებიდან:

„**რუკაბი** — ძლიერ ბებერი დედაკაცი და დიდად ყბელი და კუდიანი“ (ქართ. ლექსიკ., 1928 წლ. გამოც., გვ. 282).

„ყბელი“ აქ „ყბიანს“ ნიშნავს: „დიდად ყბელი“ — „მეტის მეტად ყბიანი“, „მეტად დიდი ყბის მქონე“.

„შედარ. ლექსიკონში“ (გვ. 155) ნაჩვენებია, რომ **ნე-** თავსართი გვაქვს ქართ. **ნე-დღ-**ში; შდრ. მეგრ. **ლა-დირ-**ი, ჰან. **ლა-დ-რ-ე** || → **ლა-რ-დ-ე**.

ლა- პრეფიქსი გამოიყოფა ქართ. **ლა-შ-** სახელში; „**ბაგენი** არიან კაცთა პირთა ორნივე ლაშნი“ (საბა); ხევსურულად **ლაშ-**ი ამჟამადაც იხმარება ბაგის მნიშვნელობით: „კაცმ სასმელს ლაშნი არ უნდა აურთხნას“ (წელიწადეული, გვ. 123-124).

ქართ. **ლა-შ-**ი, ჰან. **ლე-შქ-**ი, მეგრ. **ლე-ჩქე-**ი: **ლა-** || **ლე-** პრეფიქსები **ნე-** || **სე-**ს ფუნქციისაა. ამავე სიტყვის სხვა ნაწილების შესახებ იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 51-52.

ნე- პრეფიქსი უნდა გვქონდეს სახელებში: **ნე-ზგ-**ი (ივ. ჯავახიშვილი), **ნე-კ-**ი (ვარ. თოფურია)...

ნაზმნარ სახელებად შეიძლება განიმარტოს **ნე-სტკ,** **ნე-შტ-**ი, **ნე-რგ-**ი, **ნე-რწყ-**... და ამიტომ მათ ქვემოთ დავუბრუნდებით: **ნე-**ს პრეფიქსულობა აქ, რა თქმა უნდა, ეჭვის გარეშეა. ეს **ნე-** იგივეა, რა **ნე-ზგ-**ის **ნე-**.

ნი- || **ნე-** (ან ამგვარივე ფუნქციის) პრეფიქსების ოდენხმოვნიათი ნარჩენი **ი-**, **ე-** გვაქვს სახელებში:

ი-დაყ-ვ-ი || **ნი-დაყ-ვ-**ი შდრ. მეგრ. **დუყ-**ი

ჰან. **დუყ-უ** || **დუ-რ-ყ-უ**

(იხ. „შედარ. ლექსიკ.“, 59).

ენ-ა — შდრ. ჰან. **ნე-ნ-ა**, მეგრ. **ნი-ნ-ა**, სვან. **ნი-ნ** — „შედარ. ლექსიკ.“, 53 (შდრ. ჰან. **ნე-კნ-ა** || **ნე-კლ-ა** || **ნე-კრ-ა** || **ე-კნ-ა** — „ქართ. კარ-ი... იხ. შედარ. ლექსიკ.“, 155).

§60. დ-, ნ-, რ-, ლ-, თანხმოვანთა შემცველ პრეფიქსებს გარდა რიგ სახელებში გამოიყოფა **ბ-** თანხმოვნის შემცველი პრეფიქსიც, როგორც ეს გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს:

ბა-ვ-შვ-ი ← ბა-შვ-ი

ბა-ღან-ა

ბა-ტკან-ი ← ბა-ტიკან-ი... (იხ. ჯავახიშვილი. ქართ. და კავკას. ენ. ნათეს., 214).

ამავე **ბ-**ს ფონეტიკური სახეცვლაა **ფ-**:

ქართ. **ფ-რ-ჩხ-ილ-**ი || ძვ. ქართ. ფ-რ-ცხ-ილ-ი

მეგრ. **ბი-რ-ცხ-ა** (← ბუ-ცხ-ა) „ფრჩხილი“

ჭან. **ბუ-ცხ-ა** „(„შედარ. ლექსიკ.“, 61).

აგრეთვე **ფუ-ტკ-არ-**ი; შდრ. **ბუ-ტკ-უჯ-**ი („შედარ. ლექსიკ.“; 115).

ეს პრეფიქსი (**ბ-** || **ბა-**, **ბუ-**) სხვა კავკასიურ ენათაგან შეთვისებული კლას-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს „შედარ. ლექსიკ.“, გვ. 62, 115. ვგულისხმობთ ჩაჩხური ჯგუფისა და დაღესტნის რიგ ენებს, სადაც **ბ** კლას-კატეგორიის ნიშნად ამჟამადაც გვაქვს; ყველგან ესაა ნივთის კატეგორიის ნიშანი და განეკუთვნება მესამე კლასს (შეიძლება სხვა კლასსაც, თუ ნივთის კატეგორია ერთზე მეტი კლასისაგან შედგება).

ჩაჩხური ჯგუფისა და დაღესტნის ენებში ფართო გამოყენება აქვს **დ-** ფორმანტსაც, რომელიც აგრეთვე ნივთის კატეგორიის ნიშანია (ჩაჩხურში, ლაკურში, დარგულში, წახურულში, რუთულურში...).

იქნებ **დ-**ც ამ ენათა მორფოლოგიური ინვენტარიდანაა ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში) შეთვისებული?

ეს საკითხი ისევე უნდა გადაგვეწყვიტა, როგორც **ბ-**ს საკითხი, ერთი გარემოება, რომ არა: **დ-** პრეფიქსი სახელებში განმარტოებით არა დგას, **ბ-**ს შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით (უფრო დაწვრილებით — ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამრიგად, ნივთის კატეგორიის პრეფიქსებად გვაქვს (სიმარტივისთვის მხოლოდ თანხმოვნითს ელემენტს ვიღებთ):

ს- || **დ-** || **ნ-**, სპორადულად **რ-** || **ლ-** (და შეთვისებული **ბ-**).

§61. რით აიხსნება პრეფიქსთა სიმრავლე ამ შემთხვევაში? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ნივთის კატეგორია ერთ კლასს კი არ ქმნიდა ქართულში (და ქართველურ ენებში), არამედ რამდენიმე კლასად იყოფოდა?

ასეთი შესაძლებლობა უნდა გამოიჩინოს: ქართულის (და ქართველურ ენათა) სტრუქტურაში **ს-დ-ნ** აფიქსები სხვა შემთხვევაშიც გვაქვს და განსხვავებული ენობრივი ფენის კუთვნილება ჩანს; მაშასადამე, ფუნქციით კი არ განსხვავდება, არამედ ფენობრივ (**respect**. დიალექტობრივ), ე. ი. სხვადასხვა ფენაში ერთი და იმავე ფუნქციით გვევლინება.

ამათგან ძველი სალიტერატურო ქართულის ძირითადი ფენის კუთვნილებაა და ყველაზე მეტი ხვედრი წონა აქვს **ს**-პრეფიქსს, **დ**-უპირატესად ზანურს ეკედლება (თუმცა ქართულისთვისაც არაა უცხო), **ნ**-კიდევ ქართული სალიტერატურო ენის ერთ უძველეს ფენას განეკუთვნება (ისევე, როგორც ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი **-ან-||-ნ** — დაბ-ან-, ძმ-ან-...).

ადამიანის კატეგორიის ნიშანი (პრეფიქსი) ერთფეროვანია (**მ**-) ქართულში (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართველურ ენებშიც), ნივთის კატეგორიის ნიშანი (პრეფიქსი) ფონეტიკური შედგენილობის მხრივ ნაირფეროვანია (**ს-დ-ნ**...). ამ ფაქტის ახსნა იხ. ქვემოთ (სხვა ქართველურ ენებში კლას-კატეგორიის ნიშანთა გათვალისწინების შემდეგ).

უკვე აღნიშნული გვაქვს (გვ. 167-168), რომ ადამიანის კატეგორიის პრეფიქსი პროფესიის აღმნიშვნელ სახელებშია გამოყენებული: **მე-ზუერ-ე-, მე-კეც-ე-, მე-ნავ-ე-, მე-თევზ-ურ-**... და მსგავს წარმოებაში **მ**-ადამიანზე მიუთითებს. ასეთი წარმოება ძვ. ქართულშიც პროდუქტიული იყო და ახალ ქართულშიც ფართოდაა გამოყენებული: მოიშალა **მ**-იანი წარმოება **მ-ევკუბ-ელ-...** **მ-ტბევ-არ-...** **მ-თავ-არ-...** **მ-შუალ-ე-...** და მაგვარ სახელებში, მაგრამ მტკიცედ დაცულია წინანდელი ვითარება ე. წ. პროფესიის აღმნიშვნელ სახელებში...

§62. ნაწარმოებ სახელთა სხვა ჯგუფების ეგევე **მე-** უნდა გვქონდეს რიგითი რიცხვითი სახელების საწარმოებელ **მე-**პრეფიქსში:

მე-ორ-ე-, მე-სამ-ე-, მე-ოთხ-ე-, მე-ხუთ-ე-... **მე-ათ-ე-...**

აგრეთვე წილადის საწარმოებელ პრეფიქსში:

მე-სამ-ედ-ი, მე-ოთხ-ედ-ი, მე-ხუთ-ედ-ი, მე-ათ-ედ-ი-...

მე-სამ-ე- და მსგავსი რიცხვითი სახელი უთუოდ ადამიანს სრულიადაც არ ნიშნავს (შდრ. მესამე პირი... მკედარი... — მესამე დღე... წელი...).

მესამედი... და სხვა წილადი რიცხვითი სახელი მხოლოდ ნივთის კატეგორიის სახელებს გულისხმობს: რაღაცის მესამედი...

რიგითს რიცხვითს სახელებში მნიშვნელობის გაფართოება მოხდა:

მხოლოდ ადამიანის შესახებ ნივთების მიმართაც იხმარეს სწორედ ისევე, როგორც **მ-დიდ-არ-ი**, **მ-თავ-არ-ი**... თავდაპირველად მხოლოდ ადამიანს გულისხმობდა (დიდ-კაცს, თავ-კაცს), მერე კი ყოველგვარი სახელის მსაზღვრელად გამოიყენეს (მდიდარი ქვეყანა... მთავარი საქმე...).

მესამედ- და სხვა მსგავს სახელებში **წილადის** აღნიშვნა მეორეული მოვლენაა, მისთვის სხვა წარმოება უნდა ყოფილიყო გამოყენებული (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 58-61); მესამედ-ი მესამე-ს პირვანდელი სახეობაა (იხ. იქვე, გვ. 59). ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელად ის გამოიყენეს, ცხადია, მას შემდეგ, რაც კლას-კატეგორიათა გაგება, საერთოდ, შეირყა, ხოლო რიცხვით სახელებში მოიშალა კიდევ.

რიცხვით სახელებში კლას-კატეგორიათა გარჩევა ყველაზე ადრე უნდა მოშლილიყო: რიცხვი მაქსიმალურად განყენებული კატეგორიაა, კონკრეტულ სახეობათა ხმარების უხერხულობა აქ უნდა ეგრძნოთ ყველაზე მკვეთრად და ყველაზე ადრე.

შემთხვევითი როდია, რომ მთის კავკასიურ ენებში კლას-კატეგორიათა გარჩევა რიცხვში დაკარგული აქვს ისეთ ენებს, რომელთაც გრამატიკული კლასების სისტემა კარგად აქვთ დაცული; ასე, მაგალითად, ხუნძური, დარგული ამჟამად სამ კლასს განასხვავებს, რაოდენობით რიცხვით სახელებში — არც ერთს; ჩაჩნური ენა, რომელშიაც ოთხი კლასია გარჩეული, მხოლოდ ერთ სიტყვაში („ოთხი“) იძლევა გრამატიკულ კლასთა მიხედვით განსხვავებულ ფორმებს (იხ. **Услар. Чеченский язык, 60**): ვ-ი, დ-ი, ბ-ი = ოთხი (კაცი, ქალი, ძალი, გველი).

ყველა ამ ენაში რაოდენობითს რიცხვითს სახელებს გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მიხედვით განსხვავებული სახე უნდა ჰქონოდათ. ამის ნიმუში დღემდის დაცულია ლაკურში:

„ერთი“ — ცავა, ცარა, ცაბა (შდრ. რუს. **один, одна, одно**)
 „ორი“ — კივა, კირა, კიბა „ „ **два, две**)
 „სამი“ — შანვა, შანდა, შანბა
 „ოთხი“ — მუყვა, მუყრა, მუყბა და ასე შემდეგ
 (იხ. **Услар. Лакский яз., 72**)

ორი კლასი, ადამიანისა და ნივთისა, აფხაზურის რაოდენობითს რიცხვითს სახელებშიცაა გარჩეული: შდრ., მაგალით.: ვბა — „ორი (რამე)“, ჯგა „ორი (ვინმე)“... **Услар. Абхазский яз., § 90, გვ. 99-100**).

ქართულსა და ქართველურ ენებში ისევე უნდა ყოფილიყო რაოდენ-

ნობითს რიცხვითს სახელებში გარჩეული გრამატიკული კლას-კატეგორიები ადამიანისა და ნივთისა, როგორც სხვა სახელებში. სხვა სახელებში ნაშთილა გვაქვს, რაოდენობითს რიცხვითს სახელებში ნაშთიც აღარა ჩანს. რიგითს რიცხვითს სახელებში კი საწარმოებელ პრეფიქსებში სხვაობა უნდა გვქონოდა. ერთი შეხედვით, შეგვჩნდა მხოლოდ ერთი სახეობა, განზოგადებული მნიშვნელობით: **მე-** თავსართიანი წარმოება.

მაგრამ ქართულს სპორადულად მეორე წარმოებაც დაუცავს: **ნა-** თავსართიანი წარმოება:

ნა-სამ-ალ-ი...

ნა-ოთხ-ალ-ი...

ნა-ხუთ-ალ-ი...

ნა-ათ-ალ-ი... **ნა-**ას-ალ-ი... (ა. შანიძე. მორფ., 65)... **ნა-**ხევ-არ-ი (= „ნა-ორ-ალ-ი“) — ივ. ჯავახიშვილი. ქართ.-კავკას., 403).

ნა-იანი პრეფიქსი ზევით (გვ. 77-78) ნივთის კატეგორიის სახელებში დავადასტურეთ. ბუნებრივია, თუ ნაწარმოებ რიცხვით სახელებშიც, — რიგითს რიცხვითს სახელებში, — მას მივიჩნევდით ნივთის კატეგორიის სახელთა საწარმოებელ პრეფიქსად.

ამგვარად, რიგითს რიცხვითს სახელებში ვიღებთ შეპირისპირებულ ფორმებს:

მე-სამ-ე- (← მე-სამ-ე-დ-...) — **ნა-**სამ-ალ-

მე-ოთხ-ე- (← მე-ოთხ-ე-დ-...) — **ნა-**ოთხ-ალ-

მე-ხუთ-ე- (← მე-ხუთ-ე-დ-...) — **ნა-**ხუთ-ალ-

ისტორიულად **მე-** პრეფიქსიანი წარმოება **ადამიანის** კატეგორიისაა, **ნა-** პრეფიქსიანი — **ნივთის** კატეგორიისა.

ეს შეფარდება ამჟამადაც ძალაშია მეგრულში:

შდრ. **მა-**სუმ-ა „მესამე“ — **ნა-**სუმ-ორ-ი „მესამედი“

მა-ანთხ-ა „მეოთხე“ — **ნა-**ანთხ-ალ-ი „მეოთხედი“...

მე- და **ნა-** პრეფიქსთა კორელაცია რიგითს რიცხვითს სახელებში ამ პრეფიქსთა კვალიფიკაციის საფუძველია.

§63. ე. წ. პროფესიის აღმნიშვნელი წარმოების **მე-** პრეფიქსსაც მოეპოვება კორელატი; ესაა, ჯერ ერთი, **სა-** პრეფიქსი (ლიტერატურული ქართულის ისტორიაში შედარებით უფრო ახალი ფორმაციისა, მასთან მეტად პროდუქტიული — იხ. გვ. 158) და შემდეგ **ნა-** პრეფიქსი, იმავე რიგისა, რაც **ნა-**ოთხ-ალ- ტიპის რიცხვითს სახელებში გვაქვს:

ნა-წლ-ევ-ი

ნა-ლუარ-ევ-ი

ნა-ბიჭ-ევ-ი

ნა-კერპ-ავ-ი

ნა-მეტ-ავ-ი

ნა-თეს-ავ-ი... (სათანადო კონტექსტები ძვ. ქართ. იხ. პირვ. ნაწ., გვ. 92-93).

საგულისხმოა ამ მაგალითებში **ნა-** პრეფიქსის შეხამება **-ავ || -ევ-** სუფიქსებთან: ხნოვანება აკავშირებს მათ თუ ენობრივი ფენა?

§64. მ-იანი პრეფიქსის კორელაცია **ს-**იან და **ნ-**იან პრეფიქსებთან მტკიცე მასივს ქმნის ნაზმნარ ზედსართავთა, — მიმღობათა, — წარმოებაში:

როგორც ცნობილია, **მ-** აწარმოებს აწმყო დროის მიმღობას საშუალო და მოქმედებითი გვარის ზმნათავან, **სა-** — მყოფადი დროის მიმღობას საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, **ნა-** — ნამყო დროის მიმღობას აგრეთვე საშუალო და ვნებითი გვარის შინაარსით.

მყოფადის მიმღობას ორგვარი მნიშვნელობა ახასიათებს: ერთია აღნიშვნა ობიექტისა, რომელიც მოქმედების საგანს წარმოადგენს — ე. ი. რაც უნდა გაკეთდეს (დასაწერი, გასაკეთებელი, დასამუშავებელი — აქვს); მეორეა — აღნიშვნა იარაღისა, რითაც მოქმედება უნდა წარმოებდეს: საშრობი ქაღალდი, სათბობი მასალა, საკერი მანქანა, სალევო მანქანა...

საშუალო გვარის ზმნებში მნიშვნელობათა ასეთ დიფერენციაციას მიმღობა არ იძლევა (და ეს ბუნებრივიცაა).

ნა- პრეფიქსიანი მიმღობა ნამყო დროისა ხასიათდება **ოდენპრეფიქსიანი** წარმოებით: მიმღობის წარმოებისას სუფიქსს ზმნის ფუძე არ დაირთავს (ნა-წერ-ი, ნა-კერ-ი, ნა-შენ-ებ-ი, ნა-გლეჯ-ი, ნა-ტეხ-ი, ნა-ჭერ-ი, ნა-გებ-ი, ნა-თქვამ-ი...); შდრ. **ოდენსუფიქსიანი** წარმოება იმავე ნამყოში (წერ-ი-ლ-ი, შე-კერ-ი-ლ-ი, ა-შენებ-ულ-ი, და-გლეჯ-ი-ლ-ი, გა-ტეხ-ი-ლ-ი, და-ჭერ-ი-ლ-ი, ა-გებ-ულ-ი, თქმ-ულ-ი...).

მიმღობის წარმოებისას გამოყენებული სუფიქსები, როგორც ვიცით (პირვ., ნაწ. გვ. 69-70), დეტერმინანტი სუფიქსებია; უამსუფიქსებო წარმოება ძველის-ძველია; ეს ნიშნავს: **ნა**- პრეფიქსიანი მიმღობა ყველაზე ძველია მიმღობათა შორის (ეგვევ ეხება **ნე**- პრეფიქსიან წარმოებასაც. მაგალითები იხ. ქვემოთ).

რით განსხვავდება ნაზმნარ სახელთა, — მიმღობათა, — ეს პრეფიქსები (**მ** || **ნა** || **სა**-) იმ პრეფიქსებისაგან, რომლებიც სახელთაგან ნაწარმოებ სახელებში, — არსებით, ზედსართავ და რიცხვითს სახელებში, — გვაქვს?

იმით, რომ მიმღობა დროთა და გვართა მიხედვით გაირჩევა; ეს ზმნის ფუძიდან მოდის; მიმღობაში ისევე, როგორც სახელებში, ეს პრეფიქსები არსებითად იმავე როლს ასრულებენ, რასაც სახელებისაგან ნაწარმოებ სახელებში: **სა**- (|| **ნა**-) ისევე საგანს, იარაღს, აღნიშნავს, **მ**- — მოქმედს, აქტიურს.

მართალია, ამჟამად **სა**- პრეფიქსიანი მიმღობა ადამიანის მსაზღვრელადაც გამოიყენება (**სა**-ნატრელი დღე — **სა**-ნატრელი ძმა), **მ**- პრეფიქსიანი მიმღობა კიდევ ნივთის კატეგორიის სახელთა მსაზღვრელიცაა (**მ**-დინარ-ე... **მ**-ღელვარე ზღვა... **მ**-ჩქეფარე ტალღა... **მ**-გზნებარე სიტყვა); მაგრამ აქ ისეთივე გაფართოებაა მნიშვნელობისა, როგორიც **მ**-დიდ-არ-, **მ**-თავ-არ- სახელებთან ვნახეთ (გვ. 181).

თავდაპირველად, ეჭვს გარეშეა, მიმღობაშიც **მ**- ადამიანის კატეგორიაზე მიუთითებდა, **ნა**- || **სა**- — ნივთის კატეგორიაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმღობაში **დროისა** და **გვარის** კატეგორიათა შეფარდებას: **მყოფადში — მოქმედებითი გვარის მიმღობა შეუძლებელია, აწმყოხთვის — ვნებითი გვარის მიმღობაა უცხო** (სპორადული შემთხვევები ვნებითი მიმღობისა აწმყოში ამ დებულებას არ აქარწყლებს: მათი ახსნა ხერხდება).

რა იწვევს ამას? თუ აწმყო დროის მიმღობა მოქმედებითი გვარისაა, ამის სათავეა პირვანდელი მნიშვნელობა **მ**- პრეფიქსისა სახელთაგან ნაწარმოებ სახელებში: **მ**- ადამიანს აღნიშნავს, აქტიურ საწყისს განეკუთვნება; და პირუკუ: ვნებითი გვარისაა მყოფადის მიმღობა იმიტომ, რომ **სა**- პრეფიქსი ნივთის კატეგორიის ნიშანია ისტორიულად, იგი პასიურს, უმოქმედოს შეეფერება (ეგვევ ითქმის **ნა**- პრეფიქსით ნამყოში ვნებითის წარმოების შესახებ).

ამგვარად: **მ**-იანი წარმოება მოქმედებითი გვარისა იმიტომ კი არაა, რომ აწმყო დროშია (ასევე: **სა**-იანი წარმოება ვნებითი გვარისა იმიტომ კი არაა, რომ მყოფადშია), პირუკუ: აწმყო დრო მოქმედებითი გვარისა იმიტომ გამოვიდა, რომ მასში **მ**- გვაქვს, — ადამიანის კატეგორიის პრეფიქსი; მყოფადი დრო ვნებითი გვარისა იმიტომ აღმოჩნდა, რომ მასში საწარმოე-

ბელ პრეფიქსად **სა-** იყო, — ნივთის კატეგორიის პრეფიქსი, — მხედველობაში გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნის მიმღობა: მ-კეთ-ებ-ელ-ი — სა-კეთ-ებ-ელ-ი.

გვართა გარჩევა **აწმყო — მყოფადში ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა დაპირისპირებაზეა დამოკიდებული.**

ნამყო დროშიც **ნა-** პრეფიქსის გამოყენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული მიმღობის ვნებითობა (ნა-კეთ-ებ-ი...); რაკი გვარის მომენტი მიმღობაში ელიმინირებულია პრეფიქსებთან დაკავშირებით, მიმღობის განსასხვავებლად — სახელისაგან ნაწარმოები — სახელებისაგან დროის კატეგორია¹ რჩება.

საკმარისია მოიშალოს ის ზღუდე, რომელსაც დრო ქმნის და მიმღობა გადაიქცევა ჩვეულებრივ ნაწარმოებ სახელად, ზედსართავ ან არსებით სახელად. სათანადო მაგალითები ყოველ ენაში მოიპოვება (იხ. რუს. *управляющий... заведующий... заклятый враг... преданный друг...*).

ქართულში კი ეს პროცესი მეტად მარტივია; ეს თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ ჩვეულებრივ **მ-** პრეფიქსიანი მიმღობა დამოუკიდებლად ხმარებულ არსებით სახელს უფრო მოგვაგონებს, ვინემ სხვა სახელის მსაზღვრელად ხმარებულ ნაზმნარ ზედსართავს: მ შე ნ ე ბ ე ლ -ი უფრო **строитель** არის, ვინემ **строющий**, მკითხველ-ი — **читатель**, მფარველ-ი — **покровитель**, მწერალ-ი² — **писатель** (და არა **пищуший!**), მხსნელ-ი — **спаситель**, წარმომდგენ-ი — **предъявитель**, მთხოვნელ-ი — **проситель** და ასე შემდეგ.

დროის მომენტი ქართულში ადვილად იჩრდილება და ეს ნიშნავს: **მ- — სა- || ნა- (|| ნე-) პრეფიქსთა კორელაცია მიმღობაში წარმოშობით იგივეა, რაც სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში** დადასტურდა (მე-რწყულ-ი — სარწყულ-ი... მე-ზუერ-ე — სა-ზუერ-ე- ... მ-შუალ-ე — საშუალ-ი... მო-ქალაქ-ე- — სა-ქალაქ-ე- — ნა-ქალაქ-არ-ი || ნა-ქალაქ-ეგ-ი... მე-ოთხე- — — ნა-ოთხ-ალ-ი... და სხვ.).

¹ დროის კატეგორია, როგორც ცნობილია, მეორეულია და სახეობის (ასპექტის) კატეგორიამდის დაიყვანება. ასპექტისეული **-ი-** (პერმანსივობისა, ხოლმეობისა) უნდა გვქონდეს ნამყო დროის მიმღობაში და-წერ-**ი-**ლ-ის ტიპისა (დაწვრილებით აქ ვერ შევჩერდებით).

² საინტერესოა, რომ არსებითი სახელისაგან გასარჩევად ქართული ხშირად მიმღობას საწარმოებელი სუფიქსის გარეშე ხმარობს: მწერალ-ი — და-მ-წერ-ი... ამგვარი გამოსავალი მეორეული ჩანს.

§65. ადამიანისა და ნივთის კატეგორიის პრეფიქსები ზანურში.

სუფიქსთა მეშვეობით ზანური არ განასხვავებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს: ქალაქ-ელ-ი — ქალაქ-ურ-ი, მცხეთ-ელ-ი — მცხეთ-ურ-ი ტიპის წარმოება უცხოა, როგორც ჭანურისა, ისე მეგრულისათვის, — ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სუფიქსი იხმარება.

ეს სუფიქსებია **-ურ-** || **-ულ-**, **-ორ-**, **-არ-**.

მეგრ.: ზუგდიდ-ურ-ი ვორექ „ზუგდიდელი ვარ“
 სანაკ-ურ-ი ვორექ „სენაკელი ვარ“
 ზუგდიდ-არ-ეფ-ი ვორეთ „ზუგდიდელები ვართ“
 სანაკ-არ-ეფ-ი ვორეთ „სენაკელები ვართ“...

შდრ. მარგალ-ურ-ი „მეგრული“, კოჩ-ურ-ი „კაცური“, კოჩ-ურ-ი კოჩი — „კაცური კაცი“...

ჭან. ხოფ-ურ-ი ვორე „ხოფელი ვარ“
 არქაბ-ურ-ი ბორე „არქაბელი ვარ“
 ხოფ-ურ-ეფ-ე ვორეთ „ხოფელები ვართ“
 არქაბ-ურ-ეფ-ე ბორეთ „არქაბელები ვართ“...

ვიწელები კი, ნ. მარის ჩვენებით, ხმარობენ **-ორ-** სუფიქსს: ათინ-**ორ-**ი „ათინელი“, ვიწ-**ორ-**ი „ვიწელი“, მტკ-**ორ-**ი „მტყუური“... თუმცა „-ურ- სუფიქსზე გადასვლა ეტყობათო“, — შენიშნავს ნ. მარი (ჭან. გრამ., § 116 j, გვ. 73).

მეგრულში **-არ-** სუფიქსი გამოჩნდა მრავლობითში, — სანაკ-**არ-**ეფ-ი, ზუგდიდ-**არ-**ეფ-ი... ჭანურში **-ურ-** მრავლობითშიაც მეორედება: ხოფ-**ურ-**ეფ-ე, არქაბ-**ურ-**ეფ-ე „ხოფელები“, „არქაბელები“... ავიშა იდეს სარფულეფე¹ დო მაკრიალურეფე... დალიშ მელე — სარფულეფე, მოლე — მაკრიალურეფე, ნულვან ჰეშო ემთის... (ჭანური ტექსტები, II ნაწ., 2130... „სანადიროდ წავიდენ სარფელები და მაკრიალელები... მდინარის (ნაკადულის) გაღმა სარფელები, გამოღმა — მაკრიალელები, მიდიან ასე ზევით (აღმართზე)“.

-ურ- სუფიქსის პარალელურად **-ორ-** ჩვეულებრივი ჩანს არა მხოლოდ ვიწელებთან, როგორც ამას ნ. მარი აღნიშნავს: აფხაზეთის ლაზებში, ს. ფაჩანთაში 1929 წელს იქაური არქაბელებისაგან ჩაწერილი მაქვს:

¹ **-ულ-** **-რ-**ს დისიმილაციითაა მიღებული; ასეთი დისიმილაცია ჭანურში შესაძლოა, მაგრამ აუცილებელი არაა; შდრ. არქაბ-**ურ-**ი.

- ჭ უ კ ა ლ ვ ა თ -ი¹ — ჭუკალვათ-**ორ**-ი მუელიმე „ჭუკალვათელი მასწავ-
ლებელი“...
ნ ა ფ შ ი თ -ი¹ — ნაფშით-**ორ**-ი „ნაფშითელი“...
ბ ა ხ თ ა¹ — ბახთ-**ორ**-ი „ბახთელი“...
პ ა პ ი ლ ა თ -ი¹ — პაპილათ-**ორ**-ი „პაპილათელი“...
ბ უ ჩ ა¹ — ბუჩ-**ორ**-ი „ბუჩელი“: ბ უ ჩ ო რ ე ფ ე ქ ტ ო რ ო ჯ ი
ჭოფუმან — ბუჩელები მტრედს იჭერენ...² ბუჩას დიდი ტოჯი ენ, ჭო-
ფუმტეს... ბუჩაში ბევრი მტრედია, იჭერდენ... ჭანური ტექსტები, II, 851.
კ ა რ პ ა ნ ა¹ — კარპან-**თ-ორ**-ი (-**თ**-?) „კარპანელი“...

მაგრამ: ლ ო მ ე¹ — ლომ-**ურ**-ი „ლომელი“: „ლომორი“ ვა ივენ! —
„ლომორი“ არ შეიძლებაო („იქნებაო“), — დასძინა მიქმელმა.

რიგ შემთხვევაში **-ურ** || **-ორ**- ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვის,
მასთან ძირითადია **-ურ**-იანი წარმოება:

- კ უ ც უ ფ ე თ -ი — კუცუფეთ-**ორ**-ი || კუცუფეთ-**ურ**-ი „კუცუფეთე-
ლი“... (ძირითადია — კუცუფეთორ-ი).
უ ჩ ი ნ მ ა ლ -ი¹ — უჩინმალ-**ურ**-ი || უჩინმალ-**ორ**-ი „უჩინმალელი“...
ო ტ ა ლ ა ხ ე¹ — ოტალახ-**ურ**-ი || ოტალახ-**ორ**-ი „ოტალახელი“...
ჭ ა რ მ ა თ ი¹ — ჭარმათ-**ურ**-ი || ჭარმათ-**ორ**-ი „ჭარმათელი“...
ფ ი ლ ა გ ე თ -ი¹ — ფილაგეთ-**ურ**-ი || ფილაგეთ-**ორ**-ი „ფილაგეთელი“...

(ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს „ფილარგეთი“ აქვს — საანგარ. მოხს., 166).

რიგი სოფლის სახელი სა და უ რ ო ბ ი ს **-არ**- სუფიქსს დაირთავს:

- კ ო რ დ ე ლ ი თ -ი¹ — კორდელით-**არ**-ი „კორდელითელი“: ჰე კოჩი
კ ო რ დ ე ლ ი თ ა რ ი ხოჯა რენ „ის კაცი კორდელითელი ხოჯა“...
ო რ ჭ -ი — ორჭ-**არ**-ი „ორჭელი“
— ორჭ-**არ**-ეფ-ე „ორჭელები“... ო რ ჭ ა ე ფ ე ნ ო ლ ა შ ე
გ ე ხ ტ ე ს დ ო ჯ ო მ უ ... ქ ე ჭ ო ფ ე ს ... ქ ე შ ი ლ ე ს . დ ო ხ ა ჩ ქ ე ს . ჯ ო მ უ დ ო ხ ა ჩ ქ ე ს ... ო რ -

¹ სოფელია არქაბის რ. — იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე . საანგარ. მოხსენება, — ენიშვის
მოამბე, I, 166-167.

² იხ. ლექსი: ნე-თი ბულურ ბუჩაშე-მა, — „არც წავალ ბუჩაშიო“,
ნე-თი პჭოფუმ ტოჯოჯი-ა — „არც დავიჭერ მტრედსაო“,
ე. ი. „არც ბუჩაში წასვლა მინდა და არც მტრედების ჭერაო“ (ჭანური ტექსტ., II,
84₂₅).

ჭარეფეჟ-თი იდუშუნეს ... ორჭაეფეჟ-თი ოხოი დოჭვაფეს... ჭანური ტექსტები, II. 50², 14, 16 ორჭელები ქალაქში (ბაზარში) ჩავიდენ და მარილი... იყიდეს... ამოიტანეს. დათესეს... მარილი დათესეს... ორჭელებმაც იფიქრეს... ორჭელებმა სახლი დააწვევენეს... (ორჭელები ჭანების მოხისელები არიან!).

ს ი დ ე რ -ი¹ — სიდერ-**არ**-ი „სიდერელი“: კავეჯი თოფიკი ს ი დ ე რ ა რ ი (სიდერად) ენ — „მეყავახანე თოფიკი სიდერელი“

კუტუნით-ი ¹	— კუტუნით- არ -ი	„კუტუნითელი“
კაპისტონა	— კაპისტონ- არ -ი	„კაპისტონელი“
დაკოვით-ი ¹	— დაკოვით- არ -ი	„დაკოვითელი“
გიდრევე ¹	— გიდრევე- არ -ი (გიდრევე- ა -მ)	„გიდრეველი“
პოტოჯურა ¹	— პოტოჯურ- არ -ი	„პოტოჯურელი“

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ჭანურში, კერძოდ, მის არქაბულ კილოკავში, დღემდის პროდუქტიული სუფიქსია **-არ**, როგორც სადაურობის საწარმოებელი ფორმანტი. ეს ის სუფიქსია, რომლის არსებობა დადასტურებულია ძვ. ქართულის ძეგლებში: მ-ტბ-ევე-**არ**-ი „ტბელი“, ოპიზ-**არ**-ი „ოპიზელი“ (...¹მოვიდეს: ჩ¹ნ წ¹ე ქუთათის: სახლსა სამკუიდრებელსა: ჩ¹ნსა: ესე მამანი: მიჯნაძოროელნი და მამანი ოპიზარნი ... (ბაგრატ IV გუჯარი XI ს. პირვ. ნახევრისა: იხ. პალეოგრ. ალბომი, საისტ.-საეთნოგრ. საზოგ. გამოცემა, ტფილისი 1909, გვ. 1).

ეგვევე **-არ**- სუფიქსია მეგრულ სადაურობის სახელთა მრავლობითში რომ გვევლინება: ზუგიდ-**არ**-ეფ-ი, სანაკ-**არ**-ეფ-ი (იხ. ზემოთ), გოლ-**არ**-ეფ-ი „მთიულები“; შდრ. მხოლობ. გოლ-**ურ**-ი „მთიელი“; იგივე გოლურ-ი ნივთის კატეგორიის მსაზღვრელიცაა, ზოგჯერ გასუბსტანტივებულიც: გოლური ივანს — მთის ქარი, — „მთიური“ — ქრის...

მხოლობითში ადამიანის სადაურობის საწარმოებლად **-არ**- ერთ მაგალითშია მოგვეპოვება: **ჰყოინდ-არ**-ი „ჰყოინდიელი“. და მაინც შეიძლება დაისვას ამ მაგალითისა, ჭანურის **-არ**-ისა (კორდელით-**არ**-ი...) და ძვ. ქართ. **-არ**-ის (ოპიზ-**არ**-ი...) საფუძველზე კითხვა: ხომ არ მოწმობს ეს, რომ ზანურშიც გარჩეული იყო **-არ**- და **-ურ**- სუფიქსთა ხმარება? **-არ**-

¹ სოფელია არქაბის რ. — იხ. ი. ყიფშიძე. საანგარ. მოხსენ., „ენიმიკის-მოამბე“ I, 166-167.

ხომ **-ელ-**ის ადგილასაა გამოყენებული: ოპიზ-**არ-**ი, კორდელით-**არ-**ი, ჭყონდ-**არ-**ი (ოპიზ-ელ-ი, კორდელით-ელ-ი, ჭყონდიდ-ელ-ი)? გამოვიდოდა, რომ **-არ-** ზანურში უბირისპირდება **-ურ-**ს, როგორც **-ელ-** და **-ურ-** უბირისპირდებიან ერთმანეთს ქართულში სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა წარმოებისას.

ეს ასე არ უნდა ყოფილიყო ზანურში; ამას გვაფიქრებინებს: 1. **-არ-** და **-ურ-** || **-ორ-** სუფიქსიანი პარალელური წარმოება ჭანურში (იხ. ზემოთ) და 2. **-არ-** სუფიქსის გამოყენება მეგრულში ნივთის კატეგორიის სახელთა მსაზღვრელში: **ტყ-არ-**ი „ტყიური“, „გარეული“: ტყარი კვატა „გარეული იხვი“, ტყარი ღეჯი „გარეული ღორი“... შდრ. ჭან. მტკ-**ურ-**ი „ტყიური“, სადაც მეგრ. **-არ-**ის ადგილს **-ურ-** იჭერს.

-ელ- და **-ურ-** ქართულმა რომ გამოიყენა სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსებად ადამიანისა და ნივთის კატეგორიის სახელთათვის, ეს მეორეული მოვლენაა, როგორც ნაჩვენებია გვაქვს თავის ადგილას (გვ. 137). იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ ამ სუფიქსების ასე გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა, ქართულ სამეტყველო ფსიქოლოგიაში ამის საჭიროება საგრძნობი რომ არ ყოფილიყო: წინანდელი საშუალება მოეშალა ენას და ახალი საშუალება — წინანდელის სანაცვლო — შექმნა; ვიცით ისიც, რომ ეს „წინანდელი“ პრეფიქსები იყო: **მ-** — **ს...** || **ღ...** || **ნ...**

ზანურმა არ მოგვცა **-არ-** და **-ურ-** სუფიქსთა მნიშვნელობის დიფერენციაცია სადაურობის აღმნიშვნელ აფიქსებში. მასთან სადაურობისა და სხვა სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში ზანურს ადამიანის კატეგორიის პრეფიქსი თითქმის არ შერჩენია, ნივთის კატეგორიის პრეფიქსები კი თვალსაჩინო რაოდენობით დასტურდება; ეს კი კატეგორიის მოშლის სიმპტომაა: (კონკრეტულ კატეგორიათა მოშლისას) განყენებული მნიშვნელობის გამოხატვა ნივთის კატეგორიას ეკისრება ხოლმე, როგორც ეს ჩანს მთის კავკასიურ ენათა ისტორიიდან.

კაცი იფიქრებდა, ზანურში **-არ-** და **-ურ-** სუფიქსთა მნიშვნელობის დიფერენციაცია იმიტომ არ მოხდა, რომ ამ კატეგორიათა გარჩევის საჭიროება ზანურში სუსტი იყო, პრეფიქსული წყობის რღვევა რომ დაიწყო. მაგრამ ვინ იცის, ქართულშიც მივიღებდით თუ არა **-ელ-** და **-ურ-** სუფიქსთა დიფერენციაციას, სალიტერატურო ენა რომ არა: ისტორიული შემდგომადობა მოითხოვდა, ალბათ, ამ სუფიქსებზე გადაეტანათ ის, რაც წინათ პრეფიქსებით გამოიხატებოდა. ქართულ კილოებში, როგორც აღნიშნულია თავის ადგილას (გვ. 139), **-ელ-** და **-ურ-** სუფიქსთა განურჩეველი ხმარების მაგალითები გვაქვს ამჟამადაც (სადაურობის აღმნიშვნ-

სას). და ეს სალიტერატურო ქართულის ძლიერი ისტორიული (და თანამედროვე) გავლენის პირობებში.

ქვემოთ ვნახავთ, რომ სვანურში ამ კატეგორიათა კვალი ყველაზე უკეთ ჩანს. სვანურში ხომ არა გვაქვს სალიტერატურო ენა? სვანურში პრეფიქსულს წარმოებაშია ეს კატეგორიები გადმოცემული: სუფიქსური საკომპენსაციო წარმოება, მაშასადამე, არც იქ გვაქვს.

სალიტერატურო ენას, ამგვარად, უნდა ედგას წილი იმაში, რომ სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში სუფიქსთა მნიშვნელობის დიფერენციაცია გვაქვს ქართულში და არა გვაქვს ზანურში, ადამიანის კატეგორიის პრეფიქსები შეგვენახა ქართულში და არ შეგვენახა ზანურში.

მარგალ-ი ერთად ერთი სახელია მეგრულში სადაურობის **მ**-პრეფიქსით: **მ-არგ-ალ**-ი ← * **მ-ა-გრ-ალ**- (მდრ. აფხაზ. **ა-გრ**-ჟა) „მეგრელი“ — ქართ. **მეგრელი**-ი — **მ-ე-გრ-ელ**- კანონზომიერი ზანური ვარიანტია ქართულისა და ზანურის დიფერენციაციამდე არსებული მასალისა, და არა საკუთარი მორფოლოგიური საშუალებით თვით მეგრულში აგებული ფუძე (**მ**-პრეფიქსიანი ტიპისა).

საინტერესოა, რომ ჭანები **მეგრელ**-ს ხმარობენ და არა **მარგალ**-ს:

... მეგრელიში ბაბა დო გურჯიში ბაბა ჟურ ჯუმა ტეს — ი. ყიფშიძე, ჭან. ტექსტ. 2620 — „მეგრელის წინაპარი („მამა“) და ქართველის წინაპარი („მამა“) ორი ძმა იყო...

... მჯვეში ვახთის ამიერევე მეგრელისტანი ტუ — ჭან. ტექსტ. I, 1162 — ძველად („ძველ დროს“) აქაურობა სამეგრელო იყო...

... ექონი მეგრელეფექ გონიში კალეს კაბლა ყვეს... იქვე, 1164. „იქაურმა მეგრელებმა გონიოს ციხეში ბრძოლა გადაიხადეს“ („ქნეს“)...

„მეგრელ-ი“, ცხადია, ჭანებს ქართულიდან შეთვისებული აქვთ უკვე მას შემდეგ, რაც ჭანური და მეგრული ტერიტორიულად ერთმანეთს მოწყდა.

მ-პრეფიქსიანი სახელია მეგრ. **მ**-ენცარ-ი „ჯადოქარი“, მაგრამ ესეც ქართ. **მ-ეცარ**-ის განმეორებაა, ოღონდ **-ნ**- არის განვითარებული **-ც**-ს წინ. **მეცარი** — „ტყუილი ბებლის მცნობელი“ (საბა, ე. ი. ტყუილი გრძნების მცოდნეო). მასთან წარმოშობით ესაა ი-ც-ის- ზმნისაგან ნაწარმოები მიმღობა. მდრ. ი-ც-ის-ს: **მე-ც-არ**-ი — **უ-მე-ც-არ**-ი.

სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში (არა სადაურობის სახელებში!)

მ- პრეფიქსი — ხმოვნის დართვით — მეგრულში გვხვდება:

1. პროფესიის სახელებში,
2. რიგითს რიცხვითს სახელებში და
3. საფიქრებელია, ზედსართავ სახელთა ერთ ჯგუფში.

§66. პროფესიის აღმნიშვნელი წარმოება.

ნიშ- „ნავი“ — **მე-ნიშ-ოლ-**ი (|| მ-ე-ნიშ-ო-ლ-ე- ი. ყ ი ფ შ ი ძ ე) — მენავე...

ურემ- „ურემი“ — **მე-ურემ-ე** „მეურმე“, „ურემზე მომუშავე“, „ურ-მით ტვირთის გადამზიდავი“...

ჯოგ- „ჯოგი“, „ფარა“, „ნახირი“ — **მე-ჯოგ-ე** „მეჯოგე“, „მწყემსი“, „მენახირე“...

ღეჯ- „ღორი“ — **მე-ღეჯ-ე** „მეღორე“

ჭგირ- „კარგი“ — **მო-ჭგირ-ე** „მოკეთე“

ეგვე პრეფიქსი უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა ისეთ წარმოებაში, როგორცაა:

მა-კუჩხ-ურ-ი „მეკვლევი“ (ზედმიწევნით: „**მე-ფეხ-ურ-**ი“), ნაწარმოებია ფუძისაგან **კუჩხ-** „ფეხ“-.

მა-ფშალ-ია „ბუღბუღი“. საწარმოებელი ფუძეა **ფშალ-**ი || **ფშალ-**ა „სვია“ (იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე , მეგრ. გრამ., ლექსიკ. 340-341). ამგვარად, **მა-ფშალ-ია** ეტიმოლოგიურად **მე-სვი-ე-**ს ნიშნავს (მეგრულში შეგვენახა ამ ჩიტის სახელი, ქართულმა ნასესხები „იადონი“ და „ბუღბუღი“ დაამკვიდრა და საკუთარი ფუძე დაკარგა).

მა-ლულ-ია, ჭან. **მა-ლულ-ე** „მე-ლედვი-ა“ (ჩიტის სახელია). ჭანურში ამგვარი წარმოება პროდუქტიული აღარ არის, შერჩენილია ფრინველთა, თევზთა... სახელებში აქა-იქ (იხ. ნ. მარი. ჭან. გრამ., § 119გ).

§67. რიგითი რიცხვითი სახელების წარმოება.

ამ სახელებს მეგრულში **მა-** პრეფიქსი აქვს და **-ა-** სუფიქსი: (იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე . მეგრ. გრამ. § 37, გვ. 038); ჭანურშიც გვაქვს ეს ტიპი: **მა-** — **-ან-**ის სახით.

მა-ჟირ-ა „მე-ორ-ე“ ← *მა-ჟირ-ან- (იხ. ჭან. მა-ჟურ-ან-).

მა-სუმ-ა „მე-სამ-ე“ ← *მა-სუმ-ან- („ ჭან. მა-სუმ-ან-).

მა-ხუთ-ა „მე-ხუთ-ე“ ← *მა-ხუთ-ან- („ ჭან. მა-ხუთ-ან-) და სხვ. (იხ. ზემ., გვ. 58-59).

ამ წარმოების საპირისპიროა წილადის აღსანიშნავად ხმარებული **ნა-** — **-ალ-** || **-ორ-**.

მეგრ. **ნა-სუმ-ორ-**ი „მესამედი“ (ზედმიწვევით: ნა-სამ-ალ-ი)

ნა-ოთხ-ალ-ი¹ || → ნა-ანთხ-ალ-ი „მეოთხედი“

ნა-ხუთ-ალ-ი „მეხუთედი“... და ასე შემდეგ.

ზედსართავებში **მ-** პრეფიქსი ადამიანის კატეგორიისა უნდა გვქონდეს მეგრულის სათანაბრო ფორმებში:

მანგარ-ი „მაგარი“ — **მა-მანგარ-ა:** ქუაში მამანგარა „ქვასავით მაგარი“, „ქვის სიმაგარისა“.

უჩა „შავი“ — **მა-უჩა-ა:** ნომქერიშ მაუჩა „ნახშირივით შავი“, „ნახშირის სიშავისა“...

შხუ „მსხვილი“ — **მა-შხვა-ა:** თიმ მაშხვა „იმ სისხო“... (ზოგი სხვა მაგალითი იხ. ი. ყიფშიძე, — მეგრ. გრამ., § 32).

უკანასკნელი მაგალითი საინტერესოა: აქ ქართულსაც აღმოაჩნდა სათანაბრო ფორმა **სისხო** — **სხვილ-**ისაგან ნაწარმოები განყენებული ზედსართავი: მეგრულში **მ-** პრეფიქსიანი წარმოება იქნა სათანაბრო ფორმებისათვის გამოყენებული, ქართულში — **ს-**იანი.

ეს წარმოება ჭანურისთვისაც არ არის უცხო: **პეჯ-**ი „სქელი“ — **მა-პეჯ-ან-ა:** ოთხო კითიში მაპეჯანა ფიცარიში იქიფან... — ჭან. ტექსტ. I, 148₂₃ — ოთხი თითის სისქე ფიცრისას აკეთებენ.

აქედან, ცხადია, რომ მეგრ. **მა-** — **-ა-** ← **მა-** ← **-ან-**.

§68. ნივთის კატეგორიის პრეფიქსები არსებით და ზედსართავ სახელთა „სადა“ ფუძეებში ჭანურშიც მოგვეპოვება და მეგრულშიც: ესაა **დ-**, **ნ-**, **ლ-**, **ბ-** პრეფიქსები.

ჭან. **და-ჩხ-ურ-**ი, მეგრ. **და-ჩხ-ირ-**ი „ცეცხლი“ (იხ. გვ. 171)

„ **დი-შკ-ა** „ **დი-შქ-ა**² „შეშა“ (იხ. გვ. 170)

„ **დუ-ცხ-უ** „ **ცა-ცხ-უ** || **ცხა-ცხ-უ** „ცაცხვი“ (იხ. გვ. 171)

¹ იხ. ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ. § 38.

² ამავე რიგისაა ჯი-ჯგვ-, დადასტურებული ზმნებში: ჯი-ჯგვ ← ჯი-ჯგ ← *დი-ჯგ. იხ. ძუალ-ფუძის ზან. შესატყვისი: ფილიალ. მოამბე, I, გვ. 93-96.

- ჰან. **მ-თუ-თ-ი** „**თუ-ნ-თ-ი** „დათვი“ (**თუ-** ← **დუ-**) (იხ. გვ. 175)
 „ **თუ-თ-ა** მეგრ. **თუ-თ-ა** „თვე“ (**თუ-** ← **დუ-** იხ. გვ. 174)
 „ **დი-ცხ-ირ-ი** „**ზი-სხ-ირ-ი** „სისხლი“ (**ზი-** ← **ძი-** ← **დი-**:
 იხ. გვ. 172)
 „ **თუ-თხ-უ** „**თხი-თხ-უ** „თხელი“ (**თუ-** ← **დუ-**: იხ. გვ. 177)
 „ **მ-ზე-სკუ** „**ზე-სქ-ვი** „შაშვი“ (იხ. გვ. 172)
 „ **ნე-ნ-ა** „**ნი-ნ-ა** „ენა“ (იხ. გვ. 178)
 „ **ნე-კნ-ა** || **ნე-კლ-ა** || **ნე-კრ-ა** „კარი“ (იხ. გვ. 178)
 „ **ნუ-კ-უ** || **ნუ-ნკ-უ**, მეგრ. **ნუ-კ-უ** „ნიკაპი“, „პირისახე“ (იხ. გვ. 177)

მეგრ. **ნი-ჩვი** — ქართ. **ნი-ჩვირ-ი** || **ჩი-ჩვირ-** (იხ. ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., ლექსიკ. 364; საბა: „ჩიჩვირი არს ინდოურის ქათმის ცხვირი დაკიდებული და მსგავსნი მისნი, ხოლო **ნიჩური** არს სპილოს ხორთუმი“).

ამგვარივე **ნი-** პრეფიქსი უნდა გვქონდეს **ნი-ნძვ-ი** || **ნი-ძვ-ი**-ში — **ნი-სკარტ-ი**...

ჰან. **ლე-შკ-ი** || **ლე-შქ-ი**, მეგრ. **ლე-ჩქ-ვი** (ქართ. ლა-ში) „ბაგე“, „ტუჩი“ (იხ. გვ. 178).

ჰან. **ლე-შჰკვა**, მეგრ. **ლე-ჰჰვა** „ნერწყვი“.

ჰან. **ლა-რდ-ე** || **ლა-დრ-ე**, მეგრ. **ლა-დირ-ი** „ნედლი“ (იხ. გვ. 178).

ჰან. **ლე-ტა** „მიწა“, მეგრ. **ლე-ტა** „ტალახი“ (იხ. შედარ. ლექსიკა., 186).

აქ თავკიდური **ლე-** ნივთის კატეგორიის პრეფიქსი ჩანს, თუ სიტყვა ნასესხები არაა.

ჰან. **ლე-მშ-ი**, მეგრ. **ლე-ფშ-ი** || **ლე-შ-ი** || **ლი-შ-ი** — „ნემსი“.

ჰან. **ლუ-მჰ-ი** || **ლი-მჰ-ი** სალამო (შდრ. მეგრ. **ამ-ნი-ჯ-ი** „ამ სალამოს“; **ლუმენჯი** ← **ლუმა-ნი-ჯ-ი** „გუმინ სალამოს“ — იხ. ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., ლექსიკ. 352; შედარ. ლექსიკ. 197-9).

ჰან. **ბუ-ცხ-ა**, მეგრ. **ბი-რ-ცხ-ა** (← ბუ-ცხა: აკა ბუცხა „ერთი ბეწვა“) „ფრჩხილი“ (იხ. ზემ. გვ. 179).

ჰან. **ბუ-ტკ-უჯ-ი**, „ფუტკარი“ — იხ. შედარ. ლექსიკ. 115; აქვე, გვ. 179.

ბ- თავსართის შესახებ ქართველურ ენებში იხ. აქვე, გვ. 179.

§69. სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში ზანური **ო-**, **ნო-** პრეფიქსებს ამჟღავნებს; პირველი ქართ. **სა-**ს უდრის, მეორე — **ნა-**ს.

მეგრულში **ნა-** და **სა-** პრეფიქსებიც შეგვხვდება: ქართულიდან შეთვისებულია.

მეგრ.	ო-ირემ-ე	„საირმე“ (სოფლის სახელია — ზუგდიდის სოფ. საბჭოში)
„	ო-ცუჯ-ე	„საყურე“
„	ო-კარი-ე	„საქათმე“
„	ო-მან-ე	„სორო“, „ბუნაგი“ („სა-მალ-ი“?)
„	ო-ჭიში-ი	„წელი“ („სა-წელ-ის-ი“)
„	ო-ჯალ-ე-ში-ი	„ოჯალეში“ (ყურძნის ცნობილი ჯიშის სახელია სამეგრელოში — იხ. ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., ლექსიკ., 355) — „სა-ძელ-ის-ი“...
„	ო-ჭუმ-არ-ე	„დილა“
„	ო-სერ-იში-ე	ო-სორ-იში-ე „ვანშამი“.

ჭან.	ო-ქოთუმალ-ე	„საქათმე“: ოქოთუმალეს ქოთუმეფე მოლახენან... ჭან. ტექსტ. I, 149 ¹ საქათმეში ქათმებია (ქათმები „შიგ-სხედან“).
„	ო-ნტულ-ე	„ბოსტანი“ იხ. შედარ. ლექსიკ. 147).
„	ო-დაჩხურ-ე	„საცეცხლე“: დაჩხური-ნა ნოგზუნ დერი — ო დ ა ჩ ხ უ რ ე . ო დ ა ჩ ხ უ რ ე ს კერა გოლაძინ... ჭან. ტექსტ. II, 73 ²⁸ „ცეცხლი რომ ანთია, ის ადგილი — საცეცხლე. საცეცხლეზე კერა ძეგს“.
„	ო-ფუტ-ე	„ადგილი სახლის გარშემო“; „ეზო“; „რაიონი“ (იხ. შედარ. ლექსიკ. 150).
„	ო-ხორ-ი	„სახლი“ იხ. შედარ. ლექსიკ. 150. ეგვე ფუძე შენახულია მეგრულ ზმნაში — ოხორ-ან-ს „სახლობს“ და აქედან ნაწარმოებ ფუძეებში.

მეგრ. **დო-ხორ-ე** „სასახლე“ იმავე ო ხ ო რ -ის **დო-** პრეფიქსიანი სახეობა ჩანს: **დო-** || **ო-** || ***ჰო** — ქართ. **სა-** სავესებით კანონზომიერი შეფარდება¹.

¹ ქართ. ა-ბან-ო, ა-დგ-ილ-ი, ა-ჩრდ-ილ-ი...: ა პრეფიქსი, აქაც, ალბათ, **ჰა-**ს გა-მარტივებული სახეობაა: ა ← **ჰა-** || **სა-**.

- მეგრ. **ნო-ქალაქ-ი** „ნაქალაქევი“ (დაბის სახელი სამეგრელოში).
- „ **ნო-ჯიხ-ი** ← **ნო-ჯიხ-ევი** „ნაციხარი“, „ნაციხევი“; სოფლის სახელიცაა ხობის რაიონში.
- „ **ნო-ჩილ-ი** „ნაცოლარი“
- „ **ნო-ხორ-ი** „ნასახლარი“
- „ **ნო-ცელ-ა** „ტოტი (მოჭრილი)... იხ. ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., ლექსიკ., 417.
- „ **ნო-ცუდ-ი-ა** „(ჩია) სახლი“; ზედმიწევნით: „ნასახლია“.
- „ **ნო-ქუდ-ი-ა** „(უვარგისი) ქუდი“; ზედმიწევნით „ნაქუდარა“...
- „ **ნო-ჩაფულ-ი-ა** „(დაგლეჯილი) წულა“; ზედმიწევნით „ნაწულევი“...
- ჭან. **ნო-კუჩხ-ენ-ი** „კვალი“, ზედმიწ. „ნაფეხარი“: კუჩხ-ე „ფეხი“: ნოკუჩხენი ბელი ტუ... ჭან. ტექსტ. I, 163₂₉ კვალი ცხადად ჩანდა („ცხადი იყო“).
- „ **ნო-ხაფ-ულ-ე** „ნაფოტი“, მეგრ. **ნა-ხაფ-ულ-ი**... იხ. შედარ. ლექსიკ., 157.
- „ **ნო-კანჩხ-ულ-ე** „მუგუზალი“; მეგრ. **ნა-კვანჩხ-ირ-ი**... იხ. შედ. ლექსიკ., 159.
- „ **ნო-ცინცხ-ალ-ე** „ნაპერწყალი“... იხ. შედარ. ლექსიკ. 159.
- „ **ნო-პიწყ-ალ-ე** || **ნო-პინწყ-ალ-ე** „ანაგლეჯი“, „ხიწვი“, „ნაპერწყალი“... იხ. შედარ. ლექსიკ. 158.
- „ **ნო-კარავ-ენ-ი**: ემ დეის აწი გდოძინ „ნოკარავენი“... ამა ხოფას დენ, ხოფა-ჟინ, ხოფაშენ ჟურ საათი იყვენ... ჭან. ტექსტ. I, 119₇ ამ ადგილს ეწოდება „ნოკარავენი“ („ნაგემარი“)... ეს ხოფაშია, ხოფას ზემოთ, ხოფიდან ორი საათის სავალზე იქნება.

ნა- პრეფიქსიანი, სახელისაგან ნაწარმოები სახელები, მეგრულში ბლომდაა: **ნა-ხაფ-ულ-ი** (იხ. აქვე, ზემოთ), **ნა-კვანჩხ-ირ-ი** (აქვე, ზემოთ)...

შარა „გზა“: **ნა-შარ-ჟ** „ნაგზევი“, „სადაც გზა იყო“...

წყარი „წყალი“, „მდინარე“: **ნა-წყარ-ჟ**, „წყლის ნავალი ადგილი“, „სადაც წყალი დიოდა“...

იხ. ანდაზური თქმა: შარა — ნაშარჟს, წყარი — ნაწყარჟს „გზა — ნაგზეზე, წყალი — წყლის ნავალზე“ (ი. ყიფშიძეს ახალი ვარიანტიც მოჰყავს: შარა — ნაშარას, წყარი — ნაწყარას — მეგრ. გრამ., 176; პრეფიქსი აქაც **ნა-** არის).

ეგვე **ნა-** პრეფიქსი სოფლების სახელებშია გამოყენებული:

ნა-ჯიხურ-უ ← ჯიხურ-	სოფელია გალის რ., საბერიოს სოფ. საბჭო-ში.
ნა-ფიხს-ო-უ	სადაც ფიხსაიები მოსახლეობდენ; სოფელია ყოფ. ზუგდიდის მაზრაში (იხ. საქართ. სსრ აღმინ. ტერიტ. დაყოფა 1930 წლ., გვ. 125).
ნა-წულუკ-ო-უ	სადაც წულუკიები მოსახლეობდენ; სოფელია ყოფ. ზუგდიდის მაზრაში, — იქვე, გვ. 122.
ნა-გვაზ-ო-უ	სადაც გვაზავეები მოსახლეობდენ; სოფელია ყოფ. სენაკის მაზრაში, — იქვე, გვ. 144.
ნა-ლეფს-ო-უ	სადაც ლეფსაიები ცხოვრობდენ; სოფელია ყოფ. სენაკის მაზრაში, — იქვე, 144...

შეუძლებელი არაა, ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ — სადაც ეს გვარი ცხოვრობს, ე. ი. **ნა-** = **სა-**: **ნა-გვაზოუ** = **სა-გვაზუ** (იხ. **სა-გვაზა-ო** — აბაშის სასოფლო საბჭოში). თუ ეს ასეა, სოფლის სახელთა **ნა-** პრეფიქსით წარმოება ძველია.

თუ **ნაგვაზოუ** იმას ნიშნავს, რომ აქ გვაზავეები ცხოვრობდნენ, მაგრამ აღარ ცხოვრობენ, მაშინ ეს შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს გამოხატავს; ასეთი რამ შესაძლებელია; მაგრამ **ნაგვაზოუ**-ს ტიპის წარმოება არც თუ იშვიათია; მოსალოდნელი კი არაა, ძველი მოსახლის გვარი დაეტოვებინა მერე დასახლებულს.

§70. ნა- პრეფიქსით ნაწარმოები სოფლის სახელების გვერდით მრავლადაა **სა-** პრეფიქსიანი წარმოებაც, როგორც აღმოსავლეთ სამეგრელოში (ყოფ. სენაკის მაზრა), ისე დასავლეთ სამეგრელოში (ყოფ. ზუგდიდის მაზრა, გალის რაიონი).

ყველგან ამოსავალია გვარი, რომლითაც დასახლებული იყო სოფელი:

სა-ბერი-ო	(გვარი ბერია) — გალ. რ.
სა-ხანუბი-ო	(„ ხანუბია) „ „
სა-ნორაკი-ო	(„ ნორაკია) ყოფ. ზუგდიდის. მაზრ.
სა-ჭურღული-ო	(„ ჭურღულია) ყოფ. ზუგდიდ. მაზრ.
სა-ჯიჯა-ო	(„ ჯიჯავა) „ „ „
სა-ქირი-ო	(გვარი ქირია) ყოფ. ზუგდიდ. მაზრ.

სა-ლომი-ო	(„ ლომია)	ყოფ. სენაკ. მაზრა.
სა-ადამი-ო	(„ ადამია)	„ „ „
სა-ჩიქობა-ა	(„ ჩიქობავა)	„ „ „
სა-ხოშტარი-ო	(„ ხოშტარია)	„ „ „

გვართავან **სა-** პრეფიქსით სოფლის სახელის წარმოება შედარებით ყველაზე ახალია. გაცილებით უფრო ძველია **ლე-** პრეფიქსის გამოყენება ამავე შემთხვევაში:

ლე-სიჭინ-ე	(გვარი სიჭინავა)	სოფელი	ყოფ. ზუგდ. მაზრ.
ლე-დგები-ე	(„ დგებია)	„	„ „ „ „
ლე-ქარდ-ე	(„ ქარდავა)	„	„ „ „ „
ლე-ძაძამ-ე	(„ ძაძამია)	„	„ სენაკ. „
ლე-ხაინდრ-ე	(„ ხაინდრავა)	„	„ „ „ „
ლე-ფოჩხუ-ე	(„ ფოჩხუა)	„	„ „ „ „

და რიგი სხვა. პრეფიქსი სვანური მორფოლოგიური ინვენტარისაა, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურიდან (იხ. მაგალ., ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., ლექსიკ. 272).

§71. ზედსართავ ნაწარმოებ სახელებში **ო-** პრეფიქსის მაგალითია:

მეგრ. **ო-შქ-ალ-ი** || **ო-შქ-არ-ი** — „შუათანა“: უჩაში ჯიმა, უკულაში ჯიმა დო ოშქარი — „უფროსი ძმა, უმცროსი ძმა და — საშუალი“ (შუათანა ძმა).

ჭან. **ოშქენ-ონ-ი** || **ო-შქენ-ან-ი** „შუათანა, საშუალი“ — იხ. შედარ. ლექსიკ., 246. ჰამ ოშქენანი კითი... ჭან. ტექსტ. II, 113, ეს შუა თითი.

რიცხვით სახელებში ნივთის კატეგორიის **ნა-** პრეფიქსიანი წარმოება, ჩვენის ვარაუდით, წარმოდგენილია მეგრულის წილად სახელებში: **ნა-სუმ-ორ-ი** „მესამედი“, **ნა-ოთხ-ალ-ი** || **ნა-ანთხ-ალ-ი** „მეოთხედი“, **ნა-ხუთ-ალ-ი** „მეხუთედი“, **ნა-ვით-ალ-ი** „მეათედი“ და სხვ. (იხ. ზემოთ, გვ. 182).

§72. მეგრულში **მ-** პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ისევე უპირისპირდება გვარის მიხედვით **ო-** პრეფიქსიანს, აგრეთვე **ნა-** || **ნო-** პრეფიქსიანს, როგორც ქართულში:

მეგრ. **მ-ა-ქიმინ-ალ-**ი: „მქმნელი“: „ჯგირიში მაქიმინარს ჯგირი ვალოლეს“ (ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ. ქრესტ., 1762) კარგის მქნელს კარგი არ მიაგეს („არ უყვეს“)...

მეგრ. **მ-ა-თხუ-ალ-**ი 1. „მათხოვარი“; 2. „მთხოვნელი“:

ჯიმუში მათხუალიშა ჯიმუ ვე მგაჩენდა, იშენ ჯიმუამი სიტყვა ქუთუწი (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., ქრესტ. 178). „მარილის მთხოვნელს თუ მარილს ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარი!“

მეგრ. **მ-ა-შიიბ-ელ-**ი „მშოვნელი“, „მამოვარი“.

მ-ა-ჩუალ-არ-ი „შემნახველი“: ოში გლახა მაშიიბელს ართი ჯგირი მაჩუალარი უჯუ (ი. ყიფშიძე, იქვე, 179 27) „ას უხეირო მშოვნელს ერთი კარგი შემნახველი ჯობს“.

მ- და **ნა-** || **ო-** შეპირისპირებულია მიმღეობებში:

მეგრ. **მ-ო-რაგად-ე** „მთქმელი“, „მოლაპარაკე“ — **ო-რაგად-ე** „სათქმელი“ — **ნა-რაგად-უ** „ნათქვამი“...

მორაგადე დოლურენ დო ნარაგადუ დღას ვაღურუ ი. ყიფშიძე, იქვე, 180¹⁹ „მთქმელი მოკვდება და ნათქვამი — არასოდეს არ მოკვდება“.

მეგრ. **მ-ა-ქიმინ-ალ-**ი „მქმნელი“ — **ო-ქიმინ-ალ-**ი „საქმნელი“, **ნა-ქიმინ-**ა „ნაქმნევი“...

მეგრ. **მ-ა-თხუ-ალ-**ი „მთხოვნელი“, „მათხოვარი“ — **ო-თხუ-ალ-**ი „სათხოვი“, „სათხოვარი“ — **ნა-თხუ-ა** „ნათხოვი“, „ნათხოვარი“...

მეგრ. **მ-ა-შიიბ-ელ-**ი „მშოვნელი“ — **ო-შიიბ-ელ-**ი „საშოვნი“, „საშოვარი“ — **ნა-შიიბ-**ი „ნაშოვნი“.

მეგრ. **მ-ა-ცვილ-არ-**ი „მკვლელი“ — **ო-ცვილ-არ-**ი „მოსაკლავი“ — **ო-ცვილ-ურ-**ი „საკლავი“ (პირუტყ.) — **ნა-ცვილ-ა** „ნაკლავი“...

მეგრ. **მ-ა-ტახ-ალ-**ი „მტეხელი“ — **ო-ტახ-ალ-**ი „სატეხი“ — **ნო-ტეხ-**ი „ნატეხი“...

მეგრ. **მ-ა-ჭკირ-ალ-**ი „მჭრელი“ — **ო-ჭკირ-ალ-**ი „საჭრელი“ — **ნო-ჭკერ-**ი „ნაჭერი“...

პრეფიქსების მხრივ აქ იმდენად ჩამოყალიბებული ნორმებია, რომ შეიძლება ამ მაგალითებს დავჯერდეთ (მიმღეობის წარმოებისა და სუფიქსთა ცვლისათვის იხ. ი. ყიფშიძე. მეგრ. გრამ., § 105, გვ. 94-99).

§73. ჭანურში მიმღობის გამოყენების არე გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვინემ ქართულსა და მეგრულში. დღემდის დაცული, მასთან სავსებით პროდუქტიული ერთად-ერთი ტიპი ოდენ-სუფიქსიანი წარმოებაა: გუბ-**ერ**-ი „მოხარული“ („გბოლვ-ილ-ი“).

პრეფიქსიან მიმღობათაგან **მ-** და **ნა-** || **ნო-** ტიპები იშვიათია, **ო-** ტიპი ხშირია, თუმცა არის გარკვეული ტენდენცია სათანადო მიმღობა შეიცვალოს სხვაგვარი წარმოებით:

... კარდალა ...გდარიშ ო გ ი ბ უ შ ი რ ე ნ... ჭან. ტექსტ. I, 151₁₈ ქვაბი საჭმლის მოხარშვისა არის („მოხარშვისა“ — „მოსახარშის“ მაგივრადაა ნახმარი)...

... ლედენი — ხე დო კუჩხეში ო ბ ო ნ ა ლ ე (|| ო ბ ო ნ უ შ ე ნ ი)... თენექე — წკაიშ ო შ უ მ უ შ ე ნ ი, გობი — ცომი ო ქ ი მ ი ნ უ შ ე ნ ი; კიცი — მჭკიდი გ ე დ ვ ა ლ უ შ ი... ოქოსალე — თოზი ო ქ ო ს უ შ ე ნ ი; კალათი — ხარმანი მ ო მ ა ლ უ შ ე ნ ი, გიდელი — ყურძენი დ ო მ ე დ ვ ა ო წ ი ლ უ შ ე ნ ი... ჭან. ტექსტ. I, 151₂₂... ტაშტი — ხელისა და ფეხის დასაბანი (|| დაბანისთვის)... თუნუქის ტოლჩა — წყლის დაღვევისათვის, გობი — ცომის მოზელისათვის, კეცი — მჭადის დაღებისათვის... ცოცხი — მტვრის დაგვისათვის; გოდორი — სიმინდის (ტაროების) მოტანისათვის... გიდელი — ყურძნისა და ხილის მოკრეფისათვის...

აქ ყველგან მყოფადის მიმღობა იყო მოსალოდნელი: წყლის დასაღვევი... ცომის მოსაზელი... მჭადის დასადები... მტვრის დასაგველი... სიმინდის მოსატანი... ყურძნის მოსაკრეფი... კიდევ იხმარა მთქმელმა ერთგან: ფეხის დასაბანი („ობონალე“), მაგრამ იქვე დაუროთო — „დაბანისათვის“... იხ. აგრეთვე: მეკირუში დელი იყვენ... ჭან. ტექსტ. I, 152₁₃ დასაბმელი („დაბმისა“) გიყი იქნება...

მიმღობა მეტად პროდუქტიული კატეგორიაა ჩვენს ენებში; პრეფიქსიანი წარმოებაა აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს (ერთი ტიპის) დამახასიათებელი (**მ-**ჭრ-ელ-ი, **სა-**ჭრ-ელ-ი, **ნა-**ჭერ-ი)...

სწორედ ამ ტიპების გამოყენების შეზღუდვაა დამახასიათებელი ჭანურისათვის: უცხო ენის — თურქულის — ინტენსიურ გავლენას მიეწერება, ალბათ, მორფოლოგიურად მნიშვნელოვანი კატეგორიის წარმოების მოდუნება.

ნ. მ ა რ ი თავის „ჭანური ენის გრამატიკაში“ მიმღობათა შესახებ წერს:

„მოქმედებითი გვარის მიმღობა, იგივე — მოქმედი პირის სახელი — ზმნის აწმყო დროის მესამე, პირს წარმოადგენს, მაგალ. ჭარუმს ანდა ჭარუფს — არის „წერს“ და „მწერალი“, „ხაშკამს“ — „თხრი-ს“ და

„მთხრელი“ (§ 104a).

... ზმნის ფორმები არსებითი და ზედსართავი სახელის როლშიც გამოდის:

a) მოქმედ. გვარის აწმყოს მესამე პირი არსებითი სახელიცაა: გ უ რ - გ უ ლ ა მ ს („გრგინავს“) — „გრგინვა“ (гром); ც ა დ უ მ ს — („უყურებს“) — „შეხედვა“ (взгляд) — ზედსართავიცაა, მაგალ. ი ლ უ მ ს („კლავს“) — მომაკვდინებელი;

b) იგივე ფორმა წინამავალი ნა- კავშირით მოქმედ სახელს გამოხატავს: ეკნა-ნა-ჩუმს „კარის მცველი“ („კარს რომ იცავს“), გმარი-ნა-ჭუმს „პურის მცხოვრი“ („პურს რომ აცხობს“);

c) აწმყოს ვნებითი გვარის ფორმები II ვერსიისა ზედსართავად გამოიყენება: ...იფელენ („ვარგა“) — „ვარგისი“; იშვენ („დაიღვეა“) — დასალევი (пиемый), იჭკომენ („იჭმება“) — „საჭმელი“... იძირენ („ჩანს“, „ინახვის“) — „ხილული“, „დასანახი“ (იხ. ჭან. გრამ. § 118).

ასეთი ფაქტები, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით, რომ ჭანურს არ გააჩნია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ტიპი პრეფიქსიანი მიმღეობისა. ამაში გვარწმუნებს ტექსტებში დადასტურებული მაგალითები.

მიმღეობის მაგალითები ჭანურიდან¹:

მ-შინ-ე

„მხსენებელი“ ...შუი მ შ ი ნ ე ჯუმა ჩქიმის სელამი ოლოლი!... ჭან. ტექსტ., I, 121¹⁰ საყვარელ („სულის მხსნელ“) ჩემ ძმას სალამი გადაეცი! ... შუი მ შ ი ნ ე , ბეე ჩქიმი! იქვე, 122^{8,9} საყვარელო ჩემო შვილო!

მე-მ-ჯღ-ონ-ი

„მედღვარი“: ... მე მ ჯ ღ ო ნ ი კიბრი — წოხლე-ნა ონუ... ჭან. ტექსტ., II, 103¹² „მედღარი“ კბილი — წინ რომ არის...

მო-ნჭაფ-უ:

ლული მ ო ნ ჭ ა ფ უ ... ჭან. ტექსტ., I, 154⁹ ლედვის მომწვეი... (ჩიტის სახელია)... უმონჭუ 'ხურმა' ჩიჩქუ იყვენ... ჭან. ტექსტ., I, 158²⁸ მოუწვევარი 'ხურმა' რბილი („ჩვილი“) იქნება...

ნო-ტეხ-ი

„ნატეხი“: ... მჭკიდიშ ნ ო ტ ე ხ ი ს ხინი ოხორჯალეფეს ოკითხაფაფან... ჭან. ტექსტ., I, 127²⁶ „მჭადის ნატეხისათვის ბებერ ქალებს შეალოცვინებენ“... ლა-ზუტიში ნ ო ტ ე ხ ი ... დოგიბუფან... ჭან. ტექსტ., I,

¹ ამ მაგალითების მოყვანა საჭიროა, რადგანაც ლიტერატურაში, მათ შორის ჩვენს „ჭან. გრამ. ანალ.“ მიმღეობის საკითხი გაშუქებული არაა.

მე-ნო-ხარ-ე	159 ¹³ სიმინდის ბურღულს („ნატეხს“) მოხარშავენ... „ნაგლეჯი“ („მინაგლეჯი“): ...შიბი ჩადირიში მე ნო - ხარ ე იყვენ... ჭან. ტექსტ., I, 150 ²³ ხვანჯარი ნარმის ნაგლეჯი იქნება.
ნო-შვალ-ე	„ნაქსოვი“: ... ხემენ ნო შვალ ე-თი გუშუდუმელან... ჭან. ტექსტ., I, 150 ²² ხელით ნაქსოვსაც გაუყრიან...
ო-შუმ-ონ-ი	(მეგრ. ო-შუმ-ალ-ი) „სასმელი“: ... ო შუმ ონი წარი სოქელე მოვილათენ?.. ჭან. ტექსტ., II, 108 ⁵ სასმელი წყალი საიდან მოვიტანოთ?
ო-შუვ-ონ-ი	(მეგრ. ო-შოლ-არ-ი) „სასველებელი“: ... ო შუვ ონი მჭიმა მჭიმს... ჭან. ტექსტ., II, 75 ¹⁹ „სასველებელი“ წვიმა მოდის...
ო-წყიმ-ონ-ი	(მეგრ. ო-ნ-წყუმ-ალ-ი) „დასაშლელი“... ო-ქთ-ონ-ი (მეგრ. ო-რთაფ-ალ-ი) „სატრიალებელი“ („საქცეველი“): ...ჰა-თი მაქინაში ოწყიმონი ; ოწყიმონითე წყიმან. ჰადა... ოქთონი: კუჩხე გედგანში, იქთენ მაქინა... ჭან. ტექსტ., II, 73 ¹³ ესეც მანქანის დასაშლელი; დასაშლელით ხსნიან (დაშლიან ხოლმე) ეს... სატრიალებელი: ფეხს რომ დაადგამენ, ტრიალებს მანქანა ¹ ...
ო-კაკალ-ონ-ი	(მეგრ. ო-კაკალ-არ-ი) „დასამარცვლავი“: ჰაწი ხაჯი ბკაკალუმთ; ჰადა ოკაკალონი ენ... ჭან. ტექსტ., II, 74 ¹ ახლა ლობიოს „ვმარცვლავთ“; ეს „დასამარცვლავია“...
ო-ნახ-ონ-ი	(მეგრ. ო-ნახვ-ალ-ი) „სარეცხი“... „ჰადა ონახონი სქაფინდი რენ“... ჭან. ტექსტ., II, 72 ¹⁷ ეს სარეცხი ვარცლია...
ო-ქომონჯ-ონ-ი	„გასათხოვარი“ (ზედმიწევ. „დასაქმარებელი“): ... ოქომონჯონი ბოზო ვარ მიდონუნ!... ჭან. ტექსტ., II, 30 ¹⁴ გასათხოვარი ქალიშვილი არა მყავს. მიმღეობა ნაწარმოებია ზმნისაგან იქომონჯენ — „ქმარს მიყვება“, „თხოვდება“.
ო-ჩილ-ონ-ი	„დასაქორწინებელი“, „ცოლმესართავი“: ... ბიჭი ჩქუნი ოჩილონი დივუ-და... ჭან. ტექსტ., II, 30 ⁸ ჩვენი ვაჟი „დასაცოლიანებელი“ გახდაო... (ზმნისაგან: ი-ჩილ-ენ „ცოლს ირთავს“).
ო-ნ-ჩამ-ურ-ე	„საცეხვავი“ (ზედმიწევნით: სა-ცემ-ურ-ი): ჰამუს

¹ ლაპარაკია საკერი მანქანის შესახებ.

- ონჩამურე უწუმელან; ონჩამურე ლაზუტიში ოქვასუში რენ... ჭან. ტექსტ., II, 72¹⁰ ამას საცეხვავს („ჩამურს“) ეტყვიან; „ჩამური“ სიმინდის საფშენელია (სხვა მაგალითები იხ. შედარ. ლექსიკ. 166-167).
- ონ-ცორ-უ** || **ონ-ცირ-უ** „საცერი“: ...ოკულე მქვერი ონცორუს გამოზარე... ჭან. ტექსტ., II, 26²⁴ მერე ფქვილს დაყრი საცერზე... ნანაქ მქვერი ონცორუს თე დონცორუს... ჭან. ტექსტ., II, 31²⁰ დეღამ ფქვილი საცრით გაცრა.
- ონ-შქომ-ალ-ე** „საჭმელი“: ოკახხე ოშქომალე ოშქომეს... ჭან. ტექსტ., II, 90²² მერე საჭმელი ჭამეს...
- ონ-მ-ჩახ-ულ-ე** „სადღებელი“: არიანი დომჩახუმთ ომჩახულეთე... ჭან. ტექსტ., II, 113³¹ არიანს შევდღებთ სადღებელში („სადღებელით“).
- ონ-ქაჩ-ალ-ე** „საკავებელი“, „დასამაგრებელი“: ემუში ჯოხო დენ ედერიში ოქაჩალე... ჭან. ტექსტ., I, 152²⁵ იმის სახელია უნაგირის დასაჭერი (დასამაგრებელი).
- ონ-ქოს-ალ-ე** „საწმენდი“, „სახოცი“, „ცოცხი“: ... ხეში ოქოსალე ფეთე... ხეფე იქოსამტეს... ჭან. ტექსტ., II, 65⁶ ხელის სახოცით ხელს იხოცდენ... ოქოსალე — თოზი ოქოსუმენი... ჭან. ტექსტ., I, 151²⁶ ცოცხი მტერის საგველად („საწმენდად“). შდრ. ქართ. - ჯოც- (აღ-ჯოც-ა) — შედარ. ლექსიკ. 340.
- პრევერბის ხმარებისას **ონ**- პრეფიქსი იკარგება:
- მენ-ჯირ-ონ-ი** „მისაწოლი“: მენჯირონი ორძო ქომული ჰემუს... ჭან. ტექსტ., II, 74¹³ ზურგიანი („მისაწოლი“) სკამი მოუტანე იმას...
- მე-ჭკაფ-ონ-ი** „დასაწყისი“: ... გეჭკაფონი ვაენ ჰადა ქითაბი... ჭან. ტექსტ., II, 75³⁴ დაწყებითი („დასაწყისი“) არაა ეს წიგნი...
- დენ-თიმ-ონ-ი** „ასასვლელი“: ჰადა — სერენდიში დენთიმონი ფსკალა... ჭან. ტექსტ., II, 72⁷ ეს — სასიმინდში ასასვლელი კიბე...
- გოლა-კორ-ონ-ი** „გადასაკრავი“: ... მასარი, გოლაკორონი ჰეფხე... ჭან. ტექსტ., II, 72²⁷ მესერი, გადასალობავი („გადასაკრავი“) წნელი.
- გამა-ჩ-ამ-ონ-ი** „გასაყიდი“ (ზედმიწ.: „გამოსაცემელი“): ...გამაჩამონი თხა ჰაწი ვარ იძირენ-და... ჭან. ტექსტ., II, 29²⁴ გასაყიდი თხა ახლა არ არისო („არ ინახვისო“)...

დო-რგ-უმ-ონ-ი „დასარგავი“: დორგუმონი დიუ.. ხვალა ვა დო-მარგენ... ჭან. ტექსტ., II, 104⁹ დასარგავი გახდა... მარტო ვერ დავრგავ...

ნ. მარს ჭანურ პრეფიქსებში **დო**-ც აქვს გამოყოფილი და ნიმუშად მიმღებებს ასახელებს:

დო-ჭირონ-ი „საჭირო“ (нужный), **მოსა-დოკანონი** „ბადის სატყორცნი“ (для метания сетей): იხ. ჭან. გრ., §119d.

ამაში გვექნებოდა ქართ. **სა**- პრეფიქსის ეკვივალენტი **დო**- პრეფიქსი, რის არსებობის კანონზომიერებაც ექვს გარეშეა¹ (იხ. ზემოთ **ს- || დ- || ნ-** პრეფიქსთა შესახებ თქმული).

ოლონდ წინასწარ უნდა გაირკვეს, ხომ არაა ეს **დო**- — **დო**- პრევერბი: დო-მაჭირენ ზმნა („დამჭირდება“) უკვე შეიცავს ამ **დო**-ს; მაშასადამე, **დო-ჭირ-ონ**- მიმღებაში **დო**- პრევერბი ჩანს და არა პრეფიქსი (იხ. ზემოთ: დო-რგ-უმ-ონ-ი). მიმღებობის საწარმოებელ პრეფიქსად ასეთ შემთხვევაში **ო**- უნდა ვივარაუდოთ: საერთო წესის თანახმად იგი იკარგება პრევერბის დართვისას.

მყოფადის მიმღეობა ჭანურში, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, არც თუ იშვიათია.

ნამყოს სუფიქსიანი მიმღეობა ხომ, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ისევე ჩვეულებრივია, როგორც ქართულში:

მეჭკად-ერ-ი ჭან. ტექსტ., II, 110¹⁰ „მოჭედილი“... **მოკვათ-ერ**-ი ჭან. ტექ., II, 86⁴ „მოკვეთილი“, „მოჭრილი“... **თხორ-ელ**-ი... იქვე, 77¹⁶ „თხრილი“... **მორდ-ერ**-ი... იქვე, II, 103¹⁵ „მოზრდილი“, „დიდი“... **ნჭარ-ერ**-ი იქვე, II, 112⁹ „წერილი“, „დაწერილი“. და სხვ.

§74. ადამიანისა და ნივთის კატეგორიის პრეფიქსები სვანურს ყველა ქართველურ ენებზე უკეთ დაუცავს.

შეპირისპირებულია **მ**-იანი პრეფიქსი და **ლ- || ნ**-იანი; **ლ-** ქართ. **ს**-ს ადგილს იჭერს; **მ-** და **ნ-** პრეფიქსები იგივეა, რაც ქართულში.

ნივთის კატეგორიის პრეფიქსად **დ**-ც მყდავნდება სპორადულად ისევე, როგორც ქართულში (და ზანურში).

რამდენიმე მაგალითი უკვე იყო დასახელებული:

დო-შდ-ულ „მთვარე“ (იხ. ზემოთ, გვ. 174)

¹ საინტერესოა, რომ ნ. მარი მიმღებობის წარმოების განხილვისას **დო**-პრეფიქსზე არ მიუთითებს (იხ. §§ 104, 118).

დ-შდ-ჟ (← დეშდ-ჟ „დათვი“ („ „ „ 175)
დგ-თხ-ელ „თხელი“ („ „ „ 177)

ამასვე უნდა დაერთოს: **ჯი-ჯჟ** „ძვალი“, შემთხვევა გვქონდა გვეჩვენებინა, რომ **-ჯჟ-** ძირეული მასალაა და უდრის ქართ. **ძჟ-**(ალ-), ხოლო **ჯი-** პრეფიქსია და მომდინარეობს **დი-**საგან:

ჯი-ჯჟ ← **დი-ჯჟ** || ქართ. **ძჟ-ალ**¹.

სვანურში ეს ფუძე — ჯი-ჯჟ — ზანურის დანალექია.

დგ-თხ-ელ „თხელი“ ნივთის კატეგორიის პრეფიქსს (**დ-**) შეიცავს, **მ-ახ-ე** „ახალი“ — ადამიანის კატეგორიისას (**მ-**). პარალელური, შეპირისპირებული ფორმები უნდა ჰქონოდა, როგორც ერთს, ისე მეორე ზედსართავს, — **სისტემა შეიბღალა, შერჩა თითო ფორმა, ერთს — ერთი კლასისა, მეორეს — კიდევ სხვისა**. განზოგადებისათვის უფრო შესაფერისი **დ-** კლას-კატეგორიის ნიშანი იყო, ვინემ **მ-** (იხ. გვ. 189); **მ-ახე** ისევე იქნა გამოყენებული, როგორც **მ-დიდარ-**ი (ქართულში): მნიშვნელობის განზოგადებით.

დ- პრეფიქსი სვანურისათვის ნიშანდობლივი არ იყო: **ლ-** პრეფიქსს მოველოდით. გვაქვს კიდევ; ასეთია, მაგალითად:

ლგ-ჯე „რძე“ იხ. გვ. 169.

ლა-დედ- „დედე“; **დედ-**ს შემოუნახავს ის ხმოვანი, რომელიც ქართულმა და ზანურმა დაკარგეს დეტერმინანტ-სუფიქსის დართვისას: **დღ-ე** || **დღ-ალ-** (უფრო დაწვრილებით იხ. შედარ. ლექსიკ. 193-4).

პრეფიქსი **ლა-** აქ ნივთის კატეგორიისაა. ეს მასალა მხოლოდ საილუსტრაცია: სვანურში ანალოგიური მაგალითი, ალბათ, ბევრი სხვაც დაიძებნება.

§75. სადაურობის აღნიშვნისას **მ-** და **ლ-** პრეფიქსიან წარმოებათა სისტემატური შეფარდება გვაქვს:

შუან „სვანეთი“:	მუ-შუნ- ი	ბალს. ზემ.	მუ-შუან „სვანი“
ზან „სამეგრელო“:	მგ-ზნ- ი	„ „	მგ-ზან „მეგრელი“
აფხაზ „აფხაზეთი“:	მგ-აფხაზ- ი	„ „	მგ-აფხაზ „აფხაზი“
ქაშაგ „ჩერქეზეთი“:	მგ-ქშაგ- ი	„ „	მგ-ქშაგ „ჩერქეზი“

მაგალიტები ამოღებულია აკ. შანიძის მონოგრაფიიდან: „უმლაუტი სვანურში“, — „არილი“, 215.

¹ იხ. „ქართ. ძვალ- ფუძის ზანური შესატყვისისათვის“: ფილ. მოამბე, 1, 93-96.

სიმ. ჯანაშიას ვარაუდით ამგვარი წარმოება „სვანურში სატომო სახელიდან საინდივიდო, კერძობითს ფორმას აწარმოებს“: მუ-შუან = „ერთი სვანი“, მგ-ზან || მგ-ზნ-ი = „ერთი მეგრელი“: იხ. „თუბალ... იბერი“: ენიმკის მოამბე, I, 208.

ასეთ შემთხვევაში საწარმოებელი ფუძე **შუან, ზან** გაგებულია, როგორც სატომო სახელი; **შუან** ამჟამად გეოგრაფიული ცნებაა, ადგილის სახელია: „სვანეთია“; შდრ. მეგრ. **შონე** = **შონ-ეთ**-ი „სვანეთი“. მაგრამ ეს იმდენად არ შეგვზღუდავდა: ადგილისა და მასზე მოსახლე ტომის სახელი ხშირად ერთმანეთს ენაცვლება („ოსებში მივდივარ“, შეუძლიათ თქვან „ოსეთში მივდივარ“-ის ნაცვლად, — მაგალითი სიმ. ჯანაშიასია).

ნ. მარის ჩვენებით **ზან** რიგ სვანურ თემში — ეცერში, ფარში, ლახამულაში — „მეგრელსაც“ ნიშნავს და „სამეგრელოსაც“ (ქვ. ენგურის სვანეთში): იხ. *Извлеч. из сван.-рус. слов.* 24.

თუ ასეა, მაშინ **მუ-შუან** და მაგვარი წარმოება გამოყოფდა ტომის წევრს, „ტომის კაცს“, ინდივიდს, ტომიდან: **შუან**, ვთქვათ, „სვანია, საერთოდ“ — **მუ-შუან** — „ერთი სვანი“ (მაგრამ მრავლობითი **შუან-არ** რაღას მაქნისია?).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა გვარისაგან ახალი სახელის წარმოება **მ-** პრეფიქსით: **ონან** „ონიანი“ (გვარია ლაშხეთში) — **მუ-უნან**-ი „მეონიანი“ (ე. ი. **ონიანის** გვარის **კაცი**...): ჩინ მაფშირე ლაშხისა ვონანა გვარ ლი, აშ ერე თელდ ლაშხ ორი... ვოხ-უმდ ამირ ი მერუმდ მეზგათეჟა ი ვოშთხვ ამირნუნ, მუუნანნი გარ ორი... იხ. არს. *ონიანი*. ლაშხ. 211 ყველაზე მრავალრიცხოვანია (ბევრია) ლაშხეთში ონიანის გვარი, ასე რომ, მთლად ლაშხეთი იქნებ ხუთას-ოც მოსახლემდე და ოთხასამდე მარტო ონიანის გვარის კაცი იქნება...

მ- პრეფიქსის ასე განმარტებისას სიმძიმის ცენტრი მაინც „ადამიანზე გადმოდის („ერთზე“ მითითება თანმხლები მომენტია): **მუ-შუან** „სვანის ტომის ადამიანი“, **მგ-ზან** „ზანის ტომის ადამიანი“, **მუ-უნანი** „ონიანის გვარის კაცი“...

თუ **მ-** პრეფიქსი „კაცს“, „ადამიანს“ არ დავუკავშირეთ, „ერთის“ ნი-ადაგზე ვერ აიხსნება გეოგრაფიული სახელებიდან **მ-** პრეფიქსით სადაურობის აღნიშვნა:

ფარ „ფარი“ (თემია ზემო სვანეთში): **მგ-ფარ**-ი || (ბალს-ზემ. **მგ-ფარ**) „ფარელი“, ე. ი. „ფარის თემის კაცი“...

ცაგერ „ცაგერი“ — **მგ-ცაგერ**-ი — ბზ.: **მგ-ცაგერ** „ცაგერელი“.

კალ „კალა“ (თემის სახ. ზ. სვან.) — ბზ. **მგ-კალ** „კალელი“.

მე-ჟან „მუჟალი“ (სოფელია ზ. სვან.) — ბზ. **მე-მჟან** „მუჟალელი“.
მელახ „მულახი“ (თემია ზ. სვან.) — ბზ. **მე-მლახ** „მულახელი“.
უშგულ „უშგული“ (თემია ზ. სვან.) — ბზ. **მუშგულ** „უშგულელი“.
ლეჩხუმ „ლეჩხუმი“ — ბზ. **მუ-ლჩხუმ** „ლეჩხუმელი“.
 (იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე , დასახელ. მონოგრაფია, „არილი“, 215, 214).

ასეთს სიტყვებში **მ-** პრეფიქსს იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც გააჩნდა ანალოგიურ პრეფიქსს **მ-ეგვტ-ელ-, მ-ტბევ-არ-, მ-როვ-ელ-** და მსგავს ქართულ მაგალითებში: ეს მნიშვნელობა ადამიანის სადა-ურობის აღნიშვნა, ზუსტად, — ადამიანის კატეგორიაზე მითითება („ფარის თემის კაცი“, „კალის კაცი“, „მუჟალის კაცი“, „მულახის კაცი“, „უმგულის კაცი“, „ლეჩხუმის კაცი“ და ასე შემდეგ).

§76. ერთი განსხვავება მაინც დასტურდება: ქართულში ეს **მ-** მრავლობითშიც გადაჰყვება სახელს, სვანურში — არა:

მ-ეგვტ-ელ-ი — მ-ეგვტ-ელ-ებ-ი, მ-ეგრ-ელ-ი — მ-ეგრ-ელ-ებ-ი, მაგრამ:

	მუ-შჟან	„სვანი“	— მრავლ.	შჟან-არ	„სვანები“...
	მე-კან	„კალელი“	— მრავლ.	კან-არ	„კალელები“
ანდა:	მე-მჟან	„მუჟალელი“	— მრავლ.	მე-ჟან-არ	„მუჟალელები“
	მე-მლახ	„მულახელი“	— მრავლ.	მე-ლახ-არ	„მულახელები“
	მუშგულ	„უშგულელი“	— მრავლ.	უშგულ-არ	„უშგულელები“
	მუ-ლჩხუმ	„ლეჩხუმელი“	— მრავლ.	ლჩხუმ-არ	„ლეჩხუმელები“

— იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე . ხსენ. მონოგრ. — „არილი“, 214; კარბ. დონდუა.

К вопросу об особ. фор. множ. чис. в сван. — „მასალები“, 554).

რას უნდა მიეწერებოდეს ეს თავისებურება? გადაჭრით პასუხის გაცემა ამჟამად ძნელია, მაგრამ შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ზოგი კავკასიური ენიდან ცნობილი ფაქტი: მხოლოდობითი გარჩეულია გრამატიკული კლას-კატეგორიები, მრავლობითი კი ეს განსხვავება წარმოცლია.

ასეა, მაგალ., ხუნძური ნაცვალსახელი მესამე პირისა მხოლოდობითი განასხვავებს სამ გრამატ. კლასს; დო-უ, დო-ფ, დო-ბ „ის“ (ОН, ОНА, ОНО¹), მრავლობითი გვექნება დო-ლ „ისინი“ — სამივე კლასისათვის.

შეიძლებოდა გვეთქვა: ხუნძურში კლასის ნიშნები სუფიქსებია, მრავლობითის ნიშანიც სუფიქსია და ეს იწვევს გრამატ. კლას-კატეგორიათა

¹ ასე თარგმნა მთლად ზუსტი არაა, მაგრამ დაახლოებით მაინც გვითვალისწინებს ხუნძურ ფორმათა სხვაობას.

სუფიქსების გაუჩინარებას მრავლობითში; მაგრამ მიზეზი ეს არ უნდა იყოს: არც ზმნაშია გარჩეული გრამატიკული კლასები მრავლობითში, თუმცა ეს ნიშანი პრეფიქსია და არა სუფიქსი: **ვ-**უგო, **ფ-**იგო, **ბ-**უგო (არის, ხარ, ვარ) — მრავლობ. **რ-**უგო (არიან, ხართ, ვართ).

მრავლობითის ეს **-ლ** (დო-**ლ**), **რ-** (**რ-**უგო) მხოლოდ რიცხვზე მიუთითებს, თუმცა წარმოშობით გარკვეული კლასის (სახელდობრ, მეოთხის) ნიშანი უნდა იყოს: ერთი კლასის ნიშანი განზოგადდა ყველასათვის და მით მოიშალა გრამატიკულ კლასთა შორის ის განსხვავება, რაც მხოლობითში იყო.

არაა შემთხვევითი, რომ უნიფიკაციის შედეგად ნივთის კატეგორიის (IV კლასის) ნიშანი დამკვიდრდა მრავლობითში.

სვან. **ლა-** პრეფიქსიანი წარმოება მრავლობითში გვაქვს (იხ. ქვემოთ), მაგრამ **სადაურობის** სახელებს მრავლობითში **მ-**ს ნაცვლად **ლ-** არ უჩნდებათ: საერთოდ არა აქვს პრეფიქსი.

იმის დავიწყება მაინც არ შეიძლება, რომ ზოგ სახელში **ლა-** ჩნდება მრავლობითში **მუ-** (← **მგ-**ს) ადგილას: **მუ-ხუბ-ე** „ძმა“ (ძმისათვის) — **ლა-ხუბ-ა** „ძმები“...

ლა- პრეფიქსით მრავლობითს აწარმოებს ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი რიგი სხვა სახელიც¹:

- | | | | | |
|---------|-----------------|---|---------------------|---------------------|
| ჯგმ-ილ | „ძმა (დისთვის)“ | — | ლა- ჯგმ-ილ-ა | „ძმები (დისთვის)“ |
| უდ-ილ | „და (დისთვის)“ | — | ლა- უდ-ილ-ა | „დეები „ |
| დაჩუ-ირ | „და (ძმისთვის)“ | — | ლა- დაჩუ-ა | „დეები (ძმისთვის)“ |
| ხეხუ | „ცოლი“ | — | ლწ- ხეხუ-ა | „ცოლები“ |
| ჰასტიშ | „ასული“, „ქალი“ | — | ლწ- მსუშ-ა | „ასულები“, „ქალები“ |
| თელღრა | „რძალი“ | — | ლწ- თლღრა-ა | „რძლები“ |
| ჩიყე | „სიძე“ | — | ლწ- ჩყ-ა | „სიძეები“ |
| სამუნ | „ცოლისძმა“ | — | ლწ- სამუნ-ა | „ცოლისძმები“ |
- **ლწ-**ნბწუნ-ა „ძმისწულები“... „ბიძაწვილები“.
- მეყერუა (ლაწნ.) „რძალი“ („მაზლის ცოლი“) — **ლა-**მეყერუა „რძლები“
- ჰწშ „ქმარი“ — **ლა-**ჰწშ-ა „ქმრები“
- მუ „მამა“ — **ლა-**მუ-ა „მამები“
- ბქგ. დი „დედა“ — **ლწ-**დი-ა „დელები“.

¹ მოგვეყვას კარბ. დონდუას წერილის მიხედვით: К вопросу об особ. форм. множ. чис. в сван. — „მასალები“, 553; იხ. აგრეთვე აკ. შანიძე. უმლაუტი — „არილი“, 204; ზავადსკი, XXXIV; მაგალითების ძირითადი კონტინგენტი ამ შრომებში მეორდება.

ამ **ლა-** პრეფიქსიანი წარმოების შესახებ კარბ. დონდუა წერს: „ნათესაობის აღმნიშვნელ სვანურ ტერმინთა მრავლობითი უფრო კრებიტის, კოლექტიურს წარმოადგენს. კრებიტობის ანუ კოლექტიურობის მნიშვნელობა რომ უნდა ჰქონოდა **ლა-** პრეფიქსს, ამის სასარგებლოდ ლა-პარაკობს, რასაკვირველია, თვით ამ ნათესაობითის ტერმინების სინგულარული ფორმა: ლა-ხუბ-ა, ლა-დჩ-ურ-ა და სხვ. მორფოლოგიურად ლა-ხუბ-ა „ძმები“ და ლა-რდ-ა „სადგომი“, „სამყოფი“ ერთმანეთისაგან არ განსხვავდება“ (იხ. **К вопросу...** „მასალები“ 556).

აკ. შანიძე ამოსავლად „ადგილის აღნიშვნას“ გულისხმობს: „**ლა-**თავსართმა ადგილის სახელთა წარმოებიდან განივითარა ახალი მნიშვნელობა: რამდენსამე სახელში მან დაიკისრა მრავლობითობის ფუნქციის გამოხატვა“ (იგულისხმება ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები) — იხ. „უმლაუტი“ — „არილი“, 204.

ლა-ხუბ-ა კრებიტობას უნდა აღნიშნავდეს. კარბ. დონდუას სათანადო მოსაზრება გასაზიარებელია: ლა-ხუბ-ა „სა-ძმ-ო“, „ძმ-ობ-ა“ („ძმების“ გაგებით: შდრ. ყმაწვილ-კაცობამ თავი მოიყარა: ყმაწვილ-კაცობა = ყმაწვილ-კაცები¹: შდრ. მეგრ. „**სა-მეზობ-ო-ს**“ „მეზობლობაში“ = „მეზობლებში“...

§77. სვანურმა პრეფიქსული წარმოება გამოიყენა იმისათვის, რაც ქართულში სუფიქსების მეშვეობით გადმოიცემა (ყმაწვილ-კაცობა, გლეხ-კაცობა, მთელი ახალგაზრდობა და სხვ.). ანალოგიური ფაქტების განყენებულ სახელთა წარმოების სხვა შემთხვევებშიც გვაქვს; პრეფიქსიანი წარმოება ისტორიულად წინ უსწრებს სუფიქსიანს; ახლა აღარ ვხედავთ: **სი-მხნ-ე, სი-ვაჟ-ე, სი-სავს-ე** და მაგვარ წარმოებას, წინათ კი იხმარებოდა:

... ეგე კმა სიმჴნე სიმჴნისად, რადლა ხარ მომხვეჭი რისად... ვეფხ.-ტყ., ხ. 691⁴.

... მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა... იქვე, ხ. 53¹.

... რა გასცნეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი... იქვე, 487³.

სი-მჴნ-ე- = მხნე-ობ-ა, სი-სავს-ე- = სავსე-ობ-ა... (იხ. აგრეთვე ქვემოთ — მასდარის წარმოებასთან დაკავშირებით).

¹ -ობ-ა-ს ფუნქციების შესახებ იხ. აკ. შანიძე, ქართ. გრამ. § 50, გვ. 59-60.

ლა-ხტბ-ა კრებითობას გამოხატავს; კრებითობის გაგება **ლა**- პრეფიქსის პირვანდელი ფუნქცია არაა (ისევე, როგორც ქართ. სა-სთვის „სა-ძმ-ო“ და სხვ. წარმოებაში): **ლა**- ნივთის კატეგორიის პრეფიქსია; მისი გამოყენება მრავლობითში მხოლოდობითის **მუ**-ს ადგილას იმავე საფუძველზე უნდა წარმოქმნილიყო, რამაც ხუნძურში, მაგალითად, მოშალა გრამატ. კლასთა გარჩევა მრავლობითში და ნივთის კატეგორიის აფიქსი დაამკვიდრა ყველა კლასისათვის: ესაა, ალბათ, ინდივიდუალობის დაჩრდილვა სიმრავლეში.

ლა- პრეფიქსიანი მრავლობითის შესახებ სხვა ენათა ანალოგიით გარკვეული ვარაუდი მაინც შეიძლება გვქონდეს; პრეფიქსის გაუჩინარების შემთხვევაში კი (**მუ**-შტან — შტან-წრ) აუხსნელი რჩება (მრავლობითში — „გაუპიროვნება“?).

სიძნელეს ქმნის მრავლობითის წარმოება იმ შემთხვევაშიც, თუ ამოსავლად სატომო სახელს ვიგულებდით: შტან მთელ ტომს გულისხმობს, შტან-წრ — მრავლობითი — რაღას მაქნისია ან როგორაა შესაძლებელი?

§78. მუ-შტან- ტიპის საპირისპიროა ლუ-შნ-უ:

შტან „სვანეთი“ — **მუ**-შტან „სვანი“ — **ლუ**-შნ-უ „სვანური“.

ზან „სამეგრელო“ — **მე**-ზან „მეგრელი“ — **ლუ**-ზნ-უ „მეგრული“.

აფხაზ „აფხაზეთი“ — **მე**-აფხაზ „აფხაზი“ — **ლგ**-აფხაზ-უ „აფხაზური“.

ქაშვ „ჩერქეზეთი“ — **მე**-ქშვ „ჩერქეზი“ — **ლგ**-ქშვ-უ „ჩერქეზული“.

კალ „კალა“ — **მე**-კალ „კალელი“ — **ლგ**-კალ-უ „კალური“.

მეჭალ „მუჭალი“ — **მე**-მეჭალ „მუჭალელი“ — **ლგ**-მეჭალ-უ „მუჭალური“.

მელახ „მულახი“ — **მე**-მლახ „მულახელი“ — **ლგ**-მლახ-უ „მულახური“.

უშგულ „უშგული“ — **მუ**შგულ¹ „უშგულელი“ — **ლუ**შგულ-უ „უშგულური“.

ლეჩხუმ „ლეჩხუმი“ — **მუ**-ლჩხუმ „ლეჩხუმელი“ — **ლუ**-ჩხუმ-უ² „ლეჩხუმური“.

¹ გრძელ **უ**-ში შერწყმულია პრეფიქსისეული და ფუძისეული ხმოვნები. ამიტომ ვერ გამოვყავით დეფისით.

² **ლუ**- პრეფიქსიანი უკანასკნელი ხუთი მაგალითი მოგვყავს აკ. შანიძის შრომის მიხედვით: უმლაუტი — „არილი“, 214.

§79. სადაურობის აღსანიშნავად ხმარებული პრეფიქსები სხვა ნაწარმოებ არსებით სახელებშიც გვაქვს:

ლიც „წყალი“ — **მგ-ლც-**ი „მერწყული“, „მეწყლე“
 თხუიმ „თავი“ — **მუ-თხუ-**მ-ი || **მა-თხუ-**მ-ი „მეთაური“
 ლაშხ. ფუსნ „ბატონი“ — **მუ-ფსუნ-**ი „მებატონე“
 ბზ. ჩწყ „ცხენი“ — **მგ-ჩწყ-**ი, ლენტეხ. **მე-ჩწყ** || **მგ-ჩაყ-გრ-**ი „მეცხენე“

ხამ „ლორი“ ლენტეხ. — **მგ-ხამ-გრ-**ი „მელორე“¹

შუკ-ჟ „გზა“ — **მე-შუკ** „მოგზაური“

სოფელ „სოფელი“ — **მე-სჟფელ** „სოფლელი“²

ლაღელ „ღღე“ — **მგ-ლღელ** „მწყემსი“³

შდრ.:

ლე-ხამ || **ლა-ხამ** „სალორე“

ლაშხ. **ლა-ჩაყ-ნირ** „საცხენე“

ვან „ხარი“ — **ლა-ვენ-ნირ** „სახარე“

კირ „კირი“ — ლაშხ. **ლა-კირ** „საკირე“

ჭაშ „ქმარი“ — ბჟგ. **ლე-ჭშ-გრ-**ი „საქმრო“

ფაყუ „ქული“ — ლშხ. **ლე-ფყ-ურ-**ი „საქულე“

მურყუამ „კომკი“ — ბზ. **ლა-მურყუამ** „საკომკე“⁴

მიყ „მზე“ — **ლა-მეყ** „აღმოსავლეთი“ (ზედმიწვევ. „სამზეო“)

შიყ „ზურგი“ — **ლა-შეყ** „გოდორი“ (ზედმიწვევ. „საზურგე“)

ლემესგ „ცეცხლი“ — **ლან-ლემესგ** „კერა“ (ზედმიწვევ. „საცეცხლე“)⁵

ლა-ღელ „ღღე“ — **ლა-ლღელ** „სამწყსო“⁶.

§80. ლა-ს პარალელურად ნა- პრეფიქსიცაა გამოყენებული:

ნან-ბოზ || **ნე-ბოზ** „საღამო“ — შდრ. ბანი „ამაღამ“⁷

ნან-გვბა || **ნან-ბგვა** || **ნე-ბგვა** || **ნი-გბა** — შდრ. ს-გტებ-ინ „წინ“⁸

¹ იხ. ვარ. თოფურია, „სვანური ენა“, 244. ყველა დიალექტური ვარიანტი არ მოგვყავს: ამ პრეფიქსის მხრივ განსხვავება სვანურ დიალექტებს შორის არა ჩანს.

² იქვე, გვ. 246.

³ იხ. ნ. მარი. Извлеч. из сван.-рус. слов. 22.

⁴ იხ. ვარ. თოფურია, სვანური ენა, 244.

⁵ იხ. აკ. შანიძე, უმლაუტი, — „არილი“ 203.

⁶ ვარ. თოფურია, სვანური ენა, 223.

⁷ იხ. ნ. მარი. Извлеч. из сван.-рус. слов. 19; ვარ. თოფურია. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის — უნივ. შრომ., ტ. VII, 92.

⁸ ნ. მარი, Где сохран. сван. скл.? ИАН, გვ. 1204.

ამავე რიგისაა, ალბათ: ბქვ. **ნა-ქამ**, ლშხ. **ნა-ქამ**, ლენტ. **ნა-ქამ**, ბზ. **ნა-ქამჭ** „გარეული“, „უცხო“, „სტუმარი“, — ნაწარმოებია ქამ (|| ქამ || ქამ || ქამ) — ისაგან „გარეთ“, „კარში“...

ნე-სგა || ნე-სკა „შუა“ (← სგა „ში“)...¹

ნა-თხუმ „ნათავარი“, **ნა-ზომან** (← ზომანა ლაშხ. ახალი წელი) „ნახალწლევია“, ბზ. **ნა-ქვთაშუ** „ნაქუთაისევი“², ბზ. **ნა-ლ-დაღ-უ** „ნამ-წყემსარი“³...

§81. ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ სვანურს **ლუ-** პრეფიქსი გამოყენებული აქვს მქონებლობის გადმოსაცემად, — ქართ. **-ი-ან-** (|| **-ოვ-ან-** || **-ი-ერ-**) სუფიქსთა ფუნქციით:

ვან „ხარი“ — **ლგ-ვან || ლგ-ვან** „ხარიანი“

ფაყუ „ქული“ — **ლგ-ფაყუ || ლგ-ფაყუ** „ქულიანი“

ვაშა „ძალა“, „ლონე“ — ზსვ. **ლგ-ვაშა**, ლაშხ. **ლგ-ვაშა** „ლონიერი“.

ლშხ. **ლუ-**ზურალ-**ლგ-**ბობშ-**ლუ-**ღვაჟმარ-დ „ქალიან-ბავშვიან-ვაჟიანად“⁴... აგრეთვე: **ლგ-ზაა** „წლიანი“, „წლისა“ (← **ზაა** „წელი“).

სხვა ქართველურ ენებში მქონებლობა არ გამოიხატება პრეფიქსით, — ყველგან სუფიქსს აქვს ეს დაკისრებული⁵.

§82. ნაწარმოებ ზედსართავ სახელთაგან ჩვენთვის საინტერესო მ-პრეფიქსი გვაქვს სახელებში:

ხოშა „დიდი“, „უფროსი“ — **მა-ხუშ-ი** „უფროსი“, „მეუფროსე“.

ფიშირ „მრავალი“ — **მა-ფშირ-ე**: ჩინ მათშირე (ონდან, ლაშხ. 211) „ყველაზე მეტი“, „ყველაზე მრავალი“.

ეგვე პრეფიქსია აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად გამოყენებული:

მა-ან-ე „ახალი“ — **მა-მ-ან-ე**, ბქვ. **მა-მან-ე** „უახლესი“

კვლთხი „მაღალი“ — **მა-კლათხ-ე** „უმაღლესი“

მგცხი „ცივი“ — **მა-მცხ-ე**, ბქვ. **მა-მცხ-ან-ე** „უცივესი“

¹ იხ. ვართოფურია. სვანური ენა. 67, 68.

² იხ. იქვე, გვ. 244-245.

³ იქვე, 227.

⁴ იქვე, გვ. 244.

⁵ შდრ. რიგითი რიცხვითი სახელების წარმოება სუფიქსებით ჭანურში (ქართულში) — პრეფიქსთა ნაცვლად (გვ. 94).

სგელ „სქელი“ — **მწ-ნ-სგლ-ე** „უსქესი“

გრილ „გრილი“ — **მწ-გრილ-ე** „უგრილესი“¹ და სხვ.

ეს აღმატებითი ხარისხი წარმოების მიხედვით მეგრ. **მა-** → **-ა** ტიპს ეკვლება: თიმ **მა-მაღალ-ა, მა-სქ-ა, მა-რგილ-ა...** (იხ. გვ. 192); მოითხოვს ნათესაობითს ისევე, როგორც სვანური აღმატებითი.

§83. რიგითი რიცხვითი სახელების საწარმოებლად სვანურში **მე-** — **-ე** აფიქსებია გამოყენებული:

მე-რამ-ე „მეორე“, **მე-სამ-ე** „მესამე“, **მე-შთხ-ე** „მეოთხე“, **მე-ხუშ-ე** „მეხუთე“, **მე-სგ-ე** „მეექვსე“ და სხვ.

წილადებისათვის **ნა-** პრეფიქსიანი წარმოების მაგალითებიც გვაქვს: **ნა-მსმი** „ნასამალი“, **ნა-შთხ-ი** „ნათხალი“... (პარალელურად: მე-სამ-ე ნწითი „მესამე ნაწილი“, მე-შთხ-ე ნწითი „მეოთხე ნაწილი“...).

მეგრულისა და ქართულის ანალოგიურ წარმოებას სვანურიც მიყვება.

§84. სვანური **მიმღეობა მ-** და **ლ-** || **ნ-** პრეფიქსების დაპირისპირებისათვის ისეთსავე უხვ მასალას იძლევა, როგორც ქართული, იმ განსხვავებით ოღონდ, რომ **ნ-**იანი წარმოების ხვედრი წონა შეუდარებლივ დიდი, ვინემ ქართულში (**მ-** პრეფიქსის გამოყენებაც ნაწილობრივ უფრო ფართოა).

მე-ყერ „მცემელი“, „დამრტყმელი“

მე-კედ „ამღები“

მე-ფთ-ი „მჩიჩელი“

მუ-კუშ-ე „გამტეხი“

მე-ბნ-ე „დამწყები“

მე-ტხ-ე „დამაბრუნებელი“

მე-წედ „მნახველი“

მე-რდ-ე „მყოფი“

მე-ყურ-ე „მწოლარე“

მე-სგურ-ე „მჯდომარე“

მუ-ზუბ „მჭამელი“

მუ-შგუმ „მთხოვნელი“

— **ლა-ყარ** „დასარტყამი“

— **ლა-კანდ** „ასაღები“

— **ლან-ფთირ** „საჩიჩელი“

— **ლან-კუშ-ა** „გასატეხი“

— **ლან-ბნ-ა** „დასაწყისი“

— **ლან-ტხ-ა** „დასაბრუნებელი“

— **ლა-წანდ** „დასანახი“

— **ლა-რდ-ა** „სამყოფი“

— **ლა-ყურ-ა** „საწოლი“

— **ლა-სგურ-ა** „საჯდომი“

— **ლა-ზობ** „საჭმელი“

— **ლა-შგომ** „სათხოვი“²

¹ მაგალითები ამოღებულია აკ. შანიძის მონოგრაფიიდან: უმლაუტი — „არილი“ 201-202.

² **ლა-** პრეფიქსიანი მაგალითები ამოღებულია აკ. შანიძის იმავე შრომიდან — „არილი“, 203-204.

მ- და **ლ-** პრეფიქსებს შეიძლება ხმოვნები ახლდეს; ამ გზით მიიღება: **მგ-** (ასიმილაციით **მუ-**), **მე-**, **მო-**, **მა-** — **ლა-**, **ლე-**, **ლგ-**...

მგ- || **მუ-** (ასიმილაციით): **მგ-თრე** „მსმელი“, **მგ-შხი** „მწველი“, **მგ-გემ** „მშენებელი“, **მუ-თური** „მასწავლებელი“, **მუ-ჭუდი** „მიმცემი“, (სხვა მაგალითები იხ. აქვე, ზემოთ)...

მე-: ბზ. **მე-თხუაზრ** „მონადირე“, **მე-შედ** „მშველელი“, **მე-დეგ** „ქრობადი“, **მე-დგარი** „მომაკვდავი“ (სხვა მაგალითები იხ. ზემოთ).

მო-: **მო-გეკ** „გამძლე“, **მო-ლწ** „მოყვარული“, ზსგ. **მო-სიბ** „მოსამსახურე“, ბზ. **მო-შდებ** „მომუშავე“...

მა-: ბზ. **მა-შნდ** „მარგებელი“, „მშველელი“, ბზ. **მა-კნდ** „მოსავალი“, ბზ. **მა-ზუბ** „ამომავალი (წყარო)“¹...

ვარ. თოფური ა აღნიშნავს: **მე-**, **მო-**, **მა-** გარდაუვალ ზმნებთან გვაქვსო, მაგრამ მასთან მიუთითებს, რომ: 1. „**მო-** შეიძლება დაერთოს აქტივ ზმნათა ფუძესაც: ბზ. **მოზნან** „მომვლელი“ — ბზ. მზნანი, ლშ. მზნანი...“ (სვან. ენა, § 623, შენიშვნა II, გვ. 220); 2. **მე-**ს ზოგჯერ **მგ-** ენაცვლებაო (ლშ. **მე-რჰნლ** || **მგ-რჰნლ** „მტირალი“, „მომთქმელი“ (იქვე, § 622, შენიშვნა, გვ. 219), **მო-ზნან**-ის მაგალითზე ვნახეთ, რომ **ო** და **გ-**ც შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლოს; ასევე **-ა-** და **-ე-**: **მა-შნდ** || **მე-შედ** (აქვე, ზევით).

ამგვარად, **მგ-**, **მუ-**, **მე-**, **მო-**, **მა-** პრეფიქსების გამიჯვნა საწარმოებელ ზმნათა გვარის მიხედვით არ ხერხდება, თუმცა **მე-**, **მო-**, **მა-** გარდაუვალ ზმნათა მიმღობის საწარმოებლადაა უპირატესად გამოყენებული.

ლა- (|| **ლწ-**) პრეფიქსის გვერდით **ლე-**ც აწარმოებს მყოფადის მიმღობას:

ლე-თრე „სასმელი“, **ლე-შხი** „საწვავი“, **ლე-გემ** „საგები“, **ლე-კნი** „სახნავი“, **ლე-ტხე** „დასაბრუნებელი“, **ლე-წედ** „სახანავი“, **ლე-რეჰუ** „ტანსაცმელი“ და სხვ.² (**ლა-**პრეფიქსიანი მაგალითები უკვე გვქონდა დასახელებული).

ლა- და **ლე-** პრეფიქსების შესახებ ვარ. თოფური წერს: „მიუხედავად იმისა, რომ **ლე-** და **ლა-** ორივე ერთს ფუძეს დაერთვის, მიღებული ფორმაც ორსავე შემთხვევაში ვნებითი გვარის მყოფადის მიმღობაა და ქართულადაც თითქმის ერთნაირად ითარგმნება, მათ შორის მაინც საკმაო განსხვავებაა: **ლე-** პრეფიქსიანი... ადექტივია, **ლა-** პრეფიქსიანი კი — სუბსტანტივი. პირველით ნაჩვენებია, რომ ობიექტი ამა თუ იმ მოქმედებისათვის ან მდგომარეობისთვისაა დანიშნული, მეორით კი გამოხატულია

¹ იხ. ვარ. თოფური. სვანური ენა, გვ. 218-220.

² იქვე, 221.

„სამდგომარეობო“ ან სამოქმედო ადგილი (**loc. actionis**) ანდა ნივთი (იარაღი), რომლითაც ესა თუ ის მოქმედება სრულდება, მაგ.:

ლე-თრ-ე დასალევი (წყალი) — **ლა-თრ-ა**: a. ადგილი, სადაც სვამენ, b. ჭურჭელი, რითაც სვამენ.

ლე-ბრწლ (და)საბანი — **ლა-ბრ-წლ** საბანაო (ადგილი)

ლე-ტხ-ე დასაბრუნებელი — **ლწ-ტხ-ა** დასაბრუნებელი (გზა)... (იხ. სვან. ენა, 223).

იმავე საკითხის შესახებ ვარ. თოფურია სხვა ნაშრომში შენიშნავს: „**ლა-** პრეფიქსი იმავე მოვალეობას ასრულებს, რასაც **ლე-**, ოღონდ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც უნდა ყოფილიყო ქართ. **სა-** — **-ო** და **სა-** — **-ე** აფიქსებში (სააგურო — სააგურე, სათავო — სათავე, სამარილო — სამარილე)“ — იხ. **ნე-**, **ნი-**, **ნა-** პრეფიქსებისათვის — უნივ. შრომ., ტ. VII, 84.

ლე-ს ანალოგიით ავტორი ქართულში ყურადღებას ამახვილებს **სე-** პრეფიქსზე: **ლა- ლე-** — **სა- სე-** (და შემდეგ: — **ნა- ნე-**ზე) — იქვე, გვ. 85, 87...

ანალოგიურ წყვილთა გამოყოფა მართებულია, ოღონდ **სა- სე-** — **ლა- ლე-** პრეფიქსთა ფუნქციებია სადაო: კერძოდ, ის განსხვავება, რომელსაც ავტორი ამყარებს **ლა-** და **ლე-**ს შორის, მეორეული ჩანს; ამიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში ეს სხვაობა ხელშესახებია, ზოგჯერ ხელოვნურობის იერი გადაკრავს ისევე, როგორც ქართ. **სა-** — **-ო** და **სა-** — **-ე** წარმოებათა შემთხვევაში (შდრ. ავტორის მაგალითებს სა-მარილ-ე, სა-თავ-ე... — სა-ხრ-ე, სა-პალნ-ე, სა-ნაგვ-ე, სა-ძირ-ე, სა-პირ-ე (მასალა)... სა-სამართ-ლ-ო, სა-მზარეთლ-ო, სა-მკითხველ-ო: უკანასკნელი სამი სახელი ადგილს აღნიშნავს, მაგრამ **სა-** — **-ო-**თია ნაწარმოები... სა-ძირ-ე, სა-პირ-ე (მასალა) არც ადგილს ნიშნავს, არც იარაღს, — **სა-** — **-ე-**თი კია ნაწარმოები).

§85. როგორც უკვე გვაქვს ერთგან აღნიშნული (გვ. 169), ჩვენთვის საინტერესო პრეფიქსებში თანხმონებთანაა (**მ...** **ს-** || **ლ-** || **წ-** || **დ-** || **რ-**) გარკვეული ფუნქცია დაკავშირებული, ხმონები არ ცვლიან სათანადო პრეფიქსთა მნიშვნელობას: **მ-** ადამიანის კატეგორიაზე მიუთითებს, **ს-** (|| **დ-** || **წ-** || **ლ-** || **რ-**) — ნივთისაზე იმისდა მიუხედავად, ახლავს მათ ხმონითი ელემენტი, თუ არა. ეს ხმონები, რა თქმა უნდა, უფუნქციო ფონეტიკურ დანართს არ წარმოადგენენ. კერძოდ, ნაზმნარ სახელებში მათ ზმნის გვართან, — უკეთ, ზმნური ფუძის პრეფიქსულ ხმონებთან — უნდა ჰქონდეს კავშირი (თუმცა პირვანდელი მნიშვნელობის მიკვლევა ძნელდება იმ ცვლილებათა გამო, რაც ზმნის ფუძეშია მომხდარი). სახელისაგან ნა-

წარმოებ სახელებში ამ ხმოვანთა ფუნქცია და წარმომავლობა უფრო გაურკვეველია.

პრეფიქს-დართული ხმოვნების საკითხი დადგება მასდარის წარმოების ანალიზთან დაკავშირებითაც (იხ. ქვემოთ).

§86. სვანური **ლა-** || **ლე-** პრეფიქსები, როგორც ვნახეთ, ქართ. **სა-** (**სე-**)-ს ტოლია და მყოფადის მიმღობას აწარმოებს.

მაგრამ ეგვე **ლ-**იანი პრეფიქსი სვანურში ნამყო დროის მიმღობის საწარმოებლადაცაა გამოყენებული; აქ **ლ-**იანი პრეფიქსი **ნ-**იანი პრეფიქსის ადგილს იჭერს და, პირუკუ, ეს **ნ-**იანი პრეფიქსი მყოფადის მიმღობის წარმოებაშიც დაჩნდება.

ამგვარად, **ნა-** პრეფიქსი **ნამყო**ს მიმღობაშიც გვაქვს და **მყოფადისაშიც**; **ლ-** პრეფიქსიც აგრეთვე ნამყოშიც გვაქვს და მყოფადშიც (**ლგ-** || **ლუ-** — **ლა-** **ლე-**: ხმოვნების სხვაობა არსებითი რომ არ არის, ნაჩვენებია ზევით **მგ-** (|| **მუ-**) || **მო-** || **მე-** || **მა-** პრეფიქსების მასალა-ზე).

ნა- ნამყო დროის მიმღობის საწარმოებელი პრეფიქსია:

ნა-ზობ „ნაჭამი“, ლშხ. **ნა-დღეს** „ნადები“, ბზ. **ნა-დგარ-უ** „ნაკლავი“, **ნა-მშა-უ** „ნამუშევარი“, **ნა-თორ** „ნასწავლი“, **ნა-შხუნ** „შენანახი“... ბზ. **ნა-მწარ-უ** „ნამზადები“, **ნა-კუთიშ-უ** „ნატეხი“... ბზ. **ნა-გამ-უ** „ნაგები“, „ნაშენები“... ბზ. **ნა-წად-უ** „ნანახი“... ბზ. **ნა-რდა-უ** „ნაზარდი“¹...

ნა- პრეფიქსი **მყოფადის** მიმღობის, მასალის სახელწოდების საწარმოებელია:

ლშხ. **ნა-გმ-უნ** „ასაშენებელი“ (მასალა), ლშხ. **ნა-ბმ-უნ** „საბმელი (მასალა)“, ბზ. **ნა-მზგარ-უნ** „სალოცავი“, „შესაწირავი“, ბზ. **ნა-ლშგ-უნ** „სახურავი (მასალა)“, ბქვ. **ნა-ტუს-უნ** „საკმეველი“, ზსვ. **ნა-დფ-უნ** „სადეზავი“, ზსვ. **ნა-სყ-უნ** „საკეთებელი“... და რიგი სხვა².

ლგ- || **ლუ-** ნამყოს მიმღობის პრეფიქსად გვაქვს:

ლშხ. **ლგ-დგარ** „მკვდარი“, ზსვ. **ლგ-თ-ე** „მომკილი“, ლნტ. **ლგ-ბემ-ე** || **ლგ-ბ-ე** „დაბმული“, ბქვ. ლნტ. **ლგ-მარ-ე** „მომზადებული“, ბქვ. ლნტ. **ლგ-ტის** „დაბრუნებული“, ლშხ. **ლგ-თირ** „ცნობილი“... ბქვ. **ლუ-ქუ-ე** „თქმული“, ბზ. **ლუ-გუეჭ**, ეცრ. **ლგ-გეჭ**, ლნტ. **ლუ-გუეჭ** „დაფქული“, ბქვ. ლნტ. **ლუ-წუილ-ე** „გათხოვილი“... ლექსებში: **ლგ-ჭათ-ი** (ლნტ. **ლგ-ჭათ**, ბზ. ლშხ. **ლუ-ჭთ-უნ-ე**) „დაწყველილი“, **ლუ-ზვერ-ი** „კრებული“, ლშხ. **ჩუ**

¹ ვარ. თოფური ა. სვანური ენა, 226 და შემდ.

² იქვე, 229-230.

ლუ-ტკ-უნ-ე, ბზ. **ჩუ ლუ-ტკუნ**, ლნტ. **ჩუ ლუ-ტკუნ** „დახუჭული“ და მრავალი სხვა.

§87. **ნა-** პრეფიქსის გამოყენება ნამყოს გარდა მყოფადის საწარმოებლად და **ლ(გ)-** || **ლ(უ)-** პრეფიქსის მყოფადის გარდა ნამყოში გამოვლენა ამ პრეფიქსების ფუნქციითა გენეტურ იდენტობას მოწმობს. ამგვარად, დადებითად წყდება ქართულისთვისაც **ნა-** || **სა-** პრეფიქსების წარმომობითი იგივეობის საკითხი:

ნა-კითხ-ი — **სა-**კითხ-ი, **ნა-**წერ-ი — **სა-**წერ-ი წარმომობით ერთი და იმავე ღირებულების ოდენობაა: **ნა-** || **სა-** — ორივე ნივთის კატეგორიაზე მიუთითებს. ქართულში ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს **ნე-** პრეფიქსით წარმოები მიმღობის ფორმები (**ნე-**რგ-ი, **ნე-**სტუ-... სადაც **ნე-** = **სა-** || **ნა-**: **ნე-**რგ-ი = **სა-**რგაგ-ი, **ნე-**სტუ = **სა-**ყურ-ი, „სა-სტუენ-ი“... **ნე-**რწყ = „სა-რწყველ-ი“, **ნე-**შტ-ი — შტ. ახ. ქარ. **ნა-**შთ-ი = ნა-რჩენ-ი)... და აგრეთვე სახელისაგან წარმოებ სახელებში **სე-** || **ნა-** || **ნე-** პრეფიქსების მონაცვლეობა (***სე-**შა → **შე-**შა... **ნე-**დ-ლ-ი... იხ. გვ. 170).

სვანური მიმღობის წარმოება ექვმიუტანლად ცხადყოფს იმას, რაც ქართულის ცალკეულ მონაცემთა მიხედვით სავარაუდებელია იყო. ამაშია სვანური მიმღობის წარმოების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის.

§88. ცალკე აღნიშვნის ღირსია ერთი გარემოება. „მგ- — ე ფორმანტები ზოგჯერ ენაცვლება **ლგ-** — -ე-ს: **ლუ-ტუნარ** || ზსგ. **ლუ-ტუნრ-ე**, ლშხ. **ლუ-ტუარ** — **მუ-ტუნარ** (ლშხ. **მუ-ტუარ**) „ანთებული“, „მოკიდებული“, ბზ. **ლგ-ტუბ-ე**, ლშხ. **ლგ-ტუაბ** — **მგ-ტუაბ** (ლშხ. **მგ-ტუაბ**) „შემწვარი“¹...

ამ წარმოების შესახებ აკ. შანიძე წერს: ... „დაბრუნებული“ სვანურად არის **ლგ-ტხ-ე** და **მე-ტხ-ე**, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **ლგ-ტხ-ე** არის „რომელიც დაბრუნეს“, ხოლო **მე-ტხ-ე** — „რომელიც დაბრუნდა“, ე. ი. მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც მაგ. ქართ. გატეხილ'სა და გამტყარ'ს შორის: გატეხილი'ა „რომელიც გატეხეს“, გამტყარი კი „რომელიც გატყდა“².

წარმოების თვალსაზრისით უფრო ახლოს იქნებოდა, თუ ავიღებდით ქართ. გა-**ნა-**ტხ-სა და გა-**მ-**ტყდარ-ს: **ნა-** || **ლგ-** — **მ-** || **მ(ე-)**. მნიშ-

¹ ვარ. თოფური ა. სვანური ენა, 226.

² აკ. შანიძე. უმლაუტი — „არილი“, 195-196.

ვნელობის ხსენებული სხვაობა კი სვანურში, ალბათ, მეორეულია, იმდროინდელი, როდესაც მიმღობის საწარმოებელი სტანდარტი ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, უნდა ვიფიქროთ, **ლგ-ტხ-ე** „დაბრუნებულ რაღაცას“ ნიშნავდა, **მე-ტხ-ე** — „დაბრუნებულ ვიღაცას“.

§89. ჩვენ არაფერი გვითქვამს მიმღობის საწარმოებელი სუფიქსების შესახებ სვანურში. სახელისაგან ნაწარმოებ სახელთა სუფიქსებთან ერთად მიმღობის სუფიქსები ძირითად წყაროდ უნდა დავსახოთ დეტერმინანტ სუფიქსთა ვითარების გარკვევისას სვანურში (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 103).

§90. მიმღობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია; ნაზმნარი სახელია აგრეთვე **მასდარიც**, მოქმედება-მდგომარეობის სახელი.

ადამიანისა და ნივთის კატეგორიის პრეფიქსები — თავისებურად გამოყენებული — დადასტურდა მიმღობაში. ბუნებრივია, ამ პრეფიქსებს მოველოდეთ მასდარშიც. მასდარის წარმოების განხილვა ამ თვალსაზრისით ბუნებრივია და აუცილებელი.

არც ქართულს, არც სხვა ქართველურ ენებს არ გააჩნიათ უბირო ზმნა, ინფინიტივად წოდებული; ინფინიტივის ადგილს ქართველურ ენებში იჭერს ნაზმნარი სახელი, რომელსაც აღნიშნავენ ტერმინებით **სახელზმნა**¹ ანუ **მასდარი**.

ასეთი ნაზმნარი სახელი იმ ენებსაც მოეპოვებათ, რომელთაც ინფინიტივიც² გააჩნიათ; ასეთია, მაგალითად, რუსული, გერმანული... მთის ზოგი კავკასიური ენა (მაგ., ხუნძური...); ქართული და სხვა ქართველური ენა ორივეს მასდარით გადმოსცემს: **читать, чтение** — კითხვა, **рисовать, рисование** — ხატვა, **шить, шитье** — კერვა... ნამდვილად კი ქართ. „კი-

¹ სახელზმნა კარგი ტერმინი იქნებოდა, ერთს გაუგებრობას რომ არ იწვევდეს: იგი გვაფიქრებინებს, თითქოს სათანადო სიტყვა (ჭრა, კერვა, ახსნა, ხატვა...) სახელიც იყოს და ზმნაც მაშინ, როდესაც ამგვარი სიტყვები ზმნისაგან ნაწარმოები სახელებია, ნაზმნარი სახელები; ნაზმნარი სახელი კი მაინც **სახელია** (და არა ზმნა) ისევე, როგორც სახელისაგან ნაწარმოები ზმნა (ა-წეს-ებ-ს, ა-თავ-ებ-ს, ა-ჭიანურ-ებ-ს...) **ზმნაა**, ნასახელარი ზმნა, მაგრამ მაინც ზმნა (და არა „პირიანი სახელი“).

ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ტერმინს „მასდარი“.

² ძველ სალიტერატურო ქართულში ინფინიტივის ჩამოყალიბების პროცესი იწყებოდა, მაგრამ მისი განვითარება შეწყდა. რატომ? ამაზე შეჩერება აქ უადგილო იქნებოდა.

თხვა“, „ხატვა“, „კერვა“ ეტოლება **чтение, рисование, питье**-ს.

მასდარი იწარმოება ზმნისაგან, ინფინიტივი კი ზმნის ფორმას ამოსავლად არ საჭიროებს, ის თვითონაა ზმნის საყრდენი, ამოსავალი, — ამიტომაც საჭიროა ჩვენი მასდარი არ ავუროთ ინფინიტივში.

ქართულში მასდარი იწარმოება როგორც პირველადი, ისე ნაწარმოებები ზმნისაგან. წარმოებისას ჩვეულებრივ ამოსავალია აწმყოს ფუძე:

პირველადი ზმნა: გრეხ-ს — გრეხ-ა, ჭამ-ს — ჭამ-ა, ჭრ-ი-ს — ჭრ-ა...

ნასახელარი ზმნა: ბარ-ი — ბარავ-ს — ბარ-ვა, წეს-ი — ა-წეს-ებ-ს — და-წეს-ებ-ა, ფითრ-ი — ა-ფითრ-ებ-ს — გა-ფითრ-ებ-ა, წითელ-ი — ა-წითელ-ებ-ს — გა-წითელ-ებ-ა.

გრეხა-საგან კი არაა ნაწარმოები „გრეხს“, არამედ, პირუკუ, „გრეხა“-ა ნაწარმოები „გრეხს“ ზმნისაგან... ასევე: „ბარვა“-საგან კი არ იწარმოება „ბარავ“-ს, არამედ, პირუკუ, „ბარავ“-ს უნდა გვქონდეს, რომ „ბარვა“ გაკეთდეს; „ბარავ“-ს, თავის მხრივ, **ბარ-** სახელისაგანაა ნაწარმოები.

§91. არის ნასახელარ ზმნათა ერთი კატეგორია, სადაც ზმნისა და მასდარის ურთიერთობა სხვაგვარია: მასდარი ზმნის ფორმისაგან არ იწარმოება, თვით ზმნა ჩანს მასდარისაგან ნაწარმოები.

საწარმოებელი სახელი	ნასახელარი ზმნა:	ნაზმნარი სახელი: მასდარი
გრიალ-ი	გრიალ-ებ-ს	გრიალ-ი
ჭრიალ-ი	ჭრიალ-ებ-ს	ჭრიალ-ი
ფრიალ-ი	ფრიალ-ებ-ს	ფრიალ-ი
კანკალ-ი	კანკალ-ებ-ს	კანკალ-ი
ძუნძულ-ი	ძუნძულ-ებ-ს	ძუნძულ-ი
გუგუნ-ი	გუგუნ-ებ-ს	გუგუნ-ი
ჭიხვინ-ი	ჭიხვინ-ებ-ს	ჭიხვინ-ი
ტიტინ-ი	ტიტინ-ებ-ს	ტიტინ-ი
კისკის-ი	კისკის-ებ-ს	კისკის-ი
ბარბაც-ი	ბარბაც-ებ-ს	ბარბაც-ი
ჩიფჩიფ-ი	ჩიფჩიფ-ებ-ს	ჩიფჩიფ-ი
ლასლას-ი	ლასლას-ებ-ს	ლასლას-ი და სხვ.

მასდარი და ის სახელი, რომლისაგანაც ზმნა ვაწარმოეთ, ერთი და იგივე აღმოჩნდა, ე. ი. მასდარი ამგვარი ზმნებისაგან არ იწარმოება, მასდარის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისაგანაც ზმნა იქნა ნაწარმოები. და ეს ხდება იმიტომ, რომ ამ პირველადს სახელებს უკვე აქვთ ის მნიშვნელობა, რომელთა გამოსახატავადაც მასდარი იწარმოება: გრიალ-ი; გუგუნ-ი, ტიტინ-ი, კანკალ-ი და მსგავსი სახელები **მდგომარეობა-მოქმედების** აღმნიშვნელი პირველადი სახელებია¹. მათ აღვნიშნავთ სახელწოდებით „პირველადი მასდარი“.

შდრ. წეს-ი — ა-წეს-ებ-ს — და-წეს-ებ-ა

ტიტინ-ი — ტიტინ-ებ-ს — ტიტინ-ი...

ამჟამად მოიპოვება თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც ამგვარ ზმნებს მასდარი უჩნდებათ სათანადო „პირველადი მასდარისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობით:

თამაშ-ი — თამაშ-ობ-ს — თამაშ-ობ-ა: „ბავშვმა თამაში დაიწყო“ — „ამ ბავშვებმა ბევრნაირი თამაშობა იციან“ (შდრ. „ბავშვმა ტიტინი დაიწყო“ — „ბავშვმა ტიტინი იცის“). ასეთივე ნაწილობრივი ცვლა მნიშვნელობისა ახასიათებს მეორეულ მასდარებს: ატიტინ-ებ-ა, ა-ლრიალ-ებ-ა, ა-ჩიფჩიფ-ებ-ა...

პრევერბის დართვის შესაძლებლობა პირველადს მასდარს ანდა მათგან ნაწარმოებ ზმნებს მეტად შეზღუდული აქვს.

§92. რა აწარმოებს მასდარს ქართველურ ენებში?

ქართულში **მასდარის ძირითადი საწარმოებელი ფორმანტი** ძველ-თავანვე **სუფიქსები** ჩანს; **ყველაზე გავრცელებული სუფიქსია -ა**; იგი ჩვეულებრივ აწმყოს ფუძეს დაერთვის; ძველს ქართულში — საერთო წესის თანახმად — ამგვარი მასდარი, როგორც ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, დაირთავს სახელობითის ნიშან **ი** → **ა**-ს (ახალ ქართულში ეს **-ი** დაკარგულია):

ი-ხილ-ავ-ს — ხილ-ვ-ა-დ: ... არა ჯერ მიჩს შეუმკობელად ხილვა დ მისი... ბოლნ., 39₅ ქვ.

ა-გებ-ებ-ს: ე-გებ-ებ-ის — მი-გებ-ებ-ა-დ: ... ჯერ არს მიგებებ ა დ მისა სიხარულით... ბოლნ., 7₁₅.

ცემ-ს — ცემ-ა-დ: ...ჯერ არს თაყუანის-ცემა დ მისა... ბოლნ., 7₁₆.

ი-დრეკ-ს — მო-დრეკ-ა-დ: ... ჯერ არს მისა მუკლთ მოდრეკა დ... ბოლნ., 7₁₇.

¹ ამ სახელების ფუძე შედგენილობით — მეტწილად — ნაწარმოები ჩანს: გამოიყოფა სუფიქსები: **-უნ-**, **-ულ-**, **-ინ-**, **-ალ-**...

ე-ვედრ-ებ-ი-ს — ვედრ-ებ-ა-დ: ... ჯერ არს მისა შევედრებად ცრემლით... ბოლნ., 718.

§93. მასდარის საწარმოებელ სუფიქსთა შორის საკმაოდ ხშირია **-ლ-**, რომელსაც ისტორიულად წინ უსწრებს **-ნ-** (იხ. ქვემოთ). **-ლ-** სუფიქსს გარდაუვალ ზმნებთან ვხვდებით.

ამ **-ლ-** სუფიქსს თითქმის ყოველთვის წინ უძღვის **-ი-**; ეს უკანასკნელი ზმნის ფუძის კუთვნილებას წარმოადგენს (აწმყოში).

რაკი მასდარის ფუძე **-ლ-** თანხმონით ბოლოვდება, სახელობითი ნიშნად მას **-ი-** მოუდის ძველს ქართულშიცა და ახალ ქართულშიც.

ს-წყურ-ი-ს მას იგი — **წყურ-ი-ლ-ი**:

... იწყო ელიაცა შეურვებად წყურილითა... უდაბნ., 73r.

... ქუე იდვა იგი სიკუდიდ მიახლოებული სიმძაფრისა გან წყურილისა... საბა ასურ., 1012.

... და შიმშილი და წყურილი მათი ყოველთა შეაურვებდა... წარტყუნ., 10720.

ახ. ქართ. **ტირ-ი-ს** || ძვ. ქართ. **ტირ-ს** იგი: — **ტირ-ი-ლ-ი**:

... არა ვტირ ერთისა ხოლო ქალაქისა თვს... არა ვტირ — ქვეყნის მეფისა თვს... არამედ ვტირ და ვგოდებ ერისა მორწმუნისა-თვს... არა ვტირ მე კედელთა მათ-თვს... არამედ ვტირ მე და ვგლომ ქალაქისა მისთვს წმიდისა... წარტყუნ., ბ18, 20, 30, დ9.

... საგლოველთა სიტყუათა ვიტყვ და ცრემლით ტირილსა გაუწყებ... წარტყუნ., ბ14.

... იწყო ბერმან ტირილად... წარტყუნ., 10824.

... აწ თანა გუაც ძმანო ამის ზა ტირილით გლოვად... სვან., 98.

ტყუვ-ი-ს იგი — **ტყუვ-ი-ლ-ი**:

... რლი აღზუაგნა სიტყუთა ტყუვილისა მათა... საბა ასურ., 2011.

... რნი მოინადირენ ტყუვილისა ბადითა... იქვე, 2030.

... მოიკიცხა იგი ქალწულისა მის-გან შეტყუვილით... წარტყუნ., კლ32—კმ1.

... რნიმე მძლავრობით რნიმე შეტყუვილით... სვან., 406.

ს-ტკივ-ი-ს მას იგი — **ტკივ-ი-ლ-ი**:

... მიუთხრობელი მწუხარება აქუნდა გულთა მათთა და მრჩობლი ტკივილი... წარტყუნ., 8დ₂₇.

... და სიმძაფრითა ტკივილისათა: შთამოეკიდა თუალი ღაწუსა მისსა... ოქრობ., 38r.

ქუნ-ს — ქუნ-ი-ლ-ი:

... რ⁷ ეტყოდა ცეცხლით გამო... საყვრითა და ქუხილითა... უდაბნ., 108v.

ჭუვ-ი-ს (?) — ჭუვ-ი-ლ-ი:

... და ჭუვილი რაჲ შენი შეისმინოს... დავით., 8r.

ქავ-ი-ს (?) — ქავ-ი-ლ-ი:

... შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდ-ძალითა ქავილითა წყლი-სათა... დავით., 116v.

ხად-ი-ს — ხად-ი-ლ-ი:

... ყ⁷ლნი ეძიებდეს მას ხადილდ... ოქრობ., 86v.

ჯუმ-ი-ს (?) — ჯუმ-ი-ლ-ი (vigilium):

... ცუდად იღვძებედ ჯუმილნი მისნი... დავით., 187v.

რულ-ი-ს (?) — რულ-ი-ლ-ი (!):

... არცა რულილ წამთა ჩ⁷მთა ვსცე... დავით., 190r.

სურ-ს || სურ-ი-ს (!) — სურ-ვ-ი-ლ-ი:

... რაჲ ზომცა მიახლებად სურინ (!) შურს (=შორს — ა. ჩ.) იპოვ-ნიან... ბასილ., 41r.

... ვინადგან გაქუს სურვილი მისი... ბასილ., 81r.

... ყ⁷ლადვე სურვილი და წრაფად აქუნდა მონაზონებისათს... უდაბნ., 20v.

ყუავ-ი-ს იგი — ყუავ-ი-ლ-ი:

... ყუავიან ვ⁷ა ყუავილნი და სუნელად ფშუიან... უდაბნ., 40r.
ამჟამად ყუავილ-ი გასუბსტანტივებულია (ისევე, როგორც: შენიშ-ვნა, შეკითხვა, სიმღერა, სიკვდილი, სიტყვა და სხვ.).

ყდავ-ი-ს იგი — ყდავ-ი-ლ-ი:

... ესმა ერისა ყდავილი... სვან., 151.

... სადა იგი არა არს ჟღავილი დამაბრკოლებელი ცრემლთაჲ... სვან., 477.

წუხ-(ი)-ს იგი — **წუხ-ი-ლ-ი**:

... ამას დღესასწაულსა მწუხარე იყავნ სიონი: პირად-პირადითა წუხ-ბილითა... უდაბნ., 144r.

დუმ-(ი)-ს იგი — **დუმ-ი-ლ-ი**:

... და აქებენ დამბადებელსა თჳსსა დუმილით... სვან., 63.

§94. ზმნებს: წუხ-ს, დუმ-ს... ფუძეში **-ი-** არა აქვს; ტირ-ი-ს ზმნა **-ი-**ს დაირთავს ახ. ქართულში, მაგრამ ძვ. ქართულში **ტირ-**ს-აა ჩვეულებრივი.

ამიტომ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნეს, თითქოს ამ ტიპის მასდარის საწარმოებელი იყოს **-ილ-** სუფიქსი და არა **-ლ-** (როგორც ჩვენ ვვარაუდობდით), — და ეს მით უფრო, რომ სხვა ზმნებიცა გვაქვს, სადაც აწმყოს ფუძეში **-ი-** არა გვაქვს, მასდარში კი **-ლ-**ს წინ **-ი-** ზის: დულ-ს — დულ-**ი-**ლ-ი, ქუხ-ს — ქუხ-**ი-**ლ-ი...

შემთხვევითი არაა ამიტომ, რომ, მაგალ., გ. დეეტერსს **-ილ-** მიაჩნია სუფიქსად ამგვარ მასდარში¹; ქართ. **-ილ-**ს მეგრული შესატყვისი **-ირი-** (უნდა ყოფილიყო **-ირ-**!). გ. დეეტერსს ნაჩვენები აქვს ზმნებში: კითხირი, ციღირი...

და მიანიც ამ ტიპის მასდარში **-ლ-** უნდა იყოს საწარმოებელი; წინამავალი **-ი-** მთელ რიგ მაგალითებში აწმყოს ფუძის საწარმოებელია; იქ კი, სადაც აწმყოს ფუძეში **-ი-** არ გავაჩნია, იგი იმ მასდართა ანალოგიითაა მიღებული, სადაც **-ი-** აწმყოს ფუძითაა გამართლებული ანდა — ზმნის ფუძეს აწმყოში გააჩნდა **-ი-** და დაეკარგა; მასდარმა კი შემოგვინახა ეს ფუძისეული **-ი-**.

უკანასკნელი შესაძლებლობის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი ფაქტი: **-ი-**იანი აწმყო აქა-იქ ძველ ქართულში აღმოაჩნდება ხოლმე ისეთ ზმნას, რომელსაც არა თუ ახლა, არამედ ძველ ქართულშიც **-ი-** სუფიქსი არ მოეპოვება: ჩვეულებრივია დუმ-ს, ს-ძულ-ს, მაგრამ გვხვდება: დუმ-**ი-**ს... ს-ძულ-**ი-**ს... სურ-**ი-**ნ... თუ შესაძლებელია დუმ-**ი-**ს, ს-ძულ-**ი-**ს, სურ-**ი-**ნ..., უნდა ვივარაუდოთ, რომ წუხ-ს, დულ-ს, ქუხ-ს და მსგავს ზმნებსაც ჰქონდა **-ი-** ისევე, როგორც ს-წყურ-**ი-**ს, ყუავ-**ი-**ს, ჟღავ-**ი-**ს, ტყუვ-**ი-**ს და მსგავსთა: დუმ-**ი-**ს: ... და ს დუმი თ მკუდართა აღდგომისა... უდაბნ., 30v.

¹ იხ. G. Deeters. Das kharthw. Verb. §407 გვ. 217.

გუძულ-**ი**-ს: ... და ჩ^წნ გუძულის იგი... უდაბნ., 37r.

სურ-**ი**-ნ (იხ. აქვე ზემოთ, გვ. 221).

ს-წად-**ი**-ს: ... მრწამს რ^წ სწადის გულთა თქნთა და მორჩილ არი-
ან სასმენელნი თქნნი სმენად სიტყუათა ამათ... ბოლნ., 75¹².

... რად იგი სწადის¹ სულსა ჩემსა... ბოლნ., 12¹⁵ ქვ.

იხ. ეგევე **-ი**-ს ამავე ფუძისაგან ნაწარმოებ სახელში:

... დადადებენ სურვიელად ეძიებენ წადიერებით. წარწყმე-
დულსა მ^წს... ბოლნ., 31.

ბორგ-**ი**-ს: ...ნუ ჰბორგით თქუენცა სიბორგილისა მაგისისა მსგავ-
სად... კიმენ., 143²⁴.

§95. არის გარდაუვალ ერთპირიან და ორპირიან ზმნათა წყება, რომელთა მასდარშიც **-ლ-ა** || **-მ-ა** გვაქვს:

იღუწ-**ი**-ს — ღუწ-**ო**-ლ-**ა**-; ძრწ-**ი**-ს — ძრწ-**ო**-ლ-**ა**-; ქრ-**ი**-ს — ქრ-**ო**-ლ-**ა**-...
დგ-**ე**-ბ-**ი**-ს — დგ-**ო**-**მ**-**ა**-; კუდ-**ე**-ბ-**ი**-ს — კუდ-**ო**-**მ**-**ა**-...

ასეთ მასდარში **-ო**-ს განეკუთვნება ზმნის ფუძეს და წუხ-**ი**-ლ-ის ტიპის **-ი**-ს უდრის (შდრ. აგრეთვე ქრ-**ი**-ს — ქრ-**ო**-ლ-**ა**-... კუდ-**ე**-ბ-ის — კუდ-**ე**-**ო**-ლ-**ა**-...). ეს **-ი**-ს შეიძლება **-ო**-ლ ქცეულიყო ზმნის ფუძისეული **-გ**-ს ზეგავლენით, როგორც ამას დეტერსი ფიქრობს, ანდა მომდევნო **მ**-ს ზეგავლენით. გვრჩება **-ლ-ა** || **-მ-ა**; ამათაგან **-ა**-ს მასდარის საწარმოებელია; **-ლ** || **-მ**-ს კიდევ ზმნის ფუძეს უნდა განეკუთვნოს: მართლაცა, **დგ-ო-მ-ა** და **დგ-მ-ა** ← **დგ-ა-მ-ა** განსხვავდება **-მ**-ს წინამავალი ხმოვნით; **დგომ-ას მ** ისევე არ შეიძლება მასდარის საწარმოებელ აფიქსს განეკუთვნოთ, როგორც **დგმა-ს -მ**-ს; ამით წყდება **ღუწოლა-ს -ლ-ს** საკითხიც: **ღუწ-ო-ლ-ა** — **დგ-ო-მა**: ეს **-ლ-** ისევე არაა მასდარის საწარმოებელი, როგორც **-მ-**.

ამგვარად, **-ო-ლ-** || **-ო-მ-** იშლება და **სხენებულ ტიპში მასდარის საწარმოებლად -ა** გამოიყოფა.

სპეციალურ ლიტერატურაში **-ოლ-** || **-ომ-** ერთ მთლიან სუფიქსად არის მიჩნეული; ასე, მაგალ., გ. დეტერსი წერს: „პირველადი ვნებითების უმეტესი ნაწილი, რომელიც აწმყოში **-ები**-თ ბოლოვდება, ცვლის **-ებ-** სუფიქსს **-ომ-** || **-ოლ-** სუფიქსით მასდარის **-ა**-ს წინ ისევე, როგორც სხვა სახელურ სუფიქსთა წინ: დრკომად, მოწყდომად, დგომად, დასხდომად, განძლომად, დაშთომად, შეცთომად... აწმყოს ფუძის საწარმოებელ **-ობ-** სუფიქსის ანალოგიით **-ომ-** შეიძლება დავიყვანოთ ***-უემ-**ამდის და **-ემ-**სუფიქსს დავუკავშიროთ, მაგრამ ნათელი არაა ამოსავალი პუნქტი... უფრო ნათელია **-ოლ-** სუფიქსის **-ო**-თი გახმოვნება: ყოლა — ვყვები, ძლოლა —

¹ მაგალითები საილუსტრაციოა. საკითხს სპეციალური განხილვა ესაჭიროება.

ვუძღვები, წოლაჲ — ვწვები, ბრძოლაჲ — ვბრძავ; აქ ძირეულმა თუ აწმყოს ფუძის **ვ**-მ წარმოშვა **-ო**-. შემდეგაა ეს გადატანილი თრთოლა, ძრწოლა-...ზე, რომელთაც აწმყოში **-ო**- აქვთ¹.

-ოლ სუფიქსის შესახებ აკ. შანიძე წერს: „ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას **-ა** ფორმანტის წინ **-ოლ**- უჩნდება. ვნებით ზმნებში იგი მარტივ თემას დაერთვის; მაგ., წევს და წვებ-ა — წ-**ოლ**-ა ← წვ-**ოლ**-ა, ჰყავს — ყ-**ოლ**-ა ← ყვ-**ოლ**-ა, უ-ძღვის — (გა)-ძღ-**ოლ**-ა, ი-ბრძვის — ბრძ-**ოლ**-ა, თრთის — თრთ-**ოლ**-ა, ქრის — ქრ-**ოლ**-ა; გარდამავალთაგან ასეთივეა ი-სვრის (← ი-სრვის, — გადასმულია **ვ**, რომელიც ი-სრ-**ევ**-ს ფორმიდან არის გადმოსული) — სრ-**ოლ**-ა და მისთ.

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას კი **-ომ**- უჩნდება მასდარის ანის წინ; თუ ზმნა ვნებითია, იგი დაერთვის მარტივ თემას. მაგ., დგ-ა-ს და დგ-ებ-ა, ორივეს საწყისად დგ-**ომ**-ა აქვს; ხტ-ი-ს: ხტ-**ომ**-ა, კრთ-ი-ს: კრთ-**ომ**-ა, კვდ-ებ-ა: კვდ-**ომ**-ა²...

ორივე მკვლევარი **-ოლ**- || **-ომ**-ს მთლიან სუფიქსად თვლის; მათგან გ. დეეტერსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, **-ილ**- სუფიქსსაც (ტირ-ი-ლი) ერთ მთლიან სუფიქსად მიიჩნევს (აკ. შანიძე ამ სუფიქსის შესახებ არას ამბობს — იხ. ქართ. გრამ., § 173 „საწყისი“).

თუ ჩვენი ვარაუდი უსაფუძვლო არაა და დგ-**ომ**-ა-მ, ლუწ-**ოლ**-ა-მ ტიპის მასდარი **-ა**-თია ნაწარმოები, მასდარის საწარმოებელ სუფიქსებად სულ ორი ბოლოსართი გვექნებოდა: **-ა**- და **-ლ**- ესენია **ოდენ-სუფიქსიანი წარმოების ფორმანტები**. ასეთი წარმოება ზმნათა უმეტესობას ახასიათებს.

§96. მაგრამ ქართულში აქა-იქ **პრეფიქს-სუფიქსიანი** წარმოების მასდარიც გვაქვს; ასეთ შემთხვევაში პრეფიქსად გამოყენებულია **ს**- უხმოვანო ანდა **-ა**, **-ო**- ხმოვნების დართვით — **სა**-, **სი**-; სუფიქსებად კი ზემოხსენებული **-ა**- და **-ლ**-.

ამრიგად, პრეფიქს-სუფიქსიანი მასდარის შემდეგ ტიპებს ვიღებთ:

ა. **ს**- — **-ა**-: **ს**-რბ-ა-მ...

ბ. **ს-ი**- — **-ა**-: **ს-ი**-მღერ-ა-მ... **ს-ი**-ვლტ-ო-ლ-ა-მ...

გ. **ს-ა**- — **-ა**-: **ს-ა**-ლმ-ობ-ა-მ...

¹ Das kharthw. Verb. §§ 411, 412, გვ. 218.

² იხ. ქართ. გრამ., § 173 4, 5, გვ. 185.

დ. **ს-ი** — **-ლ-**: **ს-ი-კუდ-ი-ლ-ი... ს-ი-ქად-უ-ლ-ი...**

ა. **ს** — **-ა-**:

ვალ-ს: **ს-ლვ-ა-დ**:

... კმამცა იყო ერთი თქნგანი მოსლვად... უდაბნ., 24r.

რბ-ი-ს — **ს-რბ-ა-დ**:

... მგებდ მცირედ რ მცა მჭირს სრბად ესე... უდაბნ., 29r.

... მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თუსითა მკელობელნი ხლდომითა ვა ირემნი ჭაბუკნი სრბით ყრმანი ჳდომით ურთიერთას... სვან., 427.

ყიდ-ი-ს — **ს-ყიდ-ა-დ**:

და განმსყიდელსა მას განსყიდა იგი შიშთვილ ექმნა... სვან., 348.

ამჟამად ამ ზმნას მასდარში **-გ-** აქვს **-ა-**ს წინ: ს-ყიდ-ვ-ა, შე-ს-ყიდ-ვ-ა, გა-ყიდ-ვ-ა... აწმყოს (ყიდ-ი-ს) ფუძე ამ **-გ-**ს არ ამართლებს. როგორც ჩანს, ეს **-გ-** მასდარში შემდეგაა გაჩენილი (წინასწარ აწმყოში გამოვლენით?). შდრ. გან-ს-ყიდ-ა-დ...

ს- პრეფიქსს ეს ზმნა ინარჩუნებს მიმლეობაშიც: ...და განმს-ყიდელსა მას განსყიდა იგი შიშთვილ ექმნა (იხ. აქვე, ზემოთ)...

... რ სასყიდლით სყიდულ ხართ... სამოციქ., 63v.

... და აქუნდეს ქარტანი რლთა ჰრქვან სყიდულებად ჩნი... სვან., 222.

ს-უფ-ევ-ს — **ს-უფ-ევ-ა-დ**:

... უკუეთუ... წი იგი სახელი მისი და ყლადვე დიდებული სუფე-ვად მისი მოვიდენ... ბოლნ., 19¹¹.

ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალ- ერთი ძირიდან ნაწარმოები ჩანს; ესაა **უფ-** (რომელშიც შესაძლებელია **-უ-** ძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს).

ს-უფ-ევ-ს ზმნაში **ს-** პრეფიქსი ისევეა შემონახული, როგორც შე-ი-ს-ყიდ-ა-, გამო-ი-ს-ყიდ-ა-ში.

ბ. **ს-ი-** — **-ა-**:

ი-მღერ-ს — **ს-ი-მღერ-ა-დ** (= თამაში):

... იწყეს სიმღერად და ჳმობდეს და ტყუელვიდეს... სვან., 231.

... ესრჳთ დაუცხრომელ იყო სიმღერად იგი პირუტყუთად მათ და წიხნად... უდაბნ., 32v.

... იწყეს ცხენთა მათ სიმღერად ვა ჩუეულ იყვნეს ურთიერთას...
უდაბნ., 34r.

ი-ტყუ-ს — ს-ი-ტყუ-ა-მ:

რლთათჳს არა არს აწ თითოეულად სიტყუად... სამოციქ., 160r.

***ი-ძგ-ი-ს — ს-ი-ძგ-ა-მ (← *ს-ი-ძგ-ა-მ):**

... ხ ქორწინებასა მას ქებაჲ აქუს... სიძვასა ვნებაჲ და ტანჯვად...
სვან., 129.

ფუძე ძგ- შეუკუმშავად წარმოდგენილია მე-ძგ-ში. ამდენად სი-ძგ-ა-მ და სი-ძე-მ სხვადასხვა ძირები ჩანს (ძგ-, ძე-).

ი-სრ-ეგ-ს — ს-ი-სრ-ა-მ:

...და არა შეიწყნარეს აწ სისრა უყვეს ისრითა მათითა... სვან.,
191.

ი-ვლტ-ი-ს — ს-ი-ვლტ-ო-ლ-ა-მ:

... თუალი ჰკიდა პიტიახშმან... და დადუმნა ხოლო და სივლტო-
ლად იწყო სწრაფით... შუშან., 281.

გ. ს-ა- — -ა:

აღ-ი-არ-ებ-ს || აღ-უ-არ-ებ-ს — აღ-ს-ა-არ-ებ-ა → აღ-ს-არ-ებ-ა:

... და ზა სიბრძნის მოყუარებასა მოსცემდა მრავალი იგი ცრემლი
აღსაარებისად... სვან., 110 (შდრ. ავუარენ ცოდვანი... უდაბ., 70 v).

... ვა კოლტი მორისულთაჲ გონიერად აღსარებისათჳს
მისთჳს... სვან., 386.

ჩვეულებრივია ახალი ქართულისათვის აღ-ს-არ-ებ-ა; ეს ვარიანტი ძველ ქართულშივე გვხვდება.

ასე რომ ეს მასდარი ს-რბ-ა-ს ტიპისად შეიძლება გვეცნო, და თუ იქ არ მოვიხსენიეთ, იმიტომ, რომ ამოსავალია აღ-ს-ა-არ-ებ-ა, ხოლო აღ-ს-არ-ებ-ა მეორეულია: -ა-ს დაკარგვა უნდა მომხდარიყო ფუძისეულ -ა-სთან პრეფიქსული -ა-ს შეხვედრისას.

ე-ლმ-ი-ს — ს-ა-ლმ-ობ-ა-მ || ლმ-ობ-ა-მ („ტკივილი“).

... განკაფდეს გულნი მათნი სალმოებითა... უდაბნ., 178r.

... სცნობდა უფიცხლჳსსა სალმობასა ჯორცთასა... უდაბ., 24r.

... წამალი დამდევს და განმაშორეს მე სალმობად... სვან., 112-
113.

„ტკივილის“ მნიშვნელობით გასუბსტანტივებული სალმო-ბ-ა გამო-
ყენებულია ატრიბუტივის საწარმოებლად:

ტკივილ-ი: ტკივილ-ი-ან-ი — სა-ლმობ-ა-ი: სა-ლმობ-ი-ერ-ი:

... არა მოვედ წოდებად მართალთა ულმობელთა: აწ ცოდვილთა
სალმობიერთა... უდაბნ., 57v. (ულმობელი = ვისაც ტკივილები არა
აქვს, არა სტკივა... სალმობიერი = ტკივილების მქონე).

ახალი ქართულის „ლმობიერ-ი“ „სა-ლმობიერ“-ის უპრეფიქსო სახეობაა; იგი ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება:

... რ ვა სტომაქსა ლმობიერთა კაცთა: რჟს ჰნებავენ შესუმად წამლისა და მადლარ და სავსე არიედ ჰამადითა: და მასვე ჟამსა შესვან წამალი იგი საკურნებელი გემოდ იგი სიმწარისად დაუმთის... უდაბნ., 56r.

ამრიგად, ამ მასდარის ორი სახეობაა დადასტურებული ძვ. ქართულისათვის: ერთი — **სა-პრეფიქსიანი** — **სა-ლმობ-ა-ი**, რომლისაგან მივიღეთ **სა-ლმობ-ი-ერ-ი**, და მეორე — უპრეფიქსო — **ლმობ-ა-ი**, რომლისაგანაც ნაწარმოები **ლმობ-ი-ერ-ი** დღესაც ხმარებაშია (მნიშვნელობის ერთგვარი ცვლით: „ლმობიერი“ „გულქვას“ საწინააღმდეგო!).

რადგანაც მასდართა წარმოების ანალიზისათვის **სა-** — **-ა-** ტიპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ეჭვი: ხომ არ არის **სა-ლმობ-ა-ი** მყოფადის მიმღობისაგან ნაწარმოები განყენებული სახელი.

ჯერ კიდევ ძველს ქართულში გაგვაჩნია განყენებული სახელები, ნაწარმოები მყოფადის მიმღობისაგან:

სა-ს-ო- — სა-ს-ო-ებ-ა-... სა-რწმ-უნ-ო- — სა-რწმ-უნ-ო-ებ-ა-დ-...

ძირი ... სასოებისა კეთილისად ესე არს... სარწმუნოებად შეურყეველი... ბოლნ., 66r.

რატომ არ შეიძლება სალმობა-ც მყოფადის მიმღობისაგან — *სა-ლმ-ო — იყოს ნაწარმოები?

ჯერ ერთი, აქ ყველგან **-ებ-** სუფიქსია გამოყენებული, არსად — **-ობ-**; მეორე, რაც მთავარია, სალმობა- რომ სათნობა-სავით მყოფადის მიმღობისაგან იყოს ნაწარმოები, შეუძლებელი იქნებოდა ლმობა-ი მიგველო (და სიტყვაწარმოებაში ფუძედ გამოგვეყენებინა): **მყოფადის მიმღობას შეუძლებელია სა- პრეფიქსი მოეკვეცოს!**

ა-ხარ-ებ-ს — სა-ხარ-ებ-ა-ი:

... მეშუდეს კვრქესა სამხრად: სხრბდ ლკდს თვისად... ბოლნ., 66r.

... დღენდელისა ამის დღისა სახარებასა მოიყვანებს... უდაბნ., 96v.

ეს სიტყვა გასუბსტანტივებულია ისევე, როგორც „სიმღერად“, „სიტყუად“, „სიკუდილი“, „შიში“... მასდართული შინაარსი მასში არ იგრძნობა: ადრითგანვე იგი წიგნს — „ოთხთავს“ — აღნიშნავს (ძვ. სასულიერო მწერლობაში) და არა მოქმედებს. ნამდვილად კი ესაა **სა-** პრეფიქსით წარმოებული **ხარებ-ა-** მასდარი (იხ. ამავე **-ხარ-** ძირისაგან ნაწარმოები სა-ხარ-ულ-ევ-ან- აქვე ქვემოთ):

ლმობ-ა-ი — სა-ლმობ-ა-ი, ხარებ-ა-ი — სა-ხარ-ებ-ა-ი, ორივეს აქვს პრეფიქსიანიცა და უპრეფიქსო მასდარი (ალბათ, **აღ-ს-არ-ებ-ა-** მასდარსაც გაუჩნდებოდა უპრეფიქსო სახეობა, **აღ-** პრევერბი რომ არ სდგო-

მოდა დარაჯად; უამბრევერბოდ ეს მასდარი არ იხმარება).

***ი-ყმ-ი-ს — ს-ი-ყმ-ი-ლ-ი:**

... ჟამი იგი უხუებისაჲ მკვრნალად (!) სიყმილისა ჟამთა ყო...
ბასილ., 20v.

***ი-ცონ-ი-ს (?) — ს-ი-ცონ-ი-ლ-ი (ახ. ქართ. მ-ცონ-არ-ებ-ა ← მ-ცონ-არ-ე-):**

... ხ̄ ჩნდა არა ჳერ არს სიციონილი... ოქრობ., 3v.

... იგივე მიწერად თქნდა ჩემ მიერ არა სიციონილ არს... სამოციქ., 124r.

***ი-ცბ-ი-ს — ს-ი-ცბ-ი-ლ-ი: (ახ. ქართ. ცბ-ი-ერ-ებ-ა?):**

... დიდსა სიციბილსა შინა იყო ნერონ კეისარი... სამოციქ., 2v.

... ჳეროდეს სიციბილითა მოწყდეს... სვან., 42.

... და დაჰჳსნა სიციბილი უკეთურთაჲ... ოქრობ., 3r.

***ი-შდგ-ი-ს — ს-ი-შდგ-ი-ლ-ი:**

... რ̄ნ იგი მიიყვანა უკუანადკნელ სიშდგილად... უდაბნ., 93v.

ს-ძულ-ი-ს — ს-ი-ძულ-ი-ლ-ი:

... ღ̄ა სძულს ყლი მოშურნეჲ (!)... ოქრობ., 106v.

შდრ.: ... და ჩ̄ნ გუძულის იგი... უდაბნ., 37r.

... და შესძინეს იოვ̄ნ̄ს მამართ სიძულილი... ოქრობ., 107r.

***-ორძ-ი-ს — ს-ი-ორძ-ი-ლ-ი || ს-ი-ორძ-ი-ლ-ე-ჲ:**

... მიიღებს სიორძილსა მას გუამისასა... სამოციქ., 114v.

შდრ.: ... მიიღებს სიორძილესა ჳორცთასა... სვან., 200.

***ბორგ-ი-ს — ს-ი-ბორგ-ი-ლ-ი || ს-ი-ბორგ-ი-ლ-ე-ჲ:**

... მისცა იგი ერმან მან მსაჯულსა მას სიბორგილითა თჳსითა...
უდაბნ., 111r.

[შდრ.: ... რ̄ამცა დააცხრვო კუმევაჲ იგი ბოროტი სლმყრალი კერბთ-
მსახურებისაჲ. და სიბორგილე (?) იგი რ̄ლ აღესრულებოდა ეგჳბტეს...
სვან., 95].

ს-ი-ბორგილ-ი რომ კანონზომიერად ასახავს აწმყოს ფუძეს, ამას
ეჳვის გარეშე აყენებს ასეთი მაგალითები:

... ეშმაკი არს მის თანა და ბორგის... ჰადიმ., 117a₂.

... ნუ ჳბორგით თქნცა სიბორგილისა მაგისა მსგავსად... კი-
მენ., 143₂₇.

სიციბილ-ი, სიშდგილ-ი, სიბორგილ-ი, სიორძილ-ი (|| სი-
ორძილეჲ) ამჟამად აღარ იხმარება: მათი ადგილი დაიჭირა უბრეფიქსო
წარმოებამ: სიციბილის ნაცვლად გვაქვს ცბიერება, სიბორგილის
ნაცვლად — ბორგვა, სიორძილის ნაცვლად — აღორძინება,

ს ი შ დ ვ ი ლ ი ს ა დ გ ი ლ ა ს — (და)ხ რ ჩ ო ბ ა.

დ. ს-ი- — -ლ-:

კუდ-ებ-ი-ს — ს-ი-კუდ-ი-ლ-ი:

... და დაეცა მას ზა პატიჟი სიკუდილისა... სვან., 198.

... და დაუტკებნიეს სიკუდილი (!) ფერჯითა... უდაბნ., 144r.

-ლ- სუფიქსის ადგილი უჭირავს **-ნ-**ს ამავე ფუძესთან:

... და წამალ შეზავებულ სასიკუდინც... სვან., 115.

... ჩნ მოციქულნი გამოგუაჩინნა ვა სასიკუდინენი... სამოციქ.,

60v.

შდრ. აგრეთვე **ი-ც-ი-ნ-ი-ს — ს-ი-ც-ი-ლ-ი... ქორწ-ი-ნ-ებ-ა-ა — ქორწ-ი-ლ-ი:**

... და სიცილსა ისწავებდა ვდს კეთილი რი აქუნდა წარწყმიდა... ბოლნ., 352.

... ხ ქორწინებასა მას ქებაა აქუს... სვან., 129.

ჰ-მშ-ი-ი-ს — შ-ი-მშ-ი-ლ-ი ← ს-ი-მშ-ი-ლ-ი:

... მისცნეს თავნი თვსნი... შიმიშისა და წყურთისა... უდაბნ., 84r.

ჰ-რცხუ-ენ-ი-ს — ს-ი-რცხ-ლ-ი:

... თვნიერ შიშისა და სირცხლისა ვიბოვნეთ... სვან., 463.

... დავფართოთ სირცხლი ჩნი ჭურჭლითა და განვერნეთ ზრუნვი-საგან დიდძალითა ქრთამითა... უდაბნ., 139v.

ს-ი- — -ლ- ტიპის გვერდით უნდა გამოვყოფ **ს-ი- — -უ-ლ- || ს-ა- — -უ-ლ-** ტიპი (უკეთ: ვარიანტი **ს-ი- — -ლ-** ტიპისა):

ი-ქად-ი-ს — ს-ი-ქად-უ-ლ-ი:

... სადა უკუე არს სიქადული იგი... სამოციქ., 31v.

ი-ნან-ი-ს — ს-ი-ნან-უ-ლ-ი:

... მეყსა შინა სინანულად მივისწრაფი... სვან., 112.

უ-ხარ-ი-ს — ს-ი-ხარ-უ-ლ-ი:

... ხ ესე მხიარულებით მიიცულა მწუხარებისა მისგან სიხარულად და გლოვისა მისგან მხიარულებად... სვან., 100.

ამავე ზმნის მასდარი **ს-ა-** თავსართოვანიც ყოფილა, როგორც ეს ჩანს ნაწარმოები სიტყვიდან **ს-ა-ხარ-ულ-ევ-ან-:**

... გზრდნ სახარულევანო... სვან., 81.

... დღეს სახარულევან არს ბერწობა იგი... უდაბნ., 143v.

ს-ი- — -უ-ლ- წარმოების მასდარი გვაქვს აგრეთვე მაგალითებში: **ს-ი-ბრალ-უ-ლ-ი, ს-ი-ყუარ-უ-ლ-ი** (ესა და მსგავსი მაგალითები ახ. ქართულშიც ჩვეულებრივია და საილუსტრაციო მაგალითები საჭირო არაა).

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე მასდარში პრეფიქსებად

დასტურდება **ს-**, **ს-ი-**, **ს-ა-**.

ამათგან ყველაზე ხშირია **ს-ი-** (**ს-ი-**მღერ-ა-დ, **ს-ი-**კუდი-ი-ლ-ი, **ს-ი-**ქად-ულ-ი...), იშვიათია **ს-** (**ს-**რბ-ა-დ...) და **ს-ა-** (**ს-ა-**ლმობ-ა-დ...).

§97. მასდართა პრეფიქსიანი წარმოება ამჟამად მკვდარია; მათი უმეტესობა გასუბსტანტივებულია ჯერ კიდევ ძველ ქართულში (სიყმილ-ი, სიკუდილ-ი, სიტყუა-დ, სიმღერა-დ, სახარება-დ...), თუმცა აქა-იქ კონტექსტებში დაჩნდება ზმნურობა (მაგალ.: და იწყო სიტყუად...).

პრეფიქსიანი მასდარი ხელშესახებია ძველ ქართულში, და მაინც მასდარის პრეფიქსული წარმოება ძველ ქართულში უფრო ნაშთია, ვინემ მოქმედი ნორმა: სიმძიმის ცენტრი ოდენ-სუფიქსიან წარმოებაზეა გადასული. ასეთია საქმის ვითარება VI-IX საუკუნის ძეგლებში.

მაგრამ ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში პრეფიქსიანი წარმოება ცოცხალი უნდა ყოფილიყო: ამას მოწმობს ოთხთავის აღმნიშვნელი ტერმინი „სა-ხარ-ებ-ა-დ“ (მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში „ოთხთავი“, ცხადია, გადმოთარგმნილი იყო და ტერმინი „სახარება“-ც შემოღებული უნდა ყოფილიყო).

ხსენებულ პრეფიქსთაგან **ს-ი-** უპირატესად გარდაუვალი ზმნებისთვისაა განკუთვნილი (სიკუდილ-ი, სიძულილ-ი, სიყმილ-ი... სივლტოლა-დ...), მაგრამ არ ითქმის, რომ ეს პრეფიქსი ამგვარი ზმნებისათვის იყო სპეციფიკური: რბის, ვალს, სუფევს აგრეთვე გარდაუვალი ზმნებია, მაგრამ მასდარს **ს-** პრეფიქსით აწარმოებენ (და არა **ს-ი-**ს მეშვეობით); მეორე მხრივ, „ს-ი-ხარ-ულ“-ის გვერდით **ს-ა-ხარ-ულ-ი**ც არსებობს და ეს შეუძლებელს ხდის **ს-ა-** პრეფიქსი გარდამავალ ზმნათა მასდარის საწარმოებლად დავსახოთ, თუმცა გვაქვს **ს-ა-ხარ-ებ-ა-დ**:

გარდაუვალ ზმნასთან, ამრიგად, **ს-ი-**ც შეიძლება შეგვხვდეს, **ს-ა-**ც და **ს-**ც.

პრეფიქს-დართული ხმოვნების საკითხი აქ ისევ გასარკვევი, როგორც არსებით სახელებსა და მიმღეობაში (იხ. სათან. ადგ.). სავარაუდებელია, როგორც ერთგან უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ **ს-**ს მომდევნო ხმოვანი ზმნის ფუძის საწარმოებელი პრეფიქსი ყოფილიყო (**ი-**ტყვს — **ს-ი-**ტყუა-დ...); გასათვალისწინებელია აგრეთვე ის დიალექტობრივი წრე (ენობრივი ფენა), რომელშიაც ამა თუ იმ ხმოვანს (ზმნის ფუძეში) მეტი გავრცელების არე ჰქონდა: ამ მხრივ საგულისხმოა რომ **-ა-** ხმოვანს ქართულში ამართლებს ზანური (ჰანურ-მეგრული), **-ი-** ხმოვანს — სვანური (იხ. ქვემოთ).

ქართულში მასდართა უმრავლესობა **-ა-**სუფიქსითაა ნაწარმოები; ხშირია **-ლ-** სუფიქსიც (**-ლ-** ← **-ნ-**).

პრეფიქსების გამოყენების შემთხვევაში ან **-ა-** ან **-ლ-** სუფიქსი ყველ-

გან გვაქვს; მასდარს, ცხადია, ეს სუფიქსები აწარმოებს¹; ეს **-ლ-**, **-ა-** სუფიქსებია, ზმნურ ფუძეს რომ სახელად აქცევენ (წარმოშობით ეს სუფიქსები იგივე დეტერმინანტი სუფიქსებია, რომელნიც გამოიყოფიან სახელებში ძმ-**ა-**, დაბ-**ა-**... ვაშ-**ლ-**, ცეცხ-**ლ-**... მარჯუ-**ლ-**, მარცხ-**ლ-**... მარჯუ-**ნ-**, მარცხ-**ნ-**... (იხ. ნაწ. პირველი).

§98. რაღას მაქნისია ამგვარ მასდარებში პრეფიქსები: **ს-**, **ს-ი-**, **ს-ა-**? მიმღეობათა და სახელისაგან ნაწარმოებ სახელთა და აგრეთვე „სადა ფუძეთა“ ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ეს პრეფიქსები ნივთის კატეგორიის საწარმოებელი აფიქსებია (იხ. **ს-ძ-**, **ს-ი-სხ-ლ-**, **ს-ა-ცხ-უ-** → **ცა-ცხ-უ...** **ს-ა-ცთ-ურ-**, **ს-ა-ვედ-არ-**).

ანალოგიური უნდა ყოფილიყო **ს-**, **ს-ი-**, **ს-ა-** პრეფიქსების ფუნქცია მასდარშიც. როგორღა უნდა წარმოვიდგინოთ მაშინ მასდარის შინაარსი? ამისათვის დაგვჭირდება მოვიგონოთ მასდარის აგებულება მთის ზოგ კავკასიურ ენაში (კერძოდ, დაღისტნისაში).

ხუნძურში, მაგალითად, ინფინიტივიც გვაქვს და მასდარიც; ინფინიტივი იწარმოება მასდარისაგან **-ნე**, **-დე**, **-ზე**² სუფიქსების დართვით; მასდარს **-ი-** სუფიქსი ახასიათებს; ავიღოთ მეშველი ზმნის ინფინიტივი **-უ-კ-ი-ნე** „ყოფნა“; მაგრამ ამ სახით ეს სიტყვა არსად შეგვხვდება ხუნძურს მეტყველებაში: ან **ვ-უ-კ-ი-ნე** გვექნება, ან **ფ-ი-კ-ი-ნე** ანდა **ბ-უ-კ-ი-ნე** ანდა კიდევ **რ-უ-კ-ი-ნე**, — იმისდა მიხედვით ვისი თუ რის ყოფნა აქვს მეტყველს მხედველობაში, რომელი გრამატიკული კლას-კატეგორიის სახელს ეხება საქმე; **ვ-უკინე** — პირველი კლასის სახელთა ყოფნა (მამრობითი სქესის ადამიანთა ყოფნა); **ფ-იკინე** — მეორე კლასის სახელთათვის იქნება გამოყენებული (მდედრობ. სქესის ადამიანთა ყოფნა), **ბ-უკინე** ითქმის, თუ ლაპარაკია ცხოველის, ნივთების, მოვლენების არსებობის შესახებ (მესამე კლასში ივარაუდება ყველაფერი, ადამიანის გარდა). **რ-უკინე** „მრავალთა“ ყოფნაზე მიუთითებს, მასთან სულ ერთია, რისაა ეს სიმრავლე, — ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა თუ სხვა საგანთა... სხვანაირად რომა ვთქვათ, ხუნძურმა არ იცის განყენებული სიტყვა „ყოფნისათვის ზოგადად“, მას გააჩნია „ყოფნა“-სიტყვა **მხოლოდ** ამა თუ იმ კონკრეტული

¹ ერთად ერთი „გამონაკლისია“ შიშ-ი ← ს-ი-ში-ი (შდრ. ე-შინ-ის, — თუ კი აქ -ი- ← -ი-ლ-: **სი-ში-ი** ← **სი-ში-ი-ლ-** (შდრ. **რულ-ი-ლ-**: გვ. 221). უკეთუ შიშ-ი- მასდარი უსუფიქსო აღმოჩნდებოდა საბოლოოდ, ეს დიდი სიძველის მაუწყებელი იქნებოდა (ახსნა იხ. ქვ.).

² ყველა დიალექტური ვარიანტი არ მოგვყავს; მათ შორის იხ. „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ — ენიშვილის მოამბე, I, გვ. 89-95.

კლასისათვის ისევე, როგორც, ვთქვათ, სვანურს არ გააჩნია „ჩვენი ზოგადად“, არამედ **„ჩვენი“** ექსკლუზიური ანდა ინკლუზიური გაგებით: „ჩვენი საქმე“ ან „ჩემი და მისი || მათი საქმეა“ (— **ნიშგუჲ** გუჲმ —) ანდა „ჩემი და შენი || თქვენი საქმე“ (— **გუიშგუჲ** გუჲმ...) ქართული ზმნის უღვლილებაშიც წარმოდგენილია ასეთი კონკრეტიზაცია, როცა სუბიექტთან ერთად ობიექტის პირის ფორმაც ჩაექსოვება ხოლმე ზმნის ფორმას იმგვარად, რომ ობიექტთან მიმართების გარეშე სუბიექტის მოქმედებას ვერ გამოყოფ¹.

როგორღა გადმოიცემა ხუნძურში ჩვენებური ანდა ევროპულ ენათა „ყოფნა“, „**НБЫТЬ**“? შესაფერისი განყენებული უკლასო ფორმა ხუნძურს არა აქვს, მან უნდა გამოიყენოს ერთ-ერთი კლას-კტეგორიის წარმოება, და ხუნძურიც ასეთ შემთხვევაში **მესამე გრამატიკული კლასისათვის** განკუთვნილ ფორმას მიმართავს: კონტექსტის გარეშე რომ ათარგმნინოთ ხუნძს „ყოფნა“ („**НБЫТЬ**“), **ბ-უკინე**-ს იხმარს; ეგევე, **ბ-უკინე** დაიწერება ქართულ-ხუნძურ ანდა რუსულ-ხუნძურ ლექსიკონში „ყოფნა“, „**НБЫТЬ**“ სიტყვის ბადლად: **ნივთის კატეგორიის ფორმას ეკისრება ზოგადი მნიშვნელობის გადმოცემა**.

არა ნაკლებ საყურადღებოა, რომ ფუძეს შეხორცებული მკვდარი პრეფიქსი კლასისა ისევ ნივთის კატეგორიისა აღმოჩნდება...²

ხუნძური ინფინიტივის ერთი თვისებაცაა მნიშვნელოვანი: თუ ზმნა გარდამავალია, მასში ვპოულობთ **ობიექტის** კლასის პრეფიქსს (და არა სუბიექტისას!); **ვ-ეცი-ზე** — „ქება (მამაკაცისა“, ე. ი. აქებენ მამაკაცს), **ფ-ეცი-ზე** — „ქება (ქალისა“, აქებენ ქალს), **ბ-ეციზე** „ქება (რისამე“, ქების საგანია ცხოველი, ნივთის ან სხვა რაიმე მოვლენა).

აქაც უცხო ენათა ინფინიტივის გადმოცემისას (მაგალ., ლექსიკონში) უკანასკნელი ფორმა იქნება წამოყენებული: „ქება“ „**ХВАЛИТЬ**“ **ბ-ეციზე**-აო, გვეტყვიან, თუმცა კონტექსტში **ბ-ეციზე** „რალაც საგნის ქებას ნიშნავს და არა „საერთოდ ქებას“.

ანალოგიური ვითარების ნაშთი უნდა იყოს პრეფიქსის გამოყენება ქართულ მასდარშიც და ამიტომ პრეფიქსიანი მასდარის ძველი მნიშვნელობა ასე წარმოიდგინება:

ს-ლვ-ა-ფ — სიარული რალაცისა, ე. ი. ნივთის კატეგორიის სახელისა, მაგალ., ცხოველისა (და არა ადამიანისა). ქართულში „სვლა“ მრავალი კონკრეტული სახესხვაობის მქონეა: ბაჯბაჯი — „ფეჴ-გადგმით სლვა“; დონდილი — „სნებოანთა მიერ უსუსური სიარული“; ჩოჩვა,

¹ იხ. აკ. შანთქე. პრეფიქსები, § 13, გვ. 21.

² იხ. გრამატ. კლასების ისტორიისათვის ხუნძურში — ენიმკის მოამბე, I, 97-105.

ბორღღვა — „ჩივლთაგან ოთხზე სიარული“; ცოცვა — „მუცლითა და თეძოთ სლვა“; ჩაქჩაქი, ჯაგჯაგი — „პირუტყვთა ავად სიარული“; გოგვა — „ფრინვლის კეთილად სიარული“ და სხვა¹.

სვლის კონკრეტული სახეები მოძრაობის თუ გადაადგილების სახესხვაობაზე მიუთითებენ და არა იმ საგანთა კლასებზე, რომელთა მოძრაობაც უნდა იყოს აღნიშნული... და მაინც არ არის ინტერესს-მოკლებული ის განმარტებები, რომლებსაც იძლევა საბა ზოგადი მნიშვნელობის სიტყვებისათვის, როგორცაა „სლვა“ და **სიარული**: „ნებეირად სლვასა უწმობენ ვიდოდა-ს და სლვასა, ეგრეთვე ნავთასა“... და მეტადრე: „**პირუტყვთა სლვასა** [უწმობენ] **სიარულსა**“².

რა თქმა უნდა, საბასთვის **ს-ი** || **ს-** პრეფიქსები მკვდარი იყო (თუ კი, საერთოდ, მიაჩნდა მას ეს მონაცემები საწარმოებელ ელემენტად), მაგრამ ამ პრეფიქსთა მნიშვნელობის რაღაც გამოკრთომა შეიძლება ჩანდეს „სიარულის“ საბასეულ განმარტებაში: „სიარული — პირუტყვთა სვლაა“.

ს-რბ-ა-ე — სირბილი რაღაცისა (ცხოველისა).

ს-ი-მღერ-ა-ე თამაში რაღაცისა (თამაშობს რაღაცა).

აწინდელის გაგებით ამ სიტყვაში **ს-ი** პრეფიქსი ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელად არ გამოდგება: „მღერის“ მხოლოდ ადამიანი; მამასადა-მე, **ს-იმღერ-ა-ე** მხოლოდ „ადამიანის სიმღერა“ შეიძლება იყოს. ზმნა გარდაუვალა, პრეფიქსიც სუბიექტ-ადამიანზე უნდა მიუთითებდეს. ნივთის კატეგორიის ნიშანი აქ უადგილო იქნებოდა.

მაგრამ ძვ. ქართულში „სიმღერა“ ნიშნავს თამაშს; ათამაშება კი შეუძლია არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ცხოველსაც. სათანადო ადგილას ჩვენ სწორედ ამგვარი შემთხვევები წარმოვადგინეთ:

... იწყეს ცხენთა მათ სიმღერად ვა ჩუეულ იყვნეს ურთიერთას... უდაბნ., 34v.

... ესრწთ დაუცხრომელ იყო სიმღერად იგი პირუტყვთად... იქვე, 32v.: ერთს შემთხვევაში „ცხენი მღერის“ (ე. ი. თამაშობს), მეორეშიც „პირუტყვთა სიმღერაზე“ („თამაშზე“) ლაპარაკი, ამიტომ რაღაცის სიმღერაო, რომ ვთქვით, აქ მხედველობაში გვქონდა ნივთის კატეგორიის სახელის მოქმედება, — „რაღაცის თამაში“ — რაღაცის“ აქ „**სუბიექტის ნათესაობითა**“ (genetivus subjectivus).

რაღაცის თამაში შეიძლება გავიგოთ სხვაგვარადაც, სახელდობრ, არა როგორც პასუხი კითხვაზე „ვინ თამაშობს?“ არამედ, როგორც პასუხი კითხვაზე „რას თამაშობს?“; უკანასკნელ შემთხვევაში „რაღაცის“ იქნება

¹ იხ. საბა — „სლვა“.

² იქვე

ობიექტის ნათესაობითი (*genetivus subjectivus*): „მეფესა ესე ამბავი უჩნს ვითა მღერა ნარდისა“ — ვეფხ.-ტყ., ხ. 82. „ნარდის მღერა“ = „ნარდის თამაში“¹...

სხვა მასდართავან:

ს-ი-კუდ-ი-ლ-ი — „რალაცის კვდომა“; რალაცაში ცხოველი ივარაუდებოდა. „რალაცის“ აქ „სუბიექტის ნათესაობითია“.

ს-ი-ორძ-ი-ლ-ი „რალაცის აღორძინება“ (აქაც სუბიექტის ნათესაობითია).

ობიექტის ნათესაობითის (*genetivus subjectivus*) მნიშვნელობა გვექნებოდა სიტყვაში „რალაცის“ ასეთ შემთხვევაში:

ს-ა-ხარ-ებ-ა-ე — „რალაცის ხარება“

ს-ყიდ-ა-ე — „რალაცის ყიდვა“

აღ-ს-ა-არ-ებ-ა-ე — „რალაცის აღიარება“

ს-ი-მშ-ი-ლ-ი — „რალაცის სიმშლი“ (მაგალ. „პური შია“)

ს-ა-ლმ-ობ-ა-ე — „რალაცის ლმობა“; „ტკივილი“ (მაგალ., „კბილის ტკივილი“)...

ერთი სიტყვით, **ს-ი-**, **ს-ა-**, **ს-** პრეფიქსები ყველგან **ნივთის კატეგორიაზე** მიუთითებენ, **რა-** კატეგორიის სახელებს გულისხმობენ; ეს **რა-**კატეგორიის სახელი ხან **სუბიექტია** მასდარში აღნიშნული მოქმედება-მდგომარეობისა (სრბა-ე, სიკუდილ-ი...), ხან კიდევ **ობიექტი** (სყიდა-ე, სახარება-ე...); მასდართან დასმული ნათესაობითი შესაბამისად ან სუბიექტის ნათესაობითია (*genetivus subjectivus* — „სრბაე ცხენისაე“) ანდა ობიექტის ნათესაობითი (*genetivus objectivus* — „სყიდაე ცხენისაე“).

ასეთი **უნდა ყოფილიყო** ამ პრეფიქსების **მნიშვნელობა. როდის?** მაშინ, როდესაც **მასდარში პრეფიქსები სახელთა გრამატიკულ კლასებს განასხვავებდა, სუფიქსები კიდევ სახელის დეტერმინანტის როლს ასრულებდა: ზმნურ ფუძეს სახელად აქცევდა.**

ეს მნიშვნელობა, ცხადია, დაიწყო მას შემდეგ, რაც პრეფიქსული წარმოება მოიშალა, გრამატიკულ კლასთა მორფოლოგიური სხვაობა აღარ იგრძნობოდა. ასეთ პირობებში **ს-** პრეფიქსი სუბიექტ-ადამიანთან დაკავშირებითაც თავისუფლად იხმარება (იხ. მაგალითად, ასეთი ადგილი: ყრმაღა იყო ხუთ წლად მოდგებოდა **ი**ვ. მისრულ იყო და იმღერდა იგი წარსავალსა თანა წყალთა და ნაკადულთასა: მოზღუდვიდა და შეაყენებდა და იქმოდა ტბურებსა. და მოვიდის მერმე. გარდაუტევის და და-

¹ აღსანიშნავია, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ ყველგან **მღერა-** გვაქვს; სამივე ტაეზი, სადაც **სიმღერა** არის ნახმარი, საეჭვოა; და ყველგან **სიმღერა** თანამედროვე მნიშვნელობით არის ნახმარი.

სწმედნ წყალსა მას ქვშასა ზედა... და სხვანიცა მრავალნი ყრმანი იმღერდეს მის თანა... კიმენ., 115ვ და შემდ.).

მართალია, „ბავშვი“ ჩვეულებრივ ნივთის კატეგორიაშია მოქცეული, მაგრამ „ყრმათა“ ნაცვლად სხვა, „მოზრდილიც“, შეიძლება ყოფილიყო „სიმღერის“ სუბიექტი, **ს-ი-** პრეფიქსი მასდარს მაინც ექნებოდა. ეს იგივე პროცესია, როგორც გვქონდა **მ-** პრეფიქსის ხმარებისას მაგალითებში: „მდიდარი ქვეყანა“, „მთავარი საქმე“ და სხვ.

თუ **ს-** (**ს-ი-**, **ს-ა-**) პრეფიქსი მასდარში ნივთის კატეგორიის მაუწყებელი იყო, ადამიანის კატეგორიის პრეფიქსი **მ-** უნდა ყოფილიყო: **ს-ი-კუდ-ი-ლ-ის** გვერდით ***მ-ი-კუდ-ი-ლ-იც** უნდა გვქონოდა, **ს-რბ-ა-დ-ს** პარალელურად ***მ-რბ-ა-დ** და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ასეთ რამეს ჩვენამდის არ მოუღწევია (ჩანს, პრეფიქსული წარმოების რღვევა ადრევე დაიწყო).

ჩვენ შემჩნეული გვაქვს ამ მხრივ ეჭვების აღმძვრელი ერთად ერთი მაგალითი:

მ-ე-გლოვ-ა-ე:

... ჭირი და მეგლოვა და ცრემლნი... სვან., 14.

ძვ. ქართულში სათანადო ზმნა **-ე-** პრეფიქსით დასტურდება: იგი ეგლოვს (შდრ. ახ. ქართ. ი-გლოვ-ს... გლოვ-ობ-ს...):

მ-ე-გლოვ-ა-ე „ვისიმე გლოვა“ იქნებოდა (ძვ. ქართ. ამ ზმნის მასდარი ოდენ-სუფიქსიანია: გლოვ-ა-ე...).

§99. რომ ჩვენი ვარაუდი უსაფუძვლო არაა და **ს-** (**ს-ი-**, **ს-ა-**) პრეფიქსი მასდარში იმავე ბუნებისა და თვისებისაა, როგორც მიმღეობისა და სხვა ნაწარმოებ სახელებში, ამაში გვარწმუნებს ერთი გარემოებაც: **ამავე პრეფიქსს ენა იყენებს ატრიბუტივთაგან განყენებულ სახელთა საწარმოებლად.**

ასეთ შემთხვევაში **ს-ი-** ვარიანტი წარმოგვიდგება პრეფიქსად, სუფიქსად კი **-ე-** გვაქვს: **ს-ი-** — **-ე** ტიპი გაბატონებული სტანდარტული ტიპია, ძველ ქართულშიცა და ახალშიც; სწორედ ამიტომ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავჯერდებით.

მადალ-ი — ს-ი-მადლ-ე:

... არა თუ სიმადლითა ჰასაკისაჲთა არცა სივრცითა გუამისაჲთა უმუენიერჴს იყო სხუათა... უდაბნ., 28r.

მდიდარ-ი — ს-ი-მდიდრ-ე-:

... ხილული და ცნობილი შს სიმდიდრესა და სიმცირესა... სვან., 64.

ბრძენ-ი — ს-ი-ბრძენ-ე-:

... დაუჭნობელ არს სიბრძნე... სვან., 387.

ცოცხალ-ი — ს-ი-ცოცხლ-ე-:

... მოგცეს თქნ სიცოცხლეც (!)... ოქრობ., 63r.

... გეყავნ წყალი ესე სიცოცხლე... ოქრობ., 63v.

ცრუ-ე — ს-ი-ცრუ-ე-:

... აღნადგინებისაგან და სიცრუისა ივსნეს... დავით., 103r.

... სამართალი სიცრუევედ გარდააქციეს... უდაბნ., 117v.

მშუდ-ი — ს-ი-მშუდ-ე-:

... და ბრძანენ სიმშუდემან შნმან... ოქრობ., 219r.

ცხელ-ი — ს-ი-ცხე-ე-:

... მოსილი ხალენითა და მოთმინე ყინელთა და სიცხეთა... ბასილ., 48v.

მენე- — ს-ი-მენე- (შდრ. ახალ ქართ. მენე-ობ-ა):

... ისწრაფიან ნანარნი სმენად სიმენისა მათისა... სვან., 464-5.

მჭევრ-ი — ს-ი-მჭევრ-ე- (|| ს-ი-ბჭევრ-ე-); შდრ. ახ. ქართ. **მჭევრობა:** ენა-მჭევრობა.

... ეგრეცა სიბჭევრეც სამოსლისა თვისადა არს... სვან., 473.

ცოფ-ი — ს-ი-ცოფ-ე-:

... მშუმინვიერმან მწ კაცმან არა შეიწყნარის სულისა მისგნ... რ სიცოფე უჩნ მას... სამოციქ., 58v.

ველოვან-ი — ს-ი-ველოვან-ე- (შდრ. ახ. ქართ. ხელოვანება || ხელოვნება...):

... არა პატივ ვსცემდეთ სასუმელთა შემზადებულთა. არცა სიველოვანესა მზარაულთასა... სვან., 60.

ჭაბუკ-ი — ს-ი-ჭაბუკ-ე- (შდრ. ახ. ქართ. ჭაბუკ-ობ-ა):

...მრავალთა სიჭაბუკესა სიბრძნის მოყუარებად გამოაჩინეს... სვან., 114.

... განმტკიცებულ არიან სიჭაბუკესა მათსა... დავით., 201v.

ბოროტ-ი — ს-ი-ბოროტ-ე- (შდრ. ახ. ქართ. ბოროტ-ებ-ა):

... და ვსნილებისა მის: ცხორებისა სიბოროტეც კუალად განჰმართოს... უდაბნ., 53v.

-ე- სუფიქსის ადგილს -ო- იჭერს ფუძისეული ბაგისმიერის ზეგავლენით მაგალითებში, როგორცაა:

ტფ-ი-ლ-ი- — ს-ი-ტფ-ო-დ:

... და არა მოაკლებს სიშორითა მით ნათელსა და სიტყოსა... ბასილ., 33r.

ტყრბელ-ი — ს-ი-ტყბ-ო-დ (ახ. ქართ. **ბრტყელ-ი — ს-ი-ბრტყ-ე**):

... ტყრბელსა მას და ფართოსა... რ^ა ლელუ ფურცელ ტყრბელ და კერტ ჩხვლ არს და ... ფართობითა მით და სიტყბოთა ტყბილ არს ნაყოფი მისი... უდაბნ., 81r.

ვშ-ირ-ი — ს-ი-ვშ-ო-დ: (← ს-ი-ვშ-ო-დ?).

... ხ^ა ვორცნი მისნი მოიხუნა სივშოდაგან... სვან., 64.

... მიერულა იოსებს სივშოთა ძილისადათა ურვისა მისგან... სვან., 206.

ჩჩ-ვ-ლ-ი — ს-ი-ჩჩ-ო-დ:

... ამიერთვან ვიწყო და მიგიტხრა თქ^ნ სიჩჩოთგან ჰასაკისა მისისადათა... ოქრობ., 5v.

სიჩჩო-ს გარდა გვაქვს **ს-ი-ჩჩ-უ-ებ-ა-ც** (← ს-ი-ჩჩ-ო-ებ-ა): რ^ა სიჩჩუებისა და ვსნილებისა მის... უდაბნ., 43v.

ამავე რიგის უნდა იყოს **ს-ი-ტყბ-ო-ებ-ა-ც**:

... ნუ იყოფინ გინა ვენაჯი და სიტყბოებაჲ მისი: გინა სიჰამო-ვნე ლელუსა... ოქრობ., 162v.

§100. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ განყენებული სახელების წარმოებისას **ს-ი-** პრეფიქსს? მასდარის შესახებ თქმულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ **ს-ი-მაღლ-ე**, **ს-ი-მშვდ-ე**, **ს-ი-ცოცხლ-ე** ზოგადად „სიმაღლეს“, „სიმშვდეს“, „სიცოცხლეს“... კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტიზებულ მონაცემებს: კონკრეტიზაციას ქმნიდა კუთვნილების აღნიშვნა, იმაზე მითითება, რომ ნივთის კატეგორიის სახელს განეკუთვნება ეს თვისება; რუსულად რომ ვთარგმნოთ, „სიმაღლე“ გამოვიდოდა არა **высота**, არამედ **высота чего-то**, „სიმშვდე“ „спокойствие чего-то“ და ასე შემდეგ.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც კუთვნილებითი (თუ სხვაგვარი!) დეტერმინაციის გარეშე საგანს ვერ დავასახელებთ.

ამრიგად, ქართული **nomina abstracta** წარმოგვიდგენდა იმ მდგომარეობას, რომელიც აფხაზურს დღემდის შერჩენია პირველადს სახელებთან: „მამა“ აფხაზურად შეიძლება გადმოიცეს ნაირგვარად: ს-აბ, უ-აბ, ბ-აბ, დ-აბ, ლ-აბ... ე. ი. მამა ჩემი, მამა შენი — ვაჟისა, ქალისა, — მამა მისი —

ვაყისა, ქალისა¹... ერთი სიტყვით, შეიძლება აღინიშნოს „მამა“, როგორც ვილაციის (ან რალაციის) მამა, მაგრამ ვერ დავასახელებთ მამას ისე, რომ ის არავის მამად არ იყოს იმ თავითვე წარმოდგენილი.

განყენებულად აღებული „მამა“, რა თქმა უნდა, უდაო ფაქტია აფხაზის აზროვნებისათვის, მაგრამ განყენებულად აღებული ამ წარმოდგენის გამოხატვა არ ხერხდება აფხაზური სამეტყველო საშუალებით: მეტყველება ჩამორჩება აზროვნებას.

სალექსიკონო ფორმა **ა-აბ** „მამა“ ნამდვილად არაგონიერთა კლასისათვის ნავარაუდევია მამა². აქ აფხაზური ისევე, როგორც ხუნძური, ჩინური და რიგი სხვა კავკასიური ენა განყენებული მნიშვნელობის შესაბამისად, არაგონიერთა კლასის, ნივთთა კლასის კონკრეტულს კუთვნილებითს ფორმას იყენებს.

ქართულ *nomina abstracta*-თა **ს-ი-** ამ კონტექსტში სრულებით ბუნებრივი ჩანს: აქაც ხომ ნივთის კატეგორიის ფორმანტი **ს-ი-** **ზოგადი** მნიშვნელობის მქონე სიტყვის აღნაგობაში აღმოჩნდა!

ს-ი- — **-ე-** ტიპის განყენებულ სახელებში მეორდება **სი-ორძილ-ე** ტიპის მასდარის ფორმანტები: **ს-ი-** — **-ე-**: სახელის ფუძეცა და ზმნის ფუძეც ერთსა და იმავე საწარმოებელ აფიქსებს იყენებს. ანალოგიურ შემთხვევაზე მივუთითებდით სახელისაგან ნაწარმოებ სახელებთან და მიმდებარებთან. მიზეზი ერთი და იგივეა: **ზმნური** და **სახელური ფუძის გაუდიფერენცირება**.

საინტერესოა, რომ აფხაზური **ა-რგცჰა-რა** „სი-ღარიბ-ე“ [(ა)რგცჰა „ღარიბი“], **ა-ყაფშა-რა** „სი-წითლ-ე“ (ყაფშა „წითელი“)... იმავე პრეფიქსსუფიქსს გამოავლენს, რაც მასდარში გვაქვს: **ა-თგხ-რა** „ამოღება“, **ა-ფგლა-რა** „შეხვედრა“...

ქართულსა და აფხაზურს შორის სრული ანალოგიაა (თუ ქართულში **ს-ი-ორძილ-ე** ტიპიდან ამოვალთ). ქართული **ს-ი-** პრეფიქსისათვის დადგენილი მნიშვნელობა დასტურდება აფხაზური ანალოგიური **ა-** პრეფიქსის მნიშვნელობით³.

ს-ი-ორძინ-ე-ს ნაცვლად ამჟამად ითქმის „აღორძინება“...

სი-მჷნ-ე-, სი-ჷლოგნ-ე-, სი-ბოროტ-ე-...⁴ ახალი ქართულისათვის უცხოა: მათი ადგილი დაიჭირა მხნე-ობ-ა, ხელოგნ-ებ-ა || „ხელოვან-ებ-ა“,

¹ იხ. Услар. Абх. яз., § 61.

² იხ. იქვე, § 65.

³ „ეს **ა** მე მიმაჩნია მხოლოდ. რიცხვ. მესამე პირის უსულო საგნის დამახასიათებელ ნიშნად“, — წერს უსლარი: Абх. яз., § 65, გვ. 77.

⁴ **სი-** — **-ე** და **-ებ-ა** || **-ობ-ა**-ს შესახებ შდრ. აკ. შანიძე. ქართ. გრამატი., § 50.

ბოროტ-ებ-ა-მ: **პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება შეცვალა ოდენ-სუფიქსი-ანმა წარმოებამ.**

§101. რა სახისაა მასდარი ზანურსა (ჰანურ-მეგრულსა) და სვანურ-ში?

ჰანურში აქა-იქ გვხვდება -ა სუფიქსით ნაწარმოები მასდარი:

შქურინ-ა „შიში“, **თანაფ-ა** „თენება“, **თქუალ-ა** „თქმა“¹...

მაგრამ მასდარის ძირითადი ტიპი ჰანურში ეს არ არის; ძირითადია **ო-პრეფიქსითა** და **-უ-სუფიქსით** წარმოება: **-ო- — -უ-**; საწარმოებლად აორისტის ფუძეა აღებული (მეტ-წილ შემთხვევაში):

ო-ჰარ-უ „წერა“, **ო-კითხ-უ** „კითხვა“, **ო-ჰკორ-უ** „ჰრა“, **ო-კვთ-უ** „ჰრა“, „კვთა“, **ო-ჰკომ-უ** „ჰმა“ და სხვ.²

პრევერბიან ფორმებს **ო-** პრეფიქსი არა აქვს:

გე-დვალ-უ „დადება“, **მო-მალ-უ** „მოტანა“, **მე-ჩამ-უ** „მიცემა“, **მე-ხირ-უ** „მოპარვა“ და სხვ.³

ნ. მარი **ო-** — **-უ** წარმოების შესახებ წერდა: ესააო „აორისტის მესამე პირის **ო-** პრეფიქსი, რომელიც წარმოადგენს იაფეტური უღვლილების მესამე, აგრეთვე მეოთხე ქცევის ხმოვნითი დახასიათების თუბალ-კაინურ სახესხვაობას“⁴.

ჰანური მასდარის წარმოებას გარეგნულად თუ ავწერთ, თითქოს მართლა ასე გამოდის: ჰანური ზმნის აორისტის მესამე პირი რომ ავიღოთ და (პრევერბის ნაცვლად) **ო-** რომ დავურთოთ, გამოვა:

ემუქ **გუბ-უ** „მან ხარშა“: **ო-გუბ-უ** „ხარშა“.

ემუქ **ჰარ-უ** „მან წერა“: **ო-ჰარ-უ** „წერა“...

მაგრამ **-უ** სუფიქსის გაიგივება ამ ორ შემთხვევაში იმას უღრის, რომ მან დახატ-ა-ს — ა-სუფიქსი და ხატვ-ა-ს ა-სუფიქსი ერთმანეთს გავუთანაბროთ! ამ მორფოლოგიურ ომონიმებს ბგერითი მსგავსების მეტი საერთო არაფერი აქვთ: ერთი — პირის ნიშანია, მეორე — მასდარის საწარმოებელი ფორმანტი. ასევე შემთხვევითია მსგავსება მასდარის **ო-** პრეფიქსსა და „ქცევის“ **ო-** პრეფიქსს შორის.

ერთი სიტყვით, ხსენებული განმარტება **ო-** — **-უ** წარმოებისა საქმის ვითარებას ოდნავადაც არ შეეფერება: ემუქ გუბუ, ჰარუ „მან

¹ სათანადო გამოთქმები იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 48, გვ. 176.

² იქვე, გვ. 174.

³ იქვე.

⁴ იხ. ნ. მარი. Грам. чан. яз., § 103, გვ. 62.

ხარშა, წერა“ ზმნის პირიანი ფორმაა, და სანამ ის პირიანი ფორმა იქნება, ნაზმნარ სახელად ვერ იქცევა...

ნამდვილად, **ო-** — **-უ** ტიპი ქართულიდან ცნობილი **ს-ა-** — **-ა** ტიპის ზანური ეკვივალენტია (იხ. **ს-ა-ლმობ-ა-დ**, **ს-ა-ხარებ-ა-დ**... გვ. 226-7); ქართულში ეს ტიპი იშვიათია; მისი შესატყვისი **ო-** — **-უ** კი ჭანური მასდარის ძირითადი ტიპია, როგორც უკვე ვთქვით.

განსხვავება იმაშია, რომ ქართულში ეს აფიქსები აწმყოს ფუძეს ერთვით, ჭანურში კი, როგორც წესი, — აორისტისას.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჭანურმა **შეინარჩუნა პრეფიქსული წარმოება მასდარისა** (შდრ. პრეფიქსული წარმოების ბედს იმავე ჭანურის მიმღობაში).

მეგრულისთვის, ერთი შეხედვით, უცხოა მასდარის პრეფიქსული წარმოება. იოს. ყიფშიძე თავის „მეგრული ენის გრამატიკაში“ ასახელებს მასდარის წარმოების რამდენიმე ტიპს:

ა. წარმოება **უა**, resp. **ვა**, **გა**, ზოგჯერ **-უვა** სუფიქსით: ჭარუ-ა || ჭარუვა (?). „წერა“, ბარგ-უა „გათონა“, ტყაბარ-უა „გატყავება“.

ბ. წარმოება **-ა** სუფიქსით, უპირატესად ნარნარა ფუძესთან: ბირ-ა „მღერა“, ნგარ-ა „ტირილი“... ზალ-ა „ზელა“...

გ. წარმოება **-აფა** სუფიქსით: რღვ-აფა „ყრა“, ცქვ-აფა „ქება“...

დ. **-უალა**, **-ალა**: რდ-უალა „ზრდა“, ჭუ-ალა „წვა“...

ე. **-ება** (ქართულიდან ნასესხები): კინ-ება „ხელში დაჭერა“, მზად-ება „მზადება“...

ვ. **-ოფა**: ყორ-ოფა „სიყვარული“.

ზ. **-ირი**: ციდ-ირი „ყიდვა“¹.

აქ მოხსენებული სუფიქსებიდან: **-ირი** ქართ. **-ილ-**ის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია (შდრ. ტირ-ი-ლ- — ციდ-ი-რ-); მასდარის საწარმოებლად აქ მხოლოდ **-ლ-** || **-რ-** გვექნებოდა (იხ. ზემ. გვ. 229).

-ოფა ქართ. **-ობა** სუფიქსია (გმ-ობ-ა, ლბ-ობ-ა): მასდარს აქ მხოლოდ **-ა** აწარმოებს.

-აფა ქართ. **-ება-**ს ეკვივალენტია; აქაც სამასდაროდ **-ა** გვრჩება.

-უალა || **-ალა**-ში **-ალ-** ისეთივე ხასიათისა უნდა იყოს, როგორიცაა **-ალ-** ქართულს „პირველადს მასდარში“ (ტრი-ალ-...).

დანარჩენთაგან: **-ება-**, როგორც თვით ავტორი მიუთითებს, ნასესხებია ქართულიდან; **-ა** (ნგარ-ა, ზალ-ა) და **-უა** (ჭარ-უ-ა, ტყაბარ-უ-ა) იმეორებენ **-ა**-ს, რომელიც ქართული მასდარის ძირითადი ფორმანტია.

ამრიგად, მეგრული მასდარის ზემოხსენებულს ტიპებში ყველგან ერთი და იგივე საწარმოებელი აფიქსი გვაქვს: **ესაა -ა სუფიქსი, ქართული-**

¹ იხ. И. Кипшидзе. Грам. мингр. § 104, გვ. 93-94.

დან შეთვისებული.

ამ -ა- სუფიქსის წინამავალი სუფიქსები -აფ-, -ალ-, -ოფ-, -ი- საწარმოებლად აღებული ფუძის კუთვნილებაა. გვრჩება ერთი სუფიქსი — -უ, ყველაზე გავრცელებული: ჭარ-**უ**-ა, კვათ-**უ**-ა, ბარგ-**უ**-ა, ჭკომ-**უ**-ა... და სხვ. შეუძლებელი არაა ეს იყოს ის -უ, ჭანურ მასდართა წარმოებისას რომ აღვნიშნეთ¹: იგი მეგრულსაც უნდა ჰქონოდა, სანამ ქართულიდან შეთვისებული -ა სუფიქსი გაბატონდებოდა.

ნ. მარი „ჭანური ენის გრამატიკაში“ ამტკიცებს: მეგრული და ჭანური ორ ცალკე ენად უნდა მივიჩნიოთო. და კითხვაზე: რა გვაძლევს უფლებას ჭანური მეტყველება ცალკე ენად იქნეს გამოცხადებულიო, სამ მთავარ განმასხვავებელ ნიშანთა შორის (მყოფადის წარმოებისა და აორისტის წარმოების გვერდით) მასდარის წარმოებასაც ასახელებს: მეგრულში **ჭარ-უ-ა** ითქმის, ჭანურში **ო-ჭარ-უ-ო** „წერა“².

მართლაც, ჭანურსა და მეგრულში -უ სუფიქსიც რომ ერთი და იგივე აღმოჩნდეს, პრეფიქსში განსხვავებას რა დაფარავდა? **ო-** პრეფიქსიანი მასდარის დადასტურება მეგრულში; ასეთი მასდარი მეგრულში კიდევ მოგვებოვება:

ო-ჭარ-უ: ქოდოხოდუ ოჭარუს „დაჯდა წერად“...

ო-ბარგ-უ: ობარგუს ოხვარუ „მარგვლაში (გათოხნაში) შველის“. ასევეა: ოხვარუ — ონახვალში ონახუს „შველის — სარეცხის რეცხვაში“... საქვარიში ოქიმინუს „საქმის ქმნაში“... შხურიშ ოტყაბარუს „ცხვრის გატყავებაში“... შარაში ომუშებუს „გზის მუშაობაში“... პიჯიში ობონუს „პირის ბანაში“... ცურძენიში ოჭახუს „ყურძნის დაწურვაში“... და ასე შემდეგ.

მასდარის ქართული ტიპის შეთვისებამ ახალი, სუფიქსური, წარმოების მასდარი გაუჩინა მეგრულს, — ფაქტი, აფიქსების სესხების თვალსაზრისით პრინციპული ღირებულებისა.

ძველმა ჭანურ-მეგრულმა წარმოებამ, — **პრეფიქს-სუფიქსიანმა**, — თავი შეაფარა ზემოხსენებულის მაგვარ გამოთქმებს. თანამედროვე მეგრულზე დაკვირვება დაგვანახებდა, რომ მისი გამოყენების არე თანდათანობით ვიწროვდება და უპრეფიქსო ქართული წარმოება ამ გამოთქმებშიც იკაფავს გზას: „ობარგუ-ს ოხვარუ“-ს ცვლის: ბარგუას ოხვარუ „გათოხნაში შველის“, საქვარიში ოქიმინუს — საქვარიში ქიმინუს „საქმის კეთებაში“ და ასე შემდეგ.

როგორც **ჭანურისათვის, ისე მეგრულისათვის**, ამგვარად, **პრეფიქ-**

¹ ამასთან დაკავშირებით ზოგ საკითხს ცალკე დავუბრუნდებით.

² იხ. Грам. чан. яз., წინასიტყვაობა.

სის მქონე მასდარია ისტორიულად ნიშანდობლივი¹. **ო-** — **-უ** წარმოების ძველი მნიშვნელობა ისეთივე იქნებოდა, როგორც **სა-** — **-ა-** ტიპის ქართული მასდარისათვის ვივარაუდეთ (იხ. ზემოთ).

განყენებულ სახელთა საწარმოებლად მეგრული იყენებს **სი-** — **-ა** აფიქსებს: **სი-მადალ-ა** „სიმალე“, **სი-გირძ-ა** „სიგრძე“, **სი-სერ-ა** „ღამეობა“, „სიბნელე“ (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., §128მ.).

ამ წარმოებას **მ-** პრეფიქსიანი პარალელიც მოეპოვება: **მა-მა-ღალ-ა**, **მა-გირძ-ა** თანაბარი თვისების მქონებლობის აღნიშვნის ფუნქციით (იხ. ზემოთ).

ჭანტურში ეს წარმოება პროდუქტიული არ არის.

§102. სვანური მასდარის საკითხი, როგორც ეს სათანადო სპეციალურ ლიტერატურაშია ნაჩვენები², ერთობ ნათელია: მხოლოდ აქა-იქ თუ შევხვდებით **ოდენ-**სუფიქსიან მასდარს ქართულისათვის დამახასიათებელი **-ა** სუფიქსით:

ბზ. **ხუტ-ა** „წყვეტა“, „ჟღერა“, **კუშ-ა** „ტყდომა“, ლშ. **კუედ-ა** „კლება“, ბზ. **ცუარ-ა** „ტოვება“, „ლალატი“...³

სვანურისათვის ნიშანდობლივია პრეფიქსიანი წარმოება: ძირითადად ლი- პრეფიქსი, გვაქვს აგრეთვე **მა-** და **ნა-** პრეფიქსებიც; სუფიქსად — **-ე**, **-ი** (ჩვეულებრივ), ზოგჯერ — ნული (?).

შდრ. **ა. ლი-რდე** „ყოფნა“

ლი-ბნ-ე „დაწყება“

ლი-სგურ-ე „ჯდომა“

ლი-თნ-ე „დაბადება“, „შობა“

ბ. ლი-კდე „მოტანა“, „მოყვანა“

ლი-გემ „აგება“

ლი-ი „წადება“, „წაყვანა“

ბ. ლი-ზ-ი „სვლა“

ლი-სყ-ი „კეთება“

ლი-გნ-ი „ხვნა“

ლი-ჰუდ-ი „მიცემა“

ლი-თური „სწავლა“

ლი- — **-ე** ტიპი შეესატყვისება ქართ. **სი-** — **-ა** ტიპს (სი-მღერ-ა, სი-სრ-ა-); **ლი-** — **-ი** ტიპის შესატყვისი შეიძლებოდა **სი-** — **-ე** ყოფილიყო (სი-ორძ-ი-ლ-ე), მაინცა და მაინც **ლი-**პრეფიქსი აქაც **სი-** პრეფიქსს უდგას გვერდით.

ხსენებულ სვანურ **ლი-**ს ისეთივე ფუნქცია უნდა კუთვნებოდა, როგორც ქართულ **სი-**ს (რასაკვირველია, შორეულ წარსულში).

¹ შდრ. დეეტერსი: ლაზურ-მეგრული არ იცნობს პრეფიქსს მასდარისთვის. Kharth. Verb. §416, გვ. 220.

² იგულისხმება: ვარ. თოფურია. სვანური ენა, გვ. 216 და შემდეგ; აკ. შანიძე. უმლაუტი — „არილი“, გვ. 200.

³ სვან. ენა, გვ. 218.

§103. აქ სვანური ახალს არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ, განსაკუთრებული ღირებულებისად უნდა ვცნოთ ისეთი წარმოება, სადაც **ლი-** და **მა-** პრეფიქსიანი ვარიანტები ერთი და იმავე ფუძისაგან აწარმოებენ განყენებულ ნაზმნარ სახელს:

მა-ლატ „სიყვარული“ — ქვსვ. ეცრ. **ლი-ლატ** || ბზ. **ლი-ლატ-უ** „ყვარება“

მა-ხალ „ცოდნა“ — ბქვ. **ლი-ხალ** || ბზ. **ლი-ხალ-უ**

მა-ყალ „შიში“ — ბზ. **ლი-ყალ-ვ-ე** „შინება“¹.

ახლა პარალელური წარმოების ამ წყვილებს შორის ერთგვარი სემასიოლოგიური სხვაობაც შეიმჩნევა: **მაყალ** თითქოს სუბსტანტივია (страх, die Angst), **ლი-ყალ-უ-ე** — მასდარი „შინება“ (бояться?), მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აქ მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: პირვანდელი მნიშვნელობის მოშლის შემდეგ ენა ცდილობს მიუჩინოს ფუნქციები ორივე სახის წარმოებას. საყურადღებო ისაა, რომ **მა-** პრეფიქსიანმა წარმოებამ შეინარჩუნა მასდარისათვის ჩვეულებრივი გაგება (შდრ. ქართული შესატყვისები!), **ლი-** პრეფიქსიან წარმოებას კი განსხვავებული მნიშვნელობა ეძებნება. მაგრამ რაკი **მა-ლატ**, **მა-ხალ**, **მა-ყალ** წარმოების მასდარული მნიშვნელობა ცხადია, **ლი-ლატ**, **ლი-ხალ**, **ლი-ყალ-ვ-ე**-ს საკითხი მარტივად წყდება: ზმნათა ძირითად მასივში ეს წარმოება აკი მასდარისაა. ამრიგად, ერთგვარი სემასიოლოგიური დიფერენციაცია ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ აქ **მა-** და **ლი-** პრეფიქსიანი წარმოება უპირისპირდება ერთმანეთს.

რა უნდა ყოფილიყო ამ **მა-**ს მნიშვნელობა? თუ სინამდვილეს შეეფერება ის პერსპექტივები, რაც **ლი-** || **სი-** პრეფიქსთა რაობის რკვევისას დაისახა, **მა-** ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსი უნდა ყოფილიყო: სვანურში დაცული უნდა იყოს ის, რაც არ შემოგვრჩა არც ერთ სხვა ქართველურ ენაში (იხ. ზემოთ **მ-ე-გლოვ-ა**-ს შესახებ თქმული: გვ. 235).

თუ ეს ასეა, **მა-ყალ** იქნებოდა არა „შიში“ ზოგადად, არამედ „შიში ადამიანისა“, შიში, რომელსაც ადამიანი განიცდის; **მა-ლატ** — სიყვარული, რომლის მატარებელიც, განმცდელიც ადამიანია; **მა-ხალ** — ცოდნა ადამიანისა, ცოდნა, რომელიც ადამიანს ეკუთვნის...

არც ერთი ამ ზმნათაგანი გარდამავალი არაა და, ბუნებრივია, თუ სათანადო მასდარში სუბიექტის, ე. ი. ადამიანის კატეგორია ყოფილიყო აღნიშნული.

როცა **მა-** და **ლი-** პრეფიქსიანმა წარმოებამ წინანდელი მნიშვნელო-

¹ იხ. სვან. ენა, გვ. 217, § 61₂.

ბა დაკარგა, ე. ი. კლას-კატეგორიათა გარჩევა მასდარებში (და, საერთო-დაც) მოიშალა, ამ პრეფიქსთა ფუნქციის დიფერენციაციის საკითხიც გაჩნდა.

სვანურში მოიპოვება წყება განყენებულ სახელთა, რომლებიც შეიძლება ზემოხსენებულ **მა-** პრეფიქსიან მასდარებს გვერდში ამოვუყენოთ; ესენია: **მან-გიდ** „ძილი“, **მა-ჟარ** „მოწყენა“, **მან-ხიად** „სიხარული“, ბზ. **მა-შონ-ა** „შური“, ლშხ. **მა-ღურ-ა** „ფიცი“, ბქვ. **მა-ჯუამ** „მადლობა“, ბზ. ლშხ. **მა-სტუნ-ა** „ტკივილი“, **მა-მჭირ** „სიზარმაცე“¹ — „ძილისა“ და „ტკივილისა“ გამოკლებით ყველა სპეციფიკურ ადამიანურ პროცესებს აღნიშნავს: აქ ყველგან **სუბიექტის ნათესაობითის** შინაარსი ექნებოდა დართულ სახელს: მოწყენა, სიხარული **ადამიანისა...** ბზ. **მა-ღუნ** „ქონება“, პირიქით, ობიექტის ნათესაობითის გამოყენებით განიმარტება: ქონების ობიექტს ადამიანი წარმოადგენს (ვთქვათ, მონა)².

§104. კონკრეტულ სახელთაგან განყენებულის წარმოებისას სვანური, პირველ ყოვლისა, **ლი-**ს იყენებს:

მერი „მოხუცი“ — ბზ. ეცრ. **ლი-მან-ჟე**, ლენტ. **ლი-მან-ჟე**, ბერ. **ლი-მან**, ლაშხ. **ლი-მერ** „სიბერე“, „ბერობა“.

მარე, **მარე** „კაცი“ — ბზ. **ლი-მარ-ჟე**, ლშხ. **ლი-მარ**, ბქვ. ლენტ. **ლი-მარ** „კაცობა“...

დი-^ი-გეზალ „დედა და შვილი“ — ბზ. **ლი-დი-ჟე-ლი-გუნალ-ჟე**, ლაშხ. **ლი-დი-ლი-გუნელ**, ეცერ. **ლი-დი-ლი-გუნალ** „დედა-შვილობა“ (ზედმიწ. „სიდდე-სიშვილე“).

ზსგ. **ხენჟე-ჭაშ**, ლშხ. **დენჟე-ჭაშ** „ცოლ-ქმარი“ — ბზ. **ლი-ხენჟე-ჭაშ-ჟე**, ქვსგ. **ლი-ენჟე-ლი-ჭაშ**, ბქვ. **ლი-ხენჟე-ჭაშ**, ეცრ. **ლი-ხენჟე-ლი-ჭაშ-ჟე** „ცოლ-ქმრობა“ (ზედმიწევ. „სიცოლ-ქმრე“, „სიცოლ-სიქმრე“).

ფუსჟედ (|| **ფუსტ** || **ფუსჟენ**) „ბატონი“ — ზსგ. **ლი-ფუსჟედ**, ლენტ. **ლი-ფუსტ**, ლაშხ. **ლი-ფუსნ** „ბატონობა“ (ზედმიწევნით: „სიბატონე“)³...

ეს პრეფიქსიანი წარმოება იმავე რიგისაა, როგორც ძვ. ქართ. **სი-ბოროტ-ე-**, **სი-მუნ-ე-**, **სი-ჯელოვნ-ე-**; ძველი ქართულისათვის ეს კერძობითი მოვლენაა, ნაშთი ნორმისა, სვანურში კი ეს ნორმა დღემდის ძალაშია.

¹ სვან. ენა, 217.

² ამისაგან უნდა განვასხვავოთ რიგი **მ-** პრეფიქსიანი წარმოება სვანურისა, სადაც ადამიანზე მითითებას პრეფიქსს ვერ დავაკისრებთ: **მ** ← **ბ** და ნივთის კატეგორიისაა. აქ ამაზე არ შევჩერდებით.

³ იხ. სვან. ენა, გვ. 216-217.

§105. სვანური სხვა მხრივაც იძლევა ძვირფას ჩვენებას: მასში **ნა-** პრეფიქსიც აწარმოებს განყენებულ სახელებს:

ბგვი „მაგარი“ — **ნა-ბგ-ი** (|| ლენტ. **ნა-მბგ-ი**) „სიმაგრე“, „ძალა“.

ფიშირ „მრავალი“ — **ნა-ფშირ-ი** (ლშხ. **ნა-ფშირ-ი**) „სიმრავლე“
უბანდუ — „უბედური“: — ბზ. **ნა-უბანდური-ი**, ბქვ. ლნტ. **ნა-უბედური-ი**,
ქესვ. **ნა-უბედრ-ი** „უბედურება“.

კამშა „ლონე“ — ზსვ. **ლგ-კმშუ**, ლშხ. **ლგ-კმშუ** „მაგარი“, „ლონიერი“
— ბზ. **ნა-ლგმშუ-ი**, ბქვ. **ნა-ლგმშუ-ი**, ლშხ. **ნა-ლგმშუ-ი** „ლონე“¹, „ლონიერება“ („სილონიერე“).

იხ. აგრეთვე:

კვლთხი „მაღალი“ — **ნა-კვლთხ-ი** „სიმაღლე“

ჯრდი „გრძელი“ — **ნა-ჯრდი-ი** „სიგრძე“

წგრნი „წითელი“ — **ნა-წგრნი-ი** „სიწითლე“

თეთუნე (თუეთნე) „თეთრი“ — **ნა-თეთუნე-ი** „სითეთრე“²...

არც ერთმა სხვა ქართველურმა ენამ არ იცის **ნა-** პრეფიქსი ამ ფუნქციით, თუმცა ქართველურ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურა ბუნებრივად ვარაუდობს **ნა-** პრეფიქსის ასეთ როლში გამოვლენას (იხ. **ნა-** მიმღეობათა წარმოებაში ზემოთ, გვ. 183-4, 198).

ამ **ნა-**ს კანონზომიერად შეიძლება შეგუპირისპიროთ თანაბრობის საწარმოებელი **მა-** პრეფიქსი:

წგრნი „წითელი“ — **ნა-წგრნი-ი** „სიწითლე“

მა-წგრანი-უ³ (მეგრ. მა-ჭით-ა) „სიწითლე“

(შდრ. ქართ. გამოთქმა: „იმ სიწითლე“...

თუეთნე || **თეთუნე** „თეთრი“ — **ნა-თეთუნე-ი** „სითეთრე“

მა-თეთანი (მეგრ. მა-რჩი-ი-ა — მარჩიელ-ა) „სითეთრე“ („იმ სითეთრე“)...

ნივთის კატეგორიის **ნა-** პრეფიქსი სვანურში **შეპირისპირებულია** ადამიანის კატეგორიის **მა-** პრეფიქსთან; პირვანდელი მნიშვნელობა ცვლილა, მაგრამ **წარმოება შეგვრჩენია, სისტემა დაცულია**; ქართულში კი ამ შეპირისპირებული წყვილის მხოლოდ ერთი წევრი შეგვრჩა, ისიც, რასაკვირველია, მნიშვნელობის ცვლით.

მასდარის საწარმოებელ პრეფიქსთა ზოგადმა ანალიზმა **ახალ მასალაზე** დაადასტურა ის კანონზომიერება, რომელიც **წარმოებს სახელთა და მიმღეობათა ანალიზით იქნა მოპოვებული.**

¹ სვან. ენა, გვ. 234.

² ი. ნიჟარაძე. Рус.-сван. словарь, სათანადო სიტყვებთან.

³ მაგალითები ამოღებულია ვ. თოფურიას სახელთა დაბოლოვების ისტორ. სვან. — „უნ. მოამბე“ VII, 299.

§106. მ- პრეფიქსი (უხმოვნო და ხმოვან-დართული) უბირისპირდება **ს-**, **დ-**, **ნ-** (**რ-**) პრეფიქსებს (უხმოვნოებს თუ ხმოვან-დართულებს): ეს დაპირისპირება გასდევს მთელს სიტყვაწარმოებას, — სულ ერთია, სახელისაგან ნაწარმოებ სახელს ავიღებთ, თუ ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებს, — მიმღობასა და მასდარს.

ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა ოდინდელი მაჩვენებლები დალექილია ქართველურ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურის მთელ სივრცეზე.

მასთან: ადამიანის კატეგორიის ნიშანი ერთიანია ყველა ქართველური ენისათვის, ნივთისა კი — ცვალებადობს — ხვედრი წონის, მოვლენის ასაკისა თუ დიალექტობრივ (ენობრივ) წრეთა მიხედვით, რომელთაც ესა თუ ის პრეფიქსი განეკუთვნება (უძველესია **ნ¹**; ყველაზე ახალი **ს-**; ეს უკანასკნელი ძირითადია ქართულისათვის; **ნ-** ქართულსა და სვანურს აერთიანებს, უკეთ, მათს გარკვეულ ფენას).

§107. საკითხის ისტორიიდან. ადამიანისა და ნივთის კატეგორია სახელთა გრამატიკული კლას-კატეგორიებია.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა საკითხი ქართულისა (და სხვა ქართველური ენების) მიმართ გარკვევითაა წამოყენებული კარბ. დონდუას შრომაში: О двух суффиксах множественности – "Язык и мышление", I (1933).

ავტორი მიუთითებს გრამატიკული კლასების ოდინდელი არსებობის კვალზე ქართულში; ესაა:

ა. ადამიანისა და არა-ადამიანის განსხვავება სადაურობის აღმნიშვნელ აფიქსებში: იმერ-ელ-ი — იმერ-ულ-ი...

ბ. სულიერთა და უსულოთა განსხვავება ლექსიკაში: აქვს — ჰყავს, მიჰქონდა — მიჰყავდა...

ავტორი ვარაუდობს, რომ ქართულში მრავლობითის სუფიქსები **-ნ-** და **-ებ-** ისტორიულად სხვადასხვა გრამატიკული კლასის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო; სახელდობრ, **-ებ-** „ნივთთა კლასის“, პასიურ სულიერ საგანთა კლასისა და, საერთოდ, საზოგადოებრივად პასიურ არსებათა, აგრეთვე განყენებულ ცნებათა... გამომხატველი უნდა ყოფილიყო“ (გვ. 64).

ამას უკავშირებს ავტორი იმას, რომ ძვ. ქართულში **-ებ-** სუფიქსიანი მრავლობითი ზმნას არ ითანხმებს რიცხვში („სირები აღფრინდა“ — და

¹ შლრ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ნ და ს ფენებისათვის. მეც. აკად. მოამბე, II, გვ. 194-5.

არა „აღფრინდეს“): **-ებ-** სუფიქსით უპირატესად სახელთა პასიური კლასი იწარმოებოდა და მისი უკუფენაა სინტაქსური ძალის სისუსტე, შეუთანხმებლობაში რომ მყდავნდებაო.

ქარბ. დონდუას ვარაუდით, ამგვარად, **-ნ-** და **-ებ-** სუფიქსები ერთმანეთთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც **-ცია** და **-ქუა** საწარმოებლები აფხაზურში.

ქარბ. დონდუას ხსენებულ შეხედულებაში სრულიად უდაოა დებულება გრამატიკული კლასების — ადამიანისა და არა-ადამიანის კლასის — გარჩევის შესახებ ქართულში.

ისიც ეჭვს გარეშეა, რომ სადაურობის აფიქსთა (**-ელ-** — **-ურ-** || **-ულ-**) გამოყენებაში გამოსახულებას პოვებს აღნიშნული კატეგორიების არსებობა ქართულში.

მეტი კიდევ: თითქოს ამის სასარგებლო ჩვენება გვაქვს იმ ფაქტში, რომ ახ. ქართულში შეუძლებელი არაა **-ნ-**იანი მრავლობითი გვექონდეს და ზმნა სახელს რიცხვში არ შეეთანხმოს (მაგალ.: „საეჭვოა, ასეთი საბუთები მაშინაც ყოფილიყო დამარწმუნებელი, როცა ისინი იწერებოდა“)...

„ისინი“ „საბუთების“ ნაცვალია და ზმნაც ამიტომ არ ეთანხმება მას რიცხვში; ადამიანი რომ ეგულისხმებინათ, იქნებოდა „ისინი იწერებოდენ“ (და მნიშვნელობაც ერთგვარად შეიცვლებოდა).

მაშასადამე, არის კავშირი **-ნ-** || **-ებ-** სუფიქსებსა და გარკვეულ გრამატიკულ კლასებს შორის? ვფიქრობთ, რომ არა: მაგალითში ნაჩვენები ფაქტი ასახავს იმ მდგომარეობას, რომელიც ახ. ქართულში შეიქმნა სახელთან ზმნის შეთანხმების პროცესში თვით **-ებ-**იანი მრავლობითის გამოყენებისას; თუ ეს მრავლობითი ადამიანს ეხება, ზმნა სახელს უცილობლად ეთანხმება ზმნის გვარობისდა მიუხედავად (თუ კი ზმნა ერთპირიანია); თუ მრავლობითი არაა ადამიანთა კლასის სახელისა, შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

რა გვექონდა ძვ. ქართულში? იქ **-ებ-**იანი მრავლობითი ზმნას ვერ ითანხმებდა¹. მხოლოდ მას შემდეგ, რაც **-ებ-**იანმა წარმოებამ **-ნ-**იანის ადგილი დაიჭირა, პირველი ცდილობს უკანასკნელის უფლებათა მოპოვებას; სალიტერატურო ქართულში ამ მხრივ **-ებ-** სუფიქსის უფლებათა განვითარებამ გარკვეულ საფეხურს მიაღწია, მაგრამ მაინც ჩამორჩება **-ნ-**იანი მრავლობითის სინტაქსურ უფლებებს ძვ. ქართულში. ხსენებულ პროცესს

¹ იხ. ავტორის „მარტივი წინადადების პრობლემა“, I, გვ. 251-256.

გარკვეული ტენდენცია ახასიათებს¹ და გარკვეული პერსპექტივები გააჩნია. ამ პროცესს ასახავს ზევით ნაჩვენები ფაქტი.

ამგვარად, **მოვლენა მეორეულია**. თუ ეს ასეა, რა იწვევდა **-ნ**-იან და **-ებ**-იანი მრავლობითის სინტაქსურ უფლებათა მკვეთრ სხვაობას ძველ ქართულში?

ალბათ, ის, რომ ეს სუფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისაა და სალიტერატურო ქართულში დამკვიდრების თვალსაზრისით სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას განეკუთვნება.

გრამატიკული კლასების სხვაობა, ყოველ შემთხვევაში, მიზეზად ვერ მიიჩნევა: **-ნ**-იანი მრავლობითი ზმნას ითანხმებდა ძვ. ქართულში მიუხედავად იმისა, რეალური სუბიექტი, მოქმედი, იყო იმით გადმოცემული თუ — რეალური ობიექტი, პასიური, უმოქმედო საგანი (კაცნი ვლენან — მთანი ჩანან... ძმანი მოვიდოდეს... დაწერნა წერილნი... აღიხუნა თულანი...).

-ნ-იანი და **-ებ**-იანი მრავლობითის გარჩევაში, ამგვარად, სახელთა გრამატიკული კლასების სხვაობა არ პოულობს გამომხატულებას.

კარპ. დონდუას შეხედულება იმ მხრივ მაინცაა **უთუოდ მნიშვნელოვანი, რომ აქ გარკვევითაა წამოყენებული დებულება გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გარჩევის შესახებ ქართულში სხვა კავკასიურ ენათა, ამ შემთხვევაში, აფხაზური ენის ვითარებასთან დაკავშირებით**.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი — იყო თუ არა ქართულში გარჩეული **გრამატიკული სქესები**.

ქართული გრამატიკული ტერმინი „სქესი“ უმარტებულო თარგმანია რუსული ტერმინისა род („მდრ. пол „სქესი“); რუს. род კი, თავის მხრივ, გადმოგვცემს ლათინ. genus-სა და ბერძ. γένος, რაიც ნიშნავდა „გვარს“, „წარმოშობას“ (მდრ. ძვ. ქართ. „ნათესავი“, ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, ქუეყანად ჰვიეს უკუნისამდე „род пройдет и род придет, земля же пребуде во веки“...). შემდეგ — „გვარეობას“ („სახეობისაგან“ განსხვავებით).

Род-ტერმინის „სქესად“ თარგმნას, ალბათ, ხელი შეუწყო გამოთქმებმა мужской род, женский род, genus masculinum, genus femininum, γένος ἀρδευικόν, γένος θηλυκόν.

„სქესი“ რუს. род-ის უმარტებულო თარგმანია. XIX ს. მეორეოცე წლებამდის ქართულ გრამატიკებში იხმარებოდა არა ტერმინი „სქესი“,

¹ იხ. ავტორის: „მარტ. წინად. ევოლ. ძირითადი ტენდენციები“ საქართ. მეცნ. აკად. მოამბე, II 1/2, 6 (1941წ.); აგრეთვე: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართ. ენ. აგებულებას?“ V (1930წ.).

არამედ „ნათესავი“¹; ასეა ეს ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრამმატიკაში ქართული ენისა“ (დაწერის თარიღი 1737 წ.), ანტონი I-ის „ქართულს ღრამმატიკაში“ და, აქედან მოყოლებული, იმ გრამატიკათა წყებაში, რომლებიც ანტონის გრამატიკის გამარტივებულსა და შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს ანდა მას ეკედლება (იგულისხმება: გაიოზის, იესე ჩუბინაშვილის, გოდერძი ფირალოვის, სოლომონ დოდაშვილისა (1830წ.) და პლატონ იოსელიანის (1840 წ.) გრამატიკები).

„მდევარი ესე ანუ შენადრგენი სახელისა, — წერს ანტონი, — რომელსა **ნათესავი**, ესთა ცნობილარს, ვითარმედ ოთხთა მიმართ სახეთა აქუს წუთლებად, რამეთუ სახელი ენისამებრ ჩუწნისა, ანუ არს მამრობითი, ანუ მდედრობითი ანუ უმეშუწობითი და ანუ საზოგადო.

ხოლო წოდებულ მაშინ მამრობითი, თუ სადამე დანიშნული იგი, მის მიერ, იყოსცა მამრი, მაგალითებრ: მამა, პაპა, მღუღელი, წული, სიმამრი, მამამთილი, ძმა, ხარი, ვაცი, ვერძი, ყრმა, უფალი, მეფე, ჭაბუკი, ხუადი და სხუანი.

თუ სადამე იყოსცა მდედრ, მაშინ წოდებულ მდედრობითი, მაგალითებრ: დედა, ჰანი, სიდერძი, სძალი, ყრმაა, უფალა, მეფა, ჭაბუკა, **ჭური** (?), ნეზ, ძუფ და სხუანი.

თუ სადამე არა მამრ დაინიშნოდესცა და არცაღა მდედრ, მაშინ წოდებულ ესე გუარი იგი უმეშუწობითად, მაგალითებრ: ქუა, სპეკალი, სახლი, პალატი და სხუანი.

და თუ სადამე დაინიშნოდესცა ორ მნიშვნელობით, ესე იგი მამრისა მიმართცა და მდედრისა, მაშინ ნათესავობითი ესე წოდებულ საზოგადოდ, მაგალითებრ: კაცი, მშობელი, შვილი, ცხენი, ზროხა, ირემი, ფარშამანგი, ტრედი, კიცკ, მართუჭ, ლეკკ, მჰსწავლული (!), ქალწული და სხუანი“ (იხ. „ქართ. ღრამმატიკა“, §185, გვ. 127-128).

როგორც აქედან ჩანს, ოთხი სქესი ქართულში გარჩეულია სახელთა **მნიშვნელობის** (და არა სახელთა ფორმის) მიხედვით; ამდენადვე, სქესზე, როგორც გრამატიკულ კატეგორიაზე, აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

ასეთი სემასიოლოგიური კვალიფიკაცია სქესის კატეგორიისა დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“-დან მოყოლებული საყოველთაოდ იყო გავრცელებული: ამას მოითხოვდა „გრამატიკა, საერთოდ“ და არა ქართული ენის გრამატიკა.

სამაგიეროდ, საინტერესოა ანტონის მითითება, არსებით სახელში

¹ „სქესი“ ტერმინიც გვაქვს, მაგრამ ზმნის კილოს ნიშნავს: მაგ. „საზღურებითი სქესი“ — თხრობითი კილო... აგრეთვე: „სქესი ბრძანებითი“ საწადისი, ვპოტეტიკადა ანუ უკეთუობითისა, განუსაზღურებელი ანუ უჩინო.

სქესი არ აღინიშნება, მაგრამ ზედსართავი სახელი არსებითის განსაზღვრისას მას სქესში ეთანხმებაო.

„არა რაჲმე აქუს ნიშანი ჩუწნისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცალა მდედრობითად თქმულსა. ხოლო ზედ-შესრულთა სახელთა მდედრობითად აქუს რომელთამე დამაბოლოებელი ა, მაგალითებრ: ჭაბუკა (რუთ. 2, 3), უფალა (24, 2), მეფა (იერემ. 44, 17), წინასწარმეტყუზლა (ისაია, 3), ყრმაა (იერემ. 34, 11). ძუწლს დაბეჭდილს საწინასწარმეტყუზლოსა შინა ა — ებრაელა (იერემ. იგივე თავი, რიცხვ 3), მოაბელა (ისაია 15, 1). მაშასადამე, ყოველსა ზედ-შესრულსა სახელსა მდედრისა ქუწმდებარისა მიმართ მოღებულსა უშეესაბამების მდედრობითი“ (§186, გვ. 128).

ეს რომ მართლაც ასე იყოს, გრამატიკული სქესის საკითხი ქართულში დადებითად გადაწყდებოდა. მაგრამ, „ყოველი ზედშესრულის შესახებ“ ლაპარაკი ამ რამდენიმე მაგალითის მიხედვით უსაფუძვლოა და მერე, რაც მთავარია, ეს რამდენიმე მაგალითიც საეჭვოა: იგი გრამატიკული რეფლექსიის შედეგად მიღებულ ხელოვნურ პრეპარატს წარმოადგენს და არა ქართული მეტყველების რეალურ ფაქტს. ძველი ქართულის ტექსტები ამას უეჭველს ხდის¹.

გრამატიკული სქესის საკითხი ქართულში კვლავ დაისვა მეოცე საუკუნეში, ქართული ენის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის პროცესში.

1908 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში — „ძირითადი ტაბულები“ — ნ. მარმა გამოყო მდედრობითი სქესის აფიქსები (იხ. პირველი ნაწილი, გვ. 113-114).

იქ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ეს სუფიქსები გამოყოფილია მანამდე ფუძისეულად ცნობილ მასალაში; რომ ამ აფიქსების რიგი ვარიანტია — დიალექტობრივი — წარმოდგენილი (-ატ-, -ად-, -ალ-, -ათ-, -აკ-, -აგ-, -აგ-, -აქ-, -ეტ-, -ედ-, -ელ-, -ეო-, -ეკ-, -ეგ-, -ექ-...); ამ სუფიქსთა გამოყოფისა და კვალიფიკაციისათვის ამოსავალია სემიტური ენების ფაქტებთან ანალოგია.

იქვე გვაქვს ნათქვამი, რომ აფიქსის გამოყოფა და მისი სრული და შეკვეცილი სახის გარჩევა შენაძენი იქნებოდა ქართული ენის ისტორიისათვის, რომ დებულება სათანადოდ ყოფილიყო დასაბუთებული, და რომ შემდეგში არ ყოფილიყო უარყოფილი: პირველად (1908 წ.) დედ-ა-ში -ა სუფიქსად იყო გამოცხადებული; ოციოდე წლის შემდეგ კი ეგევე სიტყვა დაშლილ იქნა ამგვარად: დე-და (იხ. პირვ. ნაწ., გვ. 114).

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართ. და კავკ. ენ. თავდაპირვ. ბუნება და ნათესაობა, გვ. 165-167.

ასევე **ძმა**-ფუძეში **-ა**- შემდეგში აღარ გამოიყოფა სუფიქსად, სიტყვა კომპოზიტად არის მიჩნეული და ითვლება **ძალ-მალ**-ისაგან მიღებულად:

ძ-მა ← **ძა-მა** ← **ძალ-მალ**-...

ამგვარად, **-ა**-ს აფიქსურობა უარყოფილია; ის მიღწევა, რომელიც 1908 წელს გამოქვეყნებულ შრომაში გვქონდა, ავტორის მიერვე გაუქმებულია.

დამახასიათებელი ისაა, რომ არც გამოყოფა სუფიქსისა ყოფილა და-საბუთებული და არც მისი უარყოფის აუცილებლობაა ნაჩვენები.

ახლა — გამოყოფილი სუფიქსის ფუნქციის შესახებ.

ნ. მარს ყველა ზემოხსენებული სუფიქსი მდედრობითი სქესისად აქვს გამოცხადებული. რატომ? იმიტომ, რომ ზოგი მათგანი ფონეტიკურად უახლოვდება, სხვები კი მათ ფონეტიკურ ვარიანტად არის გამოცხადებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ **-ა** მდედრობითი სქესის ნიშანია სიტყვებში **დედ-ა**, **დ-ა**, რატომ გვაქვს ეგევე **-ა** ისეთ სიტყვებში, როგორიცაა **მამ-ა**, **ძმ-ა**¹ (თავი რომ დავანებოთ ისეთ სახელებს, როგორიცაა **გზ-ა**, **ქვ-ა**, **დაბ-ა**...)?

მერე: ვთქვათ **-ა** მდედრობითის ნიშანია; რაღა მამრობითი სქესის ნიშანი? როგორ მოხდა, რომ მდედრობითი სქესის ნიშანი თვრამეტიოდე ფონეტიკურ ვარიანტს იძლევა (**-ა**, **-ე**, **-ალ**, **-ელ**, **-ათ**, **-ეთ**, **-ად**, **-ედ**, **-ატ**, **-ეტ**... **-აქ**, **-ექ**... **-ავ**, **-ევ**... **-აგ**, **-ეგ**, **-აკ**, **-ეკ**), ხოლო მამრობითი სქესის მაჩვენებელი არსად ჩანს; არა თუ არა ჩანს, ადგილიც არ რჩება მისთვის: ყველა (გამოყოფილი) სუფიქსი მდედრობითისაა!

1908 წელს ამგვარ გარემოებას მკვლევრის ეჭვები არ აღუძრავს: ისე დიდი იყო გატაცება სემიტურ ენებთან ანალოგიით!

შემდეგში 1908 წელს წამოყენებული დებულება ნ. მარსა უარყო; 1926 წელს, — ახლა უკვე სხვა შრომის წინასიტყვაობაში, — იგი გვეუბნება:

ვინც ახალი საენათმეცნიერო მოძვრების (იგულისხმება იაფეტური თეორია — **ა. ჩ.**) გაცნობას იწყებს, მისთვის აჯობებს არ ჩაიხედოს ერთ ხანს შრომებში, რომლებიც გამოსულია „მესამე ეთნიკურ ელემენტზე“ ადრე², — აჯობებს, რამდენადაც გულის-ყური მიბყრობილია თეორიულ მხარეზე.

მას შემდეგ ბევრი საკითხის გაშუქებაცა და, მეტი კიდევ, დასმაც კი

¹ საჭირო საბუთად არ გამოდგება ნ. მარსის მითითება: ებრაულში **მამა**-სახელს **მრავლობითში** „მდედრობითის დაბოლოება აქვსო“ (იხ. **Осн. табл. — Избр. раб. I, 36**). რატომ მხოლოდობითში — არა?

² ე. ი. 1920 წელზე ადრე.

იმდენად შეიცვალა, რომ [ახლა] ვიძლევიტ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ახსნასო.

წინასწარ ცნობაში ქართული ენის სემიტურთან ნათესაობის შესახებ¹ ლაპარაკი გვაქვს **მდებრობითი სქესის გადაშენების შესახებ ქართულში მაშინ, როდესაც გრამატიკული „მდებრობითი სქესი“, როგორც ახლა გარკვეული გვაქვს, უფრო გვიანდელი მოვლენაა**, და ეგვიტ რომ არა, თავდაპირველად მამრობითი და მდედრობითი სქესი კი არ წარმოქმნილა, არამედ — კლასები, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყოფოდა საგნები სხვადასხვა კოსმოსურ, წინათ — სამეურნეო სამყაროებისადმი, მიკუთვნებასთან დაკავშირებითო“ (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)².

აქ უადგილო იქნებოდა ნ. მარის ახალი გაგების დაწვრილებით განხილვა და შეფასება, მით უფრო, რომ ახალი გაგების შესაბამისად ქართული ენის სინამდვილე არ ყოფილა ანალიზებული და არც სპეციალური წერილი უძღვნია ნ. მარს სქესის საკითხისათვის (გაკვრით კი არა ერთგან შეხებია თავის ბოლოდროინდელს შრომებში).

საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ 1926 წელს თქმული არა თუ არ მოითხოვს იმის დასაბუთებას, რატომაა **მამ-ალ-**ში **-ალ-** სუფიქსი მდედრობითი სქესის ნიშანი, არამედ თვით სქესის საკითხიც მოხსნილია: სქესთა გარჩევას კლასების გარჩევა უსწრებდაო.

ასეთი გაგება, ზოგადად, მართებულია. ასეთი გაგება დასაბუთებულიც იყო — და ბევრი სპეციალისტის მიერ გაზიარებულიც — უკვე 1908 წ., როცა ნ. მარი ქართულში მდედრობითი სქესის ნიშნებს ეძიებდა.

ამგვარად, ბოლოდროინდელ თავის შრომებში ნ. მარმა უარყო ზემოხსენებული ელემენტების (**-ა-**, **-ალ-**...) **სუფიქსად გამოყოფა და მდედრობითი სქესის** დაბოლოებად მათი მიჩნევა, რასაც წინათ იცავდა.

გრამატიკული სქესების საკითხს ქართულში ვრცლად შეეხო ივ. ჯავახიშვილი კაპიტალურ შრომაში: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, კარი III, ნაწ., I, თავები V-XVI, გვ. 165-234.

სახელთა შედარებითი ანალიზის გზით ივ. ჯავახიშვილი მივიდა

¹ ივლისხმება „Основные таблицы“-ს წინასიტყვაობა.

² „В предварительном сообщении о родстве грузинского языка с семитическими говорится о вымирании жен. рода в грузинском (ОТ, стр. 9, прим.), между тем грамматический „женский род“, как теперь выяснено, позднейшее явление, да и возникли-то впервые не роды, женский и мужской, а классы в связи с делением предметов по принадлежности к различным космическим, раньше хозяйственным мирам“ — იხ. „Предисловие к „Классифицир. перечню печатных работ по яфетидологии“ — Избр. раб.“, I, 224.

იმ დასკვნამდის, რომ ქართულსა და ქართველურ ენებში ისტორიულად გარჩეული იყო სამი სქესი: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო; პირველის ნიშანი იყო — **გ**, მეორისა — **ნ**, მესამისა კი — **ზ** (გვ. 214).

მამრობითი სქესის აღმნიშვნელი **გ** გამოყოფილია სახელებში: ვაჟი, ური, ვაცი, ვაციკი, ვერძი, ვაჩინა, ვაჩი, ურა, ვერანი, ვირი... (გვ. 180).

მდედრობითი სქესის ნიშანი **ნ** იგარაუდება სახელებში: ნეზვი, ნერბი, ნუსა, ნუკრი, ნერჩი (გვ. 184).

საშუალო სქესის აფიქსი **ზ** ავტორის მიერ დადასტურებულია 19 სახელში: ბატკი, ბატკანი, ბოზო, ბოკვერი, ფუკვარი, ფეკვნა, ბურვაკი, ბაშვი, ბუში, ბარა, ბერე, ბელი, ბუჩინა, ბიჟინა, ბალანა, ბიჭიკა, ბიჭი, ბაჭია და ბოჩიკი (გვ. 190-214).

სქეს-კატეგორიის ამ მაჩვენებელს ივ. ჯავახიშვილი აკავშირებს კავკასიურ ენათა სათანადო კატეგორიათა ნიშნებთან (გვ. 255-6); ამ მხრივ ეს გამოკვლევა პრინციპული ღირებულებებისაა, როგორც ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის მონოგრაფიული შესწავლის საგულისხმო ნიმუში.

სქეს-კატეგორიის მაჩვენებლებს ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს **პრეფიქსებში** და გამოყოფს **პრეფიქსების** სახით; ეს საგვებით ეგუება კავკასიურ ენათა სტრუქტურის ძირითად პრინციპებს და ქართველურისა და მთის კავკასიური ენების გენეტური ურთიერთობის ისტორიულ პერსპექტივებს.

სიტყვათა აგებულების შედარებით-ისტორიული ანალიზის სანიმუშო ძიებაა მოცემული თავსართების გამოყოფისას სახელებში:

ბატკანი, ბალანა, ბაშვი... ნერჩი, ნეზვი...

მაგრამ ასევე დამაჯერებელი არაა სხვა მაგალითები, და, რაც მთავარია, სადავოა გამოყოფილი აფიქსების ინტერპრეტაციის საკითხი.

ბაშვი, ბალანა, ბატკან-ის **ბა-**, ეჭვს გარეშე, აფიქსია; მაგრამ ის ქართველურ ენებში სხვა კავკასიურ ენებიდან შესული ჩანს; ამდენად ქართველურ ენათათვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა (თუმცა უაღრესად საინტერესოა ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების ურთიერთობის თვალსაზრისით).

ეგვე ითქმის ვაჟ-ის შესახებ; აქ მთელი სიტყვა ნასესხები დაღისტნის ენათა გარკვეული ჯგუფიდან; აღსანიშნავია, რომ IX-X სს. უძველეს ძეგლებში ეს სახელი არცა გვხვდება.

მერე საკითხავია — **სქესი** თუ **კლასი**? ეს არაა ტერმინის საკითხი იმ კავკასიურ ენებშიც კი, რომელნიც ამჟამად სამ კლასს განასხვავებენ (ასე, მაგალ., ხუნძურში); სამი კლასი აქ არ უდრის მამრობითს, მდედრობითსა და საშუალო სქესს თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთი ცხოველი, მა-

მალი თუ დედალი, არ შეიძლება იყოს მამრობითი ან მდედრობითი სქესისა, ე. ი. პირველი და მეორე კლასისა, არამედ მხოლოდ მესამე კლასს განეკუთვნება (სხვანაირად რომ ვთქვათ, ხარცა და ძროხაც, საშუალო სქესისაა და, მაშასადამე, ცხადია, სქესის მიხედვით არ ხასიათდება).

ეს გარემოება განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის, როცა **გ** პრეფიქსი აღმოჩნდება მამრობითი სქესის ცხოველთა სახელებს: ვა ც ი, ვერ ძ ი...

აქ თვით ამ თავკიდურ **გ**-ს პრეფიქსულობა დგება კითხვის ქვეშ: თუ ეს **გ**- ფონეტიკური ცვლილების შედეგად არაა მიღებული სხვა ბგერისაგან, სახელდობრ **ბ**-საგან, ის პრეფიქსად არ მიიჩნევა — არც ერთ კავკასიურ ენაში ვა ც ი, ვერ ძ ი და მსგავსი სახელი მამრობითი სქესისა (პირველი გრამატიკული კლასისა) არ შეიძლება იყოს. ეს სახელები ნივთთა გრამატიკულ კლასში შედის, განეკუთვნება ე. წ. საშუალო სქესს. მთის კავკასიურ ენათა უმეტესობაში დღემდის შემონახულია კლასების გარჩევა. ძირითადია ორი კლასი: ადამიანისა და ნივთისა; ადამიანისაში ხშირად გარჩეულია მამაკაცი და ქალი, მაგრამ ესეც არაა სქესების მიხედვით დაყოფა, არამედ მასში საზოგადოებრივი თვალსაზრისითაა კვალიფიკაცია მოცემული¹. ნივთთა კლასიც ხშირად დიფერენცირებულია, აქაც ღირებულების მომენტი ჩანს ამოსავალი.

§108. კავკასიურ ენებში **გრამატიკული კლასებია** გარჩეული და არა **სქესები**. ასევე უნდა ყოფილიყო ქართველურ ენებშიც: აქაც ისტორიულად გამოირჩეოდა კლას-კატეგორიები, კატეგორიები ადამიანისა და ნივთისა. ეს კატეგორიები ქართველურ ენათა მორფოლოგიის ამა თუ იმ უბნებში დღესაცაა წარმოდგენილი ნაშთის სახით ანდა დაცულია ფუნქციის შეცვლით.

ეჭვი არაა, რაც **უფრო ღრმად მოხერხდება ქართველურ ენათა ისტორიის წარსულში ჩანდება, მით უფრო მეტი აღმოჩნდება ფაქტები ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა ოდინდელი სისტემატური გარჩევისა სიტყვაწარმოებაში.**

გრამატიკულ სქესებს — მამრობითს, მდედრობითს, საშუალოს — ქართველურ ენათა შორეულ წარსულშიც ვერ ვიპოვით: **ეს ენები მათ არ განასხვავებდნ მორფოლოგიური თუ სინტაქსური საშუალებით².**

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია მოგვაგონდეს ერთი ფაქტი:

¹ ეს სპეციალურ განხილვას საჭიროებს; გაკვრით ამის შესახებ იხ. ავტორის „ზოგადი ენათმეცნიერება“, I, გვ. 147 (მეორე გამოც.).

² სქესის აღნიშვნისათვის ენა მიმართავდა საგანგებო სიტყვებს (მამალი, დედალი... ძუ, ხვალი... ხარი, ფური...).

ურარტულში, აგრეთვე ახალ ელამურში გრამატიკული სქესები არ გაირჩევა. ასეთია, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურული ჩვენება. იხ. კრებითი ხასიათის და, მაშასადამე, ნაკლებ საცილობელი ცნობა C. Autran-ისა "Les langues propres de l'Asie antérieure ancienne" — კრებულში "Les langues du monde", Paris 1924, გვ. 284, 288...¹

სქესის არქონა უარყოფითი დახასიათებაა; მის მიხედვით რისამე თქმა ძნელია: ეგების ჰქონდა და დაეკარგა; ანდა: მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა განვითარებული (თუმცა ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდის პირველ ნახევარს ეხება). შეიძლება აგრეთვე სათანადო მასალა არ იყოს ჯეროვნად გაშიფრული და არარსებულად მიაჩნდეთ სპეციალისტებს ის, რაც არაა შენიშნული და გამოვლენილი.

ერთი სიტყვით, ბევრი შესაძლებლობაა, და სწორედ ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ — საკითხის დასმის წესით, რა თქმა უნდა, — ერთ შესაძლებლობასაც. გრამატიკული სქესი წინა აზრის ამ ძველ ენებში, იქნებ, იმიტომ არ ჩანს, რომ ამ ენებს არც ახასიათებდათ ეს კატეგორია: ის კი არა, თუ ჰქონდათ და დაეკარგათ, არამედ არც ჰქონიათ (და ცხადია, ვერც დაკარგავდნენ) — **გრამატიკული სქესის ნაცვალი შეიძლება ყოფილიყო გრამატიკული კლას-კატეგორიები იმავე რიგისა, რაც თუნდაც ქართველურ ენებში გვაქვს.**

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ხეთების სამეფოს ინდოევროპულ ენაში, კანეზურში, განასხვავებენ სულიერისა და უსულოს გრამატიკულ კატეგორიებს (იხ. Delaporte "Les hittites", Paris 1936, გვ. 303: "La déclinaison du nom ne distingue pas encore le masculin et le féminin, mais l'animé et l'inanimé").

ინდოევროპულ ენათა ავტორიტეტულ სპეციალისტებს შორის ამჟამად ის აზრია გაბატონებული, რომ გრამატიკულ სქესთა განსხვავებას ინდოევროპულ ენებში ამოსავლად აქვს სულიერისა და უსულოს გარჩევა (იხ. მაგ., Meillet, Vendryes...).

სრულიად ბუნებრივია, თუ კანეზურში მამრობითი და მდედრობითი სქესის ნაცვლად დადასტურდა სულიერისა და უსულოს განსხვავება: კანეზური ინდო-ევროპული ენაა (მორფოლოგიურ თვისებათა მიხედვით მაინც).

სამაგიეროდ, პროტოხატურისა, ე. ი. ნამდვილი ხეთურის შესახებ იგივე Delaporte არას ამბობს, ჩანს, მსგავსი გარჩევა იქ არ დასტურდება.

¹ ურარტულის შესახებ აქ ვკითხულობთ: „Pas de genre morphologiquement distinct“ (გვ. 284); ახალ ელამურის შესახებაც — ასევე: „pas de signe extérieur de distinction des genres“ (გვ. 288).

§109. დასასრულ, ერთი კითხვა: რატომ დაირღვა გრამატიკული კლასების — ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა — მორფოლოგიური სისტემა ქართულში?

გრამატიკული კლასებისა და გრამატიკული სქესების მორფოლოგიური სისტემა ბუნებრივად შეიძლება გამარტივდეს სათანადო ენის განვითარების პროცესში. „ბუნებრივად“ რომ ვამბობთ, ამით პირობით აღვნიშნავთ იმ პროცესებს, რომლებიც ენათა განვითარებას ახასიათებს სხვა ენათა გავლენის გამორიცხვის შემთხვევაში.

ასეთი განვითარება გულისხმობს მორფოლოგიური სისტემის გამარტივებას, როგორც ევოლუციის მიმართულების ძირითად ხაზს. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული კატეგორიები იკვეცება; მიმდინარეობს მორფოლოგიის განტივრთვა და სინტაქსის დატივრთვა. განვითარების გზა მიემართება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ და ის გამოხატულებას პოვებს, კერძოდ, ამაშიც.

გრამატიკულ სქესთა რიცხვის შემცირება, ზოგჯერ გაქრობაც კი, შესაძლოა მივიღოთ ამ გზით¹.

მაგრამ ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების ვითარება ცხადყოფს, რომ ეს არაა ძირითადი მიზეზი: ვთქვათ, ქართველური ენები და მთის კავკასიური ენები განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიდგენს, ანდა სვანური და ქართული აგრეთვე ამ მხრივ განსხვავდება, და ეს იწვევს გრამატიკულ კლასთა საკითხში სხვაობას.

მაგრამ როგორღა მოხდა, რომ კიურულმა დაკარგა გრამატიკულ კლასთა გარჩევა, მეზობელ ლაკურს კი სამი კლასი დაუცავს დღემდე...

ანდა კიდევ: ადიღეურ ენებში მოიშალა გრამატიკული კლას-კატეგორიები, აფხაზურში კი მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა გვაქვს ამჟამადაც.

ძნელი საფიქრებელია, რომ მონათესავე ენებში ასეთი სხვაობა მართოდენ შინაგანი განვითარების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდეს.

გარკვეული, — მასთან არამცირე, — მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სხვა აგებულების ენებთან კონტაქტს, როგორც ამას კავკასიური ენებისათვის აღნიშნავენ, საფიქრებელია, სავსებით სამართლიანად ა. დირი (იხ. **Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928**, გვ. 343), ივ. ჯავახიშვილი („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937, გვ. 256-257) და ქართულის მიმართ — ნ. მარი შრომაში **Основные таблицы**, შესავალი — **Избр. раб., I**, გვ. 36-37 (შდრ.

¹იხ., მაგალ., მე მე: "Le genre grammatical" — კრებულში *Linguistique historique et linguistique générale*, Paris 1921, გვ. 201-202.

Du mé z i l : Introduction, 3).

მთის კავკასიურ ენებში გრამატიკული კლასების კატეგორია უფრო დაზიანებულია განაპირა ზოლში და უფრო დაცულია შიგნით მოქცეულ უბნებში.

ასევე: ქართველურ ენათაგან სვანურმა უკეთ შეგვინახა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური გარჩევის საშუალება, ვინემ — ქართულმა მიუხედავად იმისა, რომ ქართულს მოეპოვებოდა — უკანასკნელი ხუთმეტი საუკუნის მანძილზე მაინც ძლიერი საკონსერვაციო ფაქტორი, — სალიტერატურო ენა.

უკვე მეხუთე საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვისა) სალიტერატურო ქართულში გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემა მოქმედი აღარაა, ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა სისტემატური გარჩევა სახელთა წარმოებაში უკვე მოშლილია.

უცხო ენის (თუ ენათა) გავლენას ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ვერ დავივიწყებთ. ამ ენის (თუ ენათა) ვინაობის ზედმიწევნით გარკვევა ამჟამად ძნელია; ის კი მაინც ცხადია, რომ გამვლენელი ენა სამხრეთით ივარაუდება, და ის სუფიქსური წყობისა უნდა ყოფილიყო: სუფიქსური წყობის გაძლიერება ქართულსა და ზანურში — პრეფიქსულის ხარჯზე — ამასთან ჩანს დაკავშირებული.

§110. შეიძლება დავასკვნათ. რას იძლევა ქართულისა და ქართველურ ენათა ისტორიისათვის **ფუძის საწარმოებელ პრეფიქსთა ანალიზი?**

1. დადებითად წყდება გრამატიკულ კლას-კატეგორიათა არსებობის საკითხი, და დასტურდება ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა ისტორიულად გარჩევა ქართველურ ენათა მორფოლოგიურ სისტემაში.

ამჟამად ინდო-ევროპულ, სემიტურ და სხვ. ენებზე მომუშავე ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ მიღებულია სახელთა შემდეგი ძირითადი კლასიფიკაცია:

- ა. დაყოფა **ადამიანად** და **ნივთად**;
- ბ. „ **ცოცხალ** და **არაცოცხალ არსებად**;
- გ. „ **მამრობით** და **მდედრობით სქესებად**;
- დ. „ **სხვადასხვა კლასებად** სხვა ნიშან-თვისებათა მიხედვით

(მაგალ., საგანთა გარეგნული ფორმის მიხედვით)¹.

სქესებად დაყოფა მეორეულად ითვლება; ინდოევროპულსა და სემიტურ ენებში ესაა ცოცხალ და არაცოცხალ არსებათა კლასების რენტიერპრეტაციის შედეგო.

ამგვარად, სქესებად დაყოფა არაა **ერთად ერთი** კლასიფიკაცია, იგი მხოლოდ ერთ-ერთი კლასიფიკაციაა, ისიც **მეორეული**.

როგორია ვითარება კავკასიურ ენებში?

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მიხედვით მთის კავკასიურ ენებში ერთნაირი სურათი არა გვაქვს: არის ენები, რომელთაც **ამჟამად**, ქართველურ ენათა მსგავსად — კლას-კატეგორიები გარჩეული არა აქვთ (ადიდურთი, კიურული ანუ ლეზგიური), ენათა მეტ წილში კი (აფხაზურში, ჩაჩურ-ინგუშურსა და წოვა-თუშურში, აგრეთვე დაღისტნის ენათა უმეტესობაში) კლას-კატეგორიები ჩანს.

კლას-კატეგორიათა გაურჩევლობა კავკასიურ ენებში მეორეული მოვლენაა. ეს ცხადი ხდება ქართველურ ენათა მასალის ანალიზით; ამასვე ადასტურებს კლას-კატეგორიათა გაქვავებული ნიშნების დადასტურება ამ კატეგორიის არმქონე ენებში (მაგალ., კიურულში, როგორც ამას მონათესავე ენებთან შედარება გვიჩვენებს).

2. როგორც ქართველური, ისე დანარჩენი **კავკასიური ენებისათვის** ისტორიულად **დამახასიათებელია ორი კატეგორიის გარჩევა: ადამიანის** კატეგორიისა და **ნივთის** კატეგორიისა.

ეს კლასიფიკაცია პირვანდელი სახით ყველგან როდია დაცული: მასში თვალსაჩინო ცვლილებაა მომხდარი. ამგვარად, აწინდელი სხვაობა მეორეულია.

3. ქართველურ ენებში **ადამიანის კლას-კატეგორიის ნიშანი ფონეტიკურად ერთფეროვანია (მ-პრეფიქსი!), ნივთის კატეგორიის ნიშნები კი განსხვავებულია: ს-, დ-, ლ-, ნ-, რ-, ბ-**.

სხვა კავკასიურ ენებშიც არსებითად ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს: პირველი კლასის ნიშანი (აფხაზურის გარდა) თითქმის ყველგან **ვ-**

¹ ეს კლასიფიკაცია მომდინარეობს ვუნდტიდან. — იხ. მისი „ხალხთა ფსიქოლოგია“, ტ. II, 15-24 (პირველი ტომის პირველი გამოცემა — 1900 წ.; II ტ. მესამე გამოცემა — 1912 წ.). ვუნდტის კლასიფიკაცია აქ ოდნავ გამარტივებულია.

გრამატიკული სქეს-კატეგორიის საკითხს ენათმეცნიერებაში — ვუნდტიამდის და ვუნდტის ამ შრომის გამოქვეყნების შემდეგ — ეხებოდა ჩვენი მოხსენება: „გრამატიკული სქესის საკითხისათვის“ (წაკითხული იყო ენიმკი-ს ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების სხდომაზე, 1940 წლის დეკემბერში).

(|| უ) აფიქსია: ერთგვარობის მხრივაც და ფონეტიკურადაც (ქართვ. მ- — სხვა კავკას. ენათა ვ-); აქ სიახლოვე მეტად თვალსაჩინოა (შდრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართ. და კავკას. ენ. ბუნ. 254).

ნივთის კატეგორიისათვის მთის კავკასიურ ენებში წყება მაჩვენებლები გვაქვს (ოლონდ ესენი ნივთთა კლასის სხვადასხვა ჯგუფებს განეკუთვნებიან). ამ მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ- და დ-: მათ შევხვდებით მთელს ჩაჩურ-ინგუშურ ჯგუფში და დაღისტნის ყველა ენაში, სადაც კი კლასებია გარჩეული (ბ-ს მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებით დარგულსა, რუთულურსა და წახურში).

ამ ორი მაჩვენებლიდან ერთ-ერთი — ბ- — ქართველურ ენათათვის უცხოდ გვეჩვენება და, როგორც ნათქვამი გვაქვს ზევით (იხ. გვ. 179), შეთვისებული ჩანს მთის კავკასიურ ენათაგან.

ამას ვერ ვიტყვით დ-ს შესახებ. მისი ხვედრი წონა, როგორც ფორმანტისა, ქართველურ ენებში იმდენად არსებითია, რომ მისი შეთვისების საკითხი უნდა გამოირიცხოს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ნივთის კატეგორიის ძირითადი ნიშანი ქართველური ენებისათვის ს-, ლ-, (ნ-) ჩანს.

დ- პრეფიქსი საერთო მონაცემია ქართველურისა და სხვა კავკასიური ენებისათვის (გგულისხმობთ, პირველ ყოვლისა, ჩაჩურსა და დაღესტნურ ჯგუფებს)¹. ეს „საერთო“ შესაძლოა რომელიმე ერთი ენის კუთვნილება იყოს და მისგან მიეღოს, როგორც ქართველურ, ისე ზემოხსენებულ ენებს.

აქვე დავძენთ, რომ სახელთა ბრუნებაშიც აშკარადდება -დ აფიქსი (სუფიქსი და არა პრეფიქსი): ის ქართველური ენებისთვისაც არაა უცხო, მასთან საკმაოდ ფართო გამოყენება აქვს დაღისტნის გარკვეულ ენებშიც.

4. ქართველური ენებისათვის ნივთის კატეგორიის დიფერენციაცია ჩვენ გამოირიცხულად მივიჩნიეთ: სათანადო პრეფიქსები სხვადასხვა **დიალექტური** წრისად ვცანით.

როგორია ისტორიული პრესპექტივები სხვა კავკასიურ ენათათვის? ქართველურ ენათა ჩვენებას შეუძლია დააყენოს გარკვეული საკითხი: **პირველადია** თუ მეორეული **ნივთის** კატეგორიის ხსნებული დიფერენციაცია კავკასიურ ენებში?

5. როგორადაც უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ფაქტი ისაა, რომ **გრამატიკულ კლას-კატეგორიათა** საკითხში ქართველური და მთის კავკა-

¹ დ- პრეფიქსი იცის აფხაზურმაც, ოლონდ ფუნქციის მხრივ იმდენად თვალსაჩინო განსხვავებაა, რომ სპეციალურ განხილვას მოითხოვს. საფიქრებელი კია, რომ ეს იგივე დ- იყოს გენეტურად.

სიური ენები ერთი და იმავე ბუნების აღმოჩნდა, ქართველურ ენათა **ისტორიული ვითარების გათვალისწინებამ სიანლოვე დაგვიდასტურა იქ, სადაც, ერთის შეხედვით, სრული სხვაობა გვქონდა.**

ქართველური ენებისათვის ისტორიულად დამახასიათებელია გრამატიკულ კლასთა გარჩევა ისევე, როგორც მთის კავკასიური ენებისათვის (გრამატიკული კლასისა და არა — გრამატიკული სქესებისა).

6. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნებად ქართველურ ენებში პრეფიქსები გვქონდა, არსებითად ასეა ეს სხვა კავკასიურ ენებშიც: არსებით სახელებში, ზმნებში.

საგანგებო შესწავლას საჭიროებს მთის კავკასიურ ენებში გრამატიკულ კლას-კატეგორიათათვის **სუფიქსის** გამოყენების ფაქტები. საფიქრებელია, ეს იყოს — რიგ შემთხვევაში მაინც — მეორეული მოვლენა.

მაინცადა მაინც ქართველური ენებისათვის საკითხი უყოყმანოდ წყდება: გრამატიკულ კლას-კატეგორიათა აღნიშვნა **პრეფიქსებით** ხდებოდა. მაშასადამე, — ესაა აქ არსებითი, — **არ შეიძლება ვეძებოთ გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნები სუფიქსებში** (მხედველობაში მაქვს ამჟამად უფუნქციო სუფიქსები, თუნდაც იგივე ფუძის დეტერმინანტები)¹.

7. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გარჩევა შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი წინა აზრის იმ ძველი ენებისათვის (ელამური, ურარტული, ხეთური...), რომელთათვისაც უცხო ჩანს გრამატიკულ სქესთა გარჩევა. ამ მხრივ მოსალოდნელია ახალი საბუთის მოპოვება იმის სასარგებლოდ, რომ წინა აზრის ეს ენები იმავე წრეს განეკუთვნებოდნენ, რომელსაც ქართველური და მთის კავკასიური ენები ქმნიან.

გრამატიკული კლას-კატეგორია არსებითად მკვდარია ქართველური ენებისათვის: მოქმედ მორფოლოგიურ სისტემას იგი არ წარმოადგენს² (თუ სადაურობის **-ელ-**, **-ურ-** სუფიქსთა ხმარებას არ მივიღებთ

¹ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფუძის დეტერმინანტ სუფიქსებშიც და გრამატიკული კლასების პრეფიქსებშიც მეორდება ერთი და იგივე თანხმოვნები: **ლ, ნ, რ, დ (უ || უ || ვ** დეტერმინანტები ფონეტიკურად **ლ-**ს უნდა უკავშირდებოდეს და არა — **მ**-პრეფიქსს; **ს**-პრეფიქსი **ლ-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია).

რომც ვივარაუდოთ, რომ დეიქტური (ჩვენებითი) ნაწილაკები, ფუძეს რომ ეხორციებოდნენ დეტერმინანტ სუფიქსებად, წარმოადგენდნენ ნივთის კლასის ფორმებს: ეს იქნებოდა **გაქვავებული** ფორმანტები — და ამიტომ განზოგადებულები, გრამატიკული კლასების აღნიშვნა მათ ვერ დაეკისრებოდათ.

² სემასიოლოგიური ჯგუფების გამოყოფისას კი **ადამიანისა** და **ნივთის** კატეგორია დღემდის ცოცხალი ჩანს: **ვინ?** კაცი... **რა?** ცხენი...

მხედველობაში). გრამატიკულ კლას-კატეგორიათა **პრეფიქსები** ამიტომ **უფუნქციოდ** გამოიყურება ყველგან, სადაც კი სახელთა საწარმოებლად პრეფიქს-სუფიქსია გამოყენებული. **პრეფიქსის ფუნქციის დაჩრდილვით სუფიქსის პირდაპირი დანიშნულებაც გაუგებარი გახდა: მ-კეთებ-ელ-ში** მიმღობის საწარმოებლად **მ-** პრეფიქსსა და **-ელ-** სუფიქსს მივიჩნევთ. ამ-ჟამად ჩვენ გვეუცხოება აზრი, რომ ისტორიულად **-ელ-სუფიქსი** მო-წოდებული იყო **ზმნის** ფუძე **სახელისად** ექცია, **მ-** პრეფიქსი კი მიუთითებდა — ეს სახელი **ადამიანის** კატეგორიისაო.

8. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა **მორფოლოგიური სისტემის** მოშლა სხვადასხვა ქართველურ ენებში ერთდროულად არ უნდა მომხდარიყო: ყველაზე ადრე ეს ქართულსა და ზანურს (ჭანურ-მეგრულს) უნდა დასტყობოდა, უფრო გვიან — სვანურს.

სალიტერატურო ქართულში ამ **მორფოლოგიური სისტემის** მოშლა ფაქტია უკვე მეხუთე საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვისა).

საგულისხმოა, რომ გრამატიკულ კლას-კატეგორიათა პრეფიქსები შემოგვენახა ნაზმნარ სახელებში უფრო მეტად, ვინემ სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში; მასთან: ნაზმნარი სახელებიდან ფორმებით მდიდარ **მიმღობაში** — უფრო მეტად, **მასდარში** კი — გაცილებით ნაკლებად. მერე: **ნივთის** კატეგორიის პრეფიქსები უკეთ შემოგვრჩა, ადამიანის კატეგორიისა — უფრო იშვიათ შემთხვევებში: გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლა კონკრეტულის უფრო აბსტრაქტულით შეცვლას გულისხმობს, ნივთის კატეგორია კი აბსტრაქტულობის გამოხატვას გაცილებით უფრო ეგუება, ვინემ ადამიანის კატეგორია.

9. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მოშლის პროცესში გარკვეული როლი, საფიქრებელია, ითამაშა სხვა სტრუქტურის ენებთან კონტაქტმაც: გამვლენელი ენა (თუ ენები) ქართველურ ენათა სამხრეთით მომიჯნავე უნდა ყოფილიყო (გავლენა ქართულსა და ზანურზე!); გამვლენელი ენა სუფიქსურ წყობისად უნდა ვცნოთ.

§111. ზოგადი დასკვნა
(ორივე ნაწილისა)¹

1. ქართველურ ენებში სახელთა **ძირში** ისტორიულად დასტურდება **ცალი თანხმოვანი**.

მას **ფუძედ** აყალიბებს:

ა. **დეტერმინანტი სუფიქსისა** და

ბ. **გრამატიკული კლას-კატეგორიის პრეფიქსის** დართვა. ამჟამად ერთიცა და მეორეც უფუნქციო ჩანს და ხშირ შემთხვევაში ძირსაა შეზრდილი.

2. გრამატიკული სქესების ადგილი ქართველურ ენებში ეჭირა გრამატიკულ კლასებს; გამოიყოფოდა ორი ძირითადი კლას-კატეგორია: **აღამიანისა** და **ნივთისა**.

3. ორივე ზემოაღნიშნული დებულება ახალ პერსპექტივას შლის ქართველურ ენათა გენეტურ-ისტორიული ურთიერთობის რკვევისას, როგორც მთის კავკასიურ ენებთან, ისე წინა აზიის ძველ მკვდარ ენებთან.

4. დეტერმინანტი სუფიქსებისა და ფუძეთა ფონეტიკური ურთიერთობა გარკვეულ ჩვენებას იძლევა მახვილის საკითხის შესახებ ძველ ქართულში: **ძველს ქართულში დასტურდება ინტენსიური დინამიკური მოძრავი მახვილი**.

5. დეტერმინანტი სუფიქსები და გრამატიკულ კლას-კატეგორიათა პრეფიქსები ერთნაირი აქვს **სახელისაგან ნაწარმოებ** სახელსა და **ზმნისაგან ნაწარმოებ** სახელს.

ამის საფუძველია **სახელისა და ზმნის კატეგორიათა** ისტორიული **გაუდიფერენცირებლობა** ქართველურ ენებში.

6. სახელისა და ზმნის ამ ურთიერთობის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს **ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის გარკვევისათვის** ქართველურსა და მთის კავკასიურ ენებში.

¹ დაწვრილებით შეჯამება პირველი ნაწილის შედეგებისა იხ. გვ. 126-132, მეორე ნაწილისა — იხ. გვ. 257-261.

А. С. ЧИКОБАВА
 ДРЕВНЕЙШАЯ СТРУКТУРА ИМЕННЫХ ОСНОВ
 В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(Резюме)

I. Путем сравнительного анализа ряда, казалось бы, простых основ имен *существительных* и *прилагательных* картвельских языков – грузинского, занского (чанско-мегрельского) и сванского – в составе их обнаруживается наличие суффиксов с исходными согласными **ლ l, ბ n, Ⴓ r, ვ v, დ d** и с предшествующими гласными (**ა a, ე e** – обычно, **უ u, ი i, ო o** – относительно редко).

Таким образом означенные „простые“ основы исторически надо признать *производными*.

Основообразующие суффиксы при одном и том же слове могут варьировать.

Примеры суффиксов, выделенных из „простых“ основ *существительных* и *прилагательных*:

Суффиксы -**ალ**- -al-, -**ან**- -an-, -**ავ**- -av- (→ -**ა**- -a-), -**არ**- -ar-:

др.-груз	ქუ- ალ -	kw-al-	„след“
„	-ქუ- ან -	-kw-an-	в слове უ-ქუ- ან u-ku-an „позади“
„	წყ- ალ -	çq-al-	„вода“
„	ძუ- ალ -	zw-al-	„кость“
„	დედ- ან -	dcd-an-	„оригинал“
„	დედ- ა -	dcd-a-	„мать“; „оригинал“
„	დედ- ალ -	dcd-al-	„курица“
„	დაბ- ა -	dab-a-	← დაბ- ან - dab-an- „населенное место“; „местечко“

ср. მ-დაბ-**ალ**- m-dab-al- „низкий“ (*этим.* „происходящий из dab-a“)

др.-груз.	ძმ- ა -	zm-a-	← ძმ- ან - zm-an-	„брат“
чан.	ჭუმ- ა -	žum-a-	← ჭუმ- ალ - žum-al-	„брат“
мегр.	ჯიმ- ა -	žim-a-	← ჯიმ- ალ - žim-al-	„брат“
сван.	ჯემ- ილ -	žem-il-		„брат“ (для сестры)
др.-груз.	და- ა -	d-a-		„сестра“

чан.-мегр.	დ-ა-	d-a-	← დ-ალ- d-al-	„сестра“
сван.	უ-დ-ილ-	u-d-il-		„сестра (для сестры)“
др.-груз.	მამ-ა-	mam-a-		„отец“
„	მამ-ალ-	mam-al-		„самец“
„	გზ-ა-	gz-a-	გზ-ავ- gz-av-	„дорога“
чан.	გზ-ალ-	gz-al-	в отымен. глаг. ი-გზ-ალ-უ i-gz-al-u	„ушел“ „отправился в дорогу“
др.-груз.	ქვ-ა-	kv-a-	← ქვ-ალ- kv-al- ქვ-ავ- kv-av-	„камень“
чан.	ქვ-ა-	kv-a-	← ქვ-ალ- kv-al-	„камень“
мегр.	ქუ-ა-	ku-a-	← ქუ-ალ- ku-al-	„камень“
др.-груз.	რქ-ა-	rk-a-		„рог“
мегр.	რქ-ალ-	rk-al-	в производной основе ო-რქ-ალ- o-rk-al-	„предназначенный для рог“
др.-груз.	მ-ალ-ალ-	m-aγ-al-		„высокий“
„	მ-ართ-ალ-	m-art-al-		„праведный“ (человек), „праведник“
„	ახ-ალ-	ax-al-		„новый“
„	მარჯუ-ალ-	marǰu-al-		„правый“ (ср. др.-груз. მარჯუ-ებ- marǰu-en-)
мегр.	მარძგვ-ან-	marǰgv-an-		„правый“, მორძგვ- morǰgv- „правый“, „удобный“
др.-груз.	თ-ავ-	t-av-		„голова“
„	კ-არ-	k-ar-		„дверь“
„	ჭ-არ-	q-ar-		„бык“ ср. глаг. ჳნ-ავ-ს qn-av-s „пашет“ („быками“)
сван.	ჭ-ან-	q-än-		„бык“
др.-груз.	ბლუ-არ-	byw-ar-		„Юг“ и т. д.

Суффиксы -ელ- -el-, -ენ- -en-, -ევ- -ev- (→ -ე- -e-), -ერ- -er-:

др.-груз.	დღ-ე-	dy-e-	დღ-ევ- dy-ev- დღ-ენ- dy-en-	„день“
чан.-мегр.	დღ-ა-	dy-a-	← დღ-ალ- dy-al-	„день“
сван.	ლა-დელ-	la-deγ-		„день“
др.-груз.	ძღუ-ენ-	zγw-en-		„подарки“, „подношение“
„	ღამ-ე-	γam-e-	← ღამ-ენ- γam-en-	„ночь“
чан.	ღომ-ან-	γom-an-		„вчера“
др.-груз.	ტყუ-ე- ო-ტყუ-ენ- ო-ო-	tq̄w-e- ← ტყუ-ენ- tq̄w-en-		„пленник“ (ср. др.-груз. წარ-ტყუ-ენ-ვ-ა-ი- qar-tq̄w-en-v-aj „пленение“)

др.-груз.	ყინ-ელ-	qin-el-	„лед“ (ср. нов.-груз. ყინ-ულ- qin-ul- „лед“)
„	ქს-ელ-	ks-el-	„ткань“
„	უღ-ელ-	uγ-el-	„ярмо“
ср. мегр.	უღ-უ-	uγ-u-	„ярмо“
др.-груз.	სთუ-ელ-	stw-el-	„сбор урожая“, „осень“
„	ცხოვ-ელ-	cxov-el-	„живой“
„	ცხოვ-არ-	cxov-ar-	„овца“
„	გრძ-ელ-	grz-el-	„длинный“
„	ძნ-ელ-	zn-el-	„трудный“
„	წით-ელ-	çit-el-	„красный“
„	ძუ-ელ-	zw-el-	„старый“, „древний“
„	თხ-ელ-	tx-el-	„тонкий“
„	ტყრპ-ელ-	tqrp-el-	ново-груз. ბრტყ-ელ- brtq-el- „плоский“
„	ჰმ-ელ-	qm-el-	„сухой“ и т. д.
„	ზუ-ერ-	zu-er-	„пошлина“, „подать“

Суффиксы -ულ- -ul-, -უნ- -un-, -ურ- -ur-:

др.-груз.	ს-ულ-	s-ul-	„душа“
мегр.	შ-ურ-	š-ur-	„душа“
сван.	ქუინ-	kwin- → ქ-უნ- k-un-	„душа“
др.-груз.	გ-ულ-	g-ul-	„сердце“
чан.-мегр.	გ-ურ-	g-ur-	„сердце“
др.-груз.	ას-ულ-	as-ul-	„дочь“
чан.	-ას-ურ-	-as-ur-	„дочь“
др.-груз.	ზა-ფხ-ულ-	za-px-ul-	„лето“ и т. д.

2. Означенные суффиксы могут подлежать, как в *полной*, так и в *усеченной* форме.

Примеры на полную форму см. в § I.

Усеченная форма может состоять ими из одного лишь *согласного*, или же из одного лишь *гласного элемента*; в последнем случае в именах существ. налицо лишь -ა- -a-, -ე- -e- (см. § I, примеры: ძმ-ა- zm-a-, დედ-ა- ded-a-, მამ-ა- mam-a-, რქ-ა- rk-a-, ქვ-ა- kv-a-, დაბ-ა- dab-a... დღ-ე- dγ-e-, ღამ-ე- γam-e-, ტყუ-ე- tqw-e...)

Примеры на *усеченную* форму, состоящую лишь из *согласного*:

др.-груз.	ვაშ-ლ-	vaš-l-	„яблоко“
ср. мегр.	უშქ-ურ-	ušk-ur ¹ -	„яблоко“
др.-груз.	თაფ-ლ-	tap-l-	„мед“
ср. мегр.	თოფ-ურ-	top-ur-	„мед“
др.-груз.	ცეცხ-ლ-	ce-cx-l-	„огонь“
ср. чан.	დაჩხ-ურ-	da-čx-ur-	„огонь“
„ мегр.	დაჩხ-ირ-	da-čx-ir-	„огонь“
др.-груз.	ძაღ-ლ-	zay-l-	„собака“
ср. мегр.-чан.	ჯოღ-ორ-	žoγ-or-	„собака“
др.-груз.	ოფ-ლ-	op-l-	„пот“
ср. мегр.	უფ-უ-	up-u-	„пот“ и т. д.

3. Основообразующие суффиксы, обнаруженные в составе простых ныне основ имен существительных и прилагательных, оказываются действительными формантами:

а. При производстве имен от *именных* же основ, как-то: при производстве имен существительных, прилагательных, числительных.

б. При производстве имен от *глагольных* основ – при образовании причастий (отглагольных прилагательных) и имен действия – *nomina actionis* (отглагольных имен существительных).

К примеру:

-ალ -al-:

груз. (диал.)	ნა-სამ-ალ-	na-sam-al-	„треть“
др. груз.	მო-მკ-ალ-	mo-mk-al-	„жнец“ (прич. действ. зал.)
„	სა-მკ-ალ-	sa-mk-al-	„жатва“, „то, что надлежит жать“

-ელ -el-:

др. груз.	მ-კეტებ-ელ-	m-ḱeteb-el-	„делающий“
„	სა-კეტებ-ელ-	sa-ḱeteb-el-	„то, что надлежит сделать“
„	(გა-)უ-კეტებ-ელ-	(ga-)u-ḱeteb-el-	„несделанный“

-ან -an-:

чан.	მა-სუმ-ან-	ma-sum-an-	„третий“ (числит.)
------	------------	------------	--------------------

¹ Мегрельско-чанские соответствия с полной формой суффиксов даны для сопоставления.

др. груз.	მცოვ- ან-	mqsov- an-	„убеленный сединой“ (прилаг.)
„	რქო- ან-	rko- an-	„рогатый“ (прилаг.)
„	მტკივ- ან-	mṭkiv- an-	„болящий“ (причастие)
-არ- -ar-:			
др. груз.	მ-დიდ- არ-	m-did- ar-	„богатый“ (прилаг.) „богач“
„	მ-გმობ- არ-	m-gmob- ar-	„поносящий“ (прич.)
„	სა-კუთ- არ-	sa-ḵut- ar-	„собственный“ (прич.)
-ერ- -er-:			
др. груз.	მ-შუენ-ი- ერ-	m-šwen-i- er-	„прекрасный“ (прилаг.)
„	თუალ-ი- ერ-	twal-i- er-	„зрячий“ (букв. „имеющий глаз“ – прилаг.)
„	გონ-ი- ერ-	gon-i- er-	„разумный“ (прилаг.)
-ურ- -ur-:			
др. груз.	მ-სახ- ურ-	m-sax- ur-	„прислуга“, букв. „домашний человек“ (прилаг.)
„	მე-თევზ- ურ-	me-tevz- ur-	„рыболов“ (имя сущ. производн.)
„	უ-კეთ- ურ-	u-ḵet- ur-	„недобрый“, „злой“ (прилаг. отриц.)
-ედ- -ed-:			
др. груз.	მე-სამ- ედ-	me-sam- ed-	„треть“ (числит.)
„	სამ-ქორ- ედ-	sam-koḡ- ed-	„трехэтажный“ (прилаг.)
„	მო-რბ- ედ-	mo-rb- ed-	„бегущий“ (прич.)
„	მო-ქმ- ედ-	mo-km- ed-	„действующий“ (прич.)
-ე- -e-:			
др. груз.	მე-სამ- ე-	me-sam- e-	„третий“ (числит.)
„	მო-რწმუნ- ე-	mo-rḡmun- e-	„верующий“ (прич.)
„	სი-მაღლ- ე-	si-maḡl- e-	„высота“ (отвлеч. имя существ.)
-ა- -a-:			
др. груз.	კეთ-ებ- ა-	ḵet-cb- a-	„делание“ (отглагол. сущ.)
„	ყრმ-ობ- ა-	qḡm-ob- a-	„детство“ (отвлеч. имя сущ.)
			и т. д.

4. Различные варианты данных основообразующих аффиксов при использовании *одного и того же гласного* элемента *разнятся по согласному* элементу: **-ბ-** **-п-**, **-ლ-** **-ლ¹**, **-რ-** **-г-**, **-ვ-** **-v-**, **-დ-** **-d-**, генетически восходя к различным диалектным (или языковым) слоям, представленным в составе древне-грузинского литературного языка уже в древнейших из известных пока памятниках V–IX веков н. эры.

Удельный вес каждого из этих суффиксов в именных основах зависит от ролы, выпадавшей на долю соответствующего диалекта в развитии грузинского литературного языка.

Наиболее мощным надо признать слой **-ლ-** **-ლ¹**, далее – слой **-რ-** **-г-**; наиболее древним же выглядят слои **-ბ-** **-п-** и **-ვ-** **-v-** (слой **-დ-** **-d-** не менее древен, чем слой **-ბ-** **-п-**, но он представлен весьма слабо).

5. Означенные суффиксы надо признать *наиболее древними в простых – ныне – именах существительных (и прилагательных)*, где они воспринимаются, как составная часть основы.

Функция этих суффиксов в „первичных“ именах существительных ныне не поддается точному определению; по всей вероятности они выступали здесь вначале в роли *дейктических частиц, формируя из аморфных корней nomen finitum* („substantivum“ сказали бы мы, если бы substantivum и attributivum были в грузинском языке *морфологически дифференцированы*).

Следы этой первичной функции и прослеживаются в том факте, что при *помощи тех же суффиксов от глагольных основ образуются именные основы*: მ-კეთებ-**ლ-** m-ḳeteb-**el-** „делающий“... კეთებ-**ა-** ḳeteb-**a-** „делание“...

Правда, в образовании причастий участвуют и префиксы, но не этим обусловлен переход глагольной основы в категорию именных основ: ср. nomen actionis კეთებ-**ა-** ḳeteb-**a-**, где налицо лишь суффикс или же причастие прош. врем. типа თხრ-ი-**ლ-** txr-i-**l-** „ров“ (букв. „вырытое“), образованное лишь при помощи суффикса.

Вышесказанное дает основание охарактеризовать интересующие нас *суффиксы*, как *детерминанты основ* (или *суффиксы-детерминанты*),

¹ Называя по согласному элементу аффикса.

понимая под основной *простую основу* или *корень* (Wurzeldeterminativ, déterminant de racine¹).

6. *Детерминанты основ* богато представлены в занском языке, выявляя как общие с грузинским языком форманты (см. § 1), так и закономерные соответствия грузинских детерминантных суффиксов:

груз.	-ელ-	-el-	зан.	-ალ-	-al-		-არ-	-ar-
„	-ალ-	-al-	„	-ოლ-	-ol-			
„	-არ-	-ar-	„	-ოჯ-	-oj-		-ონჯ-	-onj-...

При этом необходимо отметить, что:

а. В занском языке детерминанты основ в усеченном виде знают лишь *гласный* вариант: чан. ჯუმბა-ა- ჯუმ-а- „брат“, დ-ა- d-а- „сестра“, მეგრ. დღ-ა- dɣ-a- „день“... მეგრ. ჭიფ-ე- čip-e- „тонкий“, მეგრ. ჭით-ა- čit-a- „красный“...

Детерминанты основ, состоящие лишь из согласного элемента, чужды занскому языку с его „полногласием основ“ (см. § 10).

б. В занском языке детерминант -ვ- -v- может фонетически видоизмениться в -უ- -u-: чан.-мегр. უღ-უ- uɣ-u- „ярмо“ (груз. უღ-ელ- uɣ-el-), чан. ჭ-უ- č-u- „кишки“ (груз. წ-ელ- c-el- „поясница“).

7. Сванский язык сравнительно беден *детерминантами основ*; в простых именах существительных отмечаются:

а. Суф. -ჟ- -w- (ვისგ-ჟ visg-w „яблоко“ (груз. ვაშ-ლ- vaš-l-) (причем должна учитываться возможность зарождения -ჟ- -w- на фонетической основе, как результат лабиализации предшествующего гласного).

б. Суф. -ილ- -il- (ჯემ-ილ- ჯემ-il..., если только означенный суффикс не усвоен из других картвельских языков).

Образование причастий, отглагольных имен действия (масдар, попен actionis) и других производных имен может дать дополнительные указания о детерминантах основ в сванском языке, но для этого необходимо привлечение новых данных по всем основным диалектам сванского языка.

8. *Детерминанты основ* (в грузинском и занском языках) прослеживаются в огромном большинстве простых имен существительных, тем

¹ Семасиологически последовательнее сводить понятие корня к более общему понятию „основы“, чем — наоборот: корень один из видов основы, это — „простая по составу основа“.

самым давая возможность по строению основы в ряде случаев отличить заимствованные основы от собственных основ картвельских языков.

Но было бы ошибочно думать: что основы, не имеющие детерминантов, тем самым являются заимствованными (в грузинском языке, правда, редко, но все-таки безусловно встречаются основы без детерминантов, – и это древнейшее образование) или: что основы, в исходе которых налицо **ალ- al-...** **არ- ar-...** **ელ- el-...**, тем самым – грузинские, и конечные слоги их суть детерминанты основ: десятки заимствованных основ оканчиваются на эти слоги, отнюдь не являющиеся детерминантами основ: таковы, например, заимствованные в груз. яз. слова: ზარალ- *zaral-* „убыток“, ხაჩჯალ- *xačǰal-* „кинжал“, ბაზარ- *bazar-* „базар“...

9. Детерминанты основ в грузинском языке нередко вызывают выпадение гласного основы („сжатые основы“).

Наличие усеченных видов детерминантных суффиксов (**-ლ- -l- ← -ალ- -al- || -ელ- -el-...** **-რ- -r- ← -არ- -ar-...**) в грузинском языке и анализ их закономерных соответствий в занском языке делают возможным сделать определенные заключения о природе ударения и его месте в древне-грузинском и занском языках.

В древне-грузинском языке, – во всяком случае, в двух диалектных слоях, представленных в нем, – ударение (– в отличие от ударения в современном грузинском языке –) должно было быть *динамическим, интенсивным, подвижным* (в занском же языке исторически преобладающую роль надо признать за *тоническим* ударением с его относительно слабым влиянием на гласную основы).

10. Стечение согласных, столь характерное для картвельских языков, результат или

- a. редуцирования гласных или
- b. образования гармонических групп (путем наращения **ჭ კ, ყ გ, ზ გ, ჯ კ, ლ ႁ, ხ ხ**).

Стечение согласных в *сванском* языке вызывается в первую очередь *редуцированием* гласных, в *занском* – образованием *гармонических* групп, в грузинском же – и *тем* и *другим*, причем ведущая роль принадлежит *редуцированию* гласных.

Полногласие основ – исходное состояние для всех картвельских языков. Тем самым снимается одно из препятствий к генетической

увязке картвельских языков с древними языками Передней Азии (эламским, урартским, хеттским и др.), которым чуждо стечение согласных, наблюдаемое в картвельских языках, особенно, в грузинском и сванском: *стечение согласных было чуждо и картвельским языкам на древнейших этапах их развития*. В занском полногласии относительно лучше сохранилось соответствующее состояние.

11. Анализ строения именных основ в картвельских языках с внутренней необходимостью ведет от суффиксов к *префиксам*, поскольку в образовании основ часто о д н о в р е м е н н о используются и *суффикс*, и *префикс*.

Это наблюдается¹:

а. В *причастиях* (преимущественно настоящего и будущего времен):

напр., груз. მ-კეთებ-ელ- m-ḱetcb-el- „делающий“

სა-კეთებ-ელ- sa-ḱetcb-el- „то, что надлежит делать“...

б. В отглагольных именах действия (масдаре): пережиточно – в грузинском (а также в мегрельском диалекте занского языка), закономерно – в сванском яз. и в чанском диалекте занского языка:

груз. ს-ვლ-ა- s-vl-a „ходить“

сван. ლი-ზ-ი li-z-i „итти“...

с. В порядковых и дробных числительных:

груз. ოთხ- otx- „четыре“:

„ მე-ოთხ-ე me-otx-e „четвертый“

„ მე-ოთხ-ედ- || ნა-ოთხ-ად- na-otx-al- „четверть“,

„четвертая часть“...

д. В производных именах прилагательных и существительных (в частности, в производных именах отвлеченных):

груз. დიდ- did- „большой“ – მ-დიდ-არ- m-did-ar- „богатый“

„ თავ- tav- „голова“ – მ-თავ-არ- m-tav-ar- „главный“; „князь“

(ср. სა-თავ-ე sa-tav-e „исток“, „начало“)

др.-груз. ზუერ- zwer- „пошлина“: მე-ზუერ-ე me-zwer-e „мытарь“,

„лицо, изымающее пошлину“

¹ Для иллюстрации – за некоторыми исключениями – даны лишь грузинские примеры; могли быть приведены аналогичные факты и из остальных картвельских языков.

სა-ზუერ-ე- **sa-zwer-e-** „место, где взимается пошлина“,
 „таможня“
 др.-груз. ეგვიპტე **Egypte** „Египет“ – მ-ეგვიპტ-ელ- **m-egvipt-el-**
 „египтянин“ (ср. ново-груз. ეგვიპტ-ელ- **egvipt-el-** „египтянин“
 – без префикса)
 сван. შუან **Šwän** „Свания“: – მუ-შუან-ი **mu-šwn-i** „сван“, „житель Свании“;
 ლუ-შნ-უ **lu-šn-u** „сванское“ (ч.-л.)
 груз. მაღალ- **maḡal-** „высокий“ – სი-მაღალ-ე- **si-maḡal-e-** „высота“
 მეგრ. მაღალ- **maḡal-** „высокий“: – სი-მაღალ-ა- **si-maḡal-a-** „высота“;
 მა-მაღალ-ა- **ma-maḡal-a-** „такой же высоты, как“... (aequativus).

Суффиксы, участвующие в данных образованиях, суть *детерминанты основ*, в *префиксах* же – налицо *показатели грамматических классов имен*, сохранившиеся или пережиточно в виде мертвого морфологического инвентаря (груз. მ-დიდა-არ- **m-did-ar-** „богатый“, „богач“) или же с изменением функции (мегр. მა-მაღალ-ა **ma-maḡal-a** „такой же высоты, как“...).

12. В картвельских языках, как известно, нет грамматических родов, но различаются *семасиологически* и поныне *категории человека* (вопрос: *кто?*) и *вещи* (вопрос: *что?*).

В первую входит лишь человек (*кто?* – женщина, мужчина, человек, сосед, товарищ...); вторая же обнимает названия всех остальных вещей и явлений (*что?* лошадь, корова, овца, дерево, камень, огонь, мысль, чувство...; в картвельских языках нельзя ставить вопроса *кто?* применительно к животным).

Для отмеченного выше семасиологического принципа классификации характерно, что все имена, за исключением имен, обозначающих человеческие существа, составляют одну категорию, причем *животные приравнены к вещам*.

13. Помимо такого распределения имен по семасиологическому принципу в современном грузинском литературном языке фиксируется случай различения означенных категорий *морфологическими* средствами в производных основах: место происхождения *человека* обозначается суффиксом -ელ- **-el-**, *вещи* же – суффиксом -ურ- **-ur-** (в результате диссимиляции – -ულ- **-ul-**):

ср. ქართლ-ელ- **kartl-el-** „карталинец“ („кто-то из Картли“) –

ქართლ-ურ- **kartl-ur-** „карталинский, -ая, -ое“ („что-то из Картли“)

კახ-ელ- *kaḥ-el-* „кахетинец“ –
 კახ-ურ- *kaḥ-ur-* „кахетинское“ (напр., вино).

14. Использование суффиксов -ელ- *-el-* и -ურ- *-ur-* (|| ულ- *-ul-*) для различения категорий человека и вещи в литературном грузинском языке явление вторичное, как то выявляется показаниями диалектов Восточной и Западной Грузии, а также отдельными фактами самого литературного грузинского языка.

С другой стороны, дифференцированное применение означенных суффиксов в литературном грузинском языке было бы немыслимо при отсутствии потребности в таком дифференцировании: естественно допустить, что в производных основах грузинского языка *категории человека и вещи* находили ясное выражение еще задолго до дифференцирования значения суффиксов -ელ- *-el-* и -ურ- *-ur-*, дифференцирования, явившегося, по всей видимости, некоторой компенсацией уже утраченных языком средств различения.

15. Исторически *категории человека и вещи* в картвельских языках *различались* при помощи основообразующих *префиксов*.

Префиксом категории человека (в грузинском яз.) являлся მ- *m-*, фиксируемый в первую очередь:

a. В производных основах *древне-груз.* языка, как-то: მ-ეგვიტ-ელ- *m-egviṭ-el-* „египтянин“, მ-როვ-ელ- *m-rov-el-* „Руисский“ (титул епископов, занимавших Руисскую кафедру), მ-ეგრ-ელ- *m-egr-el-* „мегрел“, житель Эгриси и т. д.

b. В производных основах, как-то: მ-წით-ურ- *m-ṣit-ur-* „рыжий“, букв. „красный“ (человек)... მ-დაბ-ი-ო- *m-dab-i-o-*, მ-დაბ-ურ- *m-dab-ur-*, მ-დაბ-ი-ურ- *m-dab-i-ur-* первоначально: „житель местечка“ (от დაბ-ა *dab-a*).

c. В производных основах: მ-თავ-არ- *m-tav-ar-* „главный“; „глава“, „князь“ (от თავ- *tav-* „голова“)... მ-დიდ-არ- *m-did-ar-* „богатый“, „богач“ (от დიდ- *did-* „большой“), მ-სახ-ურ- *m-sax-ur-* „служитель (дома)“ от основы სახლ- *saxl-* „дом“...

d. Тот же префикс, по всей видимости, налицо в производных основах, обозначающих профессию (должность): მე-ზუერ-ე *me-zwer-e-* „мытарь“ (букв. „изымающий пошлину“: ზუერ- *zwer-* „пошлина“)...

მე-რ-წყ-ულ- me-r-cq-ul- „водоносец“ (წყ-ალ- cq-al- „вода“)

მე-ნავ-ე- me-nav-e „лодочник“ (ნავ- nav- „лодка“)...

В этой функции префикс **მ-ე- m-e-** актуален и поныне.

16. Основным показателем категории вещи в *грузинском* языке выступает **ს- s-** (без гласного или с гласными **ა a, ე e, ი i**: **სა- sa-, სე- se-, სი- si-**), но рядом с ним встречаются **დ- d-, ნ- n-, რ- r-, ლ- l-, ბ- b-**.

Префикс категории вещи предлежит в именах существительных, каковы:

a. Др.-груз. **ს-ძ-ე- s-ḑ-e-** (ново-груз. **რ-ძ-ე- r-ḑ-e-**, сван. **ლ-ჯ-ე- l-ḑ-e-**) „молоко“... **შე-შა- še-ša-** (← **სე-შ-ა se-š-a**, *ср.* мегр. **დი-შქ-ა di-šk-a**) „дрова“... **ჯი-ნ-ჭუ-ელ- ḑi-n-čw-el-** ← **დი-ნ-ჭუ-ელ- di-n-čw-el-** „муравей“... **ნი-კარ- ni-ka-r-** „подбородок“...

b. **სა-ზურ-ე- sa-zw-e-r-e-** „таможня“ (*ср.* **მე-ზურ-ე- me-zw-e-r-e-** „мытарь“, „изымающий пошлину“)... **სა-რ-წყ-ულ- sa-r-cq-ul-** „сосуд для воды“ (*ср.* **მე-რ-წყ-ულ- me-r-cq-ul-** „водоносец“)...

17. Из других картвельских языков в *сванском* языке префиксы категорий человека и вещи в именах местопроисхождения находят систематическое применение:

მუ-შუ-ნ-ი mu-šwn-i „сван“

ლუ-შნ-უ lu-šn-u „сванское“ (применит... к категории вещи)

მე-ზნ-ი mē-zn-i „зан“, т. е. „мегрел“

ლუ-ზნ-უ lu-zn-u „занское“, т. е. „мегрельское“ ч.-н.

(применит. к катег. вещи).

В „простых“ именных основах сванского языка констатируется префикс категории вещи, наприм., **ლ-ჯ-ე- l-ḑ-e-** „молоко“, **ლა-დე- la-de-** „день“ и т. д.

В роли груз. префиксов **მ- m-, ს- s-** в сванском яз., таким образом, выступают префиксы **მ- m-, ლ- l-**.

В мегрельском же и чанском диалектах занского языка в *именах аналогичного образования* категории человека и вещи ныне не различаются ни по префиксам, ни по суффиксам (в частности, суффикс **-ურ- -ur-** используется без семасиологической дифференциации по категориям).

იმუ-**ჟ**, იმუ-**ფ**, იმუ-**ბ** სამივე უდრის ქართულ ნათესაობითს — **მამის**; სხვადასხვა კლასის ნიშანი აქ გამოყენებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კლასისაა ის სახელი, რომლის განმარტებასაც ეს ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს.

ამჟამად ხუნძურს არა აქვს გარჩეული სხვადასხვა კლასის ნათესაობითი და *resp.* კუთვნილებითი ნაცვალსახელები; გარჩევა კი მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეს არის წარმოდგენილი: ბოთლიხურში, ლოდობერიულში, კარატაულში, ბავალალურში, ჭამალალურში, ტინდალურსა და ანდიურში; „ჩემი“, მაგალითად, ამ ენებში იქნებოდა დი-უ,

დი-ჟ, დი-ბ სამი გრამატიკული კლასის შესაბამისად, რომლებიც გარჩეულია ამ ენებში. ანდიურს მეოთხე კლასიც აქვს; ამისდა კვალად „ჩემი“ ანდიურში ასეთ განსხვავებულ საკლასო ფორმებს ქმნის: **დი-ჟ, დი-ჟ, დი-ბ, დი-რ...** „შენი“: **დუ-ჟ, დუ-ჟ, დუ-ბ, დუ-რ...** (იხ. დირი: Кр. грам. очерк анд. яз. Тиф. 1906, გვ.36).

უკანასკნელი წევრები: **დირ** და **დურ**¹ მეოთხე კლასისათვის განკუთვნილი წარმოებაა; ხუნძური **დირ** (ჩემი) და **დურ** (შენი) იდენტურია ამ წარმოებისა.

მრავლობითის კუთვნილებითი სახელები პირველი და მეორე პირისა ანდიურს სხვაგვარად ეწარმოება, ვინემ ხუნძურს: ანდ.: იში-ჟ, იში-ჟ, იში-ბ, იში-რ (ჩემი); ბისი-ჟ, ბისი-ჟ, ბისი-ბ, ბისი-რ (თქვენი)... მაგრამ **დირ** (ჩემი) და **დურ**-ის (შენი) ანალიზი სწყვეტს ნეჟერ, ნელ'ერ, ნოჟორ-ის საკითხსაც.

როცა ხუნძური ენა ჯეროვნად იქნება შესწავლილი, **რ**- კლას-ნიშანი, ალბათ, სხვაგანაც აღმოჩნდება, კერძოდ ლექსიკაში. ამჟამად, შეიძლება დავასახელოთ **რაკ** გული, რომელშიც **რ**- კლასის ნიშნად ჯერ კიდევ უსლარმა მიიჩნია და ძირეული **-კ**- ქართული „გული“-ს **გ**-ს და აფხაზურის **აგუტ გ**-ს დაუკავშირა.

დასკვნა:

1. ხუნძურში ოთხი გრამატიკული კლასი იყო გამორჩეული; უკანასკნელი, მეოთხე კლასი ამჟამად დაკარგულია; ამ კლასის სახელები მესამე კლასშია მოქცეული.

2. მეოთხე კლასის ნიშანი იყო **რ**- აფიქსი, რომელიც ხან პრეფიქსად გვაქვს და ხან სუფიქსად.

3. ეს **რ**- აფიქსი დაცულია: ა) ზოგიერთ ნაშენარ სახელებში (**რ**-ოტი, **რ**-ეცი...), ბ) მრავლობითში ხმარებულ **რ**- პრეფიქსში და გ) კუთვნილებითს ნაცვალსახელებში: **დირ, დურ, ნეჟერ, ნელ'ერ, ნოჟორ**; დ) აგრეთვე ცალკეულ სუბსტანტივებში (**რაკ**).

4. კლასის დაკარგვა და ამის შედეგად კლასთა რაოდენობის შემცირება ანდიურ დიალექტებსაც უნდა ახასიათებდეს; როგორც ხუნძურისა, ისე ანდიურ-დიდოურისათვის ოთხკლასიანობა უნდა იყოს ამოსავალი. სადაც ამჟამად სამი კლასი გვაქვს (ლოდობერ., კარატ., ახვან., ბავალ., ტინდ.), მეოთხე კლასი დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ. მრავლობითში ხმარებული **-რ** უდაოა ამ ენებშიაც იმავე ღირებულებისაა, როგორც ხუნძურში.

¹ შეუძლებელი არაა, თავილური **დ**-ც კლას-კატეგორიისა აღმოჩნდეს.

АРН. ЧИКОБАВА

*К ИСТОРИИ ГРАММАТИЧЕСКИХ КЛАССОВ В АВАРСКОМ
ЯЗЫКЕ*

(Р Е З Ю М Е)

Анализ данных аварского языка приводит к выводу, что в нем различались четыре грамматических класса, а не три, как теперь.

Показателем четвертого класса надо признать *r*, который сейчас выступает: а) во множествен. числе глагола в виде префикса (*r*-: *r*-ugo -мы еси, вы есте, они суть...); б) в некоторых отглагольных именах (*r*-et's хвала, похвала...); в) в притяжательных местоимениях *di-r* мой, *du-r* твой, *peje-r* наш, *pojo-r* ваш); в отдельных субстантивах (*r*-ak сердце...).

Сокращение числа грамматических классов с четырех до трех по всей вероятности характерно и для андийских диалектов, сохранивших только три грамматических класса (таковы: годобер., карат., ахвах., багвал., тинд.).

На подобие андийского языка и в них, видимо, различались четыре класса.

Аффикс *r*-, используемый во множ. числе, и в них выполнял ту же функцию, что и в аварском: являлся показателем четвертого класса.

ARN. TCHIKOBAVA

*A PROPOS DE L' HISTOIRE DES CLASSES
GRAMMATICALES DANS LA LANGUE D'AVARE*

(R E S U M É)

L'analyse des données de la langue d'Avare nous oblige à conclure que cette langue possédait quatre différentes classes grammaticales et non trois, comme cela est actuellement.

Il faut considérer *r*, comme indicateur de la quatrième classe.

Nous le rencontrons aujourd'hui: а) au pluriel des verbes, corame préfixe (*r*-ugo «nous sommes, vous êtes, ils, elles sont»...); б) dans quelques substantifs dérivés des verbes (*r*-et'si – «louange»...); в) dans les pronoms posses, sifs (*di-r* «mon», *du-r* «ton», *nejer* – «notre», *nojor* – «votre»...); д) dans quelques substantifs (*r*-ak «coeur»...).

Il est probable que la réduction du nombre des classes grammaticales de quatre jusqu'à trois soit propre et aux dialectes d'Andi, qui n'ont conservé que trois classes (idiomes: godober., karat., akbvakh., bagval., tind.).

Ainsi que dans la langue d'Andi, il évident qu'on y distinguait quatre classes.

Le suffixe *r*, employé au pluriel, remplissait la même fonction que dans la langue d'Avare, c'est à dire, représentait l'indicateur de la quatrième classe.

მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში¹

(წინასწარი მოხსენება)

I

ძველ ქართულში მოგვეპოვება უმარცვლო უ-ს შემცველი ფუძეები. ასეთია, მაგალ.:

სუამ-ს (ახ. ქართ. **სვამ**-ს), მასდარი **სუმა**; როგორც **სუამ**-, ისე **სუმა** ერთმარცვლიანი ფუძეებია. უ მარცვალს არა ქმნის.

ეს უმარცვლო უ ხმოვნის წინ დაცულია ახალ ქართულშიც — **სვამ**-ს, **სვა**, მაგრამ თანხმოვნებს შორის მ-ს მეზობლობაში დაკარგულია: **სმა** ← სვმა...

მეგრულსა და ჭანურში თანხმოვნებს შორის ამ უმარცვლო უ-ნის ნაცვლად სრული უ გვაქვს:

შდრ. ქართ. **სმა** ← სვმა (სტმა)

მეგრ. **შუმა**

(ჭან. ო-**შუმ**-უ)

რატომ დაიკარგა უ ქართ. **სუმა**-ში და რატომ შეგვენახა უ მეგრ. **შუმა**-ში? ცხადია, იმიტომ, რომ მახვილი ქართულში ა-ზე მოდის, მეგრულში უ-ზე: სტმა — შტმა.

აქედან სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თუ არ იმისა, რომ:

1. ქართულ ფუძეში **სტმა** და მის კანონზომიერ მეგრულ შესატყვის-ში **შუმა** მახვილი სხვადასხვა ადგილას მოდის:

ქართულში ის უკანასკნელ მარცვალსა ხვდება, ხოლო მეგრულში — მეორეზეა.

2. მახვილიანი უ მარცვალს ქმნის, უმახვილო, პირიქით, უმარცვლო უ-ს სახით წარმოგვიდგება.

ზემოთქმულის სისწორეს ადასტურებს შემდეგი გარემოება:

1. იმავე მეგრულში სრული ხმოვანი უ შეიძლება უმარცვლო უ-მდე დასუსტდეს, თუ უშუალო მეზობლობაში ხმოვანი გაჩნდა (და უ-ზე მახვილი არაა):

შტმა — „სმა“

¹ მოხსენდა საქართ. მეცნიერ. აკადემიის საზოგად. მეცნიერ. განყოფ. მეორე სესიას (1941 წლ. 13 ივნისს).

შტნს ← შუმს „სვამს“

მა-შტმ-ალ-ი „მსმელი“

ო-შტმ-ალ-ი „სასმელი“

მაგრამ აორისტში: I პ. მა გეფში „მე დავლიე“, „შევსვი“

II პ. სი გეში¹ „შენ შესვი“

ლექსში: გეშია, გეშია, ახალი დო ჯეშია!

„შესვიო, შესვიო, ახალი და ძველიო“...

III პ. თიქ გეშუ ← გეშუ-უ „იმიან შესვა“

ბოლოკიდური უ ← ო და არის Sz ა-ს ეკვივალენტი.

ასევე — კავშირებით მესამეში:

მა ვშვა „მე ვსვა“

სი შვა „შენ სვა“

თიქ შვას „მან სვას“

სრული უ უმარცვლოთი შეიცვალა, როგორც კი მეზობლად ხმოვანი გაჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ ისაა მატარებელი მახვილისა.

შდრ. მაშუმალქ შვას — მაშუალქ შუას „მსმელმა სვას, მქსოველმა ქსოვოს“...

მომდევნო ხმოვანი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რომ მახვილი მასზე იყოს: შვას — შუას. შეიძლებოდა გვეთქვა: შუას ← შუვას „ქსოვოს“ და ამიტომაც, რომ უ სრულ ხმოვნად დარჩაო.

მაგრამ ეს არა წყვეტს ამ საკითხს:

თქუას — ზმნაში („თქვას“) უ-ს ვ არ მოსდევდა, მაგრამ სრულხმოვნიანი უ მოგვცა მეგრულში (იხ. აქვე, ქვემოთ).

2. იმავე ძვ. ქართულში უმარცვლო უ — მარცვალწარმოქმნელი შეიძლება გახდეს:

სუ! ახ. ქართ. სვი!

სუთ! „ „ სვით!

ესეც, რა თქმა უნდა, მახვილზეა დამოკიდებული: სხვა ხმოვანი არა ჩანს, რომ მახვილი მასზე იყოს.

სუმა || შუმა — ფუძის მაგალითის განხილვამ გვაჩვენა, რომ: ა. არსებობს კანონზომიერი ურთიერთობა მახვილის ტარება-უტარებლობა-სა და უ ბგერის რედუქციას შორის: უ ← უ: მახვილიანი უ სრული ხმოვანია.

უმახვილო უ ქართულში უმარცვლოა, მეგრულში კი სრულხმოვნობას ინარჩუნებს, სანამ უშუალო მეზობლად სხვა, მახვილიანი, ხმოვანი არ გაჩნდება.

¹ ეს -ი ხოლმეობითისაა და არა აორისტის უფუნქციო -ი!

ბ. მახვილი ამ ფუძეში შეიძლება იყოს პირველ მარცვალზედაც ბოლოდან; ეს ითქმის, როგორც ქართულის, ისე მეგრულის შესახებ.

არსებითად იგივე მდგომარეობა გვაქვს ძვ. ქართ. ზმნაში **თქუმა** ←

თქუ-ამ-ა

ახ. ქართ. თქმა, აწმ. ი-თქუ-ამ-ს (სულს ითქუამს):

უ-თქუ-ამ-ს, აღ-უ-თქუ-ამ-ს; გული უ-თქუ-ამ-ს.

ნამ. უსრ. ი-თქუ-ამ-დ-ა || ი-თქუ-მ-ი-დ-ა

უ-თქუ-ამ-დ-ა || უ-თქუ-მ-ი-დ-ა

აორისტი: ვ-თქუ ვ-თქუ-თ კავშირ. || ვ-თქუ-ა ვ-თქუ-ათ
 ს-თქუ ს-თქუ-თ ს-თქუ-ა ს-თქუ-ათ
 თქუ-ა თქუ-ეს თქუ-ას თქუ-ან

ნ. ხოლმ. ვთქვ ← ვთქუ-რ ვ-თქვთ ← ვ-თქუით

ს-თქვ ← სთქუ-რ ს-თქვთ ← ს-თქუ-რით

თქვ-ს ← თქუ-რ-ს თქვან ← თქუ-რან

აწმყოსა (და ნამყო წყვეტილში) მახვილი პრეფიქსზე ჩანს:

რ-თქუამს უ-თქუამს

აორისტსა და კავშირებით მეორეში მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზეა; აორისტის პირველსა და მეორე პირში ის ხვდება **უ**-ს: აქ **უ**-სრულმარცვლიანია: ვ-თქუ, ს-თქუ.

მესამე პირში ბოლო მარცვალს სუფიქსები ქმნიან, მახვილი მათზეა, წინამავალი **უ**- უმარცვლოა.

უმარცვლოა ის კავშირებითი მეორის ყველა პირში: მახვილი ყველგან **ა**- სუფიქსზეა.

უმარცვლოა **უ**- ხოლმეობითშიც, სადაც მახვილის მატარებელი ხოლმეობითის სუფიქსი **-ი** გამოდის. მეგრულში აორისტს — მესამე პირის გარდა — უმარცვლო **უ** აქვს, მრავლობითის მესამე პირში — სრული **უ**:

მა ფთქვრ ჩქი ფთქვრთ
 სი თქვრ თქვა თქვრთ
 თიქ თქუ ←თქვ-უ თინენქ თქუეს

კავშირებით მეორეში ყველგან მახვილი **უ**-ზეა:

მა ფთქუა ჩქი ფთქუათ
 სი თქუა თქვა თქუათ
 თიქ თქუას თინენქ თქუან(ი)

აორისტში მესამე პირის გამოკლებით მეგრული იმეორებს ძვ. ქართული ხოლმეობითის ვითარებას, რაც სავსებით ბუნებრივია: როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგრ. აორისტის **-ი** იგივეა, რაც ხოლმეობითის¹ **-ი** (და არა აორისტის უფუნქციო **-ი**!)

¹ დაწვრილებით ამის შესახებ — ცალკე.

კავშირებით მეორეში (ისევე, როგორც აორისტის მრავლ. მესამე პირში) **უ**- სრული ხმოვანია, მახვილის მატარებელი.

ამით განსხვავდება მეგრული ქართულისაგან (ამის გამოკლებით კავშირებითი მეორე ქართულისა და მეგრულისა ერთი და იგივეა).

მაგრამ მეგრული ამ შემთხვევაში ჭანურსაც ისევე შორდება, როგორც ქართულს:

ჭანურს აორისტის მრავლ. მესამე პირშიც უმარცვლო **უ**- აქვს და კავშირებით მეორეშიც:

აორისტი: ჰემთეფექ თქვეს „იმათ თქვეს“

კავშირებ. მეორე: მა ფთქვს „მე ფთქვა“ ჩქუ ფთქვათ „ჩვენ ფთქვათ“

სი თქვს „შენ თქვა“ თქვა თქვათ „თქვენ თქვათ“

ჰემთქ თქვას „იმან თქვას“ ჰემთეფექ თქვან „იმათ თქვან“

არსად სრული **უ** არა გვაქვს, ყველგან მახვილი საწარმოებელ **ა** სუფიქსს ხვდება.

ერთი სიტყვით, ამ ზმნაში ჭანური ქართულს იმეორებს. და ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრულშიც ისეთივე მდგომარეობა უნდა გვაქონოდა აქ, როგორიც ჭანურსა და ქართულში გვაქვს, და როგორიც იმავე მეგრულში გვაქვს **შუმა** „სმა“ — ზმნაში: შვეს — ფშვა, შვა, შვას... (იხ. ზემოთ): მახვილის გადანაცვლება უკანასკნელი მარცვლიდან წინა მარცვალზე მეორეული მოვლენაა. და მაინც, ეს მეორეული მოვლენა მეტად საგულისხმოა;

მახვილმა ადგილი იცვალა მას შემდეგ, რაც ჭანური და მეგრული ერთერთს დასცილდა — ესაა უცილობელი დასკვნა, რომელიც აქედან უნდა გაკეთდეს და რომელსაც პრინციპული ღირებულება აქვს ქართველურ ენათა ისტორიისათვის.

მასთან ეს მეორეული მოვლენა ადასტურებს მახვილისა და **უ**-ს რედუქციის კანონზომიერ ურთიერთობას: უმახვილო **უ** უმარცვლო, არასრულხმოვანი **უ**-ა (**უ** ანუ ახლანდელი **ვ**) და პირუკუ: **ვ** (respect. უმარცვლო **უ**) სრულ **უ**-დ იქცევა, თუ მას მახვილი მოხვდა.

კი მაგრამ, ასე მსჯელობა ბუნებრივი ჩანს, როცა ახ. ქართ. **თქვას**, ჭან. **თქვას** და მეგრ. **თქუას** ფორმებს ვაღარებთ ერთმანეთს.

ახ. ქართ. **თქვას** **ვ**-ს იყენებს იქ, სადაც ძვ. ქართ. **უ** იწერებოდა: **თქუას**. რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძვ. ქართ. **თქუას**-ში მახვილი **ა**-ზე იყო და არა **უ**-ზე, როგორც ეს მეგრულში გვაქვს, ე. ი. საიდან ვიცით, რომ აქ **უ** უმარცვლოა? აკი **თქვას** ისევე იწერება **უ**-თი, როგორც **თქუ!**?

შეიძლებოდა მიგვეთითებინა იმაზე, რომ **თქუას**-ის მემკვიდრეა ახ. ქართ. **თქვას**; მაგრამ მას შემდეგ, რაც ჭანურსა და მეგრულს სხვაობა აღ-

მოაჩნდათ, და მახვილის ადგილის ისტორიული მონაცვლეობა შესაძლებლად მივიჩნიეთ, ეს საბუთი საკითხს ვერ გადაწყვეტს; გვეტყვიან: თქვას-ში მახვილი ა-ზეა, მაგრამ ძვ. ქართ. თქუას-ში მახვილი უ-ზე იყო ისევე, როგორც თქუ-, თქუთ ფორმებშიაო.

ჩვენთვის საინტერესო ფორმებში უ რომ უმახვილო და უმარცვლო იყო ძვ. ქართულში, ამას ეჭვ-მიუტანლად მოწმობს მისი დაკარგვა მას-დარში:

თქუმა → თქმა (სუმა → სმა) შეუძლებელი იქნებოდა, რომ უ სრული ხმოვანი ყოფილიყო. მაშასადამე, უ სრულ ხმოვანსაც აღნიშნავს ძველ ქართულში და უმარცვლო უ-საც.

და მახვილია ის ფაქტორი, რომელიც უ-ნიშნით გადმოცემული ბგერის ფონეტიკურ ღირებულებას არსებითად ცვლის.

მახვილის ფუნქციას ასეთ შემთხვევაში თვალსაჩინოს ხდიან ისეთი შემთხვევები, სადაც უ- გვაქვს მიღებული გ-თი აღნიშნული ბგერისაგან:

- შდრ. ქართ. რვს
- მეგრ. რუო || ბრუო
- ჭან. რვრო ← ორვ-ო
- სვან. არა

ჭანურმა შეგვინახა გ გადასმით (წინამავალი ო- პრეფიქსი სვან. ა-ს შესაბამისია, ფუნქცია არა ჩანს!). მეგრულში გ-ს ადგილას უ გვაქვს და ეს უ მახვილიანია, უკეთ ვთქვათ: უ იმიტომ გვაქვს, რომ ის მახვილიანია.

და პირუკუ, შეიძლება დავასკვნათ: ძვ. ქართულში გ იმიტომ გვაქვს, რომ მახვილი ა-ზე იყო.

- შდრ. აგრეთვე: ქართ. შვ-ილ- ← შევ-
- მეგრ. სქუ-ა „შვილი“
- მეგრ. ჭან. სქ-ი-რ-ი ← სქ-ვ-ი-რ-ი

(შდრ. ქართ. შვიდ — ჭან. შქით...)

ძვ. ქართ. გ-ს შესაბამისად მეგრულში სრული უ რომ მივიღეთ, ეს იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ძვ. ქართ. გ და უმარცვლო უ-ს შორის გარდაუვალი ზღვარი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ წერაში გ და უმარცვლო უ ძვ. ქართულში მტკიცედაა გარჩეული (გ-ს უმარცვლო უ-თი შენაცვლების ცალკეული ფაქტებიდან გვაქვს: მოიყუანა...).

უ ხმოვნისა და მახვილის ურთიერთობას ჩვენთვის კერძოობითი მნიშვნელობა არა აქვს: მასში უნდა ჩანდეს ზოგადი ურთიერთობა ხმოვნის რედუქციასა (დასუსტება-დაკარგვასა) და მახვილს შორის¹.

¹ ინდოევროპული ენებისათვის ანალოგიური საკითხი ამგვარადვეა გადაწყვეტილი: იქ მახვილის როლი ამ მხრივ საყოველთაოდ აღიარებულია.

თუ ეს ვარაუდი სწორია, იგი სხვა ხმოვნების მაგალითზედაც უნდა დადასტურდეს, მასთან არა მარტო ზმნაში, არამედ სახელშიც.

ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ფუძისეული ხმოვნისა და საწარმოებელი აფიქსის ხმოვნის დაკარგვის ცნობილი მაგალითები.

ზმნათაგან აქ საინტერესოა **ჰრქუა, სცა...** აორისტში გვაქვს:

მე	ვარქუ	(მარქუ)	პატივი	ვეცი
შენ	არქუ	(გარქუ)	„	ეც
მან	ჰრქუა		„	სცა
ჩვენ	ვარქუთ		„	ვ-ეცით
თქვენ	არქუთ		„	ეცით
მათ	ჰრქუეს		„	სც-ეს

მესამე პირში დაკარგულია **ა** (არქუ-ზმნაში) და **ე** (ეც-ზმნაში). მიზეზია სუფიქსები **-ა** (S₃ მხ.) და **-ეს** (S₃ მრავლ.). ვვარაუდობთ, რომ პირველსა და მეორე პირში მახვილი სწორედ ამ **-ა** და **-ე**-ზე იყო, მესამეში კი ბოლო მარცვალზე, ე. ი. სუფიქსებზე: ვარქუ ვეც

არქუ ეც
ჰრქუა სცა:

ხმოვნით დაწყებული (I და II პირში) ფუძე მესამე პირში თანხმოვნით დაწყებული აღმოჩნდა და შესაბამისი პრეფიქსები **ჰ** (ჰ-რქუა) და **ს** (ს-ცა) გაიჩინა.

საინტერესოა, რომ **ეც**- ფუძეს მესამე პირშიც შეუძლია **ე**- შეინარჩუნოს: ე-ც-ა, — და მაშინ ვნებითის მნიშვნელობა აქვს¹.

პატივ- **სცა მან მას** — **ეცა** იგი მას

ჰრქუა — ზმნაც **და**- პრევერბის დართვისას ინარჩუნებს **ა**- ხმოვანს: დაარქვა, მაგრამ ეს ძველ ქართულს არ უნდა ახასიათებდეს, — ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარებოდა **უწოდა** (ვნებ. ეწოდა) ზმნა.

ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ქართულში იწვევს ხმოვნისაგან შემდგარი ანდა ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, სვანურში გარდა ამისა — ხმოვნისაგან შემდგარი ანდა ხმოვნით გათავებული პრეფიქსიც ([1] გვ. 7-11).

ქართულში ხმოვნით გათავებული პრეფიქსი, როგორც წესი, არ იწვევს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას.

მაგრამ არის რამდენიმე „გამონაკლისი“:

ზმნები ვამს, ჩანს, დვას, ძევს... კარგავენ ამ ერთად ერთ ხმოვანს, როგორც კი ფუძეს დაერთვის პრეფიქსები **მი-**, **გი-**, **უ-**, **გვ-**:

¹ ამას შეუძლია მოგვცეს ერთგვარი დასკვნა ვნებითისა და მოქმედებითის წარმოქმნის ისტორიული ურთიერთობის შესახებ.

ჯამ-ს:	ჩანს:	დგა-ს	ძეგ-ს
მი-ჯმ-ს	მი-ჩ(ნ)-ს	მი-დგ-ს	მი-ც ←მი-ძ-ს ← მი-ძ(ეგ)ს
გი-ჯმ-ს	გი-ჩ(ნ)-ს	გი-დგ-ს	გი-ც ←გი-ძ-ს ← გი-ძ(ეგ)ს
უ-ჯმ-ს	უ-ჩ(ნ)-ს	უ-დგ-ს	უ-ც ←უ-ძ-ს ← უ-ძ(ეგ)ს
გვ-ჯმ-ს	გვ-ჩ(ნ)-ს	გვ-დგ-ს	გვ-ც ←გვ-ძ-ს ← გვ-ძ(ეგ)ს

ეჭვს გარეშეა, ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მიზეზი პრეფიქსისეული ხმოვნის მახვილში უნდა ვიგულოთ.

ქართულისათვის ჩვეულებრივია ფუძის შეკუმშვა სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით: ისტორიული აზრი ამ მოვლენისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სათანადო სუფიქსს მახვილი ხვდებოდა:

ძმ-ისა, დღ-ისა, ძულ-ისა-ს მსგავსად უნდა ყოფილიყო მწველ-ისა, მეგობრ-ისა, მასწავლებლ-ისა... მწვეალ-, მეგობარ-, მასწავლებელ- ისევე იკუმშებოდა ამგვარი მახვილის ზეგავლენით, როგორც, ვთქვათ, რუს. **отец** — ნათესაობითში **отца**... მრავლობითში: **отцы, отцов**...

ზოგ ქართულ კილოში ამჟამად გვაქვს ხმის აწევა მეორე მარცვალზე ბოლოდან; ეს პრინციპულად მეტად საინტერესოა, პრინციპულად, რადგანაც აქ მახვილი მუსიკალური ჩანს¹.

მართალია, ახლა არა გვაქვს მახვილი ზემოხსენებულ სუფიქსებზე; გვეჩოთილება კიდეც, „მეგობრისა“ რომ ვინმემ თქვას; კიდეც უფრო უცნაურად მოგვეჩვენება ხმის აწევა უკანასკნელ მარცვალზე: ი-მარხავ-ს — მარხვ-ა, შენიშნ-ა-ვ-ს — შენიშვნ-ა, დავდეგ — დადგა, მოკვალ — მოკლა...

მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამჟამად დინამიკური მახვილი წინანდელი ინტენსიობისა მოშლილია, ფონეტიკური მწვერვალი აღარა ჩანს სიტყვაში და მწვერვალის ნაცვლად ხმის ოდნავი ამაღლებლა გვაქვს, ისიც არა ბოლო მარცვალზე.

ეს მეორეული, ახალი მოვლენაა და რომ ასე არ ყოფილა წინათ, იმ ერთმარცვლიან სიტყვათაგანაც ჩანს, რომელნიც ორმარცვლიანთაგან მივიღეთ ბოლოკიდურ მარცვალზე მახვილის ტარების შედეგად:

სუმს, თქუმს, დგმს: აქ ჩვენ სრულებით არ გვეჩოთილება „უკანასკნელ“ მარცვალზე ხმის აწევა: სმა, თქმა, დგმა, თუმცა მეგრული (შუმა, დგუმა...) მოწმობს, რომ სჟმა, თქჟმა, დგჟმა-ც შეიძლება მიგველო.

უკანასკნელ მარცვალზე დინამიკური მახვილის ქონა გარკვეული

¹ ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია მოგვაგონდეს ძველი სომხური, რომლისთვისაც ისტორიულად ამოსავალს შეადგენს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე: ამას კავკასიურ ენათა წრეს იქით არ გავყავართ: **Hirt**-ი პირდაპირ ამბობს — მეორე მარცვალზე მახვილი სომხურში ინდოევროპულიდან არ გამოიყვანებაო... ([2], §122, გვ. 180).

დიალექტისა თუ ენობრივი წრისათვის სრულიად უცილობელი ფაქტი ჩანს.

მახვილს ბოლოკიდურ მარცვალზე მიეწერება თავში თანხმოვანთა თავმოყრა:

ძმა- ← ძამ-ა შდრ. ჭან. ჯუმ-ა, მეგრ. ჯიმ-ა

თთუე ← თუთ-ე ჭან. მეგრ. თუთა

ჩჩულ ← ჩიჩულ- „ ჩქიჩქუ

მახვილიანი **ა** რომ გადაურჩებოდა დაკარგვას, ამაში ძამ-იკო! ძამ-ო! — მიმართვითი ფორმები — გვემოწმებიან.

აქამდის დადასტურებული შემთხვევები მახვილს ან სუფიქსზე გვიჩვენებდნენ (ძმ-ა-, სუმ-ა) ან პრეფიქსზე (მრ-ვმ-ს, მრ-ჩ-ს, მრ-ც...).

აფიქსზე მახვილის ქონა საგულისხმოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მახვილი შეუძლებელი იყო ფუძისეულ მასალაზე.

ფუძისეულ მასალაზე მოქცეული მახვილი აფიქსის ხმოვნის დაკარგვასაც კი იწვევს: ესაა შეკვეცილი დეტერმინანტი სუფიქსები.

თაფ-ლ- ← თაფ-ალ- შდრ. ზან. თოფ-ურ-

ვაშ-ლ- ← ვაშ-ალ- უშქ-ურ-

მატ-ლ- ← მატ-ალ- მუნტ-ურ-

ცეცხ-ლ- ← ცეცხ-ალ ← სე-ცხ-ალ- და-ჩხ-ურ-

ძალ-ლ- ← ძალ-ალ- ჯოლ-ორ-

შდრ. ძმ-ა- ← ძამ-ა ჯუმ-ა

დღ-ე- ← დღ-ე- (სვან. ლა-დელ-).

ძმა-ში ფუძისეული **-ა-** იკარგება სუფიქსზე მახვილის მოხვედრის გამო, აქ კი (თაფლ-, ვაშლ- და მსგავს შემთხვევებში) მახვილი თავიდან პირველ მარცვალზეა და მის ზეგავლენით სუფიქსისეული ხმოვანია¹ დაკარგული.

ბოლოდან მეორე მარცვალზე მოქცეული ეს მახვილი ნამდვილად თავში, პირველ მარცვალზე, დასმული მახვილია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობის
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 26.2.1942)

¹ ამგვარი შესაძლებლობა ცნობილია სხვა ენებიდანაც. ასე, მაგალითად, ლათ. **dexter**, უმბრ. **destre** ითვლება **dextero**-საგან მიღებულად ([იხ. 3] § 57, გვ. 63), აგრეთვე **H. Hirt**-ის მაგალითი: ფრ. **exposition** — ინგლ. ექსპოზი^შ ([2], §4, გვ. 18).

Академик АРН. ЧИКОБАВА

К ВОПРОСУ ОБ УДАРЕНИИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ
ЯЗЫКЕ

I

Резюме

Путем сравнительного анализа глагольных форм грузинского и занского (чанского и мегрельского диал.) языков, а также структуры именных основ тех же языков, делается определенное заключение о природе и месте ударения в древнегрузинском литературном и занском языках. В отношении новогрузинского литературного произношения в качестве основного вопроса выдвигается взаимоотношение "словесного ударения" и "фразового ударения" (Л. В. Шерба).

Подробное резюме см. в конце второго сообщения.

Академия Наук Грузинской ССР
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანიძე. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. — ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტ. I-II, 1923-24.
 2. H. Hirt. Indogermanische Grammatik, Bd. V. Der Akzent. Heidelberg, 1929.
 3. K. Brugman. Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. Strassburg, 1904.
-

მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში

(წინასწარი მოხსენება)

II¹

პირველ წერილში განვიხილეთ მახვილის მოქმედებასთან დაკავშირებული უმარცვლო და მარცვლიანი უ-ს მონაცვლეობა ძვ. ქართულსა და ზანურში. შემდეგ — ორმარცვლიან ქართულ სიტყვათა ერთმარცვლიანად ქცევა ისევ მახვილის ზეგავლენით:

თაფლ- ← თაფალ- (შდრ. მეგრ. თოფურ-)

მივმს ← მივამს

ძმა- ← ძამა (შდრ. ჭან. ჯუმა-).

ძამა- ტიპის სიტყვებში მახვილი **უკანასკნელ** მარცვალზე იყო, **თაფლ-**, **მივმს** ტიპისაში — **პირველ** მარცვალზე. ეს მახვილიანი მარცვალი ბოლოდან **მეორე** იყო.

თავში, პირველ მარცვალზე, დასმული მახვილი შეიძლებოდა ბოლოდან მესამე მარცვალზე აღმოჩენილიყო; ამის ნიმუშს **იფქლ-**ში ვპოვებთ.

თავში დასმული მახვილი ისეთივე ინტენსიური დინამიკური მახვილი უნდა ყოფილიყო, როგორც ძმა, დღე, სუმა და მაგვარებში გვაქვს.

მართლაც: თაფლ-ში მის ზეგავლენით **-ალ-** **-ლ-**: **-ა** დაიკარგა. იფქლ-ში კიდევ ორი ხმოვანი უნდა გვქონდეს დაკარგული: იფექალ-: **-ლ-** აქ ისეთივეა, როგორც თაფლ- ფუქეში; ხოლო ძირეულ მასალას **ფექ-** (ანდა **ფაქ-**) წარმოადგენს: შდრ. სვან. **ფექ** „ფქვილი“.

ორი ხმოვანია, ეტყობა, დაკარგული მრჩობლ-შიც:

მრჩობლ- ← მარჩობალ-:

ბოლოკიდური **-ლ-** დეტერმინანტ-სუფიქსის გამარტივებული, ოდენთანხმოვნიანი ვარიანტია: **-ლ-** ← **-ალ-** (შდრ. თაფლ-).

მეორე მხრით, მარჩბიგ-ის პირველი მარცვალი მიგვითითებს, რომ მრჩობლ-შიც **მარ-** გვქონდა.

ამგვარად, მრჩობლ-მა **ორი ხმოვანი** დაკარგა; ერთი პირველ

¹ პირველი ნაწილი იხ. „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, №2, 1942 წ.

მარცვალში, მეორე — უკანასკნელში: **ო**-ზე მოქცეული მახვილის ინტენსიობის დასახასიათებლად ესეც საკმარისია.

საინტერესოა რომ **-ივ (-ევ)** სუფიქსები ისეთ შემთხვევაშიც იწვევენ ფუძისეული ხმოვნის ამოღებას, როდესაც ამას ხმოვნით დაწყებული სხვა აფიქსი ან სულ არ იძლევა, ანდა — მეტად იშვიათად:

შდრ. ძალ-ით (იშვიათია: ძლით), მაგრამ — ძლივ („ძალივ“ შეუძლებელია). აგრეთვე:

ძლი-ერ- ← ძალი-ერ-
 ა-ძალი-ებ-ს, მაგრამ — ა-ძლი-ევ-ს
 გუერდ-ით, მაგრამ — ი-გუერდ-ივ...

მახვილის მოძრაობის დამადასტურებელი ზოგი ფაქტი უკვე გვქონდა. შეიძლება დაგვემატებინა ერთიც:

ღუჭლ- ← ღუაწ-ალ-:
 მო-ღუჭლ-ე

უღუჭლ-ი: აქ ყველგან მახვილი **წ**-ს წინამავალ **ა**-ზე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ გვაქვს, ღუჭლ-ა (← ღუაწ-ა); ჩანს, აქ მახვილმა ბოლოსაკენ გადაინაცვლა.

ძმ-ა, დღ-ე, ჩივლ-, თთუ-ე, სუმ-ა, თქუმ-ა-...

ძლი-გ ← ძალი-გ — ერთის მხრით...

თაფ-ლ, ვაშლ-, ძაღლ-, ცეცხლ-... მრ-გმ-ს, მრ-ჩ-ს, მრ-ც... — მეორე მხრით, აგრეთვე **რ-ფქლ-...** და მსგავსი ფაქტები ააშკარავებენ, რომ:

1. ძველ ქართულში მახვილი შეიძლება ყოფილიყო, როგორც უკანასკნელ მარცვალზე, ისე თავ-მარცვალ-ზე, იქნებოდა იგი მეორე მარცვალი ბოლოდან თუ მესამე;

2. მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური.

3. მახვილი არ იყო ფიქსირებული, არამედ — მოძრავი.

4. მახვილთან შინაგან კავშირში იყო ხმოვნის დაკარგვა (ფუძეში თუ აფიქსში).

ძველ ქართულში, რომ ვამბობთ, ამას დაზუსტება ესაჭიროება. ძველ ქართულში რამდენიმე დიალექტობრივი თუ ენობრივი ფენაა შენიშნული (**ვ, დ, ნ, ლ, ს...**).

ცხადია, ყველას მახვილის მხრივ ერთსა და იმავე ვითარებას ვერ მივაწერთ: ხმოვნის დაკარგვის მეტად ძლიერი ტენდენცია, — ძლივ-ში მოცემული — შეუძლებელია ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ ისეთ ფორმებთან, როგორიცაა: სადიდებელად, უგრძობელად, — პირველში ხმოვნის დასუსტება-დაკარგვა მკვეთრად დაჩნდება, მახვილი ძლიერია,

მეორეში ხმოვნის დაკარგვა გაცილებით უფრო სუსტია: აქ მახვილი შეუძლებელია ისეთივე ყოფილიყოს, როგორც — პირველ შემთხვევაში.

ინტენსიური მახვილის მქონე ორი დიალექტობრივი (თუ ენობრივი) ფენა ძველ ქართულში ფაქტია: ერთი უპირატესად ბოლო მარცვალზე სვამს მახვილს (ძმნ), მეორე უპირატესად — თავ-მარცვალზე (თაფ-ლ-, ოფ-ქ-ლ-).

ორივეში მახვილი ინტენსიურია, დინამიკურია, არაფიქსირებულია. ალბათ, ისეთი კილოებიც იყო, სადაც მახვილი არ იყო არც ინტენსიური და არც დინამიკური, არამედ მუსიკალური: ფუძეუკუმშველობა ამ კილოს (თუ კილოების) შემონათანია ძველ ქართულში.

რომ ეს ასეა, მტკიცდება რიგი ფაქტებით: ქართულ კილოებში, როგორცაა მთიულური, ზემო-აჭარული, ფერეიდნული მოგვებობა ფენომენი, რომელიც გრძელი ხმოვნის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ნამდვილად კი მუსიკალური (ტონური) მახვილია ([3], გვ. 339 და შემდ.; [4], გვ. 200 და შემდ.).

შემთხვევა გვქონდა ამგვარივე მოვლენა დაგვედასტურებინა ჭანურის არქაბულსა და ათინურ კილოკაგებში (არქაბელი — ქალი იყო, ათინელი — ვაჟი, ისეთი სოფლიდან, რომელიც ზღვის ნაპირს შორავს [5], გვ. 41-42).

არს. ონიანის „ლაშური ტექსტების“ წინასიტყვაობაში ნ. მარი წერდა: „ამ ტექსტებში საქმეს ართულებს ისიც, რომ ძნელი გასარჩევია ბუნებრივი სიგრძე და მარცვლის პროსოდიული დაგრძელება, განსაკუთრებით ლექსში, სადაც სიგრძე სრულებით იკარგება“ ([6], წინასიტყვ. V).

ასევე ქრება ლექსებში მთიულურის „გრძელი ხმოვანი“. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: არის კი ასეთი გრძელი ხმოვანი სვანურისა მართლა **გრძელი ხმოვანი, თუ ესაა მუსიკალური მახვილთან დაკავშირებული ხმოვნის დაგრძელება?** ჩვენ ბუნებრივად ვფვლით უკანასკნელს, თუმცა სვანურის სპეციალური შესწავლაა წინასწარ აუცილებელი, სანამ საბოლოო დასკვნა გაკეთდებოდეს, მაგრამ სვანურის გარეშეც სხვა ქართველურ ენათა ჩვენება უეჭველს ხდის, რომ მუსიკალური მახვილი ქართველურ ენებში ფაქტია.

ეს კი ბუნებრივად სვამს კითხვას: ბოლოს და ბოლოს რა უნდა ვივარაუდოთ ქართველური ენებისათვის წარსულში — **დინამიკური მახვილი თუ მუსიკალური?** ერთიცა და მეორეც! უკეთ: ზოგში — ერთი, ზოგში — უპირატესად მეორე: ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ დინამიკური და მუსიკალური მახვილი ერთი მეორის გვერდით გვაქვს ყველა ენაში. ოღონდ ერთ ენაში ერთი გადაწონის ხოლო, მეორეში — მეორე“ ([2], §18, გვ. 37; [1], §42, გვ. 17). ასე, მაგალითად: ზოგ გერმანულ დიალექტებში, როგორცაა, შვაბური, ფრანკული, რადნული, მუსიკალური მახვილი დასტურდება, ქვემო გერმანულს კი მთლიანად დინამი-

კური მახვილი ახასიათებს ([7], გვ. 420).

დინამიკური მახვილის გაძლიერებას ხმოვანთა დასუსტება-დაკარგვისაკენ მივყავართ. მუსიკალურ მახვილს ეს ნაკლებ ახლავს.

ახალი ქართული სალიტერატურო მეტყველება უთუოდ განსხვავდება ძველი ქართულისაგან მახვილის საკითხში: მოხდენილად შენიშნა კ. შუხარდტმა: მახვილის მხრივ ახ. ქართული მოგვაგონებს ზღვას ღელვის შემდეგ ([8], გვ. 14). — მახვილის მწვერვალები მოიშალა, სიტყვის ფონეტიკურ ზედაპირზე მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სხვაობა ოდნავ შესამჩნევია.

ეს ხელს უწყობს მუსიკალური მახვილის ელემენტთა როლის ზრდას. კერძოდ, იმ ინტონაციის **ხვედრი წონა** ხდება განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი, რაც შესიტყვებას, სიტყვათა სინტაქსურ შენაერთს, **ფრაზას** ახასიათებს¹. ესაა რიტმული ჯგუფის მახვილი, რიტმული მახვილი, როგორც მას ლ. შჩერბა უწოდებს ([9], §92, გვ. 78-79).

ასეთ პირობებში ხმოვნის ამოღება უკვე ტრადიციის საქმეა — ლიტერატურულს ქართულშიცა და კილოებშიც, ეგევე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ სვანურში მახვილის საკითხის რკვევისას.

ეს რიტმული ჯგუფის მახვილი ნთქავს სიტყვის მახვილს გაბმულ მეტყველებაში, სუსტი დინამიკური მახვილი სიტყვისა იჩრდილება. ცალკე აღებული სიტყვა?

მაგრამ ცალკე სიტყვას ფრანგულშიც აქვს მახვილი, გაცილებით უფრო მკვეთრად გამოხატული, ვინემ ქართულში; როგორც ლ. შჩერბა აღნიშნავს, მას ფრანგი ფონეტიკოსები უწოდებენ დინამიკურს, მუსიკალურსა და კვანტიტატიურს ([9], §101, გვ. 83).

მაგრამ ამისდა მიუხედავად ძალაშია დებულება, რომ ფრაზაში ფრანგული სიტყვები ფონეტიკურად აღარ გამოიყოფა ([9], §99, 82). მახვილი აქვს არა სიტყვას, არამედ სიტყვათა ჯგუფს, რომელიც მეტყველებაში აზრით ერთიანობას გამოხატავს, და მახვილი ამ ჯგუფის უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე მოდის ([9], §92, გვ. 78).

მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ **ახალ ქართულში მახვილის საკითხი**, პირველ ყოვლისა, არის „**რიტმული ჯგუფის**“ (**ფრაზის**) **მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაჭრილი.**

21.4.1941

¹ ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია **გურული, ზემო-იმერული, ქართველ**. კერძოდ ქუთაისის ებრაელთა (ქართული) მეტყველება.

P. S. ქართულის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მახვილის საკითხს გაკვრით ეხებიან: მახვილის საკითხი დაყვანილია მხოლოდ ერთ კერძო საკითხამდის — **რომელ მარცვალს ხვდება** მახვილი: სხვა კითხვები: დინამიკურია თუ მუსიკალური მახვილი, ერთნაირი იყო თუ არა მახვილი ძველ ქართულ კილოებში, ძველ სალიტერატუროსა და ახალ სალიტერატურო ქართულში, რა მიმართებაა სიტყვის მახვილსა და ფრაზის მახვილს შორის... — ყურადღების გარეშე რჩება (იხ., მაგალ., ([10], §§16-18, გვ. 13-14). აქ ნათქვამია, რომ ქართულში მახვილიანი მარცვლებია მეორე და მესამე ბოლოდან; შეიძლება: ქართველი და ქართველი, მწერალი და მწერალი:...

ოთხ და ხუთმარცვლიან სიტყვას ორი მახვილი შეიძლება ჰქონდეს...: თუ ხუთმარცვლიანზე მეტია სიტყვა, მეორე მახვილი სავალდებულოა — აღმაშენებელი... ([10], §16). გაბმულ მეტყველებაში ერთმარცვლიანი სიტყვები ენკლიტიკისა და პროკლიტიკის სახეს იღებენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მახვილის წესები ისეთივეა, როგორც ცალკე სიტყვაში ([10], §18).

აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკაში“ 1. „მორფოლოგია“ — მახვილის საკითხი განხილული არაა: ეგევე ითქმის იმავე ავტორის სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებაც.

სხვა ავტორთაგან განსხვავებით მახვილის **ბუნებას** — ახალი ქართულის შესახებ მსჯელობისას — ყურადღებას აქცევენ ნორვეგიელი მკვლევრები ე. ზელმერი ([11] გვ. 6-7) და ჰ. ფოხტი ([12], გვ. 16). უკანასკნელი გაკვრით აღნიშნავს ფრაზის რიტმის გავლენასაც სიტყვის მახვილზე ([12], გვ. 17).

ჰ. ფოხტი ფიქრობს: ვოკალიზმის ისტორიულ განვითარებაზე ქართულში მახვილს გავლენა არ მოუხდენია ([11], გვ. 49 (შდრ. ზემოთ, გვ. 298)).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენის ინსტიტუტის აკად. ნ. მარის სახელობისა
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 26.1.1942)

Академик АРН. ЧИКОБАВА

К ВОПРОСУ ОБ УДАРЕНИИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ
ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ. II

(Предварительное сообщение)¹

Резюме

В специальной литературе по грузинскому языку вопрос об ударении сводится обычно к вопросу о месте ударения в слове² между тем, как для решения данного вопроса необходимо учесть:

- a) характер ударения;
- в) взаимоотношение словесного и фразового (ритмического) ударения (Л. В. Щерба);
- с) место ударения (при наличии словесного ударения);
- d) эволюцию ударения в связи с развитием языка.

Анализируя случаи выпадения гласных в древне-грузинском литературном языке, а также определенные факты т. н. *полногласия* в занском языке, равно как некоторые данные грузинских современных диалектов, автор выдвигает следующие положения:

1. Для *ново-грузинского* литературного языка характерно превалирование фразового (ритмического) ударения над словесным. Ударение динамическое, слабое, в пределах слова - фиксированное.

2. В *древне-грузинском* литературном языке (по крайней мере, в двух диалектах, представленных в нем) ударение было динамическим, интенсивным, нефиксированным:

так, оно могло падать на последний слог, вызывая выпадение гласного в предшествующем слоге;

или же - падать на начальный слог, вызывая выпадение гласного в последующем слоге: в обоих случаях *двухсложные слова превращались в односложные*:

მ⁶-ჳმ-ს m⁶-qm-s „надлежит мне“ ← მ⁶-ჳამ-ს m⁶-qam-s ср. ჳამ-ს qam-s „надлежит“

თ⁶ფ-ლ- t⁶p-l- „мед“ ← თ⁶ფ-ალ- t⁶p-al- ჳср. მეგრ.-чан. თოფ-ურ- top-ur- „мед“

ძმ-ა ჳმ-ა „брат“ ← ძამ-ა ჳam-ა ср. чан. ჳუმ-ა ჳum-a, მეგრ. ჳიმ-ა ჳim-a...

О силе ударения можно судить по такому примеру, как იფქ-ლ- ipk-l- (род „пшеницы“), где под влиянием ударения, падающего на первый от нача-

¹ Доложено на второй сессии Отделения общественных Наук Академии Наук Грузинской ССР 13.6.1942

² Исключение составляют работы Selmer'a [11] и Vogt'a [12].

ლა სლოგ в последующих двух слогах имело место выпадение, по всей видимости, двух гласных:

ი-ფქ-ლ- i-pk-l- ← ႁ-ფქ-ალ- í-pk-al-...

3. Выпадение гласных в древне-грузинском литературном языке обусловлено ударением, между тем как демонстративное отсутствие этого явления (выпадения) в определенных случаях (напр., სადიღებღლად- sadidebelad- „для восхваления“ вместо обычной формы სადიღებღლად- sadideblad-) вклад живой диалектной среды с ударением *иного* характера и *иной* силы.

Выпадение гласных имеет место и в современном литературном грузинском языке, но это скорее результат установившейся традиционной нормы (чем влияния ударения).

4. В занском языке, в чанском и мегрельском его диалектах, по всей вероятности, доминировало музыкальное ударение, пережиточно сохранившееся в отдельных чанских говорах (в аркабском, в атинском); выпадение гласных, как правило, места не имело. Чанское и мегрельское полногласие было бы невысказано при наличии в соответствующей речи ударения, какое было свойственно древнегрузинскому языку (точнее: определенным диалектам, представленным в нем).

5. Вопрос о природе ударения в сванском языке требует детального анализа по диалектам, причем особенно должна учитываться связь между ударением и т. н. долготой гласных, наблюдающейся в определенных диалектах, но - лишь в прозе: в стихах „долгота“ исчезает (аналогичное явление имеет место в мтиульском говоре грузинского языка: здесь „долгота“ гласных - функция ритмического ударения).

Академия Наук Грузинской ССР
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Н i r t . Indogermanische Grammatik, Bd. V. Der Akzent. Heidelberg, 1929.
2. К. В r u g m a n . Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. Strassburg, 1904.
3. არნ. ჩიქობავა. გრძელი ხმოვნები მთიულურში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV, 1924.
4. არნ. ჩიქობავა. ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927
5. არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. სსრკ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის გამოცემა. 1936.

-
6. არსენ ონიანი. სვანური ტექსტები ლაშხურ კილოზე — ნ. მარის რედაქციით. პეტროგრადი, 1917. Материалы по яфетическому языкознанию, IX. პეტროგრადი, 1917.
7. W. Wundt. Völkerpsychologie, Die Sprache, II (მესამე გამოცემა), 1912.
8. H. Schuchardt. Über das Georgische. Wien, 1895.
9. Л. В. Щерба. Фонетика французского языка. Ленинград, 1939.
10. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград. 1925.
11. E. W. Selmer. Georgische Experimentalstudien mit einem Nachtrag von H. Vogt, Oslo, 1935.
12. H. Vogt. Esquisse d'une grammaire du géorgien moderne. Oslo, 1936.

მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში¹

გრამატიკული სქესის ადგილი კავკასიურ ენებში უჭირავს გრამატიკული კლასის კატეგორიას.

გრამატიკულ კლასთა ვითარება კავკასიურ ენებში, როგორც ცნობილია, ერთნაირი არაა:

1. არის ენები, რომელთაც დაუცავთ გრამატიკულ კლასთა მორფოლოგიური კატეგორია.

ასეთ ენათა წრეს ეკუთვნის: აფხაზური, ჩაჩურ-ინგუშურ-ბაცბური, ხუნძური, ანდიური ხეობის ენა-კილოები, ლაკური, დარგუული, არჭიული, რუთულური, წახურული, თაბასარანული, ბუდუხური...

2. არის ენები, რომლებშიაც გრამატიკული კლასები, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, გარჩეული არაა.

ასეთებია: ქართველური ენები: ადიღური (ჩერქეზული) და უბიხური — აფხაზურ-ადიღური ჯგუფიდან; კიურული ანუ ლეზგიური, აღულური, უდური — დაღისტინის ჯგუფიდან.

ამ ენებში, მათ შორის ქართველურშიც, დღემდის ცოცხალია გრამატიკული კლასები, როგორც სემასიოლოგიური კატეგორია ([1], გვ. 135-7): ვინ? ქალი, კაცი, ამხანაგი, მასწავლებელი... **რა?** ცხენი, ხარი, ძროხა, ხე, ქვა, ჰაერი, სინათლე... **რამ** შეჭამა ვენახი? **..თხამ** შეჭამა ვენახი! **რამ** შეჭამა თხა? **..მგელმა** ჭამა თხაო“...

ქართველურ ენებში გრამატიკული კლასები უნდა ყოფილიყო გარჩეული მორფოლოგიური საშუალებითაც: ეგევე უნდა ითქვას ადიღურისა, კიურულისა (ლეზგიურისა) თუ სხვა ამჟამად უკლას-კატეგორიო კავკასიურ ენათა შესახებ, როგორც ამას აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში ([2], გვ. 36; [3], გვ. 251; [4], გვ. 343; [1], გვ. 255-257).

იმ კავკასიურ ენებში, რომელთაც ამჟამად გრამატიკული კლასები, როგორც მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვებათ, კლასების რიცხვი განსხვავებულია: თაბასარანულში ორ კლასზე მიუთითებენ, ჩაჩურში და ინგუშურში ექვსზე, ლაკურსა და დარგუულში ზოგი მკვლევარი

¹ ამოღებულია მოხსენებიდან „გრამატიკულ კლასთა კვალიფიკაციისა და წარმოქმნის ზოგი საკითხი კავკასიურ ენებში“. მოხსენება წაკითხული იყო ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების სხდომაზე 31.XI.1941.

სამს კლასს გამოყოფს, ზოგიც — ოთხს. აფხაზურში კლასებად დაყოფა გართულებულია სქესებად დაყოფითაო, შენიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში ([5], გვ. 24).

გრამატიკულ კლასთა რაოდენობის დადგენა მთის კავკასიურ ენებში ზოგჯერ არც თუ ადვილია, ყოველ შემთხვევაში იგი სპეციალურ განხილვას საჭიროებს; ამიტომ აქ უდაო შემთხვევებით შემოვიფარგლებით. უდაო კი ისაა, რომ გაგვაჩნია ორი, სამი და ოთხი კლასის მქონე ენები.

მთის კავკასიურ ენათა სასკოლო გრამატიკებში — ხშირად (იხ. მაგალითისათვის, ჩაჩურის ([6], გვ. 44-45), ინგუშურის ([7], გვ. 58), ხუნძურის ([8], გვ. 22, სასკ. გრამატიკები), სამეცნიერო ლიტერატურაშიც არა იშვიათად ([9], გვ. 33) ლაპარაკია სქესების შესახებ კავკასიურ ენებში. საკითხავია: კლასები თუ სქესებია გარჩეული კავკასიურ ენებში?

ეს მარტოოდენ ტერმინის საკითხი არაა.

ერთი შეხედვით, სულ ერთი ჩანს, რას ვიტყვით: „ხუნძურს სამი გრამატიკული კლასი აქვს“ თუ „ხუნძურს სამი გრამატიკული სქესი გააჩნია: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო“.

მაგრამ მდგომარეობა მყისვე გართულდება, როგორც კი სამზე მეტი კლასის მქონე ენებზე მიდგება საქმე. ჩაჩურისა და ინგუშურის მაგალითი ცხადყოფს, რა გამოსავალი დაგვრჩება ასეთ შემთხვევაში, თუ სქეს-ტერმინიდან, ამოვალთ.

ჩაჩურიცა და ინგუშური სასკოლო გრამატიკები განასხვავებენ: მამრობით სქესს, მდედრობით სქესს და სხვა დანარჩენთა სქესს, რაიც, თავის მხრით, ოთხ ერთეულს იძლევა: პირველ სქესს, მეორე სქესსა, მესამე სქესსა და მეოთხე სქესს (!) [6], [7].

პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე სქესი — ესაა ტექნიკური უხერხულება, რასაც სქეს (род) — ტერმინის შეუფერებელი გამოყენება იწვევს.

ვთქვათ, ეს დაბრკოლება არ არსებობს: ვთქვათ, ხუნძურისებური მდგომარეობაა: სამი კლასია გასარჩევი და სამი სქესი გამოვყავით.

მაინც არის ერთი არსებითი ხასიათის თავისებურება, რაიც მოწმობს სქეს-ტერმინის უადგილობას ხსენებულ ენათათვის:

ამ ენებში ცხოველები ყველა ერთადაა: ხარი და ფური, ძუ და ხვალი, მამალი და დედალი ყველა ერთი „სქესისა“ გამოდის, მასთან ხარი არ შეიძლება „მამრობითი სქესისა“ იყოს, ძროხა — „მდედრობითისა“, — ორივე ეს სახელი (და, საერთოდ, ყოველი ცხოველის სახელი) „საშუალო სქესისა“.

ეს „საშუალო სქესი“ სამკლასოვან ენებში მოიცავს ყველაფერს, გარდა ადამიანისა (ოთხკლასიანში ეს მასალა ორ კლასადაა დაყოფილი). ეს თანაბრად ეხება როგორც ხუნძურს, ისე — აფხაზურს.

ამგვარი რამ უცხოა იმ ევროპული მკვდარი თუ ცოცხალი ენებისა-

თვის, რომელთაც სქესთა კატეგორია გარჩეული აქვთ, უცხოა აგრეთვე სემიოტიკური ენებისათვის.

რანაირი წარმოშობისაც არ უნდა იყოს „სახელთა სქესები“ (უკეთ „გვარები“ „genera“)¹, ამჟამად ცოცხალ არსებებში — ცხოველებში — სქესის მქონე ენები განასხვავებენ მამრობითსა და მდედრობითს (бык - корова... der Ochs - die Kuh., le boeuf - la vache...); მეტი კიდევ: არაცოცხალ არსებათა, ნივთებისა და მოვლენების სახელებში ვიპოვით მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს (дом, das Haus, la maison...).

ასეთი რამ კავკასიური ენებისათვის უცხოა: პირველ გრამატიკულ კლასს, „მამრობით სქესს“ რომ უწოდებენ, არ შეიძლება განეკუთვნოს არც ერთი ცხოველი, არც ერთი ნივთი, არც ერთი მოვლენა.

მეტსაც ვიტყვით: პირველ გრამატიკულ კლასში მამრობითი სქესის ადამიანი რომ შედის, ეს იმიტომ კი არაა, რომ გარკვეული სქესია ამოსავალი, არამედ იმიტომ, რომ ესაა ყველაზე მაღლა დაყენებული, ყველაზე ფასეულად მიჩნეული: სოციალური ფასეულობაა დახარისხების საფუძველი. შემთხვევითი როდია ხუნძ. ბეჩედ „ღმერთი“ პირველ გრამატიკულ კლასში მოქცეული, აგრეთვე — მალაქქ „ანგელოზი“ (არაბ. ნასესხები სიტყვა!). ასევე დამახასიათებელია, რომ ლ'იმერ „ბავშვი“ მესამე გრამატიკულ კლასს განეკუთვნება („ჯერ კიდევ არაა ადამიანიო“!).

მამასადამე: არ შეიძლება ადამიანთა სქესების გარჩევა დავინახოთ იქ, სადაც ეს მხოლოდ ადამიანს ეხება, სადაც ცხოველები ანალოგიურ დახარისხებას არ ექვემდებარებიან (ასე, მაგალ., აფხაზურში, ხუნძურში).

ასეთ პირობებში მდედრობითი სქესი ადამიანთა წრეში სქესი კი არაა, არამედ კლასი, განსხვავებული იმ კლასისაგან, რომელშიაც შედიან მამაკაცები. სქესებზე ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში მოასწავებს ისეთი თვალსაზრისის შეტანას, რომელიც უცხოა თვით კლასიფიკაციის ბუნებისათვის.

ამდენად ცხადია, რომ „სქესი თუ კლასი“ არაა მარტოდენ ტერმინების საკითხი: სხვადასხვა თვალსაზრისია ამ ტერმინებთან დაკავშირებული, არსებითად განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი შესასწავლ სინამდვილეში.

ასე დვას საკითხი სტატისტიკური ანალიზის თვალსაზრისით. საკითხი მნიშვნელოვანია ისტორიული ანალიზის თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქვს ისეთი კავკასიური ენები, რომელთაც გრამატიკულ კლასთა განსხვავება არ შემოუნახავთ და ფუძეს შეხორცებული კლას-ნიშნების მიხედვით გვიხდება წინანდელი ვითარების მიკვლევა. შეიძლება თუ

¹ ამის შესახებ საუბარი გვქონდა მოხსენებაში: „გრამატიკული სქესის საკითხისათვის“. მოხსენდა ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების სხდომაზე 8.XII.1940.

არა, მაგალითად, ქართველურ ენებში ამ საკითხის რკვევისას ვივარაუდოთ, რომ მამრობითი სქესისა იყო ისეთი სახელები, როგორცაა ვაცი, ვერძი... ანდა მდებრობითი სქესისად ვცნოთ ნეზვი, ნერჩი (იგულისხმება, რომ თავიიდური ვ და ნ სათანადო პრეფიქსებია)?

სავსებით შესაძლებელი აღმოჩნდება ეს იმ შემთხვევაში, თუ გრამატიკული სქესებია მოსალოდნელი ქართველურ ენებში (და სქესებს ვხვდებით სხვა კავკასიურ ენებში): სქესების გარჩევისას ვაცი, ვერძი და მაგვარი სახელები, ბუნებრივია, თუ მამრობითი სქესისა აღმოჩნდება.

მაგრამ ასეთი შესაძლებლობა პრინციპულად გამორიცხულია, თუ ამოსავალი იქნება ცნება გრამატიკული კლასისა: ზევით უკვე ვნახეთ, რომ მამაკაცების კლასში მამრობითი სქესის (მამალი) ცხოველი არ შეიძლება შედიოდეს [მდრ. 3]. ამრიგად ამოსავალი ცნება „გრამატიკული კლასი თუ სქესი“ წყვეტს ისტორიული კვლევა-ძიების მიმართულების საკითხს: ზოგიერთი საკითხი იმთავითვე აღიკვეთება ამოსავალ ცნებასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ ჩვენი შემთხვევა კარგი ილუსტრაციაა იმ მეთოდოლოგიური დებულებისა, რომ სტატიკურ ანალიზს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ არსებულ ვითარებაში გარკვევის მხრივ, არამედ მოვლენის ისტორიის მართებულად გათვალისწინების თვალსაზრისითაც.

ხუნძურში ამჟამად სამი გრამატიკული კლასია გარჩეული: I — ადამიანი მამრობითი სქესისა (ნიშანი — ვ), II — ადამიანი მდებრობითი სქესისა (ნიშანი ძ), III — სხვა დანარჩენი (ცხოველები, ნივთები...: ნიშანი — ბ). ისტორიულად ხუნძურს მეოთხე კლასიც უნდა ჰქონოდა — ნივთების კლასი (ნიშანი — რ). ახლანდელ მესამე კლასში თავს იყრიან წინანდელი ორი კლასის სახელები. კლასთა რაოდენობაცა და ნიშნებაც ხუნძურში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორცაა ამჟამად ანდიურში [10].

წარმოდგენილი ვითარება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ადამიანთა კლასი სქესებადაა დაყოფილი და უპირისპირდება ნივთის კლასს (თუ კლასებს).

ძველად საქმის ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო: ადამიანის კლასის დიფერენციაცია მეორეული მოვლენა უნდა იყოს — მეორე გრამატიკული კლასი („ადამიანი მდებრობითი სქესისა“) შედარებით ახალი წარმოშობისა ჩანს.

სხვაგვარი დასკვნა ვერ გაკეთდება, თუ ანგარიშს გავუწევთ მორფოლოგიურ ფაქტებს. მხედველობაში გვაქვს სამი რამ:

1. მეორე გრამატიკული კლასის ნიშნის ბგერითი სახე მთის კავკასიურ ენებში;

2. მეორე გრამატიკული კლასის ბრუნების გარკვეული ფაქტები ხუნძურში;

3. ქართველურ ენათა ჩვენება.

მეორე გრამატიკული კლასის ნიშნად **ღ** — ხუნძურის გარდა — გვაქვს ანდიურში, ჩაჩნურში, ინგუშურში, ბაცბიურში.

დარგუულსა, ლაკურსა და არჭიულში მეორე კლასი **ღ** || **რ**-თია წარმოდგენილი, მასთან არჭიულში სუფიქსად **რ** გვაქვს, პრეფიქსად — **ღ**.

ხუნძურსა და ანდიურში **ღ** მხოლოდ მეორე გრამატიკული კლასისათვის იხმარება, მაგრამ ჩაჩნურსა და ინგუშურში ეგვე **ღ** გამოყენებულია ნივთის კატეგორიის სახელთათვისაც [მაგალ., ჩაჩნ. ბუორზ, ვირ, გაურ, ჩა — მუ „მგელი, ვირი, ცხენი, დათვი — არის“ ([11], გვ. 12)].

დარგუულსა და ლაკურშიც **ღ** (**||რ**)-ნიშნები ნივთის კლასის სახელეზსაც აქვს ([12], §10 გვ. 14; [13], §13, გვ. 13).

ასეთ პირობებში ბუნებრივად იბადება ვარაუდი, რომ ფორმანტები **ღ რ ღ** ერთი და იმავე ოდენობის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენენ. სახელდობრ: **ღ** უნდა იყოს მიღებული **რ**-საგან, ხოლო **რ** წარმოადგენდეს **ღ**-ს ბგერინაცვალს [შდრ. 14]. ამოსავლად **რ**-ს მიჩნევა ძნელია, თუ გავითვალისწინებთ **რ** ფონემის პოზიციებს კავკასიურ ენათა ბგერით სისტემაში. მერე: თუ **ღ** ← **რ**, მაშინ **ღ** ისევ **რ**-საგან მიღებულად უნდა ვცნოთ: **ღ**-საგან **ღ**-ს მიღება გაჭირდებოდა. მართალია, კავშირი **რ**, **ღ**, **ღ**-ს შორის ასეთ პირობებშიც შენარჩუნებული იქნებოდა, მაგრამ **რ**-ს ფონეტიკური ცვლის ორ ხაზს მივიღებდით: **რ** < **ღ**, — ეს კი ბუნებრივი არ ჩანს.

ასეა თუ ისე, **ღ**, **რ**, **ღ** ფორმანტები ერთი და იგივე ფონეტიკური ოდენობა ჩანს: სამივე ნივთის კატეგორიის კლასებშიც გვაქვს და მეორე გრამატიკულ კლასშიც: ქალის კლას-ნიშანი ნივთის კლას-ნიშნის მოზიარე გამოდის, ნივთის კლას-ნიშანს იყენებს.

ამ ჩვენებას ვერ გააქარწყლება ის ფაქტი, რომ რუთულურში, წახურულში და ბუდუხურში **რ** გამოყენებულია I და II გრამატიკულ კლასებში: ეჭვს გარეშეა, რომ ეს მეორეული მოვლენაა: კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ ინვენტარში **რ** ადამიანთა კლასისათვის სრულებით შეუფერებელია.

მეორე გრამატიკული კლასის კავშირი ნივთის კლასთან შემთხვევითი რომ არ უნდა იყოს, ამაზე მიუთითებს ხუნძური ბრუნების შემდეგი ფაქტიც:

აქ ერგატის წარმოებისას ერთმანეთს უპირისპირდება პირველი გრამატიკული კლასი და ნივთის გრამატიკული კლასი: მეორე გრამატი-

ტიკული კლასი ისევ ამ უკანასკნელის მოზიარედ გამოდის: პირველი გრამატიკული კლასის დაბოლოება ერგატივში **-(ა)-ს** სხვაგან არსად არის გამოყენებული:


სახელ. ვაც „ძმა“, დებირ „მოსამართლე“, ყებედ „მჭედელი“, კუ-
დიდ-ა-უ (I კლ.) „დიდი“, დო-უ „ის“ (OH)

ერგ. ვაც-**ა-ს** დებირ-**ა-ს** ყებედ-**ა-ს** კუდიდ-**ა-ს** დო-**ს**

შდრ. სახელ. კუდიდ-ა-**ფ** (II კლ.) კუდიდ-ა-**ბ** (III კლ.) „დიდი“

დო-**ფ** (II კლ.), დო-**ბ** (III კლ.)

ერგ.



მხოლოდ ვინ? რა? ნაცვალსახელში ში-**უ** (I კლ.), ში-**ფ** (II კლ.) და ში-**ბ** (III კლ.) (და აგრეთვე უკუქცევითს ნაცვალსახელში პიდურსა და ჭარულ დიალექტებში — [15]) მეორე კლასი ერგატივის წარმოებისას ეკედ-ლება პირველს: ერგ. ლ'ი-ცა (დალექტ. ლ'ი-დ) — I და II კლ., სუნ-ცა — III კლასისა. მაგრამ ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ ლ'ი-ცა მეორეულია (ერგატივის ნაცვლად სახელობითი უნდა ყოფილიყო). აქაც რეინტერპრეტაციაა მომხდარი: ქალი, როგორც ადამიანი, **ვინ**-სახელს დაუკავშირდა: წინათ სუნ-ცა-ს მოზიარე, ახლა ლ'იცა-ს მოზიარე გახდა: საკუთარი ერგატივი არც მანამდის ჰქონია, არც ამჟამად აქვს.

მეორე გრამატიკული კლასის მეორეული ხასიათი ამაშიც მჟღავნდება.

ქართველურ ენათა ჩვენებაც მნიშვნელოვანია მეორე გრამატიკული კლასის გენეზისისათვის.

როგორც ეს ნაჩვენებია გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, ქართველურ ენებშიც დასტურდება ნივთის კლასის ნიშნები: **დ(რ)**, **ბ** ([1], გვ. 258-259).

ადამიანთა კლასის ნიშნად გვაქვს **მ**: ეს იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც მთის კავკასიურ ენათა **ვ(უ)** — I კლასის ნიშანი [1] იქვე.

რავა უდრის მეორე გრამატიკული კლასის ნიშან **ფ**-ს? — არაფერი, არც ქართულში და არც სხვა რომელიმე ქართველურ ენაში!

ეს ნიშნავს: ქართველურ ენათა ჩვენებას თუ მივყვებით, ადამიანთა კლასი გაუდიფერენცირებლად და დარჩენილი: ქალი ადამიანთა კლასშია (**ვინ**-კლასში) და არასოდეს სხვა გრამატიკულ

¹ ეს ფორმა II გრამატიკული კლასის სახელებშიც გვაქვს და მესამისაშიც; რაკი მესამე კლასში **-ცა-** დაბოლოებაც მოგვეპოვება, შეიძლება კაცს ეფიქრა, **ლ'** მეორე კლასისთვის ხომ არ იყო ძირითადიო. მაგრამ, თუ ასეა, როგორ აღმოჩნდა ის III კლასში? გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ნივთის კლასი ხუნძურს ორი ჰქონდა, და ბუნებრივია **-ლ'** და **-ცა** ამ ორი კლასისა ყოფილიყო.

კლასებთან კავშირი არა ჰქონია.

მთის კავკასიურ ენებში კი ვითარება სხვაგვარია: „ქალი“ გამოიყო ცალკე გრამატიკულ კლასად; ეს მოხდა უფრო გვიან, ვინემ პირველი გრამატ. კლასი და ნივთის კლასი (თუ კლასები) ჩამოყალიბდებოდა: მხოლოდ ასეთ პირობებში იყო შესაძლებელი მეორე გრამატიკულ კლასს ნივთის კლასის ნიშანი გამოეყენებინა, ნივთის ერთ-ერთი კლასის დაბოლოება ერგატივისა მოეხმარა.

მაგრამ — რატომ ნივთის კატეგორიის ნიშანი და არა პირველი კლასის მაჩვენებელი? რატომაა ერგატივში **ლ** და არა **-ს** (I კლასისა)? იმიტომ, რომ I კლასთან მორფოლოგიური კავშირი გაწყვეტილია. აქ ვერ შევჩერდებით იმის ვრცლად განმარტებაზე, თუ რა უნდა წარმოადგენდეს ამ მორფოლოგიური ფაქტის სოციალურ ეკვივალენტს (ამას სხვაგან დავუბრუნდებით). ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ამაში უნდა მოჩანდეს ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, და, მაშასადამე, მეორე გრამატიკული კლასის („მდედრ. სქესის“) გამოყოფის პროცესი მატრიარქატის ხანას ვერ დაუკავშირდება: მაშინ ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა. ამას გვეუბნება მთის კავკასიურ ენათა მორფოლოგია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 5.2.1942)

Академик АРН. ЧИКОБАВА

К ГЕНЕЗИСУ ВТОРОГО ГРАММАТИЧЕСКОГО КЛАССА В ГОРСКИХ КАВКАЗСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В кавказских языках налицо грамматические *классы* имен (а не роды); это касается и тех языков, где, казалось бы, деление по классам («разум.», «неразум.») осложнено делением на роды – муж., жен. (напр., абхаз. яз.): о родах неуместно говорить во всех случаях, где это касается лишь класса человека («личности»), но не распространяется на мир животных.

Таким образом, мужской и женский роды суть первый и второй грамматические классы.

Второй грамматический класс в горских кавказских языках выделился после I и III (IV) грамматических классов.

Это доказывается тем, что:

а) показатель II грам. кл. *j* в аварском и андийском языках не что иное, как фонетический вариант *r*, – показателя IV класса;

б) показатель II грам. кл. *d* // *r* в даргинском и лакском яз., а также показатель *j* в чеченском, ингушском и бацбийском языках и поныне совмещают в себе функции показателя класса вещей (III, IV кл.).

с) равным образом в окончании авар. эргатива *l'ə* совмещены II и III грам. классы (*do-j* «она», *do-b* «оно» – эрг. *dol'ə* ... *hiṭina-j* «маленькая», *hiṭina-b* «маленькое» – эрг. *hiṭina-l'ə*... *l'ə-sa* – явление вторичное!), причем *l'ə* должен быть признан окончанием класса вещей, как и *-sa* (два окончания эргатива для двух классов вещей!).

д) в картвельских языках, где пережиточно фиксируются: показатель I кл. *m-* (идентичный *s*, *v*, показат. I кл. гор. кавказ. яз.), а также – показатели класса вещей *v*, *r*, (*b*), нет никаких следов II грамматического класса: класс человека («личности») здесь остался недифференцированным.

Выделение II грам. класса не может быть увязано с эпохой матриархата: оно свидетельствует о резком ухудшении социального положения женщины.

Академия Наук Грузинской ССР
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა – ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942.
2. Н. Я. Марр. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварит. сообщением о родстве грузин. яз. с семитическими. СПб. 1908. = Избр. раб. I.
3. ივ. ჭავჭავაძე. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937.
4. A. Dirr. Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen. Lpz. 1928.
5. G. Dumézil. Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord. Paris, 1932.
6. გუგეივი, ხუმფაროვი და ჩენთიევა. ჩაჩნური ენის გრამატიკა. გროზნო, 1940 (ჩაჩნ. ენაზე).
7. ოზიევი, ოზდოევი და ბეკოვი. ინგუშური ენის გრამატიკა. გროზნო, 1939 (ინგუშ. ენაზე).
8. მ. საიდოვი, ხუნძური ენის სახელმძღვანელო, ნაწ. II. მახაჩყალა, 1938 (ხუნძ. ენაზე).
9. П. Услар. Аварский язык, Тифлис, 1888.
10. არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. — ენიკის მოამბე I. 1937.
11. П. Услар. Чеченский язык, Тифлис, 1888.
12. Л. И. Жирков. Грамматика даргинского языка, Москва, 1926.
13. П. Услар. Лакский язык, Тифлис, 1890.
14. ვარ. თოფური. გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში. — ენიკის მოამბე, XII, 1942.
15. არნ. ჩიქობავა. ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში. — ენიკის მოამბე, XII, 1942.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში

სახელთა ფუძის ანალიზის შედეგად ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვეჩვენებინა, რომ ქართველურ ენებში ძველად გაირჩეოდა ორი გრამატიკული კლასი: **ადამიანისა** (პიროვნებისა) და **ნივთისა**.

პირველის ნიშანი იყო **მ** (**მ**-ეგვბტ-ელ-ი... **მ**-თავ-არ-ი... **მ**-ტბ-ევ-არ-ი...)

მეორისათვის გვქონდა: **ს-**, **ლ-** (← **ნ-**), **დ-**, **რ-**, **ბ-** (ძვ. ქართ. **ს-**ძე, სვან. **ლგ-ჯე** „რძე“, ჭან. **ნე-კნა** „კარი“, ძვ. ქართ. **და-თვ**, ზან. **დი-შქა** „შეშა“, **რო-კაპ-**, **ბა-ვშე-ი...** [1, § 110, გვ. 257-261].

შეიძლება თუ არა ამ ფორმანტებს დავუძებნოთ ეტიმოლოგიური ახსნა ქართველურ ენათა სინამდვილეში?

დავიწყოთ ნივთის კატეგორიის აფიქსებით.

სა- პრეფიქსი უნდა იყოს დაკავშირებული **სა-** ფუძესთან. რაღა **სა-**? ნ. მარის აზრით ესაა „კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელური ფუძე, რომელიც შენახულა შემდეგს ფორმებში: **სა-**და (→ ვულგ. **სა-**დ)... დიალექტ. ***სა-ნა**, აქედან **სა-ნა-მ** [2, გვ. 20].

თავის მხრივ — **სა** || **რა**; ნ. მარი შენიშნავს: ფუძე **რა** მერმინდელია, ნარნარა **რ** ცვლის თავდაპირველ **ს-ს...**, რაც თავის მხრივ სპირანტულ შტოში იქცეოდა ჰ-დ: **სა** — ***ჰა** [3, §124, **ბ**, გვ. 103].

ს- პრეფიქსი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ამ **სა-** ფუძეს, რომელიც, ჩვენი ვარაუდითაც, ფუნქციონალურად **რა-ს** სინონიმია. ამდენად, **სა-ს** განმარტება, როგორც ნაცვალსახელური ფუძისა, და **სა-ს** მიჩნევა **რა-** ნაცვალსახელის ფუნქციურ ეკვივალენტად ნ. მარის მიერ ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება.

ოდონდ ნ. მარი განასხვავებს ამ **სა-** ფუძისაგან **სი-**ფუძეს: **სი-**დედრ-ი, **სი-**მამრ-ი, **სი-**ძე და **სი-**ტყუა-დ-ს **სი-**ს, აგრეთვე **სა-**ქმეც-ს **სა-**ს. პირველთა **სი-**ს შესახებ ნ. მარი წერს: „**ს** — ნარჩენია უცნობი ძირისა, რომელიც შემოგვენახა **სი-**ს სახით რთულ სიტყვებში“...

სიტყუად, საქმც-ს **ს-**ს შესახებ ვკითხულობთ: „**ს** ძირეული (თანხმოვნითი) ელემენტია ვერსიათა პრეფიქსებისა ნაზმნარ სახელებში“ [2, გვ. 21].

ჩვენთვის ყველაზე აქ ერთი და იგივე ოდენობაა, ყველა ამ ფუძეთა **ს** მომდინარეობს **სა-** ფუძისაგან და **რა-ს** მნიშვნელობისა ეტიმოლოგიურად:

ბუნებრივია, რომ იგი ნივთის გრამატიკულ კლასზე მიუთითებდეს.

სა რომ მნიშვნელობით რა-ს ეტოლება, ამაში გვარწმუნებს ჭანური; აქა გვაქვს:

ხოფ. **სო** „სად“

„ **სო**-ნ-ურ-ი „სადაური“ || **სო**-ქ-ელ-ე „საიდან“

ათინ. **ნა**-ქ „სად“

„ **ნა**-ქ-ონ-ური „სადაური“ || **ნა**-ქ-ელ-ე „საიდან“

„ **ნა**-კო „რამდენი“ || ჰა-კო „ამდენი“ ჰე-კო „იმდენი“

ხოფ. **მუ**-კო „რამდენი“, ზედმიწევნით: „რა ერთი“ (გურ. „რეთი“),
მდრ. მეგრ. კო-როცხუ-ა „თვლა“, ზედმიწ.: „ცალ-რაცხვა“...

ნა-მუ „რომელი“; გვხვდება ჭანურშიც, მეგრულშიც.

ნა-და „რომელი“, იხმარება ათინურშიც; მისი მრავლობითია

ნა-ნი [4, §19, გვ. 85].

ყველგან: **ნა** = **მუ** = **სო** (ქართ. **სა**) = ქართ. **რა**.

ზემოხსენებული ადასტურებს იმასაც, რომ მნიშვნელობით **სა** = **რა**,
და იმასაც, რომ **ნა** = **რა**.

ნა ჭანურში დამოკიდებული წინადადების კავშირით: **ნა**- „თუ“, „რომ“

ფაცხა-**ნა** უღუტუ, მორდერი კონალი დოწოფხუ — ჭტ II 92₁₂ ფაცხა რომ
ჰქონდა, დიდი ოთახი გააკეთა

ცხენის-**ნა** მობუნ, მუდა ონუ — ჭტ II 89₃ ცხენს რომ კილია, რა არის?

ნოშქეი გამაჩამ-**ნა**, ვიტოხუთ კაპილი მექჩამთ — ჭტ II 89₁₅ ნახშირს თუ
გაყიდი, ხუთმეტ კაპიკს მოგცემთ

ხოშაკალი მოხთას-**ნა**, თუთუნი ბიწასენ — ჭტ II 69₂₁ სეტყვა თუ მოვიდა
(რომ მოვიდეს), თამბაქოს დაგლეჯს...

კოდნი ქონუ-**ნა**, ქჩინიქ შქუ მიწვანერე — ჭტ II 89₃₈₋₉₀₁ ცხვარი თუ არის,
მოხუცი ჩვენ გვეტყვის.

ნოშქეი გამაჩამ-**ნა** „ნახშირს თუ გაყიდი“; მეგრულში აქ გვექნებოდა:
ნოშქერს გიმოჩანქე-**და**: -**ნა**-ს ადგილს იკავებს -**და**.

ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: ქართ. სა-**და** („სადა-ა?“), მაგრამ:
სა-**ნა**-მდის¹. **მა-ნ-და**, დიალ. **მა-და** || ***მანა** (მა-ნ-და — ამათი კონტამინა-
ცია უნდა იყოს): მაგრამ: მა-ნა-მდის...

ნა- კავშირის ფუნქციით ძვ. ქართულში **რა** გვევლინება:

...**იხილა რად** უკუე ერთან მან: დაუკვრდა... ჰადიშ. ტაბ. 18_{a1} (მთ 9₃)

... **ამას რად** ეტყოდა მათ: აჰა მთავარი ვინმე მოუწდა... იქვე, ტაბ.
18_{b2} (მთ 9₁₈)

...და **მირადხუდეთ**. ქადაგებლით და იტყოდეთ... იქვე, ტაბ. 20_{a1} (მთ 10₇)

¹ ილ. მაისურაძის ცნობით მესხურში მას დადასტურებული აქვს სა-რა-მ: რა || ნა...

... **ხ** **ესმა რად** ესე ი¹ვს დაუკურდა... იქვე, ტაბ. 16_{ა2} (მთ 810)

...**მორადუკვე**: **ვიდეს**: მეათერთმეტისა მის ჟამისანი: იგი მიიღეს თითოდ სატირი... იქვე, ტაბ. 42_{ბ1} (მთ 209)

რა- ისევეა აქ კავშირი, როგორც ჭანურში **-ნა**:

იხილა რად = რომ დაინახა... ამას რად ეტყოდა = ამას რომ ეუბნებოდა... მირადხუდეთ = რომ მიხვიდეთ... მორადუკვე ვიდეს = რომ უკვე მოვიდენ... ესმა რად ესე = ეს რომ გაიგონა...

ჭანურად ეგვეფ ფრაზები ასე გამოითქმოდა:

ნა ქოძირუ... ჰადა-**ნა** უწუმერტუ... მეხთათ-**ნა**... **ნა**-ქომოხთეს-ჭკულე... ჰადა **ნა** შიგნუ...¹

როგორც ვხედავთ, **რა**-ს ადგილი ისევე ცვალებადია, როგორც **ნა**-სი: შეიძლება ზმნას მოსდევდეს, შეიძლება წინ უძღოდეს... ძვ. ქართულში ზმნის შეგნითაც შეიძლება მოექცეს (მი**რა**-**ხ** უდეთ...: (არსებითად ესაა აფხაზური ზმნისთვის დამახასიათებელი მოვლენა). ამჟამად ჭანურში ამას ადგილი არა აქვს.

ნივთის კატეგორიის ფორმანტები ეტიმოლოგიურად, როგორც ვნახეთ, უკავშირდებიან რა ნაცვალსახელს, რაიც სავსებით ბუნებრივია.

სა-, **ნა**-, **რა**- მნიშვნელობით ერთი და იგივე ოდენობაა, ოღონდ სხვადასხვა დიალექტობრივი თუ ენობრივი წრისა.

ამათგან **სა**-**ქართული** წრის ერთ-ერთი დიალექტის კუთვნილება ჩანს; **ს**- ფორმანტს ნივთის კატეგორიისათვის იყენებდა ქართული, როგორც ეს ნაწარმოებ სახელთა ანალიზიდან ჩანს. ფუძეთა წარმოებაში **ს**- პრეფიქსი დიდ მასივს ქმნის ქართულში.

ანალოგიურ დასკვნებამდის მივყავართ ბრუნებისა და უღვლილების ფაქტებს (ამაზე — ცალკე).

ნ- ქართულში — სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში შედარებით უფრო იშვიათია, ვინემ **ს**-, მაგრამ მიმდევობაში ფართო გამოყენება აქვს, მასთან ისტორიულად წინ უსწრებს **ს**-ს. ამასვე გვაფიქრებინებს ბრუნება-უღვლილების ანალიზიც.

ნ-ს ბგერინაცვალ **ლ**-ს სვანურში ისეთივე ხვედრი წონა აქვს, როგორც **ს**-ს ქართულში.

ნ- ფორმანტი სვანურშიც გვაქვს და **ლ**-ზე ძველია: **ნ**- ქართულში **ს**-ს უსწრებს და სვანურში **ლ**-ს.

ნა-ს პარალელურად **და**-ს არსებობა ზოგ ზმნისართში (სა-ნა-მდის

¹ აქედან ჩანს, რომ იხილა-რა ტიპის წარმოება უცხო ენათა ზეგავლენით, ამ ენათა აბსოლუტივის გამოსახატავად, არ შეიძლება იყოს ქართულ სალიტერატურო ენაში განვითარებული: იგი ჭანურსაც ახასიათებს და ძველის ძველი მონაცემია ქართველური ენებისათვის.

სა-და-მდის, მა-ნა-მდის, მაგრამ **მა**-და || მა-ნ-და). აგრეთვე **-და** კავშირი მეგრულში, ქართულში (დოცვიდლუ-და, დოცვილას! მოკლა-და, მოკლას), **დ-** ექსპონენტის წყაროდ **და-** (=რა)-ს გვაგარაუდებინებს. **დ-**ფორმანტი ბრუნებასა და უღვლილებაშიც მნიშვნელოვანს როლს ასრულებს, მასთან **ნ-**ზე უფრო ძველი ჩანს.

ეს ფორმანტი ქართველურ ენებსა და მთის კავკასიურ ენებს საზიარო აქვს.

ამჟამად **ვინ-** ნაცვალსახელს უპირისპირდება **რა**. ეს უკანასკნელი ან ფონეტიკური სახეცვლაა **და-** || **ნა-**სი (ნ. მარის აზრით **სა-**სი [3, გვ. 103]) ანდა, თუ პირველადი სახითაა დაცული, ქართველურ ენათა წრის კუთვნილებად მას ვერ დავსახავთ: **რ** თანხმოვანი თავკიდურად ამ ენებს ეუცხოებათ (ყოველ შემთხვევაში ქართულსა და ზანურს). რ-ძე ← ს-ძე... რო-კაპ-ი ← ნო-კაპ-ი || დო-კაპ-ი?

ერთ-ერთ ქართულს ფენაში **რა**-ს მნიშვნელობით **მა**-ც იხმარებოდა: ამ **მა**-ს კანონზომიერი ვარიანტია ზანური **მუ** (→მო) „რა“. თვით ეს **მა**-დაუცავს სვანურს: **მმა** „რა“.

ნივთის კატეგორიის სათანადო ექსპონენტი **-მ-** ქართველურ ენებში თითქოს არა გვაქვს. ეჭვს იწვევს ოღონდ **ბ** (ბა-ვში...): ხომ არაა ეს **ბ** ← **მ**? **ბ** ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებაში იშვიათია; სახელთა ბრუნებაში კი ანგარიშგასაწეგია (მრავლობითს აწარმოებს), ზმნაშიც სუფიქსად გვევლინება. მაგრამ ეს **ბ** ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით ახალი ფორმაციისა ჩანს. **მა** ნაცვალსახელი კი — ზანურისა და სვანურის ჩვენების მიხედვით — ამას არ გვაგარაუდებინებს. ამიტომ ვწერდით „**ბ** შეთვისებული ჩანს მთის კავკასიურ ენათაგანაო“ [1, გვ. 259]. ახლაც ასე გვეფიქრება. საბოლოო დასვნა ქართველურ ენათა ბრუნება-უღვლილების ანალიზის შემდეგ შეიძლება იქნეს მოცემული.

ადამიანის (პიროვნების) კატეგორიის ნიშანი ყველა ქართველურ ენაში ერთი და იგივეა: **მ**. როგორია მისი ეტიმოლოგია? **მ** უნდა მომდინარეობდეს **მე**-საგან. სემასიოლოგიურად ეს საგსებით ბუნებრივია: მეობა ადამიანს აქვს (და არა პირუტყვს ან ნივთს).

ეს **მ** იგივეა, რაც მთის კავკასიურ ენათა **ვ** (ამჟამად გამოყენებული ადამიანთა მამრობითი სქესის აღსანიშნავად, რაიც მეორეულია: თავდაპირველად ეს ნიშანი, საერთოდ, ადამიანის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, გაუდიფერენცირებლად [5. გვ. 376-9]).

ვ ← **მ** თუ პირუკუ: **მ** ← **ვ**?

ეს საკითხი სარკვევია; როგორადაც გადაწყდეს იგი, **მ**-ს ეტიმოლოგიაზე, ზემოთ რომ ვაჩვენეთ, ეს გავლენას ვერ მოახდენს.

რას იძლევა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ფორმანტების ეტიმოლოგია?

1. იგი ცხადყოფს, რომ ნივთის კატეგორიის ნიშანთა სიმრავლე ამ კატეგორიის დიფერენციაციით არაა გამოწვეული; ნივთის კლასი ერთია; ნიშნები (**ს-, ლ-, ნ-, დ-, რ-, ბ-**) ამ ერთ კლასზე მიუთითებენ, **მათ ერთი ეტიმოლოგია აქვთ**, ოღონდ სხვადასხვა დიალექტობრივი (თუ ენობრივი) წრიდან მომდინარეობენ [1, გვ. 259].

ამას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება (ნივთის) გრამატიკულ კლასთა ისტორიისათვის მთის კავკასიურ ენებში, სადაც ნივთის კლასი ერთზე მეტია.

2. ნივთის გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ხსენებული გაგება საშუალებას იძლევა დაისვას საკითხი **იმ დიალექტობრივ ფენათა შესახებ**, რომლებიც **ქართული სალიტერატურო ენის ფორმაციაში იღებენ მონაწილეობას** და გაირკვეს **მათი ისტორიული თანამიმდევრობა ამ პროცესში**.

3. ნივთის კატეგორიის ნიშანთა ეტიმოლოგიამ შეიძლება ერთგვარად გაგვირკვიოს ზოგი ხმოვნის რაობა, გრამატიკულ კლას-კატეგორიის ფორმანტებს რომ თანა სდევს. ამას სპეციალური განხილვა ესაჭიროება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 15.5.1944)

Акад. АРН. ЧИКОБАВА

ГРАММАТИЧЕСКИЕ КЛАССЫ В ИСТОРИИ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ И ЭТИМОЛОГИЯ КЛАССНЫХ ПОКАЗАТЕЛЕЙ

Резюме

В картвельских языках, как то было выяснено путем анализа древнейшей структуры именных основ, различались два грамматических класса: класс *человека (личности)* и класс *вещей*.

Первый представлен префиксом **მ- m-**.

Показателями второго служат префиксы:

ს- s-, ლ- l-, ნ- n-, დ- d-, რ- r-, ბ- b- [I, стр. 272—278].

Этимология означенных формантов представляется в следующем виде:

მ- m- восходит к личному местоимению I лица груз. მე- me- (зан. მა- ma-n, сван. მი- mi) «я» (ср. показат. I кл. **v-** в горских кавказских языках).

ს- s- ← **სა- sa-**, функционального эквивалента **რა- ra** «что» (Н. Марр); с другой стороны, в грузинском и занском яз. устанавливаются местоименные частицы **ნა- na**, **და- da-** синонимичные **რა- ra-** («что»).

Таким образом:

ს- s- ← **სა- sa-**

ნ- n- ← **ნა- na-**, в дальнейшем: **ნ- n-** → **ლ- l-**

ღ- d- ← **და- da-**¹, причем все означенные местоименные частицы (**სა- sa-**, **ნა- na-**, **და- da-**) значат **რა- ra** «что». Естественно, если соответствующие экспоненты выступают в роли показателей класса вещей.

Наличие ряда показателей для класса вещей – не выражение дифференцированности данного класса (пришлось бы признать шесть классов вещей!), а отображение сложности диалектального состава картвельских языков, в частности, тех из них, которые принимали участие в формировании грузинского литературного языка;

ს- s- основной показатель класса вещей для *грузинского* яз.;

ლ- l- » » » » » *сванского* яз.;

ნ- n- наличен и в *грузинском*, и в *сванском*, исторически соответственно предшествуя формантам **ს- s-** и **ლ- l-** (в частности, **ლ- l-** ← **ნ- n-**);

ღ- d- засвидетельствован во всех картвельских языках, причем в грузинском литературном языке им представлен древнейший слой.

Экспонент класса вещей **ღ- d-** общекартвельским и горским кавказским языкам.

Из вышесказанного следует:

а) *дифференцированность класса вещей*, так же как класса человека, явление *вторичное* и для *горских кавказских языков* [5];

б) наличие различных показателей для класса вещей в картвельских языках дает возможность датировать различные слои в формировании древнегрузинского литературного языка;

с) становится в некоторой степени понятным происхождение гласных, которые сопутствуют классным элементам.

Академия Наук Грузинской ССР
Институт языка акад. Н. Я. Марра
Тбилиси

¹ Само **რა- ra** «что» с начальным **რ** г не может быть признано достоянием груз. яз. если только **რ** г не результат трансформации другого согласного (**ღ d**, **ნ n**).

ციტირებული ლიტერატურა – ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
2. Н. Я. Марр. Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам евангелия Марка. Ленинград. 1925.
3. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград. 1925.
4. არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტები-თურთ), თბილისი, 1936.
5. არნ. ჩიქობავა. მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში. საქართვე. მეცნიერებ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, გვ. 373-380 (ნაკვ. 4).

გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში

(წინასწარი მოხსენება)¹

აქამდის ჩატარებული კვლევა-ძიებით ცხადი ხდება, რომ:

1. ქართველურ ენებში ძველად გარჩეული იყო ორი გრამატიკული კლასი: ადამიანისა (პიროვნებისა) და ნივთისა — ვინ-კლასი და რა-კლასი.

კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი იგივე იყო, რაც მთის კავკასიურს ენებში დასტურდება ამჟამად. ოღონდ ამ ენათაგან განსხვავებით არც ადამიანისა და არც ნივთის კლასი არ იყო დიფერენცირებული.

2. გრამატიკული კლასები აღინიშნებოდა პრეფიქსებით: ვინ-კლასი (ადამიანისა) — მ- პრეფიქსით, რა-კლასი (ნივთისა) — თავსართებით ს-, დ-, ლ-, ← ნ-, რ-, ბ-:

ვინ? მ-ევგუბ-ელ-ი, მ-ევრ-ელ-ი, მ-აჩაბ-ელ-ი, მ-როფ-ელ-ი, მ-ტბ-ევ-არ-ი, მ-აწყუე-რელი... მ-დაბ-ი-ო... მ-თავ-არ-ი... მ-დიდ-არ-ი...

რა? ძვ. ქართ. ს-ძე- (ახ. ქართ. რ-ძე), სვან. ლგ-ჯე... შეშა (←სე-შა), მეგრ. დიშქა... სი-სხლ-ი, ჭან. დი-ცხირ-ი... ძვ. ქართ. თ-თუე (←თჷთუე), მეგრ. თუ-თა (←დუ-თა), სვან. დო-შდულ „მთვარე“... სვან. დგ-თხელ „თხელი“, ჭან. თუ-თხუ... მ-ტ-კუარ-ი ← მ-დ-კუარ-ი²... ქართ. ნი-კაპ-ი... ბა-გ-შე-ი ← ბაშე-ი...

ამ ფორმანტების (პრეფიქსების) უმეტესობას (ს-, ნ-, რ-, ლ-, დ-... მ-) ეტიმოლოგია შეიძლება მოგუბოვოთ ქართველურ ენებში. [1].

3. როცა გრამატიკული კლასები, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, მოიშალა, სათანადო პრეფიქსები უფუნქციო აღმოჩნდა.

ეს უფუნქციო პრეფიქსები ან დაიკარგა, ან ფუძეს შეეზარდა ანდა შემოგვრჩა, როგორც ფორმანტი, ფუნქციის შეცვლით.

¹ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XV სამეცნიერო სესიაზე 1944 წლის 29 თებერვალს. იბეჭდება ნაწილი, ისიც შეკვეცით.

² მ- ფონეტიკური დანართია.

პრეფიქსი **დაიკარგა**: ძვ. ქართ. **მ**-ეგვპტ-ელ-ი, — ახ. ქართ. ეგვიპტ-ელ-ი...

პრეფიქსი **ფუძის შეეზარდა**, მოხდა სიტყვის შედგენილობის გადაანალიზება (მეტაანალიზი): მეგრ-ელ-ი, მაჩაბ-ელ-ი... რძე... შეშა... მეგრ. დიშქა... ნიკაპ-ი... მტკუარ-ი... სვან. დომდულ...

ფორმანტი შემოგვენახა ფუნქციის შეცვლით, — მოხდა ფორმანტის რეინტერპრეტაცია, სიტყვის შედგენილობის გაგება კი წინანდელი დარჩა:

ძვ. ქართ. **მე**-ზუერ-ე — **სა**-ზუერ-ე... **მე**-რწყ-ულ-ი — **სა**-რწყ-ულ-ი
 ახ. ქართ. **მე**-ხრ-ე — **სა**-ხრ-ე... **მე**-ქათმ-ე — **სა**-ქათმ-ე...

ვინ- კატეგორიის პრეფიქსი პროფესიის აღმნიშვნელადაა ამჟამად მიჩნეული (მე-ბალ-ე, მე-ხრ-ე, მე-ქათმ-ე), **რა**- კატეგორიის პრეფიქსი — ადგილისა თუ დანიშნულების მაჩვენებელიაო, ვამბობთ (სა-ქათმ-ე, სა-ბალ-ე...).

მ-ჭამ-ელ-ი, **მ**-სმ-ელ-ი — **სა**-ჭმ-ელ-ი, **სა**-სმ-ელ-ი: **მ**- მოქმედებითი გვარის მიმღობის საწარმოებლადაა გაგებული, **სა**- — ვნებითისად. ამრიგად, ადამიანის აღმნიშვნელი წარმოება მოქმედებითი გვარისად იქნა გააზრებული, ნივთის აღმნიშვნელი — ვნებითი გვარისად, რაიც სავსებით კანონზომიერია: ადამიანი — აქტიური, ნივთი — პასიური.

4. იქ, სადაც ფუნქციის შეცვლით, ერთი კლას-კატეგორიის წარმოება შეგვრჩა, ესაა — **ნივთის კლას-კატეგორიისა და მას ენიჭება ზოგადი მნიშვნელობა**: ს-ვლა, სვან. **ლი**-ზი ნივთის კლასის რაიმე საგნის (მაგალითად, ცხოველის, წყლის...) მოძრაობას კი არ ნიშნავს, არამედ ესაა, საერთოდ, ს ვ ლ ა იმისდა მიუხედავად, საქმე ეხება ნივთს თუ ადამიანს.

განზოგადებული მნიშვნელობით ნივთის კლას-კატეგორიის გამოყენება შემთხვევითი არაა; პირიქით, ესაა **გრამატიკული კლასების ევოლუციის ძირითადი პრინციპი** მთის კავკასიურ ენებშიც (მაგალითად, ხუნძ. რ-ოტჰი „სიყვარული“, რ-ეც- „ქება“ თავდაპირველად ნივთის კლასის, სახელდობრ, მეოთხე კლასის საგნებს გულისხმობდა სიყვარულის, ქების საგნად; ამჟამად, მათ განყენებული მნიშვნელობა აქვთ).

როგორც დავინახავთ, **ჩვენი საკითხის თვალსაზრისით სწორედ ეს პრინციპია გასათვალისწინებელი.**

სახელისაგან სახელის წარმოება, ზმნისაგან სახელთა წარმოება ქართველურ ენებში, გრამატიკული კლას-კატეგორიის გარჩევას თვალსაჩინოდ გამოგვივლენს [2]. ახლა საკითხი ასე დგას: **როცა ქართველურ ენებში გაირჩეოდა გრამატიკული კლასები, უნდა ყოფილიყო თუ არა ეს ასახული ბრუნებაში და თუ კი, — რავგარად?**

საანალიზოდ ვიღებთ ქართული ენის, სახელდობრ, ძველი ქართული ენის ფაქტებს. თავის დროზე შემთხვევა გვქონდა ალგენიშნა [3], რომ ქართულის ბრუნვათა შორის უნდა განვასხვავოთ **ორი ტიპის** მორფოლო-

გიური ოდენობანი: **ა.** მარტოოდენ მსაზღვრელ-ნაწილაკიანი ბრუნვები: **სახელობითი** და **მოთხრობითი**; **ბ.** ბრუნვის ნიშნისა და მსაზღვრელი ნაწილაკის მქონე ბრუნვები: **ნათესაობითი, მოქმედებითი, მიცემითი, გარდაქცევითი.**

ეს ორი ტიპი ასახავს განვითარების ორ საფეხურს: ოდენ მსაზღვრელნაწილაკიანი ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი) უახლესი ფორმაციისაა, მასთან მოთხრობითის ჩამოყალიბება უსწრებს სახელობითისას ([4], გვ. 179).

ბრუნვათა მეორე წყება (ნათესაობითი, მიცემითი...) შეუდარებლივ უფრო ძველია ([3], 622).

ცხადია, ჩვენი საკითხისათვის უნდა მივმართოთ ამ ძველი ფორმაციის ბრუნვებს. ჩვენ ვიღებთ ნათესაობით ბრუნვას.

ნათესაობითის ნიშანია ძვ. ქართულში **-ის** (კაც-**ის**); მსაზღვრელი ნაწილაკი **-ა** (კაც-ის-**ა**) მხედველობაში აქ არ მიიღება: ადამიანის სახელებს ძვ. ქართულში ეს ნაწილაკი არ მოუდიოდა: დავით-**ის** (და არა: დავით-ის-ა).

ნათესაობითის ძირითადი ფუნქცია კუთვნილების გამოსახვაა. ამ ფუნქციით აღებული ქართული ნათესაობითი შეპირისპირებული იქნება **ანდიური ენის** ნათესაობითთან და **აფხაზური ენის შესიტყვებასთან**, რომელსაც კუთვნილების გამოსახვა ეკისრება.

აფხაზურს ბრუნება არა აქვს: **ნათესაობითი არ გააჩნია**, მაგრამ **გრამატიკული კლასები მოეპოვება; ქართულს ბრუნება აქვს, მაგრამ გრამატიკული კლასების გარჩევა მოშლილი აქვს** ჯერ კიდევ ძველს ქართულ სალიტერატურო ენაში. **ანდიურს გრამატიკული კლასებიც დაცული აქვს და ბრუნებაც მოეპოვება**, მასთან ნათესაობითში და მიცემითში ბრუნვის ფორმანტები გრამატიკული კლასების მიხედვით ცვალებადია:

იმა „მამა“; ნათეს. „მამის“ იქნება: იმ-**უ-გ**, იმ-**უ-ფ**, იმ-**უ-ბ**, იმ-**უ-რ**

მიცემ. „მამას“ — იმ-**უ-ფ-ო**, იმ-**უ-ფ-ო**, იმ-**უ-ბ-ო**, იმ-**უ-რ-ო**

ასე მაგალითად: იმ-**უ-გ** ვოცი „მამის ძმა“, „ბიძა“

იმ-**უ-ფ** დოცი „მამის და“, „მამიდა“

იმ-**უ-ბ** კოტუ „მამის ცხენი“

იმ-**უ-რ** ხუჩა „მამის წიგნი“ ([5], გვ. 9).

ანდიურ ნათესაობითს პარალელური ფორმებიც გააჩნია: „მამის“ — იმა-შ-**უ-გ**, იმა-შ-**უ-ფ**, იმა-შ-**უ-ბ**, იმა-შ-**უ-რ**. როგორც ვხედავთ, ესეც კლას-ნიშნისანი ვარიანტებია; განსხვავებას ქმნის სიტყვის ის ნაწილი, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის; პირველ შემთხვევაში ესაა ფუძე (სახელობითი: იმა — იმ-**უ-გ**..), მეორეში — ერგატივი (იმა, ერგ. იმა-შ-**უ-გ**). ორივე ვარიანტისთვის საერთოა **უ**-სუფიქსი და კლას-კატეგორიათა ნიშნები (**-გ**, **-ფ**, **-ბ**, **-რ**).

რაზე მიუთითებს ეს ნიშნები? იმ სახელის კლასზე, რომელსაც ნათესაობითი განსაზღვრავს — **ვინაა** თუ **რაა** მამისეული — „ძმა“, „და“, „ცხენი“, „წიგნი“... ამრიგად, **კლას-ნიშნები საზღვრულისაა**¹.

კლას-კატეგორიის ნიშანს წინ უსწრებს **უ** (და **ი**) ხმოვანი, იმ-უ-ვ (დ-ი-ვ). შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს ხმოვნები იყოს „საკუთრივ ბრუნვის ნიშანი“.

მაგრამ ეს **-უ (-ი)** ბრუნვის ნიშანი ვერ იქნებოდა; იგი მიცემითშიც გვაქვს და სახელობითშიც; მაგრამ იგი ფუძის კუთვნილებაც ვერ იქნება: იმა-შ-**უ**-ვ ტიპის წარმოებაში **-უ** მოსდევს ერგატივის ფორმანტს (**-შ**).

საფიქრებელია, რომ წარმოშობით ეს ხმოვნებიც გარკვეულ სახელებზე მიუთითებდა, სახელობრ, მსაზღვრელზე. მაგრამ ეს ნაწილაკები ხომ მსაზღვრელს დაერთვის! რაღა საჭირო იყო მასზე მითითება?

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველად ეს **-უ (-ი)** მსაზღვრელს კი არ დაერთვოდა, არამედ **საზღვრულს უძლოდა წინ**, როგორც ეს ამჟამად გვაქვს აფხაზურში. ასეთ შემთხვევაში საზღვრულის კლას-ნიშანი არ იყო საჭირო: თვით ეს საზღვრული იყო წარმოდგენილი **in concreto**. და ეს ნიშნავს: **ბრუნება ჯერ კიდევ არ გვექონდა**.

შლრ. აფხაზ.	ააბ	ი-ეშაა,	„მამის ძმა“	(„მამა მისი ძმა“).
	ახაწა	ი-ხგ	„მამაკაცის თავი“	(„მამაკაცი მისი-თავი“)
	აფჰაგს	ლ-ხგ	„ქალის თავი“	(„ქალი მისი თავი“)
	ალა	ა-ხგ	„ძალის თავი“	(„ძალი მისი თავი“) [6].

აფხაზურში კუთვნილებაა ნაჩვენები ფორმანტით; ეს ფორმანტი საზღვრულთანაა და მსაზღვრელის კლასზე მიუთითებს (ვისია თავი? მამაკაცისა, ქალისა, ძალისა).

რა გვაკლია, რომ მივიღოთ ბრუნვა, კუთვნილების გამომხატველი ნათესაობითი ბრუნვა? საზღვრული უნდა იყოს ნაჩვენები **in abstracto** და საამისო ფორმანტები მსაზღვრელს დაერთოს (ახაწა-ი, აფჰაგს-ლ: ალა-ა...). მაგრამ როგორც კი მსაზღვრელისკენ გადაინაცვლებს ეს კუთვნილებითი ნიშნები, ბუნებრივად განზოგადდება (მსაზღვრელი აკი მოცემულია). საჭირო იქნება **საზღვრულის კლასის** ჩვენება. აქ უკვე გვექნება ბრუნვა, კონკრეტული კლას-კატეგორიათა განმასხვავებელი ბრუნვა. ამის ნიმუშია ანდიური.

შემდგომი საფეხურია საზღვრულის კლასზე მითითების მოშლა. ერთ-ერთი **კლას-ნიშნის გამოყენება განზოგადებული მნიშვნელობით**.

¹ მიცემითს კლას-ნიშნები ეცვლება იმის მიხედვით, თუ რა სახელთანაა იგი მიმართებაში; ვთქვათ, წინადადებაში „მამას უყვარს — ძმა, და, ცხენი, წიგნი“ გამოყენებული იქნება მიცემითის ოთხივე ვარიანტი.

სწორედ ეს გვაქვს ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში; წინა, გარდამავალი საფეხურის ილუსტრაციას იძლევა ხუნძური).

რომ შევუპირისპიროთ ერთმანეთს აფხაზურის, ანდიურისა და ძვ. ქართულის ვითარება — კუთვნილების აღნიშვნის მხრივ — ასეთ სურათს მივიღებთ:

<p style="text-align: center;">←</p> <p>აფხ. ააბ ი-ეშა „მამის ძმა“</p> <p>(შდრ. აან ლა-ანშა „დედის ძმა“)</p>	}	<ol style="list-style-type: none"> 1. ფორმანტი ერთია: ი- პრეფ. — კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმანტი გარკვეული კლასისა. 2. ფორმანტი ახლავს საზღვრულს: უძღვის მას. 3. მიუთითებს მსაზღვრელის კლასზე: „ძმა“ სახელთანაა ნაჩვენები, ვისი ძმაცაა იგი.
<p style="text-align: center;">→</p> <p>ანდ. იმ-უ-ვ ვ-ოცი „მამის ძმა“</p> <p>(შდრ. იმ-უ-ა ა-ოცი „მამის და“)</p>	}	<ol style="list-style-type: none"> 1. ფორმანტი ორია: -უ-ვ... -უ-ა... 2. ორივე მსაზღვრელთანაა: მოსდევს მას — იმ-უ-ვ. 3. ერთი ფორმანტი — -უ — კუთვნილების აღმნიშვნელი ჩანს; მსაზღვრელისა უნდა იყოს. 4. მეორე ფორმანტი — -ვ — საზღვრელისაა: გვაჩვენებს, რა კლასს ეკუთვნის საზღვრული; იგი იცვლება საზღვრულის კლასთა შესაბამისად.
<p>ქართ. მამ-ი-ს¹ ძმა</p> <p>შდრ. მამ-ი-ს და</p> <p>მამ-ი-ს ცხენი</p>	}	<ol style="list-style-type: none"> 1. ფორმანტი ორია; 2. ორივე მსაზღვრელთანაა: მოსდევს მას — მამ-ი-ს. 3. ერთი ფორმანტი — ი- კუთვნილების აღმნიშვნელი ჩანს; მსაზღვრელისა უნდა იყოს. 4. მეორე ფორმანტი — -ს — ისტორიულად საზღვრულის კლასზე მიუთითებდა, ამჟამად განზოგადებულია და უფუნქციო ჩანს; წინამავალ -ი-სთან ერთად (-ი-ს) ბრუნვის ისეთივე ნიშანია, როგორცაა, სიტყვაზე, ლათინური -is (patr-is „მამისა“; ბგერითი მსგავსება აქ, რასაკვირველია, შემთხვევითია).

¹ **ი-** ხმოვანს ნათესაობითში, როგორც ნაცვალსახელურ ელემენტს, სხვადასხვა საბუთით, გამოყოფენ — ნ. მარი [7, 8], გ. როგავა [9] და უკავშირებენ მას სასუბიექტო ქცევის ნიშანს. გ. როგავა ადილურზე დაყრდნობით მიცემითისა და ნათესაობითის ფორმანტებში **-ს**- ელემენტის იგივეობასაც გახაზავს (ოლონდ მის ფუნქციაზე არას ამბობს) ([9], გვ. 500).

ქართული ნათესაობითის **-ს** ანდიური ნათესაობითის **-გ**-ს რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ ქართული **-ს** ალგებრაული ფორმულაა ყოველი საზღვრულისა, ანდ. **-გ** ფორმანტიც აგრეთვე, ოღონდ გარკვეული კლასის ფარგლებში.

ქართული **-ს** განყენებული და ზოგადია, ანდიური **-გ** კი — შედარებით უფრო კონკრეტული და კერძობითი შინაარსისა; მაგრამ ორსავე შემთხვევაში საზღვრული აღნიშნულია მორფოლოგიური საშუალებით.

ეს განასხვავებს ორივეს აფხაზურისაგან (ააბ ი-ეშა „მამის ძმა“). აფხაზურში **საზღვრული** მოცემულია ლექსიკურად, სათანადო სახელის ჩვენებით. ფორმანტით მისი შეცვლა არ ხერხდება. მსაზღვრელთან ურთიერთობა რომ აღინიშნოს, აფხაზური მაინც იყენებს ფორმანტს, მაგრამ ეს ფორმანტი საზღვრულთანაა მოქცეული, რომ აღნიშნოს, ვისია (თუ რისია) საზღვრული. ურთიერთობის **მორფოლოგიური საშუალებით გადმოცემის პირველი ნაბიჯი მაინც გადადგმულია.**

აფხაზური, ანდიური, ქართული — ბრუნვის წარმოქმნის ერთი და იმავე პროცესის განსხვავებულ სამ ეტაპს ააშკარავებს; მათგან უძველესი წარმოდგენილია აფხაზურში, უახლესი — ქართულში, ანდიურში — გარდამავალი საფეხური გვაქვს.

საინტერესოა ხუნძურის ჩვენება. როგორც ხუნძურ სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი ქართულისას მოგვაგონებს: **-უ-ლ, -ი-ლ** დაბოლოება ზოგადია ყველა მსაზღვრელისათვის: ინს-უ-ლ ვაც „მამის ძმა“, ინს-უ-ლ დაც „მამის და“... მიცემითს ბრუნვაშიც გრამატიკული კლასების სხვაობა არა ჩანს — არც სალიტერატურო ხუნძურში, არც დიალექტთა უმეტესობაში: ინს-უ-ღ-ე „მამა-ს“... ვაც-ს-ე „ძმას“, დაც-ლ-ღ-ე „დას“... შამილი-ღ-ე „შამილს“.

მაგრამ ხუნძური ენის ანწუხურს დიალექტში შენახულია ძველი ვითარება: მიცემითი ისევე განასხვავებს კლასებს, როგორც — ანდიური:

შამილი-ვ-ე, შამილი-ღ-ე, შამილი-ბ-ე, შამილი-რ-ე „შამილს“
 დი-ვ-ე, დი-ღ-ე, დი-ბ-ე, დი-რ-ე, „მე“, „მე“
 დუ-ვ-ე, დუ-ღ-ე, დუ-ბ-ე, დუ-რ-ე „შენ“, „тебе“.

ეს ფაქტი დადასტურებულია ილ. ცერცვაძის გამოკვლევაში ანწუხური დიალექტის შესახებ [10]: საამისო ვარაუდები წამოყენებული იყო ზოგ ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენ მიერაც [11].

მიცემითის ეს ჩვენება ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ხუნძურ ნათესაობითშიც ანდიურის მსგავსი მდგომარეობა უნდა გვექონოდა: ხუნძური ინს-**უ-ლ** („მამის“) იგივეა, რაც ანდ. იმ-უ-**რ**, ოღონდ იგი განზოგადებულია ყველა კლასისათვის; ასევე ხუნძური დი-**რ** „ჩემი“, დუ-**რ** „შენი“ იგივეა,

რაც ანდიური დი-რ, დუ-რ, ოლონდ აგრეთვე, განზოგადებული: მეოთხე კლასის, ნივთის კლასის, ფორმანტი **ზოგადი მნიშვნელობითაა** გამოყენებული. ამრიგად, აქ ევოლუციის ის საფეხურია წარმოდგენილი, რასაც ქართულმა მიაღწია (ოლონდ ძველი ვითარება მიცემითში ჯერ კიდევ ცოცხლობს ხუნძურის ანწუხურ კილოში, ქართულში ასეთი მოწმობა არ შემონახულა).

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და მამ-ი-ს ფორმა წარმოშობით ნივთის გრამატიკული კლასის მსაზღვრელია, ცხადია, უნდა გვექონოდა მეორე ვარიანტიც: ადამიანის კლასის მსაზღვრელი ნათესაობითიც; თეორიული ვარაუდით ეს იქნებოდა *მამ-ი-ვ.

ასეთი რამ არ დაუცავს ქართული ენის ისტორიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დმრთ-ი-ვ, იგურდ-ი-ვ, ირგვლ-ი-ვ, მარცხნ-ი-ვ, მარჯვნ-ი-ვ... ტიპის წარმოებას, რაიც მოქმედებითის სინონიმია: ღვთ-ით, გვერდ-ით, მარცხნ-ით, მარჯვნ-ით...

მოქმედებითი ისტორიულად ნათესაობითს უკავშირდება ისევე, როგორც გარდაქცევითი (მიმართულებითი) — მიცემითს.

მოქმედებითში და გარდაქცევითში **სიტყვაწარმოებითი** მომენტი უფრო იგრძნობა, ვინემ ნათესაობითსა და მიცემითში. მაშასადამე, ზოგადი პრინციპის თანახმად, **მოქმედებითი და გარდაქცევითი უფრო ადრე უნდა წარმოქმნილიყო, ვინემ — ნათესაობითი და მიცემითი.**

მოქმედებითი და გარდაქცევითი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძველი ფორმაციის ნათესაობითი და მიცემითია. ამას მხარს უჭერს თანხმონის ელემენტად -დ-ს გამოყენება ამ ბრუნვებში: მამი-თ ← მამ-ი-დ... მამა-დ ახლაც დ-ს ინარჩუნებს; მეგრ. მუმა-თ, დასავლურ ქართულ დიალექტებში მამა-თ უკვე თ-ს იძლევა ისევე, როგორც მოქმედებითში.

ეს -დ კვლავ ნივთის კატეგორიის ფორმანტისაკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას, ე. ი. „ძველი ნათესაობითი“ და „ძველი მიცემითი“ (ანუ მოქმედებითი და გარდაქცევითი) ისევ ნივთის კატეგორიის ფორმანტს შეიცავენ, მასთან — უფრო ძველს, ვინემ „ახალი ნათესაობითი“ და „ახალი მიცემითი“: -დ- ფორმანტის სიძველე ს- ფორმანტთან შედარებით ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის ისტორიის ყველა უბანში იგრძნობა.

ზემოთქმულის მიხედვით გრამატიკული კლასების გარჩევისას კუთვნილების გამომხატველი ფორმა, ნათესაობითი ბრუნვა, ვარიანტებიანი გამოდის:

მავ-ი-ვ „მამის ვინმე“ (მაგალითად: „მამის ძმა“, „მამის მეგობარი“...)

მამ-ი-ს

მამ-ი-დ || მამ-ი-თ { „მამის რამე“ (მაგალითად: „მამის ცხენი“ „მამის ქული“..)

ასეთი ვარიანტები (მამ-ი-დ || მამ-ი-ს — მამ-ი-ვ) უსწრებდა წინ ახლანდელ ნათესაობითს (მამ-ი-ს).

აქ ვერ შევჩერდებით ნათესაობით-მოქმედებითისა და მიცემით-გარდაქცევითის ისტორიულ ურთიერთობაზე ქართველური ენების (და აფხაზურის) ჩვენებათა მიხედვით. საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

წერილის მიზანი იყო გაერკვია: აისახებოდა თუ არა გრამატიკული კლასების არსებობა სახელთა ბრუნებაში? **ბრუნვის თანხმონითი ელემენტი**, საანალიზო შემთხვევაში, ნათესაობითის ფორმანტის **-ს**, წარმოშობით ნივთის გრამატიკული ნიშანი აღმოჩნდა. ამით გადაწყდა მიცემითის **-ს**-სა და მოქმედებით-გარდაქცევითი **-დ** → **-თ**-ს ისტორიული რაობის საკითხი; აქაც ნივთის გრამატიკული კლასის ექსპონენტი გვაქვს.

ძირითადი დასკვნები

1. ნათესაობითის **-ს** (მამ-ი-ს) გენეზისის მიხედვით უკავშირდება ნივთთა კლასის **-ს** პრეფიქსს. ამგვარად, ირკვევა, რომ გრამატიკული კლასების არსებობა აისახებოდა ბრუნებაშიც.

2. ამით პრინციპულად წყდება იმ თანხმონითი ელემენტების ბუნების საკითხი, რომელთაც მიცემითში, გარდაქცევითსა და მოქმედებითში ვხვდებით: მიცემითის **-ს** იგივეა, რაც ნათესაობითისა. გარდაქცევითის **-დ** (და მოქმედ. **-თ** ← **-დ**) კვლავ **ნივთის კლასის ფორმანტებია**, ოღონდ უფრო ძველი ფორმაციისა. ბუნებრივია, თუ ეს ძველი ფორმანტები შემოგვინახა „ძველ ნათესაობითსა“ და „ძველ მიცემითში“ (მოქმედებითსა და გარდაქცევითში).

3. თუ ბრუნებაში აისახებოდა გრამატიკული კლასების არსებობა, მით უფრო მოსალოდნელია, ზმნის უღვლილებაში უკუფენილიყო კლას-კატეგორია: პრინციპში ეს საკითხი დადებითად წყდება ამ თავითვე.

4. თუ აფხაზურს, ანდიურსა და ქართულს ბრუნვათა წარმოქმნის ერთი ისტორიული პროცესის საკვანძო მომენტებად დავსახავთ, გასაგები გახდება ისიც, თუ რატომაა კავკასიურ ენებში **ბრუნება სუფიქსური** მაშინ, როდესაც **უღვლილება არსებითად** პრეფიქსულია: **სუფიქსაცია**, როგორც ვნახეთ, აქაც **მეორეულია**; მას უსწრებდა **პრეფიქსაცია**: კუთვნილებითი ნაწილაკი **პრეფიქსად რომ იყო საზღვრულთან** (აფხ. ააბ ი-ეშა „მამის ძმა“), შემდეგ მოგვევლინა **სუფიქსად მსაზღვრელთან** (ანდ. იმ-უ-ვ ვოცი, მამ-ი-ს ძმა).

5. გრამატიკული კლასის ნიშანთა დადასტურება ბრუნვის ფორმანტებში არაა ინტერესს მოკლებული ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც, რამდენადაც აქ წარმოდგენილია ბრუნვათა წარმოქმნის ერთ-ერთი შესაძლო გზა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ნ. მარის სახელობის

ენის ინსტიტუტი

(რედაქციაში შემოვიდა 15.1.1946)

ციტირებული ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, №4, 1944.
2. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
3. არნ. ჩიქობავა. ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, №6, 1942, გვ. 619-623.
4. არნ. ჩიქობავა. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 167-133.
5. А. Дирр. Краткий грамматический очерк андийского языка. Тифлис. 1906.
6. ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის გრამატიკული ანალიზი (ხელნაწერი).
7. Н. Я. Марр. Где сохранилось сванское склонение? Изв. Рос. Академии Наук. 1911.
8. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград. 1925.
9. გ. როგავა. კუთვნილებითი აფიქსი -ი- ქართველურ ენათა ზმნის და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, №5, 1942.
10. ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, 1944 (საკანდიდატო დისერტაცია).
11. არნ. ჩიქობავა. ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში. ენიკის-მოამბე, XII, 1942.

გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში¹ (წინასწარი მოხსენება)

გრამატიკული კლასი სახელთა ჯგუფს წარმოადგენს. სახელთა დაჯგუფება სხვადასხვა ოჯახის ენებში სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. ასე, მაგალითად, ინდო-ევროპულსა და სემიტურ ენებში „სქესები“ (უფრო ზუსტად „გვარები“, **роды, genera**) არის გარჩეული: ორი „სქესი“ (მამრობითი, მდედრობითი — სემიტურ ენებში; ინდო-ევროპულთაგან, მაგალ., ფრანგულში), სამი „სქესი“ (მამრობითი, მდედრობითი, საშუალო — ინდო-ევროპულ ენებში: რუსულში, გერმანულში..., ძველ-ბეძნულში, ლათინურში).

ამ დაჯგუფებას საფუძვლად ინდო-ევროპულსა და სემიტურ ენებში რეალურ სქესთა გარჩევა არა სდებია: ისტორიულად ამოსავალი იყო „ცოცხალისა“ და „არაცოცხალის“ კატეგორიათა გარჩევა; „ცოცხალის“ დიფერენციაციამ მოგვცა „მამრობითი“ და „მდედრობითი“, „არაცოცხალს“ „საშუალო“ სქესი უდრის.

იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ნიშანდობლივია გრამატიკული კლასების გარჩევა. ძირითადია ორი გრამატიკული კლასი: ადამიანისა (ანუ პიროვნებისა) და ნივთისა, სხვანაირად: **ვინ**-კლასი და **რა**-კლასი. უკანასკნელში შედის ყველაფერი, გარდა ადამიანისა. თუ ენაში სქესებია გარჩეული, ცხოველისა და ნივთების სახელებს ყველა სქესში ვიპოვით (მაშასადამე, მამრობითშიც). თუ ენაში გრამატიკული კლასებია გარჩეული, ცხოველებისა და ნივთების სახელები შეუძლებელია იყოს **ვინ**-კლასში, მამაკაცის სახელებთან ერთად („მამრობითი“). ამ მხრივ ცნება „სქესი“ არსებითად განსხვავდება „კლას“-ცნებისაგან.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ადამიანის კატეგორიაცა და ნივთის კატეგორიაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული. გრამატიკული კლას-

¹ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIX სესიაზე 1945 წლის 18 დეკემბერს.

ავტორს განზრახული ჰქონდა აქ აღძრული საკითხი მონოგრაფიული წესით დაემუშავებინა. ეს განზრახვა დღემდე განუხორციელებელი დარჩა, ჯერ ერთი, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო და მერმე კიდევ, სასწრაფო სამუშაოების გამო (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და ზოგადი ენათმეცნიერების ხაზით). ავტორი ვარაუდობს, რომ საკითხს კვლავ დაუბრუნდება.

სების რიცხვი მხოლოდში შეიძლება ოთხამდე ავიდეს.

ქართველურ ენებში ამჟამად ადამიანისა და ნივთის კატეგორიები გაირჩევა სემანტიკურად: **ვინ-** კლასი და **რა-** კლასი, როგორც სემანტიკური კატეგორიები დღემდე ცოცხალია. მაგრამ ქართველურ ენათა მორფოლოგია ამ კატეგორიებს არ განარჩევს, თუ სადაურობის წარმოებას არ მივიღებთ მხედველობაში („კახელი“ — „კახური“... „მუშვან“ სვანი — „ლუშნუ“ სვანური).

ისტორიულად ქართველური ენები განასხვავებდნენ ორ კლასს: **ვინ-** კატეგორიასა და **რა-**კატეგორიას. ეს კატეგორიები პრეფიქსებით გადმოიცემოდა. **ვინ-** კატეგორიის ნიშანი იყო **მ-** (|| **ვ-**), **რა-** კატეგორიისა — პრეფიქსები: **დ-**, **ნ-** (→ **ლ-**), **ს-**, **რ-**, **ბ-**¹.

სხვაობას განსაზღვრავდა დიალექტური წრე და ისტორიული შემდგომადობა². მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში დღემდე დაცულია ყველა ის კლას-ნიშანი, რაც ქართველურ ენებში გამოიყო (გარდა ნივთის კატეგორიის **ს-** პრეფიქსისა). ასე, რომ გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გამოყოფის **პრინციპიცა** და **კლას-ნიშნებიც** ქართველურ ენებს საზიარო აღმოაჩნდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან:

ისტორიული მორფოლოგიის ამ ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობის დამადასტურებელ ფაქტს.

გრამატიკული კლას-კატეგორიები გამოიყო ქართველურ ენათა სახელებში: სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში და ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებში.

ნაწარმოებ სახელთა ანალიზმა ცხადყო, რომ გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ, სათანადო პრეფიქსის ბედი არ ყოფილა ერთგვარი.

აქ უნდა განვასხვავოთ ოთხი შემთხვევა:

1. მორფოლოგიური კატეგორია მოიშალა და შესაბამისი პრეფიქსიც დაიკარგა: შდრ. ძვ. ქართ. მ-ეგვპტელ-ი და ახ. ქართ. ეგვიპტელ-ი.

2. მორფოლოგიური კატეგორია მოიშალა, შესაბამისი პრეფიქსი ფუძეს შეუხორცდა, ფორმანტად არ იგრძნობა, ფუძისეულ კუთვნილებას წარმოადგენს: **მ-** — მეგრელ-ი (შდრ. ეგრისი), **მაჩაბელ-ი** (შდრ. აჩაბ-ეთ-ი)...

¹გრამატიკულ კლას-კატეგორიათა შესახებ დაწვრილებით გვაქვს ლაპარაკი მონოგრაფიაში: „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, 1942 (იხ. დასკვნა, გვ. 272-280).

² ამას ვეხებით წერილში: „გრამატიკული კლასები ქართველურ ენათა ისტორიაში და კლას-ნიშანთა ეტიმოლოგია“ — საქართ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, 1944, №4, გვ. 449-454.

ს- || რ-: ს-ძე — რ-ძე... ცეცხლ-ი, ცაცხვ-ი... (← **სე-ცხლ-ი; სა-ცხუ-ი** — ი. ყიფ-შიძე)... **ჯინჭველ-ი** (← **დი-ნჭველ-ი**, შდრ. ჭან. **დი-მჭკუ**)...

3. მორფოლოგიური კატეგორია მოიშალა, სათანადო ფორმანტი დარჩა ფორმანტად, ოღონდ ფუნქცია შეეცვალა: **მ-კერავ-ი — სა-კერავ-ი... მე-ხრ-ე — სა-ხრ-ე...** რეინტერპრეტაციის პროცესი ამ შემთხვევაში ხელშე-სახებია (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, სადაც ფუძის შედგენილობა გააზრებულ იქნა ახლებურად).

4. მორფოლოგიური კატეგორია მოიშალა, ფორმანტი დარჩა უფუნ-ქციოდ: **ს-ვლა** (შდრ. **ვლა**). ცხადია, ეს ფორმანტი ფუძესთან შესორცების გზაზე დგას. პროცესი დამთავრებული არ არის და ნათელი არ არის, რით განსხვავდება „სვლა“ „ვლა“-საგან.

კლას-კატეგორიათა მოშლასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი კანონზომიერებაც: როცა კლას-კატეგორიათა მოშლა იწყება და კონკრე-ტული საკლასო ვარიანტებიდან ერთი რჩება განყენებული ფუნქციით, ამ როლს ნივთის კატეგორიის ფორმანტი კისრულობს: **სიმაღლე**, **სირბილი** რა-კატეგორიის სახელებისა იყო (რის სიმაღლე? რის სირბილი? ხის სი-მაღლე, ცხენის სირბილი...).

ასევეა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც: **რეც-** „ქება“, **როტი** „სიყვარული“ — მეოთხე კლასის (ნივთის კლასის) ფორმებია, ამჟამად ზო-გადი მნიშვნელობის მქონე.

შეიძლებოდა თუ არა ქართველურ ენათა სახელებს გაერჩია გრამა-ტიკული კლასები, ხოლო ზმნის უღვლილებაში ეს კატეგორია არ ყოფი-ლიყო გარჩეული, არ ყოფილიყო ასახული? რასაკვირველია, არა.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენება ამას ეჭვმიუტანელს ხდის. აქ უნდა განვასხვავოთ სამი შემთხვევა:

1. ზმნა იუღვლის გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით: გარ-დაუვალი ზმნა **მხოლოდ სუბიექტის** კლასის მიხედვით, გარდამავალი — **მხოლოდ ობიექტის** კლასის მიხედვით. **ვ-უგო** — „ვარ“, „ხარ“, „არის“ I გრამატ. კლასის სახელი; **მ-იგო** — „ვარ“, „ხარ“, „არის“ II გრამატ. კლასის სახელი, **ბ-უგო** — „ვარ“, „ხარ“, „არის“ III გრამატ. კლასის სახელი. **ვ-უგო, მ-იგო, ბ-უგო — ერთკლასოვანი სუბიექტური უღვლილებების** ნიმუშს იძლევა.

ვ-ეცანა „ის“ („შენ“, „მე“) I გრამატ. კლასის სახელი „ვაქე“, „აქე“, „აქო“
მ-ეცანა „ „ „ II გრამატ. კლასის სახელი „ „ „
ბ-ეცანა „ „ „ III გრამატ. კლასის სახელი „ „ „

ვ-ეცანა, მ-ეცანა, ბ-ეცანა — ერთკლასოვანი ობიექტური უღვლილე-ბის ნიმუში იქნებოდა. გარდამავალ ზმნაში სუბიექტი არ აღინიშნება: არც პირი, არც კლასი სუბიექტისა აქ არა ჩანს. **უსუბიექტო უღვლილება თე-ორიულად მოულოდნელია**, მაგრამ **რეალური ფაქტია ხუნძურ გარდამა-ვალ** ზმნათა მორფოლოგიაში, ამ ფაქტს ზოგადი პრინციპული მნიშვნე-

ლობა აქვს ზმნის უღვლილების ისტორიაში.

2. ზმნა იუღვლის **გრამატიკული კლასისა** და **პირის** მიხედვით (კლასოვან-პიროვანი უღვლილება). ამისი სხვადასხვა ვარიანტი მოცემულია ლაკურში, დარგულში, ბაცბურში, აფხაზურში.

ლაკურში გარჩეულია ოთხი კლასი და ორი პირი:

ურა ნა, ინა — „ვარ“, „ხარ“	I	გრამატ.	კლასის	სახელი	
დ-ურა ნა, ინა — „ „	II	გრამატ.	კლასის	სახელი	
ური თჷ	„არის“	I	გრამატ.	კლასის	სახელი
დ-ური თჷ	„არის“	II (და IV)	„	„	
ბ-ური თჷ	„არის“	III	„	„	

აფხაზურში გარჩეულია სამი კლასი (ზოგჯერ — ორი) და სამი პირი:

სგ-ყოუბ სარა — „ვარ“ („ვარსებობ“) მე (I, II თუ III გრამატ. კლასის სახელი).
უ-ყოუბ უარა — „ხარ“ („არსებობ“) შენ I გრამატ. კლასის სახელი
ბგ-ყოუბ ბარა — „ „ „ „ II „ „
დგ-ყოუბ დარა, ლარა — „არის“ („არსებობს“) ის I და II გრამატ. კლასის სახელი
ი-ყოუბ დარა — „ „ „ „ III „ „

გარდაუვალ ზმნაში პირიცა და კლასიც სუბიექტისეულია: უღვლილება სუბიექტურია. გარდამავალ ზმნაში კი უღვლილება ასახავს სუბიექტის კლასისა და პირის გარდა ობიექტის კლასსა და პირს. აფხაზური და ლაკური უღვლილება გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებს, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის კლასისა და პირის აღნიშვნისას, მაგრამ ორივე ენის უღვლილებას ძირითადი პრინციპი საერთო აქვს: ორივე ენაში უღვლილება **კლასოვან-პიროვანია**; მასთან გარდაუვალი ზმნის უღვლილება სუბიექტის კლასსა და პირს ასახავს (**სუბიექტური კლასოვან-პიროვანი უღვლილება**), გარდამავალი ზმნისა კი ანგარიშს უწევს, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის კლასსა და პირს (**სუბიექტურ-ობიექტური კლასოვან-პიროვანი უღვლილება**).

3. ზმნა იცვლება მხოლოდ პირთა მიხედვით. ამის ნიმუშს ადიღურსა და ქართველურ ენებში ვპოვებთ: ვ-არ მე, ხ-არ შენ, არი-ს ის... სნ-ლაჟჷ „ვმუშაობ მე“, ჟა-ლაჟჷ „მუშაობ შენ“, მა-ლაჟჷ „მუშაობს ის“.

გარდაუვალი ზმნა აქ მეტ წილად **სუბიექტური უღვლილებისაა**, გარდამავალი (და ზოგი გარდაუვალიც) — **სუბიექტურ-ობიექტურისა** (აქებ-ს, გ-აქებ-ს, მ-აქებ-ს... აქებ, მ-აქებ... ვ-აქებ, გ-აქებ...).

ზმნის უღვლილების ეს სამი სახეობა — **კლასოვანი უღვლილება**, **კლასოვან-პიროვანი** და **პიროვანი** — განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენს¹.

¹ ლეზგიური ენა არც პირის მიხედვით იცვლება და არც კლასის მიხედვით. სარკვევია, კლასები მოეშალა და პირები არ განუვითარდა თუ — პირებიც ჰქონდა და მოეშალა.

ლაკური ზმნის კლასოვან-პიროვან უღვლილებაში **კლასებზე პრეფიქსები მიუთითებენ, პირის ნიშნად სუფიქსი** გვაქვს: ე. ი. **უწინარესია კლასის აღნიშვნა, მერმინდელია პირის მიხედვით ცვლა**. რაც შეეხება პიროვან უღვლილებას (ქართული, ადიღეური), იგი **კლასოვან-პიროვანი უღვლილების გამარტივების შედეგია**: მოიშალა კლასების მორფოლოგიური კატეგორია, და ზმნამაც დაკარგა კლასოვანი ფორმები, დარჩა მხოლოდ პირის ფორმები.

სანამ ენაში გრამატიკული კლასების კატეგორია მოგვეპოვება, ზმნის უღვლილება არ შეიძლება კლასებს არ აღნიშნავდეს. ამ შემთხვევაში ზმნაში შეიძლება მარტოდენ კლასები არ გვქონდეს — შეიძლება კლასის გარდა პირიც აღინიშნებოდეს, მაგრამ არ შეიძლება კლასები არ გვქონდეს (ზმნის უღვლილებაში).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ქართველურ ენათა ზმნის უღვლილებაში გრამატიკული კლასები უნდა ყოფილიყო ასახული იმ ეპოქაში, როდესაც ქართველურ ენებში გრამატიკული კლასების კატეგორია ცოცხალი, მოქმედი იყო.

რამდენად ამართლებს ამ აპრიორულ ვარაუდს ისტორიული ვითარება? ვარ. თოფურიაშვილმა დაადასტურა ორ ზმნაში გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანი — **დ-პრეფიქსი**: ეს ზმნებია **თ-ქუა** ← **დ-ქუ-ა** (შდრ. **ჰ-რ-ქუ-ა**) და **დ-ე-გ**, **დ-გ-ებ-ი-ს**¹. ორსავე შემთხვევაში ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანი გვაქვს (**დ-პრეფიქსი**), ორსავე შემთხვევაში იგი ფუძეს არის შეხორცებული. ვარ. თოფურიაშვილმა ეს პრეფიქსი გამოყო მეგრულისა და სვანურის შესაბამის ფუძეებთან შეპირისპირებით.

ეს **დ-პრეფიქსი** თქუა-ზმნაში ობიექტისეული უნდა ყოფილიყო: **დ-ქუ-ა** = რაღაც თქვა. **დ-ეგ** ზმნაში **დ-** სუბიექტისეული იქნებოდა: რაღაც დგას (დგება).

ამგვარად, **თქუა** და **დეგ**-ზმნებში კლას-ნიშანი შემოგვენახა ფუძეს შეხორცებული სახით: ფორმანტი ფუძისეულ მასალად გააზრიანდა და ამრიგად შერჩა სიტყვას. ეს არის კლას-ნიშნის შემონახვის მეორე შემთხვევა (იხ. ზემოთ, გვ. 52): **თ-ქუა**, **დ-ეგ** ზმნებში იმავე რიგის პრეფიქსი გვაქვს, როგორცაა სახელებში დათუ-, თვთე (← **დ-უთე** „თვე“), ჰან. დი-ცხირ-ი „სისხლი“, ჰან.-მეგრ. დიშქა „შეშა“ და სხვ.

საკითხავია, ხომ არ შემოგვრჩა კლას-ნიშნები სხვა სახითაც? პირველ ყოვლისა, აქ კლას-ნიშნის შემონახვის მესამე შემთხვევა უნდა შემოწმდეს: ხომ არ დასტურდება კლას-ნიშანი ფუნქციის შეცვლით?

ხომ არა გვაქვს ზმნის უღვლილებაში რეინტერპრეტაციის ფაქტები

¹ ვ. თოფურიაშვილი: **დ-თავსართიანი ზმნები** ქართულში. — თბილ. უნივერს. შრომები, XXV, 1943, გვ. 147-151.

და თუ — კი, რა შემთხვევაში? ამ საკითხის რკვევისას უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის უცნაურობა, რაც ქართული ზმნის უღვლილებაში იქცევის ყურადღებას.

უცნაურობა პირველი: ძვ. ქართულში ზმნა პირების მიხედვით იცვლება, მაგრამ ნაცვალსახელოვანი ელემენტები და პირის ნიშნები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს არ უკავშირდება:

მე ვარ	მე ხვაქებ	მე მ-აქებნ იგი
შენ ხარ	შენ ხაქებ	შენ გ-აქებნ „
იგი არნ	იგი ხაქებნ	მას ხ-აქებნ „

S_1 და O_1 — **გ, მ** ბუნებრივად მიმართავს ჩვენს ყურადღებას **მე** ნაცვალსახელისაკენ, თუმცა აქაც მდგომარეობა არაა მთლად ნათელი. **გ-** საიდან მივიღეთ? მაგრამ არც S_2 (-ხ), არც O_2 (გ) შენ- ნაცვალსახელამდის არ დაიყვანება; ეგევე ითქმის S_3 (ნ) და O_3 (ხ) პრეფიქსების შესახებ.

ან აქ ნაცვალსახელება შეცვლილი მას შემდეგ, რაც ზმნაში პირის ნიშნები გაჩნდა (გთქვათ, ისე, როგორც ეს S_3 მოხდა: იყო **იგი**, ახლა გვაქვს **ის(ი)**.

ანდა ე. წ. პირის ნიშნები არაა დაკავშირებული ნაცვალსახელთან და მაშინ კითხვა ისმის: რატომ? უდრ. აფხაზურში:

სარა სგყოუბ	ჰარა ჰყოუბ
უარა უყოუბ	შიარა შიყოუბ...
ბარა ბყოუბ	

უცნაურობა მეორე: S_2 და O_3 ერთი და იმავე ფორმანტითაა გადმოცემული ძველ ქართულში, როგორც ეს დაადგინა აკ. შანიძემ მონოგრაფიაში S_2 და O_3 პრეფიქსების შესახებ¹. ხანმეტმა და ჰამეტმა ძველებმა გვაჩვენეს, რომ ეს ორი მორფოლოგიური ოდენობა ძველი ქართულის უძველეს ძეგლებშიც ერთი და იმავე სახის ფორმანტით გადმოიცემოდა: ხანმეტ ძეგლებში ეს იყო **ხ-** (ხადიდებ, ხადაგებ, ხთხოვ), ჰამეტში — **ჰ-** (ჰადიდებ, ჰადაგებ, ჰთხოვ), მეცხრე საუკუნიდან ხან — **ჰ-**, ხან — **ს-**, ხან — **0** (ნული) მომდევნო ბგერისდა კვალად: ადიდებ, ჰადაგებ, სთხოვ...

S_2 და O_3 ერთგვარობამ დაასმევინა გ. ახვლედიანს კითხვა:

„რა არის საერთო მნიშვნელობის მხრივ მეორე პირის ქვემდებარესა და მესამე პირის დამატებას შორის, რომ იმათ პრეფიქსებს ერთნაირი ფონეტიკური სახე ჰქონდესთ? უფრო მეტის თქმა შეიძლება: რაიმე ფონეტიკური ცვალებადობის გამო ან რომლისამე კილოს

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. 1920.

გავლენით რომ დამსგავსებოდენ ისინი ერთმანეთს, ენაში დაიბადებოდა ურთიერთ განსხვავებისადმი მისწრაფება. ამას ჩვენ ვერ ვხედავთ: პრეფიქსები (S_2 და O_3) ერთიმეორეს ფონეტიკურად გვანან, მნიშვნელობა კი სხვადასხვა აქვს; მწერლობაში მათი ხმარება მოწესრიგებულია ორთოგრაფიის წესებით, ცოცხალ საუბარში კი მათი ბუნების შეგნება დაკარგულია. აი, ასეთია ძველი ქართულის ფაქტი; აქ არის ჩამარხული საიდუმლოება, რომელიც ახსნას მოითხოვს და უნდა აიხსნას, თუ არ გვინდა, რომ ენათმეცნიერება მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდეს¹.

უცნაურობა მესამე. რელატიურ ზმნებში შეიძლება იქნეს აღნიშნული მხოლოდ ერთი ობიექტის პირი, ესაა ბრუნვაუცვლელი ობიექტი; აწმყოს ჯგუფში ბრუნვაცვალებადი ობიექტიც მიცემითშია (ხკლავს მას), ბრუნვაუცვლელიც (ხთხოვს ძმასა პურსა): ზმნაში ორი პრეფიქსი კი (ხ-ხ-თხოვს) არაოდეს გვაქვს. ანდა: S_2 და O_3 ერთად რომ მოდის, პრეფიქსი ერთია: შენ ხ-თხოვ მას რასმე...

უცნაურობა მეოთხე. როცა S_2 და O_1 ანდა როცა S_1 და O_2 ერთდროულად უნდა გამოისახოს ზმნაში, სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, ობიექტისა — ნიადავ არის:

შენ ხაქებ მას, მაგრამ: შენ მაქებ მე (და არა: ხმაქებ მე, როგორც მოსალოდნელი იყო)

მე ხვაქებ მას, მაგრამ: მე გაქებ შენ (უნდა ყოფილიყო: გვაქებ შენ)...

რა იწვევს ამას? სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება: რაც გვაკლია, დაკარგულიაო; ე. ი. „ხმაქებ“, „გვაქებ“ იყო და მერეა გამარტივებული ხმ, გვ კომპლექსებიო. ასეთი ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი: თანხმოდანთა ასეთი კომპლექსი (ხმ, ჰმ... გვ) ქართულისთვის უჩვეულო სრულებითაც არაა (ჰმარხავ, ჰმონებ... გვალობ, ვგოდებ, ვგონებ, ვგრძნობ...). ფონეტიკური ახსნა აქ გამოსადეგი არა ჩანს. სანამ დაკარგვას ავხსნიდეთ, უნდა დავამტკიცოთ, რომ არსებობდა ის, რის დაკარგვის მიზეზებსაც ვეძიებთ.

უცნაურობა მესხეთე. ძვ. ქართულში დადებითი ბრძანებითი II პირისა იგივეა, რაც აორისტის მეორე პირი, ოღონდ ერთი ცვლილებით: S_2 ნიშანი აკლდება (ობიექტისა, თუ კი აქვს იგი ზმნას, შერჩება): მოხკალ — ბრძან. მოკალ! მოხვედ — ბრძან. მოვედ! (ახ. ქართ. მოდი!)

¹ გ. ახვლედიანი. ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, — ჟურნ. ჩვენი მეცნიერება, 1922, გვ. 100-101.

ხთხოვე — ბრძან. ხთხოვე!

აკ. შანიძემ მარჯვედ გამოიყენა ეს წესი, მის მიერ დადგენილი, და ზოგი ადგილის გაგება ძვ. ქართულ ტექსტში შეასწორა ამის მიხედვით.

რატომ იკარგება იმ სუბიექტის ნიშანი? რატომ შერჩება იგი ბრძანებითს? რატომ უნდა ჰქონდეს მას უპირატესობა ამ შემთხვევაში? ამის ახსნა, რამდენადაც ვიცით, არც უცდიათ.

ამ უცნაურობათ ერთი მოულოდნელი ფაქტიც მიემატება, თუ **დეგ** და **თქუა**-ზმნის ვითარებას გავითვალისწინებთ.

როგორც აღინიშნა, ვარ. თოფურიამ გამოყო **დ**-პრეფიქსი **დეგ** და **თქუა**-ზმნათა ფუძეებიდან. საერთო ნორმების მიხედვით აღნიშნა მისი ფუნქციაც: „თ-ქუა-ს **დ** მიუთითებდა ობიექტზე, როგორიცაა: სიტყვა, ამბავი, სახელი და სხვა. ასეთ ობიექტს სწორედ **დ** შეეფერებოდა“¹.

Н. Марр считал, что структура арабского языка дает ключ к пониманию наиболее трудных вопросов грамматики грузинского языка. „Мертвый инвентарь женского рода“ в грузинском языке порожден яфетической теорией – теорией родства грузинского языка с семитическими (наперекос фактам მამა mata „отец“, ძმა zma „брат“ обнаруживают в исходе основы ა a так же, как и დედა deda „мать“, და da „сестра“, -ა- -a-, -ალ- -al-, – детерминативные суффиксы, „детерминанты основ“).

В „Грамматике чанского (лазского) языка“, вышедшем через два года после „Основных таблиц“ (в 1910 г.), Н. Марр скажет: „Подобно прочим яфетическим языкам чанский язык сохранил различные виды окончания грамматического женского рода, некогда в нем существовавшего“ (§ 5, с.8).

Таким образом, исторически в грузинском, чанском языках имелась грамматическая категория рода и выражалась посредством суффиксов. Так полагал Н. Марр, по меньшей мере, до 1916 г.

6. Из наличия грамматического рода в истории грузинского языка исходит И. А. Джавахишвили в исследовании „Первоначальный строй и родство грузинского языка с /горскими/ кавказскими языками“, Тбилиси, 1937.

Оперируя понятием грамматического рода, И. А. Джавахишвили, по-видимому, следовал за П. Усларом, использующим понятие рода в монографиях „Аварский язык“ и „Хюркилинский язык“.

В „Чеченском языке“ П. Услара вместо рода говорится о „категориях имен“.

Роды, согласно положению И. А. Джавахишвили, обозначались префиксами. Окаменелые префиксы мужского, женского и среднего рода были выделены в составе именных основ, причем в названиях животных (напр. ვაცო vaci „козел“) обнаруживался префикс ვ- v- показатель мужского рода.

Если в языке различается грамматическая категория рода, животные могут быть и мужского рода.

Но в языках с грамматическими классами животные не могут включаться в первый грамматический класс, издавна являющийся классом личности.

Поскольку различие понятий „грамматический род“ и „грамматический класс“ имеет не только терминологическое значение, оно может определять направление исследования.

Для нахских, дагестанских, равно как языков абхазско-адыгской группы, характерно различие семантической категории личности и вещи, следовательно, не категорий грамматического рода, а грамматических классов.

Потому странно выглядит попытка школьных грамматик языков в четырем грамматическими классами выделить два средних рода наряду с мужским и женским родами.

7. Ни в новогрузинском, ни в древнегрузинском языке, ни в других картвельских языках не различаются ныне ни грамматические роды, ни классы. Но семантические категории личности и вещи проявляются, как и в горских иберийско-кавказских языках: **кто** относится лишь к человеку, **что** – ко всему остальному.

Естественно поэтому в истории картвельских языков предполагать различие категории грамматических классов.

Отголосок такой категории сохранился в прилагательных, где суффикс -ელ -el противопоставляется суффиксу -ურ -ur: კახ-ელ-ი მევენახე ках-el-i mevenaxe (кто?) „ках. виноградарь“ - კახური ღვინო қахური ḡvino „кахетинское вино“.

Использование суффиксов -ელ -el и -ურ -ur для различения категорий личности и вещи так же вторично, как использование с подобной же целью суффикса в -с^оа и к^оа во множественном числе имен абхазского языка; аҭқин-с^оа „мальчики“ – akonvert-к^оа „конверты“.

Суффиксы -ელ -el и -ურ -ur отнюдь не исконные показатели грамматических классов; об этом свидетельствует непоследовательность в их употреблении, да и то, что в этой функции выступают суффиксы.

Данные суффиксы именно использованы для грамматической категории, которая имела, но была уже расшатана (примерно так же, как она расшатана в современном абхазском языке).

Суффиксальное -ელ -el употреблялось вместе с префиксом მ- m- обозначающим личность: მ-ეგვიტ-ელ-ი m-egvɪt-el-i „египтянин“; после утери префикса მ- m-, суф. -ელ -el сохранил частично ту же функцию.

8. Путем анализа грамматической системы мы пытались воссоздать в главных чертах историю этой системы средствами внутренней реконструкции.

При этом учитывалось, что, когда грамматическая категория сходит на нет, соответствующие форманты могут:

а) отпасть или же

б) сохраниться в составе основ в виде „окаменелого форманта“, ставшего принадлежностью основы („реинтерпретация с о с т а в а основы“: авар. гақ „сердце“, бақ „солнце“, лак. duš „дочь“, лезг. гуш „дочь“...),

с) сохраниться как форманты, но с изменением функции („реинтерпретация ф у н к ц и и ф о р м а н т а “)¹.

9. При анализе грамматической системы должны выводы делались из того положения, что картвельские языки, как и все иберийско-кавказские языки агглютинативного строя, следовательно: каждому грамматическому з н а ч е н и ю соответствует о т д е л ь н ы й ф о р м а н т .

Если же нарушается этот принцип, значит, произошли изменения: если один формант с двумя функциями, одна из них **вторичная**: если же два р а з л и ч н ы х ф о р м а н т а , функция же - о д н а , одна из функций **утеряна**.

წერ-ებ წერ-ep „пишут“ (то): -ep, поначалу показатель числа, стал показателем и лица (в корреляции с показателями I и II лиц); в др. груз. მ-ეგვიტ-ელ-, m-egvɪt-el- „египтянин“ -ელ -el суффикс происхождения (ср. ново-груз. ეგვიტ-ელ-, egvɪt-el- „египтянин“), а префикс მ- m- ныне не имеющий никакого значения, в свое время должен был иметь определенную функцию.

Принцип агглютинации вынуждает ставить вопросы, помогающие р е к о н с т р у и р о в а т ь прошлое.

10. Анализ производных именных основ, а также отглагольных имен прилагательных (т.е. причастий), отглагольных имен действия (масдара) выявил системную корреляцию префиксов категории л и ч н о с т и (кто?) и категории в е щ и (что?).

Кто?	მე-ზურ-ე-	me-zwɛr-e-	„мытарь“, „сборщик податей, пошлин“
	მე-რწყ-ულ-ი	me-rɕq-ul-i	„водоносец“

¹ Об этом см.: Чикобава Арн., Древнейшая структура именных основ в картвельских языках. Тбилиси, 1942 (на груз. яз., резюме на рус. и англ. яз.).

	მე-ბრ-ე	me-xr-e	„пастух, погонщик волов“
	მა-ცხოვ-არ-ი	ma-cxov-ar-i	„спаситель“
Кто?	მე-ქათმ-ე	me-katm-e	„куровод“
	მე-ღორ-ე	me-γor-e	„свиновод“
	მე-ჯინიბ-ე	me-žinib-e	„конюх“

Субъектные причастия (Кто?)

	მ-კერ-ავ-ი	m-ker-av-i	„портной“ (букв. „шьющий“)
	მ-ხენ-ელ-ი	m-xvn-el-i	„пахарь“ („пашущий“)
	მ-შენებ-ელ-ი	m-šeneb-el-i	„строитель“ („строющий“)
Что?	სა-ზვერ-ე	sa-zwer-e	„таможня“
	სა-რწყ-ულ-ი	sa-rçq-ul-i	„сосуд для воды“
	სა-ბრ-ე	sa-xr-e	„палка, которой погоняют волов“
	სა-ცხოვ-არ-ი	sa-cxov-ar-i	„овца“
Что?	სა-ქათმ-ე	sa-katm-e	„курятник“
	სა-ღორ-ე	sa-γor-e	„свиной хлев“
	სა-ჯინიბ-ე	sa-žinib-e	„конюшня“

Объектные причастия

Что?	სა-კერ-ავ-ი	sa-ker-av-i	„то, что надо шить“, „то, чем шьют“
	სა-ხენ-ელ-ი	sa-xvn-el-i	„то, чем пашут“, „сошник“
	სა-შენებ-ელ-ი	sa-šeneb-el-i	„то, что надо строить“

11. Наряду с полной корреляцией выявлены случаи частичной, точнее дефективной (фрагментарной) корреляции, когда налицо образование с префиксом категории вещи, идентичным с соответствующим префиксом из системы полной корреляции.

მ-ეგრ-ელ-ი	m-egr-el-i	„мегрел“, „житель Эгр-ის-ი“
მ-აჩაბ-ელ-ი	m-ačab-el-i	„Мачабели“ (фамилия) „житель Ачабети“
მ-აწყუერ-ელ-ი	m-açqwer-el-i	„епископ Ацхурский“
მ-როვ-ელ-ი	m-rov-el-i	„епископ Руисский“
მ-ტბევ-არ-ი	m-ṭbev-ar-i	„епископ Тбетский“
მ-ეგვბტ-ელ-ი	m-egwipt-el-i	„египтянин“
ს-რბ-ა, სი-რბილ-ი	s-rb-a, si-rbil-i	„бег“

სი-ყვარ-ულ-ი	si-qvar-ul-i	„любовь“
სი-ხარ-ულ-ი	si-xar-ul-i	„радость“
სი-ნან-ულ-ი	si-nan-ul-i	„раскаяние“

Во всех таких образованиях префиксальное **ძ-** **m-** так же срослось с основой, как **d, b, r, v, j**. В словах нахского и дагестанского языков: чеч. *dwog*, авар. *raḡ* „сердце“, авар. *baḡ* „солнце“, авар. *gaḡ* „битва“, авар. *vas* „сын“, авар. *jas* „дочь“.

В сванском языке соответствующие образования сохранили полную корреляцию: груз. **ძ-** — **-ს m-** — **-s** и сван. **ძ-** — **-ლ m-** — **-l**:

Сван.	მგ-ქშაგ	mə-kšag	„черкес“
	მგ-დვხაზ	mə-jpxaz	„абхаз“
	მგ-ზან	mə-zan	„мегрел“
	მგ-შუან	mə-šwan	„сван“
	ლგ-ქშაგ	lə-kšag	„черкесское (что-то)“
	ლგ-დვხაზ	lə-jpxaz	„абхазское (что-то)“
	ლუ-ზნ-უ	lu-zn-u	„мегрельское (что-то)“
	ლუ-შნ-უ	lu-šn-u	„сванское (что-то)“

Во множественном числе **ძ-** **m-** не сохраняется: ქაშგ-არ-ე *kašgar-e* „черкесы“, ავხაზ-არ-ე *axhaz-ar-e* „абхазы“, ზან-არ-ე *zan-ar-e* „мегрелы“, შუან-არ-ე *šwan-ar-e* „сваны“¹.

12. Путем сравнительного анализа выявлен префикс **ღ-** **d-** в таких основах, как:

груз. **ღა-თვ-** *da-tv-*, сван. **ღა-შდვ-** *da-šdv-* „медведь“,

сван. **ღო-შდ-ულ** *do-šd-ul* „луна“

зан. **თუთა** *tuta* из **ღუ-თა** *du-ta* — древнегруз. **თუთე** *tyte*, **თთუე** *ttwe*, **თუე** *twe* „месяц“, „луна“ ...

зан. **ღი-შქა** *di-ška* — груз. **შეშა** *šeša* — **სეშა** *se-ša* „дрова“

ღა-ჩხურ-ი *da-čxur-i* — **ცეცხლი** *cecxli* — **სე-ცხლი** *se-cxli* „огонь“

ღი-ცხირ-ი *di-cxir-i* „кровь“ (И. Кипшидзе)

13. Анализ имен выявил наличие преф. **ძ-** **m-** для категории личности и префиксов категории вещей:

ს *s* = для груз. языка

¹ Срв. в нахских и дагестанских языках показатель I грам. класса не используется во множ. числе.

ნ I = для сван. языка

დ d = (и его фонетические варианты п-, г-) для груз., зан., сванского языков – общий формант для всех картвельских языков и, по-видимому, наиболее древний.

Этот преф. დ- d- был выделен В. Т. Топуриа в составе глагольных основ დე-გ de-g „стоять“ и თ-ქუ-ა t-ku-a („сказал“), დ-ქუ-ა d-ku-a¹.

В обоих случаях преф. დ- d- синтаксически связан с именительным падежом. В непереходном глаголе этот именительный падеж является субъектом (დგა-ს dga-s „стоит что-то“), при переходном же глаголе в именит. падеже стоит ближайший (т.н. „прямой“) объект: თ-ქუ-ა t-kw-a „сказал что-то“.

Один и тот же префикс для обозначения субъекта непереходного глагола и ближайшего объекта переходного глагола – точное выражение принципа классного спряжения нахских и дагестанских языков.

14. Спряжение грузинского глагола ныне личное. С личным спряжением внутренне связано зарождение личных форм субъекта в переходных глаголах: классное спряжение переходных глаголов было лишь объектным; личное спряжение переходных глаголов становится субъектно-объектным.

Но в древнегрузинском языке в спряжении переходных глаголов еще чувствуется превалирование объекта перед субъектом, т.е. чувствуются следы классного объектного спряжения: спряжение древнегрузинского глагола скорее объектно-субъектное, чем субъектно-объектное.

Утеря субъектных префиксов I и II лиц перед объектными префиксами I и II лиц, согласование переходных глаголов с объектом в имен. падеже множ. числа в древнегрузинском языке, предварение объектным аффиксом субъектного аффикса в переходном глаголе и т.д. являются отголосками классного спряжения в древнегрузинском языке.

15. В спряжении сванского глагола Н. Д. Андгуладзе выявил в третьем лице классный показатель категории вещи преф. ლ- l-, известный из производных именных основ типа ლუ-შნ-უ lu-šn-u- „сванский“².

Данный префикс наличен в непереходных глаголах ლგ-გ lə-g „стоит“ (срв. груз. დგა-ს d-ga-s), ლ-ო l-i „есть“ (вспомогательный глагол ლა-სუ la-sw (прошед. несов. того же глагола).

Включаясь в систему субъектных личных аффиксов, он считался субъектным префиксом 3-го лица, архаизмом, поскольку III лицо субъекта

¹ Топуриа В. Префикс d- в грузинских глаголах. – Труды Тбилисского университета, 1942 (на груз. яз.).

² Андгуладзе Н. Некоторые вопросы истории классного и личного спряжения в иберийско-кавказских языках. Тбилиси, 1968 (на груз. яз., резюме на рус. яз.).

во всех картвельских языках обозначается суффиксом. Преф. ლ- 1- бесспорно архаизм; но по происхождению является префиксом не личным, а – классным.

В переходном глаголе ლა-ლ-ებ la-l-em „скушал“ ლ- 1- относится к ближайшему объекту.

16. Имя и глагол образуют основу морфологии.

Пережитки грамматических классов прослеживаются в морфологии и имени и глагола (в частности, в падежных формах, в образовании множ. числа имен и глаголов).

Стало быть: грамматические классы пронизывали морфологическую систему карвельских языков.

Без учета этого обстоятельства многие особенности картвельских языков окажутся необъяснимыми, будут непонятными.

Грамматические классы, их отсутствие максимально отдаляло картвельские языки от языков нахских, дагестанских, языков абхазского и абазинского.

Это препятствие снимается.

Наличие общих морфологических категорий еще не означает родства. Но материальная общность формантов для одной и той же категории, к тому же древней, – свидетельство общности историко-генетической.

Помимо указанной в тексте литературы, см. также:

Арн.Чикобава: Основные типы спряжения глаголов и их исторические взаимоотношения. – Доклад на XXV Междунар. Конгрессе ориенталистов, 1960.

Его же: К генезису личного спряжения в грузинском языке, ЕИКЯ, III, 1976.

Его же: Категория грамматических классов и некоторые вопросы спряжения глаголов в грузинском языке. – ИКЯ, V, 1953.

თეზისები

ნეიტრალიზაციისა და გენერალიზაციის პროცესების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ კლასებში

1. გრამატიკულ კლასთა სხვაობის ნეიტრალიზაცია იწვევს საერთო ფორმანტის ფუნქციის განზოგადებას: ფუნქციის გენერალიზაცია მჭიდრო კავშირშია სხვაობის ნეიტრალიზაციასთან.

2. ნეიტრალიზაცია ჩვეულებრივ მრავლობითში დასტურდება. ნეიტრალიზაცია შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი.

სრულის ნიმუში იქნებოდა: ხუნდ. კუდიჟა-უ, კუდიჟა, კუდიჟა-ბ „დიდი“ (I, II, III გრ. კლ.), მრავლ. კუდიჟა-ლ „დიდნი“ (სამივე კლასისათვის)... გ-უგო (I გრ. კლ.), ჟ-იგო (II გრ. კლ.), ბ-უგო (III გრ. კლ.) „არის, ხარ, ვარ“ — მრავლ.: რ-უგო (არიან, ხართ, ვართ) — სამივე კლასისათვის.

ნაწილობრივის ნიმუში: ანდ. (ქვანხ. თქმა): ჰო-გ, ჰო-ჟ, ჰო-ბ „ეს“ (მსაზღვ.) — მრავლ. I და II კლ. ჰო-ლ, III კლ. ჰო-ბ... ტინდიური: უ, ჟ, ბ მხოლ. — ბ და რ || ლ მრავლ.

ჩაჩნური: და გუ „მამა არის“, ნანა ჟ-უ „დედა არის“ — მრავლ. დჟა ბ-უ „მამები არიან“, ნანუომ ბ-უ „დედები არიან“... (სხვა კლასებს მრავლობითში ნეიტრალიზაცია არ ახასიათებს).

3. პიროვნების კატეგორიის გ- ფორმანტის ნაცვლად მრავლობითში ნივთის კლასის ბ- ნიშნის ხმარება დეპერსონალიზაციას მოასწავებს.

არსებითად ამგვარივე დეპერსონალიზაციის პროცესი შეინიშნება გრამატიკული კლას-კატეგორიის მომლის ვითარებაში, როცა ამოსავალი ოთხკლასოვანი სისტემა იცვლება ორკლასოვანით; ასე, მაგალითად, თაბასარანულ ენაში (ჩრდილოურ კილოში) ნივთის კატეგორიის ექსპონენტი ბ ინარჩუნებს თავის ფუნქციას, პიროვნების კატეგორიისათვის კი გამოყენებულია დ, რ, ჟ, ე. ი. მეორე გრამატიკული კლასის ფორმანტები, რომელნიც წარმოშობით ნივთის კატეგორიას, მეოთხე გრამატიკულ კლასს, უკავშირდებიან.

4. გრამატიკულ კლასთა სხვაობის ნეიტრალიზაცია მრავლობითში უპირატესად მაშინ გვაქვს, როდესაც კლასის ექსპონენტებიცა და მრავლობითის სუფიქსებიც ერთი და იმავე წესით აღინიშნება — ან პრეფიქსებით, ანდა სუფიქსებით.

მაგრამ ნეიტრალიზაციას შეიძლება არ დაურჩეს ადგილი, თუ, ვთქვათ, გრამატიკული კლასი პრეფიქსით არის გადმოცემული, მრავლობითი რიცხვი კი — სუფიქსით (მაგალითად, ანდ. მხოლ.: ვ-ოჭუხა, **მ**-ეჭუხა, **ბ**-ეჭუხა, **რ**-ეჭუხა „დიდი“ — მრავლ.: ვ-ოჭუხო-**ლ**, **მ**-ეჭუხო-**ლ**, **ბ**-ეჭუხო-**ლ**, **რ**-ეჭუხო-**ლ** „დიდნი“).

ეს ნიშნავს: სიტყვის მორფოლოგიურმა სტრუქტურამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მორფოლოგიური პროცესის განვითარებაზე (ჩვეულებრივ სიტყვის სტრუქტურა ახსნას პოვებს ისტორიაში).

ვინ- კატეგორიის სახელთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

1. **ვინ** და **რა** — კატეგორია, როგორც **სემანტიკური** კატეგორია, ერთნაირად გაირჩევა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში: **ვინ** — ადამიანს, პიროვნებას გულისხმობს, **რა**- ყველაფერ სხვას მოიცავს, ნივთად მიიჩნევა.

2. **ვინ** და **რა** კატეგორია, როგორც **მორფოლოგიური** კატეგორია:

ა) არ მოეპოვება არც ერთ ქართველურ ენას;

ბ) მოეპოვება ყველა ნახურ ენას;

გ) დატულია დაღესტნის ენათა უმეტესობაში (აქვს 18-ს, არა აქვს 3-ს).

დ) გაირჩევა აფხაზურ-ადიღურ ენათაგან მხოლოდ აფხაზურში (არა გვაქვს ადიღურ ენებსა და უბიხურში).

3. ნახურსა და დაღესტნურ ენებში მხოლოდ ერთი შეიძლება განსხვავებდეს სულ დიდი ოთხ გრამატიკულ კლასს: ორს — ვინ კატეგორიის სახელებში და ორს — რა კატეგორიისაში.

სათანადო ნიშნებია: I — **ვ**, II — **ფ**, III — **ბ**, IV — **დ** (მათი ფონეტიკური ვარიანტებითურთ, როგორც ამას სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ).

4. კლასის ექსპონენტები ანუ (სახელის) **კლასიფიკატორები** ისტორიულად არსებით სახელებს უნდა ჰქონოდა დართული: სხვა სახელებსა და ზმნაში კლასიფიკატორები მეორდებოდა.

5. ქალის **ვინ**- კატეგორიაში მოქცევა მეორეულია (**ფ** ← **რ** ← **დ**): სამკლასოვან სისტემაში **ფ**-ფორმანტი მხოლოდ ქალს აღნიშნავს (მაგალ., ხუნძურში); მაგრამ ოთხი გრამატიკული კლასის გარჩევას:

ა) **ფ**- პრეფიქსი მხოლოდითში **რა**- კატეგორიის რიგ სახელებსაც მოუდის (მაგალ., ჩაჩურში);

ბ) ლაკურში ახლაც ქალი **ბ** და **დ** ფორმანტებს იგუებს, ე. ი. ნივთის კლასიფიკატორებითაც აღინიშნება;

გ) ფუძეს შეხორცებულ ფორმანტად ქალიშვილისათვის **რ**-თავსართიც დასტურდება (ლეზგ. **რ**უმ, შდრ. ლაკ. **დ**უმ „ქალიშვილი“).

6. როცა ენაში სამკლასოვანი სისტემა ორკლასოვანით იცვლება,

ვინ- კატეგორია ერთ კლასში ერთიანდება, **რა**-ც ერთ კლასში: **ვინ**- კატეგორიას **დ**- || **რ**- კლასიფიკატორი მოუდის, **რა**- კატეგორიის სახელებს — **ბ**: თაბასარ. სა-**რ** და სა-**ბ** „ერთი“.

ამრიგად, მეოთხე გრამატიკული კლასის ფორმანტი არა მხოლოდ ქალებს აღნიშნავს, არამედ მამაკაცებსაც (ალ. მაჰომეტოვი).

7. **ქალის** აღნიშვნა ნივთის კლასიფიკატორით ძველი მოვლენაა; ადამიანისათვის, ერთობლივ **ვინ**- კატეგორიის სახელებისათვის ნივთის კლასიფიკატორების გამოყენება ახალი მოვლენაა. იგი გრამატიკული კლასების, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, მოშლის პროცესს ახასიათებს.

8. ამის გათვალისწინება აფხაზურში სათანადო ზმნური ფორმანტების ისტორიის თვალსაზრისითაც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს.

კლასოვანი უღვლილებების გადმონაშთებისათვის ქართველურ ენათა ზმნაში

1. იბერიულ-კავკასიურ ენათაგან პიროვანი უღვლილება აქვს უდიურს, ადილურსა და ქართველურ ენებს.

უდიურსა და ადილურ ენებში (აგრეთვე უბიხურში) პიროვანი უღვლილების მეორეულობა ცხადია:

უდიურის ახლო მონათესავე ზოგ ლეზგიურ ენაში ახლაც პროდუქტიულია კლასოვან-პიროვანი უღვლილება, რომლის გამარტივების შედეგადც ჩამოყალიბდა პიროვანი უღვლილება უდიურში.

ასევე — აფხაზურ-ადილური ჯგუფის ენათაგან აფხაზურს დღემდე დაუცავს კლასოვან-პიროვანი უღვლილება, რომელიც ამოსავალი იყო ადილურ ენათა (და უბიხურის) პიროვანი უღვლილებებისათვის.

2. არც ერთი ქართველური ენის მორფოლოგიაში კლასოვანი უღვლილების პრინციპი არ არის პროდუქტიული, მაგრამ კლასოვანი უღვლილების გადმონაშთები ხელშესახებია:

ა) ან ფუძეს შეხორცებული, უფუნქციო, ფორმანტების სახით,

ბ) ან ფორმანტთა ფუნქციის ცვლით,

გ) ანდა კლასოვანი უღვლილებებისათვის ნიშანდობლივი პრინციპის გამოყენებით პიროვანი უღვლილების სისტემაში.

3. ფუძეს შეხორცებული კლასოვანი ძველის-ძველი ფორმანტია ქართულში: დ/ა/ || დ/ე/: თქუ ← დ-ქუ ← და-ქუ (სვ. რპ-ქუ) და დე-გ, (სვ. ლგ-გ, მეგრ. გე-რე „დ-გა-ს“); როგორც ეს ფუძეში გამოყოფილი აქვს ვთოფურიას.

ფუნქციის ცვლით დ-ს შესაბამისი ლ- გვაქვს სვ. ლგ-გ-ში, აგრეთვე ზმნებში ლ-ი „არის“ (მეშგ. ზმნა), ლასუ „იყო“, ლა-ლემ „ჭამა“: ახლა პირის ნიშანთა სისტემაში მოქცეული ლ- (ხუი, ხი, ლი „ვარ, ხარ, არის“). ისტორიულად ნივთის კლასის ნიშანს წარმოადგენდა (ნოდ. ანდლუ-ლაძე).

ანალოგიურ საკითხს აღძრავს ძვ. ქართ. ხ- პრეფიქსი /Oz/ და

უფუნქციო **ხ** ერთპირიან ვნებითში (**ხ**-ვიყავ, **ხ**-იყავ, **ხ**-იყო): **ხ** ← **ს**.

4. კლასოვანი უღვლილების პრინციპის გამოვლენა გვაქვს ძველ ქართულში (როგორც ეს ადრეც აღნიშნული გვქონდა) დროთა მეორე სერიაში გარდამავალ ზმნებთან: სახელობითში დასმული უახლოესი ობიექტის მრავლობითის ზმნა ეთანხმება (ჰ-ყავ საქმე — ჰ-ყვ-ენ საქმენი...). კლასოვან უღვლილებაში ესაა გარდამავალი ზმნის ოდენ ობიექტური უღვლილების ძირითადი პრინციპი: გარდამავალი ზმნა უთანხმდება ობიექტს კლასსა და რიცხვში; სუბიექტის არც კლასი და არც რიცხვი ზმნაში არ აღინიშნება (სუბიექტი გარდამავალი ზმნისა კლასოვან უღვლილებაში არა ჩანს).

5. ობიექტის უპირატესობა სუბიექტის წინაშე მუდავდება პიროვანი უღვლილების რიგ ფაქტებში:

ა) $S_1 + O_2, S_2 + O_1$ — მხოლოდ ობიექტის ნიშანი გვაქვს (**გ**-თხოვ მე შენ... **მ**-თხოვ შენ მე...).

ბ) ობიექტის მრავლობითის ნიშანი წინ უსწრებს სუბიექტის მესამე პირის ნიშანს:

პოვ-**ნ**-ა მან იგინი... ყვ-**ნ**-ა მან საქმენი

გ) ობიექტის მრავლობითის ნიშანი წინ უსწრებს სუბიექტის მრავლობითის ნიშანს:

ვ-ყვ-**ენ**-ი-თ საქმენი ჩუენ... ყვ-**ნ**-ეს საქმენი მათ.

6. გარდამავალი ზმნის კლასოვან უღვლილებაში სუბიექტი არ ჩანდა. გარდამავალი ზმნის „გასუბიექტურება“ პიროვან უღვლილებაში განხორციელდა (სუბიექტი — გარდამავალი ზმნის უღვლილებაში პირის კატეგორიამ შემოიტანა), მაგრამ ობიექტის ისტორიული უპირატესობა ჯერ კიდევ იგრძნობა: პიროვანი უღვლილება უფრო ობიექტურ-სუბიექტურია, ვინემ სუბიექტურ-ობიექტური.

КАТЕГОРИЯ ГРАММАТИЧЕСКИХ КЛАССОВ В ИСТОРИИ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

1. Естественно различать классы, как семантическую категорию как категорию морфологическую.

2. Семантическая категория человека (личности) и вещей одинаково понимается во всех иберийско-кавказских языках: вопрос **кто?** относится только к человеку, **что?** ко всему остальному, включая сюда и животных.

3. Морфологическая же категория именных классов представлена по-разному.

Эта морфологическая категория налична во всех нахских языках – в чеченском, ингушском, бацбийском.

Продуктивна в абсолютном большинстве дагестанских языков: имеется только в трех языках (лезгинском, агульском, удийском).

Из языков абхазско-адыгской группы налицо лишь в абхазском и абазинском, притом с явными признаками отмирания.

В картвельских языках данной морфологической категории нет. Не различалась она и в древнегрузинском языке.

Таким образом, процесс убывания начинается в дагестанских языках, резко усиливается в абхазско-адыгских языках и завершается в картвельских языках.

4. Отмирание категории грамматических классов влечет за собою, как правило, отпадение (утерю) соответствующих формантов. Но они могут сохраниться:

а) в составе основ в виде окаменелых элементов (реинтерпретация состава основ!), как это выявлено исследователями лезгинского, агульского, удийского (М. Гаджиев, Р. Шаумян, У. Мейланова, А. Магомедов, Е. Джейранишвили, Г. Топуриа...), далее адыгских (Г. Рогава) и картвельских языков (И. Джавахишвили, В. Топуриа, Н. Андгуладзе...);

б) в качестве формантов, но с изменением функции (реинтерпретация форманта);

в) кроме того в глаголе с личным спряжением могут обнаружиться явления, характерные для классного спряжения.

5. Иберийско-кавказские языки – по строю своему – агглютинативные: в структуре слова каждый аффикс обладает одним грамматическим значением. Отсюда следует: если аффикс выступает с двумя грамматическими значениями, одно из них является вторичным, приобретенным и, наоборот: если в слове имеются два аффикса, а грамматиче-

ское значение – лишь одно, грамматическое значение одного из аффиксов утеряно.

б. В древнетрузинском языке системно противопоставляются производные имена с префиксом **m(e)**- и префиксом **s(a)**-, причем первые (*m'e'*) обозначают имена категории **кто?**, а вторые (*s'a'*) – имена категории **что?**, т. е. грамматические категории личности и вещи:

др.-груз: *me-zwer-e* „взыматель пошлин, податей“, „мытарь“ – *sa-zwer-e* „место, где взымают пошлины“, „таможня“
me-gçul-i „водоносец“ – *sa-gçul-i* „сосуд для воды“
me-xr-e „пасущий волов“ – *sa-xr-e* „палка, которой погоняют волов“
mo-gza-ur-i „путник“ – *sa-gza-ur-i* „предназначенная для путешествия вещь“
m-šual-e „средний (брат)“ – *sa-šual-i* „среднее (что-то)“

В производных именах с уффиксы могут варьировать, в префиксах же **m** и **s** коррелируют неизменно.

7. Подобная же корреляция префиксов (**m**- – **s**-) налицо в производных именах современного грузинского языка, где префикс **m** обозначает человека определенной профессии (**кто?**), префикс же **s** – вещь (**что?**):

me-bay-e „садовник“ – *sa-bay-e* „что-то (земля) для сада“
me-katm-e „куровод“ – *sa-katm-e* „курятник“
me-yog-e „свинарь“ – *sa-yog-e* „свинарник“
me-kotn-e „гончар“ – *sa-kotn-e* „что-то (глина) для горшков“
me-žinib-e „конеvod“ – *sa-žinib-e* „конюшня“

8. Системное противопоставление префиксальных (**m**- – **s**-) использовано не только в производных отыменных именах, но и в отглагольных именах прилагательных, т. е. в причастиях:

m-ķerav-i „портной (букв. шьющий)“ – *sa-ķerav-i* „что-то для шития (ткань машины...)“
m-xvn-el-i „пахарь“ (букв. „пашущий“) – *sa-xvn-el-i* „орудие для пахоты“
m(a)-šeneb-el-i „строитель“ (букв. строящий) – *sa-šeneb-el-i* „подлежащий стройке“
m-xerxav-i „пильщик“ – *sa-xerx-[⸗]av[⸗]-i* „подлежащий распиловке“...

Вполне естественно, что отглагольные прилагательные с префиксом **m**- выражают значение действительного залога (и часто субстантивизируются), а образования с префиксом **s**- обозначают причастие страдательного залога будущего времени (латин. герундив).

Точнее их называть причастиями субъектными (**m** – «человек», «деятель» – активный) и объектными (**s** – «вещь» – пассивная).

9. Корреляция префиксовых образований (**m-** и **s-**) может быть полной, когда оба члена корреляции налицо, и дефектной, когда сохранился лишь один из членов: образование с префиксом **m-** или же – с префиксом **s-**.

Выше приведены (§§ 6, 7, 8) случаи полной корреляции образований с префиксом грамматического класса личности (человека) и грамматического класса вещей.

Примерами дефектной корреляции являются:

а) Груз. масдары: *s-i-qvar-u-l-i* „любить“ (любовь), *s-i-zulv-i-l-i* „ненавидеть“ (букв. „ненависть“), *s-i-xar-u-l-i* „радость“, *s-vl-a* „хождение“, *s-i-rb-i-l-i* „бег“ и т. д.

Не сохранилось коррелятов с префиксом **m-**, как то имеем, напр., в аварском: *v(j)b-ekerize* «бег» – мужчины (**v**), женщины (**j**), лошади (**b**).

Форма грам. класса вещей (*s-i-rb-i-l-* «бег чего-то») получила обобщенное значение.

б) др.-груз. *m-egurṭ-el-i* «египтянин» (ново-груз. *egvirṭ-el-i* без преф. **m-**)

др.-груз. *m-gow-el-i* „руисец“ (титул епископа Руиси);

„ *m-aṣqwer-el-i* „ацкурец“ („ „ Ацкури)

„ *m-egr-el-i* „житель Егриси“ и т. д.

Коррелирующих образований с префиксом **s-** не сохранилось в грузинском языке.

В сванском языке в этих случаях сохранилась полная корреляция:

tu-švān «сван»– *lu-šn-u* «сванское»

mə-kšäg „адыгеец“ – *lə-kšag-u* „адыгейское“ („косожское“)

mə-jrxāz „абхаз“ – *lə-jrxaz-u* „абхазское“...

Срв. сван. масдары *ma-laṭ* и *li-laṭ* «любить» (букв. «любовь»). Преф. **1-** соответствует грузинскому **s-** (др.-груз. *s-ze* «молоко» – св. *lə-ze*).

10. Помимо преф. **s-** в качестве показателя грам. класса вещей в картвельских языках выступают **d-** и его фонетические варианты **n-**, **r-**, **l-**, встречающиеся в дефектных корреляциях, а также **b-**:

груз. *da-tv-i* „медведь“, сван. *dä-šdw*,

груз. *tve←tute ← du-te* „месяц“ – зан. *tu-ta* – сван. *do-šdul*

груз. *še-ša(←se-ša)* „дрова“ – зан. *di-ška*

груз. *si-sxl-i* „кровь“ – чан. *di-cxir-i*

груз. *se-cxli←se-cxl-i* „огонь“ – зан. *da-čxur-i*

др.-груз. *s-ze* „молоко“, ново-груз. *r-ze*, сван. *lə-ze*

груз. *pe-št-i* „остаток“, „останки“

груз. *na-pir-i* „берег“

груз. *ba-všv-i* „ребёнок“: **b-** – показатель класса вещей (И. Джавахишвили).

11. Преф. **1-** сохранился в 3-ем лице сванских глаголов (*1-i* «есть», *lə-g* «стоит», *lä-sw* «был»...), включаясь в ряд личных формантов. Исторически это – показатель грамматического класса вещей (Н. Андгуладзе), идентичный с преф. **1-** в именных образованиях (см. выше §9).

Преф. **d-** выделен из состава глагольных основ **deg-** «стоять» и **t-kw-** «←d-kw- «сказать что-либо» (В. Т. Топуриа).

Согласно принципам классного спряжения один и тот же префикс в непереходном глаголе обозначает класс субъекта, в переходном глаголе – класс объекта: «стоит что-то» – «сказал что-то».

Окаменелый преф. **d-** грамматического класса вещей – свидетельство наличия классного спряжения в грузинском языке в глубокой древности.

Об этом свидетельствуют и пережитки принципов классного спряжения в древнегрузинском глаголе, в частности, примат объекта перед субъектом в формах лица и числа.

12. Древняя морфология грузинского языка была пронизана категорией грамматических классов так же, как это имеет поныне место в нахских и в большинстве дагестанских языков.

Преф. **d-**, древний показатель класса вещей, прослеживается во всех четырех группах иберийско-кавказских языков.

ტომის რედაქტორისგან

აკად. არნოლდ ჩიქობავას შრომათა მეშვიდე ტომი ეძღვნება ქართველურ-კავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ძირის აგებულების პრობლემებს. ტომის ძირითად ნაწილს მოიცავს არნ. ჩიქობავას საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“. ნაშრომი ზუსტად 70 წლის წინ, 1942 წელს, გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ.

წინამდებარე ტომის მეორე ბლოკში „წერილების“ სახით შევიდა ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სამეცნიერო მემკვიდრეობა: სტატიები, მასალები, თეზისები.

ესენია:

1. „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“ ავტორს მოხსენებად წაუკითხავს 1936 წლის 15 ოქტომბერს ენის სექტორთა გაერთიანებულ სხდომაზე; გამოქვეყნდა კრ.-ში „ენიკის მოამბე“, ტ. I, 1937წ., გვ. 97-106. — რეზიუმე რუს. და ფრანგ. ენ.

2. „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“ წინასწარი მოხსენების სახით ორ ნაწილად წაკითხულ იქნა საქართვე. მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყ.-ის მეორე სესიაზე, 1941 წლის 13 ივნისს; პირველი ნაწილი გამოქვეყნდა კრ.-ში „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, №2, 1942 წ., გვ. 191-198, ხოლო მეორე ნაწილი — კრ.-ში „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, №3, 1942 წ., გვ. 297-303. — რეზიუმე რუს. ენ.

3. „მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში“, როგორც ავტორი მიუთითებს, ამოღებულია უფრო ვრცელი ნაშრომიდან „გრამატიკულ კლასთა კლასიფიკაციისა და წარმოქმნის ზოგი საკითხი კავკასიურ ენებში“. ეს უკანასკნელი სრული სახით მოხსენდა ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყ.-ის სხდომას 1941 წლის 31 ნოემბერს; წერილი გამოქვეყნდა კრ.-ში „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, №4, 1942 წ., გვ. 373-380. — რეზიუმე რუს. ენ.

4. „გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“ გამოქვეყნდა კრ.-ში „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. V, №4, 1944 წ., გვ. 449-454. — რეზიუმე რუს. ენ.

5. „გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში“ წინასწარ მოხსენებად წაკითხულ იქნა საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების XV სამეცნიერო სესიაზე 1944 წლის

29 თებერვალს; გამოქვეყნდა მოხსენების მხოლოდ ნაწილი, ისიც შეკვეცით, კრ.-ში „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. VII, №1-2, 1945 წ., გვ. 61-68.

6. „გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში“ წინასწარ მოხსენებად წაკითხულ იქნა საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების XIX სესიაზე 1945 წლის 18 დეკემბერს; წერილი გამოქვეყნდა კრ.-ში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. V, 1953 წ., გვ. 51-63. — რეზიუმე რუს. ენ.

7. „Об одном принципе классного спряжения в древнегрузинском глаголе“ გამოქვეყნდა კრ.-ში „Вопросы Языкознания“, 1977 წ., №2, გვ. 99-103.

8. „К вопросу о процессах нейтрализации и дифференциации (спецификации) грамматических классов в дагестанских и нахских языках“ გამოქვეყნდა კრ.-ში „Вопросы иранской и общей филологии“, 1977 წ., გვ. 334-341.

9. „Грамматические классы имен в иберийско-кавказских языках: общие вопросы системы и истории“ გამოქვეყნდა კრ.-ში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. V, 1978 წ., გვ. 9-27. — რეზიუმე ქართ. და რუს. ენ.

10. „Категория грамматических классов в истории картвельских языков“ გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდგომ კრ.-ში „Категория грамматических классов в иберийско-кавказских языках“, 1989 წ., გვ. 3-11.

11. „ნეიტრალიზაციისა და გენერალიზაციის პროცესების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ კლასებში“ მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა კრ.-ში „ენათმეცნ. ინსტ.-ის 23-ე სესია“, 1967 წ.

12. „ვინ-კატეგორიის სახელთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში“ მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა კრ.-ში „ენათმეცნ. ინსტ.-ის 27-ე სამეცნ. სესია“, 1971 წ.

13. „კლასოვანი უღვლილების გადმონაშთებისათვის ქართველურ ენათა ზმნაში“ მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა კრ.-ში „ენათმეცნ. ინსტ.-ის 32-ე სამეცნ. სესია“, 1976 წ.

14. „Категория грамматических классов в истории картвельских языков“ მასალები გამოქვეყნდა კრ.-ში „Седьмая региональная научная сессия по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков“, სოხუმი, 1977 წ. გვ. 3-7.

ქართულ-კავკასიური ძირის აგებულების პრობლემების შესწავლას ავტორი ორი მონოგრაფიის სახით ფიქრობდა — სახელი და ზმნა. როგორც უკვე ითქვა, მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ გამოქვეყნდა კიდევ 1942 წელს; იმავე პერიოდში,

გასული საუკუნის 40-იან წლებში, აკად. არნოლდ ჩიქობავა ინტენსიურად მუშაობდა ზმნის ფუძის აგებულების საკითხებზე, რაზეც ზემოთ ჩამოთვლილი სტატიები თუ მასალები მიუთითებენ, მაგრამ ერთიანი მონოგრაფიის შექმნა ავტორის აღუსრულებელ სამუშაოდ დარჩა. მოგვიანებით სახელოვანი მეცნიერი ამის შესახებ გულისტკივილით შენიშნავდა: „ავტორს განზრახული ჰქონდა აქ აღძრული საკითხი (ზმნის ფუძის აგებულება — რედ.) მონოგრაფიული წესით დაემუშავებინა. ეს განზრახვა დღემდე განუხორციელებელი დარჩა, ჯერ ერთი, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო და მერმე კიდევ, სასწრაფო სამუშაოების გამო (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და ზოგადი ენათმეცნიერების ხაზით)“. ადვილი შესაძლებელია, არნ. ჩიქობავას არქივში ინახებოდეს ჯერაც გამოუქვეყნებელი მონოგრაფია გრამატიკული კლასების შესახებ კავკასიური ენების ზმნაში. მეცნიერის არქივი ამ თვალსაზრისით სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

ავტორის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული ნაშრომები კი თვალნათლივ ცხადყოფენ, რომ იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენისთვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო გრამატიკული კლასის კატეგორია, რომელიც მოიცავდა სახელსაც და ზმნასაც, უფრო მეტიც, გრამატიკული კლასის კატეგორიის არსებობა ისტორიულად წინ უსწრებდა სახელისა და ზმნის დიფერენციაციის პერიოდს. პრობლემა გრამატიკული კლასების ქონა-არქონისა ქართველურ ენებში არნ. ჩიქობავას მიერ დადებითად წყდება: როგორც ქართველური, ისე სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო ძირითადი კლასიფიკაცია — **ადამიანი** და **ნივთი**. მნიშვნელობის მხრივ ეს დაყოფა ეფარდება ინდო-ევროპულ ენათა პრეისტორიულ გარჩევას — ცოცხალი და არაცოცხალი.

მრავალრიცხოვანი ფუნდამენტური ნაშრომების წყალობით მეცნიერმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ადამიანის კლას-კატეგორიის ნიშანი ქართველურ ენებში იყო მ-//ვ- პრეფიქსი, რაც კარგად ჩანს სწორედ ზმნაში: **ვ- | S** პირის პირის ნიშანი, **ჰ- | O** პირის ნიშანი. ნივთის გრამატიკული კლასის ნიშნები დიფერენციაციის მეტ ხარისხს აჩვენებს, აქ გამოიყოფა: ს-, დ-, ბ-, ნ-, რ-. ამათგან ქართველური ენებისათვის ძირითადი ჩანს ს-, ლ-, დ-, ხოლო ბ-, ავტორის აზრით, ნასესხებია, ის შეთვისებული ჩანს მთის კავკასიური ენებიდან (ეს თვალსაზრისი შეიძლება სადავო იყოს, ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ **ბავშვ**-ი ტიპის სახელებში **ბ-** პრეფიქსი იმთავითვე დამახასიათებელი იყო; **ბ** ასევე მკვიდრად ზის ქართველურ ენათა გრამატიკულ ინვენტარში).

შემდგომი პერიოდის კვლევებმა აჩვენეს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო პოსტულატების მართებულობა, ანუ გრამატიკული კლასის კატეგორია ფუნქციონირებდა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, მათ შორის იქაც, სა-

დაც დღეს ეს კატეგორია მოშლილია: ჩერქეზული ენები, აღულური, ლეზგიური, უდიური (გ. როგავა, ნ. ანდლულაძე, გ. თოფურია, ევგ. ჯეირანიშვილი).

ამ თვალსაზრისით უნიკალურია თაბასარანული ენის ჩვენება, — როცა ჩრდილოური დიალექტები დღემდე გააჩვენებენ გრამატიკული კლასის კატეგორიას როგორც სახელებში, ისე ზმნებშიც, ამავდროულად სამხრულ დიალექტებში გრამატიკული კლასის გარჩევა მოშლილია, მათ შორის ზმნებშიც, სადაც წესით გრამატიკულ კლასთა ნეიტრალიზაციის პროცესი ყველაზე გვიან უნდა დასრულებულიყო. შეიძლება გვეფიქრა, თაბასარანულისთვის დამახასიათებელი ვითარება ყოფილიყოს ბუნებრივი საერთო-ქართველური დიალექტებისთვისაც, კერძოდ, სვანურ-ქართულში ის მოქმედებდა, ხოლო ზანურ დიალექტში გრამატიკული კლასის ნიშნები ფუძეს შეუხორცდა, შდრ. ს.-ქართვ. *დინჭუელ- → ზან. დიმჭკუ, მაგრამ ამავე დინჭუელ-ის გვერდით ქართ. (იმერ.) ბინჭველ-ი „ჭიანჭველა“, სვან. მერშკ ← *ბირჭკუ „ჭიანჭველა“, ოპოზიცია ბ- ~ დ-.

თავის დროზე გვქონდა შესაძლებლობა გვეჩვენებინა II გრამატიკული კლასის ნიშნად ს- პრეფიქსის არსებობის რეალურობა ჩვენს ენებში. იგი მთის კავკასიურ ენათა ძ-ს შეესატყვისება და რეგულარულად დაჩნდება საერთო ეტიმოლოგიის ძირებში, შდრ. ს.-დალ. *ძ-ად-, ს.-ნახ. *ძ-აჯარ- „და“ ~ ს.-ქართვ. ს-ძალ- „რძალი“ (ენაში ასახულია ქმრის ძმის, მახლის პოზიცია); ს.-ნახ. ძ-უყ „წელი“ ~ ს.-ქართვ. *ს-უყ „ზურგი“ (ქართ. სუკ-ი, სვან. შყ ← *შუყ „ზურგი“)...

ამგვარი მაგალითების მოხმობით მხოლოდ იმის დადასტურება გვსურს, თუ რაოდენ დიდია პერსპექტივა ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გაღრმავების შემთხვევაში. უკვე დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ საერთო ქართველურ ფუძე-ენაში გრამატიკული კლასის კატეგორია ყველაზე დიფერენცირებული ჩანს — არცერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ მოიპოვებოდა ერთდროულად მრ. კლასის იმდენი მარკერი, რამდენიც ქართველურშია საგულგებელი: გ- → / მ-, დ-, რ-, ს- (←*ძ-), ბ- → / მ-.

უნივერსალურია არნ. ჩიქობავას დებულება იმის შესახებ, რომ მორფოლოგიური შესატყვისობა ყოველთვის არ ემთხვევა ფონეტიკურ შესატყვისობებს საერთო წარმომავლობის ფუძეებშიც კი. სანიმუშოდ ეს შემთხვევაც იკმარებდა — ქართ. ბელ-ელ- // ბელ-ო : ზან. ბალ-უ; ცხადია, ქართ. ბელ- / ზან. ბალ- საერთო ძირია, მაგრამ ზანური -უ სუფიქსი ფონეტიკურად მხოლოდ ო-ს (ბელ-ო) შეესატყვისება ქართულში, ხოლო მორფოლოგიურად (ფუნქციურად) კი — ორივეს. მსგავსი სურათი იკვეთება საერთო წარმომავლობის კავკასიურ ძირ-ფუძეებშიც, კერძოდ, რა თქმა უნდა, ს.-ქართვ. *დ-უსთ-ე“ „თვე, მთვარე“ კანონზომიერი შესატყვისია ს.-დალ. *ბ-ურძ-, ს.-ნახ. *ბ-უთა „თვე, მთვარე“ (შდრ. ს.-აფხ.-აღ. *მ-გ-ძა

„თვე, მთვარე“) არქეტიპებისა, მაგრამ თავკიდური **დ- / ბ-** მიმართება მხოლოდ მორფოლოგიურია, ვინაიდან ქართველურში ფუძეს შეუხორცდა **დ-**, ხოლო ნახურ-დაღესტნურში **ბ-** კლასის მარკერი. ანალოგიური ვითარებაა ს.-ქართვ. ***დ-უც-** „მცენ. დუცი“ ~ ს.-ნახ. ***ბ-უც-** „ბალახი“ ~ ს.-აფხ.-ად. ***ჟ-გც-** (← ***ბ-გც**) „ბალახი“ შეპირისპირებისას.

ასევე აბსოლუტურად ზუსტი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქართველური **ს-ი** — -ულ- (სი-ყვარ-ულ-....) კონფიქსის შემადგენლობაში თავკიდური **ს-** გრ. კლასის ნიშანია, ამგვარ კვალიფიკაციას მხარს უჭერს ნახური მასალა, შდრ. ნახ. ***ჟ-ეძ-ოლ-** // ***ჟ-აწ-ოლ-** „ქალის სიყვარული“; მსგავს კონტექსტში მართებული ჩანს ძვ. ქართული **მ-ეგლოვა-ჟ** „გლოვა (ადამიანისა)“, **მ-იყვარობა-ჟ** „ადამიანის სიყვარული“ (ქ. ლომთათიძე) იშვიათ ფორმათა გვერდით სვანური **ლი-ლატ** — **მა-ლატ** „სიყვარული“ რეგულარულ წყვილთა მოხმობა, რასაც მეგრულის მასალამაც დაუჭირა მხარი, მხედველობაშია **მა-რულ-ა** „ადამიანთა რბენა/რბოლა“, **მა-ჩხომ-ა** „ადამიანთა ცხოვნება/ცხოვრება“, შდრ.: რულ-ა = რბოლ-ა, ჩხომ-აფა-ა = ცხონ-ებ-ა / ცხომ-ებ-ა / ცხოვრ-ებ-ა...

დებულების სისწორე ძალაშია ზმნური წარმომავლობის ზედსართავთან (და საერთოდ ადიექტივებთან) მიმართებაშიც, შდრ. ს.-ქართვ. ***ჟს-კრება**“, ***სა-ჟს-ე** „სავსე“ : ს.-ნახ. ***ჟს-** „ვსება, ბერვა“, ***აა-ჟს-ენ** „სავსე, გაბერილი“...

არნ. ჩიქობავას კვლევებით მტკიცდება, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია სრულად გამსჭვალავდა ქართველურ ენათა მთელ მორფოლოგიას.

სავსებით ცხადია, ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მემკვიდრეობა ახალ პერსპექტივას შლის ქართველურ ენათა ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობების რკვევისას, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან, ისე წინა აზიური ცივილიზაციის ძველ ენებთან, რასაც კანონზომიერად ეხმიანება საერთო ქართველური ძირის სრულხმოვნობის ავტორისეული სათანადოდ არგუმენტირებული თეორია.

* * *

ორიოდე სიტყვით ვგსურს განვმარტოთ ჩვენი პოზიცია ავტორის ნაწერებში არსებულ რედაქციულ სხვაობებთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ ვრცელ (1937-1985 წწ.) პერიოდს მოიცავს: გასწორდა მხოლოდ პუნქტუაციური და კორექტურული შეცდომები; ტექსტებზე მუშაობისას, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ იქნა თავის დროზე თავად ავტორის

მიერ შენიშნული და შეცდომათა ნუსხაში შეტანილი შეცდომები, ასევე გასწორდა აშკარა კორექტურული შეცდომები. მონოგრაფიაში ავტორისეული პაგინაცია უცვლელად დავტოვეთ. ამდენად, ჩვენს გამოცემაში ამოსავალი ტექსტის ავთენტურობა დაცულია.

მეშვიდე ტომის გამოსაცემად მომზადების დროს არაერთხელ მოგვიხდა სრული ტექსტის კორექტურა, ასევე შესრულდა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო, რაც ახალი გამოცემის ტექსტზე მითითებამ მოითხოვა, ხელახლა დაზუსტდა სიტყვათა და პირთა საძიებლები. შეიძლება, გაიპარა შეცდომები, მაგრამ ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით, რომ მათი რაოდენობა მინიმალური ყოფილიყო.

დასასრულ, მადლობა ეთქმის ქ-ნ რუსუდან პაპიაშვილს, რომელმაც საქმის ცოდნით ააწყო და დააკაბადონა უაღრესად რთული წიგნი, ასევე მადლობას იმსახურებს ბ-ნი ლევან ვაშაკიძე — წინამდებარე ტომის ტექნიკური რედაქტორი.

ყოველგვარ შენიშვნას სარედაქციო კოლეგია მადლიერებით მიიღებს.

მ. ჩუხუა
2012.12.12

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში	I
წინასიტყვაობა.....	XI
Предисловие	XV
Preface	XIX
შემოკლებათა განმარტება.....	XXIII
სატრანსკრიფციო ნიშნები.....	XXXIV
ნაწილი პირველი.....	3
ნაწილი მეორე.....	135
Древнейшая структура именных основ в картвельских языках (Резюме)	263
The Oldest Structure of Noun Bases in Kartvelian Languages (Summary)	281
პირთა საძიებელი.....	299
სიტყვათა, ფუძეთა და ძირთა საძიებელი.....	301
წერილები	
გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში.....	345
К истории грамматических классов в аварском языке (Резюме)	354
A Propos de L'Histoire des Classes Grammaticales dans La Langue d'Avare (Resumé)	354
მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. I.....	355
К вопросу об ударении в древнегрузинском языке. I (Резюме)	363
მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. II.....	364
К вопросу об ударении в древнегрузинском литературном языке. II (Резюме)	369
მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში.....	372
К генезису второго грамматического класса в горских кавказских языках (Резюме)	379
გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში.....	381
Грамматические классы в истории картвельских языков и этимология классных показателей (Резюме)	385
გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში.....	388

გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში	397
Категория грамматических классов и некоторые вопросы спря- жения глаголов в грузинском языке (Резюме).....	409
Об одном принципе классного спряжения в древнегрузинском глаголе	411
К вопросу о процессах нейтрализации и дифференциации (специ- фикации) грамматических классов в дагестанских и нахских языках	417
Грамматические классы имен в иберийско-кавказских языках: общие вопросы системы и истории	422
სახელთა გრამატიკული კლასები იბერიულ-კავკასიურ ენებში: სისტემისა და ისტორიის ზოგადი საკითხები (რეზიუმე)	433
Grammatical Classes of Nouns in the Ibero-Caucasian Languages: General Questions of their System and History (Summary).....	437
Категория грамматических классов в истории картвельских языков..	441
თეზისები	
ნეიტრალიზაციისა და გენერალიზაციის პროცესების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ კლასებში.....	451
ვინ-კატეგორიის სახელთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში	453
კლასოვანი უღვლილების გადმონაშთებისათვის ქართველურ ენათა ზმნაში	455
Категория грамматических классов в истории картвельских языков	457
ტომის რედაქტორისაგან.....	461

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რ. პაპიაშვილი**